

ISSN 0132-590 X/

საქართველოს  
საზოგადოებრივი  
მეცნიერებების  
აკადემია

# გნებობა



# 4

---

1986



# გნათოცე

ქართული  
ლიტერატურა

ქოველთვიური ლიტერატურულ-მხატვრული და  
საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

ფილიწადი 62-0

№ 4

აპრილი, 1986 წ.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო

## შ ი ნ ა რ ს ი

### პროზა, პოეზია

ჯანსუღ ჩარკვიანი — შისანდობარი. მოთხრობები	3
ანდრეი ვოჯნაძისევი — ნოდარა. ლექსი. თარგმნა ანზორ ხალუჭვაძემ	21
გივი გვაგუაძე — ლექსები	22
ჯარჯი ფხოველი — ლექსები	25
რევაზ ვიწველაძე — ნოველები	29
ბაადურ გალარჯიანი — ლექსები	47
კობა არაგული — ლექსი ვაბა-ფშაველასი და ხოების მიმდინარეობის	51
მთვარის კარიბულიძე — ლექსების კვლევა ჯანსუღის ლექსით	54
სოსო შავადაშვილი — ლექსები	55
გივი მახვილაძე — ლექსები	56
გივი მალაქაძე — რამეთუ იყოდა ზარზამ. რომანი. გაგრძელება	51

### კრიტიკა, პუბლიცისტიკა

ნოდარ კაკაბაძე — ვ. ი. ლენინი კომუნისტური საზოგადოების ორი ფაზის შესახებ	108
დავით თევზაძე — ივანე თარბას ახალი რომანი	115
ამირან არაგული — „მულს დამხვია საზოგადოებრივი“	122
მურჯან კვიციანი — ბავშვთა ავადმჯობეობის პრობლემა	129

### მეცნიერება

მარგარეტ ნარსიძე — „ქობაძე“-ს ისტორიული პარალელი	142
აკოლონ სილაგაძე — კვლევა რუსთველის ლექსის ახალი კონცეფციის შესახებ	154
მთერ ქავთარაძე — იოსებ ჟიჟიძის ბავშვობის მემორიული მემორიული	167

(თბ. მთავრე გვარდი).



**წიგნების მიმოხილვა**

ვალერიან ითონიშვილი — კართველ-მთიულთა სამხარეთო უოზის ისტორიიდან 172



გენერალ-ლეიტენანტი

პროფესორი

პროფესორი

მთავარი რედაქტორი არჩილ სულაბაური

სარედაქციო კოლეგია:

- გრ. აბაშიძე, ი. აბაშიძე, რ. ამაშუკელი, მ. ბერძენიშვილი, ალ. გო-
- მიანაშვილი, ბ. დოჩანაშვილი, კ. კალაძე, მ. ლასურია, მ. ლეგანიძე,
- ე. მალარაძე, ლ. მრეღაშვილი, ბ. ნატროშვილი, რ. პატარიაძე, ჯ. ჩა-
- რკვიანი, ნ. წულეისკირი, თ. შილაძე, ბ. ხარანაული (პ/მგ. მდივანი)
- რ. ჯაფარიძე, ბ. ჯიგლაძე.



ჯანსუღ ჩარკვიანი

### შესანდობარი

ოცდახუთი წლის შემდეგ დაწერილი მოხბობები

ამ ჩანახატთა ბევრი გმირი კარგახანთა დაადგა ვარდისფერ გზას და გაშორდა ამქვეყნიურ მომხიბვლელობას თუ უკუღმართობას, რის გამოც „შესანდობარი“ დაეარტვი სათქმელს.

### აბლაცი ნოზრავანა

ნოზრევანა ერთი ადალა კაცი იყო, ჩერჩეტი და ყუყუჩი. ეს აბლაცი და აყლაყულდა თვალენს გადმოკარკლავდა, აბოდილდებოდა და ერთი ბეწო და ბაცაცქანა რალაცაზე აენთებოდა და გაცეცხლდებოდა.

აბლაცი კი ვარ, მაგრამ ტატატატა, მაგარი ვაარო. ეგრე ავარდნილი ვარ თორე, თავქარიანი თქვენკენ მაიკითხეთო. ვის რას ვუშავებ, შვილი არა მყავს და ძირი, დედა არა მყავს და მამა, ცოლი ხო არა მყავს და მაგის მომყვანის ცოლშვილიცაო, დააყოლებდა გუდის ყველივითა.

ერთი, ატეხილი ფურივით ავწალიკა გოგო მიყვარს, დაბრაწული და მთვარესავითა, ხალშიდან რო ახალი ყველი ამოგიყვანია, იმასა ჰგავს, დამყოლი და ჰყინტი. კაბის ქობად შავი არშია ავლია, მითომ ქვრივიაა... არა, სიმართლე რო ვსთქვა, ამ ორი წლის უკან ტლექმა კი მოუკლა უძღური და ბაჩუნა დღეღმევით კაცი, მაგრამ შავი არშია მაინც ყასიდათა აქვს შემოვლე-

ბული, აქაოდა აზეზებულობა არ შემეტყოს სოფელმა და ფათერაკს არ შემეხედრონო.

ხანდახან, ეს ვერანა ესა, ისეთი აზინებულია, რომ ბერწად დარჩენილი ცხვარივით მოიწყენს ხოლმე. ტა-ტა-ტა მომვარდება, ჩამიკრავს, მიმასიკვდილებს და მერე, ჰამის შემდეგ რო ჯამჭურჭელი აგილაგებია იმ ხასიათზე ვდგები. მეც ალაბალისა და დავიდარების კაცი არა ვარ, შე ქართველი ვაარ და ჩამყოლი ვაარ, ხო არ ვათქმევინებ, გამეპარა მინდერის თავვეითათო. არც თავს ვიწონებ და არც არავის რასმე ვამადლი, თვალზე ბისტი გადამეფარება და ვაარ ჩემთვის ეპიტაურივითა, თუ დამლევენ, ხო კაი და თუ არ დამლევენ, რა, გავბრაზდენ?! თქვენმა მზემ, ჯავრი არ მოვიყარო, ცეცხლი არ წამეკიდოს და ვინმეს სასულე არ გადავუჟეტო. მეც ეგრე ვაარ, ხმაგაკმენდრი ველოდები, კიდე როდის მეცემა, როდის მომვარდება, ჩამიკრავს და მიმასიკვდილებს. ერთი კია, აი, მეორეთ

ვარკეთილი

რომ მეცემა, ერთს კარებისაკენ გააქრობს და გააელმებს თვალსა, გვიმრასავით ჩაქრულ-ჩახვეული ყურთან მეტყვის: შე მართლა აბლავო და აყლავულა, კარი მიგებურა შაინცა თუ არ ჩარაზავდი, რო შენს ზმუილზე მეზობლის ბლუჩუნა გოგოასა ხარის ძებნა არ დაეწყო და კარს არ მოგვდგომოდა. ნეტაი შენ მეტქი, ამოვიგმინებ და ისე ავსუმბუქლები აღარც კი ვიცი, წონაში რომელი მეტი ვაარც. მერე, მერე სხვა აღარაფერი რო აღარ გვეხერხება, წამოვყდებით და გულამომჭდარი ვტირით. ვტირით ხმამაღლა, არც შე ვიცი რათა ვტირი და იმან ხო სულ არ იცის და არ იცის, ვტირით და ვტირით.

მთავარი სულ სხვა რამეა, აი, მაშინ, როცა ერთმანეთს არა ვზოგავთ და ვე-

უნეშებით, ვწყნარდებთ და თავსა ანკარა აზრები მომდის, თვალი მინაბული მაქვს და კარგ რამეებსა ვხედავ, მზეზე უფრო აშკარა სანთელსა ვხედავ, თვალისმომჭრელსა გეგონება, სამოთხის ჩიტი ვაარ და სამოთხისავე ხის კენწერთზე ვარ მოქცეული.

ყველაფერი რო გაეა, თითქოს ახლა წისქვილის ღარში ვგდივარ ბედნიერი და ზეიდან ცივი წყალი მჩქეფს და მხვრილებს. მერე თანდათან ისეც ვმძიმდები ძნისსაზიდი ურემივითა და აბაა, ახლიდან ველოდები იმ ჩემს ავწალიკა გოგოსა, როდის მეცემა, როდის ჩამიკრავს და მიმასიკვდილებს, იმას კი ვენაცვალე იმასა, იქნება აღარც გაუშვა, იყოს და იყოს... სულ ჩემთან იყოს.

## მარიამოვა

ვახ, ვახ, რა დრო იყო?! ღორი დაეკალით, რალა დაეკალით, ხუთი მეზობლის ხუთი ეზო ყელში დანაგარკობილმა იარა და სულ სისხლში მოთხვარა იქაურობა. მეეცათ, მეეცათ მეტქი, ვუყვიროდი, მეეცათ, თქვე არგადასარჩენებომეტქი, ხომ ხედავთ დაქარილიამეტქი, სანამდინ ჩვენ შევსკამთ, ხომ მაგან უნდა შეგვკვამოსმეტქი, ეგ ღორია და ყველაფერსა სკამსმეტქი.

მერე ჩვენ ყველაფერი ვართო? იქედან გადმომძახა მარიამმა; ატყდა ხარხარი, ღორის ზროტინი, თითქოს გზას უიოლებდა სისხლსა.

ჰაი, აქეთ, ჰაი, იქეთ და ბოლოს ალბათ სისხლი გამეელია, ათოთქროვდა და დამშვიდდა. იმ ალაბალა და უვარგისმა მარიამმა კიდენა გადმომძახა, რა ვქნათ ქალო, თქვენ მიირთმევთ ამის სუკებსა თუ ჩვენა, ჩვენს ეზოში დაიკლა ფაქტიურათაო. ღორი ვისიკაა მისი სუკებიც იმან უნდა მიირთვასმეთქი, მოუტერ აქედანა.

ხო მაგრამ, ჩემი ეზოს ქლიავი, რო შენსკენაა გადმოხრდილი და შენ მიირთმევ შენი შვილი შვილითა და იმ

ალახმალახი ქმრითა? როგორიაო, გადამამიჭირა იქედანა მათრახივითა. კიდე ხარხარი ატყდა მეზობლებისა, ხარხარი ისეთი, რო ღორიც დამავიწყდა და კაციცა.

მაამ, თავისდროზე ღორსაცა ვკლავდით და მარიამობას ცხვარსაც ვსწირავდით უფალსა.

გავემზადებოდით, დედაბუდიანა. მე და ჩემი კაცი წინა, ჩაცმულ-დახურული, მზესავით უპრიალეზდა წულა-მესტის პირი იმასა, მე თავსაფარი მიფრიალებდა, ჰა და ჰა, მეშინოდა, ქარმა არ წამილოსმეთქი. უკან კიდე ჩემი შვილი აღინეწია გოგო, კოხტები, ლამაზები, ნორჩები და მოქნილები ასკილის ტოტებივითა. წინ ცხვარს გავიგდებდით, ყოჩსა, ბაბთიანსა, გაჯიუტდებოდა, გაჭიქდებოდა, ფეხებს გააბოტებდა და იდგა ჩოჩორივითა. აბა ჩვენ აქედან ვაწვევდით, მტერი არ მოგიკვდეს, ძვრას არ იზამდა ადგილიდანა. მერე, მოვიდოდა გუნებაზე, მზეს შეიღვამდა ლამაზ რქებზე და გაუყვებოდა, ველარც გამეგო ჩვენ მიყვავდით შესაწირავად თუ ჩვენ მიგვყავდა. მარიამი კი ამოთ-

ხედავდა პირიდანა, საღ მიგყავთ, თქვე ურჯულოებო, ეგ ხო თქვენი სალოცავი არ არისო.

მე რო გავწიწმადებოდი და გავცეცხლდებოდი, ჩემი კაცი ღინჯად ამოაეციებოდა: ყური არ ათხოვო, ღმერთი ერთიაო. აი, მაშინ კი ამოვისუნთქავიდი და საბეზე დავიფენდი ამოღალანებულ ნიაცსა. მერე კაცს გავანდობდი ხეაში-აღსა, რა უნდა ქა, რას გადაგვეყიდა, ერთომ ეგ ჩემზე უფრო ქართველია?! მე სხვა ენა არ ვიცი და ჩემმა შვილებმა, სხვა ქვეყანა მე არ მინახავს და სხვა წყალი მე არ დამილევენია, რა შემეჭრება ხოლმე ნამგალივითა ეგ ანძურა ეგა.

— გაანებე ქალო, ავია და ანჯახი.

— რავი, კი იკრიპება ადრე მოგებული ბატკანივითა და.

— მა ვისი სალოცავია, ქრისტიანო, მე ვილა ვარ, საიდან გავჩნდი, რო დაიწვას ჩემი გაჩენის დღე და საათი. ვილა ვარ მე, ქართველი არა ვარ? მაგაზე ნაკლები ქართველიც შევარცხვინე და ისიც, ვისაც შეძახის. ნეტაი შენა, რა აფალისა და ცხოვრების პატრონი-

ცაა, ის ტვინი აქვს, შენც შეეცდები ადულდები ხოლმე და აფხრჭილდებენ

— მა რა ვქნა, კაცო, ამ მარიაშობა დღესა ხო არ დავსწყევლი? მეზობელია, ხალხი რას იტყვის, აღერლდა და სინდის-ნამუსს არე შეუქახაო.

— შენც ნუ დასწყევლი, მიხვალ და სანთელი დაუნთე, ცხრა-ცხრა კენჭი აუხიე, წაღმა შემოიტარე და ეშმაკები დაუფრთხე.

— ვისა, კაცო, მე თუ ქართველი არა ვარ, გადამთიელს დავუნთო სანთელი? ვერ მოგართევს, ვერა... მაგას არა და, სალდათში რო ჰყავს. თენგიზაი, იმას დავუნთებ, იმასაც, თამროსაც და პატარასაც, ნანიასაც, მაგ ბაბაყულსა და პირცეცხლიანსა არ დავუნთებ... თუ მისი სალოცავია, თვითონ დაინთოს. მე თუ ქართველი არა ვარ და მაშ საშველი აღარა ყოფილაშეთქი...

რამ გამახსენა, რა ხანი გასულა, ერთი უნდა ავიდე ჩვენს სალოცავზე და ბაჩაგანა შვილიშვილებსა სანთელი დაუუნთო, ხეალვე უნდა ავიდე, ბაწაწკი და მთხოვარი შაბათისა სჯობია.

### ორი ჭირისუფალი

დილის შვიდი საათი იყო, ზურაბი გამოვიდა პალატიდან, ლობესთან მიდგა და იქვე გასძახა, ჩიტოო, არც ჩიტოს ეძინა და უშალ გამოსძახა:

— რა მოხდა?

— გამოდი.

— ცუდადაა?

— ძალიან.

— მაინც?!

— კვდება, აღარაა, ხმა გაებზარა ზურაბს.

ჩიტო აღარც შებრუნებულა, უცებ გადმოვიდა, საბიჯელას მოადგა და გადმოვიდა.

პალატში ორივენი უბრად შევიდნენ. დედა ტახტზე იწვა. დედაბოძზე არჩვის ორი ლამაზი რქა იყო მილურსმული, ერთ რქაზე დედის თავშალი იყო ჩამოკიდებული, მეორეზე — ნივრის გალა.

ბუბრისპირა კედელზე გიორგის სურათი ეკიდა, თვალებიდან ცეცხლს ყრიდა და გაწამებული მეუღლის სახეს დაეინებით ჩასცქეროდა.

ეზოში ძალღი ყმუოდა, საზარელი ყმუილით ყმუოდა.

დაჩეჩილ მატყლზე ქათმები კვანტრაშობდნენ, თონესთან პალოს გამოზმული უბალახოდ დარჩენილი ხბო ბლაოდა და საჩეხში ალათი ცხენი ფრუტუნებდა, სხვა არავინ და სხვა არაფერი, ეს იყო სულ...

კვდებოდა დედა...

პალატში, ბუხართან ახლოს პატარა ბუჯერი იდგა, ბუჯერს ცომის საზელ მაგიდას ეახიან ლეჩხუმში.

— ამ ბუჯერზე ცომს ზელდა საწყალი დედაჩემი, — თქვა ზურაბმა.

დედას თითქოს რაღაც ჩაესმა, თბი-

ლი, საამო, ვერაფერი უპასუხა და თვალიდან ცრემლი ჩამოსდინდა.

— ზურაბ, მგონი ესმის, მგონი კი არა, ნამდვილად ესმის.

— ღმერთმა ქნას, — თქვა ზურაბმა.

— შენ ძალიან უყვარდი, ჩიტო, დედაჩემს, ბოლოქანქალას გავსო, ასე ამბობდა, ნეტა ჩვენსკენ გადმოფრინდებოდესო.

დედას ახლა მეორე თვალიდან გადმოსდიოდა ცრემლი...

— ესმის, ზურაბ, ნამდვილად ესმის, ვერ ლაპარაკობს და ტირის.

— კი, ტირის, — თქვა ზურაბმა. — შენ რომ პატარაობისას კალოზე დაეცი და ფეხი იტყინე, ა იმ სოკოთი გაგიჩერა სისხლი, «გველაფშუტა» ჰქვია ამ სოკოს, მზეზე ახმობდა და ისე ინახავდა. ერთხელ მამამ ნაჯახი შორიტყა მუხლთან, სისხლი შადრევანივით ასხამდა, დედა მივიდა და თუთუნი მიუტანა, დააყარა ჭრილობაზე, შენ ამასაც გაუძლეობ, ის «გველაფშუტა» ბავშვებისთვის მაქვსო. რა წამლები არა ჰქონდა, ეს ცხენიოფაო, ეს ალქონაო, საალმასეო, წამალმა თუ ავიწვია, წამალი არ არისო, წამალმა უნდა დაგიამოსო. არ უყვარდა ეს სახლი, მამაშენმა უშნოდ ააკოშიალო, მარა იცოდე, არ დანაგრეო, შეილო, მაინც მამაშენის აშენებულაო.

— მეც ძალიან მიყვარდა საწყალი დედაშენი, — თქვა ჩიტომ, ბევრი კარგი მახსოვს მისგან, ერთხელ, პირველ კლასში რომ მივდიოდი, გადმოვიდა ჩვენსა ერთი ნიშანშებულნი ვარია გადმოიყვანა, ექვსი მოქარგული პატარა ცხვირსახოცი მაჩუქა. დედაჩემი გაკვირდა, ყველაფერი უცნაური შენ იციო, უთხრა, ორშაბათ დღეს ვინ ჩუქნის ვინმეს რამესო. მას მერე, სულ ეს ჰქონდა დედაჩემს სალაპარაკოდ.

— კიდევ იმას იგონებს დედაჩემი, ახალი რძალი რომ იყო, გიორგის გვერდით სულ გვანგვალით მიჰყვებოდაო, მოხდენილად, ნარნარად, კობწითო. ჩაიცვამდა კობლებიან კაბას და ერთი მაგათთვის მაყურებიაო, იტყოდო. ეცხმერე სალა იყო მაგის დრო, ჩაჭდა და

ჩაჭდა, ეს ოჯახიო, ეს <sup>გვერდით</sup> ~~ქმარი~~ <sup>დღეს</sup> ~~მე-~~ <sup>მე-</sup> ~~ლიო~~, ეს პირუტყვის ბალახი და სალაფავიო, მტერ-მოყვარეო და რა ვიცი, ერთი ქალი რამდენს გახდებოდა. ცხრათ ხომ არ გაიყოფოდაო.

— კი, საწყალი, ბევრს შრომობდა, ქალაქშიც ავზავნიდა, ესეც საჭირო იყო. შენ რომ პატარა იყავი, შენზე ამბობდა, ჩიტო თუ მაშინ ნახე, როცა დაბანენ და დაგვერიწინებენო, პატარა მზეთუნახავს გავსო. შეხედე, ბუხრისთავზე მანკვეალა სოკოებია, გაახმო და შენ შეგინახა, უყვარს და ზამთარში გავახარებო.

ჩიტომ გაიღიმა, ღიმილი მთელ სახეზე მოედო და წუთით პალატიც გაბრწყინდა და გაბედნიერდა.

გაწამებული დედა ცუდად სუნთქავდა და ყელთან მთავარი ძარღვი უთრთოდა.

— ცივა, მოისხი რაშე, — უთხრა ჩიტოს ზურაბმა.

ჩიტომ, არჩვის რქაზე რომ თავშალი ეკიდა, ის ჩამოხსნა. მხრებზე მოისხა და თამამი ქალივით გვერდით მიუჭდა ზურაბს.

— რა მეშველებ, ჩიტო, ვერ გადავიტან... მესამე დღეა ასეა, თითქოს მართლა ესმის, თითქოს, ხანდახან ტირის კიდევაც, ხან, ჩავსახებ რამეს და თვლები გაუფართოვდება, თითქოს უნდა მობრუნდეს. უნდა გადმოგვხედოს მამაზეციერმა, მაგრამ მეტი არაა ჩემი მტერი. ეჭიმამაც მიგვატოვა, გაიძურწა და წავიდა, წამალიც არაფერი დამიტოვა, ხვალ შემოვივლიო, რა ვქნაო, მხრები აიჩეჩა, ყოჩაღად იყავიო... მე მგონი ვიღუპები, ვერ გადავიტან.

ჩიტო უფრო ახლო მიუჩოჩდა, გულაჩუყებულ და საგონებელში ჩავარდნილ ზურაბს უნებლიედ ხელი მოჰხვია, მაგრამ აზრზე მოვიდა თუ არა, უმალ მოაშორა ხელი და დაბნეულმა, მისდაუნებურად ამოღერდა:

— სამი დღეა ავადაა და რას გავს კედლები, გალანჯრულ-გამურულია, ეტყობა ბუხარი უკან ამბრუნებს კვამლს.



არა, შუქი არ იყო და ლამფა ავანთე, მთელი ღამე ენთო და ჰერი გაიოზა, არც მე მომიხუტევის თვალი, მთელი ღამე ვფხიზლობდი, აგერ ახლა გამცემს ხმასთქვა... ზურაბ, გადავალ და საქმელს გადმოვიტან, დედასაც დავხედავ, — თქვა ჩიტომ და გავიდა პალატიდან.

ათ წუთში შემობრუნდა, ცალ ხელში პატარა კალათა ეჭირა, კალათაში მჭადი და ყველი ჰქონდა, ლობიო და ცოტა მწვანილი, მეორე ხელით გაღებულ ღვინო მოჰქონდა დოქუნათი,

შელეინო, სიმაგრედაკარგულ... კალათას ქათქათა თავსაფრის უჭინსმქქა პალატში შესვლისთანავე შეერთა და გაშეშდა ჩიტო...

ზურაბი ზღუქუნებდა... დედა აღარ იყო ამ ქვეყნად, მაგრამ დედას სახე უფრო მოსვენებული ჰქონდა, უფრო დაწყნარებული.

მთელს ქვეყანაზე ყველაზე უფრო ღამაზსა და ყველაზე უფრო დაღლილ დედას თავს ადგა ორი ჰირისუფალი — ზურაბი და ჩიტო.

**სევდა**

შუა ცეცხლთან ვისხედით, ბაბუა დათვისტყავდააკრულ ძველისძველ სავარძელში იჯდა. ბებია, ხალმიდან ყველს იყვანდა და ჰყიბებს გვირიგებდა. სულ ბაბუა ლაპარაკობდა, ბებია ხმას თითქმის არ იღებდა, იჯდა მიკუნტული, მწყემსების ქოხში რომ იციან ხოლმე, აგვართაში. სრულიად მარტო იჯდა და ყველს იყვანდა. აგვერდებული უყვარდა ჭდომბა თავისთვის და ისე გვიგდებდა ყურს.

ბაბუამ ერთიჯ გააბურჰვა ბუხარში და ახალი დაიწყო:

— ძველად მადიანობასა და უსაქმურობას ვინ შეგარჩენდა, შინ რომ საქმეს მორჩებოდნენ, ნაშგალსა და ცელს, თოხსა და შალაშინს, წალდსა და ნაჯახს თავის ადგილს მიუჩენდნენ, მერე საშოვარში მიდიოდნენ, ბარისაყენ გაუტევენდნენ. სახლში დედმამისშვილები თუ ბევრნი იყვნენ, ერთს დასტოვებდნენ, ოჯახისათვის, მტერმოყვრისათვის, მშობლებისათვის, მოკლედ, კაი საქმეებს არ ერიდებოდნენ, შვილი გარჯით ფასდებოდა. ახლა ხუთი ბეყე და ელეყურტა შვილი ჰყავს იასონას და ხუთივე — სახლში.

სახლში ითქმის, თორე, ისე ალახმა უწყის ხუთივეს თავი და ტანი, სად დადიან, ძროხებივით ალვაშა ბალახს მიირთმევენ თუ გრაფებივით ფოჩიანი ნიფხვები აცვიათ. ყოჩაღები იზრდებოდნენ, მერე რა მუცლისგვერმა აუტყ-

დათ ეშმაკმა ვერ გაიგო. ერთი კი ამოიზუნენ და ამოიგანგლენ ეშმაკონის დამდგარ წყალში და მერე, რა ჰაობებსა და ქენჭყობებს ჰკრეს თავი მნახველი აღარაა.

სოფელი დახურეს, გლახა კობერატივივით დახურეს, აღარც საბჭოა, აღარც კომისარი, აღარც გამკითხავი.

— აპაპ, აპაპ, — ხანდახან ჩაურთავდა ბებია და ბაბუას გაცეცხლებას კიდეც უფრო ამძაფრებდა.

— კოლმეურნეობა ჯერ ხომ თაბინეთს შეუერთეს, მერე ორივე გოდოლეთს, ახლა სამივეს ბელელში ბათმან ლობიოს ველარ მოიძიებ. ჩემს ამარა და დათაიას ამარა დატოვებულ სოფელში რა უნდა მოვიდეს? მე ოთხმოცდახუთის ვარ, დათაია ორით მჯობია.

ოთხითო, შეუსწორა ბებია.

ბაბუამ ყური არ ათხოვა და გააგრძელა:

— იმ დღეს, რაიკომის მდივანი ეუბნებოდა თავმჯდომარეს, შე კაი კაცი, გეგმას ვერ ასრულებ, ვერ ასრულებ, სოფელში კაცი მაინც შეინარჩუნეო, მოდი, შეეთანხმდეო. ამ სოფლიდან კაცი წავა თუ არა, შენც აიბარე და უკან გაჰყევო.

რა ქნას მეტი? წელეებზე ფხს იღვამს, მაგრამ მუშაობა და გარჯა რომ არავის უნდა?! ყველა ქეიფზეა გადასული, არ ვიცი, რა ეშველება ამ საქმეს.



ბებიაშენი ყველს ველარ იყვანს, ხომ უყურებთ, თუმცა რა, აღარც დასჭირდება ყველის ამოყვანა, ძროხას ჭამა უნდა, მწყემსი ხომ აღარ არის, აღარც ბალახია, ყანის პირზე მაინც იყო ის დალოცვილი, აღარც იქაა, მიწა არ დატოვეს ყველაფერი გადახნეს, ახოც და დობიროც, ყველგან დათესეს. ეტყობა დათესვა ადვილია, მერე, მოვლაა საქმე, ვინ მოუვლის? სერგოია და ბუხუტია? რვა, ათ კაცს მაინც ამოიყვანენ ქალაქიდან, სუფრას მოხუცებს გააწყობინებენ და დილაშუად მიდიი, მაინც რამდენს სვამენ ეს დალოცვილები. მე შენ გეტყვი და საინძელო შეეშლებათ: სერგოიამ სიტყვა თქვა, ცრემლი მომერია: ეს ამოსაშხრობი და მოსასპობი ლებერეთი მენატრებაო, მისი აყალო მიწის ზელა მენატრებაო. ჩემთვის კი გავიფიქრე, ნეტა, როდის ჩარჩენია კალოში წითერაულის აღმართებზეთქვა. მერე და მერე მთლად გაახურა და ხელიშურს გაალაჯა, იქით, მეორე სოფლისკენ: ჩემი ეზოს ამოჩხაკეული ღობე შირჩენია ნარიყალას გალავანსო, დილით რომ გავიღვიძებ და თვალებს ამოვიტიპუნე, ანგარი და ხარბი არა ვარ, მაგრამ თბილისსაც ჩემი სოფლის სახელი მინდა ერქვასო. ეებს, გაღმა, სამაჭრიაზე, ჩემი ხბო რომ აპუტარას ჩამოუვლის, სუბიშვილების დავლური შემორცხვენიო. მოკლედ, კიდე, კაი, რომ ბევრი ართვალი და უვარგისი მიწაა ხეხვს დუნიაზე, თორემ სერგოია, ილია ქავჭავაძის შვილი თუ არა, შვილიშვილი მაინც მეგონებოდა. ახლა ბუხუტიამ დოუნაცვლა, სად არ მივლია, ვის არ ავტოლებდებიარ, მაგრამ ლებერეთი როა, იმნაირი არ დაიკეხოს ვირჯინის შტატმა ამერიკაშიო. ამერიკამ მსოფლიოს კი მისცა ლობიო და სიმინდი, მაგრამ ლებერეთულ ლობიოსთან და

სიმინდთან ფეხი არ ჩაუვალს. ლებერეთის ვუღებდი, მერე შევბედე: რაფერ ჩოუვით ფეხი, ამერიკაში ლობიო და ჭადი ხალხს მოყავს, ლებერეთში მისით მოდის, შეიძლება მომავალში დათესვაც აღარ დასჭირდეს, დარეკავ ტელეფონით და დაითესება, მერე დარეკავ და მოიყვან, აბაა?!

ბუხუტიას არ მოეწონა ჩემი ჩასწორებული და ცეცხლზე შემდგარი რძესავით აიღუფა და გადმოვიდა. გადმოსული რძე, მოგახსენებათ, იქვე იღვრება.

მე თავზე ხელი ავიღე და გავაგრძელე: ნუ გეწყინებათ, შვილებო, აწი ჩვენ წამსვლელები ვართ, ბოლო წელია, ხშირად მეძახიან, წამსვლელი ვარ და მისთვის, სიცოცხლე კი არ მწყურია, ვის დოუტოვო ეს ეზო-კარი, ხორაგი და ვენახი, ხრია და ორშიმო, ვის დოუტოვო, თონეში აყვავებულ პურის სურნელი, ვის, სუფრის გატლექილ აშაღლარებს თუ საირმის წვერიდან ჭყინტი სიმინდის საქმელად ჩამოსულ დათვებს, თუ მაჩვენებს, თუ ვის, იქნებ გადამთიელსთქვა?

ღმერთმა თქვენ შეგარცხვინოთ და თქვენი სადღეგრძელოებიცთქვა. ავდექი, დავიჭირე ხელში ჩემი ძველი ბზის საბიჯგი ჯოხი და მივატოვე იქაურობა.

ნაირნაირი მანქანებით ამოვირგვილებულებს შერცხვით ჩემი სიტყვების, შერცხვით სულ თხუთმეტი წუთით.

თხუთმეტი წუთის შემდეგ, სოფელს მოეფინა ქალაქის ცხელ ასფალტზე მუქთად მოხარშული ათი თავფანდურა ბიჭის სიმღერა: „დედაშვილობამ ბევრს არ გოხოვ. შენს მიწას მიმბარეო“.

მე კი ვფიქრობდი, ვაი, შენ, ჩემო უბედურო თავო, ვაი, შენ, ჩემო უბედურო დათაი, ჩვენ რომ არავინ გყავს მიწას მიმბარებელი და დამმარხავი?!

## მოღალატე მზეთუნახავი

ვიეი სამსონაძეს, ჭუმბერ გოგიაშვილს

— ანგრე, ანგრე, თქვენ კი გენაცვალებთ, რათ მინდა ამტელა ცხვარი და

საქონელი თუ კბილი არავინ გაპკრა. მოდიო, მოდიო. თქვე საკაიკაცოდ

აღერლილებო: ქვეით, პალატში, ტაბ-  
ლაზე, ჯერ ქვეით, მერე სასტუმროზე,  
მეორე სართულის აივანზედა. — ქოთ-  
ქოთებდა ძია მათე, ერთმანეთს ატორ-  
ლიალებულებს პალატში შეგვიძღვა,  
მე, გივის, ჯუმბერსა და შოთას.

უცებ, შოთამ შეუფახა, მიდი შამა,  
შენ კაი ყოჩი შეგვიჩიე, ჩვენ აქ თი-  
თო ჭკაით გულმუცელს ჩავიწვავთ და  
მერე ჩვენი გზისა ჩვენ ვიცითო. მივ-  
დექ-მოვდექით, ორ-ორი ცეცხლივით  
ჭაჭა გადაუფახნეთ სტომაქში და აყო-  
ჩებულენი გზას გავუდექით ზეით, პა-  
ტარა ეკლესიისაკენ. ბრეცელა და ელა-  
ში ყოჩი წინ გავიგდეთ და რის ვიავაგ-  
ლახით ავიქაქანეთ მოზრდილი აღმარ-  
თი.

ძია მათეს ანაკვეთს რომ გავსცდით  
ცოტა შევისვენეთ...

ირველივ ახლადმოფოფქილი ყვავი-  
ლები ყვავოდნენ. მზე აჭერდა და სისხლ-  
ში ატანდა... ქართლში ხომ, ერთი მზე  
არ ანათებს, ქართლში მილიონი მზე  
იბუღებს ხოლმე.

— ესეც ესევე, — თქვა შოთამ და  
ქვების ხროვასა თუ მოზრდილ ნიშს  
მიაპყრო თვალი. — ამას ხო ხედავთ,  
ქვითა და ღორლით ამოჩხორილ გორა-  
სა, აი ამ ამოყუნტულ ზურგსა, საფ-  
ლავია განა?! ერთი ოსი ქალი ყოფილა,  
თერამეტი წლისა, მოწყვეტილ ვარსკე-  
ლავსა გავდაო, ეგრე ამბობენ: იმის  
გვერდით ქალები არცა დადიოდნენ,  
იჩრდილებოდნენ და მისთვისო. ობო-  
ლი და უპატრონო ყოფილა, უსიყვარუ-  
ლოდ მოუტაცნია ერთ ოსს და ქმრობა  
დაუჩემებია. იმ კაცზეც ეგრე ამბობდ-  
ნენ არუქ-ჩარუქიანი კაცი იყო, ავიც  
იცოდა და კარგიცაო, მაგრამ უამიყვამ  
გადაიკარგებოდა თვეობითა და დროს  
ღვინოში და კახებში კლავდაო. ეს მი-  
ტრეებული მზეთუნახავი ჭკნებოდა მო-  
წყვეტილი ყვავილივითაო.

ჩვენც სულგანაბული ვუსმენთ შო-  
თას, ირველივ ფოთლის ანჭამებდაც  
არაა.

— პო, და, უღალატნია ქმრისთვისა.  
სოფელმა ქმარს ამბავი დაახვედრა —  
შენი ცოლი აშარი და აშალარა ვახ-  
დაო. მაშინ ეგეთი წესი ყოფილა  
მთელს საქართველოში, ეს მზეთუნა-  
ხავი ვირზე უქულმა შეუსვამთ, უკან  
სოფელი და ეს ანჭურა ქმარი გამოჰ-  
ყოლია, სწორედ ამ ადგილას მოუყვა-  
ნიათ და გაცეცხლებულებსა და ჭკუა-  
გადასულებს ქვებით ჩაუქოლავთ.

კიდევ კარგი რომ ეგეთი წესი დღეს  
აღარაა საქართველოში. იმის შემ-  
დეგ, ვინც ამ ქველორლით ამო-  
ჩხორილ გორას გვერდზე ჩაუვლის თი-  
თო-ოროლა ქვა ყველამ უნდა მიაყა-  
როს, ესეც დაუწესებიათო. — მოჩა  
ამბავს მათეს ბიჭი.

ულალატნია? ალბათ არამი იყო იმა-  
ზეო, იყვირა გვიმ, გუნებაში ყველას  
მისი წყალი გადაგვესხა, მივეარდით  
ოთხივენი ამოყუნტულ გორას და ერთ  
საათში სულ გავსწმინდეთ და გავასუ-  
ფთავეთ ქველორლისაგან.

ცარიელა ბორცვი დარჩა, შიშველი  
ბორცვი ამ მოღალატე მზეთუნახავისა.

ახლა კიდევ, დავაყვიეთ იმ ახლად-  
მოფოფქვილ ყვავილებსა და სულ ფეს-  
ვიანად ვთხრიდით, ვთხრიდით და ფეს-  
ვიანადვე ვრგავდით იმ მზეთუნახავის  
საფლავზე.

ავაქოთიალეთ იქაურობა. საფლავი  
გაჩნდა როო, მარიაშ ღვთისშობელი  
დაღვრიდა ცრემლს.

გაოგნებულებმა ცოტა სული მოვი-  
თქვით და ადგილამდის ძლივს ავფხო-  
კილდით.

ერთი სადღეგრძელო იმ მოღალატე  
მზეთუნახავისაც შეისვა.

მაშ არ უნდა ცხონდეს?!

## სიყვარული

თარგმანი  
ნიკოლოზიძე

მე თამუნისა ზურგჩანთა მიმქონდა, გურამს — მაკასი, ჩვენს ზურგჩანთებზე გვექონდა შედგმული და ისე მიგვექონდა.

იმათ თერმოსები მოქონდათ და ხელჩანთები, ხელჩანთებში თავიანთი რაღაც-რაღაცები ეწყობოთ, ისეთი რამეები, რაც ხელს შეუწყობდათ მთაშიც ქალებად დარჩენილიყვენ და არ გაუხეშებულყვენ.

წინ გურამი მიდიოდა, მტრის შესახებ ვერაღად გურამი გავიმეტეთ, შემდეგ მაკა მისდევდა, მაკას თამუნია მიჰყვებოდა და მე ჩამკეტი ვიყავი, ზურგჩანთიდან „მტერი“ რომ არ მოგვეპარვოდა, იმ საქმეს ვემსახურებოდი.

კიდევ გვახლდა ერთი ჩვენი ტოლი, ჩვიდმეტი წლის მინდია, მაგრამ თავისი ხვესურული, პატარა ცხენიანად კარგა შორს იყო ჩვენგან, ზურგზე ცხენისთვის თოქალთო კობტად გადაუჭირა და ზედ აეხორაგებინა ჩვენი სურსათსანოვად.

— ხალხნო, აბაბაბა, რა ქვეყანა უჩუქებია უფალსა, ნახეთ, ნახეთ, თვალმხუჭერა შაიყვარების, სხვაგან სადა ნახათ ეგეთსა, სადა, — გაჰყვიროდა მინდია, არც ჩვენთვის და არც თავისთვის, მთებისთვის, წყლებისთვის, ტყეებისთვის, მთელი ქვეყნისთვის;

ჩვენ მივდიოდით უბრად, დაღლილები, სულს ძლივს ვითქვამდით, ზურგჩანთები თანდათან მძიმდებოდნენ, მაგრამ იბტიბარს არ ვიტებდით, ვიცოდით, საცა არღუნს მივუახლოვდებოდით, კარვებსაც იქვე ახლომახლო გავშლიდით.

წესით ადრე წასული ზუთაკიანი ჯგუფიც იქ უნდა შეგვეხვედროდა, ბარისახოში ასე დავთქვით.

მწუხრი ეცემოდა, როცა არღუნს მივუახლოვდით. მინდიას ჩვენთვის დაეცა და ახლა უფრო იმედიანად ვიგრძენით თავი. ცოტა შევისვენეთ, ჩამოვჯექით ისე, რომ ზურგჩანთები ზედვე გვექონდა, არ ჩამოვციხსნია მხრებიდან, მაინც შეება ვიგრძენით. სიჩუმე

ტყიდან გამოსულმა ერთმა პატარა ხეესურმა გოგომ დაარღვია ნწა, დედო, ნწა, დედო, ძროხას ეძახდა პატარა ხეესური.

ჯერაც უღელში შეუბმელი აზადი ბოჩიკები მოჰყავდა, თან ძროხას ეძახდა, ერთმა მოზვერმა ქუშითა და ქლოშინით ხველა ასტეხა, დიდხანს არ შეეშველა, თავს ცისაკენ ასწევდა და ისე ზღუქუნებდა, რა ავქაში დაეცა გულზე, მხეჯალავ, მაგ აზადსაო, — გასძახა მინდიამ. რა ვიცი, თავსვილა ბალახს თუ შესჭამდა სადმეო, — უპასუხა იქედან გოგონამ, თანაც დააყოლა: ჩემ სახელვინ გასწავლო.

მინდიამ გაიცინა და გვითხრა — აქ ყველას მზექალა ჰქვია და რაღა ეს იქნების გამონაკლისიო.

უკვე სამშვიდობოს ვიყავით, როცა ახმახი და თქონთქორა ხეესური გამოჩნდა, რომელსაც იქი-აქით სატევარე და ხანჯალი დაჰკონწიალებდა ქამარზე. ვინამეთქი, ვკითხე მინდიას.

— ოო, კი ყმა არის, კლდეზე ჭიბვივით მიბტუნ-მიჭრიალებს და იუდის ჯაგებს ირემივით მიიპობს. თავისი აზარი შესრულებული აქვს, ორმოცდაათი ჭიბვი და ორმოცდაათი დათვი გამოასალმა ამ წუთისოფელს, ახლა „ბერდენკა“ მიწაში ჩაღლა ღრობით და ნადირთა ღმერთს დაუშალა, აქაოდა უცოდველი ვარ, დღეიდან იარაღიც აღარ მაქვსო.

წამოვდექით და გზას გაუყუყუით, ჩავითავქვევეთ და გამოჩნდა კიდევაც არღუნის თავგალმა ერთი ვაკე ადგილი, უფრო სწორედ, ტყეში მოქცეული ველები, რომელიც მწვანე მანდილივით ეგდო ცადაწვედნილ ბებერ ხეებში. ველობზე ათამღე ცხენი სძოვდა, ჩვენ ორმოცდაათი ნაბიჯილა გვაშორებდა ველობს. გადავწყვიტეთ, სწორედ აქ მოგვეხსნა ზურგჩანთები, აქ შეგვესვენებინა და კარვებიც აქვე გავგვეშალა.

ცხენები თითქოს ჩვენ გვიცდიდნენო, შეგვაშინეს, დაფრთხნენ და გაინაპირეს. იმ ათი ცხენიდან ცხრა ცალკე

სძოვდა, ერთი ნისლიფერი — ცალკე, უფრო ტყისაკენ. ცხენები კვლავ აფრუტუნდნენ და ერთმანეთში აირივნენ, შემდეგ ისევ დაწყნარდნენ, ჩვენ ძალაუნებურად ყურადღება მივაქციეთ, ისედაც ლამაზი სანახავი იყო არღუნის ქალაზე ტყეში მოქცეულ ველობზე ცხენების რემა...

აქვე გამოვეყო რემას ორი ცხენი, ერთი ალათი და მეორე ზერდაგი, მე მომეჩვენა რომ ალათმა ზერდაგს რაღაც უთხრა და გაიყვანა, გვერდზე გაიხმო. დადგნენ, შუაგულ ველობზე, აქეთ-იქეთ, პირისპირ დადგნენ, ერთმანეთის პირისპირ. ნისლისფერი მორცხვი კი თავისთვის იდგა, განზე, ტყისაკენ, უფრო სიღრმეში, იდგა ლამაზად, ყელმოღვრებით, ქალივით ფეხშიტყუპული და შუბლზე თმბჩამოშლილი, კუდიც არ ერხეოდა ისე იდგა გატრუნული, შემჯრთალი, როგორც დამნაშავე, სილამაზით გამორჩეული და სილამაზითვე დანაღვლიანებული ნისლისფერი მორცხვი.

ისინი კი, ალათი და ზერდაგი, ერთმანეთს ზომავდნენ, თვალის მზერას თვალში უყრიდნენ და ბოლოში ერთმანეთს კულებს უნასკვავდნენ მზერის სხივითა. შემდეგ ალათმა კუდი ზანტად მოიქნია და გაეაზე გადაიგდო, იმანაც — ზერდაგმა, მოიქნია და ჰაერშივე გააშეშა. ალათი აფრუტუნდა, მიუახლოვდა და ყალყზე შემდგარმა დასჭიხინა, ჭიხინი ასე არ უნდაო და ზერდაგი პირდაპირ ეცა, მკერდით ეცა. ალათი დაეშვა, მიწაზე დაეშვა, ისევ აიწია უკანა ლამაზ ფეხებზე და წინა მარცხენა ტორი დასცა ზერდაგს მარჯვენა მხარზე, ზერდაგი ტკივილისაგან ოდნავ მოეშვა და ალათმა უმალ ისარგებლა ახლა მეორე მხარზე, მარცხენაზე დაუშვა მარჯვენა ტორი. თითქო მოთავდა, ყველაფერი მოთავდა, მაგრამ ახლა ზერდაგმა, სხეულში ჩერ ზრუნე გამოსცა, მერე ზორა მოზვერივით ყელი მოიღერა, თავისთვის ჩაიხიხიხინა, კბილები გადმოჰყარა, ზეითა მოლაფშული რუჩი ცხვირამდე აზიდა და ისეთი ჭი-

ხენი დასცა, რომ ტყეში ფრინველები გაირიდნენ.

ისეთი ხმა გამოსცა, თითქოს ათასი თოფის ლულას ერთად ჩაჰბერეს, ხმა კლდეებს მიენარცხათ და ისევ ველობს დაუბრუნდა. ზერდაგი დააცხრა ალათს და მხარზე უკბინა, სისხლმა ითქრიალა.

ნისლისფერი, მორცხვი შეერთა, გაკვირვებულმა მოიღერა ყელი და მინდორს თვალი მიმოავლო, სულ ეს იყო, სხვა არაფერი, კვლავ თავისთვის დადგა, მყუდროდ, მორცხვად, კეკლუცად, ისე, როგორც მშვენიერებას შეშვენის.

ალათი გამწარდა, გამწარდა, მაგრამ მარტო გამწარებისა არ იყო ის ღონე, რომელიც ახლა მიეცა, სიყვარულისაც იყო, თავმოყვარებობისაც იყო, დანარჩენი შეიღი ცხენისადმი ერთგული რიდიონისა; ყველაფერმა, ყველაფერმა ერთად იმქუხარა ალათში და უკან დაიხია, პირი ნისლისფერი მორცხვისაკენ ჰქნა და შერცხვენილმა და წაგებულმა ცას და ქვეყანას შესჭიხინა, მერე შემობრუნდა, ეძგერა, ტორებში ზერდაგის თავი მოიქცია და ზედ კინჩხის ძვალზე დაუწყაო ცემა.

იყვია ზერდაგმა და ეს ყვირილი არც ჭიხინისა ჰგავდა, არც ფრუტუნისა, არცა ზრუნისა, სხვა იყო იგი, სასოწარკვეთილი, სასიკვდილოდ განწირული უმწეო კაცის ღრიალს უფრო ჰგავდა, ცხენობა დაჰკარგვოდა ზერდაგს, ზერდაგი წაგებული იყო... სამუდამოდ წაგებული.

— მაგის თოხუმი დაიწვეს, მაგისა, ეგ ალათი ცხენი არაა ჩვენი ჭილაგისა, არაბული უნდა იყვეს, მაგის პატრონიც არაბულია, ბათირა არაბული, — თქვა მინდიამ.

ბრძოლამოგებულმა, დაღლილმა ალათმა მიატოვა დამარცხებული ზერდაგი და უტია, განზე გადგა, სისხლიანი, დაკმული, ჩამოტყავებული, მაგრამ ამაყი, გამარჯვებული...

ნისლისფერმა მორცხვმა თავი მაღლა ასწია და კუდი მოიქნია ისე ლამაზად და არტისტულად, როგორც მარაოს დაიქნევდნ ხოლმე მაქმანშემოვლებული გრძელკაბიანი მშვენიერი ასულები.

ნისლისფერი დაიძრა ნარნარად, ეკლუცი გოგმანით მიუახლოვდა გამარჯვებულ ალათს და ტუჩი ტუჩზე მიაღო. მერე გვერდულად დაუწყვილდა, ახლა იქედან, გვერდულად აგრძნობინებდა სითბოს და ერთგულებას. მერე ორთავემ ერთად, ერთნაირად, ერთნაირი სი-

ყვარულით მოიფიქრეს, ველი ველს გადააჭდეს და ისე გაჩერდნენ.

სიმშვიდე ჩამოვარდა, მარტო აქ კი არა, ამ პატარა ველობზე, სიმშვიდე იდგა მთელს ქვეყანაზე — ალათსა და ნისლას სიგიჟემდე უყვარდათ ერთმანეთი.

## თუთია კოშიაური

თოჯაში ერთი კოშიაური ცხოვრობდა, თუთიას ეძახდნენ სახელად.

მე რომ გავიცანი, უკვე ბლენძო იყო და დრომოჭმული. მუდამ გაზეზილი დადიოდა და სუფრასთან, რომც შოეწვიათ, გმადლობთო იტყოდა, ეხლანან გავძეხიო, ერთსაც მტრის ჭინაზე დააბოყინებდა და გზას გაუდგებოდა, უკან კიდევ მიაწევდნენ: ზრდილობითვინა, თორე, შენთან დამჯდომის და პურის-მჭამელის ღედაც მოდის ტყიბულიდინო.

კარგად იცოდა თუთიამ, ვისთან მიესვლებოდა, უფრო სწორედ, არავისთან რომ არ მიესვლებოდა.

ორი შვილი გაუჩნდათ, მაგასა და მამის ბედდამწვარ ქეთევანს. ერთს ბრმა ტყვია მოხვდა ქორწილში და იქვე დასცა, მეორე ყრუ-მუნჯი დაებადათ და კახანი წყალმანკი სჭირდა, თავი უსივდებოდა და ბუდიდან თვალები უცივიდებოდა. კვირაში ერთხელ მუცლიდან სითხეს უღებდნენ, ისე კი არა, ლიტრობითა და ისევ ივსებოდა, კაცოო, ვერა ექიმმა და ვერა ექიმბაშმა ვერაფერი გაუგო.

კვიუაურიდან მარჩიელიც ამოუყვანეს, იმან კიდევ ხელი არ ახლო, ოჯახში ვიღაცას დიდი ცოდვა აქვს ჩადენილიო, იმ ცოდვის გამომსწორებელი ეგ არ არისო.

ალბათ იცოდა იმ ლეთისპირიდან გავარდნილმა და ეშმაკის კერძმა თუთიას ძველი ცოდვები, თორე ეგრე საიდან მიხვდებოდა, ფულიც არ აიღო, ცოდვიანისაგან ვერ ავიღებო, მეც ცოდვას ჩავიდნო. ხელი ჩაიქნიეს, მამამაც და

ღედამაც ხელი ჩაიქნიეს და რა მოუვიდოდა, ავადმყოფმა თქვენი ჰირი წაილო.

სოფელში ურჩიეს კოშიაურებს, ყურებიდან ბამბა გამოიღეთ, თქვე ოხრებო, თქვენაო, წმინდა გიორგის ეკლესიას რამე შესწირეთ, ადით თქვენც ილოცეთ, რომ თქვენ მაინც შერჩეთ ამ ქვეყანასო.

ადგნენ და გაემზადნენ, გაემზადნენ და კვირა ღლეს გზას გაუდგნენ წვერი-საყენ.

ბერიზვარაკი მიჰყავდათ ქმესაწირავად, ზვარაკს ბერდედა ქეთევანი წინ მიუძლოდა, უკან კიდევ ცოდვილი თუთია მისდევდა.

წინ მიმავალი ბერდედა ქეთევანი თან ლოცულობდა და თან ჭმარსა წყევლიდა, უხ, შე ცოდვიანო, უხ, შე არ გადასარჩენო, სხვას არავის დააბრალო, შენი გამოჩაღულია ჩემი ოჯახიო, თუთია სდუმდა და ქლოშინით მიჰყვებოდა აღმართს.

რა ჰქენი იმ ხეების მოჭრის ფასი, განა ერთი ხე მაინც დაგიჩავს იმის შემდეგ, რაც ამ უფლის გარემოში სამი საუკუნის მუხები გაანადგურე? მიწა დასაყრელო, ჩემი შვილები კი არ უნდა იწვნენ მიწაში, შენ უნდა იწვე იქა და ზედ გულზე გიბიბინებდეს უპატრონოდ მოდებული ბუბლა ბალახიო, იწყევლებოდა გამწარებული ქეთევანი, მიჰყვებოდნენ ქარათებსა და ირგვლივ თრიშლი ღალანებდა ღვინისფრად.

უცებ, ზევით, კლდისთავიდან გრგვი-ნის ხმა მოისმა, კლდეს მოგლეჯილი ვეება ლოდი თრიშლის ბუჩქებში შლი-გინ-შლიგინით მოდიოდა, ზვარაკმა

უტია, ბედისწერამ ქეთევანს გვერდი აუქცია, მერე გასწორდა ცოდვილ თუთიას მკერდი გაუგლიჯა და თან გაიტანა, საბრალო ქეთევანმა ერთი შეპკივლა, ცისაკენ შეპკივლა, გეცლია უფალო, ცოტაც გეცლიაო და იქვე ჩაიკეცა.

თუთიაზე ხმები დადიოდა: ოცდაოთხში ეს უმადური გააქტიურდა, ვითომ მეც ბოლშევიკი ვარო. ნამდვილი ბოლშევიკები გულზე არ ეხატებოდა, მაგრამ თავის გამოჩენა უნდოდაო.

რა ვქნა, რით მოვაწონო თავი მთავრობასო და თვითონ გამოუნახავს საქმე. შეუტრებია თოჯელი გლეხები, არჩილა, ვანო, ბექა მიტო და პავლე. გამოუყვანია სახლიდან და საბჭოს სახელით წაუყვანია წმინდა გიორგის წვერზე, იქ მოუყვანია პირდაპირ სალოცავზე, იქ სადაც ოცდაცხრა მუხა ბუბუნებდა. იმ სალოცავს კიდევ, როგორც თოჯაში ამბობდნენ, უფლის თვალი გეზელქორივით დასტრიალებდაო. პო და სიტყვა წარმოუთქვამს აქაც საბჭოს სახელითა. ბრძანებაა მთავრობისა, ცრურწმენას ბრძოლას ეუცხადებთო და ეს ხეები ძირშივე უნდა მოიჭრასო.

### 30 საქტეპერი, დედა

საშინელი ღამე იყო, კაცმა რომ თქვას, არც კი მძინებია. ტალახიან წყალს თეთრი ცხენი მოარღვევდა მკერდით, კრიალა ციდან მსხვილად წვიმდა და წვიმაში საწყალი დედაჩემი მოდიოდა, ისევ ისეთი დაღლილი და ისევ ისეთი მშვენიერი, ცხენს რაღაც შეუძახა და წამსვე გაქრა ცხენიცა და ტალახიანი წყალიც. იმ ადგილზე წალკოტი გაიშალა, წალკოტში. ათასი უოლო და ათასი ატამი ყვაოდა, ათასი ალუბალი, ასკილი და ბროწეული.

მიწას მოჰქენოდა თეთრყვითელი გვირილა და გვირილებში დახტოდნენ ყვითელგულა ჩიტები. საწყალი დედაჩემი შორს დადგა. ბროწეულის განახანახებულ ხესთან და იქედან მილიმოდა.

რას მიჰქარავო, ერთხმად უყვირიდა არჩილასაც, ვანოსაც, ბექასაც, მიტოსაც და პავლესაც. რასა და მთავრობის ბრძანებას მოგახსენებთ, ვინც არ შეასრულებს, ხვალ კოდარის საბჭოში გავა და რაც მოუვა, თავისთავს დააბრალოსო. აბა, ჩქარა, მთავრობას ორჭოფი ხალხი არ უყვარს, მოჰკიდეთ ცულებს ხელი და საქმეს შეუდევითო.

არეული დროით შეშინებულმა ახალგაზრდებმა ჯერ თურმე ერთმანეთს შეპხედეს, რა ვქნათ, რა წყალს მიეცეთ თავიო, მერე ქუდები მოუხდიათ ხუთივეს, საამგზის წაღმა დატრიალებულან და მუხებიისათვის შეუძახნიათ: წმინდა გიორგის სალოცავო, თავს თუ მართლა უფლის თვალი დატრიალებს, დაინახოს, რომ ცოდო-ბრალო ჩვენ კი არ მიგვიძღვის, არამედ კოშიაურ თუთიასაო, შეიწყალე ჩვენი ოჯახები, ჩვენ ცამდინ მართლები ვართ შენს წინაო.

ეს უთქვამთ და ხელში ცულები აღლიათ.

სალამომდინ ოცდაცხრა მუხა ოცდაცხრა ვაეკაცივით ევლო მიწაზე.

თუთია კოშიაური, ბედნიერი და გამარჯვებული ელოდა თურმე ხვალინდელ დღეს.

მერე დალონდა და მოიწყინა, „ყველაფერი სისულელეაო“, თქვა და ხელი ჩაიქნია, გაქრა, თვალსაწიერიდან გაქრა. ასე მხოლოდ კინობებში მინახავს ხოლმე, აი, დასალიერისკენ რომ მიდიან, პატარავედებიან და ეპეე, სადღაც ძალიან შორს, წერტილივით ქრებიან ხოლმე...

მერე, წამთელიმა, წამთელიმა და ახლა ხელახლა მოვიწინდომე, ძალით მოვიწინდომე დამსიზმრებოდა საწყალი დედაჩემი, მაგრამ ამაოდ, არაფერი ქვეყნად არ მეორდება. როგორ მითხრა საწყალმა დედაჩემმა?! — „ყველაფერი სისულელეაო“, რა საოცარია, ასე სიცოცხლეში არასოდეს უთქვამს, პირიქით, სულ იმას გვეჩიჩინებოდა, ტყუილი არ

დაცდეთო, პატრონად იცხოვრეთო, ერთმანეთი გიყვარდეთო, საწყალს ხელი გაუწოდეთ და ხეიბარს არ დასცინოთო. საყვედურების თქმა მაშინაც უყვარდა: — უგულისყურო და უყურადღებონი ხართ, მეტისმეტად თავშეუკვებელნი ხართო, შვილები გადაგიხდითო, მაგრამ, ასე ხელი ჩაეჭინოს და ეთქვას: „ყველაფერი სისულელეაო“, არასოდეს გამოვიდა.

ძალიან მინდოდა იმ წალკოტში კიდევ დამეღანდა ჩემი საწყალი დედა, მაგრამ ამოდ...

თვალი კი მქონდა მილულული, მაგრამ რული აღარ მომეკარა, თეთრად გავათენე.

დილით კი, დეიდაჩემმა ატეხა ერთი ვაი და ვიში:

— აღექით, ადექით, გეყოთ, განცხრომა და ნეტარება, ადექით, დაგაიწყლათ დღეს რომ ოცდაათი სექტემბერია? — შეთქვამეტე კვირა სულისწმინდის გარდამოსვლიდანო. რა ხალხია, გენაცვალეთ, რა ხალხი, თუ რამე სასწაული მოხდა, დაემთხვაო, ყველაფერი ერთმანეთს როგორ ემთხვევა? მაშ, თქვენ რომ სამივენი ერთ დღეს, ოცდაათ სექტემბერს ხართ დაბადებულნი, დაემთხვა ერთმანეთს, თუ მამათქვენი მყავს დიდი ასტრონომ-მათემატიკოსი და იმან გამოიანგარიშა დამთხვევის დღეები? იქნებ, ისიც დამთხვევაა, საეკლესიო კალენდრით, რომ 30 სექტემბერი დედაშენის დღეა? ისიც დაემთხვა, რომ საწყალმა დედაშენმა სწორედ თავის დღეს გააჩინა სამივე შვილი? იქნებ, ისიც, რომ ოცდაათი სექტემბერი აღათის დღეა? აღათი თუ იცით ვინ იყო, ვინ იყო და ბებია-ქალი, ვინც საწყალი დედათქვენი ამშობიარა სამივეჯერ. კაი ბატონო, ყველაფერი დამთხვევაა, მაგრამ საწყალი ჩემი და, რომ ოცდაათ სექტემბერს წავიდა ჩვენგან ისიც დამთხვევაა? თუ ასეა, კეთილი და პატროსანი, მაშინ ამ ქვეყნად მარტო დამთხვევა ყოფილა და სხვა აღარაფერი... ადექით, ადექით, ნუღარ ნებვირობთ, ადექით, საქმეს მივხედოთ, საფლავეზე უნდა გავიდეთ.

თითქმის ერთბაშად გვეიღვიფეთ: ეს დეიდას თვალში, თორემ მერაბმა გატეხილება მკირღებოდა, არ მიინებია, იქნებ არც ჩემს და-ძმას სძინებია, რა ვიცი. მამა უკვე ფეხზე იყო, მამას არ დავიწყებია ოცდაათი სექტემბერი, არც ჩვენი და არც საწყალი დედაჩემის, მამას ყველაფერი ახსოვდა, მაგრამ ჩემად იყო, აი ისე, როგორც დიდი მწუხარების დროს არიან ხოლმე ნამდვილი მამაკაცები...

დეიდას სახლი მოერთო ხის მწვანე ტოტებითა და მინდვრის ნაირნაირი ყვავილებით, ბიბინა ხავსითა და ხახასა ბალახით იყო მორთული იატაკი. ორი თაიგული შეეკრა, ორთავეში ანთებული სანთლები ჩაესვა, დღეს ასე უნდაო, ამბობდა.

მე ჩემი სახლი ასე მორთული პირველად ვნახე. დეიდა გვარწმუნებდა, რომ ნამდვილად ასე უნდაო: ანთებული სანთელი მოგვაგონებს სულიწმინდის გარდამოსვლას, ხოლო ყვავილები და მწვანე ტოტები მოგვაგონებს იმ განმაცხოველებელ ნიქს, რომელსაც მივიღებთ სულიწმინდის გარდამოსვლითო.

ეს რა თავგამოდებული მორწმუნე დეიდა გვეოლიაო, თქვა ჩემმა ძმამ და სასწრაფოდ ჩაიკცა. ჩემმა დამაც დაუჩქარა, რაც კი შეეძლო დაუჩქარა, მაგრამ მაინც დაავიანა.

ათი საათისათვის ყველანი მზად ვიყავით, მეც, ჩემი ძმაც, ჩემი დაც, მამაჩემიც და დეიდაჩემიც.

წავედით, ნახევარ საათში საწყალი დედაჩემის საფლავეზე გავჩნდით, ტირილების ქვეშ. იქ, დედას შეგობარი, ქალბატონი ქეთევანი დაგვხვდა, ქეთევან ყოფიანი, საფლავეზე გვირილები მოეტანა, დიდი, მზესუმზირას ყვავილივით დიდი გვირილები. საწყალ დედაჩემს ძალიან უყვარდა გვირილები... ჩვენი ორი თაიგული, სანთლებიანი თაიგულიც გულთან დაუწყო დეიდამ საწყალ დედაჩემს, სანთლებიც დაუთო და თაიგულის სურნელით გაბრუნდა იქაურობა...

უცებ გუნება გამომისწორდა, რატომ არც ახლა ვიცი...

— სათნო და მძალი ზნეობის ქალი იყო შვილო დედაშენი, — მითხრა ქალბატონმა ქეთევანმა...

ჩვენ ვიდექით საწყალი დედაჩემის საფლავთან. საფლავის ქვაზე ლამაზი, ქართული ასოებით იყო ამოკვეთილი:

„ჩვენ ყოველნი შენდა მოვუძღვებოდეთ, მე წუხანდელი ღამე ღმერთის მიწვევა გულზე — როგორ მითხრა საწყალმა დედაჩემმა?!“ „ყველაფერი ჰისულელეო“.

ნუთუ, მართლა ასეა, ნუთუ, ყველაფერი სისულელეა?

## კაცი

ძალიან გაძლებოდა, უფრო სწორედ გაიტყინებოდა ხოლმე, კბილებში ენას გაატყლაშუნებდა, ტკლავო, დააძახებინებდა და ფერდსავე პირუტყვივით თავჩაღუნული გაიზლახუნებოდა პალატიდან. ჯონჯლოთ მისათიბებული თმები მხრებზე რო აფშლებოდა, ნახირიდან გამოპარულსა ჰგავდა.

უბედური ჰყავდა გამჩენსა ის არ გასაჩენ-არდასაბადებელი.

ღამევიწყდაო, იტყოდა, ლოცვა დაღამევიწყდაო და სადილის წინ სათქმელსა სადილის მერე იტყოდა: „ნუ შემეყვანებ ჩვენ განსაცდელსა, არამედ მიხსენ ჩვენ ბოროტისაგანო“, იტყოდა და აქლოშინებული ტახტისაკენ მიიწევდა.

დაწვებოდა, ცოტახანში მსხვილად დაფქულივით ჩამოჰყრიდა: რა ჰქენი, დაგმანე თუ არა ის ბზარ-ჰუჭურუტანები? ჰო მეთქი, ვეტყოდი...

მაშინ მოდიო, მეტყოდა.

სადა მეთქი, ვეტყოდი.

სადაო და კანტორაზე, უნდა გამგეობაში ავარჩევინო შენი თავიო, სადა და აქა, ლოგინშიო და მორჩომილი იყო ყველაფერი. დედიშენის შვილი იყავი და არ მიხვიდოდი. რაც იყოდა, იყოდა, რაც ეხერხებოდა, ეხერხებოდა — ვერც ვერაფერს იტყოდი...

წინასწარმეტყველი იყო, წინასწარ რასაც გრძნობდა, აიღებდა და ჩონგურზე დაამღერებდა ხოლმე: ხვალე ვახტანგს დაბლიყვავენო და მართლაც, ხვალე ჰაჭულაანთ ვახტანგა სახემონგარული მოვიდოდა ნახე ტყუილუმბრალოდ რა მიქნესო... ჰო, აბა, ბიჭო,

ტყუილუმბრალოთა, დღესა ტყუილუმბრალოთა აღარა ჰკოცნიან ერთმანეთსა, შენ კიდე გინდა მითხრა, ტყუილუმბრალოთ დაგიყაყუნეს, არაო?! ისევე დაამღერებდა: „ძონძიას ვენახი დაუსეტყვიო“ და მეორე დღეს ძონძია მოგვადგებოდა ჭალიდანა. დავიღუპე, ხალხნო, მტევანი აღარ შემარჩინაო, სულ ძირსაა დაფენილი, დავიღუპეო. მაშ, კაცო, დი ეგრე იტყოდა ის ენაგასახმოები და ასრულდებოდა ხოლმე. ჩემზე რა, ეგრე არ აისრულა? ის დასაკროლავი ქალი ჩემი უნდა გახდესო. არც მეტი, არც ნაკლები, აკი წამიყვანა, წენგოც გამაძალა და სიქაცა...

ერთი ძველისძველი ტყაპუტა ჰქონდა, ხან იცმევდა ხანაც წვეებოდა იმაზე, ხანაც მე მაწვევდა და ხანაც კიდე, აბა რა ვიცი, იქნებ სხვასაცა.

სწორკუთხედი იყო, მაგარი, ახალი ლობესავითა, თვალს რო თვალში გამიყრიდა გამწვავდა და კეფაში გამიტარებდა ხოლმე მზერასა. არ მიყვარხარ მეთქი, ვეუბნებოდი თავიდანა და შიში შეიქმს მიყვარულსაო, მომახლიდა. მერე, მართლა მეშინოდა თუ რა იყო, მიყვარდა კიდევაცა. თუ არ მიყვარდა და შევეჩვიე, არა, არა, მე მგონი, მიყვარდა. რა ვიცი, მიყვარული რასა ჰქვია ეგ იყო და ეგა, მე მეტი არავინ ვიცოდი და ქმარიც ეგ იყო ჩემი და გამზრდელიცა, მეგობარიცა და უფროსიცა. მე ჩემი საქმე მქონდა და იმას კიდე თავი...

მისი ვენახი ყველას სჯობდა. ჰო, მი-



სი, ეგრე ეძახდა, ჩემი ვენახიო, ჩვენიც ჭალაზე იყო.

ის ვერანა რა გადმოივლიდა და მიადუნ-მოადუნდა მტევანსა, მისას გამოსტოვებდა, აქეთ იქეთ დაანგრევდა აბურდ-დაბურდავდა ყველაფერს, შუაში გამოსტოვებდა, ეგრე, საღსალამათა. იმას კი არ ამბობდა ის შეჩვენებული უფალი მიფარავსო, არა, კაცო, ჩემი ეშინიაო, ჩემთან რა ხელი აქვსო.

პატარაძალივით მოვლილი და დავარცხნილი ვენახი მეოთხე შეწამლვაზე მზისგულზე ისე ბრწყინავდა, რომ ფირუხის თვალსა ჰგავდა ჭალაში ჩასმულსა.

დღე და ღამე იქ იყო, ჭალაში. თუ მოვიდოდა დაგოლილი, როგორც თავიდანა ვთქვი ისე იქცეოდა: კარგა ვასძლებოდა და მერე ისევე ისე, როგორც თავიდანა ვთქვი...

იმ წელს იწინასწარმეტყველა, გვალვა იქნებაო. რა ჰქნა, კაცოო, ქვეყანა გაგიყებულ იყო, რას შერება ეს ვერანა ესაო. თოხი არ მიკარა ვენახსა, ღერი ბალახი ვერ მოვათრხევივინეთ. ხალხნო, ჩემი საქმისა მე ვიცი, თქვენი გოგრითა არც მივლია და არც ვივლიო. გვალვა იქნებაო, მიწას ხვატი შესჭამსო, ბალახი ვენახს სინესტეს შეუნახავსო. აკი გამართლდა კიდევაცა, სხვების გადახრუჯულ ვენახებს ისევე მისმა ვენახმა აჯობა, აქაც მოიგო, კაცოო... რაც იცოდა, იცოდა, რაც ეხერხებოდა, ეხერხებოდა, ვერც ვერაფერს იტყოდი... ხმაში, რიზი ჰქონდა, რომ მეხის გავარდნასა ჰგავდა. ეხლა ვუკვირდები და ეხლა მელიმება, სულ მართალი იყო, ერთი ტყუილი არ უთქვამს. კაცი რომ

დაიფიცებდა, ეზარებოდა, ეგრე იფიცებდა, რომ ექვი შამდის შინ სიმართლემიო...

იტყოდა და იტყოდა, მორჩა და გათავდა, არც გაიმეორებდა, ეგრე დააკანონებდა მითამ მთავრობის ბეჭედი ჰქონდა დასმული.

რალაც კი მიხაროდა გულისგულშია და რა მიხაროდა კარგად არც კი ვიცოდო.

ეკლესიასავით იღვა ქვეყანას მფარველობდა და სამართალს არიგებდა.

ორი თვის მოყვანილი ვიყავი, გაწყობილ ტაბლას ორნი მივეხსენდით, ერთი ხელადა ღვინო დაიდგა და თორმეტჯერ მადლეგრძელა, ყველა ჭიჭაზე ეს შენ გაგიმარჯოს დასაჯროლავეო და გადაუძახებდა. რა ტბილად გამახსენდება, რა კარგი დღე იყო...

სექტემბრის ოცდახუთში დავიღუპე. არ მიდიოდა. ზანდრაკი ხარვივით უკან იხევდა. გაჭიქებული იყო.

ჩემს თავს კაი ამბავი არ არის, მაგრამ ვენახს ვერ მივატოვებო, ჩაიცვა თავისი ტყაპუჭა და წავიდა, ხეირიანად არც გამომემშვიდობა ისე წავიდა, არც არაფერი დამიბარა ისე წავიდა.

გადმოუვლია იმ სატიალუსა. გვერდი-გვერდ ვენახები გამოუტოვნია, მისაზე გადმოუვლია, კვერცხისოდენა დაუცხია, იმ საცოდავისთვის საფეთქელთან დაუკრავს და იქვე გაუთავებია. იქვე, თავის ვენახში, ორთავე ერთად დაუხოცნია, ისიცა და ვენახიცა.

ვენახში დავკრძაღეთ, ატმებთანა... ზანდახან ისე მომენატრება, რომ მრცხვენია კიდევაცა.

## მეოთხე გვერდი

— დაროო, მოვიდა გაზეთები? — შეჰყვირა თათქარამ.

— რა გაზეთები უნდა მოსულაიყო? — „თბილისია“ და ეგ არის, გამოჰყვირა დარომ.

— ჰო და მოიტა, — დაუწია თათქარამ.

— აჰა, აიღე, — უთხრა დარომ.

— გვერდით მომიჩქე უნდა ჩავიკითხო, — უთხრა თათქარამ თავის დაროს და პირდაპირ მეოთხე გვერდიდან დაიწყო...

ზეით, ჯორდანო მახარაძის წერილი იყო ილია ჭავჭავაძეზე, მაგრამ ის არ

წაიკითხა, ისიც მეოთხე გვერდზე იყო, მაგრამ არ წაიკითხა და უფრო ქვევიდახ დაიწყო:

მეუღლე დედანა, შვილები: ზოია, მარგალიტა, დავითი, შვილიშვილები: კიტა, ლუარა, საგანა, სძიებები: თემური, ჰანდო, გენადი, რძალი პოლინა იუწყებთან, რომ ვარდაიცილა ალექსი (გარდო) დიმიტრის ძე ბედრევაზიშვილი.

— ვაპ, ვაპ, ნახე? ჩვენი ალექსი მომკვდარა, პანაშვიდი 8. I ს. ბოლოციას 2, მე-7 სადარბაზო.

— იქნებ, ის არ არის, შე კბი კაცო, — შეეპასუხა დარო და წამოდგა, სამზარეულოსაკენ გასწია...

— მა, ვინაა, ვერა ხედავ ყველა სხელი რომ ემთხვევა, მა ვინაა, გარდო კიდევ სხვა ვინ იქნება? — მოუჭრა თათქარამ.

— ჰო და, ევა ყოფილა, — შეშინებულმა თქვა დარომ.

თათქარა კითხვა-კითხვით ჩაჰყვა დანარჩენს, თავისთვის ბუტბუტებდა: ამას არ ვიცნობ, ეს აზრზე არა ვარ ვინ არის, არც ესა, და უცებ წამოიყვია გახარებულმა, ალტაცებულმა:

— ვააბ, მკედლიანთ იაგორაც მომკვდარაო, იქნებ, ესლაც ჩამივარდე პირში ბუზივითა და შითხრა ბუზილითა, ეგეც სხვა იაგორა არისო, ესა თქვა და ისევ ღიმილით ჩაჰყვა ბოლომდე განცხადებას. აგე, მეუღლე გულსუნდა, შვილიც ჰეჰილა, დას რა ერქვა, ქალო?

— რა და დონარა, — გამოსძახეს სამზარეულოდან...

— ჰო და და, ეგ არის რალა, ჩვენი იაგორა, — თქვა განადიდებულმა და ისევ ღიმილი გადაეფინა სახეზე, ახალი ღიმილი. — ნეტაი, შენა, ეგრე კითხვა არ იყოდე და არაფერი მინდა, გამოსცრა დარომ.

— როგორ ეგრე? — წამოისროლა თათქარამ.

— აი, ეგრე, ხმამალა და გახარებულმა, — შეეპასუხა დარო.

— შე ბითურო, შენა, ჰირისუფალი არ მალავს, თბილისში მცხოვრებ მილიონს საქვეყნოდ უცხადებს, მოკვდაო და მე დაემალო? — თქვა კმაყოფილად.

თილმა თათქარამ და ისევ ჩაჰყვა: თვით, მერე ტუჩების პუტუტუტუტუტით იმუამუიმუამუიმუ, — ჩააზმულია და ერთ ადგილზე ისევ შეჩერდა:

— აპა, ესეც ჩვენი ვასილა, ვასილაც მომკვდარა, დაკრძალვა — რვაში, ესე იგი, ხუთშაბათს, ძალიან კარგად, იქნებ ესეც ის ვასილა არ არის, დარო-ჯან, პაა? — ახლა ნიშნისმოგებით თქვა თათქარამ.

— იყოს, იყოს, ყველანი სიკვდილის შვილები არა ვართ? — შესძახა შემკრთალმა დარომ და ხელისგულზე დასხმული ტყემალი ოსტატურად გალოკა...

— ჩემს გარდა, შე ბითურო, შენა, ჩემს გარდაო, — შეუტია თათქარამ და გახეთი გვერდზე გადასდო.

— შენს გარდა, შე უკვდაო, შენაო, — წააშველა დარომ და ხაშლამას მაროლი ბლომად მოაყარა...

თათქარა დივანზე წამოჯდა, გვერდიდან ბაფთიანი გიტარა დაითრია, მოირგო, ჩამოკერა და ააყარეყარა... მეჩხერი, თოხა კბილები გადმოჰყარა და დაამლერა:

„ვაპ, სიკვდილო, ბემურაზო, არ გაიხარე, რად უქენი ჩვენს შუმიას საყარშენა...“

თათქარაზე ბედნიერი ქვეყანაზე კაცი არ იყო, კეციდან არეკილი ცხელი ჭადივით დაბრაწულ ლოყებზე ალაგ-ალაგ სისხლის კაბილარები გასწყვეტოდა და შთი სიცისფრე დაეღაჟა სახეს სიჯანსაღის ელფერს აძლევდა.

— დარო, პაწაწინა ნიგვზის ტოტო, მოდი აქა, — გასძახა თათქარამ.

— რა გინდა? — მოისმა ხაშლამას ოხშივარში გახვეული გამოძახილი...

— შენი გამოწაცალი, რა მინდა და რო გეუბნები, მოდამეთქი, უნდა მოხვიდე, — მიუგო თათქარამ.

აპა, მოვედიო, თქვა დარომ და ჩამოჯდა გვერდით. თათქარამ მუშტით თვალები ამოიჭექუა და ღრენით დაიწყო:

— როდემდე უნდა მყავდეს ილიაში ამოჩლიავებული ის შენი ძმისშვილი? რით ვერ ამოუეჩხორეთ მუცელი მგასა და ღვაძველა დედამისსა?

დაროს სიწითლემ დაპკრა ყვრიმა-  
ლებთან, მერე თითქოს დაყვავებით წა-  
მოიწყო:

— არა გრცხვენინან კაცო, ობოლია  
და გაიზრდება, რაღა დარჩა ორი წე-  
ლიცა და გადაგიხდის, კაცად დადგება,  
შენც ხომ მამამისით გახდი კაცი?

გახსოვს, სადღეგრძელოში რო ეუბ-  
ნებოდნი, ქალამნის თასმად არა ვლირ-  
დიო, ბოლღარო და უპატრონო ვიყა-  
ვიო?

მერე ნელ-ნელა მთელ სახეზე მოე-  
დო სიწითლე დაროს და გაუტია, იმის  
დანახევაზე როგორ კანკალებდი გაპარ-  
სული ცხვარივითაო, აკადრა მეუღლეს.  
შვილი არა გვეყავს და ძირი, ყველაფე-  
რი თავზე საყრელადა გვაქვს, რა გენა-  
ნებაო, ესეც წამოსცდა.

ოო, ეს კი იუკადრისა თათქარამ და  
ხმამალა თქვა:

— ჰაა, ჰაა, ნუ გაუტეე დამჩოხვილი  
დედაყუივიითა, მამამისი არ იქნებოდა  
და სხვა იქნებოდა, ყველას ვილაცა  
ჰყავს. მე რაც მიწერია ის გავხდები,  
იმას კიდე ალბათ ის ეწერა შუბლზედაც  
და ცერა თითის ბალიშზეც, უნდა მომ-  
კედარიყო და მოკვდა. ორი წელი ოც-  
დაოთხი თვეა, ოცდაოთხი თვე კიდე ხომ  
იცი რამდენი დღეცაა, აბა, გადაამრავ-  
ლე, ჰო და ბევრია. მე კიდე, ჩემთვის  
მინდა ცხოვრება, ჩემთვის, გაიგე თუ  
არა. თუ ვერ გაიგე, სხვანიირადაც შე-  
მიძლია გავაგებინო.

დარომ თავი ჩაპკიდა და მინაშავე დაე-  
შვივით ჩაპკიდა თავი დასამ დაროს, ტე-  
ლეფონმაც დარეკა. დარომ ყურმილი  
აიღო, „გისმენთო“, კარგად არც ჰქონ-  
და ნათქვამი, რომ უცებ ყურმილს ხე-  
ლისგული დააფარა და მეუღლეს სსუო,  
ანიშნა, ის არის, იმის ცოლიაო.

თათქარა გაისუსა, გაიტრუნა, ყურე-  
ბად იქცა, სიჩუმედ იქცა, სიცარიელედ  
და არარაობად იქცა.

ცოტახანი ისაუბრეს, დარომ ყურმი-  
ლი ჩაპკიდა...

— რაო, რა გითხრა, ამოღერღე, —  
უთხრა თათქარამ...

— რა ვიცი, რაო და, მომილოცნიაო,  
გენერალურ ღირეკტორად დაენიშნე-  
თო... — უბასუხა დარომ.

— ვაპ, მაშ გუტკრია, არა? თქვა თა-  
თქარამ.

ალბათო უბასუხა დარომ და ისეც სამ-  
ზარეულოს დაუბრუნდა. თათქარამ და-  
როს აქედან გასძახა:

— ხორცი მოიტანე?

— მოვიტანე.

— რა ნაჭერია?

— ჩალაღაჯი.

— ტარხუნა ხომ არის?

— არის.

— კიტრი?

— კიტრიც.

ჰოდა ყველაფერი რიგზეა, აქაც და  
იქაც, შენ კიდე, დღეიდან ქალბატო-  
ნი დარეჯანი იქნები, მააშ!

## „შმაგები“

წუხელ მთელი ღამე მოსვენება არ  
მომცა იმ ეშმაკის კერძმა და ეშმაკის  
შვილმა „მძახურამ“. მთელი ღამე მე-  
ძახნდა, ხან კიდე ელბაქიძეების სხვენზე  
ამოჰყოფდა თავს და იქედან მეძახნდა.  
გამართულად მეძახნდა ის წუპაკი, სა-  
ხელს მეძახნდა: ეკა ბაბოო, სულ ასე  
მეძახნდა.

ხმა არ გავეცი, ზმუჯი და ზუხუტო-  
მეთქი გუნებაში ვამბობდი, მაგრამ ისე  
კი ხმა არ გავეცი. ხმას გასცემ და აღარ  
მოგეშვება, თავის ქალას აგხდის, წყე-

ვლა-კრულვით ოთხში ამოგიღებს, დე-  
დაბოძს მოგიოხრის, ხმას არ გასცემ და  
მიანც არ მოგეშვება, სულმოუთქმელად  
გეძახის, რაღა ბევრი გავაგრძელო და  
მთელი ღამე არ მძინებია.

ამ საშინელებას ისიც დაემატა, რომ  
მთელი ღამე წვიმდა. თუ წვიმა ერქვა  
იმას, რაცა ზდებოდა... ცა ფეხად ჩა-  
მოდიოდა, უფალი დედამიწას მილიონი  
კოკიდან ასხამდა წყალს. ყველანი შინ  
იყვნენ. უფრო უმატა ეეთქმა და თავ-  
სხმას ლეშხიც დაერთო.

ასე მთელი ღამე, გაძღა დედამიწა, გაძღა კი არა და მეტიც მოუვიდა, ველარ დაიტია და ვადმოსდინდა, მოთმინების ფილას დაემსგავსა, აივსო. აპიპინდა, ალიპლიპდა და ვადმოსდინდა ცეცხლზე შედგმული რძესავით.

ნაკადულებად მოჭკროდნენ, ღელეებდად მოსჩქეფდნენ, ალაგალაგ ღვართქაფად და ღვარცოფად.

სახლებს ხეები იცავდნენ, დიდი, მალალი ხეები, ადამიანებოვით იდგნენ და სახლებისაკენ არ უშვებდნენ მთის ღრანტეებიდან მოდენილ ამობოჭრებულ წვიმის წყლებს.

ტანი მაინც ცუდს მიგრძნობდა, გულს კარგს არაფერს მეუბნებოდა. მარტხენა თვალიც ავად მიერთოდა, ვგრძნობდი, ამ უსაშველოდ ცუდ ამინდს რალაც უკეთური და უამური უნდა მოჰყოლოდა და მოჰყვა კიდევაც სწორედ ისეთი, ყველაფერი ცუდი და საწყენი რომ დაგვაიწყა დიდსა და პატარას.

...უბანში რომ კაცი მომკვდარა, ისე არ გეწყენია, როგორც იმ ბებერი ხის სიკვდილი გეწყენია. ამოლიშხინებული ხე იყო, აუთინებული, გამძლე და ჭანსალი. რა ჰქნეს კაცო, არც არავის გაანდეს, არც არავის გაუშხილეს, ისე ჩუმად, ქურდულად გადაწყვიტეს. მოიტანეს ხერხი და ცულო, რკინის სოლები, წალდები, თოკები, მთელი ღამე ჩუმად ხერხეს... რალა ჩუმად, ხმა გამოდიოდა, ხალხი ფეხზე დადგა, მთელმა მთაწმინდამ გაიღვიძა. მივარდნენ მხერხავეებს და შეუყვირეს, რას სჩადიხართ თქვე ბოროტებო.

ახლა არ იტყვიო, რა უპასუხეს იმ ახლგამოღვიძებულებს და არამკითხეებს?! უადგარო ადგილას დგასო. ადამიანებს ხელს უშლისო. ჩვენაო, ადამიანების ბედზე ვფიქრობთო, ადამიანების სიკეთეზე ვფიქრობთო. ცუდ ადგილზეა გაჩხერილიო, შეიძლება მთვრალი ქართველი დაეჯახოსო. ხან, შეიძლება, მანქანა ვერ გაეტოვოსო. ახა-

ლი შენობის ფსადლსაც ფარავსო, რა ვიცი, რალა არა თქვეს, ზვენს... დროში ხემ ადამიანი როგორ უნდა დაჩაგროსო, ყველაფერი ქვეყანაზე ადამიანისთვისაა გაჩენილიო, თქვეს და მოჭრეს...

რო ვერც მოჭრეს ხეირიანად? კურდღლისცოცხა ხომ არ იყო ან ღვეანდი სიმინდი უცებ მოეჭრათ. ხე იყო, შნოიანი, ცადატყორცნილი, ჭიშინი, ჩრდილიანი. ვერ მოჭრეს ისე, როგორც ჭრიან ხოლმე, ძირში ვერ მოჭრეს, გაუჭირდათ: ჯერ ხერხი მიუყენეს, მერე ცულები მომოჭრეს, რკინის სოლებიც ჩაურტეს, მაინც გაუჭირდათ.

ვინ იყვნენ, ვინ გაბედა ხის მოჭრა? მთაწმინდელებს არ უქისრიათ რა თქმა უნდა, ვერც ვერგლებს შეებეს ეფვანი, სოლოლაკელებმაც შორს დაიჭირეს. მერე საიდანღაც „შმაგები“ გამოიყვანეს, „ველურები“, ტყაუტები ეცათ. ჩაიხიხითეს, ჩაიცინეს და საქმეს შეუდგნენ, ორნი იქედან და ორნიც აქეთა მხრიდან, სულ ოთხნი იყვნენ. ხრამ-ხრუმ, ხრამ-ხრუმ, მთელი ღამე უხრა-შუნებდნენ, მერე კვეთა შეხვდათ, გულთან გაკვანძული, გულის მთავარ კედელზე ნაწიბური აჩნდა, როგორც ნაინფარქტალი ისე აჩნდა. თოკები დაუბეს, ვერ დასძრეს, ჯაჭვები მიაშველეს, მაინც ვერ დასძრეს, გმირად იდგა, თავს არ უტყდებოდა, მაგრამ გულს რომ მიადგნენ გაკვანძულსა და ნაინფარქტალს, საშვილიშვილოდ რომ მიადგნენ, მაშინ კი შეკრთა, ეტკინა და ამოიგმინა. გულიდან ამოიგმინა, კი არაფერი უთქვამს ისე, კაცურად ამოიგმინა, თითქოს გული მოიჯერა. არ გეგონოთ, ველურებმა რამე გაიგონეს, არა, ველურებს არაფერი გაუგონიათ, ისევ ხერხავდნენ, გულმოდგინედ, საშვილიშვილოდ, ველურად.

დანარჩენმა ხეებმაც კი გაიგონეს, გაიგონეს და სუნთქვა შეწყვიტეს, გაიტრუნენ, სული შეიკრეს და ისე უშვარდნენ ბებერი და ღამაში ხის სიკვდილს.

ველურები ხერხავდნენ, ველურებმა ხის გულისგულიც გაიარეს, გულისგული ცრემლით იყო სავსე. ხე კაცივით ტიროდა გულში. დანარჩენ ხეებს რომ არ დაენახათ მიტომ ტიროდა გულისგულში, ცრემლი მაინც სხვა არის...

სანამდე უნდა გაეძლო? ნედლი და უმწიფარი ხომ არ იყო? ყველაფერი იცოდა, ყველაფერი ესმოდა... გადაჭრილი ხის გული მნათობს გავდა, თითქოს მნათობი ამოკრთაო...

— ასე ვაუკაცები კვდებიან, — თქვა ერთმა ველურმა.

— რას იზამ, ხალხის კეთილდღეობისათვის ხე კი არა, ხანდახან კაცისკენ და შესწირო, — თქვა მეორემ...

დანარჩენი ორი ჩუმად იყო, ასე სულელები დგანან ხოლმე თავჩაქინდრულნი არაფრის წინაშე...

მთაწმინდაზე მოჭრილი ხე ეგდო, კაცს ჰგავდა იგი, — მკლავებგაშლილი, ზორბა, ახოვანი, ვიღაცათა კეთილდღეობას შეწირული.

„ვითარცა გამოსაეალსა ზესკნელსა, ვითარცა მალნარსა შინა ხე ცულითა დაჰკოდნეს“.

ანდრეი ვოზნესენსკი

ნოდარს

მე შენი „ჩოლკა“  
მაგონებდა გლადიატორულს...  
ისე წახვედი -- არ ინებე  
სტიმულატორი.

დიდო ობოლო,  
საქართველო დედაშენია.  
სხეულს უძირო სამარეში  
არ ეშინია.

მარად ბიჭუნა,  
ბურთს რომ ურტყა და უბაზუნა,  
წიგნს შეეღეკა, წიგნს შემორჩა  
კვლავ დუმბაძურად.

და მეჩვენება,  
როს ბალღების რბოლას ვუყურებ --  
ნოდარის „ჩოლკა“  
დუმბაძური და ანტიკური.

თარგმნა ანდრეი ხალვაშვილი

მედი მკვლევარი

... . . .

მომხედით და ცოტა გულზე მომეფონა,  
ო, აპრილო და მაისო, წიფე  
თქვენ ხომ ჩემი დები ხართ!..  
მე ზამთარი ცოტა კიდევ შორს მეგონა,  
არ მინდოდა, რომ ზამთარზე მეფიქრა...

სევდა როგორ გამიხდება ტოლ-  
მეგობრად,  
სიყვარულით როცა მომჩერებიხართ,  
მე ზამთარი ცოტა კიდევ შორს მეგონა,  
არ მინდოდა, რომ ზამთარზე მეფიქრა..

... . . .

როცა უჩემოდ იქნები,  
ვით მუზეუმის მცველი,  
ავეჯს დაივლი, ჩვრიანი  
რომ გადაუსვა ხელი.

ჩაიცვამ, გარეთ გამოხვალ  
აყვავებული თავშლით,  
კარებთან დიდხანს დადგები,  
ქოლგას წვალეებით გაშლი

ჩემს მაგიდასთან დაჯდები  
და წიგნს დაადებ ნიკაბს,  
იფიქრებ: როდის ვიყავი,  
თუკი საერთოდ ვიყავი...

და გაფრინდები ნელ-ნელა,  
კაბის შრიალს და ლივლივს  
მალლა და მალლა აჰყვები  
და ვარსკვლავებზე ივლი...

როდესაც გზაზე ავტობუსი აგროვებს მგზავრებს

როდესაც გზაზე ავტობუსი აგროვებს მგზავრებს,  
გამოქცეულებს ჩვენსკენ ანდა ჩვენსკენ მომავლებს,  
როცა ხმაურით ამოდიან და სანამ ჩაველენ,  
დინჯად თავიდან ფეხებამდე თვალით მზომავენ.

ასე მგონია, დაღლილ სახით,  
ქალარა ქოჩრით  
ამ ავტობუსის მგზავრებისთვის მე დღეს უცხო ვარ,  
ის ხალხი ვაქრა და წავიდა,  
თქვენს მონა-მორჩილს

ვინც ტანთ აცმევდა,  
ვინც ჰკოცნიდა  
და პურს უცხობდა.

ჩემი ღიმილი მათ არაფერს არ ეუბნება.  
არც მოგონების უხილავი ფოლიანტები,  
თვალს ეფარება ერთაწმინდის გარეუბნები  
და უკან მომღვეს მტერის ბული და კორიანტელი...

### დაბადების დღე

ბავშვებით შემოხვეული  
ლეინონასვამი დგახარ  
და ვიოლინოს ატირებ...  
იმათ სიცილს და ხარხარს

ზემოდან ეპასუხები  
აკვნესებული ხემით,  
გეპოტინება მრავალი  
ხელი დასვრილი კრემით.

შენ დიდხანს ველარ გაუძლებ  
ახალგაზრდობის ალყას

და სანამ დაემხოზოდე,  
ალბათ დაიწყებ ყანყალს.

კარადის ქვემო უჯრიდან  
ამოიღებ და გაშლი  
სუფრას და მზრებზე მოიხვევ...  
წინ წაგდებული ფაშვით

დადგები, ოთახს აავსებ  
ღონ ბაზილიოს ბანით  
და თავს მოიკლავ ხარხარში  
სერვიზის ბლაგვი დანით..

### პიესის რეზარკები

იცი, რა შეუძლია  
რომელიმე პიესის  
თითქოს აუღელვებელ  
და უწყინარ რეზარკებს?  
შიშით და მოლოდინით,  
თრთოლვით და უტკბილესი  
ვნებით და იღუმალი  
მღელვარებით შემარხეგს...

ვთქვათ, ფრჩხილებში წერია:  
როგორც მზეზე დუქატი,  
სახე ისე უბრწყინავს  
ბრაზით ლაურენსიას  
და რომ რეგვენ კომანდორს  
ფიწლით მოკვლას უქადის...  
იმს იმის მტარვალი,  
რაიც დაუთესია...

ანდა, ვთქვათ, ანტიგონე  
უზის ბრმა ოდიპოსს  
და ალერსით იხრება  
ათრთოლებულ ხელებთან,  
ანდა სასაფლაოზე,  
მამა რომ დაიტეროს,  
მთვარით გაშუქებული  
დაღის ღამით ელექტრა...

მოქმედება სწარმოებს  
სადმე მონპელიეში  
ანდა დედის ოთახში  
შედის, ვთქვათ, ტელემაქე...  
იცი, რა შეუძლია  
რომელიმე პიესის  
თითქოს აუღელვებელ  
და უწყინარ რეზარკებს?..



მეფისტოფელს რა ეცვა  
 ან რა ეცვათ მონარქებს,  
 ან რომ ფარდის დაშვება  
 აგვირგვინებს ეპილოგს,  
 ილიონის კედლებთან  
 ჰექტორს და ანდრომაქეს  
 ვინ შეხვდება, ეს იმან  
 უნდა გაგვაგებინოს.

რომ რუანის დილეგში  
 თავი აფრთხოვს ქანა დარკს,  
 რადგან ბნელი დილეგი  
 თავის საპერცოგოა, იონი  
 რომ ვინც სიკვდილს შესცინა  
 და გაუამხანავდა, იბნე  
 ახლა თავვით დამფრთხალი იბნე  
 და უმწეო გოგოა...

ღონა ანა მხურვალედ იონი  
 ევედრება იესოს, იბნე  
 ისე გადმოხრილია, იბნე  
 თითებს თრთოლვით შემახებს...  
 იცით, რა შეუძლია  
 რომელიმე პიესის  
 თითქოს აუღელვებელ  
 და უწყინარ რემარკებს?..

ჩვენს სულს შეუცნობელი  
 მოლოდინით აქეზებს,  
 ერთმა კოცნამ, რომელიც  
 აგვირგვინებს დიალოგს,  
 ჩვენ რომ უნდა ვიხილოთ  
 ერთხელ ფიცარნაგებზე,  
 იქნებ ჩვენი ცხოვრება  
 სულაც შეატრილოს...

ერთი ხელის შეხებით  
 გააცოცლებს თოჯინებს,  
 ქრება ყოველდღიური  
 უხეში და უხამსი,  
 სურვილსა და ოცნებას  
 ლტოლვა დაიმორჩილებს  
 და ჩვენს თვალწინ ჰამლეტი  
 იმზირება ბუხარში...

მისდევს ჩვენი ოცნება  
 თავაწვევტილ ლანსელოტს  
 და მუსიკა ირხევა  
 ბემოლად და დიეზად,  
 წამით ცხადი ქრება და  
 ცხადი აღარ არსებობს  
 და ცხადი და ნამდვილი  
 არის მხოლოდ პიესა...

ქარაზი ფსონველი

წვეთწვეთობით

ყველაფერი წვეთწვეთობით.

მე და შენი შეხვედრა.  
მე და შენი განშორება.  
ჩერ შეხვედრის ცრემლი.  
მერე ცრემლი განშორებისა.

ყველაფერი წვეთწვეთობით.

გაივლის დღე და დღის კვალდაკვალ  
შავი ფოთოლი.  
დღის ბილიკზე შავი ფოთოლი  
იმ კვალსა შლის,  
ჩვენ რომ დავტოვეთ...

სიტყვა  
და სიტყვის ეული ნაკუწი,  
ხმები,  
სივრცეში რომ ეძებენ ერთიმეორეს.

ასოები,  
ქალაღღზე რომ გადმოაბიჯეს  
მღვიმეების კედლებიდან,  
სიბუებიდან,  
თოხის ძველი ფირფიტებიდან...

ყველაფერი ნელინელ,  
ყველაფერი წვეთწვეთობით  
შენში იკრებიება,  
შენში იფანტება,  
შენში ზეობს,  
შენში ბერდება  
და ამთავრებს თავის სიცოცხლეს..

ყველაფერი ნელინელ,  
ყველაფერი წვეთწვეთობით...

ჩამდგარი ქარი: უძრავი ოკეანე!  
გამდნარი თოვლი: ჩაწურვილი  
დედამიწის კაპილარებში. —  
ბალახის ფესვებში გაეონილი ცრემლი.  
გაზაფხული, ზაფხული, შემოდგომა,  
კვირტის გაშლა, ფოთლების დაბრუნება,  
ფოთოლთა სიბერე...

დავარდნა,  
დაღობა,  
მიწადქცევა  
და ხელახლა აღმოცენება...

ყველაფერი ნელინელ,  
ყველაფერი წვეთწვეთობით....

სამარე, რასაც შენ არავინ არ  
დაგამადლის,

მიწა,  
რომელსაც შეეზარდა შენი ცხოვრება.  
უკანასკნელი ამოკვნესა.  
უკანასკნელი ცრემლის წვეთი.  
უკანასკნელი გაცილება.  
ცრემლის ყლუბი.  
გამარჯვების ფეიერვერკი.  
დამსმენის ჩურჩული და ვერცხლის  
ჩხრიალი...

დაცემა, წამოდგომა.  
დაცემა, წამოდგომა...

სიტყვა,  
რომელსაც ჩერ სირცხვილი არ ეკარება.

სიტყვა,  
რომელიც გამოიწვა სირცხვილის  
ცეცხლში.

სიტყვა,  
რომელიც ცეცხლგამძლე აგურია.  
სიტყვა,  
რომელიც თავის ალაგს ვერა პოულობს,  
ლექსი,  
რომელსაც ვერ ამთავრებ  
ვერასდიდებით...

ყველაფერი ნელინელ,  
ყველაფერი წვეთწვეთობით...

ეკრანებზე დაღვრილი სისხლი.  
ნათამაშევი ცხოვრება,  
ნათამაშევი სიკვდილი.  
ნათამაშევი სიყვარული.  
ნათამაშევი თვითმკვლელობა...  
ცრემლი,  
გულს რომ არ ეკარება,  
რაც გაგირბის,  
რაც გელვრება  
თითქოს წყალი პეშვით მიგჭონდეს...

გელვრება ნელინელ,  
გელვრება თანდათან  
გელვრება წვეთწვეთობით...

სიტყვა,  
რომელიც სიტყვებს გაურბის,  
ლექსი,

რომელიც ჭიუტობს და არა მთავრდება.  
იმედი,  
რომელსაც ჰკარგავ ყოველი მთის  
გადავლისას,

მოლოდინი,  
რომელიც დნება შეუმჩნეველად,  
სიყვარული,  
რომელიც იღვრება  
თითქოს წყალი პეშვით მიგჭონდეს:  
ყველაფერი წვეთწვეთობით...

ხსოვნის სიმწარე და მწარე სამსალა.  
დამარცხების ცრემლი.  
განშორების ცრემლი,  
განშორების ყრუ ქეთინი,  
იმქვეყნიური...

წერტილი,  
რომელიც ვერ პოულობს ლექსის ბოლოს  
თავის კუთვნილს  
ძელისძველ ადგილს...  
ადგილს,  
რომელსაც განშორების ცრემლი იკავებს.  
ძახილი,  
რომელიც იფანტება შეუმჩნეველად,  
სიყვარული,  
რომელიც იღვრება  
თითქოს წყალი პეშვით მიგჭონდეს.

ყველაფერი ნელინელ,  
ყველაფერი თანდათან,  
ყველაფერი წვეთწვეთობით...

## ის მდინარე

მე რომ ვახსოვდი,  
ის მდინარე უკვე ზღვაშია...  
ზვიგენის კბილებში გაწურვილი,  
კრეისერების  
სიმძიმით  
აქვნესებული.

მე რომ ვახსოვდი,  
ის მდინარე უკვე ზღვაშია...

ჩემი ლანდიც  
შლამთან ერთად,  
ქვიშასთან ერთად  
დავიწყების ფსკერზე დალექა,  
დააფინა დედამიწის ბებერ ქრილობებს,  
მოაყარა წარსულის წყლულებს...

მე რომ ვახსოვდი,  
ის მდინარე უკვე ზღვაშია...  
გადავიწყების მარილს ლოკავს  
და ძველისძველ ხსოვნას ირიდებს...



### პირველი ლექსი

ზარგუთანმა გადაიარა ველზე.  
ნახნავეში ალაპლაპდა სიბი...  
გუთნისდემ სიპზე მიახატა მოგონება.  
გუთნისდემ სიპზე მიახატა პირველი  
სტრიქონი.  
გუთნისდემ ლექსი დაწერა ქალზე —  
კინც წახნავის კვალში იდგა,  
ფეხშიშველი...  
კინც ხარებს უმშრალეზდა გაოფლილ  
კისრებს...

გუთნისდემ ლექსი დაწერა ქალზე.  
გუთნისდემ ლექსი დაწერა მიწის  
სიუხვეზე.  
გუთნისდემ  
სიპზე ამოკაწრა უკვდავი ხმა,  
გუთნისდემ  
სიპზე ამოკაწრა გულისცემა...  
გუთნისდემ  
სიპზე ამოკაწრა შენი სახელი...

### იკაროსი

ფრინველის ჩრდილმა  
გადამიარა თავზე...

და მე ვიგრძენი შორეული ტკივილი,  
და მე გამახსენდა დაკარგული ფრთები,  
და მე გამახსენდა ძველისძველი ცა,  
რომელიც არ ბერდება  
და ის თავის თვალისგუშავი  
ჩემი ვარდნის სურათს ინახავს.

ხოლო ჩემი ვარდნა  
გრძელდება განუწყვეტლივ...

მე ვეშვები ციდან — მიწაზე,  
მე ვეშვები მიწიდან — ქვესკნელში...  
მე ვეშვები ქვესკნელიდან დავიწყების  
შავ სიმორეში...

და მაკენებს  
დაკარგული ფრთების ტკივილი,  
როცა ფრინველის ჩრდილი მეცემა...

და ვეშვები განუწყვეტლივ,  
და ვეშვები უსასრულოდ...  
ჩემი ვარდნა ისევ გრძელდება.

### ცაცხლი

რა გადაურჩება ცეცხლს? —  
იქნებ: შენი თმები,  
იქნებ: შენი დაღლილი მზერა  
იქნებ: შენი სინანული...

რა გადაურჩება ცეცხლს? —  
იქნებ: შენი მოთმინება, კლდეზე  
მიბმული...  
იქნებ: შენი ხსოვნის ფოთლები,  
იქნებ: ის გზა, რომ მოგყავდი ოდესმე  
შენსკენ...  
იქნებ: ის ტყე შორეული,

ფოთლის ჩრდილი რომ წაათარა  
ჩვენს ნაფეხურებს...  
იქნებ: ის ფურცელი,  
რომელზეც  
შენ გხატავდი მთელი სიცოცხლე...

რა გადაურჩება ცეცხლს?  
გეკითხები, როცა უკვე ფერფლში  
ვეწევი,  
ნაცრადქცეული...

რა გადაურჩება ცეცხლს?

• • •

და ეს მიწა, მე რომ დამხვდა,  
შენც დაგხვდება —  
ჭრილობებით,  
იმედებით,  
ჭიანჭველებით...  
ჭორით.

სიცრუით  
და უკვდავი ამოებით —  
შენ, ვინც მოხვალ  
და ჩემს საფლავს ისე ჩაუვლი, —  
ამ სახილველით მონუსხული, —  
რომ ვერ შეამჩნევ.

• • •

ორი ბავშვი,  
ორი კენჭი  
მოდის მტვერში, მოდის ქარში, მოდის  
თამაშ-თამაშით,

მოდის ასკინკილით... არღელ

ვხევი პრეისტორიული.  
წყალი მღვრიე  
და უღრანი ქუფრი...  
ორი წვეთი,  
ორი კენჭი,  
ორი ლანდი მოკანკალე...

იღნ

მოდის ქარში, მოდის თოვლში, მოდის  
თამაშ-თამაშით,  
მოდის ასკინკილით...

ტირის ძველი მატერიკი,  
წვიმით ტირის ძველი ცა.  
ვარსკვლავები აკენკილი...

ორი კენჭი  
ორი ცრემლი,  
ორი ლანდი მოკანკალე...  
მოდის სისხლის წვიმაში,  
მოდის თამაშ-თამაშით...  
მოდის ასკინკილით...

• • •

ღუმელი.  
სიკვდილის მეტაფორა.

მისი მძიმე ხელი  
ჩემს მაგიდაზე.

სამყაროს ხმაურიდან,  
სიტყვების ქაოსიდან  
ზრჩეული ოქრო...  
ღუმელი.

მისი მძიმე ხელი  
ჩემს მხარზე.

მისი მძიმე ჩრდილი  
ჩემს გზაზე.

მისი შავი ანარეკლი  
ჩემს მაგიდაზე...

ღუმელი.

— • —

# ნოველები

## ურვა

ინიჩა  
და-ნიჩა

მე და გერვასი გრძელიძე ერთ სკოლაში ვსწავლობდით. მერვე კლასამდე პარალელურ კლასში იყო, მერვეში ჩვენთან ვადმოიყვანეს. მიზეზი, მგონი, ვკითხე მაშინ და რაღაც მიბასუბა. ახლა აღარ მახსოვს, ვერ მოგატყუებთ. ჩანს, უმნიშვნელო მიზეზი გახლდათ და აღარ დამამახსოვრდა. მაშინ ადვილად გადავყავდით მოსწავლეები კლასიდან კლასში. საკმარისი იყო მშობელს განცხადება დაეწერა: ჩემს შვილს ესა და ეს მასწავლებელი „ჩააჯინდა“ და შესაშვ დღესვე სხვა კლასში ამოყოფდა თავა, ხოლო თუ დირექტორი „ჩაგაჯინდებოდა“, სულაც სხვა სკოლაში გადახვიდოდი და მოისვენებდი.

სკოლა რომ დაეამთავრეთ, რასაკვირველია, ჩვენი გზები გაიყარა. საერთოდ, ისე აეწყო ჩემი ცხოვრება, რომ ყველას ხშირხშირად ვხვდებოდი, ჩემი კლასელების და კურსელების გარდა. ასე ყოფილა. დაამთავრებ სკოლას — კლასელები გაერევიან ცხოვრების ორომტრიალში და წიწილებივით მიმოიფანტებიან. დაამთავრებ უმადლესს — ახლა თანაკურსელები გაგინდება საძებარი. მიდიხარ ხანდახან ქუჩაში და ფიქრობ: „სადაა, სად შეიყუდა ეს ხალხი, რამ ჩაყალბა და რაში გაითქვიფა, განზრახ ხომ არ შემალბებიანო“. უგრავ ხანი გაივლის და რომ არ ელი, ისე

შეგეფეთება რომელიმე მათგანი. ან ავტობუსის რიგში, ან მეტროს ესკალატორზე. რას მოასწრებ, რა გინდა უთხრა: გეჩქარება შენც, გარბის ისიც. „გამარჯობა, რავე ხარ? იქ ხარ ისევ? ცოლ-შვილი? ჩვენებს თუ ნახულობ!“ მიაყრი ტყვიამფრქვევივით ისიც ზუსტად ამ შეკითხვებს დაგაჯახებს. „ვერა! ვერა! კუბრავე ვნახე, ამასწინათ, მარტო!“ — მიპყვირი შენ. ირკვევა, რომ კუბრავე იმასაც უნახავს. მეტს ველარაფერს ასწრებ. წაგართმევს ავტობუსი, ან მეტროს ექსკალატორი მონატრებულ თანაკლასელს ან თანაკურსელს. საქმეა ეეს? სად გავრბივართ, საით მივექანებით? გავჩერდეთ ცოტახანს და ჩამოვუაროთ ერთმანეთს. ვებრდებით! ვებრდებით! მალე სახეებიც დაგვაფიწყდება. ველარ ვიცნობთ ერთმანეთს. ამაზე დიდი სირცხვილი რაღა იქნება. იქნებ მე მჭირს მარტო სიყრმის შეგობრების ნოსტალგია. თუ ასეა, ჯანდაბა ჩემს თავს, მაგრამ ყველანი რომ ასე ხართ? ამისთვის იყო ის ტკბილ-მწარე ბავშვობა და ყმაწვილკაცობა? იმიტომ ვეფიცებოდით ძმობას და ვარკვევდით ცხოვრებასთან ჩვენს გულუბრყვილო ურთიერთობას, რომ მერე სამუდამოდ დაგვეკარგა ერთმანეთი? ჩემს მაგალითზე ვამბობ; რაინე საგანგებო გარემოება რომ ყოფი-

ლიყო, ხმას არ ამოვიღებდი. მე რომ საზღვაო დამემთავრებინა და შორეული ცურვის ბოცმანი ვყოფილიყავი, ვინ მამაძალი იწუწუნებდა. სად შეგხვდება გაშლილ ზღვაში ბავშვობის მეგობარი. მაგრამ მე ხომ ისეთი მშვიდი ფაქულტეტი დავამთავრე, როგორც სამკურნალო ფიზკულტურული გახლავთ. მე ხომ გოჭოვრიდან ფეხი არ გამიღვამს. სადაც დავიბადე, იქ ვცხოვრობ ახლაც. ცოლიც არ შემირთავს „უცხო მხარის“. ჩემგან მეხუთე მოსახლეა ჩემი სიმამრი. მუშაობითაც ბაზრის გვერდით, „ფხიზელთა“ კლუბში ვმუშაობ. მაშ, სად არიან, სად მიიშლნენ ჩემი ბავშვობის პატატურანი ბიჭები და გოგონები? წუთისოფლის წყველა-კრულვიანი საკითხავი, იმ რვა საკითხავთან ერთად, მე მგონი, ესეც არის.

გერვასით დავიწყე და სად გამიტყუა ფიქრმა. ბოდიშს ვიხდი, ბატონო. ვერ ვისწავლეთ, ვერა, მოკლედ, ლაპარაკი. ამ ბოლო რვა თვეში სამჯერ შემხვდა გერვასი გრძელძე და სამივეჯერ ბავშვები დამაფიცა, შინ მეწვიეო. შარშან შვიდ ნოემბერს პარაღზე გავდივართ, კინო „ქუთაისთან“ წამით გაგვიჩერეს. „ზაური!“ მესმის მარჯვენა მხრიდან. მივიხედე, მაშინვე ვიცანი. ოცდასამი წელია არ მენახა, მაგრამ სიცილზე ვიცანი. ცხენით ჭიხინი იცოდა ბავშვობაშიც. ამასობაში დავიძარით. მწყობრიდან გამოსვლა აღარ შეიძლება. რა ეჭვა. „რავა ხარ გერვასი, სად ხარ დაქარგული მეტეი!“ ეს მივაძახე, ორივე ხელი პირზე მივიფარე და პეროვან კოცნას რომ ეძახიან, ვსტყორცნე სიარულში. „გამომიარე, გამომიარე, სალაპარაკო მაქვს შენთან, გამომიარე ვაფიცებ ბავშვებს!“ დამაწია გერვასიმ და მარშის ხმაში საღლა, უკახ ჩაიკარგა. მეორედ შაბათობაზე მოვკარი თვალი წლელუს აპრილში. ტყის გასაშენებლად გავციყვანეს მოწამეთისკენ. ბარები რომ ჩამოგვირიგეს და რკინიგზის გადამა გაგვამწყრივეს, ჩვენს წინ აეტობუსი გაჩერდა. „ზაუ-

რი!“ გერვასის გადმოუყვრა მატრამუსიდან თავი და მილიმის. „გაუმარჯოს ჩემს ძმას, ჩემს გერვასის“, ამასობაში დაიძრა აეტობუსი, მივსდევ, „საით, ჩემო გერვასი?!“ ჩვენ ნერგების ამოსაღებად მივეყავართ, მოვისწრებთ, მე მგონია, რატომ არ მოხვედი, ხომ გითხარი, სალაპარაკო მაქვს თქვა! გამომიარე ვაფიცებ ბავშვებს!“ „მოვალ! მოვალ!“ მეტის თქმა ველარ მოვისწარი. ჩვენ სალამომდე ორმოები გვათხრევიან, ნერგები აღარ მოუტანიათ. ამსწინათ მატარებლით ჩავიარე, ჩვენი ამოთხრილი ორმოები შენახულია მშვენიერად, ნერგებს, ალბათ, გაისად ჩარგავენ. ახლახანს, მესამედ შემხვდა გერვასი სამაისო მარშირებაზე. სახანძრო მანქანის კიბეზე იღვა და ტრანსპარანტს იჭნევდა. „გერვასი!“ მეტეი, რომ მივაძახე, მთელი ტანით შემობრუნდა და კინალამ გადმოვარდა კიბიდან. რომ დამინახა, გულდაწყვერით ჩამომძახა: „სად ხარ, ბიჭო, არ გრცხვენია? ეს ვართ ჩვენ ერთმანეთისთვის!“ „მოვალ, გერვასი, მოვალ!“ დავიძმედე და ამჯერად უკვე მტკიცედ გადავწყვიტე მივსულიყავი. „ვაფიცებ ბავშვებს!“ ყოველშემთხვევისათვის დაამატა, მაგრამ შეველო არ დაემატებინა, ისედაც მივიღოდი.

მახსოვდა, არხსგალმა ცხოვრობდა, იქვე ახლოს ყოფილ „ფეხეოსთან“. ცოლსაც ვიცილობდი ჩვენზე ერთი წლით უკან სწავლობდა. ვალიდა ერქვა. მემწვანილის გოგო იყო. შაბათ დღეს, ნასადილევს, ასე ხუთ საათზე ფირმა „ლომისის“ კიოსკში მოკიჭული სურა ვიყიდე. ჩვენთან ახლა ამნაირ, წარწერიან სურას საჩუქრად დიდი მახანდა აქვს. ლამაზია და არც ძვირი ჯდება მაინცდამაინც. იქვე წააწერიან მტვიფრავს — „სიყრმის მეგობარს გერვასის და მის ძვირფას მეთლღეს ვალიდას ზაურ მაჭვანისაგან“. შევახვევინე გაზეთში, ამოვიღოლიავე და გავუღდექი არხის ქუჩას. კითხვა-კითხვით მივაგენი გერვასის სახლს. კარი თაფიკრულმა, მწვანეფლანელისხალათიანმა, გამხდარ-

მა ქალმა გამოიღო. თვალებით ვიცანი ვალიდა.

„მობრძანდი“, „ნუ წუხდებით“, „დაბრუნდი“, „ფეხზე დავიციდის“ ცერემონიალი რომ ჩამთავრდა — „გერვასი როდის მოვა მეთქი“ ვკითხე ქალბატონ ვალიდას.

— გერვასი ჩვენთან აღარ ცხოვრობს,

— განზე გაიხედა და ამოიხზრა.

— რანაირად? რამდენი ხნის ამბავია?

— შევიცხადე.

— არ გავიგიათ? კი, ბევრმა არ იცის, წელიწადი მალე შესრულდება. აიკრა გულანაბადი და წავიდა. ერთხანს საფიჩხიხზე ცხოვრობდა ნაჭირავებში, ახლა აღარ ვიცი.

— კი მარა?

— არაფერი მიზღუი, ბატონო, იმ ერთ ბავშვს ვფიცავარ. ჩხუბი კი არა, ხმამალალი ლაპარაკიც არ მოგვსვლია. წავალ შეო, ჩაის რომ ვსვამდით დილას, ასე გამომიცხადა. სად წახვალ მეთქი, ვკითხე. საერთოდ წავალ სახლიდანო. რა იყო, რა გაწყენინეთ, რა ბზიკმა გიკბინა მეთქი. არაფერიო, შენ ძალიან კარგი ქალი ხარ, მაგრამ აქ მეტს ველარ გავჩერდები. მე თვითონ არ ვიცი, რა შემართებაო. ბავშვს ყურადღებას არ მოვაკლებ, რაც შემეძლება შენც გავგიმართავ ხელს. ა, ეს სახლი, ეს კარი, ჩემი ტანსაცმლის მეტს არ წავიღებ არაფერს, ოღონდ ახლა არაფერი მკითხო. ერთ დღესაც ველარ გავათევე ამ პერქვეშო. დაფიქრდი კარგად, რაზე ანგრევე ოჯახს მეთქი. არ მკითხო, ხომ გთხოვე, ნურაფერს მკითხავო. ბიჭი სკოლაში იყო. ჩაალაგა ერთ პატარა ჩემოდანში საცვალ-სამზერი და წავიდა. კიშკარს ისე გაცილდა, ერთიც არ მოუხედავს.

მოვიხურე თავშალი და დავეწიე ქუჩაში. გერვასი, ნუ დამიმალავ, ეგებ ავად ხარ, რამე გიჭირს, ყველაფერი მითხარი, ყველაფერს გავიგებმეთქი. არაო, არაფერიო, სალ-სალამათი ვარ, ნუ გეშინიაო. შებრუნდი სახლში, ნუ მომსდევ ამ ქუჩაშიო. გაჩერდა, ხელი ჩამომართვა გზაში ატორღიალებული ბეზარი ნაცნობივით და, წავიდა. რა

უნდა მექნა, კვილს ხომ სარაგეტყნაქნა დი. მოებრუნდი სახლში. სკოლიდან რომ დაბრუნდა ბავშვს ვუთხარი; მამაშენი სამუდამოდ სხვაგან გადავიდა მეთქი. ერთ თვეს ვუშალე სიმართლე. იმედი მქონდა, გაუვლის ხელტუჩი ჩემს ქმარს და მოებრუნდება მეთქი. სამსახურში მივაკითხე ერთი-ორჯერ; არ ესიაშოვნა ჩემი დანახვა. მაშინ ახალი წასული იყო სახლიდან. ორ თვეს ჩვენსკენ არ გამოუხედავს. ახლა ბავშვს აკითხავს ხანდახან, სკოლაში. ბიჭი პატარა კი არაა, მეშვიდეშია. ხედება, რაც მოხდა; მაგრამ მე არ მეკითხება არაფერს. ჯერ არ მინდოდა ნათესაებში გამეზიდა, მერე ყველამ გაიგო. ვინ არ მიაკითხა, რა ქკუა არ არიგეს, მაგრამ აღარ ქნა პირი აქეთ, საფიჩხიხზე, სანაეთისთანო. დავაპირე მისვლა, მაგრამ რომ მითხარეს, ვილაცა ქალი დაუდისო, გავბრაზდი და აღარ მივსულვარ. ქალი თუ უნდოდა, მე თუ აღარ ვუყვარდი, დაუშალა ვინმემ? ამ ოჯახს რაღაზე ანგრევედა. რომელი ეჭვიანი და ფეთიანი ცოლი მე ვიყავი. არასდროს არ მიკითხავს, რატომ დავაგვიანდა მეთქი. კაცია, ხან იქით ექნება საქმე, ხან აქეთ, რა ჩემი საქმეა მეთქი. ახლა ხელფასის ნახევარს თავისი ძმაცაცის ხელით გვიგზავნის. მთავრობას არ გავრევე ჩემს საქმეშიო. არც სასამართლოზე ძრავს სიტყვას. ხელს ჯერ არ გავაწერო. ჩემი საქმე მე ვიციო. ასე ხომ არ იქნება, უნდა დაამთავროს, ან ისე ან ასე. შორდება ხალხი ცოლს, რა ქვეყნის დაქვევა ეგ არის. ღმერთმა ნუ ქნას, რამე რომ მოუვიდეს, მე უნდა მომივარდეს ვილაცა ქალი და ოჯახი ამიწიოკოს? ადამიანი საიდან უნდა გასვენდეს, ეს არ უნდა ქონდეს გარკვეული?

— სიავისგან ღმერთმა დაგიფაროთ. გასასვენებელი ჯერ რა გჭირთ, ან ერთს, ან მეორეს. — წავილულულე.

— ორმოცდაათს მალე მივუკაყუნებთ, ზაურ ბატონო. ბავშვები აღარ ვართ. ადამიანი ერთწამსაა. ყველაფერზე უნდა იფიქრო დღეს კაცმა. იმნა-



ირი დროა; პანტა-პუნტით ცვივა ხალხი. მე შენ გეტყვი, ჰაერი არაა მოწამლული. ხომ ნახეთ რა ეწერა გუშინდელ გაზეთში — მექსიკის მიწისძვრა მიწისქვეშა ატომური აფეთქების ბრალიაო. არეულია ქვეყანა და აერია ტვინი ხალხსაც. მგელს გადარჩენილი თხებივით ვაწყდებით იქეთ-აქეთ.

გაზეთში გახვეული სურა, რომელიც ხელში მეჭირა, გვერდით, ტაბურეტზე დავდე და წამოვდექი.

— მივალ აბა ერთი მეც. დაველაპარაკებ, ქალბატონო ვალიდა. შინტერეებს, რაშია საქმე. ეგება ჩემი შეისმინოს.

— ძალიან დაგვაძალბებ, ზურ ბატონო. ჰკითხეთ ერთი, რას აპირებ, რას ფიქრობ. სიყრმის მეგობრის დალაპარაკება სხვაა, ხომ იცით, მინც ისე ნამეტანი ხეწნას ნუ დაუწყებთ. იქნება მართლა აღარ ვუნდივართ, იქნებ ასე სჯობია მისთვის. კაცია, თავისი საქმე თვითონ იცის. ჯანმრთელად იყოს და რა ვქნა ახლა, როგორც არი-არი. ყველაფერს თავისი მიზეზი აქვს.

— სად ცხოვრობსო, რა ბრძანეთ? — კართან მოვტრიალდი.

— რკინიგზის საავადმყოფოს რომ გაცდები, იქვე, ურიცკის ქუჩაზე სანაფთიდან მეორე მოსახლეაო. კეჭალმაძე ყოფილა, არ ვიცნობ, არ გამიგია.

— კარგად ბრძანდებოდეთ.

— ახლა სახლში იქნება. სამსახურიდან საერთოდ შეიღზე მოდის, მარა დღეს მოკლე დღეა და შინ იქნება. სახანძრო, მოგეხსენებათ შაბათ-კვირასაც მუშაობს. უნდა გვაპატიოთ, ბატონო ზურ, ვერ დაგხვდით საკადრისად.

— რავე გეკადრებათ, ქალბატონო ვალიდა. აბა კარგად, გაეარკვეე ყველაფერს, გამოსწორდება ეგ საქმე. როგორც თქვენ ბრძანეთ, არაფერი სერიოზული არ არის.

— ან გამოსწორდება, ან არა, ბატონო. რა ვქნა ახლა, თავს ხელმეორედ ვერვინ იშობს. თვითონ კარგად იყოს და... აბა, კარგად, სულ კარგად.

— კარგად, კარგად.

კეჭალმაძის სახლის მოძებნა არ გა-

მჭირვებია. ოღონდ ეგ იყო, ქარი უბერავდა და ძლივს გავაგონე მასპინძლებს. ბერეტანმა ჭუბაჩამოსხმულმა გოგომ მოიბრინა ჭიშკართან. „გვაპატიეთ, ბატონო, ალბათ დიდი ხანია იძახით, ტელევიზორს ვუყურებთ უკანა ოთახში და არ გვესმის არაფერი“. არა უშევს, შეილო, მე გერვასისთან ვარ, ხომ არ ვადასულა, ხომ თქვენთან ცხოვრობს მეთქი, კი, ბატონოვო, ენახავ, თუა სახლშიო. — აივანზე ავარდა და ფანჯარას მიუკაჯუნა. მღვმური რომ შეეპასუხა, ისევ ჩემთან მოიბრინა და აივანზე ამიძღვა. „გერვასი ბიძია, სტუმარია შენთანო“, დაკვტილი კარს შესძახა. ავადგები ამ წუთშიო, — გერვასის ხმა ვიცანი, გოგომ ბოდინი მომიხადა, ფეხსატუკები კიბესთან დატოვა და წინდებისამარა შევიდა სასტუმრო ოთახში.

ვერ წარმოიდგენთ, როგორ გაეხარდა ჩემი ნახვა. ახლავე გავეარდები და ღვინოს მოვიტან, მაღაზია აქვეა. ნაცნობი ნოქარი ჩუმად მომცემს ღვინოსო. არ გაუშევი. „ჩაი დავლიოთ, აგერ და ვილაპარაკოთ. არ ვსვამ ჩემო გერვასი“. მეთქი. ჩაი როგორ გკადრო ძვირფას სტუმარსო. აღარ გელოდი, სიმამართლე გითხრა და საერთოდ აღარავის აღარ ველი, შემეცვიდა ცოტა და შეეწევი ლოგინშიო. „შინძელოს“ ძახილი მესმოდა, მაგრამ შენ თუ იყავი რას წარმოვიდგენდიო.

დაფაცურდა, ჩაი გამოაწყო. შავ პური ხელით დატეხა, საველე მაცივრიდან გამხმარი ყველი გამოიღო, ფანჯრის რაფაზე ჭილები ეწყო. მანდარინის მურაბა ამოარჩია და გახსნა. „მოლაღ შშრალებე არ ივარგებს ჩვენი შეხვედრას, საწოლს უკან ხელი გადაეყო, „უნიველი“ დააძრო და სანამ უარის თქმას მოვასწრებდი, კბილით წააგლიჯა თავი. ჩაის ჭიქები ნახევრამდე შეავსო და თითო ყულუპი რომ მოვსვით, დაიწყო:

— ჩემს ამბავს გაიგებდი, რასაკვირველია.

— კი, სხვათაშორის არ ვიციოდი. ახლა შენი სახლიდან მოვიდივარ.



-- ვალიდა ხაზე?  
 -- რა თქმა უნდა.  
 -- რაო? რა ვითხრა, თუ კაცი ხარ.  
 -- არ მესმის არაფერიო, რა ბზიკმა უბნინა გერვასის, ვერაფერი გამიგიაო. მიდი, დაელაპარაკე, იქნებ შენ მიხვდეთ რამესო.

-- შენ ვერაფერი შეატყვე?  
 -- რა უნდა შემეტყო?  
 -- თუმცა რა უნდა შეგეტყო. ერთხელ დალაპარაკებით რომ გვესმოდეს ჩვენ ერთმანეთის, სხვანაირად იქნებოდა ცხოვრება აწყობილი.

კონიაკიანი ჭიჭა პირში გადაიპირქვევა, პურის ნატეხი (პური საკმაოდ გამხმარი იყო, თორემ ნაჭერს ვიტყვოდი) დააყოლა და განაგრძო:

-- ზაურ, ვადაბმული ძმაკაცები ჩვენ არ ცყოფილვართ სკოლაში, მართალია, მარა ახლა რომ ვუკვირდები, მგონია ყოველთვის გვესმოდა ჩვენ ერთმანეთის. რა ვიცი, იქნება შეჩვენებოდა, ან ახლა შეჩვენება. ეს ამბავი რომ შემემთხვა, პირველი, რაც გავიფიქრე, ეგ იყო: ზაურის მოვუყუებდი, მარტო ზაურს გავანდობ; ზაური სხვა კაცია მეთქი. აქ ვინ არ მოვიდა ჭკუის დასარიგებლად, რა ნატაციები არ მიკითხეს, ხომ იცი, სხვას ყოველთვის სხვაზე ჭკვიანი ჰგონია თავი, მარა არავისთვის არ მითქვამს, რაშია საქმე. რალაც მივკიბმოვკიბე. ათასი მიზეზი აქვს ცოლქმრის გამოშორებას. ახლა შენ უნდა ვითხრა სიმართლე. შეიძლება სისულელეა ეს სიმართლე და ყველაზე მეტად ჰგავს ტყუილს, მარა ჩემი სიმართლე ეგ არის და გინდ დიოჯერე, გინდ არა. რატომ გკითხე შენ ვერაფერი შეატყვე მეთქი, იცი? ხომ ჭკვიანურად, ბრძნულად გითხრა ყველაფერი. გეტყვოდა, არ უნდა ლაპარაკი. არ ვიცი, რამდენ ხანს ილაპარაკეთ, მარა ხომ მოასწრო ჩემზე ზრუნვის გამოხატვაც, ბავშვის მომავალზე სიტყვის ჩამოგდებაც. საფლავის მიწა რომ აღარ იშოვება იმაზე წუხილიც, საერთოდ ხომ გამოგყვამიქრი, ჭკვიან, დალაგებულ ქალს ველაპარაკე, გაფიცებ გულით საყვარელს, მისმა განსჯამ და ანალიზმა, მი-

სმა წინდახედულებამ და სიღარიბის-  
 ლემ არ დაგალა ცოტათი მაინც?

-- რა ვიცი, ამაზე არ მიფიქრია, საერთოდ, ძალიან ჭკვიანი ქალია. თუ მისთვის ასე სჯობია, ხვეწნას ნუ დაუწყებო, ოღონდ თვითონ კარგად იყო-სო.

-- რისი მეშინოდა, იცი? მეშინოდა, რომ ვერ გეტყვოდი ვერ ავიხსნიდი, სიტყვები არ მეყოფოდა სახლიდან ჩემი წამოსვლის მიზეზის ასახსნელად და ვატყობ, გულუბრყვილო, ჩურჩუტი კაცი გამოვჩნდები შენ თვალში. არ უნდა კითხო კაცს საერთოდ ასეთ დროს, როგორც ჩანს, მიზეზი. ცოლქმრობა რალაც სხვანაირი, იდუმალი, საიდუმლოვებით მოცული ამბავია და შესაძვე პირის ჩარევას, განსჯა-გამიშვლებას ვერ უძლებს. ათასი მიზეზით შორდებიან მეთქი ცოლქმარი ერთმანეთს, მაგრამ ჩემი მიზეზი ათას მეერთეა. შეიძლება, კაცო, ყველაფერი იცოდე, ყველაფერი გაანგარიშებულ-აწონილი გქონდეს, არაფერი გეშლებოდეს ადამიანს? შეიძლება ერთხელ არ წაგეჩხუბოს, არ წაგეკამათოს მაინც? ყველაფერი თავის დროზე, ყველაფერი გაუთოვებულ-განმტკიცებული იყოს ოჯახში? შენიშვნის მიცემის საშუალება არ უნდა მოგცეს ცოლმა? არ უნდა იგრძნო მამაკაცმა, რომ შენ ოჯახის თავი ხარ, უფროსი ხარ; ხან რალაც არ მოგეწონება, ხან დაარიგებ, ხან დატუქსავ შენს თანამეცხედრეს? ასეთი მოწესრიგებულობა გამიგონია? ვერ გაგაგებინებ, ვიცი, ვატყობ, მარა რამ ამიშალა, იცი, ნერვები? ხედები? ჩემი ცოლის ნამეტანმა, ზედმეტმა დამლულმა წესრიგანობამ. ქალი იმისია, რომ ცოტა, სულ ცოტა არეული მაინც უნდა იყოს. დილას რომ ვადავებდავდი ლოგინში, ასე მეგონა მსოფლიო ცოდნით დაზუზლული მისანი მეწვა გვერდით, ქალი კი არა. ვერ წამოკრავდი უკანალზე ხელს, როგორც ქალს წამოკრავ ხოლმე ხანდახან, ისე, ზუმრობით. თვითონ კი არაფერს გეტყვოდა, ისე წესიერად ისე სერიოზულად, (მაინც ვერ მოვძებნე ის სიტყვა) იქცეოდა, აღარ გიტოვებდა

გარკვეული

ლლაბუცის ან შეთამაშების საშუალებას. ქალი ქალი უნდა იყოს, მე მგონია. ქალი უნდა იყოს და მეტი არაფერი. ვალიდამ ყველაფერი იცის, რისგან რა გამოვა, რას რა მოყვება, რა სად და რანაირადაა საქირო. ერთი სიტყვა ზედმეტი; ან იეჰვიანე, ქალმა, უსაიდად მაინც; სად იყავი გერვასი, ამდენხანსთქვა, ერთხელ მაინც აიშალე ნერვები, თავი ძალად მოიგვიანე-მეთქი კი არ ვამბობ. ნუ ხარ ასე სულ ერთხანი, სულ კარგი, სულ ჰქვიანი, სულ წინგამხედავი. მოკლედ ვერ გეუბნები, ვერ აგინსნი. მე თვითონვე ვგრძნობ, რომ არა მაქვს მე იმის ძალა და უნარი, სხვას გავაგებინო. სხვები სხვა მიზეზით შორდებიან, რალაც ნაკლი აქვს, რალაც ვერ გაუგია ერთმანეთს, მე — ნაკლი რომ არა ჰქონდა, ჩემი ძალიან, ზედმიწევნით კარგად რომ ესმოდა, ნამეტანი კარგი ცოლი რომ იყო, — იმითმე გავშორდი. ასე იტყვის საქმეში ჩაუხედავი კაცი, ალბათ, ჩემს ბეუტურს რომ მოისმენს. დამანებე თავი, თუ კაცი ხარ. რა სევდა მოვიდა ჩემთან, რა სასწაულმა მიტყია მხარი ვერ გეტყვი. კარგი არ მომიხდა? ერთფეროვნებამ დამალა? შენ თვითონ, შენ ჰქვიანი ბიჭი ხარ; რომ წახვალ, შენ თვითონ მიუმატე ამ ჩემს ნათქვამს, შენი ფიქრიდან რალაცა, მე ზუსტად ვერ გითხარი სათქმელი, მარა, შეიძლება თუ არა ასეთი მიზეზი ჰქონდეს ოჯახის დამნგრევ კაცსო, სხვას ნულარ კითხავ. ჩემს მაგალითზე უნდა დაასკვნა, რომ თურმე შეიძლება. მე არც ვაქარბებ და, მადლობა ღმერთს, ჭერჭერობით სრულ ჰქუაზე ვარ.

— ქალი დაუდის ვილაცაო? ჩვენს ასაკში მოჩვენებითი ახალგაზრდობის

ილუზია ბუნებრივია. **ტიტოლოქი** მხილი სიყვარულის?

— არა, შენ არ მოშოკვდე. ქალი კი მოდის, მარა არავითარ შუაში არ არის ამ ამბავთან. სიყვარულობის თამაში მინდა მე? არავითარი მაგის მსგავსი. იგი ჩემს ცხოვრებაში სულ არაფერს ცვლია. რომ გავა ამ ოთახიდან, მთელი კვირა ისე გაივლის, არც კი გამახსენდება. ცარიელი საათების შემვსები ქალია. თავისი საქმე იცის. დღეს ჩემთანაა, ხვალ სხვასთან წავა. მე სხვა უფრო დიდ რალაცას გეუბნები. ეს ქალი, ეს... უმნიშვნელო რალაცაა. ყოველშემთხვევაში ჩემთვის.

— საერთოდ... რა ვიცი... რას აპირებ?

— შენ ეს მითხარი, გამიგე. ცოტათი მაინც? ხომ გამიგე? ეს იყო ჩემთვის მთავარი. რა ვიცი, რას ვაპირებ. ხვალ რა იქნება ვერ გეტყვი, შეიძლება გამიაროს, უფრო შეიძლება არ გამიაროს. აგერ წელიწადი თავდება და უკან მიხედვაც არ მინდა. მეშინია ვალიდას უჰქვიანესი თვალების და მისი დაწყობილი სჯა-ბაასის გახსენებისაც კი.

— რა გითხრა. ნახე, დააკვირდი... შენი საქმე შენ იცი. იცვლება კაცი. დრო რომ გავა, შეიძლება სხვანაირად შეგედლო ამ ამბავს. შეიძლება მერე სწორედ ასეთი ცოლი სჯობდეს.

— რა ვიცი... რა უცნაური ყოფილა ეს ცხოვრება, ეს უპატრონო.

გვიან ღამით დავემშვიდობე მასპინძელს. სხვაც ბევრი რამ ვილაპარაკეთ, მაგრამ ამ ნოველას ვერაფერს შესძენს და მკითხველს აღარ გადავდლო. ყოველ შემთხვევაში იმ კითხვას, რაც თქვენც გაინტერესებთ („დაბრუნდება თუ არა გერვასი შინ“), ჩვენი საუბრის გაგრძელებამ ნათელი ვერ მოჰქვინა.

### ცოცხალი

სოფელ სხლტეში ბევრი მარტობელა მოხუცი ცხოვრობს. ეს ორი წელია ნიკუშა თავგიაშვილიც მარტო დარჩა. სოფლად, გრძელი მოსაწყენი დღეები-

სა და მუნჯი ცარგვალის ანაბარა შთენილი ბებრების ეულად ყოფნას უმთავრესად ერთი მიზეზი აქვს — თხანმეცხედრე გარდაიცვალა. შეილები ქა-



ლაქს შეეხიზნენ. ნიკუშასაც ასე დაე-  
მართა.

სხლტედან სულ რაღაც ხუთ კილო-  
მეტრში, ხუხას შთის გადაღმა, ზეობაში  
ჩაქანებულ ფერდობს შეჰყვნია კოპწია  
სოფელი ლუ. ლუ ჩვენ ამჟამად მხო-  
ლოდ იმიტომ გვაინტერესებს, რომ იქ  
ცხოვრობს ნიკუშას განუყრელი მეგობ-  
არი რომინზონ ცქვიტინიძე. რომინზონ-  
ნიც სამოცდაათს მიტანებულია და, რა  
უცნაურადაც უნდა მოგეჩვენოს, —  
რომინზონიც მარტოხელა გახლავთ.

რომინზონის და ნიკუშას მეგობრობა  
ამ ორმოცი წლის წინათ უბრალოდ და-  
იწყო. ომის დამთავრების შემდეგ, დე-  
მობილიზებულები ტყიბულის მატარე-  
ბელში დაემგზავრნენ ერთმანეთს. ბევ-  
რი ლაპარაკის თავი არცერთს არ ჰქო-  
ნდა. ორივენი იმ ტყბილ მოგონება-მო-  
ლოდინში ჩაძირულიყვნენ მშობლიური  
სანახებისა და ახლობლების ნახვას რომ  
მოსდევს ზოლმე ხანგრძლივი, მტანჯვე-  
ლი განშორების შემდეგ. მათი დიალოგი  
მოკლე იყო და იმერული მუსაიფისთვის  
საკმაოდ ძუნწი:

- სად მოგიწია?
- მეორე უკრიანულში. შენ?
- როკოსოვსკისთან. ბერლინამდე  
ჩავედით.
- ჩვენ არა. პრაღაში ვიდექით.
- დაქრილი?
- მხარში. ასკოლკა. არაფერი ისე-  
თი. შენ?
- შენ წარმოიდგინე, გაკაწრულიც  
არ ვარ.
- იღბლის ამბავია.
- რა ვიცი.
- აქეთ?
- სხლტედან ვარ. აქედან ცხრამეტი  
კილომეტრია.
- ლუელი ვარ მე. — რომინზონს  
სახე გაებადრა.
- მეზობლები ვყოფილვართ.
- რატო არსად შეგხვდი?
- მე ორმოცდაორში დამიძახეს.
- აბა, სად გნახავდი. ოცდაორ იე-  
ნისს ომი დაიწყო და მე რვა ივლისს  
უკვე ფორმა მეცვა.

— იმ პირველ გაწვევაში, სოხველ-  
რილხარ.

— პირველში, კი.  
ჭურის პლატფორმაზე ერთად ჩამო-  
ხტნენ, ბოგირამდე საუბრით მოვიდნენ.  
ახლა ლუში წამსვლელი მარჯვნივ უნ-  
და შეყოლოდა საურმე გზას, სხლტის  
მგზავრა კი მდინარის ნაპირზე უნდა  
ეელო ბილიკ-ბილიკ.

- წავედი, აბა, მე.
- ამეიარე, როცა მეიცალო.
- გამოდი შენც: სახელი ჭე დამაივი-  
წყდა.
- რომინზონი, რომინზონი ცქვიტი-  
ნიძე.
- მე თავგიაშვილი ვარ, ნიკუშა. გი-  
ნახულებ, თუ მშვიდობა იქნა.
- ლმერთი შენკენ.

ნეტაეი იმ დროა, ორივეს ხის ჩემო-  
დნები ეჭირა, გახუნებულ ჯარისკაცულ  
ფორმაზე გარდიგარდმო გულმოდგინედ  
დახვეული შინელები გადმოეკიდათ,  
გვერდზე გადაბრალი პილოტურებიდან  
ორივეს შავი, ხუჭუჭა ქოჩორი მოუ-  
ჩანდა.

იღინა, იღინა წუთისოფლის მდინა-  
რემ და მეგობრები სიჭარბავის იმ ნა-  
პირზე გაიყვანა, მუხლი. რომ დამძიმ-  
დება, დრო რომ ჩვეულებრივზე უფრო  
ნელა გადის, მოგონებების კრიალოსანს  
რომ ხშირად ფურცლავ და ეზოდან გა-  
დასვლა რომ გულს მაინცდამაინც არ  
ეხალისება.

ამ ხნის განმავლობაში უერთმანე-  
თოდ ჭიქა არ აუწევიათ მეთქი, რომ  
გიტხრათ, არ ვიქნები მართალი, მაგ-  
რამ ის კი ნამდვილია, რომ ფიც-ვერ-  
ცხლის მმანდაფიციები იყვნენ, ჭირ-  
ლხინში ერთმანეთი ეიმედებოდათ, გა-  
რემოების შესაფერისად ხშირად მოი-  
კითხავდნენ და სანამ შეეძლოთ, ტუჩ-  
წატეხილი დოქისთვისაც ფსკერი არა-  
ერთხელ მოუნახავთ.

ახლა, მარტო რომ დარჩნენ, უფრო  
გატეხილდა და განაზღა ნაჯარისკაცალ-  
თა მეგობრობა. დრო თავზე საყრელად  
როდი აქეთ და მგლის მუხლმაც ჭირი  
მოგეჭამა, მაგრამ ადრინდელზე უფრო

ხშირად ხედებიან ერთმანეთს. მისვლა-მოსვლას მოუხშირეს. მე შენ გეტყვი, სალაპარაკო შემოვლევით.

იმ დღეს ნიკუშამ აღრიანად გაიღვიძა. სიმინდის გამარგვლას აპირებდა, მაგრამ გადაიფიქრა, წუხელის ეწვიომა და ატალახებულ ყანაში თოხით შესვლა არ ივარგებდა. ჩექმები ჩაიცვა და ერთხანს ეზოში იბუჯურა. საქონელი არ ჰყავდა. ხუთიოდე ქათამი დაუკინცილებდა ეზოში და ისინიც უნდა მიეყიდა, კვერცხს არ დებდნენ და ოხრახუშს ფოთოლი არ შეარჩინეს.

იენია იწურებოდა. უგემური დილა იყო. კრიდა. ხუხას მთას ჭანლი დასწოლოდა.

აივანზე ამოვიდა, ტალახიანი ჩექმეები ფეხი-ფეხს გაიხადა და ჯერ ისევ თბილ ლოგინს მიაშურა. რადიოს ხრილში მალე ჩაეძინა.

მალე გაეღვიძა. სათოხნი ამინდი მაინც არ არი, რობინზონს მოვიჩანებოდა, გადაწყვიტა. ბლუზა-გალიფე და ჩექმები ჩაიცვა, მამამისის ნაქონი ტყაპუტი მოიგდო მხრებზე, ნაბდის ქული დაიხურა და ჭიშკარი გამოიკეტა. ძალშია გამოსდია. დაუცახანა და ეზოში შეაბრუნა.

ასაქცევამდე იოლად მივიდა. მაგრამ აღმართზე ტალახმა, ცოტა არ იყოს, გააწვალა. უანგისფერ ტალახში ჩექმები ეზლიტებოდა და ნაბიჯის გადადგმა უჭირდა. ხანდახან ჩექმის ძირს ისე მიიკრავდა ტალახი, რომ სიარულის დროს ერთი ზაპან-ტყაპანი ისმოდა. გზადაგზა იელისა და გარეული თხლის ბუჩქებს ეპორწიალებოდა, რომ უკან არ გასრიალებულიყო. როცა ჩაიღამართა, წამით შეისვენა, შუბლ-კისერი ნაბდის ქულით შეიწმინდა, მუხლებს ქარი ამოაღებინა და საურმე გზას კი არ ჩაჰყვა, ზემოთ, გაუქვალავში, ბალახ-ბალახ იარა.

წყაროს რომ გაეცდა, მზემ გამოიხედა და სველ მიწას ოხშივარი აუყენა, ნიკუშამ ტყაპუტი გაიხადა და მკლავზე გადაიკიდა.

— მიინძელო! — დაიძახა ხის ბოძებზე შემდგარი, სანახევროდ კრამიტით

და სანახევროდ ყავრით დასურული ოდის ჭიშკართან. პასუხს არ დაელოდა, კიბეზე ალაჯა და სასატუმრო ოთახის ღია კარში შეიძახა: — რობინზონ! არავეინ გაეპასუხა. შევიდა. სასატუმრო ოთახიდან საწოლ ოთახშიც შეიხედა. ლოგინი აულაგებელი იყო. გადაშლილ საბანზე სათვალე იდო, იატაკზე გაზეთები ეყარა.

ნიკუშა ეზოში გამოვიდა და მარჯვნივ, ალაგეს გადააბიჯა, ვენახში იქნებოდა. რობინზონს ორასიოდე ძირი ბებერი ცოლიყური მოსავალს ბევრს ვერა აძლევდა, მაგრამ თავს იქცევა და ნიადაგ ვენახში ფათურობდა.

სატუმარს ათიოდე ნაბიჯიც არ გადაედგა, რომ იქვე ფოთოლშეწამლული მახლის ძირში პირადმწამოწოლილი რობინზონი დაინახა. თვალები ცისკენ გამტრებოდა, მარცხენა თავქვეშ ამოვლო: ბალახებსგადააწვენილ მარჯვენა ხელში ჩამქრალი სიგარეტი ეჭირა.

— რობინზონ!

მიცვალებულის თვალები შორს და მალლა იცქირებოდნენ.

ნიკუშას ცივმა ოფლმა დაასხა. ჯერ წაიშხლა და მახა გაუსინჯა, მერე გვერდი გაუღულა და ყური დაადო. რობინზონი სიცოცხლის ნიშან-წყალს არ ამკლავებდა. შუბლი გალიგვებული ჰქონდა და ხელები ქვესავით გამოიფეხებული. თვალები დაუხუტა და ჭიშკრისკენ გაიქცა, რომ შეზობლებისთვის შეეტყობინებინა. ჭიშკართან მისულმა მიშველეთ! მიშველეთო!, დაიძახა, მაგრამ არავეინ გაეპასუხა, ყველაზე ახლო მეზობელი, ქვევით, ხევისპირს სახლობდა. ნიკუშა გამოტრიალდა, მკვდარს ილიგებში წაუყო ხელი და რამდენიმე ნაბიჯზე გამოაროდა ვენახს, მაგრამ იგრანო რომ კიბეზე ვერ აიყვანდა. ჩიატანის მოხუცი ტყვიასავით, დამძიმებულ იყო. საშხადიდან ჭილოფის ფარდაგი გამოარბენინა და ზედ ჰაპანწყვეტით გადმოაოჩოხა მიცვალებული. მერე ფარდაგ მოკიდა ყურებში ხელი და ბალახზე გამოსწია, მაგრამ ჭილოფის ნაგლეჯები შერჩა ხელთ, ისევ ჭიშკრისა-

კენ გაყურებულა და გულაბრაგუნებულმა მეზობლებთან ჩაირბინა.

გამხმარ კაცის ხესთან ფეხი დაუცა და სასხლავივით მოკეცილი საჭდომზე გასრიალდა. ძლიერ წამოდგა. წელის ტკივილს ვინღა ჩიოდა, საქონლის სკორეზე დაედგა ფეხი და იმიტომ დაეცემულიყო. შარვალი და ბლუზა-გალოფე ზურგის მხარეა მოსვრილი ქონდა. უკან დაბრუნდა, კიდან ვედროთი წყალი ამოიღო, სამზადიდან ტაშტი გამოიტანა, დაასხა და საიმიწინა უკან მოფარებულში, ტანთ გაიხადა. ქუჭყო-სკორეს ნიფხაე-პერანგიც დაეველებინა. ოდის კიბე აათავა, სკვირიდან რობინზონის საცვალი ამოიღო, კედლიდან უკანალზე დაეკრებულ, ოდესღაც ლურჯი გალიფეს. შარვალი ჩამოსხნა, ჩაიცვა და ტაშტს დაუბრუნდა. თავისი ტანსაცმელი სახელდახელოდ ამორეცხა და იქვე, ბულის ტოტებს მიაფინა.

ახლა წელანდელზე უფრო ფრთხილად ჩაიღოდა თავდაღმართზე. მეზობლის კიშკარს რომ მიუახლოვდა, ძალიერ გამოქანდა და გამეტებული ყუფით მოასკდა რკინის გისოსებს. დაძახება არ დაჰკირვებია. ძალს სამზადიდან თავ-ყბაშეხვეული, შოსანი დედაბერი გამოჰყვა და წელში მოხრილი, ხელების უცნაური ქნევით ეზოში გამოლასლასდა. პატრონის გამოსვლისთანავე ძალღმა თავისი მოვალეობა და მთაერებულად ჩათვალა, გატრიალდა და კიბის ქვეშ მიეგდო.

დედაკაცმა კიშკარსმომდგარი კაცი რომ დაინახა, რამდენადაც შეეძლო, ნაბიჯს მრუჩქარა.

— შემობრძანდით, — შავთელის რგოლი მესერს. ვადაამრო, — დიდი ხანია იმანით, ბატონო?

— სხვა არავინაა შინ, ქალბატონო? — ნიკუშა იდაყვებით კიშკარს ჩამოეყრდნო.

— ზუხუდოს სამოროდოთ წეიყვანეს ამ დილას. შემობრძანდით, ბატონო.

— რა თოხს მეიქნევენ ამ ტალახში? — შავას ეინ კითხულობს, ბატონო. წამოდით დეიძახეს ამ დილას და გავარ-

და. ჩვენი, რომ ხედავთ, მარტინის ქუჩა-მა. არაა დროი. რა ქნა? ერთი კაცია. ვერ წვდება ყველაფერს.

— გლახა საქმე დაგვემართა ამ დილას, ქალბატონო.

— რაზე? — ნიკაპზე მიიღო ხელი დედაბერმა.

— რობინზონი გარდაიკვალა.

— რას ლაპარაკობ? — იყვია, — ამ დილას აქ იყო, შაბი წეილო ჩვენგან, ბატონო?

— ჰო, მე ახლა მევედი და ვენახში, იქავე იყო, მეკვარი დამხვდა.

— სად, რანიარად ასე უცებ, ეგება? — კალთაზე ხელებს იტყაბუნებდა ქალი და წალმა-უყუღმა ტრიალებდა.

— არა, ბატონო, გაციებულია. საბი საათის გარდაცვლილი მაინც არის.

— რაღა ვქნათ ახლა. ე, კაცი მაინც იყოს სახლში, — წრიალებდა მოხუცი.

— რაღას ვიზამთ, ბატონო. თქვენ მაინც უნდა წამობრძანდეთ, მიცვალებულს შეცხადება უნდა.

— ამ წუთას, თქვენ შემოგვევლეთ, წამოვალ, აბა რაა ვიზამ — დედაბერი სამზადში შეფარფატდა და მალევე გამოვიდა თავშალმოხვეული და წინსაფარმოსხნილი. ოდის კიბეზე ახანახალდა, ფეხის წვერებზე აიწია და ხევეღმა, ებოდზე წამოყენებულ ოდას გასაძახა:

— ანეტა! ანეტა! — მიაყურა და რომ არავინ გაეპასუხა, ნიკუშას მოუბრუნდა — გაგიგონია? ანეტას ამ დროს სახლში ჯაჭვით ვერ დააბამ.

აღმართი უსოოდ, ბებრული ყუნცულით ამოათავია. ეზოში რომ შემოვიდნენ და ქალმა კილოფის ფარდაზე პირალმაგაშოტილი მიცვალებული დაინახა — ახ, ჩემო რობინზონო, ხმადაბლა თქვა და ლოყაზე იტყია ხელი.

ოდისქვევით, მუხურიპირს აყუდებულ ტახტი მოძებნეს, გამოიტანეს, ცაცხვის ძირას დადგეს და ობობის ქსელები ცოცხით მოაშორეს. ვენახიდან ჩოჩიალით, ხენეშა-წვალეებით გამოიტანეს მიცვალებული და ტახტზე დაასვენეს. ნიკუშამ სკვირიდან თეთრი, გატყინებული ზეწარი ამოიღო და გადააფარა.

ზეწარი მოკლე აღმოჩნდა. მკვდარს სახე-მკერდი დაუფარეს.

მერე დედაბერი აივანზე ავიდა. ერთი გამოხედა ცაცხვის ხის ძირში ქუდ-მოხდილ, მობუზულ ნიკუშას და ცივი ხმით იკვილა.

— უი! უი! უი! უი!

ნიკუშას კივილზე გააეროლა: „რა ხმა ჰქონია ამ მამაცხონებულს“.

ერთხანს იკვილა შოთანმა, მერე აივანიდან ტაბურეტის სკამი ჩამოიტანა და ცაცხვის ძირას დაჭდა.

— თქვენ? აქანა ხშირად მინახავხართ, ბატონო — ნიკუშას წყნარად, მშვიდად ჰკითხა.

— რობინზონის ძველი მეგობარი გახლავართ, სხლტედან ვარ. ამევედი, ვინახულვებთქვა და ა.

— არ თქვა, ბატონო, ერთწამასა კაცი. მაინც, ასე უცებ...

— უცება, ქალბატონო? პატარა ნუბედურალი და ნაწვალეები ვართ იმ დაწყველილ ოქში? აქამდე რომ გავძელით არ გიკვირს?

— ერთად იყავით, ბატონო?

— კი, ჩემო ბატონო, ერთად ვიბრძოდით, — ნიკუშამ იცრუა, რადგანაც მიიჩნია, რომ ომის დამთავრების შემდეგ, ტყიბულის მატარებელში რობინზონის გაცნობას ომის ცხელი დღეების მოგონება აჯობებდა, ამ ქალის თვალში.

— სიმინდი რავე არი სხლტეში, ბატონო?

— სიმინდს არა უშავს. ხეხილმა მოგჭამა წროულს ჰირი.

— აქაც ასეა. ყვავილშივე მოყინა და ჩეიტანა ყველაფერი.

ერთხანს ჩუმად იყვნენ.

— ვერავის გავაგონეთ, ვითომ, ქალბატონო? — ჰკითხა ნიკუშამ და ამოწეულ თეთრ ზეწარზე ზედ მიცვალებულის ცხვირთან დაფრენილ ბუხს ხელი აუქნია.

დედაბერი წამოდგა, ჯობზედაყრდნობილმა კიბე აათავა, აივანს ორივე ხელით დაეყრდნო, გაიმართა და ხუხუხის მთის მხარეს შეფენილ სახლებს გაჰკვივლა:

— უი! უი! უი! უი! <sup>სარკინული ბინების მიწვევა</sup> თავისი ხმის ექოს მიაყურადა. ერთხელ კიდევ გაჰკვეთა ჰაერი კივილით. აივანიდან სკამი ჩამოიტანა და ნიკუშას დაუდგა.

— დაბრძანდით, ბატონო, ჩამოწყდებით ფეხზე.

— დიდი მადლობა, რატომ წუხდებით, ქალბატონო.

ნიკუშამ სკამი გვერდზე გასწია, მიწას მოარგო და რომ დარწმუნდა, აღარ კოჩავსო, ფრთხილად დაჭდა.

— რავეარი დროა მერე, რაღა ახლა მოუწია ამ უბედურდღეზე გაჩენილს, — ჩაილაპარაკა პირნიკაპზე თითებში ფარებულმა დედაბერმა.

— რა ბრძანეთ, ბატონო? — ნიკუშამ მარჯვენა ყურს ხელი მოახმარა.

— გლახა დროათქვა, გაკრეფილია ხალხი; თუ სამუშაოდ, თუ საშოვარზე, ბაჭული მაინც არ იქნებოდეს წასული სადმე.

ბაჭული რობინზონის ერთადერთ შვილს ერქვა. ცოლ-შვილით ქალაქში ცხოვრობდა. ავეჯის ფაბრიკაში ნახერხის წნეხვის საამქროს გამგედ მუშაობდა.

— რავე? მიდიოდა სადმე?

— ამ წუთას არ ვიცი და, საერთოდ, სულ არ დადის? ახალია მაგენის საქმე და დააპორწილებენ იქით-აქით. ღია ქიშკარში უღლიანი თხა შემოვიდა, ერთი გამოხედა ცაცხვის ძირის სერობას და პირდაპირ ვენახში ღურთა თავი. ნიკუშა წამოხტა და დაედევნა.

— აქეთ, შე სამგლე!

თხამ იგრძნო, რომ მისი საქციელი მაინცდამაინც არ მოეწონათ, ტყემლის ნერგს თავი მოაგვინტა, მოიხედა და წინ გაეარდა. კარგა ხანს სდია ნიკუშამ პირუტყვს, ბოლოს, როგორც იქნა, კუთხეში მიიმწყვდია, უღელში სტაცა ხელი, ქიჩავე-ქიჩავეთ გამოათრია, გზაზე გააგდო და ქიშკარი მიუტეცა.

მზემ გამოანათა და დამბალ მიწას ოხშივარი აუყენა.

ლობეს თავნიკაპწაკრული, არწივის-ცხვირა, მაღალი, გამხდარი ქალი მოა-

დგა, ბროწეულის ტოტი გადასწია და იკითხა:

— შენ კიოდი ელენე?! — აშკარა იყო ქალი ყველაფერს ხედავდა და ხვდებოდა, მაგრამ მაინც იკითხა.

დედაბერი წამოდგა და დოინჯი გაიკეთა.

— შემოდი ანეტა ეზოში, ვერ ხედავ, რა გვჭირს?

— რაი?! — ხმაში კვილი გაურია ანეტამ.

— რობინზონი!

— უი, უი! უი! — შეუაშივე შიაკივლა ანეტამ. ეზოში შემოირბინა ცხედარს დახედა და მუხლებზე ხელი გაიტყაპუნა. აკეცილი, გაბერილი წინსაძარი მოიხსნა, თავი მოუყრა და ცაცხვის ძირას შიადგო — კინჟარს ვკრეფდი, ეს უპატრონო — როდის, რანაირად, რატომ ვერაფერი გავიგეთ, თუ ღმერთი გწამს? — იმ კვილშეცხადებიდან მშვიდ ჩურჩულზე წარმოუდგენელად ბუნებრივად გადავიდა ანეტა.

— რას გევიგებდით, ა, ეს პატროსანი კაცი სტუმრად რომ არ მოსულიყო.

— თქვენ, ბატონო? — ანეტამ ნიკუშას გახედა.

— ძმაკაცი გახლავართ რობინზონის, სხლტედან ვარ.

— პო... კი... ხშირად უთქვამს, ბატონო.

ხუხას წვერიდან ძერა დაეშვა. ისე ახლოს ჩაუჭროლა ცაცხვს, რომ ფრთების შრიალზე სამივენი მილლა აახედა.

— ჰაუ! ჰაუ! შე თვალბდასაფსებო! — ასძახა ანეტამ და ნიკუშას აუწყა — წიწილა აღარ შეგეარჩინა, გუშინ ორიბეშვისხელა მოჩოთა მომტაცა ამ ბალანდამწვარმა.

ნიკუშა წამოდგა და ცხედარს შემოუარა.

— ახლა, ბოდის კი ვიხდი, მარა, ჩემგან რაღა გესწავლებათ, პატარა მივალაგოთ. ეგება, ეზო-სახლი. ხალხი მოვა და უხერხულია.

— ამ წუთას, ბატონო.

ელენე და ანეტა ეზოში რომ ფათულობდნენ, ნიკუშამ მზეს გახედა და გა-

იფიქრა: „ნეტავი თუ გამარჯვებულნი ვართ ხავ-შარვალი და რანაირად მოვახერხო ამ დარბაისელ ქალებთან ტანზე გამოცვლა“.

ამასობაში ანეტამ სამჯერ ჩაუარა სახლის უკან გაფენილ სარეცხს, მობრუნდა, ბეოლის ტოტიდან ნიკუშას ტანსაცმელი ჩამოხსნა და მკლავზე გადაიკიდდა.

— იყოს, ბატონო, გაშრეს, ჩემია მაგი. უნდა ჩევიცვა, რავარც გაშრება.

ანეტა კიბისკენ წამოვიდა.

— მე მითხარით რამე, ბატონო?

— ნუ ჩამოხსნით მეთქი მაგ სარეცხს. ჩემია; უნდა გამევიცვალო. წელან, ქვევით რომ ჩავდიოდი, ფეხი დამისხლტა.

ანეტა შედგა, ღიმილმა გაუელვა ნესტოებზე, მაგრამ თავი შეიკავა.

— გლახა ტალახი იცის მაინც ამ დასაწვავში, სხლტება ფეხი, ბატონო. გაბრუნდა და სარეცხი ისევ სახლის უკან გაიტანა.

ამასობაში ელენემ ეზო მოაწესრიგა და მხარზე ფოცხვადადებულმა ანეტას ჩაუარა. ანეტამ შეაჩერა და რაღაც უთხრა. ორივენი მხრებაძიგბიგებით, ტუჩებზეხელბჩამოფარებულები, კარგა ხანს იცინოდნენ.

ნიკუშამ ვითომ ვერაფერს ვხედავ და ვამჩნევო, ჯიბეში ხელი ჩაიწყო, ქალებს ზურგი შეაქცია და მზისგულზე მწვანე ფარდად დაშვებულ ხუხას მთას გახედა.

ერთი საათის შემდეგ ანეტა და ელენე რობინზონის სახლის აივანზე იდგნენ და ჰკიოდნენ. მათი ხმები ერთმანეთს ავსებდა, ერთ ზარად იკრიბებოდა და ექოდ უბრუნდებოდა ფოთლებ-აშრიალეებულ ბებერ ცაცხვს. თითქოს ერთმანეთს ეჯიბრებიანო, ჰკიოდნენ თმის ამბურძგლავი, ამაზრზენი კვილით, დროგამოშვებით ერთმანეთს გახედავდნენ, თითქოსდა რიტუალს ასრულებენო; სერიოზული და, ღმერთო, შეგცოდე, მშვიდი სახეები ჰქონდათ.



## ორავული

საქონის  
ნიმუში

მივლინებაში მყოფ კაცს ერთი ცუ-  
ლლუტობა. მანაც რომ არ მოუვიდეს  
თავში, იწვიათია, მაგრამ პარმენ კოტ-  
რიკაძე მორალურად მდგრადი და თავ-  
დაპყრილი კაცი გახლდათ. მივლინება-  
ში სად არ ყოფილა და რა მაცდუნე-  
ბელ გარემოებაში არ ჩაეარდნილა, მა-  
გრამ იმ საეალო ფაქტამდე არ მიუ-  
ყვანია საქმე, რისთვისაც ასე გმინავენ  
მივლინებულ ქმართა ცოლები და, რა  
დასამალია, შფოთავენ არც თუ უსაფუ-  
ძვლოდ.

სამი დღით მოავლინეს საოლქო  
ცენტრ რიაში ფანტასტიკის მოყვარუ-  
ლთა კლუბის წევრი პარმენ კოტრიკა-  
ძე. ვერ დავძალავ, ფანტასტიკის ხაზით  
იგი მივლინებაში პირველად იყო. კლუ-  
ბის თავმჯდომარე შეუძლოდ გახდა და  
წინა დღეს კლუბის რიგით წევრს —  
პარმენს დაავალა არც თუ იოლი მი-  
სია — გამგზავრებულიყო რიაში და  
ფანტასტიკის მოყვარულთა კლუბების  
თათბირ-სემინარს დასწრებოდა. თავმ-  
ჯდომარეს, თუ სადმე სამართალია,  
ჯერ მოადგილისთვის უნდა შეეთავაზე-  
ბინა რიას წასვლა, მაგრამ იმ მოადგი-  
ლეს, მსოფლიოს სხვა მოადგილეებისა-  
გან განსხვავებით, ზედმეტად თავის გა-  
მოჩენა უყვარდა და, ვინ იცის, იქნებ  
სწორადაც მოიქცა კლუბის თავი, რომ  
თათბირ-სემინარში მონაწილეობა თა-  
ვის მზარდ, ენერგიულ მოადგილეს კი  
არა, ისეთ უპრეტენზიო და ჩუმ კაცს  
დაავალა, როგორც იყო პარმენ კოტ-  
რიკაძე.

თავად პარმენი დამკრძალავ ბიურო-  
ში უმცროს მორიგე-დამკრძალავად მუ-  
შაობდა და ნიადაგ მოლუშული დადი-  
ოდა. მოლუშული იმიტომ კი არ და-  
დიოდა, რომ ხელფასზე ცხოვრობდა და  
სამი „ლლაპის“ (როგორც თვითონ ეძა-  
ხდა) მამამრჩენელი იყო, არც მხოლოდ  
იმიტომ, რომ შემოქმედებით სიხარულს  
თითქმის არ ანიჭებდა მისი სევდიანი  
პროფესია. პარმენი ბავშვობიდანვე  
წყნარი და გულჩახვეული გახლდათ.  
ალტკინებულ და გართობისმოყვარულ

ხალხს ვერ იტანდა. ხუმრობის უნარით  
დაჯილდოვებულებსაც, კაცმა რომ  
თქვას, დიდ პატივს არ სცემდა და მათ-  
თან ურთიერთობას გაურბოდა. ანეკ-  
დოტის გაგონებაზე თითქმის არ იციო-  
და, ან გაიცინებდა მოგვიანებით და მა-  
შინაც ფრთხილად და მოზომილად.

სადილობის დრო იყო. პარმენი ლე-  
გენდარულ მზევრავ ჩიჩეს გამზირს  
მოუყვებოდა და იმგვარ კაფეს ეძებდა,  
სადაც შედარებით ხალვათობა იყო.  
დღევანდელი თათბირ-სემინარით კმაყო-  
ფილი ბრძანდებოდა მეთქი, რომ გით-  
ხრათ, არ ვიქნები გულწრფელი. პარ-  
მენს ფანტასტიკური წიგნების კითხვა  
უყვარდა, მაგრამ იცოდა, რომ ფანტას-  
ტიკის მიღმა არსებობდა სხვა ცხოვრე-  
ბაც.

საქმიანი და კონკრეტული გამოსე-  
ლებით არც დამკრძალავ ბიუროთა  
გაერთიანებულ სემინარებზე იყო პარ-  
მენი განებეზრებული, მაგრამ რაც  
დღეს მოისმინა, ჭკუასთან ცა და მი-  
წასავით დაშორებულად მოეჩვენა. მომ-  
ხსენებელი და კამათში გამოსული ამ-  
ხანაგები, პრეზიდენტში როცა ისხდ-  
ნენ, სერიოზული ადამიანების შთაბე-  
ჭდილებას სტოვებდნენ, მაგრამ სიტყ-  
ვას მისცემდნენ თუ არა, რაღაც არაამ-  
ქვეყნიური, მოციხფრო-მოვადრისფრო  
ათინათი დაადგებოდათ სახეზე და ხმის  
ჩახლეჩამდე გაჰყვიროდნენ იმის შესა-  
ხებ, რომ ადამიანთა შორის სათნოები-  
სა და პარმონიის დამყარების ერთად-  
ერთი გზა ფანტასტიკის კლუბების მუ-  
შაობაზე გადის. რომ ისტორიის ამ  
ეტაპზე ხსნა მხოლოდ ფანტასტიკის  
კლუბებშია. რომ მხოლოდ ფანტასტი-  
კის მიმდევართ შეუძლიათ ურთულესი  
სოციალური და ეკონომიური საკითხე-  
ბის გადაჭრა და აღშფოთებას გამოთ-  
ქვამდნენ იმ ჩამორჩენილ პირთა მი-  
მართ, ვინც შეგნებულად თუ შეუგნე-  
ბლად აფერხებდა ფანტასტიკის მოყვა-  
რულთა კლუბების ფართოდ გაშლილ  
მოძრაობას.

„ოქროსავით მთავრობა გვყავს. ვინ

მოგისმენდა, ვინ გაცლიდა, ან ვინ მოგითმენდა ამდენ ბუტუტურს. რა მინდოდა ამგენთან? მე ვთქვი, ცოტას გადავხალისდები თქვა და უარესი შემართება, ფიქრობდა პარმენი და თანდათან, დაბეჭითებით მიდიოდა იმ გადაწყვეტილებამდე, რომ შინ დაბრუნებისას ფანტასტიკის მოყვარულთა კლუბისთვის ხელი დაეჭნია და სხვა, უფრო მარტივ კლუბში ჩაწერილიყო.

სექტემბერი იწურებოდა. რაკი რიამი აღრე ზამთრდება ხოლმე, პარმენს თადარიგი დაეჭირა და თბილად ჩაეცვა. გუშინ საღამოს მატარებლიდან რომ ჩამოვიდა, დიდი სამრეწველო ქალაქისათვის დამახასიათებელმა ჰვარტლმა შეუღიტიწა ცხვირში და სიცივემ ყურები აუწვა. ამ დილითაც არ უნანია დაბამბული პალტო და თბილი წინდები რომ ეცვა, ახლა ნანობს. რიას მტვრიანი ზეცა ერთბაშად ოქროსფრად აკიფდა. ჩვენი გმირი მზეს ვერ ხედავდა, მაგრამ გრძნობდა, რომ იგი სადღაც ახლო იყო და შემოდგომის სითბოში დაეჭვებულ მოქალაქეებს თავის ძალას აგრძნობინებდა. კოტრიკაქემ ჭერ კაშნე მოიხსნა, დაახვია და გულის კიბეში შეინახა, მერე ერთდღიან ბუკლეს ქულად იშვლიბა და საკერცხულოვით მოაქნევდა, მაგრამ სიცხეს მიინც ვერ დაემალა. ბოლოს პალტო უკან გადაიწია და ბეჭებს ქვევით მკლავებზე ჩამოიკიდა. პალტოაფართხნებული, კისერწაწვდილი, აჩაბაჩად მიმავალი პარმენი შორიდან სირაქლმა გეგონებოდათ, ახლოს რომ მიხვიდოდით, უქველად მიხედებოდით, რომ ჩამოსული კაცი გახლდათ და ელეგანტურ ჩაცმა-სიარულზე უარი იძიტომ ეთქვა, რომ მაინცდამაინც არ ენაღვლებოდა; რას იტყოდნენ მასზე რიას პატიოსანი მოქალაქენი — მათს მყუდრო ქალაქში გამოჩენილ ამ „უცხო კამეჩს“ ირონიულ მზერას რომ მიიყოლებდნენ ხოლმე.

კაფეტთან და „შესარბენ სასადილოებთან“ დიდი რიგი იდგა. რაკი პარმენს რიგში დგომა ჰირივით სძულდა, შეიძლებოდა ლეგენდარულ მზვერავ ჩიჩეს გამზირზე ფანტასტიკის მოყვარულ-

ლთა კლუბის წევრის ემართონული რბოლა უშედგოდ დამთავრებულყოფას ჩვენს უკიდვგანო ქვეყანაში სასადილო შესვენება, მადლობა ღმერთს, ყველგან ერთდროულად მიმდინარეობს, ხოლო მშრომელი მოსახლეობის უმეტესობა დროის მოგების მიზნით დასაწყობლად კაფე-სასადილოებს უფრო ეტანება, ვიდრე ორკესტრებითა და შავფრაკიანი ოფიციატებით აელვებულ რესტორნებს.

სათზე რომ დაიხედა, დარწმუნდა, რომ სემინარის თავმჯდომარის მიერ თავაზიანად დათმობილი ორი თავისუფალი საათიდან ერთი ლამის უკვე ამოწურულიყო. ამ ძებნა-ძებნაში ე მანდ მშვიერი არ დაერჩეო, პარმენმა იკადრა რიგში ჩადგომა და თვითმომსახურების კაფე „მისტერიას“ სამზარეულოსაც ჩაუარა ყვავილოვანი ლამბაქით ხელში, მაგრამ მხოლოდ ჩაუარა და მეტი არაფერი. ასორტიმენტი არ მოეწონა.

იმ გარდამავალ წლებში, როცა ეს ამბავი მოხდა, საოლქო ცენტრ რიას კაფე-სასადილოები მენიუს დიდი მრავალფეროვნებით არ გამოირჩეოდნენ. თითქმის შეთანხმებულანო, ყველანი ერთნაირად, პირველ კერძად ნაკრებ-სალიანკას სთავაზობდნენ მუშტარს, მეორე კერძად — კატლეტს ან გაყინული ქათმის მოლურჯო ნაწილებს, ხოლო დასაყოლებლად — იისფერ კისელს აწვდიდნენ. კისელი ღრმა, რვაკუთხად თლილ ჰიქებში ესხა და მოანგარიშის გვერდით, მაგიდაზე იყო გამწყრივებული.

მზვერავ ჩიჩეს გამზირი რომელიდაც ფართო პროსპექტზე გადიოდა, მაგრამ პარმენი პროსპექტის სახელწოდებით ამჯერად არ დაინტერესებულა. იცოდა, რომ ქალაქის მთავარ არტერიებს უმეტესწილად ჩვენში ერთნაირი სახელით ნათლავენ. რიას ღირსშესანიშნაობებზე მეტად მას ამჯერად საზოგადოებრივი კვების პუნქტი აინტერესებდა და როცა კაფე „საეროშიც“ მისთვის სანუგეშო ვერაფერი შესთავაზეს (განსაკუთრებით ცუდ გუნებაზე სამზარეულოს

სპეციფიური სუნი აყენებდა), ლამის სასოწარკვეთილებაში ჩავარდა.

შუბლ-კისერზე ოფლი ცხვირსახოცით შეიწმინდა, პალტო ბეჭებზე დაიბრუნა და ის იყო უკან წამოსვლას აპირებდა, რომ კოტოვსკის თვალთან შეჯგუფებულ-შეჩოქოლებულ ხალხს ჰკიდა თვალი. ახალა შეამჩნია, რომ მის წინ ჩველილი მოქალაქეებიც იმ ადგილისკენ გარბოდნენ. ზოგნი დარბაისლური ძუნძულით; აქაოდა რა უნდა იყოს დასაფეთებელიო, ზოგი კი ხელების იმგვარი ქნევით, რომ ფუტკარდასეული გეგონებოდათ.

პარმენ კოტრიკაძეც, რასაკვირველია, მუშტად შეკრულ ბრბოს მიეახლა და თვალს არ დაუჯერა: თეთრხალათიანი, ლოყებლავდაცა, ძალუმად დამჩნეულ მუცელსა და ბარძაყებზე შავბრუნებულ-ფარებული ქალი, თევზს ჰკიდა. გაყინულ, ერთმანეთზე მიჯრულ-მიპრესილ კაპარჭინას კი არა — ცოცხალ ორაგულს. უზარმაზარ კასრში ახლად-ჩაყრილი ორაგულები პირს აღებდნენ, ლაყუჩებს ბერავდნენ, ღონივრად დგაფუნობდნენ და აწონვის დროს ცოტა საზრუნავს როდი უჩენდნენ, ისედაც ნერვებმოშლილ გამყიდველს. პარმენი არც დაფიქრებულა, რიგი დაიკავა და ორი საშუალო ზომის ორაგულის აწონვა სთხოვა თევზის ვაჭარს. უკან მდგომნი აყაყაზდნენ; ერთი წაიღოს, ჩვენ არ შეგვხვდებოა, მაგრამ ლოყებლავდაცა, რატომღაც სიმპათიურად განწყობა პარმენისადმი და სწორედ ორი ორაგული (ერთად სამკილონახევარი გამოვიდა) აუწონა. მერე უფრო დიდი უხერხულობა იმ გარემოებამ შექმნა, რომ მყიდველს, პარკი კი არა, გაზეთიც არ აღმოაჩნდა, რომ თევზი გაეხვიო. გაბრაზებული გამყიდველი, ის იყო, აწონილი ორაგულის სხვისთვის გადაცემას აპირებდა, რომ ვიღაც ლეთიან-მადლიანმა შეიცოდა და ნელიონის პარკი მიაწოდა ელდანაცემ პარმენს. რიგს რომ გაშორდა, კოტრიკაძემ უბედნიერეს კაცად იგრძნო თავი. რა მოსატანი იყო პატარა ნერვიულობა, მაშინ, როდესაც მას, რიამი სტუმრად ჩასულ კაცს,

ხელთ ორი ულამაზესი ორაგული — ტყვირა. იქნებ არც კი იყოს საჭირო ამის ხაზგასმა, რომ პარმენს თევზი ძალიან უყვარდა.

ქუჩა გადაჭრა და ლამის ცეკვა-ფრენით იარა კაფე „მისტურიამდე“. მზარეულს ვთხოვ, შევაწვევინებ ორაგულს და უგემრიელესი საილიც განაღებდელი მაქვსო, მაგრამ ხომ გაგიგონია, ძვირფასო მკითხველო, კაცი ბჭობდა და ღმერთი იციოდო.

მზარეულმა გამგესთან გაგზავნა, თუნებას დამრთავენ, ზეთი არ მენანება და ტაფაო. გამგემ მოუსმინა უჩვეულო მომხმარებელს, ორაგულებიც უხალისოდ შეათვალიერა, დაამთქნარა. პომადიან, სქელ ტუჩებზე ხელისგული სამჯერ მიირტყა და ჰკითხა: „თქვენ ამას სერიოზულად მეუბნებით, თუ მეხუმრებით“. „სერიოზულად“, მიუგო პარმენმა. „მერე, შე კაი კაცო, რა დაგიშავე, რომ ციხეში ჩემი გაშვება გადაგიწყვეტია“. სანამ გაოცებული პარმენი პირს გააღებდა, გამგემ აღსწავა: „იცი, რას ნიშნავს „მარცხენა საქონლის“ შეტანა კაფეში? სახკონტროლი რომ შემოვა, შენ გგონია დამიჯერებს, რომ ხათრი ვერ გაგიტეხე და სტუმარ-მასპინძლობის იდეით შეგიწყვი შენი კუთვნილი ორაგული? სახკონტროლიც რომ არ შემოვიდეს, მინიმუმ სამი მომხმარებელი მაინც დაწერს ანონიმურ ბარათს: აქაო და ესაო, ჩვენ გაყინული ხორცის კატლეტს მივირთმევდით და ვიღაც შეებეწვას და ფართოყურებიანს შემწვარი ორაგული მიართვას“.

გამგის დამაჯერებელი კილო თხოვნის გაგრძელების კი არა, შეკითხვის მიცემის ადგილსაც არ ტოვებდა; ისე საფუძვლიანად იყო ყველაფერი განმარტებული. პარმენი ქუჩაში გამოვიდა და ჩიჩეს გამზირს აღმა აუყვა.

კაფე „საეროდანაც“ უარით გამოისტუმრეს, ხოლო სასადილო „მხოლოდ თქვენთვის“ სანიტარული დღის მომზებებით დაკეტილი აღმოჩნდა. სასტუმროში მისვლას ვერ მოასწრებდა, მაგრამ დრო თავზე საყრელადაც რომ ჰქონოდა, არც სასტუმროს ბუფეტში

(რესტორან ან არემონტებდნენ) შეხედვებოდნენ თანხმობითა და საიმოვნებით პარმენის თხოვნას. ამ დღით საუზმისას შეესწრო — არაბ მოხელეს, მებუფეტემ. შვედური ლუდის ბრჭყვიალა ჭილა ჩანთაში რომ ჩააბრუნებინა: ხალხს ნერვებს ნუ უშლიო. რესტორან „კაფეთესეს“ კიბეები წელმოწყვეტით აიბრა, კარისკაცმა, რომელსაც კატეგორიულ მკაცრ კილოზე ეტყობოდა, რომ მისი ფუნქციები გაცილებით უფრო ფართო იყო, ვიდრე კარის უწყინარი გამღებ-დამკეტავისა, ვერ პალტო გაახდევინა, მერე საქმიანი იერით, მარცხენაში ორაგულიანი პარკით და მარჯვენით თმების ვარცხნით მიმავალი პარმენი ერთხელ კიდევ შეაჩერა: დარბაზში პარკით შესვლა არ შეიძლებაო. თევზის მოყვარული გამობრუნდა და მეგარდერობეს თევზი გაუწოდა. მეგარდერობე არც წამომდგარა: — გარდერობში ზორცეულს, თევზეულს და საკონდიტრო ნაწარმს არ ვინახავთო. აბა, სად წავიღო, ვთქვათ სიტყვაზეო? — წყრომაგარეულად ჰკითხა პარმენმა. მეგარდერობეს სულ არ აინტერესებდა, სად წაიღებდა თევზს მოქალაქე. თვალის ჩაყვრას პარმენმა — არ გაწყენინებ, კაი კაცი ვარო — რომ დაამატა, გარდერობის პაუზისმგებელმა პირმა გატეხა ადმინისტრაციის წინაშე დადებული ფიცი და ნეილონის პარკი დახლსქვემოთ, იმ ადგილას შეჩურთა, სადაც ჩვეულებრივად, მომხმარებელთა უცხაბუტეებს, ხელჩანთებს და ქოლებებს ინახავენ ზოლზე.

როცა მკლავზე თეთრტილოგადაფარებულმა, მერცხლისიერიანმა (ფრაკი ეცვა და თეთრ კვართზე, ყელთან, შავი პეპელა-პალსტუხი უჩანდა) ოფიციატმა მონიტორიუე ქურნალისტიკით უბის წიგნაკი და ფანქარი მოიმარჯვა, პარმენმა მაგიდაზე თითები აათამაშა და ჰკითხა:

- თევზეული გაქვთ რამე?
- არა — დაბეჭითებით მიუგო მომტანმა.
- აბა რა გაქვთ?
- პირველი „ნაკრები — სალიანკა“,

მეორე კატლეტი, მესამე კრისტალი მერედ ქათამიც გვაქვს. სხვათაშორის „ქათამი“ — მცირე პაუზის შემდეგ დაამატა.

- თევზს ვერ შემიწვავთ? — იღუმალი ჩურჩულით ჰკითხა.
- რომელ თევზს?
- ქუჩაში რომ იყიდება — ორაგულს.

— ქუჩაში სხვაც ბევრი რამ იყიდება, — ჩანს მეზუმრებაო და ხუმრობითვე ლაღად და თამამად უპასუხა ოფიციატმა.

— თქვენ ვერ გამიგეთ. შევიძინე თევზი და აქა მამქვა გარდერობში. თუ შემიწვავთ, ვალში არ დაურჩები. ორი მონზრდილი ორაგულია. ერთი თქვენი ფეშქაში იყო.

ოფიციატს, ეტყობა, კუეაში დაუჭდა ეს გარიგება. ახლავე მოვალ, მზარეულს შევეუთანხმდებიო, თქვა და ფრაკის ბოლოების ქნევით მაგიდებს შორის გასრიალდა, მალევე მობრუნდა შეწუხებული სახით: დღეს არაფერი გამოდისო — პარმენს აუწყა — ზეგ, ზუთშაბათს, თევზის დღეს მობრძანდით და გაგიხერხებთ რამესო. ზეგ აქ არ ვიქნებიო და რომც ვიქნე, ორაგულს ანუ ხომ არ ვატარებ აღმა-დაღმაო — ცრემლი მოერიო კოტრიკაძეს. სად მობრძანდებითო, დანიტერესდა ოფიციატტი, მაგრამ კოტრიკაძემ ამჯერად შეგნებულად არ დააკმაყოფილა რესტორანის მოხელის ცნობისმოყვარეობა. ხუთიოდე წუთის შემდეგ იგი ისევ ქუჩაში იყო მძიმე პალტოთი ზურგზე და ჩამქრალ-ჩაძინებული ორაგულებით ხელში.

— უკაცრავად, ეს ორაგული? პარმენმა უხალისოდ, ზანტად მოიხედა და მაშინვე სამხედრო წესით გაიმართა წელში. მია წინ მომხიბლველი ფერფლისფერთმიანი მაღალი, მწვანეთვალემა ახალგაზრდა ქალი იდგა. ქალს ლამაზ თვალეებში დაღლა ემჩნეოდა, საქმიანი და მისი სილამაზის ქალი-სთვის, ზედმეტად მკაცრი იერი ჰქონდა.

— აგერ ჰყიდდნენ ახლოს, მოსახვე-  
ვში კოტოვსკის ძეგლთან.

— გმადლობთ. ალბათ, პარამენზე.

— არა, ნაღდ ფულზე.

ქალმა კიდევ ერთხელ გადაუხიდა  
მადლობა და მსუბუქი, ჩქარი სიარუ-  
ლით იქეთ გასწია, საითაც პარამენმა მი-  
უთითა. ვინც რიაში ყოფილა, დამეთან-  
ხმება, რომ ამგვარი ქარამოღებული,  
კონტა სიარული მხოლოდ რიელმა ქა-  
ლებმა იციან. ისინი ყველგან ასწრე-  
ბენ, ქალაქური ცხოვრების წესს განსა-  
ცვიფრებელი გეშით გრძნობენ. ჩამო-  
სულივით დაბნეულად არ იხედებიან და  
მომაბეზრებელი შეკითხვით არ აწუ-  
ხებენ გამვლელ-გამომვლელთ. ზუს-  
ტად იციან, სად რა იშოვება და რა  
გზით უნდა შეიძინო. არც წესრიგს და-  
არღვევენ და სტუმარზე დაახლოებით  
შვიდჯერ უფრო სწრაფად გაახერხებენ  
ყველაფერს. რიგს შორიდან რომ შეა-  
ვლებენ თვალს, უკვე იციან, რას „არი-  
გებენ“ და შეხედებათ თუ არა. თუ  
გრძელ რიგში დგას ქალი და თანაც  
მოწყენილობისგან ამთქნარება, მწვანე  
სვიტრი და რეზინის წითელი ჩექმები  
კიდევ რომ არ ეცეცს, უნდა მიხვდე,  
ივრიფასო მკითხველო, რომ იგი თუ  
შორეული დაბიდან არა, ახლომახლო  
სოფლიდან მაინც არის ჩამოსული.

ვერ გეტყვით რატომ, მაგრამ ფაქტი  
ის გახლავთ, რომ, პარამენი ერთბაშად  
მოტრიალდა და ფერფლისფერთმიან  
ქალს გამოუდგა. სირბილით დაეწია, მე-  
რე, თითქოსდა მეც ჩქარი სიარული მი-  
ყვარასო, შეეცადა გვერდით გაჰყოლო-  
და, მაგრამ ჩამორჩა და ისევ ძუნძულ-  
ზე გადავიდა. ქალმა, რასაკვირველია,  
შეამჩნია, მის გვერდით მოფართხუნე  
თევზიანი მამაკაცი, მაგრამ არც რაიმე  
უთქვამს და არც მიუხედავს მისკენ.

იმ ადგილას სადაც წელან თევზს  
ჰყიდდნენ, კაციშვილი აღარ იდგა. წა-  
ქცეული ცარიელი კასრი მოჩანდა და  
თეთრსაღებავგადაცილილი, გადაქანჯუ-  
ლი მაგიდა. სასწორიც კი წაეღოთ, რაც  
ალბათ იმას ნიშნავდა, რომ თევზს გა-  
საყიდად დღეს აღარ მოიტანდნენ და,  
ვინ იცის, იქნებ ხვალაც არ მოეტანათ

— გათავებულა, — ისე მორცხვად  
და მობოდიშებით თქვა პარამენმა, თი-  
თქოს მისი ბრალი იყო.

— ასეც ვიცილი, — ქალმა ერთხელ  
კიდევ შეავლო კოტრიკაძის ფართო ყუ-  
რებს თავისი მწვანე, წყლიანი თვალე-  
ბი, კარგად ბრძანდებოდეთო, დაუბარა  
და ტროლეიბუსის გაჩერებისკენ წავი-  
და.

პარამენმა თავი დაუქნია, საათზე დაი-  
ხედა და ჩიჩეს გამზირს გაუყვა, მაგ-  
რამ რამდენიმე ნაბიჯი რომ გადადგა,  
შემობრუნდა და გაჩერებასთან მდგარ  
ქალს კვლავ გვერდით ამოუდგა.

— იცით რა, — ცხვირი ლამაზ თმა-  
ყურთან მიუტანა ანგელოზისმსგავს მო-  
ქალაქეს, — თუ არ გეწყინებთ, მე შე-  
მიძლია თევზი დაგიომოთ.

ქალმა მოიხედა, ერთხანს უყურა და  
ამოიოხრა. აბეზარ მამაკაცებს იგი სა-  
ერთოდ ორიოდვე უკმეხი სიტყვით იშო-  
რებდა, მაგრამ ისე ალაღად შესაქე-  
როდა უცნობი, რომ საუკმეხსიტყვე-  
ბოდ ვერ გაიმეტა.

— ერთს?

— ორივეს, — პარამენმა პარკი გაუ-  
წოდა.

ქალმა არ ჩამოართვა. ჯერ კიდევ  
ზოგი რამ დასახუსტებელი იყო.

— თქვენ რა, არ გინდათ?

— აიღეთ, არა უშავს მე კიდევ ვი-  
შოვი... არა და, უთევზოდაც იოლად გა-  
ვალ.

— უღრმესი მადლობა, — ქალმა  
თევზი ინსტიქტურად გამოართვა, ფე-  
ხებშუა დაღო ასფალტზე და რედიკუ-  
ლი (ზუსტად ვერ გეტყვით რას ეძახი-  
ან, პატარა ტყავის ხელჩანთას ქალები  
რომ ფულს, პომადას და სახელდახელო  
რალაკეებს დებენ შიგ. შეიძლება რე-  
დიკული ძალიან ძველმოდური სიტყვაა,  
მაგრამ ადრე, ჩემს დროს, რედიკულს  
ეძახდნენ) ტყავანით გახსნა.

— რამდენი მოგართვათ?

— არაფერი... რას ბრძანებთ... კაპი-  
კებია... ნახვამდის — პარამენმა საბტად  
დარჩენილ ქალს ზურგი უჩვენა, პალ-  
ტოს ჯიბეში ხელები ჩაიწყო და „აგი-  
ტატორის ბლოკნოტის“ რედაქციის მა-

ლალი შენობისკენ წავიდა. ამ შენობას წელსვე მიიქცია ყურადღებამ. არქიტექტურულად ორიგინალური რომ იყო, რვაპარტულიანი შენობა ზემოთკენ თანდათანობით ფართოვდებოდა და მარჯვნივ ისე საგრძნობლად იყო გადახრილი, რომ საქმეში ჩაუხედავ კაცს ეგონებოდა, სადაცაა წაიქცევას.

— მოითმინეთ, მოითმინეთ — ფეხდაფეხ მიადევდა კოტრიკაძეს ფერფლისფერთმიანი ბანოვანი, მის კატეგორიულ კილოში, ღმერთო შეგცოდნე, საყვედურიც კი ერთებოდა — წაიღეთ თქვენი თევზი... თქვენ რა... და საერთოდ ...ჩვენთან ასეთი რამეები მიღებული არ არის!

პარმენე შეჩერდა და მდევარს გაუღიმა. მის წინ ანგელოზივით დედაკაცი იდგა — ლამაზნესტოებიანი, გაბუტულტუჩება, შავგრძელწამწამიანი. მწვანე თვალებით შორს იციჩრებოდა, მარჯვენა ხელით ახირებულ მოქალაქეს თევზს აწვდიდა და ღიმილზე, რასაკვირველია, არ პასუხობდა.

— ქალბატონო, თქვენ გგონიათ ასე დიდი მნიშვნელობა აქვს მსოფლიო პროგრესული მოძრაობისთვის ახლა ჩვენს ანგარიშსწორებას?

— როგორ? წყაი წესია... ან ფული უნდა გამომართათ, ან... ქალმა ისევე ჩაიღო ჭიშინან ფეხებშორის პარკი და რედიკული ისევე გაატაკუნა.

— ქალბატონო, ეს ორაგული ჩემთვის, ასე ეთქვათ, მიიწე გამოუსადეგარია — პირზე ღიმილს არ იშორებდა ჩვენი გმირი.

— როგორ გავიგოთ? — ქალს საუღლავზე, მარცხენა მხარეს, ასანთის თავისისხმო ლურჯი ხალი ჰქონდა.

— ჩამოსული კაცი ვარ, მივიღინებთ, ვიყიდვთ ეს ორაგული, მაპატიეთ და ახალი თევზი მიყვარს ბავშვობიდანვე. რა სათქმელია. ჩამოვიარე კაფე-სასადილოები, რეატორანშიც ვახლდათ. ბევრი ვეღრიჯე გამგე-მზარეულებს — შემიწვიეთ მეთქი, მაგრამ ამაოდ. რას ვერჩი იმ ხალხს. ყველას ეშინია, „მარცხენა“ თევზი გამოდის. ჩემი გულისთვის რატომ ჩაიგდებენ თავს. არც სასტუმრო-

ში მაქვს შეწყვის პირობები... ალარა მაქვს. კაცმა რომ ჩქვას, წამშია ღმაც ვამდარა. წავალ ახლა და თათბირ-სემინარს დავესწრებო. თქვენ ჩემზე და იმ ორ კაბიჯზე ნუ იდარდებთ. წაიღეთ ეს ორაგულები და ღმერთმა კეთილად მოგახმაროთ.

ქალი ოდნავ დაშვეიდა.

— გასაგებია... რანაირად... გამოდის, ჩემთვის გიყიდიან... უღრმესი მადლობა...

დაახლოებით ამის მსგავსი რამ ჩაილაპარაკა მწვანეთვალებამ. მსგავსიმეთქი, იმიტომ ვამბობ, რომ ფული კიდევ არ შემომთავაზოსო, პარმენე, ორივე ხელით მიწვდა ქალის ნაზ, რედიკულიან ხელებს, ოდნავ მოუჭირა გამოშვილობების ნიშნად და „აგიტატორის ბლოკნოტის“ შენობისკენ განაგრძო გზა. ქალის ბოლო სიტყვები, ამ მიზეზის გამო, კანტიკუნტად ჩაესმა.

რედაქციის შენობაში არ შეუშვეს. ბუფეტის მხოლოდ თანამშრომლებს ემსახურებო. გამოვიდა და ფერფლისფერთმიანი, ტანკენარი კარებთან დახვდა.

— იცით რა, თქვენი სახელი? — ქალი მორცხვად შესცქეროდა. თითქოსდა ბოდიშს იხდიდა სითამამისთვის და სურდა ეს სითამამე სწორად გაეგოთ.

— პარმენე.

— მე ნატო მქვია. ნატაშა დამიძახებთ — ქალმა ერთხელ კიდევ ააყოლჩაყოლა თვალი კოტრიკაძეს და მზერა რატომღაც ფართო ყურებზე შეაჩერა. პარმენს არ უყვარდა როცა ყურებს უთვალეირებდნენ. — იცით რა, ბატონო პარმენ, იქნებ ჩემთან წამოსულიყავით... გვესადილა... ვერ გეტყვით, შევძლებ თუ არა თქვენი გემოვნებისდარად შევეწვა ეს ორაგულები. მაგრამ ცდას არ დავაკლებ. თუ საწინააღმდეგო არაფერი გაქვთ, რასაკვირველია, — ქალმა კიდევ უფრო მორცხვად დაამატა — მართო ვცხოვრობ.

პარმენ კოტრიკაძეს საწინააღმდეგო რა უნდა ჰქონოდა.

სანამ ტროლეიბუსი მოვიდოდა, მოასწრო ეთქვა ციდან დაშვებული მწვა-

ნეთვალემა ქალისთვის, რომ უპატრონო მიცვალებულთა დამკრძალავ ბიუროში მუშაობდა და ქალაქ რიაში ამჯერად, ფანტასტიკის მოყვარულთა ხედაყოფლობით კლუბს წარმოადგებდა.

ქალი ქვეიანი მოწაფეავეით უსმენდა და ხანდახან თავს უქნევდა.

ტროლეიბუსი რომ დაიძრა, ფერფლისფერთმიანმა ჰკითხა:

— უპატრონო მკვდრები კიდეც არიან?

— არიან, შიგადაშიგ, იშვიათად — მიუგო პარმენმა.

შეიძლება აქ შემეწყვიტა ნოველა, მაგრამ ცნობისმოყვარე მკითხველებმა წერილობითი შეკითხვებით რომ აღარ

შემაწუხონ, დაესძენ რომ პარმენი რასაკვირველია, თათბირ-სემინარზე აღარ დაბრუნებულა და იმ დამეს ქალბატონ ნატოსთან დარჩა.

დილით, გაბურბუთალებულს ფანტასტიკის მოყვარულთა ომახიანი გამოსვლებიდან მხოლოდ შორისდებულები ჩაესმოდა. შორისდებულსა და შორისდებულს შორის კი თვლემდა. წუხანდელი დამის გახსენება სიამოვნებით აურეოლებდა. ფიქრობდა; მაინც კარგადაა მოწყობილი ცხოვრება. ეთქვათ და უარი არ ეთქვათ მზარეულებს ორაგულის შეწვაზე, ზომ ავცდებოდი სამუდამოდ ფერფლისფერთმიან ნატაშასო...

## ილია

ცივა. ცა, როგორც წიგნი ბედის, გადაშლილია...  
მცირე რამ ფთილა — როგორც კრავი მამა აბრამის...  
საგურამოსკენ მიბრძანდება ეტლით ილია,  
მაგრამ სავალი დარჩენია უფლის სახლამდის.

გული ისედაც ჰირვარამით განგმირულია—  
თავგანწირული სიმამრისთვის, როგორც ზურაბი...  
წინ ერთის წამით — მეწამული წიწამურია...  
ცოტალა რჩება წიწამურამდე.

მიფრინავს ტყვია და რეკს მალალ სამრეკლოს ზარი...  
რაა წყვედიადი, შენ გვაუწყე, მზეო ზენიტო.  
— ილია ვარო!.. გაოცებას არ ჰქონდა ზღვარი,  
ვერ იჭერებდა, თვალს ითხრიან თავის ხელითო...

და მოხვდა ტყვია... ბედისწერის გზანი სრულია:  
თეთრი ირემი გასისხლულა და იწრიტება...  
უკან რომ დარჩა დაწყველილი წიწამურია —  
წინ უკვდავების ცრემლიანი ჰეშმარიტება.

• • •

ვუყურებ კატას. მაგიაა კატის მზერაში  
და ყურადღებას ვერაფერი ველარა ფანტავს —  
ნაცრისფერია ანთებული ცისფერ მელანში  
და მონუსხული სიმარტოვით მაკვირვებს კატა.

ვუყურებ კატას: ჩვენ ორნი ვართ კატავ, მე და შენ.  
სხვა ვერვინ გვეტყვის ამაზე მართალს —



დავკანებულვართ სხვადასხვაგვარ ეფემერიდში  
ერთი ალთას და მეორე ბალთას...

ეროვნული  
ბიბლიოთეკა

თუ აკრძალულში შემოვიჭერ — დიდი ბოდისი,  
დანთებული მაქვს წმინდა სანთელი...  
შენ — სიამელი, მე — ფესვებით ზემო ბოდბეში,  
შენ კატა ხარ და მე კი ქართველი.

## ინტურისტის „კახეთი“ ანუ თელავის მონატრაჟა

(იუმორესკა)

### I

მე მონატრა მშობლიური, შორი ძახილი —  
იყალთო, ვრემი, ალაზანი და ალავერდი,  
კახელი გლეხი ვაზისაყენ მხრებში წახრილი  
და ცივგომბორის ლურჯი ხავერდი...  
მე მონატრა ნადიკვარზე შაშვის გალობა,  
ფიჭრის გორაზე „ინტურისტის“ ბარი „კახეთი“  
და მეგობრული შეკითხვების გარდუვალობა:  
— ბიჭო ბაადურ, ხომ არ დაბერდი?..

### II

დილით ყველა ძმაკაცი ერთად გამიზარმაცდა:  
მარტო დაერჩი, ჯანდაბას, მე ხშირად ვითარსები —  
რესტორანში შევდივარ, გადავხედავ დარბაზს და  
მაგიდასთან ნასევანი სხედან ანგლო-საქსები,  
სხვა არა სჩანს არავინ, ეჰ, ამასაც ავიტან —  
ლუღს ავიღებ... მივდივარ ბუფეტისკენ ხველებით...  
რა თამამად უსხედან იბერიულ მაგიდას  
დილიდანვე ხარხოშში —  
— მყოფი უცხოელები...  
აგერ ერთი მილიმის — ვგრძნობ რომ კარგი კაცია —  
ისიც ვიცი — ზღვარამდე — ჩემთვის თავს არ გადადებს.  
ამიტომაც არ მინდა სხვისი აგიტაცია,  
იგი აღარ ჭირდებათ ჩემზე ბევრად პატარებს.  
ჩემთვის ლუღს ავიღებ და გავუგზავნი კონიაკს —  
ასეთი გვაქვს წესი და მებუფეტეც „ჩვენია“.  
„ა ემ სორი“ მაესტრო. რა ლიმილი გქონია...  
მე სულ არ გამოვჩნდები, ბოთლი რა სათქმელია.

უკან რომ გაბრუნდებით თქვით: „ვერი გულ ჟორჯია“ —  
ფული არ ენანებათ.. ნეტა მართლა გამაჩნდეს,



თუმც მასპინძლის ჰონორარი ჩემში ისევ ნორჩია —  
მახლას, ერთი ბოთლის ფულს გამოვართმევ მამაჩემს...

გარეთ მარტო გამოველ, ამ დღეს რაღა გაიტანს,  
ბედს ვენდობი, ჯანდაბას თუ კი დავითარსებო...  
რა თამამად უსხედან იბერიულ მაგიდას,  
დილიდანვე ზარბოშში მყოფი ანგლო-საქებო...

### ბახსოვს, კარგო

ბახსოვს, კარგო: მე და შენ რომ გარეჯისკენ მივდიოდით —  
ბიჭებისთვის საგარეჯოს წარაფი რომ მიგვეჭონდა...  
რომ ვიყავით მომღიმარნი როგორც ორი ილიოტი  
და უდაბნოს მტკრიან გზაზედ ღრუბელი რომ მიჰქროდა?..

როგორ მწარედ მახსენდება, მაშინ ერთი მეგობარის  
მზერა შენსკენ — ლალატი რომ ჰქვია...  
იმ წამს ბედი საკუთარი მოგანდე და ჩაგაბარე,  
მალლა ავყვევ ლავრის ფერდობს ქვიანს.

მართალია, მერე უკვე შენც შენს გზაზე გაუხვიე,  
მაგრამ ეგ რას მომიტანდა ზიანს...  
ო, ის მზერა — სხვა ჯანდაბას წაუღია —  
მეგობრისა... ლალატი რომ ჰქვია.

### ძისბ ქმაკაცს

იყო დრო, კარნი ლიობდნენ, ქარნი წერისა ჰკიოდნენ,  
როდესაც შორი მთებიდან საომრად ჩამოდიოდნენ.  
დაცხრენ და დარჩენ ჩვენთავე, აქ შაბათობენ, კვირობენ —  
მაშინ რაღაცას ჰკვირობდენ, აწ აღარსფერს ჰკვირობენ.  
მაგათაც ცხელი სისხლი აქვთ, თავისას ძირსძირობენ —  
არც არას არ დავითმობენ, არც რა პურმარილს სძვირობენ...  
შენ მოგვიოხებ მარიამ, ჩვენ თურამ წყენა-ქრილობებს —  
ერთი საძმოსი ძმები ვართ, ერთ პირად დავგვაპირობენ.

### ქველი ნისქვილი

კრამიტებში ჩარჩენილა თოვლი —  
უნებურად პირველს იმას ჰხედავ,  
მკადის ფქვილით გამოტიკნულ ტომრებს  
თეთრი მიწა აჰყოლიათ ზედა.

იგინება მეწისქვილე პეტრე:  
ერთი კაცი ვერ ვნახეო დღემდე,  
იტყვი რამეს, ვინ გაიგებს რამეს,  
თითქო მუქთად სარეაელას სცემდე...  
რუს ნაპირსაც შერჩენია თოვლი,  
ბაცი, ლეგა, ჩამომდნარი თოვლი —  
ნაზი, თითქოს დახატაო დეგამ,  
კრამიტებში ჩარჩენილი თოვლი.

## ცისფერი მირაჟი

ეს არის მიწყდა შორი არია  
უკვე დუმული მატულობს მზარდი  
და ატივტივდა — საოცარია —  
ცისფერი ვარდი...

კიაფით — თითქოს შუქი დილისა —  
რა იდუმალი ხერხით და ფანდით —  
ელვარით ნელით, როგორც თილისმა —  
ცისფერი ვარდი..

მიწის, შეილი და ასე ციური,  
ვითარცა უცხო სამყაროს ლანდი —  
კეთილშობილი და მისტიური —  
ცისფერი ვარდი..

ლარნაკში ჩანდა ანაზდად ხან და,  
ხან კი ფარავდა აყური ფარდის  
და მიიკარგა ბინდში თანდათან  
ცისფერი ვარდი...

— — —

## ლექსი ვაჟა-ფშაველასი და ხოგაის მინდისა

ვაჟა-ფშაველას სახლიდან  
მოსჩანდა ხოგაის მინდის სახლი...  
ხოგაის მინდი მთელი დღე მშვიერი იყო,  
ხორცს არ ჰკამდა  
და ყანაც მოსამკელი დარჩენოდა...

ვაჟა-ფშაველა სახნავად გასულიყო  
და გველისმჭამელზე პოემას წერდა...  
უეცრად ურნატებს შორის ბულბული შეამჩნია  
იგი თვალდახუჭული გალობდა..  
ვაჟა-ფშაველამ გადაწყვიტა  
მთელი სოფლის კატები სახლში დაემწყყედია,  
რომ ეს უცხო, თვალხუჭულა მომღერალი ფრინველი  
არ შეეკამათ...

ხოგაის მინდის სახლიდან მოსჩანდა  
ვაჟა-ფშაველას ქოხი,  
მისი ცოლი სარკმლიდან იხედებოდა...  
მინდის სახლის ბანი რგვალი იყო  
მთვარის ბაკმივით,  
ვაჟასი — ოთხკუთხედი, ვითარცა ტყავი ხარისა...  
ხოგაის მინდის ცოლი ვაჟას ცოლს უღიმოდა...

ორი სახლი ერთმანეთს კარგად ხედავდა  
და თანდათან ერთმანეთისკენ იხრებოდა...  
მერე მკვეთრად მიუახლოვდნენ ერთმანეთს  
და შეერთდნენ...  
მათ შეერთებაზე თითქოს მიწა შეირყა  
და ცაზე ვარსკვლავნი აცქიატდნენ...

ვაჟა-ფშაველასა და ხოგაის მინდის ერთი სახლი ჰქონდა,  
მათი სახლის ბანი ბრტყელი და ოვალური იყო ცასავით  
და ბრუნავდა...  
ხოგაის მინდი ამბობდა: „ჩვენი სახლი ბრუნავსო“...

ვაფა ამბობდა: „მზე და მთვარე ბრუნავენ“...  
 „არა, მარტო ჩვენი სახლი ბრუნავს, სხვა ყოველი უძრავად არსო!“

„არა, ყოველი ბრუნავს და ჩვენი სახლი უძრავად არსო!“

ხოგაის მინდის გველი ჰყავდა...

ვაფა-ფშაველას — ბულბული!

მინდი თავისი ქვეყნის ბედისწერას კითხულობდა გველის

ტყავზე

და მტრის ცაზე მზეს აბნელებდა...

ვაფა პოემას წერდა გველისმჭამელზე,

მაგრამ არ იცოდა როგორ დასრულდებოდა იგი...

ერთ ღამეა გველისმჭამელის ღამაზმა ცოლმა

აფი სიზმარი ნახა:

„თითქოს ცას პირი მოსტეხოდა!..

ჩამოტეხილი სარკმლიდან კუპრის წვიმა წვიმდა

და მათი სახლი ნიაღვარს მიჰქონდა...

მზე შავი იყო, ვითარცა ძაძა ბალნისა...

ვარაკელაენი ცვიოდნენ, როგორც ნაყოფნი ლელვის ხიდან

და მთვარე ქედებზე ვარდებოდა“...

ვაფას არ მოეწონა მზიას სიზმარი

და თვალის უბეები ცრემლებით ჩაეტბორა...

ერთ დღეს ცოლმა ხოგაის მინდის —

ხორციანი სადილი მოუმზადა...

ხოგაის მინდის სიბერის ეამი დასდგომოდა —

„სულერთიაო“ გაიფიქრა და ხორცი შეჭამა...

რაკი ერთი შეჭამა.. ელარ გაჩერდა

და მთელი ძროხა მოახარშინა...

ვაფა-ფშაველამ მხოლოდ ძროხის თვალს ჩახედა...

ხოგაის მინდის გველი გაეპარა!

მინდი გამოეკიდა და ველარ დაეწია... თავის გველს...

ქვას ფეხი წამოჰკრა და

წაიქცა...

კიდეც გამოეკიდა და კიდეც წაიქცა...

ვაფას ცალი თვალი აუტოკდა და...

ბუდიდან ამოფრინდა, —

ვაფა ყველაფერს მიხვდა!..

ხოგაის მინდომ მთვარეს შეხედა —

მთვარეზე თავისი ბებერი სახე დაინახა...

მთვარე გადაქანდა და უფსკრულში ჩაეშვა!

მინდომ იტირა...

ისე იტირა რომ ყანა ცრემლმა წაილო...

თავზე ცოლი წამოადგა, —

ზოგაის მინდომ ვერ იცნო თავისი ცოლი...  
ქალმა სახლისავე გაახედა:  
მინდომ ვერ იცნო თავისი სახლი...

მზიამ ცრემლის ღეარი დაიდინა: —  
„რა მინდობდა მე წყევულს აიხლა რომ გაზიარე...  
ნუთუ აქ არის ჩვენი ცოდვია საიდუმლო ნიშანი?“  
ქალი თავისი ცრემლია მდინარეს მიჰქონდა  
და მთვარისფერ თმებს აფენდა ქმრის გაქვავებულ ბეჭებზე...:  
ზოგაის მინდის ბეჭზე უწინ საიდუმლო ნაწილი უნათებდა,  
ახლა რაღაც ბნელი — გველის ბერულოვით აჩნდა...

იღლიები ისევ გააიებოდნენ  
და იჭიდნენ თითქოს ოლოლები კენესა ისმოდნენ...

სიბრძნედაკარგული ზოგაის მინდი  
იჭდა საკუთარი სახლის ბანზე და მიწას ჩაჰყურებდა, —  
ახლა აღარც ცა ბრუნავდა და აღარც დედამიწა:  
ყოველივე სიერცეში გაქვავებულყო...

ვაჟა-ფშაველა კი ამთავრებდა თავის ჰომეს

გველისმჭამელზე —

ეს იყო შედევრი!..  
გრძნობდა ამას და უხაროდა,  
შაგრამ სიხარული წამიერი იყო —  
რაკი იცოდა, რომ გველისმჭამელია ბედისწერა  
მისი საშობლოს ბედიაწერაა ჰგავდა,  
რომ ის ერთიდაიგივე იყო...  
შას და ზოგაის მინდის ერთი საზიარო სახლი ჰქონდათ,  
რომლია ცხაკით ოვალურ ბანზე ახლა...  
ამოუცნობი ბედის ბორბალი ბრუნავდა  
და მთებს იჭით ჩაშლილი ვარაკვლავების მტვერი ეყარა...

მთვარისა კარუსალიძე

## ღერწმის ყელში ჩამასახლეთ

გაზატხულის წვიმა მასკით,  
ატმის ტოტი დამხურეთო,  
იის წყალში მახანავეთ,  
ვარდის წყალი მასხურეთო,  
კლდეზე აღმად გამომფინეთ,  
ქარში ამათრიალეთო,  
ყაყაჩოსთვის მალოცვინეთ,  
წითლად ამაბრიალეთო.  
ვაზის ფესვი მაცოცნინეთ,  
ვარდია ძირში დამმარხეთ,  
სამშობლოსთვის მალოცვინეთ,  
კელაპტრებად ამანთეთო,  
ჩემი მიწა მაცოცნინეთ,  
ყანად ჩამაშრიალეთო,  
ღერწმის ყელში ჩამასახლეთ,  
ღექსად დამაბრიალეთო.  
მამულისთვის მავალობეთ,  
ამ მინდვრების ცეცხლით ვიწვი,  
თორემ მომკლავს სიყვარული,  
ჩემი ცის და ჩემი მიწის.

## კიდევაც დაიზრდებიან

მერაბ ბერძენიშვილს

მარადისობა სახელს გვიწოდებს.  
თუმც თაობები  
როგორც ლანდები  
მზით ანთებული წამით ვიელვებთ.  
და უსასრულო  
ნათელს ვბარდებით...  
როცა წარსულის მწარე იარებს  
აწმყო წუხილად  
გაიზიარებს,  
დაგვიანდება რაა დიდების,  
თუ უკვდავება  
არ იგვიანებს!  
ცრემლს შელევული ქვათა ღალადი  
ბევრის მთქმელია,  
ბევრის არმთქმელი.

ჩანს სიყვარულად გარდასახვადი  
სხივი იმედის  
გამომსახველი...  
დაუტევია გრანიტს სიციცხლე,  
ვით საქართველოს  
სული ზღაპრული.  
და ბოკვერების მზერა ქართული  
ისე ღიადით  
არის გართული  
თითქოს მერმინი სუნთქავს მიწაზე  
დაუნჯებელი  
სივრცის მშვენებით  
რომ განგვეცადა დროის წინაშე  
მაღლი მაღალი  
შემოქმედების.

## მუნა

გარემოცული სივრცის მშვენებით  
და მზის ფერებით,  
ზეიმობს მუხა  
მოლოდინის ზვიად მწვერვალებს.  
განთიადებთან ერთად იღვიძებს  
და ქარიშხლებში  
მხნედ დგას ყოველთვის,  
უყვარს სიმშვიდე...

არად აგდებს ავდრებს მოხეტყილს,  
მძლედ ეგებება  
დელგმებს ეულებს.  
შემონატრიან მეზობლები ჩუმი ხეგების,  
რომელთაც ყინვა  
უზრობთ სხეულებს!  
მისი ჯილაგი შეინახა ფესვთა სიმტყიცემ  
და ნელა ითვლის  
ათასწლეულებს.



მიზა მახვილამე

• • •

გულის გატეხვა  
მოგაეს ლაჩრობას,  
ვერ გაქცევი  
ასაკს გოდებით,  
ნუ გეშინია,  
ჩემო ბავშვობავ,  
სიბერით უფრო  
გიაბლოვდები.

• • •

სევდით მივდევ ნასახლარებს,  
ძველ ოცნებებს ვასაფლავებ.  
რუხი სივრცის პატარძალი  
გუმბათს ნატრობს ნატაძრალი.  
მეც ვიქნები ნაკაცარი?  
რა წლები და რა ნაცარი.

— — —

## რამეთუ ეწოდა ზარზმა

რომანი

ნაწილი მეორე

თავი პირველი

წიგნსაცავში, სადაც სერაპიონმა ბერძენ და ქართველ ხუროთმოძღვრებს მთავარი ტაძრის ქვისგან გამოთლილი ნიმუშები დაადგმევინა, სინათლე უხვად იჭრებოდა და ისე ანათებდა ორივე ნიმუშს ყოველი მხრიდან, რომ დაჩრდილული და შეუმჩნეველი თითქმის არაფერი რჩებოდა. ანატოლიელი ბერძენი დიომიდე საგანგებოდ იხმეს ხუფთიდან, ანატოლიაში, სირიასა და ბიზანტიაში რომანოზ შუარტყელელიც იყო ნამუშევარი, მაგრამ ხუროთმოძღვრებას თავიდან საქართველოში ეზიარა და მის ხასიათს მაინც ბოლომდე შერჩა ქართული სტლისხმევა და ქართული ხუროთმოძღვრებისათვის დამახასიათებელი ნიშნები. ბერძნული ტაძარი გარედან იმდენად სადა იყო, რომ სწორხაზოვნების მეტი ყურადღებას არაფერი იქცევდა. გუმბათიც ისეთი ჰქონდა, ბერძნულ ტაძრებს რომ აქვთ და არაფერ ახალს არ შეიცავდა. ქართული ტაძრის თაღოვანი სარკმელები და კარები მოჩუქურთმებული იყო, მაგრამ გუმბათს ყელი მაინც დაბალი და მომრგვალებული ჰქონდა და სერაპიონმა აქამდე ვერ

აიძულა შუარტყელელი გუმბათის ყელი აემაღლებინა, მეტი სარკმელი დაეტანებინა და მრავალკუთხოვანი გაეხადა. შუარტყელელი იმას იმიზეზებდა, ქართული ტაძრის მლოცველთა დარბაზი მეტისმეტად გრძელია და ძლიერი ბურჯების გარეშე ამ მძიმე გუმბათს ვერ გაუძლებს და ჩამოიქცევაო. სერაპიონს კი უფრო მალალი, უფრო ნათელი ტაძრის აშენება უნდოდა და შუარტყელელს არც ითხოვდა და არც მოსვენებას აძლევდა, ყოველდღე ეჩიჩინებოდა, ეფიქრა, ეაზროვნა, მოეგონებინა რაღაც ისეთი, რაც მძიმე გუმბათს გაუძლებდა და ტაძარს არ გადატვირთავდა, არ დაამახინჩებდა. სერაპიონს ერჩია მის მონასტერში ტაძარი ქართველ კაცს აეშენებინა, ვიდრე ბერძენს, რადგან გარემოსაც უკეთესად შეერწყმოდა, ქართველი კაცის გუნება-განწყობილებასაც და იმ დამხმარე ნაგებობებსაც. რომლებიც უკვე აშენებული იყო. რვა წელიწადი დასჭირდა ეგვიპტის, კელიონების, სატრაპეზოს, საოსტიგნოს, წიგნსაცავის, საჯინბოს, ბელის, მარნისა და სხვა სათავსოების მშენებლობას. დასრულებული იყო თითქმის გალავნის მშენებლობაც. მხოლოდ სამ-

თალიანი სტოა-კარიბჭე უნდა აეგოთ და მოეპირკეთებინათ, მაგრამ ეს მოხდებოდა მხოლოდ ტაძრის მშენებლობის დამთავრების შემდეგ, რადგან მონასტერში ჭერ კიდეც უამრავი საშენი მასალა იყო შემოსახილი და ამ მასალის შემოზიდვას კარიბჭე უფროდ შეუშლიდა ხელს. ყველა დამხმარე ნაგებობა ქართველი კაცის, გარბანელის გემოვნებით და ქართული ხუროთმოძღვრების თავისებურებებისა და ნიშან-თვისებების გათვალისწინებით იყო აშენებული და მათ შუაგულში ბერძნული ტაძრის ჩადგმა ერთგვარ არეულარევეს და შეუსაბამობას გამოიწვევდა. დაირღვეოდა ეროვნული ერთსახეობა, ფერებიც კი სხვა იერს, სხვა სიმსუყეს შეიძენდნენ. ამიტომაც არ ეშვებოდა შუარტყელულს, ამიტომაც აწვალებდა და აგულიანებდა, მაგრამ თუ შუარტყელული მართლაც მიაგნებდა იმ ხერხს, რასაც მისგან სერაპიონი მოითხოვდა, თვითონაც მოიხვეჭდა სახელს და მთელ საქართველოში დაიწყებოდა ისეთი ტაძრების მშენებლობა, მანამდე რომ არ უშენებიათ.

სერაპიონმა კიდეც ერთხელ შემოუარა ირგვლივ წიგნების გადასაწერ მაგიდაზე დადგმული ტაძრების ნიმუშებს და მთავრად იგრძნო ფიჭვის ახალგაზრდული ფიცრებისაგან გაწყობილი თაროების სასიამოვნო სუნი. გულდასაწყვეტი მხოლოდ ის იყო, თაროებზე ჭერჭერობით მხოლოდ რამდენიმე წიგნი იღო, მხოლოდ ისინი, პარესის მონასტრიდან რომ წამოიღეს, მაგრამ მონასტრის სულიერი ძმები თანდათან ემატებოდა, მალე აქამდე განსწავლული ბერებიც ამოაღწევდნენ და გულმოდგინედ შეუდგებოდნენ წიგნების გადაწერას და გამრავლებას. მანამდე კი მას, იოანეს და ილარიონს იმდენი საქმე ჰქონდათ, რომ თავის მოსაფხანადაც არ ეცალათ. ექვსი ბერიდან ზარზმასში სამი დარჩა — მარკოზი აფხაზეთის სამეფოში გაბრუნდა, ბასილი მიქაელმა იხმო და უკან აღარ დაბრუნებულა, მაკარი კი გასულ წელს მთელ სამცხეში მოღებულმა შავმა ყვავილმა

იმსხვერპლა. იმავე ყვავილმა იმსხვერპლა გიორგი ჩორჩანელის ორი უწლოვანი ვაჟიც, რის შემდეგაც გიორგი კიდეც უფრო თავმდაბალი და ღეთისმოსავი გახდა, უფრო მიენდო და მიეკედლა ღმერთს, მაგრამ შიგნით როგორღაც მოტყდა, დააევიდინა, დამგლოვიარდა, რაღაც ისეთზე ჩაიჭნია ხელი, რისი იმედიც ყველაზე მეტად ჰქონდა. გიორგი რომ არა, რვა წელიწადში ისინი ვერც ამდენ ნაგებობას ააშენებდნენ და ვერც იმ მონებს, კიროთხუროებს, დურგლებსა და კალატოზებს იყოლიებდნენ მორჩილებაში, მონასტრის მშენებლობაზე რომ მუშაობდნენ. მართალია უჩხუბრად, უაყალმაყალოდ, უმსხვერპლოდ არც ამ რვა წელიწადს ჩაუვლია, მაგრამ დიდ შეხლა-შემოსლასა და ამბოხს ადგილი არ ჰქონია. მხოლოდ შავმა ყვავილმა გაავლო ხალხს მესრი და მაშინ ბერები წესის აგებითა და მკვდრების დამარხვით უფრო იყვნენ დაკავებულნი, ვიდრე მასალის მოზიდვით და მშენებლობით.

მაშინ არსიდან არ ელოდა საფრთხესა და მზაკვრობას, არც ის ეგონა, ხელს თუ შეუშლიდა ვინმე ან რამე, ყველაფერი გეგმაზომიერად, თითქმის ძალდაუტანებლად, დაუბრკოლებლად მიმდინარეობდა, რიყის ქვას, სილასა და ხრეშს მდინარის კალაპოტიდან ეზიდებოდნენ, კირს საკირედან, ბეტყეს იქვე ტყეში ამზადებდნენ და უეცრად ისე იფეთქა შავმა ყვავილმა, როგორც ქვესკნელიდან ამოხეთქილმა წუმპემ და წვირემ, სახადი განსაკუთრებით იმ დაბაში მშენებარებდა, სადაც გიორგიმ მონები და ოსტატები დაასახლა. დაბა გაიზარდა, ვისაც სიბეჯითე არ აკლდა, მიწურიდან ფიცრულ სახლში გადასახლდა, ზოგიერთმა შეძლებულმა ადგილობრივმა მკვიდრმა კი ქვის სახლიც კი აიშენა, მაგრამ მიწურების რიცხვი მაინც იზრდებოდა. ზოგიერთ მიწურში რამდენიმე ქვაცი ცხოვრობდა ერთად და ცხადია, სიბინძურე და სიღუპირიც მეტი იყო. დღე არ გავიდოდა რომელიმე მიწურიდან მკვდარი არ გამოეტანათ. მშენებლობა შეწყდა, ხალხი დაფრთხა.

ბევრმა ტყეა და მთას შეაფარა თავი. ზოგიერთს წყლის მიმწოდებელიც კი არ ჰყავდა. ამასობაში მაკარიც ჩაწვა. ირღვეოდა, ირეოდა, იშლებოდა ყველაფერი და სერაპიონს ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს საკუთარი ნაფიქრალისა და ნააზრვეის ნაფლეთებს შორის დაბორილობდა, ხედავდა როგორ შლიდა ქარი, წვიმა და ნესტი იმას, რაც თითქმის აშენებული იყო და ურღვევი ეგონა, როგორ ფართოვდებოდა ბზარები და ხერხელები, როგორ ღებებოდა ხე-ტყე, როგორ მოძვრებოდნენ დღის სინათლეზე ეშმაკეული, ჯოჯობეთური ძაღვები, რომლებიც ზოგჯერ ერთსა და ორ კაცს კი არა, მთელ კაცთა მოდგმას ურევენ გზა-კვალს. მაშინ თვითონაც უთავბოლოდ, შეპყრობილივით დარბოდა დაბასა და მონასტერს შორის და ისე იღვებოდა, რომ ძილიც კი აღარ ეკარებოდა. მის სენაკში თითქმის ყოველამე შემოიფრნებოდა პატარა, გამზდარი, ცხვირპირმოკაუჭებული ეშმაკი, რომელიც მზაკერულად იღიმებოდა, ენას ატარტარებდა, უამრავ ცოდვასა და უზნეობაში დებდა ბრალს და ზოგჯერ ისე ქენჯნიდა, რომ ოფლად იღვრებოდა და დილით წელის წამოწევა უჭირდა. მაკარმა მალალ სიციხეებს, უჭმელობას და დაჩირქებული მუწუხების ქავეილს ვეღარ გაუფლო, სულიერი მძეობი ხელით მოიხშო და ზიარება ითხოვა. მან, ილარიონმა და იოანემ მთელი ღამე ლოცვაში გაატარეს. მომაცვდავი ბოდავდა და ამ ქვეყნისა აღარ იყო, მაგრამ სული მხოლოდ განთიადისას დალია. მისი დამარხვა იმ დღესვე გადაწყვიტეს. მონასტრის ერთ კუთხეში მიწა გათხარეს და სუდარაში გახვეული მამა მაკარის ცხედარი ცივ მიწაში ჩაუშვეს. წესი იოანემ აუგო. სერაპიონს ამის თავიც აღარ ჰქონდა. ბოლო დროს ერთი აზრი აუკვიატა, თითქოს ცხოვრებას კბილბედაკრეკილი, გაბოროტებული, სტრამაქამოუყარავი მხეცი დაეპატრონა, უნაკლოდ შეჯავშნული, მომაცვდინებელი გესლის მთხეველი ურჩხული, რომლის წინააღმდეგაც შეუპოვარი, თავდაუზოგავი ბრძოლა იყო საჭირო

და მას სწორედ ამგვარი მსუქმარეობა და თავდაუზოგაობა აკლდა, რაც აუღლურებდა და ქანკს აკლიდა. როცა სენი საბოლოოდ ჩაკვდა და ჩაქვესკენლდა, მათ ყველაფრის თავიდან დაწყება მოუხდათ. გიორგი ჩორჩანელი ბნელ გომურში იჯდა, აბლოს არაეის იკარებდა, უდროოდ დაღუპულ შვილებს გლოვობდა. მან ისიც კი ვერ მოახერხა, რომ ჩორჩანში გადასულიყო და გიორგისათვის სამძიძარი ეთქვა. სამაგიეროდ გაბრიელ გარბანელმა, ია ცოტაისძემ და იმ ბერებმა გამოიდეს თავი, მან რომ აქ ჩამოსვლის შემდეგ აკურთხა. დადიონენ ტყე-ღრეში, აღიონდენ მთაში და ღმერთის სახელით ხალხს დაბაში აბრუნებდნენ. მართალია, ყველას დაბრუნება ვერ მოხერხდა, ზოგი გაავაზაკდა, ზოგი გატყუიერდა, მაგრამ დაბას ქართლის უფრო მიუთაფარი კუთხეებიდან ეტანებოდა ხალხი და ისევ მომრავლდა, მოძლიერდა და მოლონიერდა. იმხელა ნაგებობა, მან რომ წამოიწყო, ახლომახლო არსად შენდებოდა, არც იმდენი სახსრები და სურსათსანოვავე იხარჯებოდა სადმე, რასდენიც ზარხმაში და აყრილ. ულუქს პუროდ დარჩენილ ხალხს ესეც იზიდავდა. მონასტრის ეზოში ისევ ახმაურდა სამშენებლო იარაღები, ისევ ახორბოცობებო, ისევ გაიმა უწმარური სიტყვები და უკბილო ხუმრობა, ერთმანეთის ქირდეა და აბუჩად ავდებდა. ქვასა და ხეს ხავსი მოსცილდა, აიზილა დუღაბი, აირია ერთმანეთში მტვრისა და ფიჭვის სუნი და იმ დიად საქმეს, რომლის აღსრულებაც მან იღო თავს, აღარც ქარისა ეშინოდა და აღარც უამინდობისა. რას დააკლებდა ქარი და უამინდობა იმას, რასაც კაცის ხელი ყოველდღე ეხებოდა და სიმტკიცესა და სილამაზეს მატებდა, რას დააკლებდა ეშმაკი, როცა მფარველად ღვთიური ძალები ჰყავდა. იგი მხოლოდ სახადის ჩაქრობის შემდეგ მიხვდა, რომ მისი ნების აღმსრულებელი, მისი 'იარალი სწორედ ეს უხეში, უწიგნური, მძიმე შრომას მიჩვეული ხალხი იყო. მათდამი პატივისცემა და ღვთისნიერი სიყვარუ-

ლი მის სულში თანდათან იკიდებდა ფეხს, ზოგჯერ ერთ-ერთ მათგანადაც კი გრძნობდა თავს, მაგრამ ამით არაფერი იცვლებოდა, ხალხი მას მაინც ერიოდებოდა, გაურბოდა, თავისიანად არ ცნობდა. მათთვის იგი ისევ უცხო, მიუწვდომელი სამყაროს წარმომადგენელი, განკარგულებებისა და ბრძანებების გამცემი, ხელისუფლებით აღჭურვილი პირი იყო და რამდენიმე კაციც ვერა, რომლებიც გვერდში ედგნენ და დაუფასებელ სამსახურს უწევდნენ, ყველას შორს ეჭირა თავი. ეს სიმორე მაშინაც კი არ დარღვეულა, როცა დაბაში სახადი მძვინვარებდა და მას და მის სულიერ ძმებს ავადმყოფების მოვლა-პატრონობა უხდებოდა. ერთხელ ერთმა ავადმყოფმა, რომელსაც სახე საშინლად ჰქონდა დაკორტინო, მაგრამ მაინც გამოჯანსაღების გზას ადგა, მის დანახვებზე პირი კედლისკენ იბრუნა და რამდენი არ ეხვეწა მისი დედაცაი, ვადმობრუნდი, წმიდა შამა გვესტუმრაო, არც გვერდი უცვლია და არც ხმა ამოუღია.

ზამთარში, როცა იმხელა თოვლი დაბდა, რომ მონასტერი თითქმის მოწყვიტა დაბას, ისევ შეჩერდა მშენებლობა. ისევ მიჩუმდა და მიხელდა ყველაფერი. მხოლოდ გარბანელი და ია ცოტაისძე აღიოდნენ გაჭირვებით ხარაჩოებზე და რაღაცას ზომავდნენ, ინიშნავდნენ, ახგარიშობდნენ. მესხეთში ზამთარი გაცილებით უფრო ცივი და თოვლიანი იყო, ვიდრე კლარჯეთში და მას ესეც აღიზიანებდა და უშხამავდა გუნებას, რადგან დიდთოვლიანობა მშენებლობას ხელს უშლიდა. ზამთრის ღამეებს უშეტვლად კითხვაში და ლოცვაში ატარებდა. სამცხეში მან რატომღაც არ თვლიდნენ იმის ღირსადაც, რომ იმ რამდენიმე ეკლესიაში, დროსა და მივინვარე მტრებს რომ გადაურჩა, საქადაგოდ მიეწვიათ. თუმცა ვის უნდა მიეწვია? სამცხეს ჯერ კიდევ არ ჰყავდა ნამდვილი ეპისკოპოსი, ისეთი კაცი, ვინც საეკლესიო ხელისუფლებას სადავეებს დაეპატრონებოდა, საეპისკოპოსოში წეს-

რიგს დაამყარებდა და წირვალის თვალყურს მიაღვენებდა.

სერაპიონი მაგიდას მოსცილდა და სარკმელთან მივიდა. შემოდგომა ძალას იკრებდა, პაერში ისეთი სუნი იდგა, მარანში რომ იცის ხოლმე. მალე წვიმები დაიწყებოდა, მაგრამ სერაპიონს ეს უკვე აღარ აღარდებდა, ყველა ნაგებობა გადახურული და დასრულებული იყო. მონასტერს მხოლოდ ტაძარი, სამრეელო და კარიბჭე აკლდა. მთელი მისი ფიქრი და გულისყური ახლა ტაძრისაკენ იყო მიპყრობილი. უტაბრო მონასტერი იგივეა, რაც უთავო კაცი. ამიტომაც დაკარგა კვლავ ძილი და მოსვენება, ამიტომაც ელანდებოდა ღამ-ღამობით გუშმათი, თალები, აბსიდები, ამიტომაც დადიოდა გულჩათხრობილი და წარბშეკრული, ხანდახან ეჩვენებოდა, რომ მისი გატაცება, მისი გულმოდგინება, აეგო ისეთი ტაძარი, როგორც მანამდე არავის აუგია, მართლაც პატივმოყვარეობით, ახელის მოხვევით იყო გამოწვეული და აეთ წუთებში საკუთარი თავი სძაღდა, მღაბალ, უღირს კაცად მიაჩნდა, მაგრამ როცა ლოცვით გულს იკრებდა და ღმერთს რჩევასა და სწორ გზაზე დაყენებას სთხოვდა, ყოველთვის ისეთი გრძნობა ეუფლებოდა, თითქოს ღმერთი მის გატაცებასა და გულმოდგინებას იზიარებდა, თითქოს აგულიანებდა კიდევ, შებოძა დაღად საქმეს და სწორედ ისეთი ტაძარი ამეშენებინა, როგორც საქართველოში მართლაც არავის აუშენებია. ამგვარი გაორება არა მარტო სულსა და გულს უწყაღავდა, გონებასაც უმღერედა და ხშირად თვითონვე ვეღარ ცნობდა საკუთარ თავს. ამას ისიც ემატებოდა ზედ, რომ მარტო იყო და თავის წუხილს, ეჭვებსა და საწადელს ვერც გიორგის გაუზიარებდა, ვერც ილარიონს და ვერც იოანეს. გიორგის ამგვარი ამბებისა არაფერი გაეგებოდა და ფიქრით თავს არ შეიწუხებდა, ილარიონი მხოლოდ მოუსმენდა და თავს დაუქნევდა, იოანე კი ყოველივე ამას მის ახირებულობას, სიშმაგვს და პატივმოყვარეობას მიაწერდა. განსაკუთრებით გა-

ურბოდა იოანეს, რადგან ერთხელ უკვე დაუთმო მისდაუნებურად და მეორედ დათმობა აღარ უნდოდა. თუ მკდარ გზას ადგა და ღმერთს სცოდავდა, ამას აწი მაინც აღარაფერი ეშველებოდა, რადგან ბოლო დროს სხვა რამეზე ფიქრიც კი აღარ შეეძლო, ხოლო თუ მხრთლაც დიდ საქმეს სწირავდა თავს, ამისათვის ღმერთი არ გაიმეტებდა და შეცდომისათვის სასტიკად არ დასჯიდა.

სერაპიონს ეზოდან დედა ალათიას ხმა მოესმა. ალათია ვილაცას უწყურებოდა, ტუქსავდა, არცხვენდა, ალბათ ერთ-ერთ იმ მონაზონთაგანს, წელს რომ შემოაფარეს მონასტერს თავი. ბერად აღკვეციან შემდეგ ქალებთან არავითარი ურთიერთობა არ ჰქონია, ამ მხრივ ისევე გამოუცდელი იყო, როგორც უმანკო ყმაწვილი და ამ დანიხა ბირველად, რომ არიან ისეთი ჭურის ქალები, რომელთაც ყოველთვის იქ უნდათ ყოფნა, სადაც მამაკაცები შრომობენ, ოფლს ღვრიან, რალაცას ქმნიან და ბევრიც რომ ედავო და გაუწყრე, მაინც ვერ მოიცილებ თავიდან. ასეთი ქალები უფრო ახალგაზრდები და თამამები იყვნენ, მამაკაცების ხუმრობა და ლაზღანდარობაც ართობდათ, თვითონაც საკმაო ენაკვიმატობასა და გონებაშეხილობას იჩენდნენ, მაგრამ მონასტრის სიახლოვეს დასწრეულნი და დავრდომილნიც იყრიდნენ თავს, რომელთაც სასწაულისა და განკურნების იმედი ჰქონდათ, იყვნენ ქვრივებიც და შინაბერებიც, რწმენასა და ღმერთს რომ ეძებდნენ და მონასტერს მხოლოდ ცნობისმოყვარეობის გამო კი არ ეტანებოდნენ, არამედ ღვთის სამსახური და ღვთის წყალობა სურდათ. ზოგიერთი მათგანი ისეთი ძაძებით იძოსებოდა, ისე ლოცულობდა და მარხულობდა, რომ მათი ღვთისმოსაობის დაუფასებლობა, ღვთის ღალატი იქნებოდა. სანამ მშენებლობა დამთავრდებოდა, ქალებს მონასტრის ეზოში არ უშვებდნენ, რადგან მუშების მოცდენა და ვალაზღანდარება შეეძლოთ. ამიტომ ისინი ნარჩენი და ვადყრილი ხის მასალისაგან მონასტრის ირგვლივ ხუხულებს იშე-

ნებდნენ, რამდენიმე ქალბ. ურთაქმნასა-ლობდა, მონაზვნურ ცხოვრებას ეწეოდნენ და თავი ისე ეკირათ, თითქოს ჭერ კილზე დაუშთავრებელი მონასტრის მაღლი მათაც ეცხებოდათ. ქალებს შორის ყველაზე ღვთისმოსავი ქეშმარიტად მორწმუნე ალათია იყო. მის ნაჭაფ, მკაცრ სახეს ასკეტური იერი დაჰკრავდა და ძნელი იყო მის გულწრფელობაში და კეთილსინდისიერებაში ეჭვის შეტანა. ამას ისიც ადასტურებდა, რომ ალათიამ მხოლოდ ის ქალები შემოიკრიბა ირგვლივ, რომლებიც აქ სალაზღანდაროდ და ცნობისმოყვარეობის დასაქმყოფილებლად კი არ ამოდიოდნენ, არამედ მართლაც სურდათ ღვთის სამსახური და სულითა და ხორციით განწმენდა. დანარჩენები კი ისე დაიფრინა, რომ მონასტრის სიახლოვეს გამოჩნა ეშინოდნენ. ერთი სიტყვით, ალათიამ მონასტრის გარეთ დედათა მონასტერი დააარსა და ამ მონასტერში თავმოყრილი დედაცაცები უსიტყვოდ და უდრტინველად იტანდნენ უკიდურეს სიღატაკესა და სიღუბჭიერეს. ასე ვაგრძელდა შუა ზამთრამდე, მაგრამ შუა ზამთარში, როცა თოვლმა მონასტერი დაბას მოწყვიტა, მეტრამეტად გაუჭირდათ, ცალკე შიშშილი კლავდათ, ცალკე სიცივე და სწორედ მაშინ დაართო მან ნება ქალებს ორი ერთმანეთისაგან დაშორებული კელიონიდან ერთ-ერთში ჩასახლებულიყვენენ. ამის უფლება მან თავს იმიტომ მისცა, რომ ალათიას ირგვლივ თავმოყრილი ქალები მართლაც მორწმუნენი იყვნენ, ზარზმა ჭერ მონასტრად აღიარებული არ იყო და ზემო კელიონში, რომელიც ას კაცზე მაინც იყო გათვალისწინებული, ჭერ მხოლოდ ოციოდე ბერი ცხოვრობდა. დედნამ მონასტრის ილუმენობა მან ალათიას დაავალა, სურსათ-სანოვავე გამოუყო და გააფრთხილა, თუ მონასტრის მკაცრი წესრიგი დაირღვეოდა, პასუხისმგებლობა მას დაეკისრებოდა. როცა ქალებს მონასტერში უშვებდა, ერთი ფარული აზრიც ამოძრავებდა. იმედი ჰქონდა, რომ ქალები მტკრითა და საამშენებლო მასალით დანაგვიანებულ

ნაგებობებსა და ეზოს გაწმენდნენ, დახვეტდნენ, დააწკრიალეს და ამათ მათ მარჯვე ხელები უკეთ მოიმომედეზდნენ, ვიდრე მონასტერში დასახლებული ბერებისა. მოგვიანებით კი იგი მათ ტაო-კლარჯეთში, დედათა მონასტერში გაგზავნის, სადაც ღვთის სამსახურისა და ღვთისმოსაობის მეტი შესაძლებლობა იყო.

ფიქვები შემოდგომის მზის სხივებს ისე შეანთქავდნენ, თითქოს ცის შუქი მხოლოდ მათი საკუთრება იყო. ფიქვების ნელი, მშვიდი რხევა სერაპიონზეც დამამშვიდებლად მოქმედებდა. სქელი ღრუბლები, დასაუღეთიდან რომ მოიწვედა და თანდათან თხელდებოდა, მოგვიანებით მოაღწევდა ზარზმამდე და ნათელ დღეს დააბნელებდა, მაგრამ მანამდე კი რომანოზ შუარტყელელს შეხვდებოდა და შეიძლება დღესვე გადაწყვეტილიყო ის სადაო საკითხი, დღემდე რომ ორივე იმტვრევიდა თავს.

შუარტყელელი ისე შევიდა წიგნსაცავში, რომ არც კარზე დაუკაკუნებია და არც ბოდიში მოუხდია. მისალმებითაც ისე მიესალმა სერაპიონს, როგორც სისხლის გამშრობ მწვავლებელს. მისი შებლდაარული, პირქუში სახე კიდევ უფრო მოღრუბლულყო, ისეთი გამომეტყველება ჰქონდა, თითქოს ჩიხში მოამწყვდიეს და ყველა გზა მოუჭრესო. შუარტყელელი ორმოც წელს გადაცილებული, გარეგნულად ძლიერი კაცი ჩანდა, მისი ხელები რომ ქვის თლას და ქვასთან ჰიდოილს იყენებ მიჩვეულნი, ერთი თვალის შევლებითაც იგრძნობოდა. მხოლოდ სული ჰქონდა ნათრევი, უნდო და ურწმუნო კაცისა. მზისა და ქარისგან სახის კანი დასწვოდა, დაძარღვოდა და გაუხეშებოდა. ნაჯაფს და ნაწანწალებს არც ცოლ-შვილი ჰყავდა და არც ოჯახი ჰქონდა. სერაპიონმა ისიც კი არ იცოდა, საქართველოს რომელ კუთხიდან იყო შუარტყელელი წარმოშობით, მაგრამ კილოზე ეტყობოდა, ქართლელი რომ უნდა ყოფილიყო. იცოდა ბერძნული და არაბული, ნანახი ჰქონდა სირიის, საბერძნეთისა

და საქართველოს თითქმის ყველა მნიშვნელოვანი ტაძარი და ეკლესია, რატომღაც არც მის ოსტატობასა და უნარიანობაში ეპარებოდა სერაპიონს ექვი, რადგან დინჯი, აუჩქარებელი და სიტყვაძუნწი იყო. ლაპარაკს საქმის კეთება ერჩია, უქმად ყოფნას უქმად შრომა. მხოლოდ ის იყო, რომ ეშინოდა იმისა, რასაც სერაპიონი სთხოვდა, ეშინოდა ისეთი ნაგებობის აგებისა, როგორიც არსად ენახა. ამისათვის საჭირო იყო ბევრი რამის გადაკეთება, უამრავი ზუსტი გაანგარიშებები, სიახლე და მკვლელობა. ეს კი მისგან ბევრ დროს, ძალ-ღონეს, თავდაჯერებულობასა და თავგანწირვისაც კი მოითხოვდა. მერე და ღირდა კი თავის გაწირვად ეს მონასტერი და ის ტაძარი, მისი ხელიდან რომ უნდა გამოსულიყო? აი, ამაში არ იყო დაწმუნებულყო შუარტყელელი და მთელი იმ ხნის მანძილზე, რაც ისინი ერთმანეთს იცნობდნენ, სერაპიონი ცდილობდა დაერწმუნებინა ხუროთმოძღვარი, თუ მისი ხელობის კაცმა რაღაც ისეთი არ შექმნა, რასაც საშვილიშვილო მნიშვნელობა ექნება, ამოდ დახარჯულა და ამოდ უბოგინია ამქვეყნად, ცოდნა, ნიჭი და გამოცდილება ქარისათვის გაუტანებია.

— რისთვის დამიბარეთ, მამაო? — ჰკითხა შუარტყელელმა სერაპიონს უკმეხად.

სერაპიონს შუარტყელელის უკმეხობისათვის ყურადღება არ მიუქცევია, რადგან გრძნობდა, რომ ხუროთმოძღვრის სულში ნელნელა იღვიძებდა შემოქმედი, იღვიძებდა მიძმედ, მტკივნეულად, რაც აღიზიანებდა და აკრთობდა, მაგრამ როგორც კი გაიღვიძებდა, როგორც კი მასაც ისევე შეიპყრობდა მშენებლობის ეინი, როგორც სერაპიონი იყო შეპყრობილი, აქედან ფეხს აღარ მოიცილიდა და თუ საჭირო იქნებოდა, მსხვერპლის გაღებასაც კი არ მოერიდებოდა.

— ჩემს ჰოქმანს და მერყეობას ბოლო მოედო, შვილო ჩემო, ქართულ მონასტერში ქართველი კაცის ხელით აგებული ტაძარი უნდა იდგეს. ამ ორ

ნიმუშს შორის მე შენი ავირჩიე. ხელიდან დიომიდე ბერძენს დავითხოვ და მხოლოდ შენი იმედიტლა ვიქნები, — უთხრა სერაპიონმა შუარტყელელს წყნარად, მშვიდობიანად.

— მე არ მიმაჩნია, რომ ჩემი ნიმუში დიომიდეზე უკეთესია, არც ის მხარებს, მხოლოდ ჩემი იმედიტლა რომ ავირებთ დარჩენას, — უბასუხა შუარტყელელმა ისევე უკმეხად, როგორც მიესალმა. მას სერაპიონის კლანჭებში აღმოჩენისა უფრო ეშინოდა, ვიდრე ქვესთან შექიდეებისა. ის, რომ სერაპიონი წყნარად, მშვიდობიანად ელაპარაკებოდა, სრულიად არ ნიშნავდა იმას, რომ არ გააწამებდა და სისხლს არ გაუშრობდა, რაღაც გაუგონარის აშენებას არ მოსთხოვდა.

— სამაგიეროდ მე მიმაჩნია, შვილო ჩემო, და დარწმუნებული ვარ, რომ არ ვცდები. ბერძნებს მხოლოდ ტაძრის შიდა სიერცის მორთვა-მოკაზმვა უყვართ, ჭართული ტაძარი კი გარედანაც უნდა იყოს შემეკული და ცხოველხატული. რაღაცით ხომ უნდა გამოვიჩინო სხვებისაგან. მხოლოდ ესაა, რომ გუმბათი უნდა ავამაღლოთ და გაეფართოოთ.

— დაიწყეთ ისევ თქვენებური?

— მისმინე, შვილო, ჩვენს საქციელს ღმერთი წარმართავს და რადგან ღმერთმა გუმბათის ამაღლება და გაფართოება შთამაგონა, ეს იმას ნიშნავს, რომ ამგვარი გუმბათიანი ტაძრის აშენება შეიძლება.

— ავი გითხარით, მამაო, ამსიძძიმე გუმბათს ძლიერი საყრდენი სჭირდება. გუმბათის ამაღლება და გაფართოება მწელი არაა, ამას ცოტა მეტი მასალა და მეტი შრომა დასჭირდება, მაგრამ რაზე დავაყრდნობთ, რომ არ ჩამოიქცეს?

— ხროთმომღვარი შენა ხარ, შვილო ჩემო და არა მე. ავი გითხარი, გუმბათის ამაღლება და გაფართოება ღმერთს უნდა რადგან ეს ღმერთის სურვილია. მეთქი, შეუძლებელი არ უნდა იყოს. ხოლო იმაზე, რას უნდა დაეყრდნოს,

შენ უნდა იფიქრო, ეს ხომ შენა გელობაა.

— ვთქვით და გუმბათისათვის მართლაც გამოიძებნა ისეთი საყრდენი, თქვენ რომ გსურთ, მამაო, მაგრამ გიფიქრით იმაზე, რომ გუმბათის ამაღლება და გაფართოება ტაძრის ყველანაგვის ზომების შეცვლასა და გადაკეთებას მოითხოვს?

— მიფიქრია, შვილო ჩემო, და არ შემშინებია.

— იმაზეც გიფიქრით, რომ თუ გუმბათი ამაღლდა და გაფართოვდა, მლოცველთა დარბაზი დამოკლებდა?

— მიფიქრია, მაგრამ არა მგონია მლოცველთა დარბაზის დამოკლებამ ტაძარს ზიანი მოუტანოს და დაამახინჯოს. ჩემის აზრით, ამაღლებული და უკეთ განათებული ტაძარი უფრო ღამაზი და ჰაეროვანი იქნება.

— რისთვის გინდათ ასეთი ტაძარი, მამაო?

— მე მგონია ასეთ რამეს ხუროთმძღვარი არ უნდა შეეცდებოდეს.

— არა, რისთვის გინდათ მაინც?

— მე კი არ მინდა, ღმერთს უნდა, შვილო.

— ნუთუ ღმერთს აღარ აკმაყოფილებს იმგვარი ტაძრები, აქამდე რომ აშენებდნენ?

— ღმერთს ყველაფერი აკმაყოფილებს, შვილო ჩემო, და არავისგან არაფერს მოითხოვს, მაგრამ ჩვენ, კაცნი გაორებულნი ვართ, გამთლიანება გვჭირდება და ჩვენზე სული გვთხოვს შევქმნათ რაღაც დიადი, მთლიანი.

— სახიფათო კაცი ხართ, მამაო.

— რატომ შვილო?

— არ ვიცი, რატომ, მაგრამ სახიფათო კაცი რომ ხართ, ვიცი.

— ამას სიმხდალე გალაპარაკებს, შვილო ჩემო.

— რატომ მგონიათ, მამაო?

— გეშინია სცადო, შეეჭოდო რაღაც ისეთს, რაც მართლაც დიადი და მშვენიერი იქნება.

— მაქვებთ, მამაო?

— ჭეშმარიტ შემოქმედს წაქეზება არ სჭირდება. იგი თვითონ ეძებს და



ქმნის უჩვეულოსა და განუმეორებელს.

— იქნებ მე შემოქმედისა არაფერი მცხია?

— მაშინ ტყუილა ვკარგავთ დროს და ტყუილად ვიმდურებთ ერთმანეთს, ბოლოს და ბოლოს გამოჩნდება კაცი, ვინც შეიგნებს, რომ დრო შეიცვალა და ისეთი ტაძრების აშენება, აქამდე რომ აშენებდნენ, აღარ შეიძლება.

სერაპიონის სიტყვები ისე მოხვდა შუარტყელელს გულზე, რომ ენაზე მომდგარი სიტყვების წარმოთქმაც კი ვერ მოახერხა. ბერი მკაცრი, შეუპოვარი იყო. შუარტყელელს იმდენად არ სწყყენია გაკილვა, რამდენადაც ის, რომ შეიძლება სერაპიონი კი არ ეჯინებოდა, მართალს ეუბნებოდა, შეიძლება იგი კარგა ხანია ჩამორჩა დროს, დაკარგა ქმედითობა და გამბედაობა, მოუღუნდა ძლიერი მკლავი, დაუჩლუნგდა მახვილი მზერა. შეიძლება იმასაც კი ვერ ამჩნევს, თუ რა ხდება ირგვლივ, რა როგორ იცვლება, რა როგორ ბრუნავს, რას უქუთავდებს და რას ამკვიდრებს დრო. ეს ნებაურყევი ბერი მასზე უმცროსი იყო, მტკიცედ სწამდა ის, რასაც ლაპარაკობდა, დარწმუნებული იყო, რომ გუმბათის ამაღლება და გაფართოება შეიძლება, რომ დადგა უფრო ნათელი, უფრო ჰაეროვანი ტაძრების მშენებლობის დრო და ყველაფერი ეს პირადად მას მხედველობიდან გამოჩნდა, ვერ აუბა დროს მხარი, ვერ შეიგნო ის, რასაც ხუროთმოძღვრებაში გაუწაფავი ბერი მიხვდა. ეს კი, არა მარტო საწყენი, არამედ შემამფთოებელიც იყო. ერთადერთი, რაც მას ამქვეყნად გააჩნდა, ცოდნა და გამოცდილება იყო, ამ ცოდნისა და გამოცდილების შეძენას იმდენი დრო დასჭირდა, რომ ვერც ცოლ-შვილს მოეკიდა, ვერც ოჯახი შექმნა და ვერც ქონება შეიძინა. ახლა კი ეუბნებიან, შენი ცოდნა და გამოცდილება მოძველდა, აღარავის სჭირდება, გამოჩნდება კაცი, ვინც შეიგნებს, რომ დრო შეიცვალა და ისეთი ტაძრების აშენება, აქამდე რომ აშენებდნენ, აღარ შეიძლებაო. ეს თუ დამარხვას არა, ცხოვრებიდან ჩამოწერას

მაინც ნიშნავდა. იგი უკვე ხანშიშემდეგ ოდა, კიდევ ერთი, უკიდურეს შემთხვევაში, რომ ტაძრის აშენებას თუ მოასწრებდა, შემდეგ კი ან უფალი მოუწოდებდა თავისთან, ანდა ისე დაჩაჩანაკდებოდა, რომ ხელით-სატარებელი იქნებოდა. არა და მას მართლაც არ აუშენებია საკუთარ მიწა-წყალზე რაღაც ისეთი, გამორჩეული და მისაბაძი რომ ყოფილიყო. მხოლოდ ახლა ეძლეოდა შესაძლებლობა თავი გამოეჩინა, მთელი თავისი გამოცდილება და ცოდნა გამოეყენებინა და იქნებ მართლაც შეექმნა რაღაც ისეთი, რაც არ ბერდება, არ უფასურდება.

— თქვენ მართლა ფიქრობთ, მამაო, რომ მე მოვკვამე ჩემი დრო და ხუროთმოძღვრად აღარ ვეარგავარ თუ ჩემი გაკილვა და დამცირება გინდოდათ? — ჰკითხა შეფიქრიაუნებულმა შუარტყელელმა სერაპიონს.

— მე არ მოთქვამს, ხუროთმოძღვრად არ ვარგხარ მეტი, მე მხოლოდ ის ვთქვი, რომ გამოჩნდება კაცი, რომელიც გააკეთებს იმას, რისი გაკეთებაც შენ არ ძალგიძს.

— მხოლოდ სიახლის დანერგვით როდი იზომება ხუროთმოძღვრის ნიჭი და უნარი, მამაო.

— ახლის დანერგვა მხოლოდ ნიჭიერ, უნარიან და გაბედულ კაცს შეუძლია, შვილო ჩემო.

— გეგულებათ ასეთი კაცი სადმე, მამაო?

— ჯერ არა, მაგრამ შეუძლებელია, დროის მოთხოვნას რომ ვინმე არ გამოეხმაუროს.

— ახალი ათსა და ოც წელიწადში არ ინერგება, მამაო.

— ახალი ინერგება მაშინ, შვილო ჩემო, როცა ამის აუცილებლობა დგება და ნერგავს ის კაცი, ვისაც ღმერთი სწამს და შემოქმედის ნიჭითაა დაჯილდოებული.

— გამაღლობთ, მამაო, აი თურმე რა მკლებია!

— ნიჭი მარტო ცოდნა და ოსტატობა როდია, შვილო ჩემო, გამბედაობაც და შემწევობაც ნიჭია.

— მე რომ თქვენოდენა რწმენა მქონდეს, შეიძლება მეც ასე მეფიქრა, მაშაო, მაგრამ მე ქვასთან და ზომებთან მაქვს საქმე და არა იმასთან, რაც თვალით დაუნახავი, მიუწვდომელი და განუზომელია.

— ვინც მიუწვდომლისაკენ არ ილტვის, მისთვის ყველაფერი, რაც ღმერთს შეუქმნია, მხოლოდ მისალაა და შეტი არაფერი.

— სხვა რა უნდა იყოს, მამაო?

— ღმერთი მარტო ჩვენში როდია, შეილო ჩემო, მისი სული მთელ სამყაროშია განფენილი, ქვაშიც სულია და ქეშმარიტი შემოქმედი ისაა, ვინც ამ სულს შეიცნობს და ამეტყველებს.

— ქვის ამეტყველებაზე მეტი რა მიკეთებია, მამაო, მაგრამ ქვაში სული არასოდეს დამინახავს.

— ამიტომაც არ შეგიქმნია არაფერი ისეთი, განსულერებული და უცვლადი რომ იყოს.

შუარტყელმა საკუთარი ხელით გაკეთებულ ტაძრის ნიშნებს შეხედა და მხოლოდ მას შემდეგ მოსწყვიტა თვალი, როცა სერაპიონი სარკმელს მოსცილდა და მაგიდასთან ჩამოჯდა. ამ ჩამოჯდომაში იყო რაღაც შემრიგებლური, შემწყნარებლური, რაღაც მართლაც ქრისტიანული სიყვარულით ჩამსკვალული და შუარტყელმა ცოტაოდენი შეება იგრძნო. მართალია, მას შემდეგ, რაც ისინი ერთმანეთს შეხედდნენ, მისგან წვალებისა და ქირღვის მეტი არაფერი ახსოვდა, მაგრამ თუ რაღაც მოიფიქრა, თუ რაღაცას მიიგნო, იგი ამას ამ შეუბრვარ ბერს უნდა უმადლოდეს. მის წაქეზებასა და შემახილებს უქმად არ ჩაუფლია, მისმა გაღიზიანებულმა და აგზნებულმა ტვინმა მართლაც მოიფიქრა რაღაც ისეთი, რასაც სხვა ვითარებაში ვერაფრით ვერ მოიფიქრებდა, რადგან სიზარმაცე და მცონარეობა კიდევ უფრო მეტად უყვარს ტვინს, ვიდრე სხეულს. შეიძლებაოდა ტაძარში ოთხი ძლიერი ბურჯის აღმართვა, მათი თალებით გაერთიანება, სახელოების შეკვრა და მათზე მღვალაყელიანი, გრძელსარკმლებიანი გუმბათის დაფუძნება,

ხოლო მძიმე სახურავს რომ გუმბათის კედლები არ გაემრუდებინა, გუმბათის ყელს ქეისაგან გამოთლილი მრგვალი სვეტები გაამაგრებდა. ტაძრის ამალღებას, ცხადია, მლოცველთა დარბაზის დამოკლება მოჰყვებოდა და იგი მიიღებდა ტოლფარდ ჯვარს, რაც აფსიდებს სიმტკიცესა და სილამაზეს შესძენდა. ხოლო როცა ტაძარი დამთავრდებოდა, შეიძლებოდა არა მარტო გუმბათის შიდა ყელისა და კედლების მოხატვა, არამედ ბურჯებისა და თალებისაც ყველაფერი ეს კარგა ხანია მოფიქრებული ჰქონდა, მაგრამ ჯერ ერთი, არ იცოდა, მოეწონებოდა თუ არა ამგვარი ტაძარი ამ ახირებულ ბერს, მეორეც ყველაფერი ეს გასაზომი, გასაანგარიშებელი, შესასწორებელი იყო და ამას დრო და მოფიქრება სჭირდებოდა. ამ საქმეს კი იგი მხოლოდ მაშინ მოჰკიდებდა ხელს, თუ წინამძღვარს დაარწმუნებდა, რომ იმგვარი ტაძრის აგება, სერაპიონს რომ სურდა, სხვაგვარად შეუძლებელი იყო და მისგან თანხმობას მიიღებდა.

— ჩამოჯექი, შეილო ჩემო, ასე უფრო გავიადვილდება საუბარი, — უთხრა სერაპიონმა შუარტყელს, როცა შეატყო, რომ დაძაბული ფიქრობდა რაღაცაზე.

შუარტყელელი მძიმედ დაეშვა სერაპიონის პირდაპირ სკამზე და ისე მოიხარა ბეჭებში, თითქოს მხრებზე მძიმე ტვირთი აწვა. უთქმელობას რომ კვლავ არ გაერთულებინა მათი ურთიერთობა, უნდოდა სწრაფად ეთქვა სათქმელი, მაგრამ არ იცოდა, როგორ დაეწყო, როგორ ეთქვა ყველაფერი ისე მარტივად და გაუჭიანურებლად, რომ ბერს გაეგო კიდევ და არც დამფრთხალიყო.

— მგონი რაღაცის თქმა გინდა, შეილო ჩემო, და ვერ მოგიხერხებია, — გაამხნევა სერაპიონმა შუარტყელელი.

— არ ვიცი, რამდენად დაგიკდებათ ჰქუაში, მამაო, მაგრამ ხანგრძლივმა ფიქრმა რომ დასკვნამდე მიმიყვანა, რომ შეიძლება მალაღლებმათიანი და უფრო ნათელი ტაძრის აშენება.

— როცა ღმერთსა და კაცს ერთდრო-

ულად სურთ რაღაც, არ შეიძლება ამ სურვილმა შედეგი არ გამოიღოს, შეი-  
ლო ჩემო. ახლა კი მითხარი, რა მოი-  
ფიქრე ასეთი?

— შეიძლება ტაძარში ოთხი ძლიერი  
ბურჯის აღმართვა, მათი თაღებით შეკ-  
ვრა და მათზე გუმბათის დაფუძნება. მა-  
რთალია, მლოცველთა დარბაზი დამოკ-  
ლდება, მაგრამ ტაძარი სიმაღლეში იმა-  
ტებს და უფრო ნათელი იქნება.

— რამდენ ნავიანი იქნება ტაძარი?

— ცხადია, სამნავიანი.

— რით დააკავშირებ ერთმანეთთან  
გუმბათს და გუმბათქვეშა ოთხკუთ-  
ხედს?

— აფრებით.

— გინახავს სადმე ასეთი აფრები?

— ერთ-ორ ადგილას მინახავს.

— ზომ იცი, შვილო ჩემო, ჩვენს ტა-  
ძარს სინათლის მეტი წყაროც უნდა  
ჰქონდეს.

— ყელიანი გუმბათი უკვე თვითონაა  
სინათლის დიდი წყარო, მამო, გარდა  
ამისა სარკმლები საკურთხეველსაც ექ-  
ნება და გვერდით კედლებსაც.

— ის ძლიერი ბურჯები მეტისმეტად  
ხომ არ გადატვირთავენ ტაძარს და სი-  
ვრცობრივად ხომ არ შეზღუდავენ?

— არა, მამო, ბურჯები ისე იქნება  
განლაგებული, რომ თავისუფალი სივ-  
რცის გრძობა ხელუხლებელი დარჩეს.

— ჯვარი როგორ სახეს მიიღებს?

— შემოსასვლელის მხრიდან ოდნავ  
დამოკლდება და ტოლფარდი გახდება.

— რას წააგებს ტაძარი იმით, რომ  
შიგ ძლიერი ბურჯები დაიდგმება?

— მე მგონი, არაფერს.

— რას მოიგებს?

— ამაღლება და უკეთ განათებუ-  
ლი იქნება.

— სინათლის ბევრი წყარო და ძლი-  
ერი სვეტები ზმას ეღერადობას ხომ არ  
დაუქარავას?

— ყველაფერი ისე უნდა იქნას გა-  
ანგარიშებული, რომ ეს არ მოხდეს.

— რა გავლენას იქონიებს ბურჯები  
და თაღები ტაძრის მოხატვაზე?

— ისინი ისე იქნებიან განლაგებულ-  
ნი, რომ ძირითად სივრცეს ღიად და-

ტოვებენ. გარდა ამისა, მამო, ბურჯე-  
ბიცა და თაღებიც უნდა მთლიანად და  
ყველაფერი ერთმანეთს შეერწყას და  
მიესადაგოს.

— კარ-ფანჯრების სიო ხომ მოპირ-  
კეთდება ისე, როგორც ამ ნიმუშზეა?

— ცხადია, მამო.

— კიდევ რა კაზმულობა ექნება?

— დანარჩენი წვრილმანია, მამო და  
გზადაგზა მოგვარდება.

— როდის მაჩვენებ მთლიან გეგმას?

— ამის თქმა წინასწარ ძნელია, მა-  
მაო, მაგრამ თუ თქვენ ჩემი ნათქვამი  
ჰკეთაში დაგიჯდით, საქმეს დღეიდანვე  
შეეუღლები.

სერაპიონი წამოდგა, თავი ჩააქინდრა  
და გრძელი მაგიდის გასწვრივ დაიწ-  
ყო წინ და უკან სიარული. შუარტყე-  
ლელმა ძვალმსხვილი ყბები ღონიერ  
ხელებს დააყრდნო და ბრალდებულ-  
ვით ელოდა, რა განაჩენს გამოუტანდა  
ბერი, მაგრამ სერაპიონი მისკენ არც  
კი იყურებოდა. ახლა მას ისეთი რამე  
ჰქონდა გადაწყვეტილი, რასაც შემდეგ  
არაფერი ეშველებოდა და თუ ალლო  
და წარმოდგენის უნარი უღალატებდა,  
შეიძლება დღევანდელი შეცდომა სი-  
ცოცხლის ფასად დაჯდომოდა. სასაცი-  
ლოდ აგდებისა არ ეშინოდა, სასაცი-  
ლოდ ბევრი დიდი საქმის წამომწყები  
აუგდიათ, მთავარი იყო ტაძარი გამო-  
სულიყო ისეთი, დიდებულ ნაგებობას  
რომ ეკადრება და არა ეღაც ახირე-  
ბული შლეგის მონაჩმანაი. არა და შუა-  
რტყელელის გეგმა არც უაზრო ეჩვე-  
ნებოდა და არც განუხორციელებელი.  
ტაძარი თუ ამაღლებოდა, უკეთ გახა-  
თდებოდა და მთლიანად მოიხატებო-  
და, ოთხი ძლიერი ბურჯი და თაღები  
მთელ ნაგებობას მწყობრად შეერწყმე-  
ბოდა და არც ისე შესამჩნევი იქნებო-  
და. მარტო ჯვაროვან კამარაზე კი მა-  
ლაყელიანი გუმბათის დაფუძნება მა-  
რთლაც შეუძლებელი იყო. ამ ცოტა  
ხნის წინათ იგი შუარტყელელს უსაყვე-  
ლურებდა გაუბედაობას და სიფრთხი-  
ლეს, ახლა კი როცა მიუკიბმოუკიბავად  
შესთავაზეს რაღაც ისეთი, რაზედაც  
ოცნებობდა, თვითონ ველარ აღწევდა

თავს მერყეობას და ეკვს, ვაითუ შევ-  
ცდეს და მოვტყუედო. არჩევანის წი-  
ნაშე სხვა დროსაც ბევრჯერ მდგარა,  
მაგრამ ახლა ისეთი რამ ჰქონდა გადა-  
საწყვეტი, რაც მისთვის სიკვდილ-სი-  
ცოცხლეზე უფრო მნიშვნელოვანი იყო.  
თუ ტაძარი მართლაც დიდებულ სახეს  
მიიღებდა, პირნათლად ვალმოხდილი  
წავიდოდა ამ ქვეყნიდან, თუ არა და  
საკუთარი შეცდომა ყველაზე ადრე  
თვით მას მოუღებდა ბოლოს და ამ  
დიდი საქმისათვის გაღებული მსხვერ-  
პლი ამოა აღმოჩნდებოდა. აი, მაშინ  
მიეცემოდა ეშმაკს ასპარეზი საპარაზ-  
შოდ. მაგრამ ერთი უბედურება კიდევ  
ის იყო, რომ ამ საქმის დიდი ხნით გა-  
დადება არ შეიძლებოდა, უსაქმოდ და-  
რჩენილი მონები და ოსტატები გაზარ-  
მაცდებოდნენ, ლენოსა და ქალებს მი-  
ეტანებოდნენ, დაჩლუნგდებოდნენ, გა-  
ბიწიერდებოდნენ და ბოლოს, როცა  
ერთმანეთს ჭირივით შეიძულდებნენ და  
გადაემტვრებოდნენ, შიშისა და უნდო-  
ბლობისაგან ან გაიფანტებოდნენ, ანდა  
ერთმანეთს დაეჭოდნენ. ეს კი იმას  
ნიშნავდა, რომ საქმეს ველარასოდეს  
ველარ მიიყვანდა ბოლომდე და ამი-  
ტომ, რაც გადასაწყვეტი იყო, ახლა  
უნდა გადაეწყვიტა.

სერაპიონი სულ უფრო და უფრო  
უმატებდა ნაბიჯს, კი აღარ დადიოდა,  
თითქმის დარბოდა, სახის გამომეტყვე-  
ლება ყოველწამიერად ეცვლებოდა,  
შუბლი ხან შეეკუმუნებოდა, ხან ისევ  
გაუნათლებოდა, თვალები ხან ჩაუჭრე-  
ბოდა, ხან აენთებოდა, მარჯვენა ხელის  
მტევანს ხან მუშტად შეკრავდა, ხან  
გაშლიდა და როცა შუბლზე ოფლმა  
დაახსა, როცა მისი აგზნებული გონება  
დაცხრა და დამშვიდდა, ისე სწრაფად  
დაჭდა იმავე ადგილას, სადაც ადგომე-  
მდე იჯდა, რომ შუარტყელელი შეკრთა.

— აი რა, შვილო ჩემო, — უთხრა გა-  
ფითრებულმა სერაპიონმა შუარტყე-  
ლელს ისე, თითქოს ამის თქმას მშვი-  
დად ვერ მოახერხებდა, — მე მგონი  
ჩვენი ტაძარი იმაზე უკეთესი თუ არა,  
უარესი მაინც არ იქნება, აქამდე  
რომ აშენდბდნენ. ყველა ნაკეთი ცალ-

ცალკე უნდა მარვენო და ყველაფერში  
გამოწვლილით გამარკვევით ხელს  
მთლიანი გეგმა ყველას უნდა ვუჩვენოთ,  
ვისაც მონასტრის მშენებლობაში  
წილი უდევს და დაეარწმუნოთ რომ  
ჩვენი ტაძარი იმ ტაძრებზე უკე-  
თესია, მათ რომ აქამდე უნახავთ. თუ  
რამე ისე არ გამოვა, როგორც ჩაფიქ-  
რებული გვაქვს, პასუხისმგებლობას მე  
ვღებულობ ჩემს თავზე.

შუარტყელელმა შეებით ამოისუნთ-  
ქა და ბუკებში გასწორდა. ყველაზე  
ძნელი წინამძღვრის დარწმუნება და  
მისგან თანხმობის მიღება იყო, ახლა  
კი, როცა საბოლოოდ გადაწყდა ყვე-  
ლაფერი და სერაპიონმა ნება დართო  
მუშაობას შესდგომოდა, ბერზე დიდი  
მხარდამჭერი, ქომაგი და გამამხნევებე-  
ლი მას არავინ ეყოლებოდა. მართალია,  
არ მოასვენებდა, კირკიტს დაუწყებდა,  
ააჩქარებდა, ერთი სიტყვით, გააწყვლავ-  
ბდა და სისხლს გაუშრობდა, მაგრამ თუ  
მისი ჩანაფიქრი ხორცს შეისხამდა, ბე-  
რის კირკიტს, უხიაგობასა და ჩაძიებას  
ყურადღებას არ მიაქცევდა და სიცოც-  
ხლის ფასადაც რომ დაჭდომოდა, ტაძ-  
რის მშენებლობას მაინც ბოლომდე მი-  
იყვანდა.

— მე უკვე გითხარით, მამაო, თუ  
თქვენ თანახმა ხართ, მე დღესვე შევუ-  
დგები მუშაობას, — უბასუხა შუარტ-  
ყელელმა მშვიდად, დარბაისლურად.

— ჰო, შვილო ჩემო, დღესვე, დღეს-  
ვე შეუდექი მუშაობას, დასაჯარგი დრო  
სადა გვაქვს. შენ ჩემზე უკეთ იცი ალ-  
ბათ, რას ნიშნავს მუშახელის უქმად  
დაგდება.

— მაშინ მე წავალ, მამაო, — უთხ-  
რა შუარტყელელმა და ფეხზე წამოდ-  
გა.

— მუშაობაში ხომ არაფერი გიშლის  
ხელს, შვილო, — ჰკითხა სერაპიონმა.

— არა, არაფერი.

— საარსებო სახსარი თუ გაგაჩნია?

— ორიოდ თვე ჩეყოფა.

— შეკვამდს ვინ გიმზადებს?

— ერთი მარტოხელა დედაბერი.

— დაბაში გაიძლება?

— ჭერჯერობით გაიძლება, მამაო.

სერაპიონი ერთხანს ჩაფიქრდა. აზრში, სადღაც გონების კუნჭულში რომ ფართხლებდა, ვხა ვაიკაფა, მომძლავრდა, სიცხადე შეიძინა და დროულად ჩამოყალიბდა. შუარტყელელი უკვე გაბრუნებას აპირებდა, მაგრამ სერაპიონმა ხელით შეაჩერა და უთხრა:

— არა, შვილო ჩემო, შენი დაბაში ცხოვრება არ ივარგებს, საცხოვრებლად მონასტერში გადმოხვალ, მადლოება ღმერთს, კელიონში თავისუფალი სენაკი ჭერჭერობით ბევრია, სამუშაოდ კი, აი, ამ წიგნსაცავს დაგიტოვებ, არავინ შეგაწუხებს, ჩემს მეტი აქ თითქმის არავინ შემოდის, ასე უკეთესი იქნება შენთვისაც, ჩემთვისაც და საქმისთვისაც.

შუარტყელელს სერაპიონის წინადადება მაინცდამაინც არ ეპიტნავა, მისი მეთვალყურეობის ქვეშ მუშაობას თავისუფლად და თავის ნებაზე მუშაობა ერჩია. არ უნდოდა ეს პირველი ბერი თავს დასდგომოდა და ათასი კითხვებით შეეწუხებინა, მაგრამ დავა აღარ დაუწყია. მას შემდეგ, რაც მთავარი გადაწყდა, ყველაფერი დანარჩენი უმნიშვნელოდ ეჩვენებოდა.

— როდის გადმოვიდე, მამაო?

— დღესვე, ახლავ. წაიყვანე ერთი ჯორი, აკიდე შენი ავლა-დიდება და შეადღემდე აქ გაჩნდი.

— ვეცდები, მამაო.

— მანამდე სენაკს დავაგვევიწებ და ისე მოვაწყობინებ, რომ სასაყვედურო არაფერი გქონდეს, — უთხრა სერაპიონმა და თვითონაც ფეხზე წამოდგა.

შუარტყელელი უსიტყვოდ გატრიალდა, იატაკზე გაწოლილ სინათლის ზოლს გადაბიჯა და წიგნსაცავიდან გავიდა. სერაპიონი ისევ მაგიდის გასწვრივ დადიოდა. მიუხედავად იმისა, რომ უმძიმესი ტვირთი მოიცილა, რაღაც გადაწყდა ისეთი, რაც ან დიდ მადლად ჩაეთვლებოდა ან დიდ ცოდვად, გული მაინც დამძიმებული ჰქონდა. აქეთ მომავალს არაფრით არ ეგონა, მიწიერი საქმეები თუ ასე დააშრობდა ღვთიურ სამყაროს, დაეიწყებდა წარსულსაც, საკუთარ თავსაც და ისეთ ორმოტრია-

ლში და წინააღმდეგობებით სახსრე-მო-რევეში ჩაითრევედა, როგორც მიწიერი ცხოვრებაა. იმის მაგივრად, რომ მოუკლებლად ლოცულობდეს და ღმერთს შენდობას სთხოვდეს, სირბილს, ადამიანებთან ურთიერთობის დამყარებას და ყოველდღიური წვრილმანი თუ მნიშვნელოვანი საქმეების მოგვარებას უნდებოდა. იმის მაგივრად, რომ საკუთარი სული უსასრულობამდე და უღრობამდე აღამაღლოს, ყოველ ქვას ზომავს და ყოველ წამს ითვლის. იმის მაგივრად, რომ ყველაფერი წარმავლობად და ამოებად მიიჩნიოს, ხუროთმოძღვრის ან რომელიმე ოსტატის მიერ დაშვებული შეცდომა გულს უკლავს და აბრაზებს. ასე გრძელდება ყოველდღე და მან უკვე აღარ იცის, ცოდვის ზღვარს მიღმა დგას თუ გამოღმა. ის, რისკენაც იგი ისწრაფვის და ის, რის აღსასრულებლადაც აქ გამოგზავნეს, იმდენად შეუსაბამო და შეუთავსებელია, იმდენად წინააღმდეგობრივი და მოურიგებელია, რომ ზოგჯერ თავი დაბადებასა და სიყვდილს შორის გაჩხერილ მატლად ეჩვენება და მეტი არაფრად.

ის დამე სეპარიონმა ლოცვა-ვედრებაში ვაატარა და თავზე ისე დაათენდა, რომ სათქმელი ჭერ კიდევ არ ჰქონდა ბოლომდე ნათქვამი. ფეხზე მხოლოდ მას შემდეგ წამოდგა, როცა მიხვდა, ჩრდილები კარზე მომდგარ დღეს ველარაფერს დააკლებდნენ. მისი სული, ფიქრები, განწყობა ნელნელა ისეთ სახეს ღებულობდა, როგორი ცხოვრებაც იყო ირგვლივ გაბატონებული და ეს ხანდახან ისე აღიზიანებდა, რომ ამ ცხოვრების ერთი ხელის მოსმით გარდაქმნა და იმ ჩანაფიქრზე მორგება სურდა, ნეგარაუდევრი რომ ჰქონდა, მაგრამ ცუდი ის იყო, ბოლომდე თვითონაც არ იცოდა ზეირიანად, როგორი იქნებოდა მის მიერ ნეგარაუდევრი ცხოვრება და ცოდვის ჩადენის შიშით უკან იხევდა. შეიძლება მისი შეცდომა ის იყო, რომ არა მარტო მონასტრის აშენება უნდოდა, არამედ ადამიანებისათვის თვალის ახელაც და ორივე ერთად

რატომდაც არ გამოუდიოდა. თვალის ახელისა ყველას ეშინოდა, დაწყებულ მთავრიდან და უკანასკნელი უბირი მონათვათვებული, მათ შორის ზოგიერთ იმ ბერსაც კი, მონასტერს რომ შემოაფარა თავი. მართალია, მონასტერი ჯერ კიდევ არ იყო ნაკურთხი, ჯერ კიდევ შენდებოდა და სახიერდებოდა, მაგრამ იმის დრო კი იყო, რომ ბერ-მონაზვნები ბერ-მონაზვნებს გვანებოდნენ, წირვა-ლოცვა დროულად და უშეცდომოდ ჩატარებულყო და ფსალმუნები ეგალობათ. თუმცა იმაში, ეს რომ ასე არ ხდებოდა, ყველაზე მეტად თვით მას მიუძღოდა ბრალი, რადგან ბერებიც ისე მოსწყვიტა ცასა და ღვთის სამსახურს, როგორც თვითონ იყო მოწყვეტილი. ამ ხნის მანძილზე უმთავრესი მათთვისაც მონასტრის აშენება იყო და არა წირვა-ლოცვა. ყველა მუხლმოუხრელად შრომობდა და საქმე ყველას გამოუღეველი ჰქონდა. ჯერჯერობით ბერებმა ისიც კი არ იცოდნენ ზეირიანად, რას ჰქვია ცოდვა და რას მადლი, რის გამოც თავი ზოგჯერ ისე ეკირათ, თითქოს ღვთისგან მიტოვებულნი და საკუთარი თავის ამარა დადგებულნი იყვნენ. მათ ისეთი სულიერი მამა სკიბრდებოდათ, რომელიც აღსარებას ათქმევინებდა, ცოდვებს შეუწოდებდა, გამაზნებებდა, აამაღლებდა, მაგრამ აქამდე სერაპიონმა მათთვის ვერ მოიცალა, გუშინდლამდე ის გუმბათი, ახლა რომ თითქმის გარკვევით ესახებოდა, მის ტვინს აწვა და ზოგჯერ ისე მიიმედ, რომ დროდადრო თავის ტკივილი მთელი კვირა აწვალებდა. ამიტომაც არ იძიებდა მკაცრად იმ უკანონობას, ზოგჯერ მის თვალწინ რომ ხდებოდა, ამიტომაც არ განიკითხავდა ბრმად იმათ, ვინც არ იცოდა, რა შედეგი მოსდევს დაუფიქრებლად ნათქვამ სიტყვას ან გაუთვალისწინებლად გადადგმულ ნაბიჯს. ბერებს ჯერ ის უხამსი და უწმინდური სიტყვებიც კი არ ჰქონდათ ბოლომდე დავიწყებული, გარედან რომ შემოაპყვით მონასტერში. როცა მუშაობაში რაიმე ხელს შეუშლიდათ ან ვინმეზე იყვნენ გულმოსული, უხამსი და

უწმინდური სიტყვები მათდაჟნებუჭარად წამოსცდებოდათ ზოლმეც მტრისხელს მკერთმა ბერმა, იმ მათაგან უფროსმა, ტბის გაქრობის შემდეგ რომ ითხოვა ბერად აღკვეცა, ისეთი სიტყვებით შეამკო ერთი მოუქნელი და უბადრუცი მონა, რომ სერაპიონს ყურების თითებით დაეცა მოუხდა. ბერებს ჯერ სულიერებაც აკლდათ, კვლაც, სიღრმეც, წარმოსახვის უნარიც და ამიტომ ზოგჯერ ვერც ვნებებს იოკებდნენ და ვერც საკუთარ თავში პოულობდნენ საყრდენს. ამისთვის საჭირო იყო დრო და მეცადინეობა, მონასტრის შენებასთან ერთად ბერებს ისიც უნდა შეეგნათ, რომ ქვეყნის მშენებლობაში მონაწილეობდნენ და თითოეული მათგანი ისევე აგებდა მასუბს ყველაფერზე, როგორც ყველა დანარჩენი.

სერაპიონმა სენაკის კარი გააღო, დერეფანი გაიარა, ქვის კიბეზე დაეშვა, ეზოში ჩაეიდა და მონასტრის ეზოში მოჩუბჩუხე წყაროს წყალი პირზე შეისხა. ცივი წყალი ისე ესიამოვნა, თითქოს წყალში სიხალისისა და სიჯანსაღის ელექსირი ჩაესხათ, რაც ღამენათვე კაცსაც კი უბრუნებდა ხალისსა და ღონეს. მონასტრის ეზო აღარ იყო ისე დანავგვიანებული, როგორც ამ ერთი თვის წინათ, გალაენის იმ ღიობში, განგებ რომ დატოვეს ამოუყვანელი, ერთი კი არა, ათი ურემი შემოეტეოდა, იმ მთის ჩრდილს, რომლის გადაღმიდანაც მზე ჯერ კიდევ არ ამოსულიყო, სიგრილეს და ღამის სურნელება ახლდა თან. ეზოში კაციშვილი არ ჰაჭანებდა. როგორც ზემო, ასევე ქვემო კელიონში მხოლოდ ახლა იღვიძებდნენ და იმოსებოდნენ. ცოტა ხანიც და ეგვიტერში დილის წირვა დაიწყებოდა. ეგვიტერში მხოლოდ ბერ-მონაზვნები წირავდნენ. ჯერ არ ყოფილა შემთხვევა ბერ-მონაზვნებისა და მონაზვნების ერთ მონასტერში ცხოვრებას რაიმე უსიამოვნება და უწესრიგობა მოჰყოლოდა. ისინი თითქმის არც ერთ ელაბარაკებოდნენ ერთმანეთს, ხალათის გარდა მასაც კი არავინ სცემდა ხმას. ამ მხრივ იგი ჯერჯერობით მშვიდად იყო და ახლა, როცა

შემოდგომის ახალგაღვიძებული დღე წუხანდელ ეპკებს და უსიამო ფიქრებს უფანტავდა და სიცოცხლითა და სიხალისით აესებდა, აღარც ტაძრის აშენება მიაჩნდა უსაშველო საქმედ და აღარც ადამიანი — თვალდავისილ და უგუხურ არსებად.

სერაპიონმა ჩოხის კალთა აიკეცა და იქვე წყაროსთან ჩამოჯდა. ნაშფოთვარს და ნალოცვარს გრილი ნიაეი და უჩვეულო სიმყუდროვე სიამოვნებდა. მღუმარებას მხოლოდ ჩიტების სტვენა და ჰიკიკი არღვევდა. ამ დროს მონასტრის ეზოში ძაძებში გახვეული, შუახნის დედაკაცი შემოვარდა და პირდაპირ მისკენ წამოვიდა. გუფლიანებულმა და აქოშინებულმა რამდენიმე წამს ხმის ამოღებაც კი ვერ შეძლო. მისი ნაადრევად დამწუხრებული სახე ჯერ კიდევ ინარჩუნებდა ეშხა და სანდომიანობას. სერაპიონმა აქლოშინებულ დედაკაცს თვალეზში შეხედა და მიხვდა, რომ ეს ცხოვრებაგამოვლილი დედაკაცი ასე დლიადრიან ტყუილად არ მოიბრებდა მონასტერში.

— რა მოხდა, შვილო? — ჰკითხა სერაპიონმა ქალს, რომელიც სინამდვილეში უფრო ახალგაზრდა უნდა ყოფილიყო, ვიდრე ჩანდა და ფეხზე წამოღდა.

— უშველეთ, წმიდა მამაო, უშველეთ იმ უბედურს, თორემ ჭკით ჩაქოლავენ, — შეეკედრა სერაპიონს ქალი.

— ვის ვუშველო, შვილო?

— ჯერ სულ ახალგაზრდაა, მამაო, თქვესმეტი წელი ახლაზან შეუსრულდა, ცოდვაა უბედური, ცოცხალს არ გაუშვებენ.

— ვის არ გაუშვებენ ცოცხალს?

— მათი ოჯახი იმ დაბაში, სადაც ახლა მონასტრის მშენებლები დათარეშობენ და ნებამრუდობენ, უხსოვარი დროიდან ცხოვრობს, ერთ დროს შეძლებული და გავლენიანი ოჯახიც კი იყო, თითქმის მთელი დაბა მათ ეკუთვნოდა. ამ ხუთიოდე წლის წინათ მისი უფროსი ძმები ჯერ არტანუჯში გადავიდნენ, იქიდან კი საბერძენეთში გაემგზავრნენ და აქამდე არსად ჩანან. მშო-

ბლები საწყალს შარშან დავხტყა: და დარჩა მარტო. ისეთიკ სგ — თგმტსს კტ დაენახებვა.

— რა ჰქვია და რა გვარია, შვილო ჩემო, ის, ვისი ბედიც ასე გაწუხებს?

— ესნა ციენარისძე.

— ახლა ის მოთხარით, რა ჰქვია?

— არ ვიცი, როდის რა მოხდა და როგორ, მამაო, მაგრამ ამ ცოტა ხნის წინათ ეს უპატრონო გოგო ვილაც აეზაკს შეუცდენია და მას შემდეგ, როცა არ აეზაკობს, ღამეს მასთან ათევს. ამ დილით ვილაცს დაუნახავს, როგორ გამოდიოდა ის აეზაკი ციენარისძიანთ სახლიდან და ერთი ალიაქოთი აუტეხია, ეს ამბავი მთელი დაბისათვის მოუღვია. ყველაზე მეტად ისინი აიშალნენ, აყაყანდნენ და გაავდნენ, ცოდვის შეილება რომ არიან დაბადებულნი. როცა მე აქეთ გამოვიქეცი, სახლს ალყა შემოარტყეს და იმ უბედურ გოგოს ჩაქოლვით ემუქრებთან. თქვენს მეტი მას ვერავინ იხსნის, მამაო, ოღონდ იჩქარეთ, ღვთის გულისათვის, იჩქარეთ, მამაო!

სერაპიონი ჯერ შეკრთა, გაფითრდა, მაგრამ იმ წამსვე მიხვდა, რომ ფიქრისა და ყოყმანის დრო არ იყო, ჩოხის კალთები წელზე შემორტყმულ ბაწარში ჩაეცეცა და სირბილით დაეშვა დაღმართზე. ქალს სირბილის თავი აღარ ჰქონდა და ნაბიჯით მიჰყვა უკან. მირბოდა სერაპიონი და ღმერთს ევედრებოდა, დრო შეეჩერებინა, ცოტა კიდევ ეცლია, იმდენი მაინც, ჭკის სროლის დაწყებამდე რომ მიეღწია დაბამდე. სირბილში დაცხა, მაგრამ სივრცე მაინც უსასრულო და გათოშილი ეჩვენებოდა, ახალამოწვევრილი მზე კი მღვრიე, მეწამულისფერი, ფოთლებიც კი ისეთოთოდნენ, თითქოს რალაციით იყვნენ შეშფოთებული. მირბოდა სერაპიონი და ირგვლივ ვერაფერს ამჩნევდა, საგნებს დაეკარგათ სიმტკიცე და სიცხადე, იმდენად ამჩატებული და მერყევი ჩანდნენ, რომ მათი იმედი კაცს აღარ უნდა ჰქონოდა, შიში და უიმედობა კი ბზარებად იკლავებოდა იმ სულიერი სამყაროს კედლებზე, მან რომ შემოლობა

და სვრიდა რალაც ისეთს, რისი გასვრაც არაფრით არ შეიძლებოდა, რადგან მერე გაწმენდას თვეები და შეიძლება წლებიც კი დასჭირვებოდა, არყვედა ბურჯებს, რომლებზედაც ცის თალი იყო დაფუნებული და ეს რყევა მისი ტვინის უჭრედებში პოულობდა გამოცახილს. მირბოდა სერაპიონი და ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს დღის სინათლე დედამიწაზე ფარდასავით ეშვებოდა, სქელდებოდა, წებოვანი ხდებოდა და ეს პაერი რომ გაერღვია, ძალონის დაძაბვა უხდებოდა. მირბოდა სერაპიონი და ესმოდა ბრბოს ყაყანი, გამძვინარებულთა სუნთქვა, საკუთარი გულის ბაგა-ბუგი და ეს ყველაფერი მიეჭანებოდა ცოდვათა შორევისაკენ, დანაშაულისაკენ, ჭოჭობებისაკენ. უზარმაზარი შავი ხაზა სხვებთან ერთად მასაც ითრევდა ქვესკნელში და სასოწარკვეთილმა აღარ იცოდა, რისთვის წაეგლო ხელი, რას ჩაბლაუჭებოდა. მირბოდა სერაპიონი და ვერაფრით ვერ იშორებდა თავიდან იმ აზრს, რომ დღეს, როცა მის სიხარულს თითქმის აღარაფერი ჩრდილავდა, როცა გამოჩნდა და გაიწმინდა დიდებული ტაძრისაკენ მიმავალი გზა, როცა წლობით ნაფიქრად და ნაოცნებარი ხორცის შესხმას ელოდა, შეიძლება სრულიად მოულოდნელ შემთხვევას, უგუნურ სიმხნევებს და უაზრო სისხლისღვრას ისე გაეგებნებინა, რომ ამქვეყნიურ სიმყარაღეს მის ნაღველშიც შეეღწია.

სერაპიონი ერთი წამით შეჩერდა, სული მოითქვა, დაბას გადახედა იმ სახლისაკენ დაიძრა, რომლის ირგვლივაც შექუჩებული ბრბო დაინახა. როგორც ყოველთვის, ბრბო ჯერ კიდევ ყოყმანობდა, ჯერ არ იყო ისე გახელებული და გამბოროტებული, როცა ადამიანის სახეს კარგავს, სისხლს მოითხოვს და უგუნურ დანაშაულს სჩადის. ხალხის თვალში რომ არ დამცირებულიყო და ამდამლებულიყო, სერაპიონმა გაოფლიანებული სახე შეიმშრალა, ჩოხის კალთები ჩამოუშვა და სწრაფი ნაბიჯით გასწია ციენარისძიანთ სახლისაკენ. მისმა დანახვამ აყაყანებული ბრბო ერთსა

და იმავე დროს შეაკრთო და გაახარა კიდევ. შეკრთა ბრბოს ეს ნაწილი სისხლი და დანაშაულის ჩადენა რომ წყურბოდა, ხოლო გაახარა ის, ვისაც იმედი ჰქონდა, შეიძლება ვილაცას მათი ჭიბრიანობა დაეცბრო და დანაშაული თავიდან აეცილებინა.

დაბაში სერაპიონს ყველა იცნობდა, სასწაულმოქმედ ლეთისმსახურადაც კი მოიჩნდათ და მიუხედავად იმისა, რომ მასთან დაახლოებას გაურბოდნენ, რიდი და პატივისცემა მაინც ჰქონდათ. თუმცა ამჯერად ბრბო ისე იყო ავზნებული, რომ შეიძლება მასაც არ მორიდებოდა და ავი ზრახვა, გულში რომ ედო, ბოლომდე მიეყვანა. ზოგიერთს ქვა უჯვე მომზადებული ჰქონდა, ზოგიერთს კი თვალით შერჩეული ციენარისძიანთ ქვის სახლი საკმაოდ დიდი და მტკიცედ ნაგები ჩანდა, მაგრამ ამხელა ბრბოს კარისა და ფანჯრების შელუწვა და სახლში შევარდნა არ გაუჭირდებოდა.

სერაპიონი ისე მიუახლოვდა ბრბოს, თითქოს არაფერი იცოდა, რისთვის იყო ეს ხალხი აქ თავშეყრილი და რას აკეთებდა. მაგრამ ავი ზრახვა რომ ედოთ გულში გამოხედვანეც ეტყობოდათ და პირქუშობაზეც, მათი თვალებიდან ბოლმა და რალაცის გასერის, გათელვის, განადგურების ეინი იღვრებოდა. ცოტათი ეს ამბავი ამბოხსაც ჰკავდა, ისეთ ამბოხს, დანაშაულის ჩადენის შემდეგ რომ ნაპერწყალივით ქრება. ისინი თავისუფლების მოპოვებას კი არ ცდილობდნენ, არამედ თავისუფლების დათრგუნვას. მაგრამ ყველაზე დიდი უბედურება ის იყო, რომ შიში რომ არა, თითოეული მათგანი უყოყმანოდ ჩაიდენდა იმასვე, რაც ავაზაკმა ჩაიდინა და არც სინდისი შეაწუხებდა და არც ლეთის რისხვას მორიდებოდა. მათ მხოლოდ ის აცოფებდა, განძი რომ ააცალეს თვალწინ, ლუკმა რომ გამოსტაცეს პირიდან და მშრალზე დატოვეს. ამიტომაც გრძნობდნენ თავს გაქურდულად და შურთაცხყოფილად, ამიტომაც შფოთავდნენ და ბორგავდნენ. ქალოშვილს მათთვის ისეთი არაფერი დაუშა-



ვებია, სასიკვდილოდ რომ გაემეტებინათ. უზნებოდ მხოლოდ იმას უთვლიდნენ, რომ მათ ვიღაც ვადამთიელი ამჯობინა, ვიღაც თხერსა და მუდრეგს, ავაზაკსა და კაცის მკვლელს ჩაუგდო ხელში ის საუნჯე, თავიანთ საკუთრებად რომ შიაჩნდათ. მამაკაცების რისხვას ერთად თავმოყრილი, მდაბიოდ ჩაცმულ-დახურული, გაანჩნებული დედაკაცებიც უბამდნენ მხარს, რადგან შურით გულგასიებულნი და სულიანხორციანად დამონებულნი იყვნენ.

— ერნო და საყვარელო შვილნო ჩემო, რა ხდება აქ, რისთვის შეგიყრიათ თავი, რისთვის შფოთავთ და მძინეარებთ ასე? — მიმართა სერაპიონმა ყველას, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ბრბო ჩაჩუმდა, პასუხი მაინც არავის გაუცია.

— აი შენ, შვილო ჩემო, მიუბრუნდა სერაპიონი ახლა ერთ შევწვერა, ჩაფსკენილ, მოკლე, მაგრამ ღონიერფეხებიან ადგილობრივ მკვიდრს, რომელსაც იცნობდა, მაგრამ რომლის გვარი და სახელი არ ახსოვდა, — რა გინდა აქ, რატომ ხარ ასე გამძინეარებული?

— მას შემდეგ, რაც დაბაში ხალხი მომრავლდა, მამაო, ჩვენს თავს ცუდი ამბები ტრიალებს, — უპასუხა შევწვერამ წარბგაუხსნელად.

— რა ხდება ასეთი, შვილო?

— გამრავლდა მრუშობა, სიძვა, ქურდობა და ავაზაკობა.

— ვინ იმრუშა, ვინ იქურდა?

— ვინ იმრუშა და აი, ამ ცივახრისძიანთ ცხვირმოუხოცელმა გომბიომ, — უპასუხა შევწვერამ და ხელი სახლისაკენ გაიშვირა. ბრბო ისევ აყაყანდა, აშიშინდა.

— ვთქვათდა, იმრუშა, თქვენ რისთვის შეყრილხართ აქ? — ჰკითხა სერაპიონმა ახლა იმ ფერმკრთალ და თვალბნაცვენილ კაცს, შევწვერას რომ ამოუდგა გვერდით.

— როგორ თუ რისთვის, მამაო, ამ უნამუსო შეძავს და ძუენას გველივით უნდა გავუქვეყყოთ თავი, — უპასუხა ფერმკრთალმა მამაკაცმა.

— ლმერთს ნუ სცოდავ, შვილო, —

უთხრა სერაპიონმა მშვიდად და მიხვდა, ეს ფერმიხდილი კაცის ავადმყოფობისაგან უფრო იყო გაბოროტებული, ვიდრე თანადაბელის მრუშობისაგან.

— ლმერთს ჩვენ კი არა, ის ცოდავს, ვინც ავაზაკს კარს უღებს და ლოგინში იწვენს, — უპასუხა ფერმკრთალმა ისეთი გულისწყრომით, თითქოს ავაზაკმა პირადად მას წაართვა სატრფო და სერაპიონს ეჭვი აღარ ეპარებოდა, მთელი ამ ამბის ერთ-ერთი მოთავე სწორედ ეს კაცი რომ იყო.

— ხალხო, აქ რა, მკვლელობის ჩასადენად მოიყარეთ თავი? — მიმართა სერაპიონმა ბრბოს. პასუხი არავის გაუცია, მხოლოდ ფერმიხდილი მამაკაცი ცხარობდა, ბობოქრობდა.

— შეძავი და ავაზაკის ხარჭა სიციცხლის ღირსი არაა, თქვენ ნუ ჩაერევით, მამაო, და ამ ამძუებულ ძუენას ჩვენ მალე მოვუღებთ ბოლოს, — იყვირა ფერმიხდილმა ისეთი გახელებით, რომ პირზე ღუფი მოადგა.

— ვინ თქვენ?

— ჩვენ, ყველა ერთად.

— მერედა, ლმერთს რას ეუბნებით?

— შეძავის ჩაძალღებას ლმერთი არ გვიწყენს.

— სად არის ის ცოდავის შვილი ახლა?

— შინ გლია, — უპასუხა ისევ ფერმიხდილმა.

— სერაპიონი ამ ცოდავს ატანილ კაცის ბინდგადაკრულ თვალებს და ტუჩების ჩალურჯებულ კუთხეებს დააკვირდა და მიხვდა, რომ ამ კაცს სხვა სიკეთესთან ერთად, ბნედაც სჭირდა. მისი აგზნება შეიძლება ავადმყოფობის მოძალეებითაც ყოფილიყო გამოწვეული. ამას პირზე მომდგარი ღუფი და უჩვეულო მიხვრა-მოხვრაც ადასტურებდა. უეცრად სერაპიონს გონება გაუნათდა და შეება იგრძნო. მან უკვე იცოდა, რა გზით და როგორ იხსნიდა ქალიშვილს სიკვდილისაგან.

— ერნო და შვილნო ჩემო, ამ ყმაწვილი ქალის ცოდავს ნუ დაიდებთ. მე მას მონასტერში წავიყვან და მონაზვნად აღკვეცავ. თქვენ კი სახლებში დაბრუნდით და საქმეს მიხედეთ. ცოდავე-

ბისათვის იგი ღმერთის წინაშე აგებს პასუხს და არა თქვენს წინაშე, — მიმართა სერაპიონმა ბრბოს.

— არა, ხალხო, ფეხი არ მოიცვალოთ აქედან მანამდე, სანამ ამ უტრფარ და უნამუსო მეძავს თავს არ გავუტეპყავთ, — მიმართა ბრბოსაყენ პირშექცეულმა ფერმიხდილმა მამაკაცმა ხალხს.

— არა, მამაო, ჩვენმა შემარცხენელმა ჯერ ჩვენს წინაშე უნდა აგოს პასუხი და შერე ღმერთის წინაშე, — გამოექომაგა ფერმიხდილს შევწვერა, შემდეგ მოზრდილ ქვას დასწვდა, ღონივრად მოიქნია და სახლის კარს ესროლა.

ბრბო აღელდა, აყმუვლდა, ატორტმინდა. დადგა ის ერთი წამი, რომლის შემდეგაც ან ხსნა იწყება, ანდა ჯოჯოხეთური ცოდვის კითხვა, ახლა ყმაწვილი ქალის სიცოცხლე ამ ერთი წამის შეტრიალება-შემოტრიალებაზე იყო დამოკიდებული და ამიტომ უნდა ემარჯვა, რალაც მოემოქმედებინა ისეთი, რითაც ბრბოს დააცხრობდა, მოთოყავდა.

— ხალხო, — მიმართა სერაპიონმა აგზნებულ ბრბოს ისეთი ხმით, რომ ყველა ჩაჩუმდა, — რადგან თქვენსას არ იშლით, მე რომ ახლა სახლში შევიდე და ის ცოდვის შვილი გარეთ გამოვიყვანო, რომელი თქვენგანი კისრულობს მის მოკვლას, ვის სურს თავის ცოდვილ სულს კიდევ ერთი საზარელი ცოდვა შემატოს?

ხალხი გაიტრუნა, მისგან ასეთ რამეს არ მოელოდნენ და ერთმანეთს შეაჩერდნენ თვალებში. საერთო პასუხისმგებლობა დიდად არ აშინებდათ, მაგრამ პირადმა პასუხისმგებლობამ დააფიქრათ, დააფრთხოთ. თითოეული ქვეშეცნულად გრძნობდა, თუ ამას მართო ჩაიდენდა, ვნებების დაცხრომის შემდეგ, მასაც გაწირავდნენ, შეუბრალებლად მოიკვებოდნენ. ამის ჩადენა კი მხოლოდ იმას შეეძლო, ვინც უკიდურესად გაბოროტებული იყო, თავიც ისევე სძულდა, როგორც მთელი ქვეყანა, ამ დაბაში არა თუ ცხოვრებას, დიდხანს გაჩერებასაც არ აპირებდა და ეს მართლაც ასე მოხდა. სერაპიონი უკვე ზეიმობდა გამარჯვებას, როცა

ფერმიხდილმა მამაკაცმა წამოიძახა:  
— მე, მე ვიყისრები!

სერაპიონი ფერმიხდილს მიუახლოვდა და ისე გაუყარა თვალი თვალში, როგორც მახვილი. მისი მზერა ისეთი მკაცრი იყო, როგორც სიტყვები. ფერმიხდილს ტუჩები მოეღრცია, დაწვები აუთრთოლდა და რამდენიმე ნაბიჯით უკან დაიხია.

— იმას, ვინც ღვთის შვილზე ხელს აღმართავს, დაყრუება, დამუნჯება და დასაპყრება არ ასცდება, მის სხეულს სატანა დაეპატრონება და ისე გასტანჯავს, რომ სიკვდილს მოანატრებს, მაგრამ ღმერთი მისთვის სიკვდილსაც არ გაიმეტებს, ზეზეულად დაახვევს მატლს. თუმცა ამ კაცის სული უკვე დამპალი და დამატლიანებულია. შეხედეთ, ხალხო, მის სახეს, ხედავთ როგორ იკრუნჩხება, ირღვევა, როგორ ადგება პირზე ღუჭი. სატანა უკვე ჰქენჯნის მის სულსა და სხეულს. დაილოცოს ღმერთო შენი სამართალი და შენი ყოვლისშემძლეობა.

სერაპიონმა მხოლოდ მაშინ მოაშორა ფერმიხდილს თვალი, როცა ბნელამორეულმა ძლიერად შებღავლა და პირუკუ გადაიქცა. ამ ამბავმა ხალხი გააოგნა, შეძრა, ღვთისმოშიში გახადა. ჰათ კიდევ ერთი სასწაული ნახეს საკუთარი თვალით და ახლა ვერავინ დაარწმუნებდა, რომ მათი ერთ-ერთი მოთავე ღმერთმა არ დასაჯა. ამიტომაც არ ეკარებოდა არავინ ბნელიანს სიახლოვეს. ცოტა ხნის შემდეგ ავადმყოფმა დამული შეწყვიტა, პირი მაგრად მოკუმა და ახლა მხოლოდ იკრუნჩხებოდა. სერაპიონი ბნელიანთან მივიდა, ჯიბიდან პურის საჭრელი დანა ამოიღო, პირი გაუხსნა და ენა ამოუღო.

— ვინ არის ეს უბედური? — ჰკითხა სერაპიონმა შევწვერას, რომელსაც ადამიანის ფერი აღარ ედო სახეზე.

— ეს კაცი ამ ცოტა ხნის წინათ შემოეხიზნა დაბას და ხეირიანად არც ჩვენ ვიცნობთ, მამაო, — უპასუხა შევწვერამ.

— აქ რას აკეთებს?  
— გაუგია, მონასტერს აშენებენო და

აქეთ გამოუწევია, მაგრამ მუშახელი აქაც უქმად ყრია და ეგ ვილას სჭირდება.

— ხელობა თუ იცის რამე?

— არ ვიცი, მამაო.

— მე კი თქვენი თანადაბელი შეგონა.

— არა, მამაო, აქაური არაა, მაგრამ სადაურიც არ უნდა იყოს, ნუ დააძუნჯებთ და დაასაპყრებთ. დაუბრუნეთ ენა და ჯანი, რადგან მომელელი და მიმხედავი არავინ ჰყავს.

— რამ გააბოროტა ასე?

— პატროსანი კაცია და ვერ იტანს უსამართლობას და უნაშუსობას.

— ამიტომ უპირებდა საკუთარი ხელით დაკვლას იმ ცხვირმოუხოცავ გოგოს?

— ეგ გოგო მთელ დაბას არცხვენს, მამაო.

სერაპიონი მიხვდა ამ ბნელ, გონებაჩლუნგ კაცთან ლაპარაკს რომ აზრი არ ჰქონდა და ამიტომ მისი უგუნურობისაგან განკურნებას მისი უგუნურობის გამოყენება არჩია.

— მართლა გინდა, რომ ამ კაცს ენა და ჯანი დაუბრუნდეს? — ჰკითხა სერაპიონმა შეწვევრას.

— მინდა, მამაო.

შეწვევრა ისე მოლენა და მოტეხა შიშმა, რომ ახლა იმ კაცის მიმართაც კი იჩენდა თანაგრძნობას, ვისაც ხეირიანად არც კი იცნობდა.

— თქვენც გინდათ, ხალხო, ამ კაცს რომ ენა და ჯანი დაუბრუნდეს? — მიმართა სერაპიონმა ბრბოს.

— გვინდა, გვინდა, მამაო, — იღრიალა ბრბომ, რომელსაც შეიძლება სასწაულის ნახვა უფრო აინტერესებდა, ვიდრე ამ კაცის ბედ-ილბალი.

— მხოლოდ ერთი პირობით, თუ დაიშლებით, სახლებში წახვალთ და ამ უბედურსაც თან წაიყვანთ.

— დავიშლებით, დავიშლებით, მამაო, — იღრიალა ბრბომ.

სერაპიონს მაინც ქენჯნიდა სინდისი იმის გამო, ყმწვეილი ქალის გამოსახსნელად ამ უბედური კაცის ავადმყოფობა რომ გამოიყენა და ბნელის მორევამდე მიიყვანა. ამიტომაც დაიჩოქა,

ხელები ცისკენ აღაპყრო და ვულწარფელად შეუდგა ლოცვას. ლოცულობდა მანამდე, სანამ ავადმყოფმა არ მოიხედა და თვლები არ გაახილა. სერაპიონმა ერთხანს აცალა და როცა მიხვდა, აღარ წაიქცეოდა, ფეხზე წამოაყენა, ერთ წყალზე წამოსულ დედაკაცს წყლით სავსე კოცა გამოართვა და ხელპირი დააბანინა. ბნელიანი ახლა თითქმის ისევე გამოიყურებოდა, როგორც წაქცევამდე, მაგრამ უფრო გაფითრებული და ღონემიხილილი ჩანდა. ალბათ ისიც თრგუნავდა, ამდენი ხალხი რომ გოცემით უყურებდა და მის გამოჯანმრთლებას ღეთის ძალას მიაწერდა.

— სიარული თუ შეგიძლია? — ჰკითხა სერაპიონმა ლომობიერად.

— მიწურამდე მივაღწევ, მამაო, — უპასუხა ნაავადმყოფარმა მისუსტებული ხმით.

— ახლა წადი, დაწეკი, დაისვენე და დილით უკეთ იგრძნობ თავს.

ბნელიანი ისე გაუდგა გზას, რომ არც უკან მოუხედავს და არც არავის გამოშვილობებია. წამსვლელი მიდიოდა, მაგრამ სანამ თვალს არ მიეფარა, მაინც არ გაქრა, არ აღმოიფხვრა შეგნებიდან. სერაპიონმა ბრბოს შეავლო თვალი ბრბო წელში მოხრილიყო და რადგან სასეიროს აღარაფერს ელოდა, რადგან ცოდვის ჩადენის შესაძლებლობა აღმოიფხვრა, უხალისოდ, ზღაპრით დაიშალა და იქაურობა ისე დაცარიელდა, როგორც თავის ტბა წყლისაგან.

შემოდგომის მზეს სიმზურვალე აკლდა, მაგრამ მაინც იმდენად ნათელი იყო, რომ ჩრდილებს თანდათან ავიწროებდა და აფერმკრთალებდა. ბრბოს დაშლის შემდეგ ირგვლივ გაშეფებული სიჩუმე დარღვევას მოითხოვდა, დრო — ფეხის გადადგმას, ამოქმედებას, საღი აზრი — საქმის ბოლომდე მიყვანას. სახლში არავინ ჩანდა, მაგრამ სერაპიონი იმთავითვე გრძნობდა, რომ მთელ იმ ამბავს, რაც გარეთ ხდებოდა, ვიღაც სახლიდანაც ადევნებდა თვალყურს და ამიტომ ყოყმანი აღარ დაუწყია, პირდაპირ კარს მიაღწა და დააკაკუნა. კარი მაშინვე გაიღო, მაგრამ ისე ჩუმად.

არც ფეხის ხმა გაუგონია და არც ურდულის აგდება, ხოლო როცა ზღურბლს გადააბიჯა და დიდ დარბაზში შევედო, კარს უკან არაეინ დახვედრია. დარბაზს მხარმარცხნივ და მხარმარჯვნივ ცალკე სადგომები ჰქონდა და ეს სადგომები ქვის კედლით იყო გადატიხრული. ერთი ალბათ მამათა სადგომი იყო, მეორე დედათა. დიდ დარბაზში ხის უხეში ავეჯი იდგა, ჩამქრალი ბუხრის წინ კი ტახლა, რომელსაც ირგვლივ სამფეხა სკამები ჰქონდა შემოწყობილი. შემკვარტლულ კედლებსა და ქერს ისეთი სუნი ასდიოდა, იმ ძველ სახლებში რომ იცის, სადაც შუაეცხლს ან ბუხარს ანთებენ.

სერაპიონი პირველად შედიოდა მარტოხელა ყმაწვილ ქალთან სახლში და ფეხები უკან რჩებოდა. არ იცოდა, რას ეტყოდა, რას მოიმოქმედებდა, მაგრამ ავაზაკი რომ აქ სიარულს არ მოიშლიდა და შეიძლება სულ მალე იგივე განმეორებულყო, რაც დილით მოხდა, ამაში ეჭვი არ ეპარებოდა. ამიტომ ამ ყმაწვილი ქალის აქ დატოვება არაფრით არ შეიძლებოდა, საფრთხე მას ავაზაკისაგანაც ელოდა და თანადაბელებისაგანაც. მაგრამ წაყვებოდა კი მონასტერში, ისურვებდა კი თავისუფლებას მიჩვეული კარჩაეტილ ცხოვრებას? იქნებ ის ავაზაკი თავზე მეტად უყვარდა და მასთან დაშორებას სიკვდილი ერჩია. სერაპიონი ისეთ სამყაროში დგამდა ფეხს, სადაც ადამიანის წახდენა ჩვეულებრივ ამბად ითვლება, გამოსწორება კი უჩვეულო მოვლენად და ყოველივე ის, რითაც იგი ცხოვრობდა, ხელმძღვანელობდა და სულდგმულობდა, სრულიად მიუღებელი იყო იმათთვის, ვისთვისაც ცოდვა მხოლოდ სიტყვა იყო და არა სულში ჩასახლებული და დამკვიდრებული ბნელი ძალა. სწორედ ამ ბნელ, გარედან დაუნახავ, წარმწყმედელ ძალას უნდა დაირისპირებოდა იგი ახლა და ყველა დონე ეხმარა იმისათვის, რომ გზასაცდენილი ქალი უკეთური ადამიანის მონობისაგან ეხსნა და ღვთის მონად ექცია. უეცრად დარბაზის იმ კუთხეში, სა-

დაც ხის შეუქმედავი ხატები ეკრდა, სერაპიონმა სრულიად ანაღვარდა, თმაგაშლილ, მარტოოდენ შალის თალხკაბაში გამოწყობილ ქალს მოჰკრა თვალი და მისდაუნებურად შეერკა. ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს ქალი თავიდანვე კი არ იდგა კუთხეში, არამედ კედლიდან გამოვიდა და მოულოდნელად გამოეცხადა. მაგრამ იგი ქალის მოულოდნელ გამოცხადებაზე უფრო მეტად მისმა სილამაზემ გააკვირვა. დარბაზის კუთხეში იდგა კალმით ნახატი ანგელოზი, ნათელ ღვთისკავით შექმენი და უნაკლო არსება, რომლის დიდი, ბრიალა თვლები ყველაფერ ცხოვრებისეულს იტევდნენ და შუქს იმიტომ აფრქვევდნენ, რომ თვითონაც ეგრძნოთ მიწიერი ცხოვრების სიტკბოება და სხვებისათვისაც ეგრძნობინებინათ. მუქი თმის ფონზე მისი სახის უზადო კანი ისე ქათქათებდა, როგორც მოსახატავედ შელესილი გუმბათის ყელი. იდგა აშხვართული, მყერდასავსე, ცხოველმყოფელი ფერებით შემკული. ამავე დროს ისეთი უმანკო, უბიწო და მწყაზარი ჩანდა, ისე მორცხვად ჰქონდა თავი ჩაქინდრული, სერაპიონს უკირდა კიდევ იმის დაჭერება, რომ ეს ღვთისნიერი არსება, „რომლის შინა დამკვიდრებულ იყო საეკებაი ღმერთისი ზორციილად“, ვიღაც ავაზაკს დამამოხობთ კარს უღებდა და ლოგინში იწვენდა. არა და, ეს რომ ასე იყო, იმდილიანდელმა ამბავმაც დაარწმუნა და დაბელების უზომო გახელებამაც. ეტყობა, სილამაზეს აქაურებისთვისაც ჰქონდა მნიშვნელობა, თორემ ესნა ცივენარისძე რომ მართლაც ცხვირმოუზოცელი გომბიო ყოფილიყო, ასე არ გადაიჩრდნენ. ერთი წამით დაბელების გულსწყრომა სერაპიონსაც გადაედო, მაგრამ როგორც კი იგრძნო, რომ მის წინ ცდუნებული იდგა და არა მაცდუნებელი, მაშინვე დამშვიდდა და დარბილდა. ახლა მთავარი ამ ყმაწვილ ქალთან დალაპარაკება, მისი დარწმუნება და გადმობირება იყო და არა გულზვიადობა.

— თუ მიცნობ, შვილო? — ჰკითხა

სერაპიონმა ყმაწვილ ქალს ისე, თითქოს არ ყოფილიყოს, მიწვევდა, რაც ამ დილით მოხდა, ლიტონმა კი — თქვენ ვინ არ გიცნობთ, მამაო, მაგრამ ასე ახლო და თვალნათლივ არასოდეს მინახავხართ. — შეიძლება ამ ტაბლასთან ჩამოვჯდე?

— დაბრძანდით, მამაო.

— ორიოდ სიტყვა მაქვს სათქმელი, შვილო, და თუ მენდობი და ჩემი კეთილგანწყობა გჯერა, შენც ჩამოქეცი მკირე ხნით აქ, — უთბრუნ სერაპიონმა და ტაბლის მოპირდაპირე მხარეს მდგარ სკამზე მიუთითა.

ესნა ისე თამამად დასათვისუფლად წამოვიდა მისკენ, რომ სერაპიონი მიხვდა, ქალმა იცოდა, ვინ იხსნა იგი ამ დილით მძიმე განსაცდელისაგან და ამ ხსნას პირადი დანეტერესება კი არ ედო საფუძვლად, არამედ სათნოება. ამიტომაც არ შემკრთალა და შეუყოყმანებულა. სერაპიონი მხოლოდ იმან გააკვირვა, რომ იგი უფრო ააღელვა ამ უჩვეულო ქალის მოახლოებამ. ვიდრე ქალის მის პირდაპირ ჩამოჯდომამ. არც ის ეგონა, სილამაზე თუ ასეთი დამორგუნველი და შემბორკავი იქნებოდა.

— მართალია ის ამბავი, შვილო, რაშიც ამ დილით გდებდნენ ბრალს? — ჰკითხა სერაპიონმა ქალს და საკუთარი კითხვის თვითონვე შეტკბვა.

— მართალია, მამაო, — უპასუხა ქალმა ისე, თითქოს, რაც მოხდა, ყოველად ბუნებრივი და ჩვეულებრივი ამბავი ყოფილიყოს და სერაპიონმა აღარ იცოდა, ამგვარი პასუხი უშუალოდით აეხსნა თუ უტიფრობით.

— ეს რომ ჩვეულებრივი, მოსაწონი ამბავი იყოს, დაბა ასე არ აგიმბობდებოდა, შვილო.

— მათთვის მე არაფერი დამიშავებია, მამაო.

— არდაშავებდა სრულიად არ ნიშნავს უცოდველობას, აღამიანს პასუხს მარტო დანაშაულისათვის კი არ თხოვენ, არამედ საქციელისათვისაც.

— განა ის, რომ ქალს კაცთან ყოფნა უნდოდეს, დიდი ცოდვია, მამაო?

— შენი ხნის ქალმა კი უნდა იცოდეს, რა არის ცოდვა და რა არა, შენც კი ცოდვა რომ არ იყოს, მალვით, უჭრდულად, მხოლოდ ღამ-ღამობით არ შეხვდებოდით ერთმანეთს.

— სიყვარულისათვის ღმერთმა ღამე გააჩინა, მამაო.

სერაპიონმა მზერა იმ სარკმელს მიაბყრო, საიდანაც დღის კაშკაშა სინათლე იღვრებოდა დარბაზში და გულისწყრომა რომ დაეოკებინა, ეს ახლგაზრდა ქალი ავხორც, უტიფარ, ბრიყვი, და უხამს დედაკაცად არ ჩაეთვალა, მზერა კუთხეში დაკიდებულ შეუჭედავ და შემკვარტლულ ხატებზე გადაიტანა. ხმა კი მხოლოდ მას შემდეგ ამოიღო, როცა ხატები სათითაოდ შეათვალიერა და ხატმწერს ოსტატობა დაუწუნა.

— წერა-კითხვა თუ იცი, შვილო?

— ვიცი, მამაო.

— სახარება თუ გაქვს წაკითხული?

— დედა მიკითხავდა, მაგრამ იმის განმარტებას, რაც არ მესმოდა, ვერც იგი ახერხებდა.

— ათი მცნება თუ გაგიგონია?

— გამიგონია, მამაო.

— ჰოდა, ერთ-ერთ მცნებაში მაცხოვარი მოგვიწოდებს, „არა იმრუშო“.

— განა ერთი კაცის სიყვარული მრუშობაა, მამაო?

— ჯვარდაუწერლად, ღვთის ლოცვა-კურთხევის გარეშე კაცთან ცხოვრება, მრუშობაა, შვილო.

— განა ევა და ადამი ჯვარდაწერილები იყვნენ?

სერაპიონს გაელიმა, გაელიმა თავისთვის, შიგნით, ამ ქალს სილამაზესთან ერთად სხარტი გონებაც ჰქონდა, მაგრამ მას არც მისი სილამაზის დანახვის უფლება ჰქონდა და არც მახვილგონიერების.

— ევასა და ადამს ღვთის ლოცვა-კურთხევა არ დაკლებიათ, მათ, თვით ღმერთმა დასწერა ჯვარი.

— სად, მამაო, სამოთხეში?

ყმაწვილ ქალს ისეთი მშვიდი, სუფთა და ვადატყეცილი შუბლი ჰქონდა, რომ სერაპიონს უკვირდა, როგორ იბა-

დებოდა ამგვარი აზრები ამ შუბლს უკან, წამწამები კი ისე უფახულვებდა, ისე ჩრდილავდა ქუთუთოებს, თითქოს მის სულში სიფაქიზის მეტი არაფერი ბუღობდა და სერაპიონი უეცრად მიხვდა, ქალის სახეზე ბიწიერება კი არ ტოვებს კვალს, არამედ ხანი და სიღუბე-ქირე.

— ნუთუ იმ ამბავმა, რაც ამ დღით მოხდა აქ, არ შეგაშინა, არ დაგაფიქრა, არაფერში დაგარწმუნა, შვილო? — ჰკითხა სერაპიონმა ქალს და მის ხელებს დახედა. შრომისა და ჯაფის კვალი არც ნატიფ ხელებს ეტყობოდა. უფულოდ და უსახსროდ კი ამგვარი არ ხდება.

— შემაშინა, მამაო, ისე შემაშინა, რომ არც კი ვიცი, ამალამ როგორ ვათვევ ლამეს.

— მერე რას აპირებ?

— არ ვიცი, მამაო.

— ის კაცი თუ მოიშლის შენთან სიარულს?

— არა, მამაო.

— იქნებ შენ აპირებ ტყეში გახიზვნას?

— ტყეში რა გამაძლებინებს, მამაო.

— თუ არც ის მოიშლის აქ სიარულს და არც შენ აპირებ ტყეში გახიზვნას, მაშინ ის ამბავი, რაც ამ დღით მოხდა, ყოველთვის შეიძლება განმეორდეს.

— როგორ გგონიათ, მამაო, სახლში შემომივარდებოდნენ?

— ბრბო თუ გახელდა, მერე მისი მოთოკვა ძნელია, შვილო.

— თქვენ ხომ შესძელით?

— მხოლოდ ერთი უბედურის შემწეობით.

— როგორ ფიქრობთ, მამაო, მართლა ჩამქოლავდნენ? — ჰკითხა ქალმა უფრო თავის თავს, ვიდრე სერაპიონს.

ესნა ცივნარისძე ისე ჩაფიქრდა, თითქოს უნდოდა დაეჭერებინა, რომ ეს მართლაც ასე მოხდებოდა, მაგრამ ვერაფრით ვერ იჭერებდა. არა და საკუთარი თვალთ ნახა, რაც იმ დღით მოხდა მის ეზოში. მიუხედავად ამისა, მაინც უჭირდა იმის წარმოდგენა, რომ მის სიყმაწვილეს, სილამაზეს, სიხალ-

სეს არ გაუფრთხილდებოდნენ და ფეხქვეშ გათელავდნენ, მისი ახალგაზრდა, ამოლტილ, მგრძობიარე სხეულს დაკვიპილ ხორცის გროვად აქცევდნენ. მისთვის ჯერ-ჯერობით სიცოცხლეზე უფრო ფასეული არაფერი იყო ამქვეყნად და ამიტომ არც ის შეეძლო ცოდნოდა, რომ სილაღე, სილამაზე, გამორჩეულობა, როგორც აღმართოვანებელი, ასევე გამაღიზიანებელი, მტრობის გამძლეობელია და თვითონ ატარებს თავის თავში რაღაც ისეთს, რაც მოსპობას, გათელვას, გადაშენებას მოითხოვს.

— მისმინე, შვილო, როცა საფრთხესა და სიკვდილს ეძებენ, არც ისინი აყოვნებენ გამოცხადებას. ამიტომ ახლავე უნდა გადაწყვიტო, მოდიხარ მონასტერში თუ რჩები? — ჰკითხა სერაპიონმა და იმ კაცით აწრიალდა, მნიშვნელოვანი საქმე რომ ელის.

— რა მელის მონასტერში, მამაო?

— ნათლის ძიება და ხსნა.

— მერედა ვიხსნი კი თავს?

— ჩვენი თავი ჩვენვე უნდა ვიხსნათ, შვილო, ჩვენს ნაცვლად ამას სხვა ვერაინი გააკეთებს.

— ნუთუ მართლა ცოდვილი ვარ, მამაო?

— ვინც ღმერთს არ ეძებს, ყველა ცოდვილია, შვილო.

— რომ მეშინია?

— აქ დარჩენაზე საშიში რა უხდა იყოს, შე სათნოების სავანეში, ღვთის სახლში მიმყავხარ და არა ავაზაკთა ბუნავში.

— დედანი თუ არიან მონასტერში, მამაო.

— არიან, შვილო. მათ უკვე იბოვეს ღმერთიც და საკუთარი თავიც.

სერაპიონს ქალის ამოთხერა არ გაუგონია, მაგრამ ოხერის მსგავსი ბგერები რომ დაიხრა საღვთის მის შიგნით, ამაში ეჭვი არ ეპარებოდა.

— რა გაეწყობა, მამაო, როგორც ვატყობ, ჩემი აქ დარჩენა მართლაც აღარ შეიძლება, ისიც ვიცი, ამ კარმიდამოს რომ სამუდამოდ ვტოვებ, მაგრამ სიცოცხლის დათმობას ისევე აქაურობის

დათმობა მირჩევნია. წავალ, მოვემზადები და დღესვე მოგადგებით კარზე.

— არა, შეილო, დაბნელებილი ხარ. თუ გინდა, მარტო თუ დაგინახეს, შეიძლება ისევ გადაეყარო ხიფათს. მონასტერში ისეთ რამეს ნუ წამოიღებ, რაც ღვთისა და მონაზვნური ცხოვრებისათვის შეუთავსებელი იქნება, — უთხრა სერაპიონმა და ფეხზე წამოდგა.

სერაპიონს დიდხანს ლოდინი არ დასჭირვებია. ქალს შავი მოსასხამი მოესხა, თავზე გრძელი თავშალი შემოეხვია, ფეხზე ხაში ჩაეცვა, ფუთა გამოეკრა და ამ ცოტა ხანში ისე შეგუებოდა გარდუვალს, როგორც ფეხმძიმე ქალი ეგუება ბავშვის შობის აუცილებლობას.

სერაპიონი წამოდგა, ქალს წინ გაუძღვა და მხოლოდ მაშინ შეანელა ნაბიჯი, როცა ეზოდან გადავიდნენ და შარავხას დაადგნენ. მიდიოდნენ უხმოდ, შეთქმულებივით. ნიავე ოდნავ არხევდა

### მედიკალიზაცია

ტაძრისათვის საფუძვლის ჩაყრამ ისევ აახშურა, ამტვერა, ააყაყანა მონასტრის ეზო. ჰაერში ადამიანის, პირუტყვის, ზინთის სუნი იდგა. იდღვებებოდა დუღაბი, ითლებოდა ქვები, იხერხებოდა ჭერ კიდევ ნედლი ფიჭვის მორები. კვერცხის ცილა თხელ, გამჭვირვალე ფენად ეფინებოდა ახალამოყვანილი კედლის ერთ წყებას და ისევ დუღაბითა და ქვით იფარებოდა. და ეს დუღაბი არა მარტო ქვას, კირსა და ხრეშს აკავშირებდა, არამედ ყველა იმას, ვისაც მონასტერთან რაიმე საქმე ჰქონდა, სულ ერთია უბირი მონა იყო იგი თუ ხუროთმოძღვარი. ის ადამიანები, ამ ცოტა ხნის წინათ რომ უსაქმოდ ეყარნენ, ერთმანეთს უდიერად ექცეოდნენ, ჩხუბობდნენ, ილანძღებოდნენ, დანებს ატრიალებდნენ, ახლა მორჩილად ეწეოდნენ მძიმე ჰაერს, უამრავ ოფლს ღვრიდნენ და ტაძარს აგებდნენ, მაგრამ ეს მათ არც ამალღებდა და არც აკეთილშობილებდა. სული-

ხის კენწეროებს. გზა ქვისა და ხის სახლებს, ქოხმახებსა და მიწურებს შორის მივილაკებოდა და იქ, სადაც ფოთოლშეყვითლებული ალვის ხეები აღანძულიყვნენ და ქარვისფრად ელავდნენ, მარჯვნივ უხვევდა. დაბა უკაცრიელივით მიყრუებულყოფილი, წინ მიმავალი ურმისა და ერთი მეურმის მეტი, ირგვლივ არაფერი ჩანდა. ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს დაბა ვიღაცამ თუ რაღაცამ დააფრთხო და სახლებში გამოეკეტა. აქ რომ ეშმაკი და მაცდური ბუღობდა, ამაზე ცხადად მეტყველებდა იმათი მხერვა, მოქუთუხი თვალებით რომ იმზირებოდნენ ხერხელებიდან და ქუქრუტანებიდან, მაგრამ სერაპიონს ახლა მათთვის არ ეცალა; მონასტერში შუარტყელელი, ის კაცი ელოდებოდა, ვის წარმოდგენაში რაღაც უკვე იშვა და შეიძლება ორივეს ერთად მართლაც შეესხათ ხორცი იმ ოცნებისათვის, მას რომ პარეხის მონასტრიდან გამოჰყვა.

რად ისინი ისეთივე უბირნი და უხეშნი იყვნენ, როგორც მანამდე. მათ საქმე აერთიანებდა და არა ერთმანეთის პატივისცემა და სიყვარული. აშენებდნენ ტაძარს, ღვთის სახლს, მაგრამ ბევრ მათგანს წარმოდგენა არ ჰქონდა, რა დანიშნულება ჰქონდა ტაძარს, რისთვის შენდებოდა იგი ამ კუთხეში.

შუარტყელელი თვალსა და ხელს შუა გარდაიქმნა, გამოაცოცხლდა, გაახალგაზრდავდა, ქმედითი და უღირესად საქმიანი გახდა. ყველაფერში, რაც ტაძრის მშენებლობას ეხებოდა, მის ხელში მოიყარა თავი, სახე ისევ ისე მკაცრი და პირქუში ჰქონდა, მაგრამ უფრო მტკიცე, მეტყველი და მოძრავი. სადაც გაქრა ის მერყეობა, მისდაუნებურად რომ ადუნებდა, ლლიდა და თავის თავისადმი რწმენას უკარგავდა. იგი გათენებამდე დგებოდა და ისე დასტრიალებდა საძირკვლებიდან ამოზიდულ ტაძარს ირგვლივ, თითქოს სხვა აღარაფერი არსებობდა ამქვეყნად. ყველა-

ფერს ზომავდა, წონიდა, თვალყურს ადევნებდა, ხან ხარაჩოებზე იყო, ხან კირითხურობთან, ხან ქვისმთელელებთან, ქვა არ გაითლებოდა მონასტრის ეზოში ისე, რომ მას არ დაეთვალეობინა, დულაბი არ აიდღვიბებოდა, მას რომ არ შეემოწმებინა, რკინის კავებს მისხლობით ზომავდა, ერთმანეთს ატოლებდა. რასაც დაიწუნებდა, მას უკვე ხელმეორედ ვერავენ შეატყუებდა, რასაც იტყოდა, ველარავინ გადაათქმევიანებდა. ტაძრის მისეული გეგმა მის ტყინში ისე იყო ჩაჭედლილი, როგორც სოლი, რომელსაც ველარაფერი მოარყევდა. ოსტატებსა და მონებს იგი არ უყვარდათ, მკაცრ, უცხვირპირო, მედიდურ კაცად თვლიდნენ, რომელსაც ვერ გააცინებ, ვერსაიდან მიუდგები, მაგრამ მის ცოდნას, გამოცდილებას და მუყაითობას პატივს სცემდნენ, იცოდნენ, რასაც მოითხოვდა, სამართლიანად მოითხოვდა, რასაც დაიწუნებდა, მართლაც წუნი ჰქონდა, რასაც გაზომავდა და გაიანგარიშებდა, წყალი არ გაუვიდოდა. გუმბათამდე ჯერ შორს იყო, მაგრამ გუმბათი რომ ზუსტად მორგებოდა საფუძველს, საძირკვლებიდანვე უნდა გამოეთვალა და გამოეანგარიშებინა ყველაფერი, თანაც ბევრი რამ სრულიად აზღებურად, ისე, როგორც მანამდე საქართველოში არავის გამოუთვლია და გაუანგარიშებია. ეს კი არა მარტო დამბულ შრომას მოითხოვდა, არამედ დიდ პასუხისმგებლობასაც. ერთ პატარა გაუთვალისწინებლობას, ერთ მცირე შეცდომას შეეძლო ტაძარი ღორღად და ნანგრევებად ექცია. ეს იცოდა სერაპიონმა და ამიტომ მის საქმეებში არ ერეოდა, იმის მეტს არაფერს სთხოვდა, რაზედაც საბოლოოდ შეთანხმდნენ. მიუხედავად ამისა, მათი ურთიერთობა მაინც არ გაუმჯობესებულა, ისინი არც დაახლოებულან და არც დამეგობრებულან. შუარტყელელი წინამძღვარს ჯიუტ, ღვთის იმედით გათამამებულ, ყველაფერში ცხვირის ჩამყოფ, უხიავ კაცად თვლიდა, რომელმაც ზოგჯერ თვითონ არ იცოდა, რა უნდოდა და რა როგორ უნდა გაკეთებულიყო, რომე-

ლიც ღვთისა და სათნოების სახელით იმხელა ქველობას მოითხოვდა ყველასაგან, რამდენის უნარიც თვითონ შესწევდა. სერაპიონს კი ის აღიზიანებდა, რომ შუარტყელელი დასახმარებლად გაწვდილ ხელს ისე უყურებდა, როგორც მოღვრებულ მშუტს და მასთან საუბარსა და ურთიერთობას ერიდებოდა. ერთადერთი, რაც ბოლო დროს სერაპიონმა შუარტყელელს შეამჩნია და რამაც დაამშვიდა, ის იყო, რომ შუარტყელელის სულში თუ შეგნებაში ტაძრის აგება ისე ჩასახლდა, როგორც ავადმყოფობა, როგორც მოუცილებელი სენი, როგორც ისეთი სატანჯველი, მანამდე რომ არ განუცდია და ამ განსაცდელმა ხუროთმოძღვარი უფრო ღვთისმოსავი, უფრო დაფიქრებული და მორწმუნე გახადა. ერთხელ სერაპიონი თვითონ შეესწრო, შუარტყელელი რომ ხატის წინ იყო დამხობილი და გულმხურვალედ ლოცულობდა. მაშინ შუარტყელელს შერცხვა, სწრაფად წამოდგა ფეხზე და სერაპიონს ისეთი თვალით შეხედა, თითქოს მის წინ ბერი კი არა, სატანა იდგა, მაგრამ სერაპიონს მისი მზერისათვის ყურადღება არ მიუქცევია, რადგან ის, რასაც შეესწრო სიხარულს გვრიდა. მართალია, ტაძრის მშენებლობამ, გარკვეულ და განსაცდელმა შუარტყელელს უფრო ღვთისმოსაობა, უფრო მორწმუნე გახადა, მაგრამ სერაპიონის სულსა და შეგნებაში ჩასახლდა რაღაც ისეთი, რაც პირადად მას ცოდვად და მკრებელობად მიაჩნდა და რასაც ვერაფერს უხერხებდა. სერაპიონი მოწოდებული იყო იმისათვის, რომ ზნეობრივი, მონაზვნური ცხოვრებით ეცხოვრა, ყველაფერი მიწიერი დაევიწყებინა, ყოველი ტყობა, რისგანაც არ უნდა ყოფილიყო გამოწვეული, დაეგმო და უარეყო, მაგრამ მას შემდეგ, რაც მშენებლობა დაიწყო და იგი ამ საქმეში ჩაება, დიდ სიამოვნებას გვრიდა ქვაზე ამოჭრილი ჩუქურთმების სილამაზე, ხარის გამოქანდაკებული თავები, ერთმა შიდა ქართლიდან მოწვეულმა, მონადყოფილმა მოქანდაკემ რომ გამოაქანდა-



კა და ახლა მონასტრის ეზოში ეწყო იმ დროის მოლოდინში, როცა მონასტრის კარიბჭის თავკევის ზემოთ კედელში ჩადგამდნენ. სიამოვნებას გვირგვინად ყველაფერი, რაც ოსტატის ხელიდან გამოდიოდა და ლამაზი იყო, თანაც იმდენად, რომ არ შეეძლო არ მიახლოვებოდა, ხელით არ შეხებოდა, არ დამტკბარიყო და ყველაფერ ამას საკუთარ უკეთურებას, საკუთარი სულის უკულმართობას აწერდა და არა იმას, რომ ამ ხნის მანძილზე ცოტა მშენებელი და ხუროთმოძღვარი თვითონაც გახდა, როცა ეს აზრი მოეძალებოდა, უაზროდ დაბორილობდა, სწორედ იქ აღმოჩნდებოდა, სადაც საჭირო არ იყო, ყველას უდავგილოდ ეჩხივებოდა თვალში, ღამეს კი ლოცვაში ატარებდა და დილით მუხლებდაბუჯებული და დაღლილ-დაქანცული გამოდიოდა სენაკიდან.

იმ დღიასაც, სენაკის კარი რომ გაიხურა და მონასტრის ეზოში ჩავიდა, ნაქენჯ-ნაწამები იყო, ხან სამსჯავრო ელანდებოდა, ხანაც გუმბათის სვეტებიანი ყელი, მაგრამ როგორც კი თვალი მოჰკრა მშენებლებს, როგორც კი ლამაზად ამოყვანილი კედლის სიმტკიცე და სინატიფე გაითავისა, მაშინვე შევებით ამოისუნთქა, გამოცოცხლდა, გახალისდა. სანამ ტაძრამდე მიღწევდა, ქვისმთლელებს ჩაუარა. ერთი ხანშიშესული, გამხდარი, მაგრამ ძარღვიანი ქვის მთლელი, რომელიც მესხი კი იყო, მაგრამ რომელიც შორეული დაბიდან, ნახევრად დამუშავებულ ქვას ისე დაჰყურებდა, თითქოს მის კანქვეშ სისხლძარღვებს ხედავდა, აკვირდებოდა, როგორ არიან დაკლავნილნი, რომელი საით მიემართება, რამდენად მტკიცეა და რამდენად მყიფე ქვა, მკვეთრად დაიჩხინეს ნაჭდევს თუ არა, რას უფრო მოიხდენს — წრესა თუ კუთხეს, მკაცრ თუ რბილ ხაზებს და დროდადრო ტუჩებს ისე აცმაცუნებდა, თითქოს ქვას ულოცავდა, რომ არ გაჯიუტებულიყო, მართლაც არ გაქვავებულიყო. იმ წუთს მას ქვა უფრო ეცოდებოდა, ქვას უფრო მეტ ფასს ადებდა, ვიდრე საკუ-

თარ თავს. უბეში, ნაჯაფი, დაკორილი ხელებით ამოკვეთილ ჩუქურთმებს ფრთხილად აცლიდა მტვერსა და ნამსხვრევებს, სულს უბერავდა და ისევ განაგრძობდა მუშაობას. უეცრად ბერიკაცი შეჩერდა, საკრეთელსა და ჩაქუჩს ხელი შეუშვა, ფეხზე წამოდგა და ისე დააჩერდა ქვას, თითქოს მისი გულიდან გველი ამოძვრაო. ქვისმთლელს სერაპიონის მიახლოება არ შეუშინებია და როცა მის წინ ჩრდილი გაწვა, წინამძღვარს ისე ამოხედა, როგორც მონასტერში შემთხვევით შემოხეტებულ მაწანწალას.

— რა დინახე ამ ქვაში ისეთი, შვილო, ასე რომ ჩაიკრიკებ? — ჰკითხა სერაპიონმა და მანაც დახედა ქვას.

— ამ ქვას რომ სადღაც შიგნით სიცარიელე, ფულურო აქვს, ხმაზე ვატყობ და არ ვიცი, საიმედოა თუ არა.

— გატყდება?

— შეიძლება ახლა არ გატყდეს, მაგრამ როცა კედელში ჩასვამენ და ზედ სიმძიმე დააწვება, ეს ფულურო უთუოდ იჩენს თავს.

— დასანანია ამხელა ქვის გადაადგება, თანაც ნახევრად დამუშავებულია, — თქვა სერაპიონმა.

— ამის გადაადგება ჩემზე მეტად ვის დაენანება, მამაო, მაგრამ წუნი შვილს უფრო ებატება, ვიდრე ნახელავს.

— აჩვენე ხუროთმოძღვარს, იგი უკეთ მიხვდება, საიმედოა თუ არა.

— არ მინდოდა იმ კაცის პირში ჩავარდნილიყავი, უთუოდ მეტყვის, რატომ თავიდან არ შეამოწმე, ვარგისი იყო თუ არაო, მაგრამ ახლა რა გაეწყობა, ამხელა ქვას მის დაუკითხავად მაინც ვერ გადავაადგებ.

— თუ გადასაადგებია, გადაადგე, შვილო ჩემო, ხუროთმოძღვარს კი შევეტყვი, რომ ნება დაგრთე.

— მაინც შემომწყურება, მამაო.

— რას იზამ, შვილო, თავის ნახელავზე იგიც ისე აგებს პასუხს, როგორც შენ.

— გარედან ისეთია, ავ თვალს არ დაენახებია, მამაო, გული კი ფულურო

ჰქონია. სწორედ ამან შემიყვანა შეცდომაში.

— ისიც ცოდვია, შვილო, რაღაც რომ გამოგჩება მხედველობიდან, მაგრამ ახლა ამას აღარაფერი ეშველება. შეარჩიე ქვა და შეუღდექი მუშაობას.

ამ დროს მათ ისე წამოადგა შუარტყელელი თავს, რომ ვერც ერთმა ვერაფერი შეამჩნია. მისი შკაცრი პირსახე კიდევ უფრო გამკაცრებულიყო. ეტყობა, მან შორიდან დაინახა ან იგრძნო, რომ აქ რაღაც ხდება და მაშინვე მათკენ გამოსწია.

— რა ხდება აქ, მამაო? — ჰკითხა შუარტყელელმა ისე, რომ დილა მშვიდობისაც კი არ უსურვებია.

დამალვას აზრი არ ჰქონდა, შუარტყელელი ისედაც ყველაფერს ხედავდა და ყველაფერს ხედებოდა.

— ეს ქვა ფულუროიანი აღმოჩნდა, შვილო ჩემო.

— გარეწრები, ნაძირალები, — გამოსცრა შუარტყელელმა კბილებში.

— ვის ლანძღავ, შვილო?

— ყველას, ეს რომ გასამართაზებულია, ამას ლაპარაკი არ უნდა, — მიუთითა შუარტყელელმა ქვისმთლელებზე, — მაგრამ ის ძაღლის ვაგდებულები რას ფიქრობენ, ჩვენ აქ ბრმანი და ყრუნი ვართ!

— ვისზე ამბობ, შვილო?

— ვისზე და იმათზე, ქვის სამტრევეებში რომ მუშაობენ. რამდენჯერ გავაფრთხილე მათი ზემდეგები, ყველა ქვა, რომელსაც გამოგზავნით, ადგილზე შეამოწმეთ მეთქი, მაგრამ გაგიგონია. რას აკეთებს ის თქვენი ბერი იქ, მან მაინც ხომ იცის, რა გვიჭდება ამხელე ქვის აქ ამოთრევა.

— ქვის სამტრევეში ისეთი ხალხი მუშაობს, რომ მათი მოთოკვა და მორჩულება არც ისე ადვილია, შვილო — უპასუხა სერაპიონმა.

— ჩემი საქმე არაა, ვინ მუშაობს იქ და მნელია თუ არა მათი მოთოკვა. შე მხოლოდ ერთ რამეს მოვიტხოვ: რა მასალაც არ უნდა გამოგვიგზავნონ აქ, წუნი არ უნდა ჰქონდეს. თქვენ მაინც იცით, მამაო, რა სიმტკიცე სჭირდება

კედლებს, იმხელა გუმბათს რომ წავუძლიან.

— ვიცო, შვილო, და გავაფრთხილებ მამა ილარიონსაც და სხვებსაც.

— თუ არ გინდათ მარცხი ვიწვნით, თქვენ ამათ თავზე ხელს ნუ აფარებთ, მამაო სერაპიონ, — უთხრა შუარტყელელმა ისე, თითქოს სერაპიონსაც მიუძღოდა ბრალი იმაში, ქვა რომ ფულუროიანი აღმოჩნდა.

შუარტყელელმა ჩაქუჩი აიღო და ქვნიაცენ დაიხარა. სერაპიონი ერთხანს უსმენდა ჩაქუჩის კაკუნს, შემდეგ იგრძნო, რომ აქ ზედმეტი იყო და ისე გაეცალა იქაურობას, რომ არც ერთისათვის არაფერი უთქვამს ანდა რა უნდა ეთქვა. თუ რამე დაზიანდებოდა ან წახდებოდა, ამისათვის შუარტყელელი აგებდა პასუხს და ამიტომ მეტი უფლება ჰქონდა ის მოეთხოვა, რაც საჭიროდ მიაჩნდა. ხუროთმოძღვარს ისეთი თვისებები აღმოაჩნდა, რომ მეორეს ასეთს მნელად იბოვიდა — ჩინებული ოსტატიც იყო, გამრჯევე, მკაცრიც და ამიტომ არ უნდოდა მასთან უთანხმოება მოსვლოდა. ამით ტაძარს უფრო მეტი დააკლდებოდა, ვიდრე ორივეს ერთად. ახლა ისინი ისე იყვნენ ერთმანეთთან დაკავშირებულნი, რომ ამ კავშირის გაწყვეტა არაფრით არ შეიძლებოდა. ვინ შეძლებდა ყოველივე იმის თავიდან დაწყებას, მათ რომ გამოიარეს და იწვნის. შუარტყელელი ახლა მისთვის შეუცვლელი კაცი იყო და ამიტომ მასთან ურთიერთობას მეტი ჭკუა და სიფრთხილე სჭირდებოდა. იგი რომ აქედან გაქცეულიყო, ტაძრის აგება ან დიდი ხნით გადაიდებოდა; ანდა საერთოდ არ ამენდებოდა. სერაპიონს კი ეჩქარებოდა, დრო ვადიოდა და არ უნდოდა ისე წასულიყო ამქვეყნიდან, რომ ამდენი ხნის ნაოცნებარი საკუთარი თვალით არ ენახა. ამიტომ ბევრ ისეთ რამეზე უნდა დაეხუჭა თვალი, რაც არ სიამოვნებდა, გაეძლო ყველაფერი იმისათვის, რასაც საქმე და მშენებლობა მოითხოვდა. მართალია, ეს ეწინააღმდეგებოდა მის მოწოდებას და მრწამსს, ნაწილობრივ მაინც უგულვე-

ბელყოფდა იმ მცნებათა არსს, ტვინში რომ ჰქონდა ჩაჭედილი, მაგრამ ამას იგი ტაძრის გამო აკეთებდა და არა შეღავათისათვის. ტაძარი ამლევედა მიწიერ სიცოცხლეს აზრს და აცოცხლებდა ყველაფერს, რაც ირგვლივ აქამდე მკვდარი იყო, ტაძარი ისაკუთრებდა უსასრულობას და მიწიერ ტკივილსაც იტევდა და ზეციურსაც.

გასული ზამთარი ცივი და თოვლიანი იყო, რამაც ტაძრის მშენებლობა ცოტათი შეაფერხა, მაგრამ ახლა გაზაფხული იდგა და მზის სხივები უკვე ელაციებოდა ფიჭვების კენწეროებს. მონასტრის ეზოში დატვირთული ურემები შემოჭრიალდნენ. სამჭედლოდან გრდემლზე უროს ცემის ხმა ისმოდა. სერაპიონს უნდოდა ტაძარს მიახლოებოდა, დაენახა რამდენად ამოიზარდა კედელი, რით იყვნენ დასაქმებული ოსტატები და მუშები, მაგრამ იცოდა, რომ ისევ შუარტყელელს შეეჩებებოდა სადმე პირისპირ და მისი პირქუში სახის დანახვას ისევ ის ერჩია, რომ მონასტრის ეზოდან გასულიყო, ახალგაშენებული ზვრებისათვის დაეხედა, ბალკონები დაეულო და კიდევ ერთხელ დარწმუნებულიყო, რა როგორც კეთდებოდა მონასტრის მამულში. მის მაგივრობას აქ იოანე გასწევდა. იგი დიდიდან საღამომდე მშენებლობაზე იყო, შუარტყელელს თითქმის შეგირდად დაუდგა, რაც გასაზომი და გასაანგარიშებელი იყო, ერთად ზომავდნენ და ანგარიშობდნენ, თუ რომელიმე მასალის ნაკლებობა იგრძნობოდა, ერთად ღებულობდნენ საჭირო ზომებს, თუ ვინმეს რამე ისე არ გამოსდიოდა, როგორც უნდა გამოსვლოდა, ერთად უსწორებდნენ და ასწავლიდნენ. შუარტყელელმა იოანესთან უფრო ადვილად გამოიხანა საერთო ენა, ვიდრე სერაპიონთან, ნდობითაც უფრო მეტად ენდობოდა და სავარაუდო მოსაზრებებსაც უზიარებდა. მას შემდეგ, რაც ისინი აქ ამოვიდნენ, იოანე დასრულდა, მაღალი, ლამაზი ვაჟაკი დადგა. მონასტრის მამულში და მშენებლობაზე მუშაობამ ხორციელად გააქაყა. მისი მზემოკიდე-

ბული სახე მორცხვობისა და მორჩილების ნიშნებს ჯერ კიდევ ინარჩუნებდა, მაგრამ ხასიათის სიმტკიცეზე და მთლიანობაზე მეტყველებდა, მსხვილი, თაფლისფერი თვალები კი — გულწრფელობაზე და პატიოსნებაზე და ყველაფერი ეს ერთად სხევეში მისდამი მორიდებასა და პატივისცემის გრძნობას იწვევდა. მხოლოდ ეს იყო, რომ ხელმძღვანელობაზე მეტად სწავლა უყვარდა. როცა საქმე არ ჰქონდა, მართობას მიეღტვოდა და არ იქნა და არ დამყარდა მათ შორის ის ურთიერთობა, მშებს შორის რომ უნდა იყოს. იოანესათვის სერაპიონი მშა კი არ იყო, არამედ მონასტრის წინამძღვარი, ის კაცი, ვინც იერარქიით მასზე ბევრად მაღლა იდგა და არაფრით არ უნდოდა ამ მანძილის დარღვევა, გაშინაურება, გატოლება. იგი ახლაც ისეთი რიდითა და პატივისცემით ელაპარაკებოდა სერაპიონს, როგორც აქ ამოსვლამდე. გაჩიუტება და თავის გამოღება კი მხოლოდ მაშინ იცოდა, როცა საკუთარ სიმართლეში დარწმუნებული იყო და თავის აზრის დასადასტურებლად ყოველთვის მყარი საბუთები მოჰქონდა, მაგრამ ზღვარს არც ასეთი დავა-კამათის დროს გადადიოდა. იოანე ისევ უფრო ხილდებოდა რაღაცას, რაღაც ისეთს, რასაც სხვას ვერც გაუზიარებდა და ვერც ანდობდა.

სერაპიონი დაღმართს დაუყვა, იმ კელიონს ჩაუარა, სადაც მონაზვნები ცხოვრობდნენ და მონასტრის ეზოდან გავიდა. ნისლი უკვე აკრფელიყო პირისაგან მიწისა, კვირტები ორ-სამ დღეში იფეთქებდნენ და ხეები ყვავილებსა და ახალ ფოთლებს გამოიღებდნენ. ყოფილი ტბის ფსკერი ისე დაეფარა ბუჩქებსა და ნორჩ ხეებს, რომ ვერაფერს მიხედებოდა, აქ თუ ოდესმე ტბა იყო. იმ ტბის წყალს გაჰყვა უკან წლებიც. შუბლზე ნაოჭები გაუჩნდა, წვერში რამდენიმე თეთრი თმა გაერია, მაგრამ საკუთარ თავს მაინც ვერ მოუხანხა ისეთი გასაღები, ადვილად რომ შეედრია, ბნელი ტალანები გაეშუქებინა, აზრი აზრისაგან დაეცვა და ისე მიეღაგებ-მო-

ელაგებინა იქაურობა, რომ ერთსა და იმავე დროს მიწასთანაც ყოფილიყო და-  
კავშირებულად და ცასთანაც.

სერაპიონი მარტო, უთანამგზავროდ, უშიშრად მიჰყვებოდა რამდენიმე წლის წინათ გაკვალულ საურმე გზას და იგონებდა იმ დროს, პირველად რომ შემოიარა და მოიზომა სამონასტრო მამული. მაშინ ეს უდაბური მხარე არც კაცს ადგა არაფერში და არც ღმერთს, მხოლოდ ავაზაყების, მონადირეების, ურჯულოებისა და უკეთურების თავშესაფარი იყო, შიშისა და სიმუხთლის ბუდე, უნაყოფო, უსიერი, ღვთისგან მივიწყებული მიწის ნაგლევი, სადაც ბუნების ყველა ღია კარი ბნელი იყო, რწმენის წყარო კი დაბნული და წაბილწული, სადაც ბოროტებას ხოტბას ასხამდნენ, უმანყოვებს კი აბუჩად იგდებდნენ; სადაც ბატონობდა სიმრუდე, განუსჯელობა, ვნებათა ღვარძლი და სადაც შინაგანი ხმა არავის არაფერს ეტუნებოდა. ასეთი ახსოვდა სერაპიონს ზარზმის შემოგარენი, ახლა კი მიწა ნაკვეთებად იყო დაყოფილი, ზერები, ბალ-ბოსტნები, სარწყავი არხები შენდებოდა, ცხოვრება და გარჯა აზრს იძენდა, აღამიანები სიმშვილითა და ნათელი მრწამსით იმსჯელებოდნენ, ერთად ლოცულობდნენ, ერთად შრომობდნენ, ერთად სერობდნენ, მარადიულს წარმოვალზე არ ცვლიდნენ და მათ გამოხედვაში არ იგრძნობოდა ის იდეალური შიში, ის ფრთხილი და უხდო მზერა, განუსჯელთ და გატყუებულთ რომ ახასიათებს.

სერაპიონი ასე კი ფიქრობდა, მაგრამ მთლად დარწმუნებული არ იყო იმაში, რომ ისინიც ამგვარად მსჯელობდნენ, ვისაც გულისხმობდა. შეიძლება ზოგიერთი მათგანი ჯერ კიდევ ისე იყო ჩაბლაუჭებული ბნელს, ისე მაგრად ჰქონდა თვალები დაბუჭული, რომ ვახელისა და განახლებული სამყაროს საკუთარი თვალთ დახახვისა ეშინოდა. ზოგიერთს კი ბოლომდე არ ჰქონდა შეგნებული, რა ეკეთებინა, რისთვის ეგოპოსუბი და რისთვის არა, რა მოეჭირნა-

ხულებინა და რაზე აეყარა გულში და ეს ბორკავდა, აცოდვილგზდა. სულმათ იყენენ ისეთებიც, საკუთარი თავის იმედით რომ არ ჰქონდათ და თავიანთი ცოდვების გამოსყიდვა უფრო ღვაწლმოსილი, უფრო ღვთისმოსავი ძმებისა და ღვთის ხარჯზე უნდოდათ, მაგრამ რაღაც რომ შეიცვალა, გარდაიქმნა, სიყვარულმა და თანაგრძნობამ რომ მათ ცხოვრებაში უფრო ღრმად გაიდგა ძირი, ამაში ეჭვი არ ეპარებოდათ. ამაზე ისიც მეტყველებდა, რომ მწუხარებასაც უფრო ღრმად განიცდიდნენ და ნეტარებასაც, სიკეთესაც და უკეთურობასაც, ისე აღარ ეშინოდათ ტანჯვისა და ტკივილის, როგორც მაშინ, უგუნური და უბადრუნები რომ იყენენ. სერაპიონმა მხოლოდ ის არ იცოდა, ყველაფერი ეს მართლაც ასე იყო თუ მისი პირადი სურვილისაგან, მისი ცალმხრივ გადაჭანებული წარმოდგენისაგან მომდინარეობდა. მას უნდოდა ყველაფერი ცხადად, უნაკლოდ, შეუსუღრავედ დაენახა, ჩამოეცილებინა ის ზეგავლენა, მასზე რომ ტაძრის მშენებლობა და გარე სამყაროსადმი პირადი დამოკიდებულება ახდინებდა, მაგრამ იმასაც გრძნობდა, რომ საკუთარი თავიდან ვერ ამოძვრებოდა, ყველაფერ მიჩქმალულს ნათელს ვერ მოჰყვებოდა, სულსა და სხეულს ერთ არსებად ვერ შეკრავდა.

სერაპიონი ისე ლაღად, ისე თავისუფლად და ხალისიანად მიაბიჯებდა, ისე უხაროდა მზე რომ თავზე დანათოდა და მსუბუქი ნიავი ჩოხის კალთებს უფრიალებდა, რომ ერთი ორჯერ შეხტა და შეკუნტრულშდა კიდევ, მაგრამ საკუთარი საქციელისა თვითონვე შერცხვია. ირგვლივ მიმოიხედა, ხომ არავინ დამინახათ და როცა დარწმუნდა ირგვლივ კაციშვილი არ ჰაჭანებდა ისევ დინჯი ნაბიჯით განაგრძო გზა. რამდენიმე წამს იგი დაწაყვებულად კი არ აღიქვამდა გარემოს, არამედ მთლიანად, განუყოფლად და ეს თავის თავთანაც აახლოებდა და ღმერთთანაც, ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს სამყარო უკლებლივ მისი იყო და თვითონაც უკლებლივ სამყაროს ეკუთვნოდა, მაგრამ ეს გრძნო-

ბა სულ რამდენიმე წამს გაგრძელდა და როცა გაქრა, გული დაწყდა. სამაგიეროდ მის შეგნებაში ისევ ამოტივტივდა მონასტერი, რომელიც ამ ხნის მანძილზე არ ახსოვდა და როცა ერთ-ერთ იმ დღესს მიუახლოვდა, ადრე ტბას რომ უერთდებოდა, ლელის პირას გაშენებულ ბოსტანში ალათია და მონაზვნები დაინახა. ბოსტანი იმხელა იყო, რომ მწვანელითა და ბოსტნეულით მთელ მონასტერს ამბარებდა. მას არ უნდოდა, მონაზვნებს რომ გარე-გარე ეარათ, მიწა ეჩიჩქნათ, სხვების დასაზიზავად ემუშავათ, მაგრამ ჭერ-ჭერობით მონასტერში საქმე თითქმის არაფერი ჰქონდათ, სადიაციო მეურნეობას მოწყობა და მასალით მომარაგება სჭირდებოდა და ისინი რომ კელიონში ისე არ გამოეკეტა, როგორც ციხეში, თანაც ტაძრის მშენებლობისათვის მოერიდებინა, ნება დართო, მონასტრის გარეთ ბოსტანი გაეშენებინათ და ამით დაეკმაყოფილებინათ თავიანთი მიწიერი მოთხოვნილება. მონაზვნებს შორის ესნა ცივნარისძეც ერია. მას შემდეგ, რაც იგი მონასტერში მოიყვანა, სერაპიონს მისთვის თვალი არ მოუქრავს, არც ამბავი უკითხავს აშკარად და სხვების გასაგონად, მაგრამ ის, რაც უნდა სცოდნოდა, მის ყურამდე მაინც აღწევდა. პირველ ხანებში ესნა თურმე ისე ჩაიკეტა და ჩაიძარბა სენაკში, რომ არავის ეჩვენებოდა, არც ის იცოდა არავინ, რას აკეთებდა მთელი დღე მარტო, მაგრამ როგორც შემდეგ გამოირკვა, ამას სხვა მიზეზიც ჰქონია. ბოლოს, როცა ალათიამ აღარ მოასვენა, გამოუტყდა, რომ ფეხმძიმედ იყო. სერაპიონი ამ საქმეში არ ჩარეულა, არავისთვის არაფერი უთქვამს. იცოდა, ქალები უკეთ გაართმევდნენ თავს თავიანთ ქალურ საქმეს და ბოლოს მის ყურამდე იმ ამბავსაც მოაღწია, რომ ესნა ცივნარისძეს მუცელი მოაშლევიან და ნაყოფისაგან გაანთავისუფლეს, მაგრამ რადგანაც ცოტათი დაგვიანებული იყო, კინაღამ სისხლისაგან დაიკალა. ასე გავიდა ხუთი თუ ექვსი თვე, სერაპიონს ცოტათი დაავიწყდა კიდევ მისი

არსებობა და ახლა რომ თვალღუმოჰქრა, შიგნით რაღაცამ კვლავ-გაიჩქარუნა შიშნეულად.

სერაპიონს არ უნდოდა მონაზვნებს დალაპარაკებოდა, წარსული აღედგინა, ეს ხალისიანი დილა რითიმე დაეჩრდილა და დაემძიმებინა. მას ისედაც უამრავი საქმე ჰქონდა და არ უყვარდა დროის ტყუილუბრალოდ ფლანგვა, ისეთ რაღაცაზე დახატვა, რაც მონასტრის ან ტაძრის მშენებლობასთან არ იყო დაკავშირებული. არა და მას შემდეგ, რაც შეამჩნიეს, სალამი მაინც უნდა მიეცა მათთვის და ჭვარი გარდაეხახა. შემდეგ კი შეეძლო თამამად განეგრძო გზა, რადგან იმედი ჰქონდა. მონაზონთაგან არავინ ისურვებდა მასთან გამოლაპარაკებას, მაგრამ ამ დროს ესნა ცივნარისძემ წვერწამახული პალო მიწაზე დაავლო, ხელები კალთაზე შეიწმინდა და მისკენ წამოვიდა. მოდიოდა ტანკენარი, წელში გამართული, სხიმფინარი, შავი, უხეში შალის კაბა და შავი მონაზნური თავსამკაული ვერაფერს მალავდა, ვერაფერს ჩრდილავდა, ვერ ამდაბლებდა მიწიერ საწყისს. ალათიამ ერთხელ კი სცადა მისი შეჩერება, მაგრამ მიხვდა, ესნა რომ კარგა მანძილით იყო დაწინაურებული და გამოკიდება აღარ იკადრა. სერაპიონმა მხოლოდ მაშინ შეამჩნია ესნას სახეზე ტანკენის ის მცირედი კვალი, ამ ხუთი თუ ექვსი თვის მანძილზე მონასტერში გამოკეტვამ და მუცლის მოშლამ რომ დაამჩნია, როცა ახლოს მოვიდა. მიუხედავად ამისა, მაინც კალმით ნახატ ანგელოზს ჰგავდა, სიფერმკრთალე კიდევ უფრო მეტ სინატიფეს ანიჭებდა მის სილამაზეს.

— გამარჯობათ, მამაო სერაპიონ, — მიესალმა ესნა ისე უშუალოდ, თითქოს ყოველდღე ხედებოდნენ ერთმანეთს.

— ღმერთმა გამარჯვება ნუ მოგაქლოს, შვილო.

— ნუთუ იმის ღირსიც არა ვართ, მამაო, თვეში ერთხელ მაინც რომ იკითხოთ ჩვენი ამბავი.

— ხომ არაფერი გიჭირს, შვილო?

— ახლა არაფერი, მაგრამ როცა მიჭირდა, შეგეილაოთ თარიოდე სანუგეშო სიტყვა გეთქვათ ჩემთვის.

— იმ დღეებში მე მხოლოდ შენთვის ვლოცულობდი, შვილო.

— რას სთხოვდით ღმერთს, მამაო?

— შენს შევლას და შემწეობას.

— ასე რომ ყველაფერი იცით?

— ტანჯვა ქრისტიანს მხოლოდ ამაღლებს, შვილო.

— იცით და მაინც მაჩერებთ აქ?

— მე მოყვასისათვის ხელის კერის უფლება არა მაქვს, გარდა ამისა, შენ არც ისეთი დიდი ცოდვა მიგიძღვის ღვთის წინაშე, რომ არ შეგინდოს, ღმერთი ყოვლადმწყალა, შვილო.

სერაპიონი გრძნობდა, რომ მის წიგ ახალგაზრდა, ჯან-ღონით სავსე, ლამაზი ქალი იდგა, რომლის სიხალისე და სიცოცხლისუნარიანობა ბევრს შემურდებოდა, მაგრამ მაინც თანაუგრძნობდა, ეცოდებოდა იმის გამო, რაც თავს გადახდა, რაც იმ ზამთარში გადაიტანა, ხოლო როცა იმას წარმოიდგენდა, თუ რა მოელოდა ესნა ცივნარისძეს მომავალში, შიშნულ შემოფთებასაც კი იწყებდა.

— მამაო სერაპიონ, უკვე ხუთ თვეზე მეტია, რაც აქ ვარ და ამ ხნის განმავლობაში ვერც შევიცვალე და ვერც გარდავიქმენი, იქნებ თქვენც მიფხრათ, როდის მოხდება ეს?

— ჯერ ერთი, შვილო ჩემო, ეს ხუთი თვე მარტობასა და ავადმყოფობაში გაატარე, მეორეც ღმერთს მორწმუნე, მორჩილი, სულგრძელი ადამიანები უყვარს და არა სულსწრაფნი.

— ის დედანი, აქ რომ თავი მოუყრიათ, ყველა ცხოვრებაგამოვილია, მამაო, მათ შორის ახალგაზრდა მხოლოდ მე ვარ და მიჭირს მათთან საერთო ენის გამოხატვა.

— მათი გამოცდილება თუ შეგძენს რამეს, თორემ არაფერს დაგაკლებს, შვილო, გარდა ამისა, რამდენადაც ვოცი, ისინი დედის მაგივრობას გიწყევენ.

— დედა მე აღარ მჭირდება, მამაო, თანაც ამდენი დედა, ზედამხედველო-

ბაზე მეტად თავისუფლება მიყვარს. (ხანუ გამომკეტავთ აქ პატიმარივით.)

— ძალით შენ აქ არავინ გიჭერს, შვილო.

— ვიცი, მამაო, ისიც ვიცი, ჯერჯერობით რომ წასასვლელი არსად მაქვს, მაგრამ იმის უფლება მაინც მომეცით, დღისით რომ თავისუფლად გამოვიდე კელიონიდან და ადამიანებს ხმა გავუკ.

— ამის უფლება მე არა მაქვს, შვილო, დედათა მონასტრის თავისი ილუმენი ჰყავს და თავისი შინაგანაწესი აქვს.

სერაპიონმა ერთი წაშით წარმოიდგინა, როგორ დახეტიალებს თავისუფლად ესნა ცივნარისძე მონასტრის ეზოში, როგორ ელაპარაკება ბერმონაზვნებს, მშენებლებს, მონებს, მონასტრის სტუმრებს, როგორ იცინის და კეკლუცობს, როგორ დაარბევს მკვრივ თევზებს და ყოველივე ამის წარმოდგენამ შეაშფოთა. ესნას შეეძლო ისე აეფორიაქებინა მონასტერი, როგორც ფუტურის სკა. არა და ჯერ არ ჰქონდა იმის საშუალება, რომ მონაზვნები ტოკლარჩეთში გაეგზავნა დედათა მონასტერში. აუცილებელი იყო ერთი დედათა მონასტრის სამცხეში აშენება, მაგრამ ამაზე, უბირველეს ყოვლისა, ახალდანიშნულ ეპისკოპოსს ვიორგი მანუყერელს უნდა ეზრუნა.

— მამაო სერაპიონ, თქვენ ხომ მე მხოლოდ შემოიფარეთ, მე ხომ მონაზვნად აღკვეცილი არა ვარ?

— მართალია, შვილო, მაგრამ შენ დედათა მონასტერში ცხოვრობ და იქაურ წესებს უნდა დაემორჩილო. რას დაემგვანებოდა აქაურობა, ყველამ რომ თავის ნებაზე იაროს. გარდა ამისა, მე იმედი მაქვს, რომ ღმერთი ღვთიურ მადლს არ მოგაკლებს და ადრე თუ გვიან მაინც გაგიყვანს ჰერმარიტების გზაზე.

— თქვენ გადაწყვეტილი გაქვთ ჩემი მონაზვნად აღკვეცა, მამაო?

— ეს შენ ნებასურვილზეა დამოკიდებული და არა ჩემსაზე, შვილო ჩემო.

— მაღლობთ, მამაო, თქვენი ნახვა რომ დამჭირდეს, სად გნახოთ?

— ამაზე იოლი რაა.

— ნახვამდის, მაშაო.

— ღმერთმა მშვილობა ნუ მოგაცილოს, შვილო.

სერაპიონმა გზა განაგრძნო, მაგრამ ჩრდილები ახლა უფრო ჩამუქებული ეჩვენებოდა, ვიდრე მაშინ, როცა მონასტრიდან გამოვიდა. იგი უპირისპირდებოდა რადიკალური უხილავ, აულაგმავ ძალას, რომელსაც შეეძლო დიდი უსიამოვნება მოეტანა მისთვისაც და სხვებისთვისაც. მას ჯერ კიდევ ბევრი რამ ჰქონდა გამოსაცდელი და გადასატანი ისეთი, რაზეც არ უფიქრია და არც შეეძლო ეფიქრა, მაგრამ რასაც არა მარტო წინაშემდგომობა უშნადებდა, არამედ უამრავი ბრმა შემთხვევაც, რომელთა გათვალისწინება არაფრით არ შეეძლო. მწარე გაკვეთილს მწარე გაკვეთილი მოსდევდა, მოულოდნელობას მოულოდნელობა, ცხოვრება ისე ბრუნავდა, როგორი წესიც ჰქონდა, მაგრამ მას არავითარი უფლება არ ჰქონდა ცხოვრების ამ წესს მორგებოდა. ცას დაშორებოდა და მიწას დაახლოებოდა. იმას, რასაც ღმერთი სხვებს შეუძნებდა, მას არ აპატიებდა, მთელი მისი ძალღონე, მთელი მისი ნებისყოფა მონასტრისა და ტაძრის მშენებლობისაკენ უნდა ყოფილიყო მიმართული და ეს ნებისყოფა ვერაფერსა და ვერავის ვერ უნდა დაეჩლუნგებინა, ვერ უნდა წარემართა სხვა მხრივ. საქმე დღითი დღე მატულობდა, მონასტერი და ტაძარი სულ უფრო მეტ ყურადღებას მოითხოვდა და საქმის ზრდასთან ერთად იზრდებოდა დაბრკოლებებიც და რთულდებოდა ადამიანებთან ურთიერთობაც. მას ყველა უნდა დაეჯერებინა, უკიდურეს შემთხვევაში აეთლებინა ეკეთებინათ ის, რისი ეკეთებაც ხშირ შემთხვევაში არ უნდოდათ, დაებურებინა მშიერი-მწყურვალნი, პასუხი გაეც: როგორც წესიერი და გონიერი ადამიანისათვის, ასევე ყველა უგუნურის, უმეცარის, აბეზარის და ბლუსათვისაც კი და ყოველივე ამას სულიერი სიმშვიდე და მტკიცე ნებისყოფა სჭირდებოდა. მისი ნებისყოფის მოღუწებას ყველაფ-

რის მოღუწება და მოშლა მოკლებული ამიტომ წინასწარ უნდა დაეზღუდა თავი ისეთი ამბებისაგან, რაც მშენებლობის ბოლომდე მიყვანას ხელს შეუშლიდა.

სერაპიონმა უკან მოიხედა, უნდოდა მონასტრისათვის შეეველო თვალი, მაგრამ მონასტერი აქედან არ ჩანდა. გზა ფიქვენარს მიუყვებოდა. ირგვლივ ისეთი სიჩუმე სუფევდა, რომ იმ ხმაურის შემდეგ, მონასტრის ეჭოში რომ ისმოდა, დაუჯერებელიც კი იყო. ამ სიჩუმეს დროდადრო კოდალას კაკუნა არ ღვევდა. სერაპიონი ფიქვენარს გასცდა და როცა ზერებს მიადგა, ხევის პირას ახალი ყავრით გადახურული მარანი დაინახა. მარანი გადახურული კი იყო, მაგრამ დამთავრებას ჯერ კიდევ ბევრი აკლდა — ჩასაყრელი იყო ქვევრები, გასამართავი საწინახლები და თაროები, გამოსათლელი ღარები და როფები, გამოსაწვავი ჩაფები და კოკები. წლებედელი მოსავალი ამ მარანში უნდა დაწურულიყო. მარნის მშენებლობას თავიდანვე გარბანელი ჩაუდგა სათავეში, ხოლო იმას, რაც მისი ხელიდან გამოვიდოდა, წუნი არ დაედებოდა. გარბანელი ბეჭებში მოიხარა, მთლად გაქაღარავდა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც მისმა შვილმა მამისეული სახლი მიატოვა და საღდაც გადაიხვეწა, მაგრამ ამის გამო იგი არც გაზარმაყებულა და არც გაგულგრილებულა. მას სწამდა ის, რასაც აკეთებდა, კაცის საქვეყნიურ ღვაწლს არანაკლებ აფასებდა, ვიდრე მის ზნეობრივ საწმინდეს, ცდილობდა, რაც შეიძლება მეტი მოესწრო და ამიტომ ყველაფერი წინასწარ ჰქონდა გათვლილი და გაანგარიშებული, შეიძლება ისიც, როდეს მოკვდებოდა და სად დაიმარხებოდა, კიდევ რამდენ ხანს ეყოფოდა ძალღონე. რა იყო დარჩენილი ისეთი, რისთვისაც ადგილი უნდა მიეჩნია. გარბანელი ცხოვრების აზრს ყოველდღიურ საქმიანობაში ხედავდა და არა სამაგალითო სიჭკველში.

მარანში გათლილი ხის სუნი იდგა. სამეთურნეო ნაგებობათა მშენებლობაზე ძირითადად ბერები, მორჩილნი და ისი-

ნი მუშაობდნენ, ვისაც სურდა მომავალში თავისი ცხოვრება მონასტრისათვის დაეკავშირებინა. მარანი იმხელა იყო, რომ ყურანის მთელ მოსავალს დაიტევდა, დაწურავდა და დააბინავებდა. მოპირდაპირე კუთხეებში უკვე იდგა ორი საწინახელი, ორს კიდევ თლიდნენ, კარიდან მხარმარცხნივ თაროებისათვის ფიკრებს რანდავდნენ. გარბანელმა ბოლოდ მამინ შოიხედა უკან, როცა ერთმა ბერმა ანიშნა, სტუმარი გვეყვიაო.

— მობრძანდით, მამაო სერაპიონ. არ გელოდით, მას შემდეგ, რაც ტანის მშენებლობა დაიწყო, ჩვენ აღარ განსოვართ, — უთხრა გარბანელმა ღმერთს და შუა მარანში დადგმულ ტახტასთან მიიწვია. სერაპიონი სამჯეხა სკამზე ჩამოჯდა. იმათ შორის, ვინც საწინახელეს თლიდა, მისი ყურადღება ერთმა შევეგერემანმა, თხელმა, მაგრამ ვაჟკაციური აღნაგობის მამაკაცმა მიიქცია, რომელიც სადღაც ენახა, მაგრამ ვერაფრით მოიგონა, სად.

— რას იქმით, ძმაო გაბრიელ? — ჰკითხა სერაპიონმა გარბანელს, როცა იგი მის პირისპირ ჩამოჯდა.

— ვცხოვრობთ და ვშრომობთ ღვთას შეწევნით, მამაო.

— საჭინიბოსათვის თუ შეარჩიე ადგილი?

— შევარჩიე, მამაო, თუ გნებავთ დღესვე გაჩვენებთ, მაგრამ მშენებლობას მანამდე ვერ დაიწყებთ, სანამ მარანს არ მოვთავებთ.

— მარანი თითქმის მოთავებულაი

— სულ ცოტა, ერთი თვე მაინც დაეყოვნდებით აქ.

მარანი ჭერ ნაფოტებით, ნაჯერხით, ბურბუშელათი იყო სავესე, აქა-იქ დაუმუშავებელი ხის შორებიც ეყარა, მაგრამ როცა საბოლოოდ დაიგვეზოდა და დასუფთავდებოდა, უჩვეულოდ მკუდრო, უფრილი და ტყვადი იქნებოდა. ქვევრებსაც დაიტევდა, კასრებსაც და საზამთროდ შესანახ ხილსაც. ორიოდ წლის შემდეგ მონასტრის შექმლო იმდენი ღვინო დაეყენებინა, რომ სასმელადაც ყოფნოდა და გასაყიდადაც. ის

ნაგებობები, მონასტრის მკაფიანებად რთ რომ იყვნენ გამოტანილნი, სერაპიონისათვის კატარ-პატარა ციხე-დარბაზები იყო, რომლებიც საურმე გზებით, მოსახვევებით, ბუნების ამა თუ იმ ნიშნებით მთავარ მონასტერთან იყვნენ დაკავშირებულნი და მას სჯეროდა, რომ სანამ ეს ნიშნები იარსებებდა, იარსებებდა მონასტერიც და პატარ-პატარა ციხე-დარბაზებიც.

სერაპიონმა კვლავ შეავლო თვალი იმ მამაკაცს, ნაცნობი რომ მოეჩვენა და ვერაფრით ვერ გაიხსენა. მეხსიერების დაძაბვა ამჯერადაც ამო აღმოჩნდა. მან მხოლოდ ერთი რამ შენიშნა უცნობს თუ ნაცნობს, მისი სიფერმკრთალე სულიერ მღელვარებაზე და თერთად გათენებულ ღამეებზე მეტყველებდა.

— ძმაო გაბრიელ, ვინაა, აი, ის შევეგერემანი, ფერმკრთალი მამაკაცი, საწინახელს რომ თლის? — ჰკითხა სერაპიონმა გარბანელს ისე, რომ სხვებს არ გაეგონათ.

— არ ვიცი, მამაო, ერთი კვირაა, რაც ჩვენთან მოვიდა და გვითხრა, თქვენი არაფერი მინდა, უსასყიდლოდ მამუშავეთ, ოღონდ მომეცით იმის შესაძლებლობა, მონასტრის რითიმე მეც შევეწიოო.

— არაფერი უთქვამს, ვინ ვარ, საიდან ვარო.

— საერთოდ, სიტყვაძუნწი კაცია. თვითონ არაფერი უთქვამს, აღარც ჩვენ ჩაეცივებივართ. მხოლოდ ეს გვითხრა გვარად ჭანდარისძე ვარ, სახელი კი გუგუ მქვიაო.

— სადაურები არიან ჭანდარისძენი, ძმაო გაბრიელ?

— მესხები, მამაო.

— როგორი მუშაა?

— დალლა არ იცის.

— ღამეს სად ათევს?

— აქვე მარანში.

— მონათლული თუა?

— მონათლული რომ არ იყოს, არც ლოცვა ეცოდინებოდა და არც პირჯერის გადაწერა.

— რატომ მონასტერში არ ამოვიდა



ჩვენთან, არ გაგვეცნო, არ გვითხრა სადაურია, რა ზელობის კაცია?

— შე კი შევთავაზებ, მამაო, მაგრამ მითხრა, ჯერ რა ღირსი ვარ წმიდა მამებს წარუდღგეო, ჯერ აქ ვიმუშავებ, ლოცვა-ვედრებით ცოდვებს მოვიხანნიებ. ქვეშაირიტ გზას დავედგები და თუ მათი ყურადღება დავიმსახურე, შეიძლება ბერადაც აღვიკვეცო.

— უსასყიდლოდ რომ მუშაობს, რით ირჩენს თავს?

— ჯერჯერობით ჩვენთან ერთად ჰამს პურს და ამბობს მეტი არაფერი მინდაო.

— როგორ იქცევა, საეჭვო ხომ არაფერი შეამჩნიე?

— არა, მამაო, ყველაფერში ზომიერი და თავშეკავებულია. ჩემის აზრით, არც ფულზე უნდა იყოს დახარბებული და არც ქონების შექენაზე. რალაც კი აწუხებს, მაგრამ ეს წუხილი სულიერი უფრო უნდა იყოს, ვიდრე მიწიერი.

სერაპიონს უნდოდა კიდევ რალაც ეკითხა, მაგრამ ამ დროს გარედან აჩქარებული ფეხის ხმა მოესმა და როცა მარანში აღვლევებული და გაფითრებული იოანე შემოიჭრა, ფეხზე წამოდგა. იოანეს იგი კარგად იცნობდა, ტყუილუბრალოდ აქ არც მოიბრუნდა და არც გაფითრდებოდა, ამიტომ შემფოთებით ჰკითხა.

— რა მოხდა, მამაო იოანე?

იოანემ ჯერ სული მოითქვა და მხოლოდ ამის შემდეგ უპასუხა.

— დიდი უბედურება დაგვატყდა თავს, მამაო სერაპიონ. ქვისსამტკრევის მონები აჯანყდნენ, მამა ილარიონი მოკლეს და ზედამხედველებთან ერთად ტყეს შეაფარეს თავი.

სერაპიონმა იგრძნო, როგორ ფითრდებოდა, როგორ იცლებოდა სისხლისაგან თავი, როგორ კარგავდა დღემიწა წონასწორობას. დაფერდებული ქვეყანა მხოლოდ მაშინ გასწორდა, როცა სისხლი ისევ ტინის მოაწვა და მას სახეზე აღმოური მოედო. ყველაფერს ელოდა და იმას კი არა, ილარიონს რომ ასე ვერაგულად გამოაცლიდ-

ნენ ხელიდან. ილარიონი გამაჯღმად მორწმუნე, გულადი კაცი იყო, კეთილსინდისიერად ეკიდებოდა ყველაფერს, რასაც ავალებდნენ, არ უყვარდა კოჭმანი და ბევრი ლაპარაკი. ამიტომაც გაგზავნა ქვისსამტკრევეში, სადაც თვალყური უნდა ედევნებინა ზედამხედველებისთვისაც და მონებისთვისაც. ამის მიზეზი კი ის იყო, რომ ხან ქვის გამოზიდვა გვიანდებოდა, ხანაც წუნიან ქვის გზავნიდნენ და შრომა და სახსრები ტყუილად იხარჯებოდა. შეიძლება ილარიონმა მეტისმეტად შეაფიქროვა შონები, მას ხომ მათთან ურთიერთობის არაერთი გამოცდილება არ ჰქონდა, შეიძლება ზედამხედველებს ჩივილითა და დასჯით დაემუქრა, მაგრამ როგორც არ უნდა მომხდარიყო, მისი სისხლი მას დააწვა კისერზე და არა იმათ, ვინც სისხლი დაღვარა. მძიმე, მძიმე იყო ყოველივე ის, რაც მოხდა და ეს სიმძიმე და ტკივილი სერაპიონმა იქ იგრძნო, სადაც კისრის მალეები ხერხემალს უერთდებოდა. თავდახრილსა და გამშებულს ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს კისერში ჩასობილი მახვილი თავსა და ტანს ერთმანეთს აცილებდა და თავის ტკივილი ცალკე აწუხებდა და ხერხემლის ცალკე. უნდოდა მოკრუნხულიყო, დაპატარავებულიყო, თავი ბეჭებში ჩაერგო, მაგრამ ტკივილზე ძლიერი იმის წარმოდგენა აღმოჩნდა, თუ როგორ გღია სისხლში მოთხვრილი ილარიონი ქვისსამტკრევეში და ჩუმი, მაგრამ მტყიც ხმით თქვა:

— ჯორი მომიყვანეთ!

როცა სერაპიონი ჯორზე შეჭდა და ქვისსამტკრევისაკენ დაიძრა, არავისთვის არაფერი უთქვამს, მაგრამ მას თან გაჰყვენ იოანე და გარბანელი. გარბანელმა იცოდა, რამხელა გზაც იყო ქვისსამტკრევამდე და ამიტომ მისთვისაც და იოანესთვისაც შეაკაზმევინა ჯორები. გზა მდინარის პირს მიჰყვებოდა და დაღმართში ეშვებოდა. ცა იღრუბლებოდა, ჩრდილების სიმუქეს რალაცნაირი სხვაგვარი სიმუქეც ემატებოდა. სერაპიონი ისე მინდობოდა

ჯორს, თითქოს პირუტყვმა უკეთ იცო-  
და, საით უნდა წასულიყო და ვისთან  
მიეყვანა პატრონი. სერაპიონისათვის  
ქვეყანამ სახე იცვალა, კარდახშული,  
ლოპრიანი გახდა, ის ხალისიანი განწყ-  
ობილება, ამ დილით რომ ჰქონდა, ისე  
მოეშხამა და გაუმწარდა, როგორც  
ცდუნებით მავალს უმწარდება გუნება-  
განწყობილება და რაც იმ დილით ყვა-  
ოდა და ნაყოფის გამოსალეზად ემზადე-  
ბოდა, ახლა დამზრალი და უღღეური  
ეჩვენებოდა. ცხოვრებაში კიდევ ერთ-  
ხელ შემოაპყო დინგი ქერცლიანმა, ლი-  
რწმა ურჩხულმა, რომლის ბასრი კლა-  
ნქები ტაძრის კედლებს აწწრავდა, რო-  
მლის პირიდანაც მონასტრის ეზოში  
მოყვითალო დუფი იღვრებოდა და იქა-  
ურობას ბილწავდა, აწუმპიანებდა. ეს  
ის უგუნურობა იყო, რომელიც მცირე  
ხნით მიიყულება, შეინიღბება, ბნელ  
ჭურღმულში შეიმალევა, ისე გაიბრინ-  
დება, თითქოს ქვეყანაზე უკულმართო-  
ბამ, უკეთურობამ, უსამართლობამ იკ-  
ლოო, მაგრამ შემდეგ ისევ წამოყოფს  
თავს და უფრო მწარედ იგესლება,  
უფრო მეტ სისხლს თხოულობს. ამ ურ-  
ჩხულის გამოღვიძებას, რა თქმა უნდა,  
ღიადი, წმიდა საქმის წამოწყებაც უწყ-  
ობს ხელს, აღიზიანებს, აცოფებს, მა-  
გრამ მან იმიტომ ჩაიკვა ბერის ჩოხა,  
იმიტომ შეუდგა უფალს, რომ შეებრ-  
ძოლოს უგუნურობას, ამ უკვდავ, ღირს  
ურჩხულს და რაღაც არ უნდა დაუჭ-  
დეს, უკან დაახევიროს, გააუენებლოს,  
ისევ ბნელ ჭურღმულში გამოკეტოს.

სერაპიონი ზევით არ იყურებოდა,  
მაგრამ გრძობდა, რომ მის თავზე შა-  
ვი, მუქარით საესე ღრუბლები იკრიბე-  
ბოდა. ინისლებოდა, იჩრდილებოდა დე-  
დამიწა და ეს უკიდევანო ჩრდილი ცო-  
ტათი მაინც ფარავდა მის მწუხარებას.  
ბედმა იმ მხრიდან უმუხთლა, საიდანაც  
არ მოელოდა, იმ ადგილას მიაყენა  
უკურნებელი ჭრილობა, დაცული რომ  
ეგონა. ამან კი ქენჯნის კიდევ ერთი  
საბაბი, კიდევ ერთი სატივიარი მოუმა-  
ტა. ამიერიდან მეტი უნდა ელოცა,  
ღვთისთვის შეევედრებინა უბედური  
ილარიონის სული და სიკვდილამდე

ეტვირთა ცოდვა, ცოდვა თუ არა, იმე-  
ზე ღარდი მაინც, რომ ეტლად იქნენ  
იმსხვერპლა, მან განაწესა ქვისსამტე-  
რევი, მან ვერ გაითვალისწინა ის  
უბედურება, ამგვარი დაუფიქრებელი  
ნაბიჯის გადადგმას რომ შეიძლებოდა  
მოაყოლოდა. მართალია, მას არ ჰქონ-  
და იმის უფლება, რომ უბოვართა და  
უგუნურობა მიმართ უნდობლობა გამო-  
ეჩინა, მაგრამ ნდობა არასოდეს არ  
უნდა გადაიზარდოს გულუბრყვილობა-  
ში. მან კი გულუბრყვილობა გამოიჩი-  
ნა, ირწმუნა მდაბიურთა კეთილმოსურ-  
ნეობა, ენდო უმადურთ და ღვთისაგან  
განდგომილთ, ენდო იმათ, ვისაც თავის  
სიცოცხლეში ფეხი არ შეუდგამს ეკ-  
ლესიაში და საკმეველის სუნი არ უგრ-  
ძენია.

სერაპიონს წვიმის რამდენიმე წვეთი  
დაეცა და ეს წვეთები იმ სიძიმე იყო,  
რომ სეტყვას არაფრით ჩამოუვარდე-  
ბოდა. ტყე ჩამუქდა, გაიტრუნა, სააე-  
დროდ მოემზადა, მაგრამ წვიმა ისევე  
ჩქარა შეწყდა, როგორც დაიწყო. ჯორი  
ფრთხილად მიჰყვებოდა საურმე გზას,  
რომელიც აქა-იქ მდინარის კალაპოტ-  
საც კი ითრევდა. სერაპიონი თანდათან  
მხრებში იხრებოდა და ირგვლივ არა-  
ფერს არ აქცევდა ყურადღებას, არც  
ჯორზე ჯდომა სიამოვნებდა. ასე ცხა-  
დად დიდი ხანია არ უგრძენია საკუთა-  
რი სხეულის სიძიმე და მიწიერი მწუ-  
ხარება. იმისათვის, რაც მოხდა, არც  
გონებრივად იყო შემზადებული და  
არც სულიერად. გათამამდა, დააეწყდა  
ცხოვრებამ რომ ზოგჯერ ისეთი გამოხ-  
დომა იცის, რაც შეგმარავს, შინაგანად  
ამოგატრიალებს, განზე გაგიტანს და  
გაგრიყავს. მას კი საკუთარ თავთან  
ლოლიავისათვის არ ეცალა. იმის აღსა-  
სრულებლად, რაც თავს იღო, საჭირო  
იყო მეტი შორსმჭვრეტელობა, სიფრ-  
თხილე, თავმდაბლობა და ჰქუა, შეგ-  
ნება იმისა, რომ შენც ადამიანი ხარ და  
ადამიანური სისუსტე შენი ხვედრიცაა.  
ამიტომ პირველ რიგში საკუთარი სი-  
სუსტის წინააღმდეგ უნდა ებრძოლა და  
მისგან დაეცვა თანამდგომნი და მოყვა-  
სნი. მან კი თავი ძლიერ, ყოველისშემძ-

ლე კაცად წარმოიდგინა და სწორედ ამიტომ დასაჯა ღმერთმა, შეახსენა, რომ არაარაობა და თუ უნდა ბოლომდე მოაბას თავი საქმეს, კი არ უნდა გაყოყოჩდეს, არამედ საკუთარ თავთან ბრძოლისათვის მოიკრიბოს ძალა. მან აქედანვე უნდა იცოდეს, რომ არავისგან არაფრით არ გამოირჩევა და ის ხვედრი, რაც მის მდგომარეობაში მყოფ მამებს რგებიათ წილად, მისი ხვედრისაა. ზღვარი ამ ქვეყნად არაფერს უღვეს და შეიძლება უბედური ილარიონი თუ პირველი არა, ერთ-ერთი მსხვერპლია იმ მძიმე გზაზე, რომელიც კიდევ უნდა გაგრძელდეს და შესაწირი ბოლომდე შეიწიროს.

ერთი წუთით სერაპიონი ჭეკა-ჭეხილმა გააყრუა, ჯორი შეკრთა, შეკრთა მთელი ხეობა, მაგრამ სერაპიონს ცისკენ მიანიც არ აუხედავს. ის ნაღველი, გულზე რომ აწეა, მსკვალავდა, ბოჭავდა, დალილობა და უილაჯობა იქედნესავით ეპატრონებოდა მის სულსა და აკარებებდა, აბნელებდა, მოჩვენებების საუფლოში ითრევადა და რაც უფრო მძაფრად გრძნობდა ამას, მით უფრო ებღატებოდა იმ აზრს, რომ უმოსოდ მონასტერი არ აშენდებოდა, აშენებული კი დაირღვეოდა, სახსრებში დაიშლებოდა ყველაფერი, რაც მისმა გარჯამ შეკრა და შეადუღა. ეს კი უფრო დიდი უბედურება იქნებოდა არა მარტო მისთვის, არამედ მთელი ამ მხარისათვის, ვიდრე ერთი კაცის სიკვდილი იყო. მას არც დაღლის უფლება ჰქონდა და არც მოდუნების, მომჯივარვის, არ უნდა დარღვეულიყო, არ უნდა დაქცეულიყო ის, რის გარეშეც აქაურები ისევ წყვილად იქნებოდნენ მოკული, ისევ ჩაძირებოდნენ უგუნურობითა და ცოდვით აყროლებულ ჰაობში. მისი ნება, მისი სურვილი ისეთივე ურყევი უნდა დარჩენილიყო, როგორც მისი რწმენა, მის მიერ დადებული ფიცი იყო. ამიტომ გული უნდა გაემგარებინა, ამოეცო სიკარგილე, დასხლტომოდა ხელიდან მოჩვენებებს და უაუბგლო ყველა ფიქრი, რაც მო-

ნასტრის მშენებლობასთან არ იყო დაკავშირებული.

— რაღა ახლა მოილოდნოდა და მოიქუფრა, თუ მდინარე აღიღდა, ცხედრის წამოსვენება გაგვიჭირდება, — უთხრა გარბანელმა იოანეს და სერაპიონმა პირველად ახედა ცას. შავი ღრუბლები მძიმედ დასწოლოდა ხეობას, ფიქვების კენწეროები ირზეოდნენ, დაუბერა ქარმა, სწორედ ისეთმა, წვიმის წინ რომ იცის. გზა თანდათან ფართოვდებოდა და როცა დაღმართი ჩაათავეს, ერთხანს მინდორ-მინდორ იარეს, შემდეგ კი მარჯვნივ გაუხვიეს, პატარა ღელეში გატოპეს და ისევ შეუღდნენ აღმართს. კიდევ ასიოდე ნაბიჯი და ქვისსამტკრევიც გამოჩნდებოდა. სწორედ აქ ტეხდნენ იმ ჩაღისფერ, აღვილად გასათლელ ქვას, რომლისგანაც შემდეგ ტაძარს პერანგს უკერავდნენ.

კოკისპირული წვიმა სწორედ მაშინ დაიწყო, როცა სერაპიონი და მისი თანამგზავრები ქვისსამტკრევის მიადგნენ. რამდენიმე ადგილას გაშვებულნი კლდე ბასრბრჭყალებიანი და ბასრნისკარტიანი ფრინველების ნაჭიჯგნს ჰგავდა. ასევე უსწორმასწორო და დაჭიჯგნილი იყო ქვისსამტკრევის ფსკერიც, აქ-იქ უვარგისი ქვა გორებად ეყარა, ხოლო ის ქვა, მშენებლობისათვის რომ გამოდგებოდა, ერთ ადგილას იყო მოთხეუთხებულნი. ქვისსამტკრევიც კაციშვილი არ ქაქანებდა, წვიმის წყალს სწრაფად ავსებდა ორმოებს. ბერებმა თავზე კუნკული გადაიხურეს და ილარიონის გვამის ძებნას შეუღდნენ. სწორი გეზი წყლით ჩამორეცხილმა სისხლმა ააღებინათ. ილარიონი პირქვე ეგდო ქვისსამტკრევის სამხრეთით დახვეებულ ქვებს შორის და ანაფორის კალთები ისე ჰქონდა გაშლილი, რომ დიდი შავ ფრინველს ჰგავდა. წვიმის წყალი მის ქვეშ დაგუბებულ სისხლს რეცხავდა და ერთ-ერთ ორმოს წითლად ღებავდა. სერაპიონი შეკრთა, ტუჩები ააცმაცუნა, მაგრამ ის სიტყვები, რომელთა წარმოთქმა დააპირა, ქვასავით მახვილწახნაგოვანი მოეჩვენა და რადგან ლოცვა არ გამოუვიდა, ისევ იოა-

ნესა და გარბანელს მოეხმარა ილარიონის მძიმე სხეულის გადმობრუნებაში. გვამი ქვებილდნ გამოიტანეს და სწორ ადგილას დაასვენეს. მიცვალებულს, რომლისთვისაც ვილაცას მძიმე იარაღით საფეთქელი ჩაელეწა, სახე სისხლით ჰქონდა მოთხერილი და ახლა ამ სისხლს კოკიაპირული წვიმა რეცხავდა, მაგრამ რეცხავდა ნელა, გამაწვალეზლად და ამიტომ იოანემ გვერდით ორმოდან პეშვით წყალი ამოიღო და სულიერ ძმას მანამდე ბანდა სახეს, სანამ სისხლი მთლიანად არ ჩამორეცხა. ილარიონს სახეზე უკვე მკვდრის ფერი ედო.

— რა ვქნათ, საკაცე შეეკრათ და ხელით ეატაროთ თუ ჯორზე გადავკიდოთ? — ჰკითხა იოანემ გარბანელს, როცა სისხლიანი ხელები დაიბანა.

— საკაცით ტარება გაგვიჭირდება, აქედან მონასტრამდე კარგი ათი მილიონი იქნება, თანაც აღმართ-აღმართ უნდა ვიაროთ. ჯობია ჯორზე გადავკიდოთ და თუ ერთს გაუჭირდება, მეორე შევუწავლოთ. ოღონდ უნდა ვინჯაოთ. თუ ასე იწვიმა და მდინარე აღიღდა, საერთოდ ვერ ავაღწევთ მონასტრამდე. — უბასუხა გარბანელმა.

იოანემ ქვემოთ დატოვებული ჯორებიდან ერთ-ერთი მოიყვანა, სერაპიონს და გარბანელს ცხედრის ჯორზე გადაკიდებაში მოეხმარა და როცა დარწმუნდა, ცხედარი საიმედოდ იყო დამბმული, ჯორი სადავით ადგილიდან დაძრა და დაღმართს დაუყვა. სერაპიონმა და გარბანელმა ჯორები ახსნეს და ისინიც ფეხით გაპყენენ უკან. ფერდობებიდან ნაკადულები მოჩხრიალებდა, მდინარე ძალას იკრებდა, სიარული ჭირდა, ფეხი უსხლტებოდათ, ერთ ადგილას მოდიდებულმა წყალმა სერაპიონი კინალამ წააქცია, მაგრამ სანამ მთლიანად გადაირეოდა ეს პატარა მდინარე, რომელიც ჩვეულებრივ წჭვიამდე ძლივს წვდებოდა კაცს, აღმართი ათთავეს და ზეგანზე ავიდნენ. სერაპიონი ისე იყო გალუმბული, რომ ტანსაცმელი ტანზე ეწებებოდა და სიცივისაგან გალურჯებული კბილებს აკაწაწებდა. უკეთეს

დღეში არც მისი თანამგზავრებზე დაუენენ. ჯერ კიდევ ადრე გაზაფხულსკადუ გა და წყალი კინულოვით ცივი იყო. როცა მონასტრის მიუახლოვდნენ სერაპიონმა მუხლების ბეუილი და ტკივილი იგრძნო. ამ ტკივილში იყო რალაც სასიამოვნო, მომთენთავი, რალაც ისეთი, მიწაზე წაქცევისა და მარადისობასთან შერწყმის სურვილს რომ ბადებს. მაგრამ იგი მარტო არ იყო და რომ წაქცეულიყო კიდევ, მიწაზე არავინ დატოვებდა. ასე ხელალებით მარადისობას არავინ დაანებებდა. ამასობაში მონასტრის კარიბჭემდე მიალწიეს. კარიბჭესთან ბერები შემოეგებნენ. ილარიონის ცხედარი მათ ჯორიდან ჩამოხსნეს, საკაცეზე გადაიტანეს და ეგვტერში შეიტანეს. სერაპიონს სიარული უჭირდა, ძლივს შიათრევადა ფეხებს, სანამ საკუთარ სენაკამდე მიალწევდა, ერთი-ორჯერ წაიფორბილა კიდევ. იმ ღამეს დიდი სიცხე მისცა, მთელი ღამე აბოლებდა, მაგრამ მეორე დღეს მაინც წამოდგა, რადგან ილარიონისათვის წესი უნდა აეგო.

მეორე დღეს ილარიონის ცხედარი განბანეს, თეთრ სულარაში გაახვიეს და ეგვტერში დაასვენეს, სადაც წირვა ტარდებოდა. სერაპიონი გრძობდა, რომ სიცხე ჰქონდა, სახე უხურდა, მძიმედ სუნთქავდა, მაგრამ წესი მაინც ისე აუგო ილარიონს, როგორც სარწმუნოებისათვის დაღუპულ სულიერ ძმას ეკადრებოდა. საკმეველი იკვამლებოდა. ეკლაპტრები იღვენთებოდა, ლოცვა-კურთხევა ყველა კუთხე-კუნჭულს წვდებოდა და როცა წესის აგება დამთავრდა, ილარიონის ცხედარი მონასტრის ეზოში მამა მაკარის საფლავის გვერდით გათხრილ საფლავში ჩაუშვეს. ერთი ხის ჯვარი უკვე აღმართული იყო მაკარის საფლავზე, ახლა მეორე ჯვარიც აღმართეს და მონასტრის ამიერიდან საკუთარი მიცვალებულნიც ჰყავდა.

ნაავადმყოფარი სერაპიონი, რომელსაც ჯერ კიდევ ნასიცხარის ფერი ედო და მძიმედ ახველებდა, ვიორგი ჩორჩანელის პირისპირ იჯდა წიგნსაკავში და ცდილობდა სისუსტე არ შეემჩნია.

არაფერს ამოფარებოდა ისეთს, აზრს რომ აბუნდოვანებს და გრძნობას აღლურებს. თუ რამე სათქმელი იყო, ჯობდა დაუფარავად თქმულიყო და თუ რამე გასარკვევი — ბოლომდე გარკვეულიყო. სათქმელის მიკიბე-მოკიბე და დაქარაგმება დროსაც გააქიანურებდა და საქმესაც აენებდა. რადგან საწოლიდან წამოდგა. წიგნსაცავამდე სხვის დაუხმარებლად მიიღწია და მთავართან საუბარი შეძლო, ეს იმას ნიშნავდა, რომ მისი გონება სიბუნებისა და გამრუდებული წარმოაახებით შექმნილი მოჩვენებებისაგან განთავისუფლდა, მისი სული ბურუსისა და შექნაღვი ცოდვებისაგან გაიწმინდა და ახლა, როცა არც აბოდებდა და არც იმის შიში ჰქონდა, რომ მაჯლაქუნები მკერდზე დაასხდებოდნენ და მის სხეულს ჯიჯგნას დაუწყებდნენ, შეეძლო წინ გავარდნილ დროს დადევნებოდა, ისევე ჩაბლაუქებოდა ყოველივე იმას, რაც ავადმყოფობის ქაშის მისდაუხებურად გაუშვებელიდან. ყველას უნდა დაენახა, რომ იგი კვლავ ფეხზე დგას და მისი ნება ისევე ურყევეია, როგორც ავადმყოფობამდე იყო. ახლა, როცა ტაძრის კედლები მაღლა მიიწვევდნენ, ამ ზესწრაფვის შეჩერება იგივე იქნებოდა, რაც მოთოკილი მხეცის ხელიდან გაშვებაა. არავის არ უნდა მიეზიდა უგუნურთათვის. არაფერი არ უნდა ამოვარდნილიყო კალაპოტიდან. ამიტომაც გაუგზავნა კაცი გიორგი ჩორჩანელს, შეუთვალა, ლოგინად ეარ ჩავარდნილი და სთხოვა, თუ გადაუდებელი საქმე არაფერი ჰქონდა, მონასტერში სწვეოდა. გიორგიმ თავაზიანობა გამოიჩინა და ეწვია. სერაპიონმა ძლიერ იცნო მთავარი. გიორგი გამზდარიყო, გაფერმკრთალებულიყო, წვერი გათეთრებოდა, მზერა გაფანტოდა. შავ მოსასხამში გახვეული ყარბის უფრო ჰგავდა, ვიდრე მხედარსა და მეომარს.

— თქვენ რატომაც გგონიათ, მამაო, — უთხრა ჩორჩანელმა სერაპიონს, — თუ კაცი შრომობს, მით უმეტეს თუ იგი ტაძარს აშენებს და მის შრომას შედეგი მოაქვს, ისე არ უნდა

გაბოროტდეს, რომ კაცი მოკლას და მომავლინებული ცოდვების ჩანდნისკა არა?

— არა, მთავარო, ჩემთვის სრულიად გასაგებია, როცა ამას მარტო კაცი სჩადის, რადგან მარტოკაცის სული დაბნული და გაუდაბურებელია, მაგრამ ვერაფრით ვერ გამოიგია, რატომ სჩადიან ამას ისინი, ვისაც თანაგრძნობას უცხადებენ და სულიერი თავისუფლები-სა, ძმობისა და სიყვარულისაყენ მოუწოდებენ.

— იცით, მამაო, რამდენადაც მე ცხოვრებასა და ადამიანებს ვიცნობ, ზოგიერთმა კაცმა კაცი რომ არ მოკლას და სისხლი არ დაღვაროს, მის სიცოცხლეს ისევე არ ექნება აზრი, როგორც, მაგალითად, თქვენსას უღვთოდა და უსიყვარულოდ.

— კი მაგრამ, ილარიონი ხომ ერთმა კაცმა არ მოკლა, რაკი ყველანი გაიქცნენ, ეტყობა, მკვლელობაშიც ყველას ურეგია ხელი.

— არა, მამაო, მოკვლით, ალბათ, ერთმა კაცმა მოკლა, დანარჩენები კი მკვლელს ან აქეზებდნენ ან მხარს უბამდნენ, მაგრამ როცა მოსახდენი მოხდა, მარტო მონები კი არა, ზედამხედველებიც დაფრთხნენ, ვაი თუ ბრალი ჩვენც დაგვდონო, მათი ჰკუთით თავს უშველეს.

— იქნებ მათ ამბობებამი ილარიონსაც მოუძლოდა ბრალი, იქნებ მონებს მეტისმეტად ბევრს სთხოვდა და ავიწროებდა?

— არა, მამაო, შევიწროების გამო მონები კაცს არ კლავენ. ასე რომ იყოს, დღეს არც ერთი ზედამხედველი არ იქნებოდა ცოცხალი. მე მგონი, ილარიონი იმიტომ მოკლეს, რომ ქრისტეს მოძღვრება ვერაფრით ვერ მიუსადაგა მონების ზნე-ჩვეულებებს. ის, რასაც იგი მათგან მოითხოვდა, ადამიანში გამომწვევდელ მხეცს კი არ თრგუნავს, არამედ აღიზიანებს და აცოფებს.

— როგორ გგონიათ, მთავარო, იმ უბედურთაგან არც ერთი არ მოვა გონს, არ მოინანიებს ცოდვებს? არ გაუნუღება ეშმაკს. არ დაბრუნდება უკან?

— არ ვიცი, მამო, პირადად მე ამის იმედი არა მაქვს.

— უიმედობა ისეთივე ცოდვაა, როგორც ურწმუნობა. შეილო ჩემო.

— შეიძლება, მამო, მაგრამ ადამიანი მოძალადეობას, სისხლის ღვრასა და კაცის კვლას მანამდე არ მოიშლის, სანამ ეს სამყარო არსებობას არ შესწყვეტს. თქვენ როგორ გგონიათ, იმ კაცს, ილარიონი რომ მოკლა, მარტო ტყეში გავარდნა უნდოდა, არა, მას სხვებისგან გამორჩევა, სხვებზე გაბატონებაც ამოძარავებდა და მე დარწმუნებულ ვარ, რომ ახლა იგი ავაზაკთა ბრბოს მეთაურობს და რაც უფრო მეტ ძალაუფლებას იხვეჭს, მით უფრო სასტიკი ხდება.

— ადამიანი რომ სრულყოფილი იყოს და თავის ბუნებაში პირველყოფილ ცოდვას და სატანურ ძალას არ ატარებდეს, მაშინ არც ქრისტეს ამქვეყნად მოსვლა იქნებოდა საჭირო, მთავარო. ჩვენ იმისათვის ვართ მოწოდებულნი, რომ უგუნურთ თვალები აუფხილოთ და ის ტანჯვა, რაც მიწიერ ცხოვრებას თან ახლავს, მათი წილხვედრიც გაუხადოთ. ვისაც სწამს, ვინც იცის, რა არის სულიერი ცხოვრება, ტანჯვა, უსასობა, კაცს არ მოკლავს.

— ტანჯვა-წამების მეტი რა უნაბავთ იმათ, მამო, ილარიონი რომ მოკლეს გაპირება და ტანჯვა-წამება ერთ-ორ კაცს აკეთილშობილებს, დანარჩენებს კი აუკუღმართებს და ამოროტებს. მე თუ გვერდით გიდგავიროთ, მხოლოდ იმიტომ, რომ ეს ერთი-ორი კაცი მაინც შერჩეს ქვეყანას და მთლად ნუ დინთქება ბნელში. მტრობა და ბოროტი ზრახვანი ისეთი ტრამეა, აქ რომ დამარხო და მიწა წააყსრო, სხვაგან, მოშორებით ამოპყოფს თავს, ერთ ადგილას რომ აღუდგე წინ, გეზს იცვლის და იქ ჩაიდენს დანაშაულს, სადაც არ მოელი. ამას წინათ მამამ შეილი მოკლა, თანაც წინასწარ გააფრთხილა მოკლავო, მაგრამ შეილმა არ დაუჭერა და რადგან არ დაუჭერა, იქვე გაუპო ცულით თავი.

— ღვთის ნებით, შეილო ჩემო, ხათ-

ნობისა და სიკეთისათვის, ზარზმა დღე-სებულო, ბოროტებისათვის ვინ მტყცრის სასჯელი. ვინც სიკეთეს უარყოფს, უარყოფს ღმერთსაც.

— მე რატომღაც არც ის მჯერა, მამო, რომ იმ სატანურ ძალას, ახლახან რომ ახსენეთ, ღვთის შიში ჩაკლავს ადამიანში.

— ეს იმიტომ, შეილო ჩემო, რომ რწმენა გაკლიათ.

— თუ მე რწმენა მაკლია, არა იმიტომ, მამო, რომ არ მინდა მთელი გულითა და სულით მწამდეს, ლოცვაში ვატარებდე ჩემს დღესა და მოსწრებას, არამედ იმის გამო, რომ ვერაფრით ვერ გავერთიანე მიწიერი და ზეციური, ვერ შევკარი ერთ არსად. მე მხოლოდ ჩემს ადამიანურ ბუნებას ვუნდობი და ჩემგან ესეც საკმარისია. რომ შეიძლება, ხელისუფლებაზე საერთოდ ავიღებდი ხელს და რადგან შემეცოდებოდა არ მრჩება, სხვას გადავცემდი სამთავროს მართვის სადავეებს, მაგრამ მე არც ის მჯერა. რომ სხვა ან თქვენ, სულიერი მამები, უკეთ შეძლებთ ქვეყნის მართვას და გამგებლობას. ამასაც ჩვევა, გამოცდილება და გონიერება სჭირდება. ილარიონის მოკლამ მეც გამიჩინა საზრუნავი. იმიტომ, რადაც არ უნდა დამიჯდეს, ტყეში გავარდნილი ავაზაკების ბრბო უნდა შევიპყრო და მათ შორის უუგუნურესნი მკაცრად, სამაგალითოდ დავსაჯო. წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი ისე გათავხედდებიან, რომ შეიძლება აქ, მონასტერშიც მოგივარდნენ და აგაწიოკონ. ეკლესიის გაძარცვისა და მონასტრის დარბევის შემთხვევა არა ერთი და ორი იცის ქრისტიანობამ. ასე რომ, ჩემი მხარში ამოდგომა თქვენც ისევე გჭირდებათ, როგორც მე თქვენი, მამო.

— ქრისტიანული ეკლესია მერყევი და არამტკიცე არასოდეს ყოფილა, შეილო ჩემო.

— ვიცი, მამო, მაგრამ კაცს ყოველდღიური ცხოვრებისეული საკითხების გადაწყვეტა უფრო ხშირად უხდება, ვიდრე მარადიულის. რადგან მონასტრის მშენებლობის დიდი და წმინდა სა-

ქმე მეც ვიღე თავს. მინდა ბარემ ბოლომდე მივიყვანო და ამით მაინც გამოვიხსილო ის ცოდვები, ნებით თუ უნებლიედ რომ ჩამიღენია ცხოვრებაში.

— ცხრა ნეტარებიდან ერთ-ერთი ამბობს, შვილო ჩემო, „ნეტარ არიან მოწყალენი, რამეთუ იგინი შეიწყალენ“.

— ამის იმედი შე ჯერ არ დამიკარგავს, მამაო, მაგრამ ილარიონის მოკვლამ საქმე გაართულა. შე არც იმდენი მონა მყავს, რომ სამთავროსაც ვაკმარო და მკვდრები და გაქცეულები სახელდახელოდ შევეცვალო სხვებით. გარდა ამისა, იოლი საქმე არც-ტყეაში გაეარდნილი კაცის ღვევა და დაჭერაა. ყველაფერ ამას დრო და მოტიქრება სჭირდება.

გიორგი ჩორჩანელი სწორედ იმ საქმეს მიადგა, რაც სერაპიონს აფიქრებდა და მოსვენებას უკარგავდა, რისთვისაც მთავარი მონასტერში იხმო. უქვოდ ტაძარი არ აშენდებოდა, ქვის მომმტვრევი და მისაწვდომ ადგილამდე გამომტანი კი არავინ ჩანდა. ათი და ოცი კაცი ამ საქმეს ვერ აუცილოდა, თუმცა გიორგის მსჯელობაზე ეტყობოდა, რომ არც ამდენი კაცის თავმოყრა შეეძლო. არა და არც მას გააჩნდა იმდენი სახსარი, მუშახელი რომ დაეჭირავებინა და ქვისმტვრეველებისათვის ფული ეხადა. ასე აღიმართა მის წინ ის დაბრკოლება, რომლის აღმოფხვრა მართოს არ შეეძლო. თუ მთავარი ან მესხი აზნაურები მუშახელითა და ფულით არ დაეხმარებოდნენ, შეიძლება ტაძრის მშენებლობა უზომოდ გაჭინაურებულიყო და ისიც კი დაზიანებულიყო, რაც უკვე აშენდა. მაგრამ კიდევ უფრო საშიში ის იყო, რომ უქმად ყოფნას, უსახსრობას შეეძლო შუარტყეული და დაჭირავებული ოსტატები ისე მოედუნებინა, გაეღიზიანებინა, გაებოროტებინა, რომ ზარზმიდან გადახვეწილიყვნენ და სხვაგან ეძებნათ სამუშაო. ეკლესიებს, მონასტრებს და ციხე-დარბაზებს საქართველოს სხვა კუთხეებშიც აშენებდნენ. სწორედ ამ ფიქრებმა შეძრა სერაპიონი და ნაადრევად წამოაყენა

საწოლიდან. წიგნსაცავს ფეხშიშორი, რომ ხატის წინ მუხლიც ცხადად მთავრობა:

— ახლა ხომ ხედავთ, მამაო, ერთი კაცის მოკვლამ რა დღეში ჩაგვადგო, კაციც დავკარგეთ და მუშახელიც. — უთხრა ჩორჩანელმა სერაპიონს ისე, თითქოს აქამდე საქმეზე კი არ ლაპარაკობდნენ, არამედ ლაყბობით ირთობდნენ თავს.

— მეც იმიტომ გიხმეთ, მთავარო, რომ ვხედავ და გამოსავალი ვერ მიპოვია.

ჯერ თავს მიხედეთ, მამაო, გამომჯობინდით და მანამდე რაღაცა გამოჩნდება.

— დრო რომ ითმენდეს, არც შეგაწუხებდით, შვილო ჩემო.

— რა ხდება ასეთი, მამაო, იქცევა ქვეყანა?

— არა, მთავარო, ქვეყანა არ იქცევა, მაგრამ ჩვენ მოკვდავნი ვართ და არც ერთმა არ ვიცით წინასწარ, რა გველის მომავალში. თუმცა მთავარი მაინც ისაა, რომ, როცა მუშაობა ფერხდება ან წყდება, მერე მისი ხელახლა წამოწყება და ამოქმედება ისევე ჭირს, როგორც გაფანტული ჯარის თავმოყრა. სხვა მრავალ თვისებებთან ერთად დროს კიდევ ერთი უზეირო თვისებაც ჭირს — შეფერხება არ უყვარს და რაც გუშინ საიმედო იყო, შეიძლება ხვალ უიმედო აღმოჩნდეს.

— რას იზამ, მამაო, როცა სხვა გამოსავალი არ ჩანს, ჩვენ ზშირად უიმედო გრძნობის იმედითაც გვიხდება ყოფნა. ყველა ამქვეყნად გადადგმული ნაბიჯი ზნეობრივი როდია.

— ვიცო, მთავარო, მაგრამ ყველას როდი ესმის, რომ შესაძლებლობის ხელიდან გაშვება ისეთივე ცოდვაა, როგორც კათაქმეველის მონათვლაზე უარის თქმა. მე იმის შიში მაქვს, შეიძლება ხალხი მოდუნდეს, გაზარმაყდეს, გაიფანტოს.

გიორგი ჩორჩანელს ისეთი გრძნობა შეეჭმნა, თითქოს ის სივრცე, მასა და სერაპიონს რომ ყოფდა, ორად იხლიჩებოდა, და თითოეული თავის ნაწილს

ისე ექაჩებოდა თავისკენ, როგორც პირად შეშველიდრებობას.

— მე უკვე გითხარით, მამაო, საქმის აღვილიდან დაძვრას დრო და მოფიქრება სჭირდება. თქვენ მოგეხსენებათ, რომ უმოძრაო ნაბიჯის გადადგმა ისეთივე უაზრობაა, როგორც ქვის მიწიდან აღება და იმავე ადგილას დადება.

— გეთანხმები, მთავარო, მაგრამ დრო ერთ წუთსაც კვება, ერთ თვესაც და ერთ წელიწადსაც. ჩვენ რომ მონასტერსა და ტაძარს პირადად ჩვენთვის ვაშენებდეთ, მაშინ დროც მოიცილიდა და არც ქვეყანას დააკლდებოდა რაშე, მაგრამ ღმერთი არ შემცდარა, როცა მე აქეთ გამომგზავნა. თქვენ თვითონ ხედავთ, როგორ გატყუარებულია ხალხი, თავიანთი უკეთურობით როგორ უვარდებიან ეშმაკს კლანჭებში და თუ მართლა ღვთისმოსავნი ვართ, უფრო საშურო საქმე რა უნდა იყოს, ვიდრე აღამიანის სულის ხსნაა.

გიორგი ჩორჩანელმა სერაპიონს თვალი თვალში გაუყარა და მის მგხიერებაში ცხადად ამოტივტივდა ის შეხვედრები, ამ შვიდი თუ რვა წლის წინათ რომ მოხდა მათ შორის. მაშინ სერაპიონი მეტისმეტად ახალგაზრდა და ჯანმგარი მოეჩვენა. არც ნასიციხარის ფერი ედო, არც მამიდელ ახველებდა და არც ქალარა ჰქონდა წვერში გარეული, მაგრამ პირველად სწორედ მაშინ დარწმუნდა, რომ თუ ბერმა რაშე დაიჩემა, აღარ გადათქვამს, თუ რაიმეს მიღწევა მოინდომა, მოკვდება და მიალწევს. ამან იგი მაშინაც გააღიზიანა და ახლაც აღიზიანებდა, მაგრამ, როგორც მაშინ, ახლაც გრძნობდა, რომ ბოლოს მაინც დაუთმობდა ბერს, დაუთმობდა მას შემდეგ, როცა დარწმუნდებოდა, რომ წინამძღვარმა მის ხასიათში რაღაც ისეთს მოაგნო, რაც პირადად მას მხედველობიდან გამოორჩა.

— ნუ მიიღებთ, ჩემს სიტყვებს ისე, მთავარო, თითქოს არ მესმოდეს, რომ თქვენი შესაძლებლობანიც შეზღუდულია და მუშახელს ვერც ციდან ჩამოიყვანთ და ვერც ტყიდან გამოიყვანთ, მაგრამ კაცმა სწორედ მაშინ უნდა გა-

მოიჩინოს სიმხნევე, საზრჩანობა და გამჭირაობა, როცა გამოსწავლის მთვე ხედავს.

გიორგი ჩორჩანელს გაელიმა. წინამძღვარი ყველაფერს, რაც ჩამოთვალა, დამგლოვიარებული და ცხოვრებაზე ხელჩაქნეული კაცისაგან მოითხოვდა და არა მისი ახალგაზრდა დისწულეობისაგან.

— თქვენ ჩემზე უკეთ მოგეხსენებათ, მამაო, რომ ძალაუფლების უგუხურად გამოყენებას ცდუნება და ცოდვა მოსდევს.

— ეს მხოლოდ მაშინ, თუ ჩვენს სულში აკეთმოყვარეობა, სიკეთე და სათნოება ჩაქრება.

— ქვის მომტვერეას მუშახელი, ძალღონე სჭირდება, მამაო, და არა სათნოება.

— სცდები, შვილო ჩემო, საონობა ყველგან და ყველაფერში საჭიროა, სათნოების გარეშე ვერაფერ ეზიარება ღვთის მადლს, მაგრამ სხვებზე დიდი მოვალეობა ამ შემთხვევაში ჩვენ ორს გვაკისრია და ეს ცხოვრება ისე უნდა განვილიოთ, რომ შერე სანანებლად არ გაგვიხდეს. ღვთის წყალობას, სიხარულსა და ბედნიერებას მხოლოდ ის მოგვიტანს, რასაც ტანჯვითა და გაჭირვებით შევქმნით და აღვასრულებთ.

სერაპიონი ვერ ამჩნევდა, მაგრამ გიორგი ჩორჩანელი ცხადად გრძნობდა, რომ ბერს ხმა უმტკიცდებოდა, მისი პირიდან ამოსული ბგერები თანდათან კარგავდნენ ავადმყოფურ სიძეფეს და დაუღვრომელი კაცის სიფიცხეს იძენდნენ. ტუჩის კუთხეებში გაჩენილი ნაოქებიც უფრო ღრმად იღარებოდნენ. სერაპიონს ძალღონეს ის მატებდა, რომ მისთვის მონასტერი ამქვეყნად ყველაფრის მომცველი იყო და როცა მის არსებობას საფრთხე ექმნებოდა, ისე იძებებოდა, იმდენ ძალასა და შეუპოვრობას პოულობდა საკუთარ თავში, რომ არც დაბრკოლებებს უწევდა ანგარიშს და არც იმათ, ვინც ამ საქმეში გვერდით ედგა. განსხვავება მათ შორის ის იყო, რომ სერაპიონს სხვაგვარად ცხოვრება არ შეეძლო, სწამდა, რომ მისი



ტანჯვა, მისი ღვაწლი მთელ ამ მხარეს სინათლესა და სიხარულს მოუტანდა, ადამიანებს ღმერთთან და ერთმანეთთან დაახლოებდა, კაცს იმად გახდიდა, რაც არ იყო და უნდა ყოფილიყო, მას კი არა მარტო გარეშე ადამიანების, საკუთარი თავისაც კი არ სწამდა, არ სჯეროდა, რომ ადამიანი იმაზე უკეთესი გახდებოდა, ვიდრე არის და ეს ურწამუნობა, ხელჩაქნეულობა როგორღაც აღუწებდა, ამდაბლებდა, ავიწროებდა, სერაპიონთან შედარებით მერყევ, უმოქმედო კაცად ხდიდა. არა და ყველაფერი პირიქით უნდა ყოფილიყო, მას უნდა ემოქმედა, სერაპიონს კი ელოცა და ექადაგა. აი, აქ იბადებოდა რაღაც ეპევი, მკრებელური აზრი, რაც გიორგი ჩორჩანელს ვერ ამოეხსნა და არც იმედი ჰქონდა იმისა, რომ სიკვდილამდე ამოხსნიდა. ამიტომ თავს დრომოკმულს, ჩამორჩენილ კაცად თვლიდა და ამ სიბერეში რომ საბოლოოდ არ წაეწყვიტა სული, ერჩია ისეთებისათვის დაეჭირა მხარი, ვინც ახლის წინამორბედი და რაღაც მნიშვნელოვანის შემქმნელი იყო.

— რა ვქნათ, რა ვიღონოთ, მთავარო, ნუთუ მივატოვოთ მონასტრის მშენებლობა და სამუდამოდ წავიწყმიდოთ სული, ნუთუ ამის მეტი არ ვლირვართ? — ჰკითხა სერაპიონმა ჩორჩანელს, როცა იგი ფიქრებიდან გამოერყვა, და გუშანით მიხვდა, რა დასკვნამდე მივიდა მთავარი.

— არა, მამაო, თქვენი არ იყოს, მეც დიდი ხანია ამ საქმით ვსულდგმულობ, მეც ისევე მჭირდება ბიწიერებისაგან განწმენდა, როგორც ჩემს ქვეშევრდომებს. ამის იმედი კი მხოლოდ მაშინ მომიცემა, როცა მონასტრის მშენებლობა დასრულდება.

— თუ თქვენი გადაწყვეტილება ისევე მტკიცეა, მთავარო, როგორც ჩემი, მაშინ რაღაც უნდა ვიღონოთ, რომ ტაძრის მშენებლობა არ შეფერხდეს.

გიორგი ერთი წუთით ჩაფიქრდა და უეცრად თვალწინ წარმოუდგა გუმბათ-ჩამოქცეული, ფრესკებჩამორეცხილი ეკლესია, რომლის ხელყოფას არაბებს აბრალებდნენ. ეს ეკლესია სულ ხუთი-

ოდე მილიონის მანძილზე იყო აქედან დაცილებული, კედლებს ისეთივე მკვეთ ჰქონდა მოპირკეთებული, როგორთაც ზარზმის მონასტრის ტაძარს უკერავდნენ პერანგს და სანამ საჭირო რაოდენობის მონებს მოუყრიდა თავს, შეიძლებოდა ამ ეკლესიის კედლების მორღვევა და დამუშავებული ქვის ტაძრის მშენებლობაზე გამოყენება.

— არის ერთი გამოსავალი, მამაო, აქედან ხუთიოდე მილიონის მანძილზე დანგრეული ეკლესია დგას, რომელიც ისეთივე ფერის ქვითაა მოპირკეთებული, როგორთაც ზარზმის მონასტრის ტაძარს ემოსავთ. შეიძლება იმ ქვის მორღვევა და აქ გადმოზიდვა.

სერაპიონი ერთი წუთით შეყოვნდა, არ ესაიშოვნა ახალი ტაძარი ნახმარი მასალით რომ უნდა მოეპირკეთებინა, მაგრამ სხვა გამოსავალი მართლაც არ ჩანდა, ქვის განახლება კი ისევე შეიძლებოდა, როგორც ქუჩუიანი კვართის გარეცხვა და გადაწყვიტა დათანხმებულიყო. ახლა მხოლოდ ის იყო მოსაგვარებელი, ვინ მორღვევდა კედლებს და გადმოზიდავდა ქვას, ამ საქმესაც მთავარი კისრულობდა თუ მას უნდა მოეცინა ხალხი.

— მე გამოუყენებელი მასალა მერჩია, შეილო ჩემო, ტაძარს მეტ ლაზათს შესძენდა, მაგრამ რადგან სხვა გამოსავალი არ ჩანს, ამაზეც მადლობა უნდა მოვახსენოთ ღმერთს. მხოლოდ ესაა, ვინ მორღვევს იმ ქვებს და ვინ მოზიდავს მონასტრამდე? — ჰკითხა სერაპიონმა ჩორჩანელს, რომელმაც ვაკვირვებისაგან წარბები მალა აზიდა, მაგრამ მალე ისევ დაუშვა, თითქოს ხელი ჩაიჭინაო.

— მეტისმეტს ითხოვთ, მამაო, მაგრამ რადგან ძველი ეკლესიის კედლების მორღვევა მე მომივიდა აზრად, ქვის გადმოზიდვასაც მე ვიღებ ჩემს თავზე. ახლა კი მშვიდობით ბრძანდებოდეთ და იმედი მაქვს, უფრო დიდ განსაცდელს არ მოგვივლენს ღმერთი.

— მშვიდობით, შეილო ჩემო, მხოლოდ ღმერთია ჩვენი შემწე, მფარველი და მეოხე.

სერაპიონმა მთავარი კარამდე მიაცი-  
ლა და უკან გამობრუნდა. გარეთ მზი-  
ანი დღე იდგა, თბილოდა, მაგრამ ხალ-  
ხში გამოჩენა მიინც არ უნდოდა, მთა-  
ვართან საუბარში დაღალა, ისევ აიტანა  
სიცივემ, ისევ მოუდუნდა მუხლი, ის  
ბურუსი, ავადმყოფობის დროს რომ  
გონებას უბნელებდა, უარესად შესქე-  
ლდა, ყველაფერი კიდებმოცვეთილი  
და შესუდრული ჩანდა. აზრი ვერც სა-  
ყრდენს პოულობდა და ვერც ისე იკ-  
ვეთებოდა, რომ ცხადი და სარწმუნო  
ყოფილიყო. ირყეოდა იატაკი, ჰერი,  
კედლები, ახსენებოდა რალაც ისეთი,  
რისი გახსენებაც არაფრით არ უნდოდა  
და ვერ იხსენებდა იმას, რაც იმ წუთს  
უაღრესად მნიშვნელოვანი ეგონა. უნ-  
დოდა რალაც ეთქვა, თითქოს ამბობდა  
კიდევ, მაგრამ საკუთარი ნათქვამი  
თვითონ არ ესმოდა. ის ხმაური, გარე-  
დან რომ იჭრებოდა და ამ ცოტა ხნის  
წინათ სიხარულს გვრიდა, უცხო და  
შორეული ეჩვენებოდა. თავი უძძიმდე-  
ბოდა, თვალი ებინდებოდა, გამოცარი-  
ელებულ გონებაში მხოლოდ ერთი აზ-  
რი ფართხალებდა ხერხემალგადამტე-  
რეული ქვეწარმავალივით, საკუთარ სე-  
ნაკამდე მიედწია როგორმე. ამ აზრმა  
აიძულა კარებისავე დაძრულიყო, მა-  
გრამ როგორც კი ორიოდ ნაბიჯი გა-  
დადგა, ისე შეტორტმანდა თვითონაც  
და ქვეყანაც, ისეთი სიბნელე ჩამოწვა  
ირგვლივ, რომ უფსკრულში გადაჩეხი-  
ლივით გაშალა ხელები და იატაკზე გა-  
იშხლართა.

სანამ ავადმყოფობდა, სანამ ჩრდი-  
ლი ადგილიდან არ იძროდა და რალაცას  
ეცილებოდა, სერაპიონს ისეთი გრძნო-  
ბა ჰქონდა, თითქოს ყველაფერმა, რაც  
ირგვლივ ერტყა, ცოცხალი არსების  
თვისებები შეიძინა და მის შებორკვას,  
სენაკში გამოკეტვას ცდილობდა. ამ  
გრძნობას ისიც ამძაფრებდა, რომ ყო-  
ველდღე წვიმდა და როცა სენაკში  
წყლის ხმაური იჭრებოდა, ღვართქაფი  
თითქოს მის ნასიციარ ტვისნაც კაწრა-  
ვდა. ზოგჯერ საკმეველის სუნი სცემდა,  
მაგრამ ამ სუნს არც სიმშვიდე მოჰქო-

ნდა და ვერც იმაში შეველოდა, რაიმე  
უძლურობას ხელიდან დასწრებოდა  
და ფეხზე წამოდგარიყო. არა და ენა-  
ტრებოდა გაშლილი სივრცე, ხანდაზ-  
მული რკვილებისა და წიფლების შრი-  
ალი, მზის ნათელი სხივები, ენატრებო-  
და ყველაფერი, რაც მონასტრის ეზო-  
დან მოჩანდა და იმ სახეს ლებულობდა,  
ადამიანს რომ რალაცის გაგებასა და მო-  
რჯულებაში ეხმარება. იყო დრო, როცა  
იგი სწორედ იმიტომ აფარებდა თავს  
სიბნელეს, იმიტომ იკეტებოდა ოთხ კე-  
დელს შუა, რომ ქვეყნისათვის თვალი  
მოერიდებინა, გამდგარიყო, გაქცეოდა  
მიწიერ ცოდვებს, ქუჩყსა და ბიწიერ-  
ებას, ახლა კი ამ ბნელი, ნესტიანი სე-  
ნაკიდან ქვეყანა ბევრად უფრო მრავ-  
ალფეროვანი, ნათელი და ლამაზად  
მოხატული ეჩვენებოდა, ვიდრე გამო-  
ქვამული, ხოლო ჩუქურთმები უფრო  
მეტყველი, ვიდრე ცივი და შიშველი  
კედლები. მის სულს ეუფლებოდა რა-  
ლაც ისეთი, რაც გრძნობასთან უფრო  
იყო დაკავშირებული, ვიდრე განყენე-  
ბულ ჰერეტასთან, იღვიძებდა სადღაც  
ღრმად მიყუყული, უჩინარი, ხელშეუ-  
ხებელი სენი და ეს აშფოთებდა და  
აღოზიანებდა, რადგან უცნობი სენი მის  
სინდისთან კი არ იყო დაკავშირებული,  
არამედ რალაც ისეთთან, რაც ცოდვა-  
მალის ფარგლებში ვერ ეტეოდა, ნა-  
კლოლოვნებისა და უწმინდურობის გა-  
მომზეურებას არ ერიდებოდა. ამ სენის  
შემოტევა განსაკუთრებით ღამ-ღამო-  
ბით აწვალებდა და მისგან თავის დახ-  
სნას ზოგჯერ ლოცვა-ვედრებითაც ვერ  
ახერხებდა.

შეება მხოლოდ მაშინ იგრძნო, როცა  
გამოიღარა და ვიწრო სარკმელში მზემ  
შემოიჭყიტა. თავი აღარ სტიოდა,  
აღარც ბინდი ეფარებოდა თვალებზე.  
ის დღე ზაფხულის პირველი დღე იყო  
და იმის იმედს იძლეოდა, რომ დაზამ-  
თრებამდე ტაძრის კედლებს შეწყვილე-  
ბულ სარკმელებამდე მიინც აიყვანდ-  
ნენ. გარედან ნაცნობი ხმაური შემოი-  
ჭრა, სწორედ ის ხმაური, უცხო და  
შორეული რომ ეჩვენებოდა და როცა  
სერაპიონმა იგრძნო, რომ მის სულს

კვლავ ეუფლებოდა სიხარული, საწოლიდან წამოდგა. სარკმელთან მისულს საკუთარი სხეული მსუბუქი მოეჩვენა. აწი ძალაც რომ დაეტანებინათ, მინც ვერ ჩააწევდნენ საწოლში. მზის სხივები სახეზე ელამუნებოდა, სულში ეღვრებოდა, სუნთქვას უადვილებდა. სარკმლიდან მხოლოდ სინათლე კი არ იჭრებოდა, არამედ სამყაროს სიღრმეებიდან მონადენი ღვთიური შუქიც, რაც იმის ნიშანი იყო, რომ მან გაუძლო განსაცდელს, განიწმინდა ცოდვებისაგან და ახლა ისევ უნდა შეუდგეს ღვთის ნების აღსრულებას.

სერაპიონმა ანაფორა გადაიკვა, თმა და წვერი თითებით დაივარცხნა და სენაკიდან გავიდა. გამზდარ მხრებზე ანაფორა ტომარასავით ეკიდა, მაგრამ ამას მისთვის გუნება არ გაუფუჭებია, არც ის გახსენებია, რომ თვითონაც გვამიერი იყო და გარეგნული სახე მასაც ჰქონდა და არც იმაზე დაფიქრებულა, ამ ხნის განმავლობაში შეიცვალა თუ არა. ერთი წამით იგი მხოლოდ მაშინ შეჩერდა, როცა დღის სინათლემ თვალი მოჰკრა. ტაძრის კედლები შესამჩნევად ამალღებულყო, ხარაოებზე უკვე ამობღებულიყვნენ ოსტატები, ქვითხუროები და კირითხუროები, ახალმოჭრილი მორებს ბერკეტების მეშვეობით სახერხისაკენ მიავრებდნენ, შეარტყელი ამოყვანილ კედელზე გადაწოლილიყო და შვერილით რალაცას ზომავდა. მისი გამელოტებული კეფა მზეზე ლაპალაბებდა. მონასტრის ეზოში არაფერი არ ხდებოდა ისეთი, უჩვეულო და გაუთვალისწინებელი რომ ყოფილიყო, ავდრის შემდეგ იქაურობა უფრო გაწმენდილი და მილაგებ-მოლაგებულიც კი ჩანდა. სერაპიონი მხოლოდ იმან გააკვირვა, რომ ხარაოებზე ასასვლელ საცალღებო კიბესთან იოანე იდგა და ოდნავ თავდახრილი მორიდებით უგდებდა ყურს ესნა ცივნარისძეს, რომელიც გაუჩერებლად ლაპარაკობდა. ქალის ტუჩები ისე მოძრაობდნენ, თითქოს მსმენელს ულოცავდნენ და მონუსხვას უპირებდნენ. მის დიდ, მეტყველ, შავ მორევივით უძირო თვალებში დღის

სინათლესთან ერთად შორეუნი მსკერის იღუმალება და მღელღელბრძანებაც ირეკლებოდა. ყველაფერს იფიქრებდა, მაგრამ არაფრით არ ეგონა ეს დაუღმეგარი, თავქარიანი გოგო თუ აქ მარტო ამოვიდოდა, თამამად დაუდგებოდა წინ სასულიერო პირს და ისე გაუბამდა ლაპარაკს სხვების თანდასწრებით, თითქოს მის ქცევაში სათაკილო არაფერი იყო. მართალია, ესნას არავინ ლანძლავდა და კიცხავდა, მაგრამ სერაპიონი უფრო გრძნობდა, ვიდრე ხედავდა, რომ ხარაოებზე ამობღებულ მამაკაცებს ცალი თვალი და ცალი ყური კიბის ძირში გაჩერებული წყვილისაკენ იყო მიპყრობილი და უმრავლესობას სულ ცოტა საბაბი სჭირდებოდა იმისათვის, რომ აცუნდრუკებულიყვნენ და ახორბოცებულიყვნენ, წამქვებლური და დამცინავი სიცილით აეკლოთ იქაურობა. როგორც კი ეს ერთხელ მოხდებოდა, შემდეგ იოანეს მათი დაცინვისა და წახუმრებისაგან ვეღარავინ იხსნიდა. ამის დაშვება კი მას, როგორც ძმასა და წინამძღვარს არაფრით არ შეეძლო, რადგან ამას არც იოანე იმსახურებდა და არც ეკლესია. იმ ხალხს, ცალი თვალი და ყური რომ აქვთ ჰქონდა მოპყრობილი, არაფერი არ გაახარებდა ისე, როგორც ეკლესიის მსახურთა სიქველესა და ღვთისმოსაობაში დაეჭვება, იმის გაყალბება, რაც მათი ყოველდღიური ცხოვრების ფარგლებში ვერ ეტეოდა. ეს რომ ასე იყო, ამაზე სწორედ მათი ცალ მხარეს დახრილობა მეტყველებდა. მაგრამ სერაპიონს კიდევ აწუხებდა რალაც ისეთი, რასაც გრძნობდა და ვერაფრით ვერ აეხსნა. საიდანღაც იცქირებოდნენ ავად მოკუტებული, ვნებითა და გზნებით ანთებული იმ კაცის თვალები, ეშმაკი რომ შეუჭდება და გონებას დაუბნელებს. მათ ვერც თვითონ ხედავდა და ცხადია, ვერც სხვები ამჩნევდნენ, მაგრამ ისინი რომ ნამდვილად არსებობდნენ, რომელიც კუჭრუტანიდან რომ იცქირებოდნენ და ყველაფერს ხედავდნენ, რაც მონასტრის ეზოში ხდებოდა, ამაში ეჭვი არ ეპარებოდა.

სერაპიონმა ერთი წამით ინანა ლოგინიდან რომ წამოდგა და ხალხს ისე მოულოდნელად გამოეცხადა, როგორც იმპყვეყნად მობრუნებული, მაგრამ ახლა უკან გაბრუნება გაქცევას ემზავებოდა, არა და არც ესნა ცივნარისძესთან შეხვედრა უნდოდა, იცოდა, უსიამო ლაპარაკს რომ ვერ ასცდებოდა და ამიტომ ნელი ნაბიჯით დაუყვა ქვის კიბის ქერ კიდეც გაუცვეთავ საფეხურებს. ცა ისევე ისე მოწმენდილი იყო, მიწა მშვიდად და მსუბუქად სუნთქავდა, მაგრამ მონასტრის ეზოში მისმა გამოჩენამ მაინც შეცვალა რაღაც, იჭაურობა უფრო მკაცრი და საქმიანი გახადა. შეიძლება ამის მიზეზი მისი ფერმკრთალი სახე და პირქუში გამომეტყველება იყო. ხარაჩოებზე ასული ხალხი მისდაუნებურად გასწორდა, იოანემ თავი კიდევ უფრო დაბლა დახარა, მის დანახვაზე ესნა ცივნარისძეც კი შეკრთა და გაჩუმდა. მაგრამ ის, რაც მან ახალგაზრდა ქალის თვალებში ამოიკითხა, სასიკეთოს არაფერს მოასწავებდა. ესნა რომ იოანეს პირველად არ ელაპარაკებოდა და მის მიმართ გულგრილად არ იყო განწყობილი, ამას ბრმაც კი დაიხახვავდა. ცალ მხარეს ჩამოშლილი თმას, ნიავი რომ უფრიალებდა და დროდადრო თბელი, თეთრი ხელით ისწორებდა, არამიწიერი ელფერი გადააკრავდა, მაგრამ ეს არამიწიერი ელფერი კაცს ცისაყენ კი არ უხმობდა, არამედ მიწისაყენ, სისხლისა, სიტკობებისა და თავდავიწყებისაყენ, რაღაც ისეთისაყენ, რაზეც მას და იოანეს წარმოდგენა არ ჰქონდათ, ამ ცხვირმოუხოცავმა გოგომ კი უკვე იცოდა. მიუხედავად ამისა, მაინც ბავშვივით, უცოდველი კრავივით გამოიყურებოდა, უპატრონო და სათუთი დაცვასა და მფარველობასაც კი ითხოვდა და სერაპიონს სწორედ ეს აფრთხობდა, მთელ ამ ამბავში სატანის ხელი ელანდებოდა.

სერაპიონმა უეცრად გეზი იცვალა და იმის მაგივრად, რომ ტაძრისაყენ წასულიყო, მონასტრის ეზოდან გასასვლელი ლობისაყენ გაემართა. გადაწყვიტა ესნა მერე ენახა, ცალკე, სხვების და-

უსწრებლად მოლაპარაკებოდა. ამით ისიც ეხსნა უცხო თვალის მიხედვით, უხამსი ცნობის მოყვარობისაყენ და საკუთარი თავიც, მაგრამ როგორც კი ტაძრისაყენ მიმავალ გზიდან გადაუხვია და გეზი ლობისაყენ აიღო, ესნა ცივნარისძე სირბილით წამოეწია, გვერდით ამოუდგა და ისე გულწრფელად, ისეთი უცოდველი ღიმილით უთხრა „გამარჯობათ, მამაო“, თითქოს ის, რასაც რამდენიმე წუთის წინ სერაპიონი შეესწრო, მოლანდება იყო და მეტი არაფერი. სერაპიონს არც წარბი გაუხსნია და არც ნაბიჯი შეუწელებია. უნდოდა თვითონაც გასულიყო მონასტრის ეზოდან და ეს ცდუნებად ქცეული გოგოც გაეყვანა. ამიტომ ჩქარობდა, სიღარბისლე ლაღატობდა. ის სიმშვიდე, სენაკიდან რომ გამოჰყვა, საღდაც გაქრა. ახლა უბრალო ბერი და მოსავლელი ავადყოფი კი არ იყო, რომელსაც ბალახების ნახარშს ძალისძალად ასმევედნენ, არამედ მონასტრის წინამძღვარი, მთელი იმ საქმის დედაბოძი და სულისჩამდგმელი, აჭაურობა რომ უნდა გაენათლებინა და მემართისათვის დაეახლოვებინა.

— გვიგე, მძიმედ ყოფილხართ ავად, მამაო, და გამეხარა ფეხზე რომ დავინახეთ, ახლა როგორ ბრძანდებით? — ჰკითხა ესნა ცივნარისძემ და ხელით, თეთრი მტრედივით რომ აფრთხილდა ჰაერში, ჩამოშლილი თმა გაისწორა. თვალთმაქციც რომ ყოფილხარ, იმდენი რა გითხარი, შენ ჩემი ნახვა არ გაგხარებოდეს, გაიფიქრა სერაპიონმა და ისევე წამოეპარა ეჭვები: სატანა თუ არა, ვინ მისცა ამ გოგოს ამდენი სითამამე, სილაშაზე და ძილა.

— აი რა, შვილო, არა მგონია დედა ალათისა შენთვის არ ეთქვა, რომ მე მონაზვნების მონასტრის ეზოში ამოსვლა ავკრძალე, — უთხრა სერაპიონმა ქალს ხმის აუმაღლებლად.

— მე ხომ მონაზონი არა ვარ, მამაო.  
— სანამ დედათა კელიონში ცხოვრობ, შენც ისეთივე მონაზონი ხარ, როგორც სხვები.

— რომ არ აღვეციცილვარ?

— ამას მნიშვნელობა არა აქვს, აქ მონასტრის შინაგანაწესს ემორჩილება ყველა და არა საკუთარ ნებას.

— მიწყრებით, მამაო?

— კი არ გიწყრები, აქ ამოსვლას გიკრძალავ.

— რატომ, მამაო, ნუთუ იმიტომ, რომ თქვენს ძმას ველაპარაკებოდით?

სერაპიონს არც უცდია აეხსნა ამ თავნება გოგოსათვის, რატომ აუკრძალა მონაზვნებს მონასტრის ეზოში ამოსვლა. სულ ერთია ამას იგი მაინც ვერ გაიგებდა და კიდევ რამდენიმე თავხედური კითხვით შეაწუხებდა. ისიც კმაროდა, გვერდით რომ მოჰყვებოდა, ცალი ხელით წამდაუწუმ თმას ისწორებდა და წარმოდგენა არ ჰქონდა, სად ჰყოფდა ცხვირს, რა ძალას უპირისპირდებოდა, რა ადგილი ეპირა იმ სამყაროში, სადაც ყველაზე მეტად თავმდაბლობა და ღვთისმოსაობა ფასობდა.

— იცით, მამაო, როცა თქვენი ავადმყოფობის ამბავი გავიგე, მინდოდა შენახეთ, მაგრამ ნება არ დამრთეს, ნუთუ ავადმყოფის ნახვაც ცოდვია? — ჰკითხა ესნა ციენარისძემ და ისე შემოაბრუნა სახე, თითქოს სურდა სერაპიონსა და ცას შორის ტიხარი აღეშარათა.

— შენ გგონია, შვილო ჩემო, რომ ადამიანს ხორციის მეტი არაფერი გააჩნია და მხოლოდ მის კეთილდღეობაზე უნდა იზრუნოს, მაგრამ ხორცი ხრწნალი და მოკვდავია, სული კი უკვდავი და ავადმყოფობა სწორედ ამის შეხსენებაა. ნახვა იმას სჭირდება, ვისი სულიც ბნელითაა მოცული და თვითონაც არ იცის, როგორ მიექანება უფსკრულისაკენ.

— ეს მე მივექანები უფსკრულისაკენ, მამაო?

— ყველა, ვისაც ჭერ კიდევ არ შეუგნია, რომ მხოლოდ ბუნების შვილი არაა.

— ვერ გავიგე, რისი თქმა გინდათ, მამაო?

— იმის, რომ ადამიანი ღმერთმა მიწიერი ცხოვრების შემოქმედად გააჩინა და რადგან სხვაგვარად არსებობა არ

შეუძლია, პასუხისმგებლობაც თვითონ უნდა იკისროს.

— მეც, მამაო?

— ყველამ, რადგან ვინც ჩვენსკენ არაა, ის სატანისკენაა.

— სატანას ჩემთან რა ხელი აქვს, მამაო?

— სიბნელის წყარო მარტო დაშე და ჩრდილები როდია, შვილო ჩემო.

— სხვა კიდევ რა არის, მამაო?

— ჩვენი ბნელი ზრახვებიც.

— მე რომ ბნელი ზრახვები არ გამაჩნია.

— ამის თქმის უფლება შენ კი არა, წმინდანს არა აქვს, შვილო ჩემო.

— თუ ასეა, მე რალას მერჩით, მამაო?

— შენ არავინ არაფერს გერჩის, მაგრამ ის, რაც ღმერთმა ინება, უნდა აღსრულდეს, უნდა აშენდეს მონასტერი და მე ვერავის მიცემ უფლებას, ამ საქმეში ხელი შემეშალოს.

— მერედა, მე რითი გიშლით ხელს, მამაო?

— თუნდაც იმით, რომ მონასტრის ეზოში ამოღიზარ.

— კი მაგრამ, მონასტერი ხომ ჩვენთვის შენდება?

— არა, შვილო ჩემო, მონასტერი შენდება იმათთვის, ვინც ან უკვე ალიკვეცა ბერად, ანდა აწი აპირებს აღკვეცას.

— თუ ასეა, მე რისთვის მომიყვანეთ აქ?

— სხვამ თუ არა, შენ მაინც იცი, რისთვის მოგიყვანე, მონასტერი თავშესაფარი არაა, შვილო ჩემო, ვინც ღმერთს არ ეძებს, მონასტერში მას არაფერი ესაქმება.

— მაგდებთ აქედან, მამაო?

— არავინ არსაიდან არ გაგდებს, შვილო ჩემო, არც ბრმა მორჩილებას მოითხოვს შენგან ვინმე, მაგრამ თუ არ დაემორჩილე იმ პირობებს, მიწიერი ყოფა რომ მოითხოვს ადამიანებისაგან, ვერც კაცი გიხსნის და ვერც ღმერთი.

— არ შეგონა, ასეთი მკაცრი თუ იყავით, მამაო.

— ცხოვრება ასევე ჩემზე მკაცრია,

შვილო ჩემო, და ერთხელ შენ უკვე იწვნიე ეს შენს თავზე.

— რა ვქნა, როგორ მოვიქცე, მამაო, არ შემიძლია ისეთი ცხოვრებით ცხოვრება, მონაზნები რომ ცხოვრობენ, რაღაც არ მასვენებს, ერთ ადგილას არ მაყენებს, თუმცა ახლა აღარც აქედან წასვლა შემიძლია.

— რატომ, შვილო?

— ამას მაშინ გეტყვი, მამაო, როცა აღსარების სათქმელად მოვალ თქვენთან.

— აღსარება შეგიძლია დედა აღათმასაც უთხრა.

— არა, მამაო, იმას, რისი თქმაც მიინდა, თქვენს მეტს ვერავის ვეტყვი.

— კეთილი, შვილო, იყოს ნება შენი. ახლა კი წადი და ილოცე. ლოცვაზე უკეთ არაფერი ამშვიდებს აფორიაქებულ სულს.

სერაპიონი მანამდე გამობრუნდა უკან, სანამ დედათა კელიონისაკენ მიმავალ გზაზე გავიდოდნენ, მაგრამ გამობრუნებამდე კიდევ ერთხელ შეაფლო თვალი ქალის აშოლტლ ტანს, ბეჭებში რომ მოხრილიყო ოდნავ და თვითონაც ვერ მისვდა, რამ უფრო დაიწყებდა გული — მისმა ბეჭებში მოხრამ თუ მასთან დაშორებამ. ესნა ცივნარისძე რომ ბევრ სისულელეს რომავდა და თანაც დაუფიქრებლად, ამის მოწმე სერაპიონი არაერთხელ იყო, ზოგჯერ მისი კითხვები ზედმეტადაც კი აღიზიანებდა და უხერხულ მდგომარეობაში აყენებდა, მაგრამ ამ სისულელეში იყო რაღაც უშუალო, უდაო, იმდენად ბუნებრივი, რომ გაიკიხვასაც კი არ იმსახურებდა. სერაპიონი თავის თავს არ უტყდებოდა, მაგრამ ქვეშეცნულად გრძნობდა, რომ არც ესნას ცოდვები ეჩვენებოდა ისეთ მძიმე ცოდვებად, სხვებისათვის რომ საბოლოოდ წარმწყმედელი იქნებოდა და არც მისი სიბნელე მიაჩნდა ისეთ სიბნელედ, სხვებს რომ განკითხვით ემუქრებოდა. მის გვერდით თითქოს თვითონაც უფრო მოუქნელი, გონებაგაუხსნელი და მოუსაზრებელი ჩანდა, აზრსაც ვერ გამოთქვამდა ისე დამაჯერებლად და სხა-

რტად, როგორც სურდა. მისთან დალაპარაკების შემდეგ არასოდეს იგმობოდა ლია უპირატესობის ის გრძნობა, სხვებთან ურთიერთობაში რომ უგრძნვია არაერთხელ. პირიქით, რაღაცაში კადნიერ, დაუნახავ კაცადაც კი გრძნობდა თავს.

სერაპიონს დასცხა, მაგრამ ნაბიჯი არ შეუწუნებია, ხეთა სიმწვანეზე და ჩრდილებზე მეტად ის ხმაური იზიდავდა, ზემოდან რომ ესმოდა. ეს ხმაური გალობასავით ჩაესმოდა ყურში და ალბათ იყო კიდევაც გალობა, რადგან სიხარულს გვრიდა და ამხნევებდა. აქედან ტაძარი ჭერ კიდევ არ ჩანდა, მაგრამ როცა აშენდებოდა, როცა ჭვარედინად გაშლილ მკლავებზე ყელიან გუმბათს მოირგებდა, ყოველი მხრიდან გამოჩნდებოდა და მთელ ამ არემარეს შეკრავდა, შემოიმტიციებდა, დაისაქუთრებდა და როცა გვერდით სამრეკლოც ამოუდგებოდა, დარეკილი ზარების გუგუნი ხმაური კი აღარ იქნებოდა, არამედ დედამიწიდან ცისკენ დაძრული ბეჭრები, იმათი გალობა და მოთქმა, ვისაც სიბნელეში და სიღუბნეში უწევს გზის გაკვლევა, ვინც მივიწყებული და დაკარგულია ამ მიყრუებულ კუთხეში, ვისაც ეშინია ყოფნისა და არყოფნისაც, სინამდვილისაც და მოჩვენებითისაც, სიტკობებისაც და სიმწარისაც, ვინც ემორჩილება რაღაც ისეთს, რაც ყოველთვის მის მიღმა რჩება და აი, მაშინ ტაძარი, სამრეკლო და ზარების გუგუნი სახეს შეუცვლიან ირგვლივ მდებარე საგნებს და გააცოცხლებენ, მგრძნობიარე არსების თვისებებს შესძენენ.

სერაპიონი მონასტრის ეზოში შევიდა, ერთი წუთით შეჩერდა და საკმლის ძირამდე ამოყვანილ, ხარაჩოებით გარშემორტყმულ კედლებს შეავლო თვალი. ახლა უკვე აღარ ეჩვენებოდა, რომ კედლები შესამჩნევად ამაღლებულიყო, რაღაც შემატებოდა ისეთი, რაც მის ნაავადმყოფარ, გაღიზიანებულ ტვინს დააშოშმინებდა, მოამძლავრებდა. ჭერჭერობით ამ კედლებს არაფერი ეტყობოდათ იმისა, თუ როგორი იქნე-

ბოდა დამთავრებული ტაძარი, რა ღირსებებით გამდიდრდებოდა და რა ნაკლით გაუფასურდებოდა, რას მოიხდენდა და რას ვერ შეიშნობდა. ის, რაც მისი ცხოვრების მიზანი იყო და უკლებლივ ყველაფერს მოითხოვდა, ნელა იზრდებოდა, იმდენად ნელა, რომ ზოგჯერ ეჭვიც კი ეპარებოდა, მოესწრებოდა მის დაბადებას თუ მანამდე გაუთხრიდნენ საფლავს მონასტრის ეზოში, სანამ ტაძარში საკმევლის სუნი დაიკმეოდა. ამქვეყნად არაფერი იყო მოულოდნელი და გამორიცხული, მაგრამ სანამ პირში სული ედგა, სანამ სწამდა და იმედი ჰქონდა, რომ მისი რწმენა კიდევ უფრო განმტკიცდებოდა და გაძლიერდებოდა, სანამ მისი ყოფიერების საფუძველი ქმედება იყო და არა არსებობა. ამ ქმედების ყველაზე მნიშვნელოვანი საზრისი და ნიშანი ხორცშესხმული, ამტყველებული უნდა ენახა. ის, რაც ახლა კირი, ლორდი, ქვა და რკინა იყო, როცა ერთ სახეში გაერთიანდებოდა, როცა ზოგად ნიშანდობლობას შეიძენდა, სწორედ იმად გადაიქცეოდა, რის მიმართაც აღამიანი ველარ შესძლებს გულგრილი დარჩეს, რადგან ტაძარიც ცხოვრების ნაწილი გახდება და ბუნების მკვიდრი საგნების თვისებებისაგან განთავისუფლდება.

სერაპიონმა ხარაჩოებს მიამუტრა. იმ დღიდან, რაც ილარიონი მოკლეს, ხარაჩოებზე ფეხი არ შეუდგამს და ახლა ერთი სული ჰქონდა, ზემოთ ასულიყო, იქიდან დაეხედა კედლებისა და თავიკიდურებისათვის. თვალი მოველო მონასტრის ეზოსა და იმ მამულისათვის, ერთ დღეს რომ საკუთარი ფეხით შემოიზომა. ოსტატებსა და ხუროებს არ უყვარდათ ზედმეტი კაცის ხარაჩოებზე ბობილი, იგი მათ ხელს შეუშლიდა, თორემ ვერაფერში დაეხმარებოდა და ამიტომ სერაპიონი იმ კედლისაკენ გაჰყვა ხარაჩოებს, სადაც ხალხი ნაკლებად იყო და მას ყურადღებას არავინ მიაქცევდა. ფიცრები შემშრალიყო, ფეხი აღარ ცურავდა ხარაჩოებზე ისე, ავდარსა და ნისლიან ამინდში რომ იცის. ჰაერიც უფრო სუფთა

და გამჭვირვალე ეჩვენებოდა. ვეწინ, სანამ მონასტრის დასავლეთისკენ წარმოგზავნიდნენ, გარეთ არც კი იყურებოდა, არ აინტერესებდა ცა მოლრუმლული იყო თუ მოწმენდილი, ახლა კი გაღვიძებისთანავე ცას შეჰყურებდა და მის გუნება-განწყობილებაზე ამინდი უფრო მოქმედებდა, ვიდრე ის უსიამოვნებანი, ყოველდღიურ ცხოვრებას რომ მოაქვს თან. დარში ლოცვაც უკეთ გამოსდიოდა და წირვაც, გონებაც უკეთ უტრიდა და ენაც. მზის ამოსვლას წარმართვით შეჰპაროდა და გუნება მხოლოდ მაშინ უფუჭდებოდა, როცა მზე დასავლეთისაკენ გადაიხრებოდა. მაგრამ დღეს ცა მოკრიალებული იყო, მზის მცხუნვარე სხივები არა მარტო ქვეყანას ათბობდა, არამედ მის გაფითრებულ პირისახესაც, მის ნათალხარ სულსაც და როცა გაურანდავ ბოძს ჩაჰიდებულს, მზისკენ პირშეჭყეულსა და თვალბდახუჭულს ნიავე თმებს უფრიალებდა და აზრისაგან ცლიდა. როცა იმას, რაც მომავალში უნდა აღსრულებულიყო, უკვე გააჩნდა საკუთარი ჩრდილი და ეს ჩრდილი თანდათან იზრდებოდა, სერაპიონს სჯეროდა, რომ ღვთის ნებას ასრულებდა და ანგარიში მხოლოდ მისთვის უნდა გაეწია.

მონასტრის ეზოში ჟორზე ამხედრებული აწყურის ეპისკოპოსი გიორგი შემოვიდა. მას რამდენიმე ხუცესი მოჰყვებოდა ფეხით. ეს პირველი შემთხვევა იყო, გიორგიმ აწყურელი რომ ასე საზეიმოდ, ამალითურთ ეწვია მონასტრს. ტანზე ახალშეკერილი შალის შავი ანაფორა ეცვა, მკერდზე პატიოსანი ქვებით მოჭედილი ჯვარი უბრწყინავდა. გიორგის მოშლილი, უპატრონოდ მიტოვებული ეპარქია ერგო მოსავლელად და მოსამწყემსად, მაგრამ მას შემდეგ, რაც იგი სამცხის ეპისკოპოსად დაადგინეს, სამი წელი გავიდა და ახლა მიხრა-მოხრასა და სიღარბისღებზე ეტყობოდა, რომ ეპარქიაში გაუღუნავ მოიპოვა და აწეწილ-დაწეწილ საქმეებსაც გაართვა თავი. გიორგი რომ აქ მხოლოდ ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად არ ამოვიდოდა,

ამაში სერაპიონს ეკვი არ ეპარებოდა. ამიტომ სწრაფად ჩამოვიდა ხარაჩოებიდან, გიორგი აწყურელს მიეგება და კელიონისაკენ წარუძღვა.

წიგნსაცავში მართალია ორიოდ წიგნი იღო, მაგრამ მაინც ისეთი სუნი იდგა, ერთად თავმოყრილ წიგნებს რომ ასდით. შეიძლება ამ სუნს ფიჭვის გარანდული თაროები გამოსცემდა. ყოველ შემთხვევაში, სანამ ტაძარი დამთავრდებოდა, სერაპიონს უცხო, საპატრიო სტუმრის მიღება წიგნსაცავში ერიოდა. აქ უფრო ლაღად, თავისუფლად გრძნობდა თავს, სივრცე მეტი იყო და არც იმის შიში ჰქონდა, რომ ვინმე კარზეყურმოდებული მათ საუბარს გაიგონებდა, ისეთ რამეს გაიტანდა გარეთ, რაც მხოლოდ ორ ადამიანს შორის უნდა თქმულიყო. მსტორები და დამბეზღებლები აქაც იმდენი იყო, რამდენიც ყველგანაა, სადაც ბევრი ხალხი იყრის თავს. ეს სერაპიონმა ყურმოკვრით კი არ იცოდა, არამედ დანამდვილებით, რადგან ენა გიორგი ჩორჩანელთანაც მიჰქონდათ და დიდ მღვდელმთავრებთანაც აბეზღებდნენ. მის დაბეზღებას კი წარმოადგენის დიდი უნარი არ სჭირდებოდა. იქ, სადაც რაღაც კეთდება და იქმნება, ყოველთვის მოინახება შურისაღმძვრელი, გასაკილი და დასაგმობი, რაც შემდეგ ისევე ძნელი აღმოსაფხვრელი და ამოსაძირკვია, როგორც ადამიანში ჩაბუდებული სიბრიყვე.

გიორგი მაწყვერელი არც ისე ახალგაზრდა იყო, რომ ყველაფრის ერთბაშად გარდაქმნა და გადასხვაფერება მოეწოდებინა და არც ისე ხანდასმული, ქმედებაზე რომ ხელი აეღო და ის მაინც არ მოეგვარებინა და მოეწესრიგებინა, რის შესაძლებლობასაც ადგილობრივი პირობები იძლეოდა. იგი იმ ტბას ჰგავდა, ლეღვა რომ იცის, მაგრამ რაც არ უნდა აღელდეს, კალაპოტიდან მაინც არ გადმოვა. თმა და წვერი შექვილარავებული ჰქონდა, დაწვები თხელი და ფერმკრთალი, შერა მკაცრი, მაგრამ სანდომიანი. ქადაგებაც ამ-

გვარივე იცოდა, მის მკაცრ სიტყვებს დამაჯერებლობაც თან ახლდა ყოველთვის. მხოლოდ ერთი უცნაური ზნე სჭირდა, ზარების რეკვა უყვარდა და მიუხედავად იმისა, რომ ეს მის ღირსებას აკენებდა, ყოველ დღით აწყურის საკათედრო ეკლესიის სამრეკლოზე მნათეს მაგივრად თვითონ ადიოდა და ისე ატუგუნებდა და აწკრიალებდა დიდა და პატარა ზარებს, თითქოს საგალობელს თხზავდა. ამის გამო ხელის გულები მუდამ დაკოფრული ჰქონდა. სერაპიონს მხოლოდ ის არ მოსწონდა, რომ გიორგი მაწყვერელი მონასტრის მიმართ, რომელიც ადგილობრივ საეკლესიო ხელისუფლებას არ ემორჩილებოდა, გაცილებით ნაკლებ ყურადღებას იჩენდა, ვიდრე ეპარქიის მიმართ.

— ეს რამხელა წიგნსაცავი გაგიმართავს, მამაო სერაპიონ, სამწუხარო მხოლოდ ისაა, რომ წიგნებითაა ღარიბი, — უთხრა გიორგი მაწყვერელმა წინამძღვარს და როცა სკამზე ჩამოჯდა, წიგნსაცავის სივრცეში და მყოფობამ დალილობა გადააეციყო.

— ჭერჭერობით ჩვენ წიგნების საწერად და სათარგმნელად არ გვცალია, მღვდელთმოდვარო, მაგრამ როცა მონასტრის მშენებლობა დამთავრდება, აქ იმდენი წიგნი დაიწერება და ითარგმნება, რომ შეიძლება ამ წიგნსაცავში არც კი დაეტიოს.

— მართალია, მამაო სერაპიონ, თითქოს არც თქვენი ტაძარი იქნება ისეთი, როგორსაც აქამდე საქართველოში აშენებდნენ.

— არ ვიცი, მღვდელთმოდვარო, თუ ისეთი აშენდა, როგორიც ჩაფიქრებული გვაქვს, შეიძლება მართლაც არ აღმოჩნდეს ისეთი, აქამდე რომ აშენებდნენ.

— ვის მოუვიდა პირველად ასეთი ტაძრის აშენება აზრად?

— არავის, გადახალისების აუცილებლობა თვით ღრმ მოიტანა.

— კი მაგრამ, რაღა მაინცდამაინც აქ და არა სადმე სხვაგან?

— ასე ისურვა უფალმა, მღვდელთმთავარო.



— შუარტყელელს მე აღრეც ვიცნობდი, მაშაო სერაპიონ, არ მეგონა იგი თუ რაიმეს გადახალისებელი და ხორცშემსხმელი იქნებოდა.

— როცა აზრი მომწიფდა, თავის საქმეში გაწაფულ კაცს ან მთლად მომჩივარავს, ანდა გამოსავალს აპოვინებებს, მღვდელთმთავარო.

გიორგი მაწყვერელმა თვალი მაგიდის ბოლოში მდგარ ტაძრის ქვისაგან გამოთლიო ასლს შეავლო, ერთხანს უცქირა და შემდეგ ისევ სერაპიონს მოუბრუნდა.

— თუ არ ვცდები, ეს უნდა იყოს თქვენი ახალი ტაძრის ასლი?

— ეს გახლავთ.

— ასლი მართლაც უჩვეულოა სიმართლითაც და ზომებითაც. რაზე დაეყრდნობა ამსიმიძე გუმბათი?

— ბოძებზე და თალებზე.

— თქვენსა და შუარტყელელის გარდა, ვინ იცნობს კიდევ ამ ტაძრის გემას საფუძვლიანად?

— ჩემი ძმა იოანე.

გიორგი მაწყვერელმა ისე გაიღიმა, თითქოს წინასწარ ნაფიქრალი და ნავარაუდევია აუხდა. მის ფერმკრთალ დაწვებს სიამოვნების სხივმა გადაურბინა, რაც მიწიერი ამბებით უფრო იყო გამოწვეული, ვიდრე ოღვითური მადლის ნათლიერებით. სერაპიონმა სტუმარს თვალი მოარიადა. გიორგი მაწყვერელმა ღონიერი თითებით რამდენჯერმე დააკაკუნა მაგიდაზე, თავი მიაბრუნა და სარკმელში გაიხედა. გარედან მზის სხივებში განბანილი, სიმწვანით შეფერადებული დღის სინათლე იჭრებოდა, მაგრამ ეპისკოპოსი ფიქრით წიგნსაკავის კედლებსაც ვასცდა, მონასტრის გალაგანსაც და რაღაც ისეთს მოეჭიდა, რაც ჯერ მხოლოდ თავისთვის ჰქონდა ჩაფიქრებული და ნავარაუდევია. ეს ვარაუდი რომ რაღაცით ზარზმის მონასტერს უკავშირდებოდა, ამაზე არა მართა გიორგი მაწყვერელის ღიმილი მეტყველებდა, არამედ მისი მოულოდნელი და ხაზგასმული სტუმრობაც.

— მაშაო სერაპიონ, — დაიწყო უცრად გიორგი მაწყვერელმა და სარკ-

მელს მზერა მოაცილა, — რამდენად ლამაზი და წესიერია, თქვენ რომ აქ, მაშაო მონასტერში, ქალები გყავთ შემოხიზნული?

— თქვენთანაც მამებლებენ, მღვდელთმთავარო?

— ჩემთან იმდენად არა, რამდენადაც დიდ მღვდელთმთავრებთან.

— რამდენადაც ვიცო, ჯერ ისეთი არაფერი მომხდარა, შემამოფოთებელი და შემამარწუნებელი რომ იყოს. ქალებს გაუჭირდათ და ზამთარში ღია ცის ქვეშ ხომ ვერ დაგყრიდი.

— მართალია, შემამოფოთებელი ჯერ მართლაც არაფერი მომხდარა, მაშაო სერაპიონ, მაგრამ ხომ შეიძლება მოხდეს და ამიტომ ამ საქმის მოსაგვარებლად დროზე უნდა ვიზრუნოთ.

— მე არც მიფიქრია დიდი ხნით მათი აქ გაჩერება, როგორც კი შესაძლებლობა მომეცემა, კლარჯეთის დედათა მონასტერში გავგზავნი ყველას, ვინც მონაზვნად აღიკვეცა, ან აწი აპირებს აღკვეცას.

— კლარჯეთში ერთადერთი დედათა მონასტერია, მაშაო სერაპიონ, და იქაც ისეთი სივიწროვეა, რომ აღკვეთის მოსურნენი მონასტრის ეზოს გარეთ ცხოვრობენ მიწურებში. ამიტომ ჩვენე უნდა ვიღონოთ რამე.

— რა გაქვთ მხედველობაში, მღვდელთმთავარო?

— დედათა მონასტერი სამცხეში უნდა აშენდეს, მე ადგილიც კი შევარჩიე უკვე.

— სად?

— ზანავის მახლობლად ერთი მალაღლი, მშვენიერი მთა დგას და იმ მთიდან წყაროც კი გამოჩნხულებს.

— მერე ვინ ააშენებს და რა სახსრებით კიდევ ერთ მონასტერს, მღვდელთმთავარო, როცა ამ მონასტერსაც კი დიდი ჰაპანწყვეტითა და ვაივაგლახით ვაშენებთ.

— დედათა მონასტრის ასაშენებელ სახსრებს მე გამოვანახავ, მრევლი ცოტათი მომრავლდა, მოღონიერდა, გაღვთისმოსავდა, მაგრამ მე ისეთი კაცი

მჭირდება, ვინც ამ საქმეს წარუძღვება და თავს მოაბამს.

— მერე გეგულებათ ასეთი კაცი სადმე?

— მეგულება.

— ვინ არის?

— ის კაცი თქვენი მონასტრის წევრია, მამაო სერაპიონ.

— ჩვენი? ვინ, გარბანელი ხომ არა?

— არა, არც გარბანელი და არც შუარტყელელი. ის კაცი თქვენი ძმა, იოანეა.

სერაპიონი ერთი წუთით შეცბა. ყველაფერს მოელოდა, მაგრამ არაფრით არ ეგონა, ამ საქმესთან დაკავშირებით იოანეს სახელს თუ წარმოთქვამდნენ. იოანე ის კაცი იყო, ვინც ყოველთვის გვერდით უნდა ჰყოლოდა, ჭირიც უნდა გაეზიარებინა მისი და ლხინიც, სანამ უგონოდ იწვა, გვერდიდან არ შორდებოდა, ცივ ტილოებს უცლიდა, ბალახების ნახარშს ასმევდა, ამხნევებდა, ახლა კი მის თავს ქალიც ედავებოდა და ეპისკოპოსიც, მიწაც და ცაც. იმასაც კი აღარ უწევდნენ ანგარიშს, რომ უმცროსი ძმა შვილივით ჰყავდა გაზრდილი, რა მოხდა ასეთი, რაღა ყველამ იოანეს დაადგა თვალი, ცხარობდა სერაპიონი, მაგრამ ისიც იცოდა, რომ ვერც ესნა ცივნარისძე და ვერც ეპისკოპოსი იოანესთანა კაცს მთელ სამთავროში ვერ იპოვნიდნენ, განსაკუთრებით ეპისკოპოსი, რომელიც მართლა დიდი საქმის წამოწყებას აპირებდა და ღვთითშემოსილი, სანდო და გამრჩე კაცი სჭირდებოდა, ისეთი კაცი, რომელიც, თავის სიჭველეს საკუთარი ნამოქმედართ ზომავს და არა მომთხოვნელობით. ეპისკოპოსმა რომ ყველაფერი ეს იცოდა, ამაზე მისი არჩევანიც მეტყველებდა და ის ქსელიც, ეპარქიაში რომ ჰქონდა გაბმული, თვალს და ყურს მას ალბათ ყველგან ჰყავდა და შეუშოწმებლად და ხელალებით არავითარ საქმეს არ წყვეტდა. მისი ნაამბობიდან ჩანდა, რომ ნაუცბადევედ არც ახალი მონასტრის აშენება გადაწყვეტილა. როცა აქეთ გამოეშურა, მას უკვე ყველაფერი გათვალისწი-

ნებული და მოფიქრებული ჰქონდა. ცხადია, მისასალმებელი იყო ის, რომ სამცხეში კიდევ ერთი მონასტერი აშენდებოდა და ქრისტიანობა უფრო ღრმად გაიდგამდა ფესვებს, მონაზვნებს თავიანთი სავანე და საყუდარი ექნებოდათ. ახლა საქართველოს ეკლესიები, მონასტრები და საღვთო წიგნები უფრო სჭირდებოდა, ვიდრე სასახლეები და ციხე-დარბაზები. რწმენა ქმედებას, გაფართოებას მოითხოვდა, მაგრამ იოანე ამ ღვთისსასურველ საქმისათვისაც კი არ ემეტებოდა, არაფრით არ უნდოდა მისი სხვაგან გაშვება, უმეტესაყურედ დატოვება. არც იოანე მოინდომებდა ასე მოულოდნელად და ნაუცბადევედ მის მიტოვებას, თითქმის აშენებული მონასტრიდან აყრას და სამუდამოდ საღააც გადახვეწას. ეპისკოპოსს რომ იოანეს დაყოლიება გაუჭირდებოდა, ამაში სერაპიონს ეჭვი არ ეპარებოდა.

— როდის აპირებთ მშენებლობის დაწყებას, მღვდელთმომღვარო? — ჰკითხა სერაპიონმა ეპისკოპოსს და შეამჩნია, რომ მაგიდაზე დადებული მარჯვენა ხელი ოდნავ უკანკალებდა.

— საქმე საშუროა, მამაო სერაპიონ. რაც უფრო მალე დაიწყებთ მშენებლობას, მით უფრო დაზღვეული ვიქნებით ცოდვებისაგან.

— მონასტრის ასაშენებლად ხუთი და ათი წელი არ კმარა, მღვდელთმომღვარო, მანამდე მონაზვნები აქ უნდა იყვნენ?

— კელიონის აშენებას წლები არ სჭირდება, მამაო, ჩვენ ჯერ კელიონს ავაშენებთ, მონაზვნებს დავაბინავებთ და სხვა ნაგებობების მშენებლობას შემდეგ შევუდგებით.

— მთავარმა თუ იცის ეს ამბავი?

— მთავარმაც იცის და მისმა დამაც. მონასტრის მფარველობას სწორედ გიორგი ჩორჩანელის და ლატავრი გაუწევს.

— რა ქალია ეს ლატავრი?

— ადრე მხოლოდ ოჯახზე ზრუნავდა, მაგრამ ახლა, ხანში რომ შევიდა, ეკლესიისაკენ გადმოიხარა. მე რატომ-

ლაც დარწმუნებული ვარ, რომ ბოლოს იგი მონაზუნად აღიკვეცება და დედათა მონასტრის ილუმენი გახდება.

— თავად გიორგი როგორ ბრძანდება?

— ვერ არის კარგად, რაღაც სენს უჩივის.

— აქ რომ იყო, არც მე მომეწონა. ღმერთმა ჭანი მისცეს და დღეგრძელობა.

— ღმერთმა გისმინოს, მამაო სერაპიონ. თითონ გიორგის მეგვიდრე არ რჩება, დისწულები კი ისეთები ჰყავს, სისხლმოწყურებულ მგლებივით დამარწიან სამთავროში.

სერაპიონმა მარცხენა ხელი მარჯვენას დაადო ზემოდან. ფერმკრთალი კანის ქვეშ სისხლძარღვები უფრო მკვეთრად განშტოებულნი იყვნენ და შინაგან შეშფოთებას იმით გამოხატავდნენ, რომ მძაფრად სცემდნენ. დღეს პირველად გამოვიდა გარეთ და ის სიხარული, გამოჯანმრთელებამ და დღის სინათლემ რომ აგრძნობინა, უსიამო ამბებმა გააქარწყლეს. რას ელაპარაკებოდა ესნა ცივნარისძე იოანეს, რა სჭირდა გიორგი ჩორჩანელს, კიდევ რისი თქმა უნდოდა და რა ჰქონდა გუენებაში გიორგი მაწყვერელს. ყველაფერი ეს მიხვედრასა და ამოხსნას მოითხოვდა, მას კი ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს თავზე რკინის სალტე შემოუტვირეს, რამაც დააჩლუნგა და მოუქნელი, მოუსაზრებელი გახადა. ტკივილი ისე არ აწუხებდა, როგორც ყოველივე იმის წარმოდგენა, რასაც მომავალი უქადა. ბზარი მასა და იმ ადამიანებს შორის, ვისი იმედიც ჰქონდა, ჯერ არ ჩანდა, მაგრამ რაღაც ამგვარი უკვე იგრძნობოდა და თვალთ დაუნახავი ბზარი რომ არ გაფართოებულყო, დიდი სიფრთხილე და გამჭრიახობა მართებდა. მშვიდობიანობა, ერთპირიანობა და თანხმობა მონასტრისათვის უფრო იყო საჭირო, ვიდრე პირადად მისთვის. ამიტომ დაუფიქრებლად არავის არ უნდა დაპირისპირებოდა, მაგრამ არც იმის უფლება მიეცა ვინმესთვის, რომ საერთო საქმისათვის, მონასტრის მშენებლობისათვის ელატა და ზიანი მიეყენებინა.

სათვის ელატა და ზიანი მიეყენებინა. გიორგი მაწყვერელი არა მარტო იოანეს მიზრობას და საკუთარი მიზნებისათვის გამოყენებას აპირებდა, არამედ იმასაც ეცდებოდა, რომ საუკეთესო ოსტატებისათვის საღერღელი აეშალა და გადაეხრებინა. ზანავი დიდი დაბა იყო, სადაც ცხოვრება უკეთ შეიძლებოდა და გასართობიც მეტი მოიპოვებოდა.

სერაპიონი მიხვდა, რომ აქარბებდა, ბოლმა და უგუნებობა ეძალებოდა და მისი ეჭვები და უნდობლობა კიდევ უფრო რომ არ გაღრმავებულიყო, ხელები მაგიდიდან ჩამოიღო, თავი ასწია და ეპისკოპოსს თვალი გაუსწორა.

— იოანეს თქვენ მოელაპარაკებით, მღვდელთმოძღვარო, თუ ეს ამბავი მე ვამცნო? — ჰკითხა სერაპიონმა გიორგი მაწყვერელს და მეტისმეტად პირქუში რომ არ გამოჩენილიყო, შეკრული წარბები გაშალა.

— არც მე და არც თქვენ, მამაო სერაპიონ, თავის დროზე მას ყველაფერს ისე ეტყვიან, როგორც წესი არს.

— ვინ ეტყვის?

— ის, ვისაც ამის უფლება აქვს.

— სად და როდის?

— მალე, მალე, მამაო სერაპიონ. ორი თვის შემდეგ პარეზის მონასტერში ტაოს, კლარჯეთის და მესხეთის საეკლესიო კრება გაიმართება, ამ კრებას ეკლესიის დიდი მამებიც დაესწრებიან და ჩემს გარდა თქვენც მიგიწვევენ და იოანესაც.

— კი მაგრამ ჩემთვის რომ არაფერი შეუტყობინებიათ?

— მე ამ სამიოდე კვირის წინათ ოპიზის მონასტრის ვეწვიე და საეკლესიო კრების პარეზში მოწვევა სწორედ იქ გადაწყდა. ამ ამბავს მალე თქვენ შეგატყობინებენ.

— ვთქვათ-და, ჩემს წინააღმდეგ მართლაცაა განწყობილი ზოგიერთი მღვდელთმთავარი, იოანეს რისთვისღა იბარებენ?

— იოანეც ისევეა პარეზის მონასტრის აღზრდილი, როგორც თქვენ, მამაო სერაპიონ.

— ვერ შეტყვი, რაში მღებენ ბრალს, მღვდელთმობღვარო?

— ამ ამბავს გულთან ახლოს ნუ მიიტანთ, თქვენ მოწინააღმდეგეებიც გყავთ და მომხრეებიც. ახლა კი მშვიდობით, მამაო სერაპიონ, აწყურამღე შორი გზაა და ვინძლო დალაშქვამღე ჩავაღწყო.

გიორგი მაწყვერელი სწრაფად წამოდგა და სანამ ჩაფიქრებული სერაპიონი გონს მოვიდოდა, წიგნსაცაედიან გავიდა. სერაპიონმა ხელები ისევ მაგიდაზე დააწყო და სარკმელს მიაჩერდა. გარედან საერთო ხმაურთან ერთად შაშვის ქახქახიც შემოიჭრა. დღე აღარ ჩანდა ისეთი ნათელი, როგორც ამ დღილით და ამის მიზეზი ის იყო, რომ მზე გადაიხარა, ის მხარე, საითაც სარკმელი გადიოდა, ჩრდილმა დაისაყუთრა. სერაპიონი იცნობდა ამ ჩრდილს, იცოდა მისი სიგრძე, ვანი და ზოგჯერ სისქეც კი, მაგრამ ახლა იმდენად ამღვრეული და აფორიაქებული ჰქონდა გონება, იმდენი საფიქრალი და სავარაუდო დაუტოვა გიორგი მაწყვერელმა, ისე სტკიოდა თავი, რომ ჩრდილი ღამედ ეჩვენებოდა, შორეული ხმაური კი გამაყრუებელ გუგუნად. მას შემდეგ, რაც აქ ჩამოვიდა, იგი ისე მოწყდა ყველა-

ფერს, ისე შეიპყრო მონასტრის მშენებლობამ, რომ წარმოდგენა არ ჰქონდა, რა თვლით უყურებდნენ შორიდან, რას ფიქრობდნენ მის მოღვაწეობაზე. ბრალდებები და ვაკიცხვა იმდენად არ აკრთობდა, რამდენადაც კრების გადაწყვეტილება. ახლა, როცა ქმედით ცხოვრებას შეეჩვია და ისეთ ტაძარს აშენებდა, როგორხედაც ახალგაზრდობაში ოცნებობდა, აღარ შეეძლო უკან დახევა, განმარტოება, უდაბნოში გასვლა ან პარეხის მონასტერში დაყუდება. ღმერთი მასთან ერთად ამოვიდა აქ, მასთან ერთად იღვწოდა და მუშაობდა და ახლა, როცა მათი კავშირი გაცხოველდა და განმტკიცდა, როცა ყოფიერება და ქმედება ერთ კვანძად შეიკრა და სიცოცხლის შემოქმედებით ძალას ნაყოფი გამოჰქონდა, როცა იგი მონასტრის ყოველ ნაგებობაში გაითქვიფა, როცა ვაცოცხლებული მონასტერი ისე შემოვიდა მასში, როგორც სულიერი არსება, მხოლოდ ერთი სათხოვარი ჰქონდა ღმერთთანაც და კაცთანაც — ეცლიათ ტაძრის აშენება, მონასტრისათვის კარიბჭის შებმა და შერე თვითონ გაეცლებოდა ამ ცოდვილ მიწას, მათზე შეტად თვითონ დაადასაშაულებდა საკუთარ თავს.

□ გაგრძელება იქნება □



ნოდარ კურაშვილი

### 3. ი. ლენინი კომუნისტური საზოგადოების ორი ფაზის შესახებ

საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაცია, ვ. ი. ლენინის გაგებით, ეს არის საზოგადოება მისი ყველა ურთიერთობით, სისხლსავეც ცხოვრებით, ყველა ნიჟან-თვისებით. საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაცია ურთიერთდაკავშირებული და ურთიერთზემოქმედი მოვლენებისა და ურთიერთობათა სისტემაა, მთლიანად და რთული სოციალური ორგანიზება, რომელშიც განმსაზღვრელი ადგილი წარმოებით ურთიერთობებს უჭირავთ.

საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის განვითარების სწორ გაგებას პრინციპული მნიშვნელობა აქვს. ეს სწორი გაგება ვერ შეიქმნება ისტორიული მოვლენების მარტო კანონებისა და ევოლუციის აღიარებით. როგორც ვ. ი. ლენინი შენიშნავდა, სუბიექტურ-ვისტებაც სცნობდნენ ისტორიული მოვლენების კანონებსა და მათს ევოლუციას, მაგრამ ისინი სწორ გაგებაზე ვერ მიდიოდნენ, რადგან ჩერდებოდნენ ადამიანის საზოგადოებრივ იდეებსა და მიზნებზე, ვერ ახერხებდნენ ეს იდეები და მიზნები მატერიალურ-საზოგადოებრივ ურთიერთობაზე დაეყვანათ. „მხოლოდ საზოგადოებრივი ურთიერთობის დაყვანამ წარმოებითს ურთიერთობაზე და საწარმოო ძალთა სიმადლეზე ამ უკანასკნელის აუვანამ მოგვცა მტკიცე საფუძველი იმისთვის, რომ საზოგადოებრივ ფორმაციათა განვითარება წარმოვიდგინათ როგორც ბუნებრივ-ისტორიული პროცესი“.

საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის შესახებ დიალექტიკურ-მატერიალისტური მომდევნება ვ. ი. ლენინმა თანამდებრულად გამოიყენა და გამაღვიძრა კომუნისტური ფორმა-

ციის დამკვიდრების პრობლემების გადასწავრებად.

ვ. ი. ლენინმა მოგვცა იმპერიალიზმის, როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი და უკანასკნელი სტადიის, მეცნიერული ანალიზი, დაასაბუთა, რომ იმპერიალიზმი უკიდურესად გამწვავა კაპიტალიზმის შინაგანად დამახასიათებელი წინააღმდეგობანი... ვ. ი. ლენინმა გადაჭრით დაგმო იმპერიალიზმის ყველა ის შეფასება, რომელიც მისი შინაგანი ბუნების განმსაზღვრელი არსებითი ნიშნების ანალიზიდან არ გამოდინარეობდა და, მაშინადაც, არ ავლენდა მის ძირითად წინააღმდეგობებს; მაგალითად, გამანადგურებლად გააკრიტიკა იმპერიალიზმის კაუტსიესული ანალიზი, რომელსაც მარქსიზმთან საერთო არაფერი ჰქონდა, ცალმხრივი და თვითნებური იყო. კაუტსის დახასიათებით, იმპერიალიზმი მარტო ანტიიმპერიალიზმის წინააღმდეგობის და მოწოდების საერთაშორისო გაერთიანებას ანელებენ კაპიტალიზმის ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების უთანაბრობას, კონფლიქტებსა და წინააღმდეგობებს და მათ „შვილობიან“ ულტრაიმპერიალიზმისაკენ მივყავართ. ვ. ი. ლენინმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ბურჟუაზიული ფორმისტული მტკიცება, — თითქოს მონოპოლისტური ანდა სახელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალიზმი არ არის კაპიტალიზმი, იმპერიალიზმის ყველაზე გავრცელებული მცდარი შეფასებაა. ასეთ შეფასებას, რომელიც მთავითვე კაპიტალიზმის მარადიულობის იდეის პროპაგანდის საქმეს ემსახურებოდა, ამჟამადც ფართო ადგილი უკვია „ერთიანი ინდუსტრიული საზოგადოების“; „ეკონომიკური წრდის სტადიების“, „პოსტინდუსტრიული საზოგადოების“, „ტექნოკრთული ერისა“ და ბურჟუა-

წილი სოციალიზაციის სხვა კონცეფციებში, რომლებიც ცდილობენ უარყონ თანამედროვე ეპოქის ხანაობა და დედაარსი, — რომ, კერძოდ, ეს არის კაპიტალიზმიდან სოციალიზმსა და კომუნისტურ გადასვლის ეპოქა. მაგალითად, ანტისოციალისტური ეროვნის სტრატეგიის ერთ-ერთი მთავარი, ამერიკელი ბურჟუაზიული იდეოლოგი ჯ. ბენეინსკი წერს: ჩვენ ეცხოვრობთ ისეთ დროში, როცა მიმდინარეობს ფუნდამენტური გარდაქმნები ჩვენი საზოგადოების გაბატონებულ შეხედულებებში — მიმდინარეობს გადასვლა პარაგნების იდეებიდან დაშლის, გახრწანის იდეებზე... რომ მთავალი ბუნდითი არის მოცული!

როგორც ცნობილია, უტოპიური სოციალისტები დავობდნენ იმის შესახებ, რომელი უფროსია, — სოციალიზმი თუ კომუნიზმი. ჯ. მარქსმა, ფ. ენგელსმა და ვ. ი. ლენინმა დაკანაყვეს, რომ სოციალიზმი და კომუნიზმი ერთი და იმავე საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის ორი ფაზაა, რომელთა მსგავსებანაშვებებში საკითხს დიდი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს, რომ ახალი საზოგადოების დამკვიდრების ისტორიული პროცესი მოიცავს სამ ერთმანეთისაგან განსხვავებულ საფეხურს: კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გარდამავალ პერიოდს, სოციალიზმს, როგორც კომუნიზმის პირველ ფაზას და საკუთრივ კომუნიზმს, — უმაღლეს ფაზას.

3. ი. ლენინმა კომუნისტური საზოგადოების ორი ფაზისა და მათი თანაფარდობის საკითხები ფართოდ განიხილა ნაშრომში — „სახელმწიფო და რევოლუცია“, რომელიც 1917 წლის აგვისტო-სექტემბერში დაწერა. ვ. ი. ლენინმა ჩამოაყალიბა ჯ. მარქსისა და ფ. ენგელსის მიერ მოცემული კომუნისტური ფორმაციის განვითარების მოვარბი, პრინციპული დახასიათების, გვიჩვენა მათი მნიშვნელობა და ამავე დროს გააღრმავა და დააკურებრა მთელი რიგი მოსაზრებანი, დასვა და განმარტა მტყნიერული კომუნიზმის მრავალი საკითხი. ეს საკითხებია: განვითარების თეორიის გამოყენება კაპიტალიზმის მთავარებულ კრახისა და მომავალი კომუნიზმის მომავალ განვითარების მიმართ; კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლის განსაკუთრებული სტადიის ისტორიული აუცილებლობა და თანამედროვე ოპორტუნისების კრიტიკა; სრული კომუნიზმი და სახელმწიფოს „უკლება“; კომუნისტური ფორმაციის ორი ფაზის თანაფარდობა, მათი საერთო და განსახვავებელი ნიშნები; სოციალიზმის ეტაპობრივი განვითარება; კომუნიზმის უმაღლესი ფაზის დამკვიდრების თავისებურებანი; სახელმწიფოს „უკლება“ და კომუნისტური თვითმმართველობა; კლასების მოსპობა და სოციალური

თანაწროობა; კომუნისტური მშრომელთა საზოგადოებრივ ურთიერთობანი — განვითარება კომუნიზმის უმაღლეს ფაზაში და სხვ. შემოხვევითი არ არის ის ფაქტი, რომ „სახელმწიფო და რევოლუციაში“ ცალკე პარაგრაფებად გამოყოფილია „კაპიტალიზმიდან კომუნიზმზე გადასვლა“, „კომუნისტური საზოგადოების პირველი ფაზა“ და „კომუნისტური საზოგადოების უმაღლესი ფაზა“. ამით კომუნისტური ფორმაციის განვითარების პრობლემის ფილოსოფიური და ზოგადსოციალური ასპექტები სოციალიზმის მნიშვნელობის პრაქტიკულ ამოცანებათაგან არის დეკორირებული.

კომუნიზმი, როგორც ახალი საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაცია, ახალი თვისებრიობა, თავისი განვითარების უველა საფეხურის — უველა ფაზისა და ეტაბის დიალექტიკური მთლიანობის წარმოადგენს. ვ. ი. ლენინის გამოთქმა, რომ სოციალიზმი არასრული კომუნიზმი, კომუნისტური ფორმაციის ამ დიალექტიკურ მთლიანობას გამოხატავს: „ამდენადაც წარმოების საშუალებანი საერთო საკუთრება ხდება, ამდენად სიტყვა „კომუნიზმი“ აქვს შეიძლება ეპიპარაზი, თუ არ დავივიწყებთ, რომ ეს სრული კომუნიზმი არ არის“!

კომუნისტური საზოგადოების პირველი და უმაღლესი ფაზების თანაფარდობის დადგენა, ვ. ი. ლენინის განმარტებით, მეცნიერების საგანია და არა „მოაზროვნე გუნების“ უაზრო უტოპიაა. ამის შესაძლებლობას თვითონ კომუნისტური ფორმაცია იძლევა იმით, რომ ის განუწყვეტელივ ცვალებადი და განვითარებადი სოციალური ორგანიზმია. მომარბისა და განვითარების დიალექტიკური კანონი, საერთოდ, მატერიალისტური დიალექტიკა ფილოსოფიური საფუძველია არა მარტო კაპიტალიზმის დადუპისა და კომუნიზმის დამკვიდრების ისტორიული აუცილებლობისა, არამედ მომავალი კომუნიზმის მომავალი განვითარების თავისებურებათა დახასოებისათვისაც. კომუნიზმი საზოგადოებრივი განვითარების კანონზომიერი შედეგია და ამავე დროს ის ახალ საფუძველზე იწყებს საზოგადოების ახალ ისტორიას. ვ. ი. ლენინი წერდა: „...საგულისხმია ნათევყოთ, თუ რა უსაზოგადოებო უაღბია ჩვეულებრივი ბურჟუაზიული წარმოდგენა, თითქმის სოციალიზმი რაღაც მკვდარი, გაყინული, ერთბელ და საშუალოდ მოცემული რამ იყო, მაშინ როდესაც ნამდვილად მხოლოდ სოციალიზმიდან დაიწყება წარმოები, ნამდვილი, მარტლად მასობრივი, მოსახლეობის უმრავლესობის შემდეგ კი მთელი მოსახლეობის მონაწილეობით წარმოებული წინსვლა საზოგადოებრივი და პირადი ცხოვრების უველა და რკში“! ესე იგი, კომუნიზმი არ არის მეოცნებეთა გამოწ-

ციტ. წიგნიდან: Was ist Sozialismus? Berlin, 1963, გვ. 53-54.

1 ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 25, გვ. 586.  
2 ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 25, გვ. 588.

გონი, ერთხელ და სამუდამოდ მოცემულ პრინციპებზე შექმნილი სინამდვილე, ერთჭერადი აქტით განხორციელებული და სამართლებრივ უწყველი სინამდვილე. კომუნისტური ფორმაციის დამკვიდრება საზოგადოებრივი და პირადი ცხოვრების ყველა დარგში ღრმა ცვლილებათა პროცესია, მთელი ხალხის მონაწილეობით მიმდინარე საზოგადოებრივი მოძრაობა, ნამდვილად მასობრივი მოძრაობა, რომელშიც ხორცის ისხამს კაცობრიობის სასიცოცხლო ინტერესები.

კომუნისტების განვითარების გზით თანამედროვე საზოგადოება, აღნიშნავდა ვ. ა. ლენინი, უძველესად მიაღწევს იმას, რომ გვიანტურად განვითარდება მისი სწრაფობა ძალები; მოხდება შრომის კაპიტალიზტური დანაწილების ლიკვიდაცია; გაქრება ქაღაქისა და სოფლის, გონებრივი და ფიზიკური შრომის დაპირისპირება, რომელიც თანამედროვე საზოგადოებრივი უთანასწორობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წყაროა; მოსიპობა კლასები და დამპყრატება სოციალური თანასწორობა; შრომა გადააქცევა „პირველ სასიცოცხლო მოთხოვნილებად“; საზოგადოება განხორციელებს წესს — „თითოფილისაგან უნარის მიხედვით, თითოფილს — მოთხოვნილების მიხედვით“, ესე იგი, როდესაც აღმართები იმდენად შეეჩვევიან საერთო თანაცხოვრების ძირითადი წესების დაცვას და როდესაც მათი შრომა იმდენად ნაყოფიერი იქნება, რომ ისინი ნებაყოფლობით იშრომებენ უნარის მიხედვით; ყველანი ისწავლიან მართვა-გამგეობას და მართლაც დამოუკიდებლად გაუძლევიან საზოგადოებრივ წარმოებას, დამოუკიდებლად განხორციელებენ მუქთახორების, ბატონკაცების, თაღლითებისა და სხვა მთ მსგავსთა მიმართ აღრიცხვასა და კონტროლს; ზვეულებად გადაიქცევა საერთო თანაცხოვრების ძირითადი წესების დაცვის აუცილებლობა. თავისი ძირითადი სოციალური მიზნის მოსაპოვებლად ერთად ექსცესებიც (რომლებიც საერთო თანაცხოვრების დარღვევით გამოიხატება) გარკვეულად დაიწვევენ კვდომას; თანდათან გაქრება უწყველგვარი ორგანიზებული სისტემატური ძალდატანება, უწყველგვარი ძალდატანება საერთოდ აღმართებზე, საპირიობა იმისა, რომ ერთი კაცს დაემორჩილოს მეორეს, მოსახლეობის ერთი ნაწილი — მეორე ნაწილს, ვინაიდან აღმართები შეეჩვევიან საზოგადოებრიობის ელემენტარული პირობების ძალდატანებლად და დაუმორჩილებლად დაცვას. საზოგადოება შეძლებს საესებით მოიშოროს თავიდან სხებლმწიფოებრიობის საგანგებო მანქანა და მმართველობა განხორციელოს ამ განსაკუთრებული აპარატის გარეშე. ყველა რიგრიგობით დაიწყებს მართვას და მალე შეეჩვევა იმას, რომ არავინ არ მართავდეს. სახელმწიფო გახდება სრულიად ზედმეტი, ვინაიდან აღარავინ იქნება

დასათრგუნავი, — „აღარავინ“ კლასის აზრით, მოსახლეობის გარკვეულ ნაწილთან სისტემატური ბრძოლის აზრით; დამაყრებს სრულ დემოკრატიას...

ამ პრინციპების განხორციელებით, რომლებიც „სახელმწიფო და რევოლუციის“ მიხედვით არის ჩამოყალიბებული, კომუნისტების განვითარება თავის უმაღლეს ფაზაში შევა. მანამდე კი, კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გარდამავალი პერიოდის შემდეგ საზოგადოებრივი განვითარებამ უნდა განვლოს სოციალიზმის ფაზა, რომლის სპეციფიკური ბუნება, ვ. ა. ლენინის განმარტებით, შემდეგ ძირითად თავისებურებათა გათვალისწინებით ხსიათდება. ახალ საზოგადოებაში: ლიკვიდირებულია ბურჟუაზიული სახელმწიფო მანქანა, კაპიტალიზტი და სხვა ექსპლოატატორთა სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ბატონობა, დამყარებულია პროლეტარიატის დიქტატურა, რომელიც სოციალიზმის მშენებლობის პოლიტიკური პირობაა; მოსაპოვებია აღმართის მიერ აღმართის ექსპლოატაცია, წარმოების საშუალებანი უყვეარ არის ცალკეულ პირთა საკუთრება, არამედ ისინი მთელი საზოგადოების საკუთრებას წარმოადგენენ. გამოირადვულია კაპიტალიზმის ტექნატაცია, რადგან არ შეიძლება კერძო საშუალებად ზაივდო ხელში წარმოების საშუალებანი, ფაბრიკები, მანქანები, მიწა და სხვ.;

ამ ეტაპზე „სახელმწიფო“ ჭერ კიდევ აუცილებულია იმეტომ, რომ მან დაიცვას წარმოების საშუალებათა საზოგადოებრივი საკუთრება, დაიცვას შრომის თანასწორობა და შრომის მიხედვით განაწილების თანასწორობა. მაგრამ ეს უყვე აღარ არის სახელმწიფო საკუთრივ აზრით. რამეთუ არ არსებობს ექსპლოატაცია, არ არსებობს ისეთი რამ, რაც იწვევს აღფიფითებასა და პროტესტს, აღმართები თანდათან შეეჩვევიან მათთვის აუცილებელი საერთო თანაცხოვრების წესების დაცვას, საზოგადოებისათვის მუშაობას უფლების უწყველგვარი ნორმების გარეშე; კაპიტალიზტური საზოგადოების შეიკვილი, უზაღრუი დემოკრატია შეცვლილია პროლეტარიატის დემოკრატიათ. მთელი საზოგადოებრივი საქმიანობა ემორჩილება ნამდვილად დემოკრატიაულ სახელმწიფოს — სსბუკების სახელმწიფოს; საზოგადოების წევართა შორის პროდუქტების განაწილებისა და შრომის განაწილების განმსაზღვრელია სოციალისტური პრინციპები — „ვიცე არ მუშაობს, ის არცა კმას“, „შრომის თანასწორი რაოდენობისათვის — პროდუქტების თანასწორი რაოდენობა“; მუშა საზოგადოებისაგან იღებს არა „მოთხოვნილების“, არამედ „შრომის“ მიხედვით, იღებს იმდენსავეს, რამდენიც თვითონ მისცა საზოგადოებას, მხოლოდ შრომის იმ რაოდენობის გამოკლებით, რომელმაც უნდა შეადგინოს სათადარიგო ფონდიც, წარმოების გაფართოების ფონდიც, და სხვა ბარქების ფონ-



დაც; ხორციელდება შრომის ოდენობისა და მოხმარების ოდენობის კონტროლი საზოგადოების შრომად და სახელმწიფოს მხრივ; თავის პირველ ფაზაში კომუნისმი არ შეიძლება გერანოვირება სავსებით მომჭიდვებელი, სავსებით თავისუფალი იყოს კაპიტალიზმის ტრადიციებისა და ნაშთებისაგან. კომუნისმის პირველ ფაზაში ჯერ კიდევ არჩება განსხვავება სიმდიდრის მხრივ, ჯერ კიდევ შენარჩუნებულია „ბურჟუაზიული უფლებების ვიწრო მორიზონტი“ და, ამდენად, სრული სამართლიანობა და თანასწორობა ჯერ კიდევ არაა დამყარებული. კაპიტალიზმის მოსპობა და წარმოების საშუალებათა გადასვლა მთელი საზოგადოების საერთო საკუთრებად ერთბაშად არ ქმნის გერანოვირებას წინამძღვარების იმისათვის, რომ „ბურჟუაზიული უფლებები“ სავსებით გაუქმდეს, რომ სოციალიზმმა ერთბაშად ჩამოცილოს ყველა ნაკლავანება, ყველა ლეკა, უსამართლობა და ფთანასწორობა კაპიტალიზმისა, რომლის წიაღიდან გამოვიდა დღის სინაჰლებზე.

ამიტომ, ვ. ი. ლენინის დახასიათებით, სოციალიზმი ძველი საზოგადოების წიაღიდან წარმოიშობა ბუნებრივ-ისტორიული პროცესის შედეგად და საკუთარ საფუძველზე არ იწყებს განვითარებას. ამიტომ ის, რომ ძველის ნაშთების ყოველ ნაბიჯზე გვიჩვენებს ცხოვრება, გერანოვირებად და პოლიტიკურად გარდაუვალია. ამგვარად გარდაუვალია ის, რომ საზოგადოებრივი განვითარება მიზნად ისახავს განთავისუფლებულ კაპიტალიზმის ტრადიციებისა და ნაშთებისაგან. იმით, რომ ამყარებს წარმოების საშუალებათა საზოგადოებრივ საკუთრებას, ახორციელებს პრინციპს — „თითოეულისაგან უნარის მიხედვით, თითოეულს — შრომის მიხედვით“ და სხვ., სოციალიზმი ქმნის ობიექტურ და სუბიექტურ პირობებს კაპიტალიზმის გარდაღებისაგან საბოლოოდ განთავისუფლებისა და საკუთარ ნიადაგზე წინსვლისათვის.

ვ. ი. ლენინმა დაახასიათა, რომ სოციალისტური წესწყობილების ბუნებისათვის უცხო არ არის სასაქონლო წარმოება და სასაქონლო-ფულადი ურთიერთობანი, ისეთი გერანოვირები კატეგორიები, როგორცაა საქონელი, ფასი, ფული, მოგება, რენტაბელობა, სამეურნეო ანგარიში და ა. შ., რომ სოციალიზმის პირბრუნება ეს გერანოვირები კატეგორიები ახალ შინაარსს იძენენ და მის სასარგებლოდ მოქმედებენ, სოციალისტურ საზოგადოებრივ ურთიერთობათა ინტერესებს ემსახურებიან. ვ. ი. ლენინი ღრმად ჩანწავდა საზოგადოებრივი განვითარების სიღრმისეულ პროცესებს და ვიჭრენა, რომ წარმოდგენილი კვეყანაში, როგორც მანამ არსებით იყო, სახელმწიფო რეგრესივიდან მოსახლეობის პირდაპირი მომარაგებისა და, საერთოდ, განაწილების კომუნისტური პრინციპი არ შეესატყვისებოდა საწარმოო მან-

ათა განვითარების დონეს, რომ ეს დონე მოითხოვდა სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის განვითარებას, განაწილების პრინციპის განხორციელებას სახელმწიფოს მიერ რეგულირებული სასაქონლო-ფულადი ურთიერთობისა და ვაჭრობის დახმარებით. „არა უშუალოდ ენოუზიანზე დასრულებით, — წერდა ვ. ი. ლენინი ნაშრომში — „ოქტობრის რევოლუციის ომის წლისათვისათვის“, — არამედ დიდი რევოლუციის მიერ წარმოშობილი ენოუზიანის დახმარებით, პირად ინტერესზე, პირად დანტერესებებზე, სამეურნეო ანგარიშობაზე დაუარღობით!“ შეიძლება აწინააღმდეგებოდა ბიდეზი, რომელთაც სოციალიზმისაკენ მოყვარები.

ახალი საზოგადოების სიმწიფის პირველ საფეხურზე სოციალიზმის ბუნების შესატყვისი სპეციფიკური კანონზომიერებანი თავიანთ მოქმედებას ხანგრძლივი ისტორიული პერიოდისთვის ინარჩუნებენ. კომუნისტური ფორმაციის განვითარებაში სოციალიზმის ფაზის დავილს განსაზღვრავს ის სოციალურ-გერანოვირები და პოლიტიკური გარდაქმნები, რომელთა შედეგებითაც ახალი საზოგადოება, როგორც შემთხვევით აღინიშნა, მიზნად ისახავს არა მარტო განთავისუფლებულ კაპიტალიზმის გარდაღებისაგან და კომუნისმის უმაღლესი ფაზის საჭირო წინამძღვარები შექმნას, არამედ, პირველყოფილსა, საკუთარ განვითარებას და სრულყოფას მიადრწის. მხოლოდ და მხოლოდ სოციალიზმის საკუთარი განვითარებისა და სრულყოფის გზით მივა კაცობრიობა, აღინიშნავდა ვ. ი. ლენინი, თავის უმაღლეს მიზანთან — შრომის პირველ სასოციალურ მოთხოვნილებად გადაქცევაში, მოთხოვნილების მიხედვით განაწილებამდე და ა. შ.

ვ. ი. ლენინმა „სახელმწიფო და რევოლუციონი“ საზღვართით მითითა კომუნისტური ფორმაციის ეტაპობრივ განვითარებაზე, იმ საფეხურებზე, რომლებიც აუცილებელია კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლისათვის, კაპიტალისტური ექსპლოატაციის ნაშთებისაგან საზოგადოების გაუმწიფება და შემდგომი წინსვლისათვის, კომუნისმის პირველი ფაზის სრულყოფისა და უმაღლეს ფაზაზე მისი გადასვლისათვის. რომ განხორციელდეს წესი — „თითოეულისაგან უნარის მიხედვით, თითოეულს — მოთხოვნილების მიხედვით“, კაცობრიობა, წერდა ვ. ი. ლენინი, უშეძლოდ გასწევს თანდათანობით, საჭირო ფაზებისა და ეტაპების გავლით, ბევრი სიძინელის, წინააღმდეგობის ღამდევინა და საზოგადოებრივი განვითარებას. ამ ურთულესი პრობლემების გადაწყვეტის მეხობებით, რომლებიც არასოდეს და არავის გადაუწყვეტია, ის, რომ ისტორიულად უსათუოდ უნდა არსებობდეს კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლის განსაკუთრებული



სტალია, კომუნისმისაკენ თანდათანობითი წინ-  
 სვლის ფაზები და ეტაპები, როგორც ვ. ი. ლენინი  
 წინასწარვეა, მატერიალისტური დაღმრუ-  
 ტიკის თეორიითა და მეცნიერების მონაცემე-  
 ბითაა შესტად დადგენილი. ვ. ი. ლენინს არ  
 განუზღვრავს კომუნისტური ფორმაციის განვი-  
 თარების საფეხურების კონკრეტული ვადები,  
 ვინაიდან, როგორც ის წერდა, ასეთი საკით-  
 ხების გადახაწვევებზე არ მოიპოვებოდა მეცნი-  
 ერული მონაცემები. დიალექტიკის თეორია და  
 მეცნიერება საშუალებას იძლევიან განისაზღვ-  
 როს კომუნისმისაკენ განვითარების ძირითადი  
 მიმართულება, საშუალებას იძლევიან სრული  
 რწმენით ითქვას, რომ კაცობრიობა უხანაჟოდ  
 მიადრწევს თავის მიზანს, მაგრამ „რა ეტაპებით,  
 რა პრაქტიკულ ღონისძიებათა გზით გასწევს  
 კაცობრიობა ამ უმაღლესი მიზნისაკენ, ეს  
 ჩვენ არ ვიცით და არც შეგვიძლია ვიცოდეთ“.<sup>1</sup>  
 ვ. ი. ლენინის გაგებით, დიალექტიკის თეორი-  
 ა და მეცნიერების მონაცემების საფუძველზე  
 შესაძლებელია ხაზგასმით აღინიშნოს კომუნი-  
 სტური საზოგადოების საწარმოო ძალების, სა-  
 ზოგადოებრივი ურთიერთობისა და საზოგადო-  
 ებრივი შეგნებულობის განვითარების თანდა-  
 თანობა და ხანგრძლივობა, რომ „...სოციალი-  
 შმი თავის წიაღში ატარებს ვიგანტურ ძა-  
 ლებს...“.<sup>2</sup> მაგრამ ჩვენთვის უცნობია, თუ რა-  
 მდენად ჩქარა მივა იგი, ვთქვათ, გონებრივი  
 და ფიზიკური შრომის განსხვავების მოსაზრამ-  
 დე, შრომის „პირველ“ სასოციალურ მოთხო-  
 ნილებად“ გადამტყვევად და ა. შ. ჩვენ ვიცით,  
 წერდა ვ. ი. ლენინი, რომ ექსცესები მოყვადე-  
 ბიან, მათ სიკვდილითან ერთად სახელმწიფოც  
 მოყვდება, მაგრამ არ ვიცით, თუ რამდენად  
 სწრაფად და როგორი თანდათანობით მოხდებ-  
 ბა ეს, ლაპარაკიც კი არ შეიძლება სახელმწი-  
 ფოს მომავალი „კვდომის“ მომენტის განსაზ-  
 ღვრავზე, მით უფრო, რომ იგი აშკარად ხანგ-  
 რძლივი პროცესია.

ვ. ი. ლენინის განმარტებით, კომუნისტური  
 საზოგადოების პირველი და უმაღლესი ფაზე-  
 ბის განსხვავების სწორ დადგენას იღვი მნი-  
 შვნელია აქვს აგრეთვე ანტიკომუნისტური და  
 ანტიბოლშევიკური პროპაგანდის მზიდებისათ-  
 ვის. ვულგარული გეოგოგისტები, ბურჟუაზიუ-  
 ლი იდეოლოგები, სოციალისტურ ფრანკოლო-  
 გიას ამოფარებული წვრილბურჟუაზიული დე-  
 მოკრატები და სხვ. თხზავდნენ და ავრცელებ-  
 დნენ მათს, თითქოს ბოლშევიკები ივიწებდ-  
 ნენ ადამიანთა უთანასწორობას და „ოცნეო-  
 ბდნენ“ ეს უთანასწორობანი მოესპოთ დემო-  
 კრატიური დამარტებით, შემოდებით იმ სოცია-  
 ლიზმისა, რომელიც ვრდოს მიანიჭებს უფ-  
 ლებას — მიიღონ საზოგადოებისაგან რამდენ-  
 ნიც ნებათ იმდენი ქმა-სოკო, ავტომობილი,

პიანინო და ა. შ., ვ. ი. ლენინმა ვერცერთი  
 ამდაგვარი მსქელბოთ ბურჟუაზიული იდეო-  
 ლოგები ამდენებენ თავიანთ უაღრეს უმე-  
 ცობასადა და კაპიტალიზმის ანგარებთან დაყ-  
 ვასად. სრულ უმეცრებას იმით ამდენებენ,  
 რომ არ ესმით კომუნისტური ფორმაციის გან-  
 ვითარების კანონზომიერებანი და მის გზაზე  
 ისტორიულ თანამიმდევრობას არდევნიენ. როცა  
 ბურჟუაზიული იდეოლოგები ლაპარაკობენ კო-  
 მუნისტურ საზოგადოებზე წყობილებაზე, რო-  
 გორც „წმინდა უტოპიაზე“, მათ მხედველო-  
 ბაში აქვთ კომუნისმის სწორედ უმაღლესი  
 ფაზა, რომლის „შეშობება“ თითქოს კომუ-  
 ნისტებს სურთ ბურჟუაზიული წყობილების  
 დაშობისთანვე. ურდულგვარი გარდაამავლი  
 პერიოდისა და წინასწარი ისტორიული ფაზის  
 გარეშე; ბურჟუაზიული იდეოლოგები კომუ-  
 ნისმს სახავენ ისეთ წესწყობილებად, სადაც  
 მოქალაქენი თავისუფლად მიიღებენ „მოთხო-  
 ვნილებს“ მიხედვით თავიანთ შრომაზე კონ-  
 ტრაობის სრულიად გაუწევლად, სადაც თითო-  
 ეულ მოქალაქეს შეეძლება სრულიად განურ-  
 ჩეველი იუოს საზოგადოებრივი შრომის ნაყო-  
 ფიერების ზრდისადაც და ამავე დროს მოთხო-  
 ნოვს შეუძლებელიც. მათი მისამართით ვ. ი.  
 ლენინის წერდა, ასეთი ფაზის „შეშობება“ ამა-  
 თუ გახსენებია, არც კი უფიქრია ვისმე, რად-  
 ვან მისი „შეშობება“ საერთოდ შეუძლებე-  
 ლააო. რაც შეეხება ბურჟუაზიული იდეოლო-  
 გების მიერ კაპიტალიზმის ანგარებთან დაყვ-  
 ვის, ვ. ი. ლენინის განმარტებით, ეს იმაში მდგომ-  
 მარტობს, რომ შორეულ მომავალზე დავითა  
 და ლაპარაკით ისინი ცდილობენ მუშათა რე-  
 ვოლუციური მოძრაობა ჩამოაშორონ მის უყვ-  
 ლაზე საპრობოტოკო პრობლემებს — ძველ  
 საზოგადოების რევილუციური გარდაქმნის  
 პრობლემებს.

ვ. ი. ლენინი თვლიდა, რომ კომუნისტური  
 ფორმაციის ისტორიული განვითარების კვა-  
 ლობაზე კომუნისმის ფაზების მსგავსება-განს-  
 ხვავების თანაფარდობაზე შეიკვებოდა, მსგავ-  
 სებისა თუ განსხვავების პირველ ადგილზე წა-  
 მოყვინება მეცნიერების შეუძლია მხოლოდ სა-  
 ზოგადოებრივი განვითარების კონკრეტულ-ის-  
 ტორიულ პირობებთან შეფარდებით. ვ. ი. ლე-  
 ნინი თვლიდა, რომ პარტიული პროგრამა, რო-  
 მელმაც უნდა გამოხატოს სოციალური გარდა-  
 ქმნების საბოლოო მიზანი და უნდა იყოს საი-  
 შედო კომპანი იმ პირობების მომავლების პე-  
 რიოდში, რომლებიც შესაძლებელს გახდია  
 კომუნისმის აღწეებას, არ მოითხოვს დამთავ-  
 რებული სოციალიზმისა და დამთავრებული  
 კომუნისმის ფორმების დახასიათებას, არ მოი-  
 თხოვს მათს მიტოვებდ დეტალურ დახასიათე-  
 ბას. ვ. ი. ლენინი მოგვიწოდებდა მაქსიმალურ  
 რეალისტურობას მიზნების გაშუქებაში, მომა-  
 ვალი საზოგადოებისა და წამოყენებული ამო-  
 ცანების დახასიათებაში, ხაზს უსვამდა, რომ

1 ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 25, გვ. 588.  
 2 ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 33, გვ. 590.

საკუთარ შესაძლებლობათა გაზვიადება, ისეთი პრინციპების საკვეყნოდ გამოცხადება, რომელიც არაღიარებულია რეალურად, საჭირო ნიადაგი არ არსებობდა, მოასწავებდა ობიექტური სინამდვილის შეცვლას ფანტაზიით, რაც, ცხადია, პროგრამის ძალას დასუსტებდა.

ასეთია, მოკლედ, კომუნისტური საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის შესახებ ლენინური მოძღვრების ზოგიერთი ძირითადი მხარე. „მთელი ცხოვრება, ისტორიის მთელი მიმდინარეობა, — განაცხადა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამაზნავმა მ. ს. გორბაჩოვმა სკკპ ცკ-ის 1985 წლის პარტიის პლენუმზე, — დამატებდა და დასაბუთებენ ლენინური მოძღვრების დიად სიმართლეს. იგი ჩვენთვის იყო და არის მოქმედების სახელმძღვანელო, შოგონების წყარო, უტყუარი კომპასი წინსვლის სტრატეგიისა და ტაქტიკის განსაზღვრაში... ლენინით, მისი დიადი იდეებით ვამოწმებთ დღეს ჩვენს საქმეებსა და გეგმებს, ლენინის ანდერძით ვცხოვრობთ და ვმუშაობთ“.<sup>1</sup>

სკკპ XXVII ყრილობამ მიიღო პარტიის მეხუთე პროგრამის ახალი რედაქცია, რომელიც სოციალიზმის გეგმზომიერი და უოველმზირივი სრულყოფის პროგრამაა, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების საფუძველზე კომუნისმისაკენ საბჭოთა საზოგადოების შემდგომი წინსვლის პროგრამაა. ეს არის მშვიდობისა და სოციალური პროგრესისათვის ბრძოლის პროგრამა. მასში კვლავ ხაზგასმით აღნიშნულია, რომ სოციალიზმი და კომუნისმი ერთიანი კომუნისტური ფორმაციის ორი თანამიმდევრული ფაზაა და მათ შორის არ არის მკვეთრი მიჯნა, რომ კომუნისმისაკენ ნამდვილი წინსვლა სწორად სოციალიზმის გეგმზომიერი და უოველმზირივი სრულყოფის, მის შესაძლებლობათა და უპირატესობათა სულ უფრო სრული და ეფექტიანი გამოყენების, მისთვის ჩვეული ზოგადკომუნისტური საწყისების განსტკიცების ამოცანების გადაწყვეტის გზით არის შესაძლებელი.

სოციალიზმის კომუნისმად თანდათანობით გადასვლას საზოგადოებრივი განვითარების ობიექტური კანონზომიერებანი განსაზღვრავენ. ისინი გამოირიცხავენ კომუნისმის უმაღლეს ფაზაზე გადასვლის გზებისა და ვადების გამოტოვებულ წარმოდგენებს, გაუმართლებელ დეტალიზაციას, დაუსაბუთებელი და არარეალური წინგასწრების მისწრაფებებს, კომუნისმისაკენ მიმავალი გზის ამა თუ იმ საფეხურზე გადასვლის ვადების დადგენის უნიადაგო ფანტაზიას. პარტიის პროგრამაში (ახალი რედაქციით) ნათქვამია: „უოველგვარი სულწარათობა, საზოგადოების მატერიალური და სულიერი

მოწოდების დონის გაუთვალისწინებლად კომუნისტური პრინციპების შემოღების [ცრეკვა] იცდა, როგორც გამოცდილება გვიჩვენებს, მარცხისათვის არის განწირული. ამ ცდებმა შეიძლება გამოაწვიოს როგორც ეკონომიკური, ისე პოლიტიკური ხახიათის ზიანი“.<sup>1</sup>

პარტიის პროგრამის ახალ რედაქციაში წინასწარ დეტალურად არა არის განსაზღვრული სრული კომუნისმის ნიშნები. აქაც გათვალისწინებულია ვ. ი. ლენინის მითითება იმის შესახებ, რომ პროგრამა აწესებს მხოლოდ ძირითად პრინციპებს, მასში შეუძლებელი და უნადაგლოა წინასწარ გამოცდით წეროღება. პარტიას მიაჩნია, რომ კომუნისტური მშენებლობის გამოცდილების კვალობაზე ახალი საზოგადოების უმაღლესი ფაზის შესახებ მეცნიერული წარმოდგენა გამოადრდება და დაკონკრეტდება. ძირითადი ნიშნების საფუძველზე კი კომუნისმის განსაზღვრება პარტიის პროგრამის ახალ რედაქციაში შემდგენიარადა ფორმულირებულა: „კომუნისმი არის უკლასო საზოგადოებრივი წყობილება, სადაც წარმოებენ საშუალებანი ერთიანი სერეთო-სახალხო საკუთრებაა, საზოგადოების უკლასო წევრი სოციალურად სავსებით თანასწორია, სადაც ადა-მინათა უოველმზირივი განვითარებასთან ერთად საწარმოო ძალეობივი გაიხრდება ნიადაგ განვითარებადი მეცნიერებისა და ტექნიკის საფუძველზე, საზოგადოებრივი სიმდიდრის უკლასო წყარო სავსებით კადალად იდენს და განსტკიცოილდება დიადი პრინციპით „თითოეული სავანა—უნარი მინედვით, თითოეული—მოთხოვნილებების მიხედვით“. კომუნისმი თავის უფად და შეგნებულ მშრომელთა მადლორ განაინებულა საზოგადოებაა, რომელშიც დამკვიდრდება საზოგადოებრივი თვითმმართველობა, საზოგადოების საკუთრილდელი მშრომა უკლასოათვის გახდება პირველი საარსებო მითხოვნილება და შეგნებულა აუცილებლობა, თითოეულის უნარი გამოყენებულა იქნება უდადესი სარგებლობით ხალხისათვის“.<sup>2</sup> კომუნისმი არის წყობილება, რომლის დროსაც შეიქმნება ისეთი საწარმოო ძალეობი, რომლებიც სახვენ საზოგადოებისა და პირველების გონიერულ მოთხოვნილებათა სრული დამკუფილების შე-

1 სკკპ ცკ-ის მისაღები, 1985 წლის 23 აპრილი. 1985, გვ. 5.  
8. „მნათობი“, № 4.

1 იხ. გვ. „კომუნისტი“, 1986 წლის 7 მარტი, გვ. 4.  
2 იქვე.

საძლებლობას; უზრუნველყოფილი იქნება ადამიანისა და ბუნების ჰარმონიული თანამოქმედება; სრულად დამკვიდრდება შრომისა და წარმოების უშუალოდ საზოგადოებრივი ხასიათი; დაშთავრდება სოციალურად ერთგვაროვანი საზოგადოების ჩამოყალიბების პროცესი; თითოეულის თავისუფალი განვითარება უვლავს თავისუფალი განვითარების პირობა...

სკკპ მიაჩნია, რომ თანამედროვე საშინაო და საერთაშორისო პირობებში კომუნისტებისავე საბჭოთა საზოგადოების წინსვლა შეიძლება უზრუნველდეს და უნდა უზრუნველდეს კვეყნის სოციალურ-დემოკრატიული განვითარების დაჩქარების გზით. ეს არის დღევანდელი მთავარი ამოცანა, პარტიის სტრატეგიული კურსი, რომლის განხორციელება შესაძლებელია დემოკრატიის ინტენსიფიკაციით და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის კარდინალური დაჩქარებით, რომელშიც წამყვან როლს უნდა ასრულებდეს მანქანაშენებლობა; მართვისა და დაგეგმვის გარდაქმნით; სტრუქტურული და ინვესტიციური პოლიტიკის განხორციელებით; ორგანიზებულობისა და დისციპლინის უკველნაირად ამაღლებით; საქმიანობის სტილის ძირითადი გაუმჯობესებით; ადამიანის ფაქტორის როლის გაძლიერებით, იმის მიღწევით, რომ თითოეული თავის ადგილზე მუშაობდეს კეთილსინდისიერად, საქმისადმი ბატონატრონული დანტრერებებით და სრული უკუგებით; ისეთი რეზერვების ამოქმედებით, როგორც არის შრომის ნაყოფიერების გადიდება, ბრძოლა მფლანგველობისა და დანაქარების წინააღმდეგ და სხვ.

კვეყნის სოციალურ-დემოკრატიული განვითარების

დაჩქარების კონცეფცია, რომელიც შეიქმნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმმა და მთლიანად მოიწონა სკკპ XXVII ურილობამ, გადაჭრით უარყოფს უკველგვარ ზოგინს მომწიფებული გარდაქმნების განხორციელებაში, ახალი ამოცანების გადაწყვეტაში და ნამდვილად რევოლუციური მნიშვნელობის ამოცანად აუწინებს საბჭოთა საზოგადოების უკველმზრივ თვისებრივ გარდაქმნას. სოციალურ-დემოკრატიული განვითარების დაჩქარების საფუძველზე საბჭოთა საზოგადოებამ დემოკრატიის, სოციალურ, პოლიტიკისა და სულიერი ცხოვრების დარგებში უნდა მიაღწიოს ახალ მიწებს, უნდა უზრუნველდეს საბჭოთა ადამიანების მატერიალურად და სულიერად მდიდარი, სოციალურად დინამიკური ცხოვრება მშვიდობის პირობებში. მავალითად სახალხო მეურნეობა უნდა გადავიყვანოთ ინტენსიური განვითარების რელსებზე, საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერებისა და წარმოების ეფექტიანობის ზრდაში, პროდუქციის ხარისხის ამაღლებაში უნდა მივალწიოთ უმაღლეს მსოფლიო დონეს, უნდა შევქლოთ ძირითადად უკლასო საზოგადოების სტრუქტურის შექმნა, ქალაქსა და სოფელს შორის არსებითი განსხვავების დაძლევა, გონებრივი და ფიზიკური შრომის სულ უფრო ორგანული შეერთება საწარმოო საქმიანობაში, უკველმზრივ განვითარებული პიროვნების ჩამოყალიბება და ა. შ. ამ გარდაქმნების შედეგად, ნათქვამია სკკპ პროგრამაში (ახალი რედაქციით), ჩვენი საზოგადოება ისტორიულ ნაბიჯს გადადგამს წინ კომუნისტის უმაღლესი ფაზისაკენ მიმავალ გზაზე.

## ივანე თარბას ახალი რომანი

1979 წელს აფხაზურ ენაზე თავისი შესაძენ რომანი („დედაჩემის თვალები“) გამოაქვეყნა სახელმწიფოებრივმა პოეტმა ივანე თარბამ. ეს ნაწარმოები 1982 წელს დაიბეჭდა რუსულ ენაზე, ხოლო 1984 წელს „რომანი-გაზეტას“ სერიით გამოვიდა (წინასიტყვაობა ივანე ივტუშენკოსი, თარგმანი ვ. როსლაკოვის).

ქართული მეოთხედი იცნობს მშობლიურ ენაზე თარგმნილ ივ. თარბას რომანებს: „ცნობილი კაცი“ (1983) და „მზე ჩვენთან ამოდის“ (1988). ამ რომანებთან ზოგი რამ აქვს საერთო „დედაჩემის თვალებს“ (მოქმედების დრო — თანამედროვეობა, მოქმედების ადგილი — სოფელი აშაჩა, გმირები — ახალგაზრდები და ა. შ.), მაგრამ ახალი რომანი განსხვავდება მათგან არა მარტო იდეური მიზანდასახულებითა და პრობლემით, არამედ მხატვრული ხელოვნებითა და პოეტიკითაც. მწერალი ფსიქოლოგიურ ასპექტში წყვეტს გმირის ხასიათს; უგულბებულს ხატვის „გარეგნულ“ ხერხებს და კონფლიქტები თვით პერსონაჟთა სულში გადააქვს. ძაღლდუბანებლად ვითარდება რომანის სიუჟეტიც; ბუნებრივია თბრობა, რომელიც ღირსებით გამოირჩევა ვტიქრობ, ახალ რომანში ივანე თარბამ, როგორც პროზაიკოსმა, თავისთავი აჩვენა.

რომანში „დედაჩემის თვალები“ ბევრი რამ ავტობიოგრაფიულია. დედის სიკვდილის შემდეგ, მომავალი მწერალი, მართლაც, ბებიასთან სოფელში მოუყვანიათ გასაზრდელად.

...და კიდევ, ჩემი რომანი ავტობიოგრაფიულია იმიტომ, რომ, — წერს ივ. თარბა, — „დედაჩემის თვალები“ ვერ დავ. ჩემი გმირის ხელებით და გულით ის გაეკეთე, რაც შე არ შემიძლია. შეც, როგორც ის, ადრე დავობლდი დედათ, როგორც ჩემს გმირს, შეც დედა მომეყვადე მახსოვს... შეც ბებიათ გამოზარდა და მომცა დედის ერთადერთი დარჩენილი ფოტო... დედის თვალები ჩემი სინდისა. ისინი ყოველთვის ჩემთანაა და იმ პატარა მხატვარმა, აღზახს ანბამ, რომელიც ჩემსავით მძიმე წუთებში

ისმინდა დედის ზმას, შეძლო დაეხატა დედის სახე და ჩაედგა სული მისთვის ისე, რომ ბებიათ და ბაბუამაც თქვენ: ეს ისაა.<sup>1</sup>

კითხვაზე: „მზე ჩვენთან ამოდის“ და „დედაჩემის თვალები“ ერთმანეთთან კავშირშია თუ არა, ავტორმა უპასუხა: „ეს დოლოგია არ არის. თუმცა მოქმედება მიმდინარეობს იმავე სოფელ აშაჩაში, რომელიც უზსოვარი დროიდან შთახავით მხატვრული დგას, როგორც გოლიათი აფხაზურ ნაბადში, მაგრამ აქ („დედაჩემის თვალებში“ დ. თ.) ჩემი ახალგაზრდა გმირის აღზახს ანბას სოფლის პოეტური სახე მეთი აზრობრივი დატვირთვის შემცველია, ვიდრე წინა წიგნებში...“

შემდეგ განაგრძობს: ბათლა და ხარაშანი ჩემი ბაბუას პორტრეტებია. შე მახსოვს ჩემი ბაბუა, მახსოვს როგორ მუშაობდა იგი ვენახში, მისი შრომისმოყვარეობა, სინდისი და გულისხმიერება მინდოდა აქ უკვდავმყოფ. შე ვიცნობდი სხვა ძველ აფხაზებსაცო.

შემოქმედის ზეგდრი ხელოვნებისა და ლიტერატურის უძველესი თემა; ყოველი ეპოქა და საზოგადოება თავისებურად საზღვრავს მას და თავისებურ ასახვასაც პოულობს ხელოვნებაში. ჩვენს სინამდვილეში ხელოვნის ბედი არსებობდა ახალი თემა; სოციალისტური ყოფა ახალი შინაარსით ავსებს მას და არაკლასობრივ საზოგადოებაშიც ახალ-ახალი პრობლემების წინაშე გვაყენებს. დღევანდელ საზოგადო-

1 როგორც წინა რომანში („მზე ჩვენთან ამოდის“) ასევე ამ ნაწარმოებშიც მოქმედება გაშლილია აფხაზურ სოფელ აშაჩაში. ეს სახელწოდება მწერლის მიერაა მოგონილი და აფხაზეთის კრებითი სახეა. იგი ქართულად „ახალ შთაბედ“ ითარგმნება, რუსულად „ნოვოვოლნიე“, მაგრამ, ჩვენი აზრით, მისი თარგმანი, როგორც გეოგრაფიული სახელისა, საჭირო არ არის. ამიტომ ჩვენ ყველგან აშაჩად მოვიხსენიებთ.

ეხსივით ხელისუფლების, ისე როგორც საზოგადოებრივ პიროვნობებს თავისუფლების იურიდიული სტატუსი, ჭარბად არ ნიშნავს „თავისუფლების“ გარანტიას.

ახალი დრო ახალ პირობებებსა და ახალ საზრუნავს უჩუენს ადამიანს (ეს პირობებებში შეიძლება იყოს არა მხოლოდ სოციალურ-პოლიტიკური ფორმები, არამედ შემოქმედებითიც). ამ მხრივ გამოსაკლბის არც სოციალისტების ეპოქაა. განვითარებული სოციალისტების პირობების საზოგადოებრივ ვერ უზრუნველყოფს პიროვნების სრულ თავისუფლებას ამ ცნების ფართო გაგებით.

ამიტომ „კონსტიტუტები“, რომლებიც თანამედროვე საბჭოთა მწერლობაში გვხვდება, სხვა სხვით ბუნებრივად მიგვანჩნია; რეალისტა მწერალი არ არის თავისი დროისაგან იზოლირებული; იგი, თვით ი. თარბანს სიტყვით, „არ შეიძლება თავისუფალი იყოს ამ ცხოვრებისაგან“.

ივანე თარბანს რომანის „დედაჩემის თვალის“ კონსტიტუტ ცხოვრებისეული და ტიპობრივი; მისი არსა ჩვენი საზოგადოებრივი ყოფისა და ადამიანთა პიროვნული ბუნებიდან მომდინარეობს.

რომანი მრავალმანაინია. მთავარი გმირის აღზახს ანახს ლირიკულ თხრობას მკითხველი თანდათან შეჰყუას ნაწარმოების მხატვრულ სამუაროში. აქ კოლონიას ქმნის ლირიკული გმირის — ახალგაზრდა ხელისუფლების ბრძოლა საზოგადოებასა და თავის თავთან თვითდაქვიდრებისათვის; მათთან მთლიანობაში უნდა მოკვაზროთ ყველა სხვა მოტივისა და სიუჟეტური შენაჯღის საზრისი — დედასულიერი სიყვარული, თაობათა ერთიანობის პათოსი, შრომის, სატრიოტული და სატრფიალო მოტივები, აგრეთვე, ჩვენი საზოგადოებრივი ყოფის კრიტიკა.

ცხადია, ლირიკული თხრობა გმირისა არ ნიშნავს მის გაივებას ნაწარმოების ავტორთან. მთხრობელი საყოფარო თვითონ აღიქვამს გარემოს, საყოფარო, ინდივიდუალურ დამოკიდებულებასა და შეფასებას ახლავნებს პერსონაჟებისადმი, რასაც, შესაძლებელია, არ იზიარებს ნაწარმოების ავტორი, მაგრამ „დედაჩემის თვალის“ ავტორისა და მისი გმირის იდელები, ვიქრობთ, ერთმანეთს ემთხვევა. ლირიკულ თხრობას დროდადრო ენაცვლება დიალოგი, რომელიც არხად არ არღვევს ამის საერთო მდინარებას, რომანის ლირიკულ ტონს. პირიქით, პერსონაჟთა უშუალო შეხვედრები, მათი სიმშატებისა და ანტიპათიების გახლავნება არა მხოლოდ რელიეფურად გამოკვლას მათი „სულის მეტანიშნს“, ახალი ტონალით ამიღიდრებს რომანის ენობრივ ქსოვილს, ინტონაციებს; თვით გმირის მონათხრობი, რომელიც განსაზღვრავს ნაწარმოების ენის თვი-

სებურებას, ხადა და ნათელი, გამსჭვალული პოეტურობით, მისი ზოგიერთი ანტიპათიკოგორც სალიტერატურო კრიტიკამ შენიშნა, დაწერილია ვერლიბრით.

ავტორი კარგად გრძნობს ეროვნულ ლანდშაფტს; თუმცა იშვიათად მიმართავს პეიზაჟს, მაგრამ ყველგან, სადაც იგი გვხვდება, უწყინაონალურია და ერწყმის ამხისა და პერსონაჟთა ბუნებას.

რომანის პირველი სტრიქონებიდანვე იკვეთება ახალგაზრდა აფხაზი მხატვრის აღზახს ანახს ბუნება. თბილისის სამხატვრო აკადემიის დამთავრების შემდეგ მშობლიურ აფხაზეთში დაბლოში დაბრუნებული ანხა დიდ შინაგან მღელვარებას განიცდის (ქართული მკითხველისათვის ცნობილია ანალოგიური სიტუაცია ილია ჭავჭავაძის „მგზავრის წერილების“).

ივანე თარბანს გმირის ისე ფართოდ არა აქვს მოაზრებული თავისი სამოქმედო გეგმა, როგორც „მგზავრის წერილების“ ავტორს, — აფხაზი მწერალი თავის გმირს უფრო განცდის სფეროში გვაცნობს. „ყოველთვის როგორც მთავარადიდებოდი სოხუმს, ველიავგი, მაგრამ ველიავგი ასე, როგორც ახლა — არახდროს!“ — გამოუტყდა თავისთვის აღზახს.

აფხაზური სინამდვილე — ისტორიული და თანამედროვე-კონკრეტული შინაარსით ამიღიდრებს გმირის ბუნებას: იგი ღრმადვედა თავის თავში და ითვალისწინებს ძველი აფხაზი ოსტატების განუმეორებელ ქმნილებებს (მის საცხოვრებელი სახლები, ტანსაცმელი, ავეჯი, ქამ-ტურბანო და ა. შ.).

გმირის ბუნებაში აფხაზური ხელისუფლების ნიშნებისადმი ინტერესი მხოლოდ ერთს დეიტალია მის სულიერ სამუაროვე მისინებულად. მთავარი კი ისაა, რომ მწერლის ურრადდება აქციენტირებულია აფხაზურ ყოფაზე, ტრადიციებზე, ჩვეებზე. ეროვნული წარსულის ეს შეგნება კიდევ უფრო ამაღლებს მასში მოვალეობის გრძნობას და ეტყვაც აღძრავს საყოფარო შესაძლებლობას.

ი. თარბანს გმირები რიგითი საბჭოთა ახალგაზრდები არიან. მათ გამოარჩებს, უპირველეს ყოვლისა, სამშობლოს სიყვარულის, დედასეილოებისა და თაობათა სიყვარულის გაცხოველებული გრძნობა, რაც ტრადიციებისადმი მათი განსაკუთრებული დამოკიდებულებით უნდა აიხსნას. მწერლის მიერ ამ ტრადიციებისადმი დამოკიდებულებას ხაზგახმა დიდად მნიშვნელოვანა სწორედ დღეს, როცა ბურჟუაზიული საზოგადოება გრძნობს უხსნის კოსმოპოლიტის, ანგრებს უყოველგვარ ეროვნულ ტრადიციას (ქანადაც კი) და გულცოვობას ახლავნებს დედა-სეილოების ინსტიტუტისადმიც კი.

ავტორმა რომანს ეპიგრაფად წარუშქვავარც ცნობილი სომეხი მწერლის ავეტოქ იხაკიანის სიტყვები: „ამქვეთნად სუველაჟე ლაშაზი დედის თვალეზი“.

ეს ეპიგრაფი უკვე ავტორის მიზანდასახუ-  
ლებასა და რომანის იდეურ-ეთიკურ კონ-  
ცეფციას შევითითებს.

მოხალეუ დიეტეზულ აღზას ანბას მეთ-  
ხველასთვის მოულოდნელად ჩაეხშის დედის  
ხატუცები:

— „ჩამოდი, შეილო? ვიცოდი, რომ დღეს  
დილით ჩამოდიოდი, — ჩურჩულეთ ამბობდა  
დედაჩემო, — შენ ეს არ შეგიტყობინებია, მა-  
გრამ არც იყო საჭირო, ისედაც ვიცოდი... ვი-  
ცოდი, იმეტომ, რომ რაც შენ შემეძინე, არც  
ერთი დღე, არც ერთი საათი არ დამიტყვები-  
ხარ მარტო, ყოველთვის შენთან ვიყავი.

— ეს შე ვიცო, დედა. აი ხედავ, ჩამოვედი,  
ხედავო დავაბრუნე...

დედა-შვილის სიყვარული და მათი სულიერი  
ერთიანობის მოტევი ახალი რომელი დიტრატუ-  
რისათვის. ი. თარგას რომანის თავისებურება ისაა,  
რომ გარდაცვლილი დედა გასულიერებულია  
(ესეც ცნობილი ზერბია შერტლანგაში), რომა-  
ნის გმირი მუდამ დედის თვალების მხედვე-  
ლობის არეშია მოცემული; მამიქე წუთებში  
დედის ხმა ჩაეხშის; დედა აძლევს რჩევა-  
დაბრძანებებს, უნერგავს რწმენას, ღვთაებს და  
წარმართებს მის ბედ-იღბლს. დედა-შვილის  
სხეთ დამოკიდებულებაში ჩვენი ვხედავთ არა-  
მხოლოდ ფაქიზ, ჩვეულებრივ დედაშვილურ  
სიყვარულს, არამედ საზოგადოებრივი თა-  
ობისადმი მოკრძალებასა და თაობათა ერთი-  
ანობას, რაც ასე დამახასიათებელია აფხაზო ხა-  
ლების ტრადიციისათვის. გარდაცვლილი დედა  
შეცდომა ცხოვრებისათვის აშალებს ძველს;  
აწრთობს მის სულს, თითქოს ახლა უნდა შე-  
მატოს ის, რაც ადრე თავისი სიყვდილით და-  
აკლავ: „ცხოვრებაში“ ზოგი რომ გადატანილი  
გაქვს, მაგრამ მთავარი წინაა, — აურთიანობის  
დედა, — უძველესი წამოძრავი, დიეტეზი  
კადრე... ცხოვრება ისეთი ძნელი რამეა, უბრა-  
ლოდ არაფერს იძლევა. ეს თვითონ უნდა გა-  
იგო. ურთილიად იყავი. ცხოვრება ზღვასავით  
ათა, ხოლო ზღვას ვერასოდეს დაიტყვის ფაფის  
ქაიი. მაშინაც, როცა მშვიდი გგონია, ერთბა-  
შად წამოიშარტებიან მრავალხართულაანი ტა-  
ლღები, აურთვებენ ყველაფერს, ანგრძევენ მა-  
გრამ ნაპირებს... მაგრამ არ შეშინდე, ცხოვრე-  
ბა ბრძოლა! შენ ეს იცი? როცა ტალღები  
მოვტაცებენ, ხელები უნდა აქნია, ბრძოლი  
მათ და გადარჩები, ხოლო თუ ხელები დაუ-  
შვია, წაგაღებ, უკავალოდ ჩაიძირება, იოლი  
ცხოვრების იმედი წუ გავს, შეილო, მოემზა-  
დე სიმძლევებისათვის, გეხმის, აღზას?...

და თავი არ მოიდარყო, თვავი რწმენით, ვეს-  
მის?... არაფრის შეგეშინებს, შე ხომ შენთან  
ვარ, შენთან“.

ასე აქცია გარდაცვლილი დედა აღზასის  
ცხოვრების მტეზურად.

რომანის ავტორი შეუფერავად გვთხოვს  
ახალგაზრდა მხატვრის კონფლიქტურ ცხოვრე-

ბას; ვსულიერებასა და უფრო მეტად მისა-  
დში. „ხოუმში ჩამოხვდები“ დიდიან ცხოვე-  
ლი ნაბჭებელიანვე, — ამბობს რომანის გმირი,  
— ვერ ვხევი ჩემი დამხმარე; გარდა შენიღ-  
ბული აბხალტურის გულგრილობისა და არა-  
ფრისმეჭველი სიტყვებისა; სადაც არ მივდი,   
უვალგან დამილით მხედებოდნენ, მელიცავლ-  
ნენ სწავლის დამთავრებას, კმაყოფილება გა-  
მომხატვდნენ ამის გამო, რომ ერთნული ინ-  
ტელიგენციას რიცხვი კიდევ ერთი კაცით გაი-  
ზარდა, მაგრამ საკმარისი იყო საუბარო დავგე-  
წყო კონკრეტულ საკომბზე, ნაგადათად, თუ  
რა მივთვინია ახლა შე, ჩემდამი ინტერესი  
იკარგებოდა და ჩტარობდნენ თავის დაღწევას.  
ვგრძნობდი, რომ მათი მთელი ეს ღაპარაკი  
საერთო პერსპექტივებზე, ახალგაზრდებთან  
მუშაობაზე და ა. შ. ცარიელი სიტყვებია, რომ  
მღებვიც ამის იმედაც არ ძალღვიან, რომ  
ოდენსეც ცოვ წუაღს მოგაწოდებენ, წყურველია  
გულთ რომ შეგიწუხდეს“ ეს, რა აქცია უნდა,  
ჩვენი საზოგადოების კრიტიკა! (ფარანასა და  
გაღიას „ხელეწმუნობა“ მისადმი უფრო ხაქ-  
მოსწერი სახითისა იყო და ახალგაზრდა მხა-  
ტვრის შერცხვენათ დამთავრდა).

როცა აღზასი ყოველი მასწავლებლის, ხუ-  
ტა არჩინას, ჩაგონებით მშობლიურ სოფელს  
— აშაჩას დაუბრუნდა, კვლავ დედამ ჩაგო-  
ნა, რომ თავის მიწაზე დაარჩენილიყო, სიმწე-  
ლებებს არ შეშინებოდა და რწმენა შემატეო-  
და — შე აქა ვარ, არ მოგვორდები, დედა  
შვილს არაბოდეს არ შორდებოა, — ცრწმუნე-  
ბდა...

ცხოვრება რთულია და დაბრკალებულია  
აღზავს, იგი გაცილებით რთულია ახალგაზრ-  
დასათვის, შეტადრე როცა ახალგაზრდა ხელო-  
ვისი ხაყლოარი თავის პოვნასა და ცხოვრებაში  
თვითდამკვიდრებას ცდილობს. აღზასის ურთი-  
ერთობა ოქაში — მამისთანაც უაღრესად და-  
მახულია. იგი მოყვარული დედას მაგიერ —  
ციხერა და მესწანი ბუნების დედინაცვალიან  
ციხერაბს; მამა მთიანის შეიღას საკუთარ  
ოქაშიდას წასვლას და ქალაქში დაბრუნებას.  
აღზასს წინ ეღვსება გღებია კერძომეხატუ-  
რული ინტინქტიბაც; დედის კაღმეურნეო-  
ბის თემგდომარეც, აბანი, რომლან დას —  
ადას ვარეშე აღზასს ცხოვრება ვერ წარმოუ-  
დგებია; თვით ადას დამოკიდებულებაც მისა-  
დში დიღზანს გაურკვეველია. გაურკვეველია  
სხვა მეგობართა დამოკიდებულებაც. ყოველი-  
ვე ეს ახალგაზრდა აღზასის სულიერ დაძახუ-  
ლობას ამბატრებს. გმირი სწინად გამაყვალ  
მდგომარეობაში ვარდებია.

მწერლის მიერ შექმნილია რთული ვარემო  
ზუნებრივია და რეალაზმის ფარგლებში თავს-  
დება. იგი შესაძლებლობას აძლევს ავტორს  
ფართოდ გამოავლინოს თანამედროვე ახალგა-  
ზრდა გმირის სახითაც, ფსიქოცა, მისი სულიერი  
საშეორი და იფიკალები.

საქართველო  
საქართველო

სწორედ ამ შიშვე მომენტებში გვიხატავს ავტორი უანგარო დედაშვილურ სიყვარულს, გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდნილ ალბანს ურდელან თან ახლავს დედის თვალები. ვრწმობს, როგორ იღვრება სითბო და სინათლე დედის თვალებიდან, რომლებშიც იგი მარადიულ დედაშვილურ სიყვარულს ზედავს.

„დავგარგე დღეების ანგარიში იმ დროიდან, რაც მისი ხატვა დავიწყე, — მოგვიხსრობს ალბასი, ვხატავ და ვხატავ, საქმეს კი ბოლო არ უჩანს. მარტო ერთი ვიცი ნამდვილად, რომ არც მოსვენება და არც სიმშვიდე შექნება, ვიდრე სურათს არ დავაშთავებ, ვიდრე არ დავანარდებ ისე, როგორც მე მინდა. დედა ჩემი ერთადერთი შეკავშირეა. მე მას ვხატავ და ისიც ძალიან მატებს ჩემს სულს“. ალბასს ჰგონია, დედის მოქუყვს მოძრაობაში მისი ზელება; იგი ერთი თვალადან გადადის მეორეზე, ცოტაც და ბოლო წერტილები და თვალები გაეცობდნენ... სიხარულით ხელები უყარავლებს, დააშთავრა სწორედ ისე, როგორც წარმოედგინა...

დედის თვალები, რომლებსაც რომანში სიმბოლური დატვირთვა აქვს (სიმბოლო — სიხარულის, ბედნიერების, გამარჯვების), ალბასის, როგორც შეიღობა და შემოქმედის, გამარჯვებაზე მიგვანთნებს; მისი მხატვრული სრულქმნა შემოქმედის შინაგანი კონფლიქტის გადაწყვეტის ერთი დიდი რგოლია; ამიტომ მოსალოდნელი იყო, თურნალ „ლიტერატურის რევიუ“ გამოქვეყნებული წერილის ავტორი გ. კვავლიანი ერთი ფრაზით მაინც მიანიშნებდა შეთხვევებს დედის როლზე ახალგაზრდა გმირის ბუნების ჩამოყალიბებაში.

ალბასისთვის დედის სახეს, მის თვალებს მავთული ძალა აქვს. იგი გაეცობდა ოჯახისათვის და ამიერიდან ურეალურს წაშლა წარმართავს. შენთხვევით დეტალი არ არის დედის სურათის დამთავრებლად რამდენიმე დღის შემდეგ ალბასს ოჯახში რაიკომის მდივანი თემირ აღნაე რომ ეწვია. ამით კიდევ ერთი კვანძი გაიხსნა ალბასის დამუხტული ცხოვრების გვიხს; გმირს მუშაობის პირობები შეეძვნა და მისმა გამოუყენებელი გაიმარჯვა; ოჯახშიც ერთიანობა დამყარდა; გაირკვა, ურთიერთობებიც ალბასსა და მის მტერ-მოყვრებს შორის...

ალბასმა სოფლად თავისი აქტიური ბუნება გამოამტკიცა. მან იცის, რომ „არც კაცი ვარ... იუოს სოფელში და სოფლისთვის არა ზრუნავდეს“. იგი ამთავითვე ჩაება შრომის ფერხულში, სოფლის ვიარა და ღზინში. სწორედ ამ პირობებში განაპირობა მისი მშობლიური მიწისადმი — სასოფლო მიწისადმი, შრომისადმი და თვით ხელმოყვანისადმი დამოკიდებულება.

ახალგაზრდა მხატვარი აქ იმ დასკვნამდე მივიდა, რომ მიწა ადამიანობის ერთ-ერთი განსაზღვრელი, კაცთა სულის ამაჟღერებელი ფა-

ქტორია: ადამიანი, მიწასთან დაახლოებული, მის ახლოს პოულობს თავის ბედნიერებას. მიწა უხსნის მას სულს და ხელებში უფარდება. მომქმედით როგორც ვინაღაც: კარგად, თუნდ ცუდად, ურეალურისათვის მზად ვარო.

რომანის გმირი სხვადასხვა კუთხით ზედავს და აფასებს მიწის მადლს: იგი ცხოვრების საფუძველთა-საფუძველად მიაჩნია; „თუ ადამიანის ფეხი მიწას არ ეხება, თუნდაც თანაც წელი იცხოვრებს, სულერთია ვერც ერთ ნაბიჯ ვერ გადადგამს ვერც უკან და ვერც წინ, და მიწაც, თუ მასზე ვინმე ფეხს არ ადგამს, ასევე კარგავს თავის სახეს, სარტყელებით იზარდვება“.

შემდეგ რომანში ვეცნობით იყენებენ ბათლა ქარბას, რომელსაც სულიერ კმაყოფილებას ანიჭებს თავისუფალი შრომა; ალბასი ზედავს, რომ ადამიანი და ბუნება — მისი შრომის ობიექტი — მარმონიაში იმყოფებოდა, ერთმანეთს ერწყმინა და ქმნიან როგორც მატერიალურ, ასევე ესთეტიკურ ღირებულებას. შევნიშნავთ, რომ მიწასთან დაკავშირებული შრომა ავტორს პიროვნების მარგანიზებულ ფაქტორად მიაჩნია. „მიწაც, თავის მხრივ, აუღლებს ადამიანს“, — ამბობს რომანის გმირი.

მიწის განსაკუთრებული სიყვარულით აიხსნება ის, რომ იგი რომანში პეტრონოფიციურ-ბულია: „გაზაფხული დადგა... მთელი წამთარი იწვა მიწა, გამოიძინა, ხოლო ახლა გაიღვიძა და მას (ბათლას — დ. თ.) ელოდა...“.

სწორედ მიწასთან და შრომასთან დამოკიდებულებაში გახსნა ავტორმა ბათლას ადამიანური სახე, იგი ერთ-ერთი იმთავანია, ვის სახელთანაც სოფლის სახელი და სინდის-ნაშუსია დაკავშირებული. ალბასი ზედავს, „როგორ დაიბნეო იგი (ბათლა — დ. თ.) ვენახში, როგორ აწიწებ და როგორი პატივისცემით... ის ვენახში ერთია, არ ჩქარობს, შრომით ტყებმა, ხოლო მიწა და ვაზის ულორტები ისე შესეკერიან მას, როგორც სასწაულომოქმედ ექიმს, უხიტყვოდ ეშორილიდან მის ზელებს. ისიც, როგორც ნამდვილი დასტაქარი, სახმლავით ემხაზურება თავის პაციენტებს და ცდილობს, რაც შეიძლება ნაკლები ტკივილი მიუყვანოს. რომანის გმირი, რომელშიც თვით ავტორს ვხვდებით, მიწას ადამიანს ადარებს: „მიწაც ისეთი მოვლა და გაფრთხილება უნდა, როგორც ადამიანს“.

მშობლიური მიწის სიყვარული რომანში წარმოდგენილია პატრიოტულ ასპექტშიც. მიწა ურეალანაა, მვარამ ალბასისათვის უცხოა კოსმოპოლიტისტური პრინციპი; ხაზგასმით მიუთითებს იგი „თ ავ ის“ მიწის უპირატესობაზე: „როცა ადამიანი თავის მიწაზეა, — ფიქრობს იგი, — ისინი ორნი არიან — როგორც დედა და შვილი. თუ განცალკევდებიან, ორივენი დაობლებიან“.

შემდეგ: „ადამიანი შეიძლება მიენდოს მხო-

ლოდ იმ მიწას, — წიგნის დღის სიტყვები, — სადაც მისი ოფლია დადგარი, მასზე დადის იგი თავაწული; აქაა შენი კერა, აქაა შენი ფსევბი, აქ უნდა დაიწყო შენი ცხოვრების გზა, შენი ზელოვნება; თვალები ვაიხილე, მიმოიხილე ირგვლივ...“ დედის მითითებით თავის მიწაზე, თავის სახლში ტრიალებს ალბასი და ასე თანდათანობით იჭედება მისი ხასიათი; სწორედ აქ, ვენახში, როცა იგი აკვირდება მევნახე ბათალას, დაიჭირა მისი სასწაულო-მოქმედი ზელება და, გამოხატა სურათზე; ამ უჩატმა იგი უბრალო ჰუმპროტებამდე მიიყვანა, რომ ყველგან და ყველადღერში შენაფერისი ტალანტია საჭირო; ადამიანს ისე უნდა შეელოდეს საქმე, როგორც ლამაზ ქალიშვილს მორთულობა. ეს გმირმა, შრომის პროცესში შენიშნა. შემდეგ კი თავის თავს ვაუტყდა: „ოღონდ ვაჩტო ერთი ბათალასათვის ღირდა ჩემი ჩაშობვა ამწაჩაში; როცა შინ ვბრუნდებოდი, მთელი გზა თვალწინ მელგა ბათალი, ეს ძველი მევნახე მთელი თავისი არსებით, წმინდა და ნათელი, როგორც მისი ნახელავ-ნახეშეგარი“.

ამგვარად, ახალგაზრდა მხატვრის თვითდადგენის პროცესი ავტორმა ფართოდ დაიხაზა; მისი პროფესიული ვაწვითარება მოაწარა, როგორც საზოგადოებრივი უსოფის პროდუქტი. გ. გულიამ სამართლიანად შენიშნა: „ივანე თარბას ფართოდ აყენებს ჩვენი ინტელიგენციის შემოქმედებითი ძიების საკითხებს. რაც უფრო ახლოა ზელოვანი ცხოვრებასთან, მით უფრო შესაძლებელია მისი შემოქმედებითი გამარჯვება“.

ვეშმარობების ძიება და მისი დამკვიდრებისათვის აქტური ბრძოლა განაპირობებს ალბასის წინებრივ ნორმებს, მის საზოგადოებრივ და შემოქმედებით პოზიციას. სწორედ ამ რომანთან დაკავშირებით განაცხადა ავტორმა: „თუ მხატვარი ასახავს ცხოვრებას, მას არ შეუძლია იყოს თავისთვის და ცხოვრებისაგან და თავისი პოზიციისაგან, რომელიც ვალდებულა: ჰქონდეს“.

ეს თვით მწერლის ესთეტიკური კრედიო და ბუნებრივია, მას გმირიც იზარტენ. ალბასის დამოკიდებულება, მისი სიმპატიები ან ანტიპატიები რომანის პერსონაჟებისადმი, როგორც მოქალაქისა და მხატვრისა, ტენდენციურია, ამ სიტყვის დიდებითი ვაგებით; მისი სურათები, კარიკატურები, გამოყენები და ნახატი-შედევნი „დღეადრემის თვალში“ ამაზე მივითითებენ. თუ ალბასისათვის განსაკუთრებით ძვირფასია გარდაცვლილი დედა, ბებია, მოხუცი მწყეში ხარაზანი, მევნახე ბათალი, ექიმი ანდა, სამაგიეროდ კრიტიკულად უცქერის ფარნასა და მისთანა „საქმოსან-მხატვრებს“, კლდეურნიშნის თავმჯდომარე აბასისა და რაკოშის მდივანს თემირ ალანს; თავისი კარიკატურებით ამბულს და თავს ესხმის ნავუტასს, ცა-

რუსა და მხახს. საინტერესესი ტექსტები კვებ პოზიცია მან, როგორც ზელოვანმა, შემოქმედებითი ენით — ფერწერით გამოხატა. ალბასურ მხატვრულ ლიტერატურაში აქცენტი ამ ასპექტით იშვიათია და რომანი ისე იკითხება, როგორც ორიგინალური მოვლენა.

მაინც განსაკუთრებული სიუვარული ჩაქსოვა ავტორმა ახალგაზრდა ზელოვანის უფროსი თაობისადმი დამოკიდებულების გამოხატვაში. ეს დამოკიდებულება თითქოს ერთგვარი კონტრათეზა ახლა საქმიად ვაგრძელებული ფრაიოდს „ოდიოსის კომპლექსის“ („თაობათა დამიარისპირების“) წინააღმდეგ. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ დედა-შვილის ნატფი სულიერი კავშირის შესახებ და იმაზეც მივთითებთ, რომ მწერალი ბევრ საინტერესო დეტალს, სულიერ ნიუნსსა თუ მხატვრულ ფერს პოულობს გამწვრდელი ბებიათა და ბაბუას სახეების შესაქმნელად. მკითხველისათვის სამაგალითოა აგრეთვე ალბასის ხარაზან აბასთან და ბათლ ქარბასთან დამოკიდებულება. ეს მშრომელი და ურყევი საშენის მართალი ადამიანი ალბასი ხალხის სუფიეთესო თვისებებსა და ქანაღ ტრადიციებს განასახიერებენ. მათ შრომაც იციან და ბრძოლაც (მოვიგონოთ ხარაზანის კონფლიქტი აბასთან). მწერლის სიტყვით, „ხარაზან აბა და ბათლ ქარბა — მხატვრულნი საუფეთესო ხალხური ტრადიციებისა — დღევანდლებულნი არიან ბუნებრივი კულტურით, სიბრძნითა და ტაქტით. ამასთან კონსერვატორები არ არიან. ძველს კი არ ებღაუბებიან, არამედ ახალგაზრდებს, მოწარდებს უჭერენ მხარს... თუშუცა ხარაზანი — სოფლის სინდისი — თუშუცა იშვიათად გამოჩნდება წიგნის ფურცლებზე, მაგრამ თავისი მოქმედებით გვიჩვენებს, რომ იგი სიმართლის განსახიერებაა“. ამ „ძველ თაობას“ უკავშირებს ალბასი საუკველთოდ ცნობილ აფხაზურ სტუმართმოყვარეობას „თუ სახლში გვიწევდა სტუმარი, — მოგვიბრძობს ალბასი, — როცა არ უნდა მოვიდეს, დღისით თუ ღამით — ჩვენს სოფელში არ არის ისეთი ოქახი, რომელმაც იქვე არ გამოქრას ყელი ერთ ციანს მაინც. სხვაგვარად ჩვენში ასე ამბობენ. მაშ, მასამწებლად კარა რაღოც გაულოო.

ალბასისა და უფროსი თაობის სულიერ კავშირში ვხედავთ თაობათა ერთიანობის იდეას და მათი ურთიერთთანამშრომლობის, სიუვარულია და პატივისცემის მავალით. ალბასის კონფლიქტი ნავუტასთან და ცარუსთან უნდა აბხანას არა თაობათა ინტერესებით, არამედ შრომისა და ოქახისადმი სხვადასხვაგვარი დამოკიდებულებით. ცარუ გულს ვერ უდებს ოქახს, სახლიდან გარბის, მატყურა და ვაჭრუყანა საკუთარი დედასაკეთ და უყანასკულის ახრით, ადამიანი იმისათვის ცხოვრობს, რომ მოიტაცოს, წავლიტოს, მოატყუოს მეორე. ახალგაზრდა მხატვრის დამოკიდებულება ამ დაბალი



სულის ადამიანებისადმი — ნივთსასისა და ცარულსადმი — გამომდღავე კიდელ მის სურათებში, რომელთა გამოყენა რომანის კლიშოსის ერთ-ერთ ცენტრალურ რგოლად იქცა.

სამკვალეთოა ალხასის დამოკიდებულება მამისადმი; მან იცის მამის სიტყვის ფასი, უყვარს და შხარში უღვას მას. თავის შხარც, მამაც პირნათელია შეიღთან; როცა ალხასმა გადაწყვიტა, ოქახური უსიამოვნების ასაცილებლად ოქახს გასცლოდა, მამამ არაორაზროვნად მიმართა შეიღს: „აქედან ერთ ნახიქსაც არ გადადგამ! მას (ცარულს — დ. თ.) თუ წახვლა უნდა, წავიდეს!“ მამის ხასიათის შეუვალობა ალხასის ბედობას (დღეს მშარის) და ცარულს კონფლიქტშიც დასტურდება. (ამ უყანასწრება მერულის წინაშე კატეგორიულად დასვა საქითხი: ოქახში ან შე ან შენი სიდედრო).

— თუ ასეა, — გადაჭრით უპასუხა ქმარმა, — სიდედრე დარჩება და შენ წაიღო შერთაღლა, ორივე შემთხვევაში ოქახს მამამ თავისი სიტყვა შეასრულა, მაგრამ საბოლოოდ ვერ შეძლო ცარულს „შოთინიერება“. ამ უყანასწრების უოველი გაქცევა სახლდან და შინ მობარუნება, ვაჭრუყანობა და სხვა წერილობრივ აფხაზი კაცის „დამთხოვ“, შეიძლება ითქვას, მის „სუსტ“ ხასიათზე მიყვანიშნებს. სასოგადოდ მოსალოდნელი იყო, რომანში ავტორის უფრო მუარი ადგილი მოეხაზა ოქახის მამისათვის და იგი, როგორც მხატვრული სახე, ახალი დეტალებითა და ნიუანსებით გაიმდიდრებინა (ალბათ, უფრო მეტად უნდა გამოვეყნოთ ცარულსა და მერულის კონფლიქტიც...).

ივანე თარბა კარგად იცნობს ახალგაზრდების ბუნებას, მათ ცხოვრებას, იდეალებს; ამიტომ ბუნებრივია, რომ მისი შემოქმედების ლიტერატურის ახალგაზრდობა წარმოადგენს. როგორც წინა რომანებშიც, „დედარების თვალეზის“ სახეთა სისტემაშიც, ახალგაზრდობა წინა პლანზეა; რომანის გმირის, ალხასის, მშარდაშხარცეობით ახალგაზრდა ექიმ ადა ნახასს, მის ძმას, კოლმეურნეობის თავმჯდომარეს, ახას ნახასს, დათას, ბორისს, ნატალიას, ნათელა პაპას, ნივთსასის შეიღიშვილს, მინა ალტარბას და ა. შ. ეს პერსონაჟები განსხვავებული ბუნების არიან და რომანის სიუჟეტშიც მათ სხვადასხვა ფუნქცია აქვთ დაკისრებული.

განსაკუთრებული ღირებუთი ხატავს ავტორი ადა ნახასს სახეს; იგი ნამდვილი გრძნობით უყვარს ალხასს. რომანის გმირის სიტყვებში არ უოფნის მისი სიმშვენიერება და ბუნების გამოსახატავად: „განა არის ქვეყანაზე ადა ნახაზე უკეთესი ვაგონა? ასეთი სახის, როგორიც იგი, ასეთი სულის...?“

„არა და არც იქნება...“ — ამბობს ალხასი. ადა ნაწარმოების ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟია, რომელიც განაპირობებს რომანის კოლორიას, ალხასის ფიქრებსა და ტივილებს; ეს თავდაჭერული, სიტყვაძვირი ქალიშვილი, პრო-

ფიხით ექიმი, სადა ბუნების უტარულბუნარი, შეინაგნად წმინდა ადამიანი. აღწანი და იმე სურთა გულის ახალგაზრდები არიან. კონფლიქტი, რომელიც დრამატულ ელტრადობას ანიჭებს სიუჟეტს, უსაფუჭლო ემეიანობითა და სიმძნელებით უნდა აიხსნას; როცა სწავლობდნენ — ადა — ხარკოვში, ალხასი — თბილისში, მათ მიწერ-მოწერა ქჷონდათ. მშობლიურ სოფელში დასამკვიდრებლად ალხასს ადას სახელაც ეწეოდა; ავტორი ოსტატობით ხატავს მათ წმინდა ურთიერთობას. ამ მშრიც იგი უფრო კლასიკური მწერლობის ტრადიციების რომანტიკულ ხაზს ავითარებს; სწორედ ეს ხაზი შეეფერება მისი გმირების ბუნებასაც.

მეიოთველს სჭარა, როცა ადაზე მოცნებებ ალხასი მასთან შეხვედრისას სიტყვას ვერ მოულოხს და იხვევა, როცა ალხასი წარმოთქვამს: სიტყვა „მეუყარს“ ჩემი გრძნობის მესამედ ნაწილსაც ვერ იტევსო. შეყვარებულთა ეს გრძნობა აფაქიზებს მეიოთველის ბუნებას და მისი სულის კაოარზისს იწვევს.

ადას ძმა ახასი — ალხასის თანატოლი — ერთ-ერთი სახეა იმ ახალგაზრდებისა, რომლებიც თავაკობენ და უძღვებიან თანამედროვე სოფელს. ავტორი მას კრიტიკული თვლით უყურებს; ეს პატიოსანი, საქმის კარგი ორგანიზატორი, მომთხოვნი ხელმძღვანელი (კოლმეურნეობის თავმჯდომარე) რამდენადმე პატემოყვარია, „ცხვიარაწუღოლიც“ და ეს გრძნობა აიძულებს მას შეგნებულად დაუპირისპირდეს ალხასს. ამასთან იგი შეზღუდული ბუნებისაა. „ჩვენ სახელოსნობეა კი არ გვიინდა“ (საუბარია ალხასის სახელოსნოზე — დ. თ.), არამედ სახებელი, სასმელი, შენი სურათებით ვერავის გამოყვევ და კოლმეურნეობა მას არ ააშენებს, არ ააშენებს, გეძმის?!“

აახის უპირისპირება სოფლის მოწინავე მშრომლებსაც (ხარაშმანსა და სხვ.) ასეთ ვითარებაში იგი, ბუნებრივია, ვერ სარგებლობს ხალხის მხარდაჭერით. აქვე საგანგებო აღნიშვნას მოითხოვს ის, რომ რომანში მასა არამხოლოდ ფრანა, არამედ ის ფსიქული ძალეა, რომელიც აქტიურად იბრძვის სამართლიანობისათვის (უპირისპირდება კოლმეურნეობის თავმჯდომარეს), დასცინის ვაჭრუყანა ნივთსასს, მის ქალიშვილს ცარულს, მინასა და უველას, ვინც კი უღირის საქციელს გამოამდღავენს). მწერლის ფსიქელი თვალთ თანამედროვე სოფელში ხედავს ისეთ გზახადღენილ სახეს, როგორიც მინა ალტარბაა. იგი „დამრტყმელი“ ძალაა იმ ადამიანებისა, რომლებიც შრომას გაურბიან და არეულ-დარევა შექვეთ თანამედროვე განვითარებულ სასოგადოებაში; მინა შეიძლება ითქვას, ხაურობას („კოლმეთის ცისკარი“) ლიტერატურული ძმია.

რომანის ისეთი პერსონაჟები, როგორებიცაა დათა, ბორისი, ნათელა პაპა, ნატალია და მრავალი სხვა თუმცა მეორე-მესამე ხარისხოვ-

ნი მოქმედი პირები არიან, მაგრამ ბუნებთ, განათლებითა და ურთიერთმეგობრული სულიერობით, თანამედროვე განსაღი და ინტელექტუალური, ახალი ცხოვრების მშენებელი ახალგაზრდობის სახეს გამოხატავენ. რომანის პერსონაჟებს პორტრეტული, ინდივიდუალური ნიშნები აქვიათ. ჩანს, ავტორისათვის მოქმედ პირთა სულიერი „მექანიზმის“ გახსნა უფრო მნიშვნელოვანი და მთავარია, მაგრამ რაც პერსონაჟები დანახულა მხატვრის (ალხასის) თვლით, მკითხველი უფრო გამოკვეთილ, დასრულებულ პორტრეტებს შოვლის. საზოგადოდ, თანამედროვე მწერლობაში პერსონაჟის პორტრეტობაზე უარის თქმა (რაც ბევრ ავტორთან პრინციპულადაა ქცეული) მკითხველს ურთულეს ნაწარმოებისა და მისი გმირების ბუნების აღქმას; პერსონაჟთა პორტრეტობა, მათი გარეგნული ინდივიდუალური ნიშნები ტახისუცის ერთ-ერთი მთავარი პრინციპია და იგი პერსონაჟის წულის გახსნაშიც გვეხმარება.

ბ. თარბას შემოქმედებითი ბუნებისათვის დამახასიათებელია ჩანახალი და ობიექტიური განწყობილება, მაგრამ მისთვის ცხოვრება გერკიდვ მოუწყობრებელი უკვლადლორითი ხანიათდება. მწერლას ესთეტურული კრდლო იურდნობა სინამდვილისადმი კრიტიკულ დამოკიდებულდება. ამიტომ მისი პაროზა შესრულებულია მთავარი კრიტიკული პათოსით; მისი თამამი კრიტიკა გაბედულია და იგი ყველა დონეს, ყოველ სფეროს სწედება. ამით უნდა აიხსნას კონფლიქტური სიტუაცია, რომელსაც ავტორი კმნის რომანის ფინალში. ალხასის ბოლო სიტყვები: „სადაა თავისუფლება, სადაა ეს თავისუფალი ფუნქია?“ — უნდა გავიგოთ, როგორც გმირის კრიტიკული თვალსაზრისის გამოხატულება. რომანის ერთ-ერთი მოტივიც ზომ სწორედ ცხოვრების მანკერ მხარეთა მხილებაა. ავტორი ამხელს აღმანიებს, რომლებიც თავს არიდებენ საზოგადოებრივ შრომას, ეწევიან სპეკულაციას, ირჩევენ უქნარობას, ერთმანეთს აბეზღებენ, მტრობენ, ზორტად იუენებენ თანამედრობებს, მართალ აღმანიებს დევნიან, საქმოსნობენ, სახელმწიფოს ძარცვავენ და ა. შ.

რომანის გმირი ალხასი შინაგანად შეურბებელია ამ მოვლენებისადმი. იგი, საქმოსანი გალიანაგან განსხვავებით, ფულით არ ზომავს ბედნიერების სკალას, წმინდა სინდისი და თავისუფლების რანგში აყვანილი შემოქმედებითი შრომა მისთვის ბედნიერების განმსაღვრელი

ფაქტორია; ამიტომ მისი პორტრეტის მოწვერებით პოზა როდია, იგი ხელმოყვანის ტიპურული სიუჟის ამოძახილია:

— რაღოზაა ასე? რაღოზაა, რომ ერთისთვის უველაფერი ნებადართულია, მეორესთვის არა? ვინ მისცა უფლება კანსოუს და დანარჩენებს აეთონ უველაფერი, რასაც მოისურვებენ? ვინ?! რატომ მე, შენ, ჩვენ ყველას, მთელ ხალხს არ შეგვიძლია და მათ შეუძლიათ? ამისენი — რატომ? მე, ალხასი, შეუძინებლად ვცხოვრობ, მაგრამ ბევრს ვხედავ, დიას, დიას, ძალიან ბევრს. იმასაც კი, რასაც სხვები, რომლებიც უნდა ამჩნევდნენ და ვერ ამჩნევენ... დაე, ყველამ ატაროს ის ტვირთი, რომელიც დაკისრებს. ეს კანსოუ და მისი მსგავსნი რატომ მამკობენ, დამცინიან, ახურად მიგდებენ და მიზარტებენ? რით ვარ მე მათზე ნაკლები, მითხარი, — მიმართვს ქიანს... მე არავისზე ნაკლები არა ვარ. მე პატონს ვცემ ჩემს თავსა და ჩემს სამუშაოს, ყოთლი ინებონ და მეც ასე მომიქციენ... აი ეს მეტოზარტობა, ნეტავ ვინმესთვის კარგი გაეკეთებინათ. მხოლოდ სიავე! და ფაქრობენ უკველთვის გაუვათ, ფაქრობენ არავინ ხედავს შე მათ უველას მოზარტულს ვიცნობ. ისინი მიცქერიან და ფაქრობენ: რა ეცნის, ბრძა, მე კი ერთბაშად ისე ვხვდები უველაფერს, რომ ისინი აზრტედაც ვერ მოვლენ. ფაქრობენ უველას უიდეა შეილება. არ მჭირდება მათი ფული, მოპარული, მყარალი... მე მათხოვარი არა ვარ, დეილიან ლამედვე ვმუშაობ და მყოფნის... დაე, უველამ თავისი შრომით იცხოვროს!“

გმირის ეს მონოლოგი იმდენად გულწრფელია, რომ არა მხოლოდ ალხასის, არამედ მთველი ჩვენს ჩანახალი საზოგადოების პათოსს გამოხატავს.

საზოგადოდ, რომანში განვითარებული მოქმედება — ნაწარმოების კოლიზია, ძირითადი კონფლიქტები და პერსონაჟთა ხსიათები — თუმცა აღზაურ გარემოშია მოქცეული, მაგრამ წარმოსახავს საბჭოური სინამდვილის. შემთხვევითი არ არის, რომ რომანის მთარგმნელმა, ვასილ როზიაკვამ, რომელიც არასდროს ყოფილა აღზაურთში, „დედარენის თვლების“ პერსონაჟებში შეიცნო თავისი სტატუსობილი მეგობარ-ნაცნობები, ხოლო აღზაურის სოფლებში — მშობლიური სოფელი. თან დამძინა: ეს შედარება უდნაურად ნუ მოგერტენებათ.

ეს ფაქტი კიდევ ერთი თვალსაჩინო მაგალითია „დედარენის თვლების“ ტიპობრიობისა და მისი ავტორის ახალი შემოქმედებითი გამაჩქვებისა.

ამირან არაბული

„გულს დამეხვია საგონი...“

ივანე წიკლაურის ერთი უსათარო ლექსი ასე იწყება: „ღთისგან მამკვე შამანათვალი ლექსების საუბარო. ნათქვამი მამწონს ისეთი, უღრუბლოდ მკედეს ღარიო... ისე წიწვადღეს კაცის გონს თვალუჩინარი ძალიო, — ხან ნისლს რო ააწიოკებს მთაზე ლემადის ქარიო! ღაძიან სატყვის ძალითა დახავსებულნი ქვანო, ჩემსა და ქვეყნის შუაში მზედ იყვას ჩამამღვარიო, როგორც შეხვედრილ მტრებთანა მანდილიანი ქალიო...“ ეს არ გახლავთ თვითრეკლამისა თუ თვითგანდიდების მოურთველო სურვილით წარმოთქმული ლიტონის სიტყვები. ივანე წიკლაურს უფლება ჰქონდა, ყოველგვარი მოჩვენებითი თამებლობის გარეშე განეცხადებინა, რომ „ღთისგან ჰქონდა შამანათვალი ლექსების საუბარო...“ დავაკვირდეთ, როგორ განმარტავს მთის ფოლკლორულ ტრადიციებზე აღზრდილი მელექსე მისთვის მოსაწონ პოეტურ სიტყვას: „ნათქვამი მამწონს ისეთი, უღრუბლოდ მკედეს ღარიო... ისე წიწვადღეს კაცის გონს თვალუჩინარი ძალიო, — ხან ნისლს რო ააწიოკებს მთაზე ლემადის ქარიო!...“ აქ უნებლიედ ჩნდება ტიციან ტაბიძის „ლექსი-მეწერის“ ასოციაცია: „ლექსს მე ვუწოდებ მოვარდენ მწვერებს, რომ გაგიტანს და ცოცხლად დაგვამარბას...“ „თვალუჩინარი ძალი“ სწორედ ის ფარული ძალაა, პოეზიის მადლთან წილნაყარი მკითხველის არსებას რომ შეძრავს. კიდევ უფრო საგულსისხშოა „ლემადის ქარიო“ აწიოკებული ნისლის შედარება „თვალუჩინარი ძალით“ ანუ კეშმარტი ლექსით „წიწვილ კაცის გონთან...“ 1962 წლის კახეთის ფოლკლორული ექსპედიციის მუსეუმის ანგარიშში (იხ. „ქართული

ფოლკლორი“, I-II, თბ., 1964 წ.) დავით გოგობერძა და ვარლამ მაყაბერიძე, სხვა ავტორ-მთქმელების რეპერტუართან ერთად, ვრცლად მიმოიხილეს ივანე წიკლაურის პოეტური შემოქმედება, გამოყვეს და დაახასიათეს მისი ლექსების ძირითადი თემები და მოტივები. ჩვენ აღარ შევივებით მათ მიერ განხილულ საკითხებს და მოკლედ აღვნიშნავთ ი. წიკლაურის პოეზიის კიდევ რამდენიმე თავისებურებას.

როცა ივანე წიკლაურის, და ხაერთოდ, თანამედროვე მელექსეების შესახებ ვსაუბრობთ, ჩვენდაუნებურად აღიჭრის ერთი საჩოთირო კითხვა: ხალხურია თუ არა წერილობითი ხალხთ შექმნილი და, გნებავთ, სტენაზე წაითხული მათი ლექსები?

პოეტური ქმნილება, რომელსაც ინდივიდუალური ავტორი მუყავს, ე. ი. არ გაანონსურებულა, ხალხში გასვლისა და გავრცელების შეპირი გზა არ გაუვლია, რომლის შექმნა-დახვეწაშიც აბსოლუტურად გამოიციხულია კოლექტივის რაიმე წვლილი და დამსახურება, ფოლკლორულად ვერ ჩაითვლება. ხალხური კილო, სტილი, საზოგადოებრივი ინვენტარი არ კმარა ამისათვის, რომ ინდივიდუალური ავტორ-მთქმელის ზელოდან გამოსული ლექსის ფოლკლორულობა ვამტკიცოთ. ი. წიკლაურის პოეტური შემოქმედების არაერთი ნაშრომი, ვერაიცი უფრო სახესხვაობებით, ფართოდაა გავრცელებული ამიერ საქართველოს მთიან კუთხეებში, ისე, რომ ბევრმა მათი ავტორის ვინაობაც არ იცის. ამის მიუხედავად, ი. წიკლაურის ისეთ ლექსებსაც კი, როგორებიცაა „ლექსის თქმა მწვადის ერთისა“, „იძახე, ჩემო ჩონგურსო“, „ქარაუზე წადგა ხარლადი“, „ერთი შეხედვით მივხედვები“, „აბრუნდა ლექსის ბორბალი“ და სხვ., შეპირსიტყვიერი საუწყის ნაწილად ვერ მივიჩნევთ, ვინაიდან მათ ჯერ არ განუცდიათ სრული ფოლკლორისა, ამ ცნე-

ბატარმინის მეცნიერული გაგებით. ფოლკ-ლორწაყვის პროცესი კი ათეული წლობით გრძელდება, ისიც იმ შემთხვევაში, თუ ხალხმა მოიწონა, გაითავსა და დავიწყების მდინარეს არ გაატანა მის ქირსა თუ ლბინზე „ნათქვამი“ ლექსი.

მოკლემინით, რას ამბობს აკაკი შანიძე „ქართული ხალხური პოეზიის“ (1981 წ.) წინასიტყვაობაში: „ხალხური პოეზიაო, რომ ვამბობ, ვგულისხმობ ისეთ პოეზიას, რომელიც გარდა, განვითარდა და ტრიალებს სოფლის მუშა ხალხში, გლეხობაში, იმ სოციალურ წრეში, რომელიც შრომასა და ქაფაშია და შეტწილად წერა-კითხვის უცოდინარია. ეს ის პოეზიაა, რომელიც ჩვეულებრივ ზეპირი გადაცემით ვრცელდება ერთი კაციდან მეორეზე და ძველ თაობიდან ახალზე. მისი შემნახავი და დამკვიდრი მრავალ პირთა მუხსიერებაა და ეს არის მიზეზი, რომ მისი ფორმა და შინაარსი ცვალებადია და ადვილად ეგუდება ამა თუ იმ კლუბის გემოვნებს და სოციალური ფენის მიდარეობებს“.

მკითხველი დაგვემოწმება, რომ ხალხური პოეზიის სპეციფიკურ ნიშან-თვისებათა ა. შანიძისეული დეფინიცია ნაწილობრივ თუ გამოდგება ივანე წიკლაურის პოეტური შემოქმედების თვისებებურებათა დასახასიათებლად...

დამაფიქრებელი ფაქტია, რომ ცნებამ „მელექსე“, სამწუხაროდ, გარკვეულწილად დაეარგა თავისი პარაფრაზული შინაარსი და უნიკო, ხელმოცარულ ლექსის მოხვედრთა ერთგვარ სინონიმად იქცა. ივანე წიკლაური მხატვრული სიტყვის ნიჭიერი ოსტატია და არა აქვს არსებითი მნიშვნელობა „პოეტს“ დავაჰრმეცო მას თუ „მელექსეს“...

ი. წიკლაურის ლექსის უპირველესი ღირებუბაა შინაგანი უშუალობა და სისადავე, რის გამოც შესატყვის ლექსიკაში მოქცეული მისი სათქმელი სპონტანური ბუნებრიობის ნიშნით აღიბეჭდება მკითხველის მუხსიერებაში.

მოუხედავად გარკვეული თემატური შეზღუდულობისა, ი. წიკლაურის პოეზია საქმიოდ მდიდარი და მრავალხაზოვანია. მას შეეძლო გაემეორებინა ვეფ-ფშაველის ცნობილი სიტყვები: „რა ად ერთხელ შამშუვარებშია, უმტკიცესია რა ქულზედა“. რა უყვარდა და იტაცებდა ივანე წიკლაურს სიჭაბუკეში და რაზე მოთქვამდა მისი „სამღარიანი“ ფანდური მრავალპირნობული პატრონის სიპარმავის უაზრ შოის პატარებამ, მშობლიურ გარემოსთან განშორებამ და შირაქში დაჰკიდრებამ ათქმევინა პოეტს საუვედურნარცვი სიტყვები: „მე არას მამწონს შირაქი, ხალხთ რა მე დამდევს ბრალითა, ჩემი გუწეობის ადგილი მთა იყვა განა ბარია. აიშ მთათ გულისათვისა წყდებოდეს ხვესურთ უშაბია, თერთანი ნათობდეს ფრანგუ-

ლნი, ქუიოდეს მშვილდისარნი...“ ხვესურეთის თანდათანობით დატლას, რაც ჩვენი საუყუნის ორმოცდაათთან წლებში დამწწო, თავის ღრსზე სხვოგადობის ერთი ნაწილი მოწონებთ შეხედა, მაგრამ დღემოკლემ გამოდგა მთიელთა ცხოვრებაში მომხდარი ამ გულსატყენი „სისახლის“ მომხრეთა აღტაცება. ღრსმ და გამოცდილებამ ნათელყო „პატრიოტული“ მოვალეობის კარანახით გადადგმული ნაბიჯების მცდარობა...

ივანე წიკლაური, უშუალო მოწმე და გამცდიელი საქართველოს შოის ერთი უღამაზეხი კუთხის გაუცარიელებისა, ბოლომდე უყაფრულყო იყო როგორც პირადი, ისე მშაპაპის მიწას მოწვეტილ თვისტომთა ბედნილობით და არაორაროვნად გამობატავდა თავის ლტარსა და გულისთქმას პოეზიაში არბილსკალაში დაბინადრებულ მელექსეს ნიადვ „ეჩქარობთა და ხმეა არაგვის და თერგვისა“, ენატრებოდა თოვლიანი კლდე-ქარაფები და ეს მოწარტება ედღო საფინლად მის ლექსებს: „...ფენეველა ააღლაღებო, ხეუდოინა და მთანი, სინდაურაის მადალზე ნავარდობსადა ქარია...“ ამ შეკითხვით შიშართავდა ი. წიკლაური „ღმეკის შოით ამხმდარ“ „მასკლავაო“ შეუფრსოვ ცისკარს და შესთხოვდა, დაწერილობით ჩამოტანს მისთვის თვალს მიფარებულთა მშობლიური მთების ამხავი...

ივანე წიკლაურის დიდაქტიურ მოტივზე შექმნილი ლექსები თავისუფლია მშრალი სენცნიციებისაგან. წარფული გულისტკივილით მსჭვალავს მის მიდევნოთი ხსიანის ნაწარმოებებს: „ქალავ, ჩემდ დიდო აქედო“, „ქაგათ ჭურხას“ და სხვ. უსტადაა მონიშნული პოეტის ზეგობრივი პოზიცია მსმენელისადმი რატორიკულ მიმართავა: „ქათ აქვებს ცუდოთ აძატებს, ეგ რა ხახონის ბრალიაო...“ ავტორი არ ფარავს სიუმაწვილისა თუ სიჭაბუკის ასაკში დაშვებულ შუცდომებს, სხვებს კი აფრთხილებს და აკვალანებს, არაფერი გააკეთონ ისეთი, მომავალში რომ სანანებლად ექცეთ: „დამალუდ არაი მამქვით, მემც რავედინე ძნელები, მაშინდელეს ახლა ვიცოხნი, ძნელ გახდა მოსანედლებ...“ ყველას როდი უოფნის გამბედაობა, ამბილოს და აღიაროს საკუთარი ნაკლი. ი. წიკლაურს ბქონდა საამისო ძალა და მისი ბოლოდროინდელი ლექსი „სიზმარში მკითხის ამხავი“ ამ თვალსარჩისთაც იქცევს მკითხველის ყურადღებას...

ერთ ღრსს სანაქებო ვეყაცსა (ოცობას ხვესურთ მიცნობადეს, ოცდახუთობას — ქვისტეობი) და მონადირის (სმეც ვიყვებო მენადირეო, კლდეშო მემც მივლავ ჭდნებითა) მოლოდ პრაქტიკული, ვიწრო უტილიტარული ვნებებითა და ინტერესებით არასდროს უცხოვრია. „ვა-

მენადარია“ ხაგმობსა... და ხავევო ხაჭვიდელს აღწყოთენსა მამუავდა ავა ქაბვის რქებთო ურცხვად მოვებტე ზრკინაერებს შექარას უფოლოდა და „კაცობას ვაღვებნას“, მარქვენას ვახმობსა და ხარების ვაწყვეტას უსურვებდა. თვითონ კი, ზუნების უმწვენიერებს პირმშოთა ველური სიღამაზით დატყვევებულა. თითქოს და თავისიანებს ეტრება და ემწვიდობებო, სიანულით ამბობდა: „მწვიდობათ, ჭინუწრო, ლამაზნო, მენველარ შავტყურებისთა, არ მინდა თქვენი შავტყულაო, ნახვდა კი მენატრებოსა...“

6. წილაურის პოეზია განათებულია გარემომცველი ზუნების უსაზღვრო სიუყვარულით. „ცის ტაძართ“ მწვლიდვითი შობრელი რქათა ჩრდილითი, ქარაფებიდან ვამწვლილი შერთების ფარა და მხარკვერიანი არწივები, ჭვიშით მოპტარანგებული სალოოა და შიბწვერი, ხსენა და ჩორები, გველის მთა და ხართის მღინარე, არზოტის წყალი და „ყრულის ზარადიანი“ სინადურა იყო მისი შთავრების უმრტეი წყარო. ავანე წილაურს ორგანულად ჰქონდა განცდილი და გათავისებული კაი ყრის, სოფლის „მამწვენი“ ვაჟკაცის ხალხური იდენია. დორსიულ ყმას, მისი თქმით, უყვარდურში უნდა ეღოს წილი: „ხანდახან შუღლიც უყვარდა“ და „კაი სიტყვა-პასუხიც“ ემარტყებოდეს, მდერა-თამაშშიც ვაიტანოს თავი და არც ცუდის ქნევაში ჩამორჩეს შთაულებს, „სანაკვეთის“ გამოსცად შეიქალს და ცხენის მხედრობაც, სწორფრობაც და ნადირობაც... პოეტის საშუროზე მორატრე მკვდრად (შდრ. ვაჟს „სიცოცხლით სიკვდილიანი“, „ცოცხლად დამარბული“, „ძალად ცოცხალი“) თვლის ისეთ კაცს, ვინც შორაღურ ნორმებს დალაბობს, წუნობრეც კანონებს ანაფრად აგდებს და ვარყვანილებსკენ მიუწევს გული...

ჩრეულთა ხომცირე, „კარგთა“ და „ცუდთა“ დისპარპონიული თანაფარდობა მუდამ იყო და იქნება შემოქმედთა ფიქრისა და ვახსჯის საგანი. ამ შეგნებას უდგას ფესვი ვაჟა-ფშაველას დაუფრავ ზივილს: „ვინა, რომ ცუდთა ბერცია, პოეტა ძნელია კარგებისა...“ ამ სტრიქონებს ეხმარება ნაწუტეტი ი. წილაურის ლექსიდან „მწვლია, შუაუნენლო“: „ხალხ ეგარე სამნაირთა, რომ მოსამქალი ყანაო — ცოტა ურცვავთაჲ ქერო, ბერცია შუათანაო, უფრო მეტაისთაჲა, არც ქერი, არცა ჩალო...“ აქ დასაბულებული სამი კატეგორიის ადამიანთაგან ავტორის სიმპათია „თავი ქერის“ (იგივე იქელი ანუ წმინდის მარცვალი) მხარესა. იმ „თავი ქერის“ მხარეს, რომელიც, ერთი ხალხური ლექსის ენით რომ ვთქვათ, „მამულს დემწვენსება“.

პატრიმყოყვარების სავალალო სენი, მტკანტაზივით რომ გამჭადრა მავანთა ფსიქიკაში, პოეტის კანონიერ გულსწერობას იწვევს

და „წარსულ დროებსათაწ“... მწვერულსა მწეპიანისპარებით გამოვლენდელს... ციკრუხებტბეველი მდრომარეობის განცდა მწველი ტკივილი ავსებს ლექსის სტრიქონებს: „ფსისოტმა ჭინუწობა ვაბრედა, შერცია — ქერთა, სვლოტა, ღვარა მმბობს: ჩარათს ეტობიორ, მეტი მაქვ ხვავის ხშიროტა. ამიტომ ჩაწუდა ხალიბი, გულს დავმართა ტრილოტა, აღარ ას მეგობროტაი, დამტობა, გულახდელიტობა...“

7. წილაურის შემოქმედებითი პრაქტიკა და გამოცდილება თვალსაჩინო მაგალითია თვითმყოფადი ხმისა და ინტონაციის ძიებისა, მას სწამდა, რომ თავისთავადობა, „უვალი გუნით“ სიარული ანიჭებს უმეტეს მხატვრული სიტყვის მსახურთა შორის უშეღავთო არსებობის უფლებას: „წესსა მელექსისსაო, ვსა უვალ აირჩიოსა...“



ავანე წილაურის შემოქმედებიდან უველიანე ვრცელი და ცნობილი ლექსია „სიზარში მკითხის ამბავი“, რომელიც სიცოცხლის ბოლო წლებში შექმნა ავტორმა. ამ ლექსმა გამოჩენისთანავე მიიპყრო დამახარებელი ყურადღება და აღიარება პოეტა ჭეშმარიტა პოეზიის დამფასებელთა შორის. ვაჟა-ფშაველას მსახურებები. მთავ კი, ვინც ცოტა არ იყოს, სტრატეგურადაა განწყობილი თანამედროვე ავტორ-მწვერულთა ზემოპოეტური შემოქმედებისადმი, ირწმუნეს და იწამეს ი. წილაურის ხერხებული ნაწარმოების მხატვრული ღირსება და სიახლე, როგორც იდეურ-თემატური, ისე სტრუქტურული თვალსაზრისით.

ლექსის სრული ტექსტი რამდენჯერმე გამოყვეუნდა და ფართო მკითხველს საშუალება მიეცა მისი გაერნობისა. 1979 წლის აპრილში ჩატარებულ ხალხური პოეზიის პირველ საღამოზე ლექსს სავსებით სწორი კვალიფიკაცია მისცა ვახუშტი კოტეტიშვილმა.

გაზეთ „ლიბერატურულ საქართველოში“ (10. VIII. 1984) დაიბეჭდა კრიტიკის ლეგან ბრეგაძის სტატია „პოეზია და მეცნიერება“, სადაც ავტორი გამოჩენილი კანადელი მეცნიერის მანს სელიეს სტრესების თეორიის საფუძველზე ხსნის ი. წილაურის ლექსის საიდუმლო. „ს. სელიეს უდიდესი აღმოჩენა, — წერს ლ. ბრეგაძე, — იმაში მდგომარეობს, რომ თურმე, როგორც დადებით, ასევე უარყოფით ემოციებზე ადამიანის ორგანიზმი ერთნაირად რეაგირებს (ამას ნიშნავს „ორგანიზმის არასპეციფიკური, სტანდარტული პასუხი“), კერძოდ, ვველა შემთხვევაში საკმარის ბდება შეფუთვა, რაზეც იმარტვა სასიცოცხლო ენერჯიის ნაწილი...“ და შემდეგ: „სიანტერესო ის ვახლავთ, რომ ეს ყოველივე შესანიშნავად იცის ავანე წილაურმა. მისი ლექსი, რომელიც წარმოად-

გინს პასუხს კითხვაზე „რამ დაგაბერა“, არსებობითად სტრესორების ჩართვითა, თანაც არა მარტო უარყოფითი ემოციების გამოწვევით სტრესორებისა, არამედ — დადებითისაც“. სტატის ავტორს ი. წიკლაურის ლექსიდან მოაქვს რამდენიმე ნიმუში როგორც დადებითი, ისე უარყოფითი ემოციების აღმძვრელი სტრესორებისა და იქვე შენიშნავს: „ახლა წარმოიდგინეთ, როგორი მდიდარი ემოციური სამუაროს მქონე, როგორი პოეტური ბუნებისა უნდა იყოს ადამიანი, რომელიც თავის დაბერების ერთ-ერთ მიზეზად დაბეჭდილებით ასახელებს „წაფხულის სილამაზეს“ და „უკვალთა სიმრავლეს“, ვისაც „დილით შურბების სტევის“ მოსმენა ისეთ სიხარულს ანიჭებს, რომ მასთან შესაფუთხლად მისმა ორგანიზმმა სასიცოცხლო ენერჯის მნიშვნელოვანი ნაწილი უნდა გააღოს...“

ივანე წიკლაურს ალბათ ფიქრადაც არ მოსვლია, რომ მისი ნაწარმოები სულ მოკლე ხანში მრავალრიცხოვანი მსმენელისა თუ პაროდისიონადი მკითხველის ესოდენ დიდ მოწონებას დაიმსახურებდა. „სიზმარში მკითხის აშხავი“ უფრო შინაგან მონოლოგს, სპეციური თავთან ვაგაუბრებას შავს, ვიდრე ვიწვეს წასაკითხად გამოწვეულ მხატვრულ ქმნილებას. წლობით ნაგრავებ სვედებსა და სიხარულს შესაფერისი სალექსო ფორმა მიესადაგა და მივიღეთ ინდივიდუალური ხელწერის მქონე იმგვარი ნაწარმოები, რომლის მსგავსი ქართულ ზალურ პოეზიაში არ ვხვდებოდა...

ობლობის სიმწარე, შუღლი, ერთგულის გაორგულება, ლამაზი კალის დაღატი, თავზე „ასრივი“ ჭოჩისა და სამარხის ვადალა, ახალწლის მქელეობა, მთიებელში ცეცხლის მარჭედე ხმარება, ზებზე ნადირობა, ტოლ-სწორების უდროოდ დაკარგვა და მოსაკლისება ივანე წიკლაურის დარად გამოუცდია მთის მკაცრსა და თვისმყოფად ტრადიციებზე აღწრადლ არაერთ მთიელს და, ამ მხარე, პოეტის ცხოვრების ზუსტ თითქოს აარტით ვანსხვადებდა მის თანამედროვეთა ცხოვრების გზისაგან. შავრამ, გარდა აქ დასახელებული აშხებისა და მოვლენებისა, ივანე წიკლაურის ბიოგრაფიაში არის ისეთი შემთხვევები, რაც საუწყუნთა წიადში აღმოცენებულნი და მოიღეთა უფუთა მტკაცედ დამკვიდრებული ადითობრივი წეს-კანონების უბეზ, უპატებელ დარღვევას გულისხმობს. ხატის ლეცვაზე უარის თქმა, დღეობის ჩაშლა, გუდანის ჭარბისთვის დახვედრა და მედროსის დაბრის განზრახვა, „ბედელზეთი“ წარის ჩამოხსნა, ჭვარისკრის ატარება და მის მოჭრა საქარეს — ისეთი ფაქტები, ცოდვად და ხეზისით თუ უნებლიე დანაშაულად რომ გამოყვება ურველივე ამის მომქმედი პიროვნების ცხოვრებას...

„სიზმარში მკითხის აშხავი“ მხატვრული უწყუნენა უკვალაფერი იმისა, რაც მის ავტორს უნახავს, ვანუცდია და ვადაუტანია ფაფრეაკიანე

სიცოცხლის მანძილზე. ამასთან, ლექსი წრფელი აღხარებაა ამ ადამიანის, ვინც ცნობიერებს წარსულში ჩადენილი ცოდვის სიმძიმეს და შთამომავლებს ანდერძად უხარებს, არახოდეს ჩაიღიონს ღვთისა და კაცის საგნობი საქმე...

აუხედეწილი სიზმრებისა და სურვილების ძალეში ნოსტალგია, დღენიადაგ რომ აწრიალებს პოეტს არსებას, ნაყოფიერი ნიადაგია ამ გაუნებელი სვედისა და ტკავილსათვის, თავიდან ბოლომდე რომ ვასდევს ი. წიკლაურის პოეტურ ქმნილებას.

„რამ დაგაბერა?“ — ეკითხება სიზმრად მოვლენილი სწორფერი პოეტს და მთელი ლექსი ამ შეკითხვაზე ვასახუბების ფორშითაა ავებულო. ეს არის ბელახალი (აჭერად უკვე წარმოსახვისშიერი) მოგზაურობა ოდესღაც უკვე გამოვლილ, უღმობელი დრო-ჟამის უდრეტიბილებს მიღმა დარჩენილ უწრამასწრო ბილიკებზე სავალი ზოგან ვიწრო და ბინდდაფენილია, ზოგან — მფეტიჟე სინანულის შუქით ვანათებული, უჩვეულო რომანტიკით აღხავს, მოუწმებელი ნაღვლისა და საღმობის ხათავე.

პოეტი ჩამოთვლის თავისი დაბერების გამოწვევებ მიზეზებს, ჰყვება დოკუმენტურ ამბებს, რომელთაც წარუშლილი კვალადტოვეს მის ცნობიერებაში. „ჩემს შედაცა ქნა ბოინი მსაჭულმა სიცოცხლისაჲმ“ — გვეუბნება და ამ მოხდენილ ნათქვამს უშუალოდ მოსდევს ზავშეობაში ვანცდილი შეშხარავი ებიზიდი, სამუდამო დაღად რომ შეშორჩენია მის მესხიერებას. ფონთანას წყლის აღიდება, დიდი ნაღვლის მოსვლა, წიქელთათ ერთად მამისა და დის „წადება“, წყალწადეზულთა უშედეგო ძებნა ისე ცხოვლად და ხელშესახებადაა ვამოცემული სულ რაღაც ერთ სტროფში, რომ მკითხველში ძალაუნებურად იღვიძებს თანავანცდის მძლავრი იმპულსი.

ღუბჭირი ცხოვრების პირისპირ დგომა, შინაურებისა თუ შორეულებისგან მისდაუნებური ვანაირება, „უ მარტუას ყოფნა“, შხრის არცხან ჭერა და ამ დროს დუშმის სიზრდელში პიროვრული საწყისების აღწევებას უწყობს ხელს და მოუწოდებს უწლოვან უმარწილს, ხმლით ხელში დაიცვას პირადი ადამიანური ღირსება: მტერს მტრულად დახვედეს და მოუვარეს — ამ შეფრულად.

დრო იყო ასეთი და ივანე წიკლაურიც სხვათა მსგავსად ლესავდა ხმალს, ხნავდა და თეხავდა, თიხავდა და ნადირობდა, ერთი სატყვით, ავად თუ კარვად იხდიდა ადამიანურ ვალსა და „ბეგარას“ ტბილ-მწარე წუთისოფლის წინაშე.

„სიზმარში მკითხის აშხავის“ თითქმის ყველა სიტყვა და სტრიქონი, პასაჟი და ეპიზოდი მხატვრული ხედვის პრიზმაში ვარდებელი ემ-

პირიული სინამდვილის ანარქლია. პოეტური თხრობა მართლის თქმის პრინციპსა და ავტობიოგრაფიული ამბების გულახდილი გადმოცემის შინაგან ლოგიკას ექვემდებარება. პირადი თავმოწონების წაღილი ამ არაფერია ნათქვამი. „მტერს მტრულად უხწროდებოდა, ისე წყალობამ ზთისაში“, — გვაუკვება ავტორი და იოტობოდენი ეჭვიც არ შეიძლება შეგვეპაროს მისი სიტყვების სინარქლიში.

ივანე წიკლაური ავტარგინი პირივლება გაზღდათ. მას არ სწყევდა უღირსი შექება და კეთილი საქმისა თუ საქციელის დაუნახაობა. ერთ ლექსში იგი თავის ახლობელს მიმართავდა: შენ და შენი საფერი ვაფები — „თქმსო უღელს წინაპირთ ედგვიო, როტიო, რო ხვადებ მგლეგიო“ და უსიამოვნო ამბის მომასწავებელი სიმპტომებით შეწუხებული იქვე აფრთხილებდა: „სიხარბე შალე ალაგმეთ, გადაუშტეტრიეთ წიღებო, თავ დაანებეთ უახვებსა, რაიუ არ არის თქვენიბი...“ პირში სინარქლის მოქმედს მუდამ სხვაზე მტერი მტერი და მოშურნე ჰყავს. ბევრს არ ეტანება პირიუთენელი და დაუნდობელი სიტყვა: „თან გამიმტრავლის დუშმანში პირთი თქმამ სინარქლისამა...“ სხვაგვარად ცხოვრება კი მის არ შეეძლო. კაცური სინდისი არ აძლევდა ნებას, უმსგავსობისთვის უბრადა გვერდი აეღლო და ნაკლზე თვალი დაეხუტა. წინაპართა ტრადიციების აცქარგის მცოდნეს თვალში ეკლად ენობობა და აშლოთებად უსაბურ მოდის აყოლილი, ჭიშისა და გენის „მოწყვენე“ ახალგაზრდების შეუფერებელი ქცევა და მოქმედება...

მთის წეს-ჩვეულებებში გაუთვითცნობიერებელი მკითხველისთვის, შესაძლოა, ზოგი რამ გაუგებარიც აღმოჩნდეს. ი. წიკლაურის ლექსში, მაგრამ მთლიანობაში აღებულ ნაწარმოებში, მიუხედავად მასში ფიქსირებული დიალექტური მეტყველების კლორიტით შეფერილი სპეციფიკური ტერმინებისა თუ საყუდტო რეაღებისა, არ სტოვებს ბუნდოვანებისა და კომპროზიუიური არასრულყოფილების შთაბეჭდილებას.

ი. წიკლაური შესანიშნავად იცნობს ხალხურ პოეზიას და მარჯვედ იყენებს წინამორბედ მეღიქსეთა მიერ დროთა განმავლობაში შემუშავებულ, სტერეოტიპაქცეპულ გამოთქმებსა თუ მხატვრულ საბერებს. მისთვის ასევე სისხლბოცეულია ქართული კლასიკური პოეზია, მრავალფეროვანი საბუბრივი სისტემითა და უმდიდრესი ტრადიციებით...

საანალიზო ლექსის ყოველ სტრიქონში ჩატეულია იმაზე ბევრად მეტი ინფორმაცია, რასაც მხატვრული ტექსტის პირდაპირი მნიშვნელობით აღქმა იძლევა. პოეტის „ჩამოშორების“ ერთ-ერთი მიზეზი ყოფილა „ქროტიკობის

და მ. ღუღის ზიდიტი გუჯარქილში“ მწელი სათქმელია, რასთან დაკავშირებულ მხატვრულ-და ავტორის ხსოვნის შედაპირზე ეს, ერთი შეხედვით, უბრალო, რაიგითი მკითხველისთვის არაფრისმოქმელი მოკონება. პოეტი ბოლომდე არ შეიჭრავს სათქმელს, არ ახდენს მინიმუმბული ამბისა თუ მოვლენის დეტალიზაციას, თითქოს მსმენელის გამოცდილებასა და ინტუიციას ენდობა, გვაწვდის მხოლოდ ლაკონიურ ცნობას და ჩვეული ძალისხმევით აგრძელებს პოეტურს თხრობას.

ი. წიკლაურის ლექსის მხატვრულ ქსოვილზე ზერტლედ დაკვირვებაც ნათელყოფს, რაოდენ მკიდროდ იყო დაკავშირებული მისი პოეტური მეტყველების სტილი და მანერა ხალხური პოეზიის უღრმეს ფენებთან. ნათქვამის დასტურად რამდენიმე პარალელს მოვიხიბთ: „ბეჭბუქის გავრთუტრებაში, ნათობამ ნალე ბიკამა“ (ხალხური: „ჩაგკიდეტ ბეჭბუქიანსა...“ „ოთხს შაანათებს ნალსა...“); „მხრებამ ღის ტბაში შესვლაში, შაჩქეფთამ სიმურისამა“ (ხალხური: „სიმურთი აშაიჩქეფთა...“); „წინითი გამათუვენეტამა, პირქერა წვრილშაღლისამა“ (ხალხური: გუღსუწადანოდ დაუთვენეტალო...“); შეგველო აქვე მიგვითხიბინა ლექსში ჩართული რამდენიმე მომენტის („ციცკარა-გამბის ნახვა“, „კლდის ეხში ჭიხვთ მწვემსა ქალის შამაციუნება“) ფოკლორულ ძირებზე, მაგრამ აშგვარი ექსტურსები ერთობ შორს წაგვიყვანდა...

ქართულ ზეპირსიტყვიერებაში გვხვდება ლექსები, სადაც საუბარია „მთის წვეთი მავალი“ არწივისა და „უწურთნი“ კი უმის მიერ ერთურთის გატანასა და მიგობრობაზე. ერთი ასეთი ლექსთაგანია „ველგუტა ბუშაიშვილი“. ანონში ავტორი ყოჩანს ცეთობა, ჭარის ბოლოს ხომ არსად უნახავს „ბუშაიშვილი ხარი“. ყოჩანი პასუხობს: „ეანხე დ ქვედ შამაწონა, დიდიდნ სხდომიუვენეს თვაღნიო, საჭმეღად ვეღარ ჩაუღდა არწივის ეფარნეს მხარნიო“. დაამლოებით ანალოგიური განწყობილებასა ხალხური ლექსი „რეკოთ ქარული“, სადაც ხალხამო ძილს დაენებებელი, ბეჭებში მწეჩამდგარი ვაყციას საჭმელად ჩასულ ყოჩანებს არწივები „უშქენენ“. მონადირე და არწივი ერთმანეთს უყოფენ ნადავლს, ერთის ნანადირევში მეორესაც უძიფენ წილი.

ივანე წიკლაურის ცუთვნის ლექსი „კლდეში დაგვივს ქორები“, რომელშიც ფრთაშეკრულ მხარცვერანს მონადირე ასე მიმართავს: „ჩავიდეო, მოგცემ ნაწილსა, მე შეტსა არ წავიტიცანაო, შენის მოკლულის ნაწილი მეც უნდა მომიტანაო“... ე. წ. თემატური თეოთგამორების გზით ი. წიკლაური ქმნის ადრე ნათქვამის თავისებურ ვა-

რაცაიას: „ხარდაღის გავორებამა, ჩაჭახტუხებამ რქისამა, არწივის ჩამოქროლამა, წადებამ წილკერძისამა...“

გადგარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ ი. წიკლაურმა არწივისა და კაი ყმის შეგობრობის ფულკორული მოტივი ახალი ნიუანსებით შეავსო და ღირსეულად გააგრძელა ძველ შედეგსეთა პოეტური ტრადიციები.

ხალხური ლექსების აბსოლუტური უმრავლესობა, როგორც წესი, უნარობრივი განსაზღვრულობით ხასიათდება. ამისდა მიხედვით ზღედა მათი დაჭრუფება და გაერთიანება ცალკეულ თემატურ რკალებად. „სიზმარში მკითხის ამაზი“ ამ მხრივაც საზგასმულ თავისებურებებს ავლენს. დომინანტი მოტივის არსებობა მასში თითქმის არ შეინიშნება. ნაწარმოების კომპოზიციას ერთგვარად კრავს თავსა და ზოლოში სწორფერის ხსენება, სწორფერისა, რომლის მშვენიერი ხატება ძილშიც არ ასვენებს პოეტს („სიზმარში მკითხის ამაზი დღელამა გაბურჩისამა, მკვდარსამა, ვერ დავიწყებ ხელმე, რომ მოცდარჩის წილისამა“).

ი. წიკლაურის თქვამებუარცკლოვან საზომზე გაწოზბულ ოთხმოციოდე ტაქში ნაჭვევებია ავტორის მიერ სიუჟაწილიდან სიბერედე გვლილი გზის უმთავრესი მოწვევები, თანმხლები შექჩარდილებითა თუ ხალხოზა-სიზარულით.

მოგონებათა სიზრავლიდან ავტორი არჩევს ყველაზე მთავარს, არსებობს და სულ რამდენიმე ტყვიად შტრიხით აცოცხლებს გარდასულად, ისტორიის კოფინილებად ქცეული სიზამდევილის მკაცრ სურათს: „ქისტეთ ომიკში მისვლამა ზედ მთვარის დგომამ მცხრლისამა, ზუესავით ტყვიის მამლამა, კივილიმა ქისტებისამა, მამდგარსამ დასწროზაზუდუბაგბუგმა ნაგნებისამა, წინითი გამაფშენეტამა პირქერა წვრილიმადლისამა“. განწყობილებათა მოულოდენლად გრადიციები, მჭედე და ზავერდოვანი ფერების მონაცვლიობა, მოვლენათა რეალისტურ აღწერასთან შეხამებული ლირიკული წიადსვლები ოდნავადაც არ ანელებს სტრიქონთა რიტმულ ექსპრესიას.

„სიზმარში მკითხის ამაზი“ გამხელილი ტკივილების გარკვეული ნაწილი განზოგადებული ხასიათის მატარებელია. „...ჩაკროზბა, ჩანაცრებამა უყვლია ჩემმეგობრისამა, ჩემდროში გადაქსაქსვამა ნარჩევის ქაღვადისამა, ჩემმარტუანის დარჩომამ, ჩამოთერებამ თმისამა, კაი დროების წასვლამა, ვერ მოსვლამ უკითხისამა...“ წარმოუდგენელია, ეს მარადიული პრობლემები სხვასაც არ აწუხებდეს, სხვის-

თვისაც არ იყოს, დიდი ილიას სიტყვებით რომ ვთქვათ, „საჭირბორტო და წყვეტარწვევანი სკიოთხავი ამ უთავბოლო და უსწორმასწორო წუთისოფელში“.

რას ეუნნება მასობრივ მკითხველს კონკრეტულ პიროვნებათა — დიკონთ გიორგი, ტოლხეშო მინა, უთურგათ ჭურბა — ლექსში ხსენება? დაგვეთანხმებით, რომ ბერს არაფერს მგარამ ავტორისთვის თითოეული მთავანის მოგონებას რეალური საფუძველი გააჩნია.

დიკონთ გიორგი, პოეტის თანასოფელი და უახლოესი მეგობარი, მთელი კაცის კვლობაზე, მდიდარი და საინტერესო ბიოგრაფიის მქონე პიროვნება ყოფილა. ერთხანობას „მუშეფაში“ უსწავლია; უმზახურია პასუხსაგებ თანამდებობაზე დუშეთის რაიკომში, კლექტივის თამაქლიმარედ — ბარისაოში. მოსწერენ ახასიათებენ, როგორც პირდაპირსა და პრინციპულ პარტიულ მუშაკს... განუტრნელი სენით დაავადებულს აღსასრულის წინა წუთებში ექიმებისთვის საყვედური უთქვამს: ტატომ აღრევე არ მოხსარიო, მოურჩენელი ავადობა რომ მჭირბა, სიცოცხლის დარჩენილ ნაწილს ჩემი ხალხისთვის სასიკეთო საქმეს შევწირავდიო...

მეტი სინათლე რომ მოვლენათ სოქმელს, ბარემ აქვე დავძენთ: ბედის ქროლვამ და ცხოვრების სხვადასხვაგვარმა პირობებმა ერთმანეთს დააშორა სიურმის მეგობრები. 1852 წლიდან ივანე წიკლაური წითელწყაროს რაიონის სოფელ არხილოსკალოში ცხოვრობდა და აღზათ ზშირად ნატროზა ზოლედ დუშეთში შურო დიკონთ გიორგისთან შეზვედრს, მისი ჭკიანური სიტყვა-პასუხის მოსმენას... და აი, მოზდა ისე, რომ დაუნდობელი სიყდილის ლანდთან მოპაქტრე კაცს, ვისაც კაი ხნის უნახავი მეგობრის გამოჩენა ცოტათი მიინც შეუმსუბუქებდა აგონიას, იმედ არ გაუმართლდა — მამუტაო ივანემ, ღმერთმა უწყის, რა მიწუნის გამო, ვერ მოახერხა ავიდმყოფის მონახულება, რამაც წლების შემდგომ დაგვიანებული რექვიემივით გაიხმანა მის შესანიშნავ ლექსში: „ვერ ნახვამ სიკვდილის დღესა დიკონთ გიორგისამა, იმისგან თვალით ქერამა ჩემ მისავალი გზისამა, ჩემგან ვერ გამართლდება ნაქონის იმედისამა...“

პოეტის დაბერების მიწუთა შორის დახაბელებულია ტოლხეშო მინას მიერ „ვერზვის ხისგან გათლილი ჩონჭონი“.

ტოლხეშო მინა, თავის დროზე თვითონაც კარგი შედეგსე, ცხოვრების სიმწარენაგემი, მაგარამ მიინც გაუტებელი კაცი, ივანე წიკლაურის რომანტიკული თავგადასავლებით სავსე სიკბაუკის ღირსეული „მეტრ-მოყვარე“, რომელსაც უთურგათ ჭურბასთვის უსახლოებია თვითონავლავი ფანდური, შენს გარდა ამას ვერავინ მოიხმარებსო... უთურგათ ჭურბა, ნიჭიერი მოქმელი და მოხრობელი (სხვათა შორის,



მისგან ჩაწერილი მითოლოგიური მასალები გამოკვეთნებულია ქართული ხალხური პოეზიის პირველ ტომში, სხვასთან ერთად, მშვენიერად ასრულებდა თურმე ი. წიკლაურის ლექსებზე შექმნილ სიმღერებს... და ისიც წავიდა... დროის დინებას ვაჟუვა და გაფერმკრთალდა მელექსეობის ძირძველი ტრადიციები, შეცოცხდნენ ზარის ზმინი ფანდურის ხელმარქვე ოსტატები, მიწამ ჩიხვია სვილისფერი ვაჟაკები, საბედისწერო ბზარი გაჩნდა ბევსურეთის საკრალურ უოფაში, განახლებული ცხოვრებისთვის შეუსაბამო მოვლენებთან ერთად ვადაშენების საფრთხე დაემუქრა შამა-პაპათა არაერთ საჭირო და გამოსადეგ წეს-ჩვეულებას... უოფელივე ამას საღად შოაზროვნე ადამიანის ფხიზელი თვალით ხედავდა ივანე წიკლაური და ცხადია, მტკივნეულად განიცდიდა მეგობრების „ჩაქრობა-ჩანაცრებას“, „ნარჩევი ქალ-ვაფის გადაქსაქსვას“, „კვი დროების წასვლას“ და მარტოდ დარჩენას...

ლექსის ბოლო ნაწილს, სადაც ეს ნაღვლიანი ამბებია გამოცემული, შინაგანი სუნთქვა და განწყობილება სამგლოვიარო პოეზიასთან, სახელდობრ, ე. წ. მოსაგონარი ლექსების ციკლთან აახლოებს, თუმცა ი. წიკლაურის ნაწარმოები აქაც ნაწილობრივ წააგავს თავის ხალხურ „პროტოტიპებს“...

„სიზმარში მკითხის ამბავი“ შეხმიანებაა სწორედ იმ ძვირფას, დედის კალთასავით თბილსა და მახლობელ სამყაროსთან, რომელიც

ათასში ერთხელ და ისიც სიზმრადღა... თუ გამოცხადება რომის მტკივნეულ წულქეს ნაპირებიდან შირაქის ველზე ჩახაზლებულ ადამიანს.

ივანე წიკლაური ძალდაუტანებლად იურებს და იმორჩილებს საჭირო, კონტექსტისთვის შესაფერის სიტყვას თუ გამოთქმას... ლექსის მუსიკალობას განაპირობებს დახვეწილ სტრიქონთა ალიტერირება: „ფხიჭუს ფხვრიალით რბოლაში ცხენისამ ნაქერლი სანა, ბექა-ბუქის გაერთფერებაში, ნათობამ ნაღვლისამა“, ანდა: მხრებამ დის ტბაში შესვლაშია, შირქვეფამ სიმურთსამა...“

ბარუქას (სასაფლაოს ჰქვია არხოტში) დაბინებულ ორმოცდობრი წლის სწორფერთან დიალოგი (ამგვარი კვალიფიციაციაც შეიძლება მიეცეს ი. წიკლაურის ამ ნაწარმოებს), მიუხედავად იმისა, რომ მასში ბევრი რამ არის ფოლკლორული, „შინაც ვანაღვლეებით დგას, ვინაიდან ასეთი სტრუქტურის მქონე ლექსი არც ქართულ ხალხურ პოეზიაში გვხვდება და არც ლიტერატურაში“ (ალ. ჰინჭარაული, ვ. კობეტიშვილი, კი უმა, „ლიტერატურული საქართველო“, 4. XII, 1981).

ივანე წიკლაურმა „თავმარტოდ ნაფიქრალი“ „ხალხის საგონად“ (მისივე ნათქვამი რომ ვაგაფეროთ) აქცია და საყუთარი შემოკმედებითი პრაქტიკით დაამტკიცა, რომ ზამთრული ღაღადისის გარეშეც შეიძლება მსმენელთა თუ მკითხველთა სერთო სიუვარულის მოხვეჭა, თუკი ბუნებით ნამდვილი პოეტი ხარ.

## ეპითეტი აკაკის პოეზიაში

პოეტური მეტაფორების საშუალებათაგან, ეპითეტი ერთ-ერთი ყველაზე უძველესი, ქმედითი და გამჭლეა, ეპითეტის მეტაფორული ბუნება იმთავითვე გარკვეულია და ეს განაპირობებს მის უდიდეს როლს, ლექსის მხატვრულ ძალას და შემოქმედებაში რომ ვლინდება.

ეფიქრობთ, ექვს არ უნდა იწვევდეს ცნობილი განმარტება: „...ეპითეტი მუდამ მეტაფორული განსაზღვრებაა, შედარების მარტვე ნიშანს რომ შეიცავს“. (ა. კვატკოვსკი).

ახლა შეიძლება იმის თქმა, რომ ეპითეტი იმდენივე ხნისაა, რამდენისაც თავად პოეზია სწორედ ეპითეტის უძველეს წარმომავლობასა და ცხოველმყოფელობაზე მიუთითებს ა. ვენელოვსკის მოხდენილი გამოათქვამი: „მე თუ ვიტყვი, რომ ეპითეტის ისტორია არის შევუმოულად გადმოცემული პოეტური სტილის ისტორია, ეს არ იქნება გადაჭარბება“. („ისტორიული პოეტია“, გვ. 78).

ვ. ვინჩენსკის საგანგებო სტატიაში („К вопросу об эпитете“) მოატვს ეპითეტის გავრცელებული დახასიათება, ა. შალიგინის „სიტყვიერების თეორიაში“ რომ გვხვდება:

„ერთ-ერთ ძალზე ქმედით საშუალებას, მეტაფორების სურათოვებასა და ემოციურობას რომ აღიერებს, წარმოადგენს ეპითეტი. ასე ეწოდება ერთ ან რამდენიმე სიტყვას, საგნის ჩვეულებრივ სახელით იმ მიზნით დაკავშირებულს, რათა გააღიერდეს მისი გამომხატველობა, ხაზი გაესვას საგნის ერთ-ერთ თვისებას — იმას, რომლის წინა პლანზე წამოწევა ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია, ასე ვთქვათ, შეთხვევლის განსაკუთრებული ურადლებებისათვის არის განკუთვნილი“.

რა თქმა უნდა, ეპითეტის ბუნება, მნიშვნელობა თუ დანიშნულება ამით არ ამოიწურება, მაგრამ აქ არსებით მომენტზე ნამდვილად გასახვილებულია ურადლება. სწორედ „მეტყველების სურათოვება და ემოციურობა“ უფთა.

ვრცის, რასაც თავის ადგილზე გამოყენებული ეპითეტი აღძრავს; აქვე იგულისხმება ჩვენთვის ნაცნობი საგნის ახალი, მოულოდნელი კუთხით ჩვენება. ამდენად, ეპითეტის ძირითადი მიზანი მხატვრულ-ემოციური შემოქმედებაა. არავინ კამათობს იმაზე, რომ ჩვეულებრივ, უბრალო შედარათავე სახელიად მისი მიჩნევა არ შეიძლება.

ეპითეტები თავიანთი სიუხვით წარმოადგენენ ერთ-ერთ სტილისტურ ნიშანთაგანს, ყველაზე მეკეთრად რომ წარმოაჩენენ მწერლის ინდივიდუალობას, ლიტერატურულ მემართულებასა თუ ეპოქას. ყოველ მწერალს მოეპოვება მისი სტილისტური სიტყმის დამახასიათებელი, გამოჩენული საყვარელი ეპითეტები“ (ბ. ტომაშვილი).

ტეშმარტი ლირიკის ბუნების ღრმა ცოდნას ემყარება თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც „...მხატვრული გამოხატვის საშუალებათა შორის ეპითეტი ჩამოუვარდება ავტორის მეტყველების უშუალო, ინტონაციურ წყობას, მაგრამ იგი მაინც სიტყვიერი ხელოვნების ძალზე ქმედითი, შთაბეჭდავი ხერხია“. (ვ. როდესტკევი).

აკაკი წერეთლის მრავალი ლექსი გამოდგება იმის მავალითად (ასეთი შემთხვევები ნაშრომის წინა თავში განვიხილოთ), თუ როგორ შეუძლია ნამდვილ, უმაღლესი შთაგონებით განათებულ პოეზიას ყოველგვარი ეპითეტის გარეშე მოახდინოს უაღიერესი შთაბეჭდილება. ასეთ ღროს, როგორც წესი, გადამწყვეტია სწორედ ავტორის მეტყველების უშუალო, ინტონაციური წყობა“.

ეპითეტი ცალკე, განკერძოებულად არ არსებობს; კონკრეტულ საგანს თუ მოკლენას უკავშირდება და იმდენად ფასობს — რაოდენ შთაბეჭდავია, რამდენად ზუსტად, ისტატურად არის შერტეული.

სიტყვათა დაწყობება, ერთმანეთთან მისა-

დაგება შეუძლებარ აღდოსა და უტუვარ გემონენებას მოითხოვს. ამ აზრს გულისხმობს ფრანგი მოაზროვნის ე. ფუბერის „დელორტების“ შემდეგი ფრაგმენტი: „უოველ სიტყვას აქვს ერთადერთი წერტილი, გამოძახებს რომ პოვებს მის მომხმანვე სიტყვაში. ამიტომაც დიდ მწერალს უფრო ესაჭიროება გამჭრიახი გონება და წომიერების გრძნობა, ვიდრე დიდ ფილოსოფოსს“.

სიტყვათა შეწყვილება აქ იმდენად გვანტიერებს, რამდენადაც საქმე წესტი, მოხდენილი ეპითეტის შერჩევას შეეხება.

ეს რომ უმაღლეს ოსტატობას საჭიროებს, კარგად ჩანს თუნდაც მარტინ ოპიცის ტრაქტატოიან „წიგნი გერმანულ პოეზიაზე“, სადაც ხაზგასმით არის აღნიშნული:

„შე მინდა მხოლოდ შევახსენოთ, რომ უმარველეს უოვლია, აუცილებლად უნდა იქნეს ათვისებული უველაზე დიდი ხელოვნება — ხელოვნება ეპითეტების გამოყენებისა: ჩვენ ქარ კიდევ ძალზე გვაკლია ეპითეტები, მეტწილად ისინი ბერძნებისგან და ლათინთა ენისგან უნდა ვისესხოთ; ეპითეტი ისეთ ლაზის აძლევს პოეტურ ქმნილებას, რომ, მაგალითად, სტენიორე ეპითეტთა უნარაიანად გამოყენების გამო ერთ-ერთ საუკეთესო პოეტად ითვლებოდა“.

იგივე ოპიცე მოწეროსის სიდიადის ერთ-ერთ ნიშნად ხამართლიანად მიიჩნევს ეპითეტების შერჩევას ხელოვნებას და თუცა ეს ისედაც ნათელია, ხამისოდ სტრაბონის ავტორიტეტს აშუულოებს:

„სტრაბონი ზოტბას ასხამს მოწეროსის იმის გამო, რომ მან გულმოდგინედ შეისწავლა უოველი ზაგნის თვისება და ერთხელ და სამუდამოდ შეერჩია მას უკიდურესად წესტი ეპითეტი“.

ცხადია, აქ იგულისხმება ე. წ. მუღვივი ეპითეტები, ასე უხვად რომ გვხვდება მოწეროსის პოემებში. ამ შემთხვევაში ეპითეტს, რომელსაც დიდი შემოქმედის ბეჭედი აწებს, გაცვეთა, გარუასურება ნაკლებად ემუქრება — იგი გარკვეულ ეპოქას, კონკრეტულ ნაწარმოებს უკავშირდება.

მოწეროსის სტილის ერთ თავისებურებას, „შენელების“ მოშენტს როცა ტყება, ე. აუტრბახი მოითითებს ამ სტილის დახმასათებელ ნი. შანზე — უოველივე ნახსენებს მალსტატური ფორმა მიეცეს. ასეთ ტიპურ წიაღსვლად მიანია მას ეპიზოდი, სადაც მოთხრობილია ოდიხევის ტრილომაზე. თხრობის, აღწერის ბუნება თავისთავად მოითხოვს სხვადასხვა სტილისტური ელემენტების გამოყენებას, რომელთა შორის ეპითეტი ერთ-ერთი უმთავრესია. მკვლევარი აღნიშნავს: „თუ გმირი პირველად გამოედის სცენაზე ან დასაბუღებულია ახალი ნივთი, მჭრედი, რაიმე სახმარი საგანი, თუნდაც ვა-

ცხარებული ბრძოლის დროს, მოწეროსი დაუყოვნებლივ აღწერს უველაფრის გარგნულ სახეს, მოგვიხრობს, სადაურთა გმირი, ვინ და როგორ გააკეთა ნივთი, თუ ღმერთი გამოჩნდა, მოგვიყვება, სად იმყოფებოდა იგი მანამდე, რას აკეთებდა იქ და რანაირად მოვიდა აქ. თვით ეპითეტებიც, როგორც შე ვფიქრობ, ბოლოს და ბოლოს ამ პოეტურმა საჭიროებამ წარმოიშვა — უოველი მოვლენა ნათელი, გრძნობად-კონკრეტული, თვალსაჩინო იერით იქნეს წარმოსახული“.

თავდაპირვლად, მეცნიერული სიფრთხილით გამოთქმული ეს საუბრადღებო თვალსაზრისი ეპითეტის გაჩენის საჭიროებაზე ეჭვს არ უნდა იწვევდეს.

შემოქმედის ფანტაზია ლაღი და შეუზღუდავია, მაგრამ ეპითეტის პოვნა მკაცრ კანონებს ექვემდებარება და აქ თვითნებობა, საგნისადმი ზედპირული მიდგომა მხოლოდ ზიანს მოიტანს.

სტილის ისეთი ვიკრუოზი, როგორც ფლობერი იყო, ეპითეტის გამო არჩევს ლეკონტდე ლილის „წინაღებს“ (წინადაც „ხარბაროსული ლექსები“) და იწუნებს ეპითეტის მეშვეობით შემწილ ერთ სახეს — „ზოლებიანი მეფე“ — ვეფხეს რომ გულისხმობს:

„ზოლებიანი მეფე — ერთმანეთთან შეუთავსებელი ცნებების ხელოვნური დაკავშირება; მეფე (მეტაფორა), ზოლებიანი (ტექნიკური სიტყვა). თუ შთავარა იღდა არის მეფე, უნდა შევარჩიოთ მეფის იდეიდან გამომდინარე ეპითეტი. თუ პირქით, უურადღებას ვამახვლებთ სიტყვაზე ზოლებიანი, მაშინ უნდა მოგვეძებნა არსებითი სახელი, რომელსაც რაიმე მიმართება ექნებოდა ზოლებიანი და ვეფხვისათვის გვეწოდებინა ისეთი რადიკის სახელი, რასაც ბუნებრივად ექნებოდა ზოლება. მეფე კი არ არის ზოლებიანი“.

ეს შენიშვნა შეგვახსენებს, რა სიფრთხილდ მართებს პოეტს ეპითეტის გამოყენებისას, რამდენი რამ უნდა გაითვალისწინოს, რათა მის მიერ შერჩეული სიტყვა წესტი და გამოხმატველი იყოს, დასაბუღ მიზანს აღწევდეს.

აქვე გვინდა შევჩერდეთ ეპითეტთა წარმოშობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროზე. XVIII საუკუნის ინგლისის აღწერილობით პოეზიას, კერძოდ, მელტონის თეთრ ლექსს როცა ეტებიან, რ. უელცი და ო. უორენი აღნიშნავენ პერიფრაზა სიჭარბეს, რაც გავლენას ახდენს ეპოქის სტილზე. ეს გარკვეულ მსოფლმხედველობას, საშუაროსადმი შემოქმედის ფილოსოფიურ მიდგომას უკავშირდება. ნაწარმოების მხატვრული ანალოზი ჩვეულებრივ გვარწმუნებს, რომ სტილი და შინაარსი ერთმანეთთან მჭიდროდაა დაკავშირებული. მკვლევარები ურადღებას ამხვილებენ იმ სასურველ შედეგ-

ზე, „როცა საშუალება გვეძლევა დავადგინოთ რომელიმე გამართიანებული პრინციპი, გამოვავლინოთ ესა თუ ის საერთო ენოტიკატორი ამოცანა, რომელსაც წაწერების უკვლეა ელემენტები ემორჩილება“. (ს. უილიკი, ო. უორენი). ამჟერად ჩვენ პერიფრაზთა სიჭარბე და ამისგან გამომდინარე შედეგები უფრო გვიანტერესებს;

„ლექსიკურ საშუალებებს თან მოსდევს პერიფრაზი, ხოლო პერიფრაზი, თავის მხრივ, სიტყვა და სავანს შორის წარმოშობს განსაკუთრებულ მიმართებებს: აღსანიშნე არ არის დასახელებული, მაგრამ მითითებულია მისი თვისებები. აღსანიშნის თვისებებზე უფრადლების გადატანას და მათს ჩამოთვლას მოჰყვება აღწერა, ხოლო XVIII საუკუნისათვის დამახასიათებელი ბუნების აღწერის განსაკუთრებული ხერხი განსაკუთრებულ ფილოსოფიურ თვალთხედვას ითვალისწინებს: კონსტრუქცია წარმოშობს აზრს“. (იქვე).

ცხადია, როცა ობიექტი, საგანი უშუალოდ ნახუნებია არ არის და მის წარმოსახუნად მისსავე თვისებებზეა გადატანილი უფრადლება, პოეტი მიმართავს აღწერას, ხოლო საამისოდ ერთ-ერთი უკვლეზე მარჯვე საშუალებაა ეპითეტი.

ეს არ ვახლავთ მშრალი, ჩვეულებრივი აღწერა, არამედ ისეთი, რომლის წყალობითაც ადამიანი, ოსკარ უაილდის სიტყვებით რომ უთქვათ, პოეტი ხდება. ეპითეტს რაც შეეხება, უაილდს მის უმთავრეს ღირსებად ტყვეობა და სიზუსტე მიაჩნდა.

XVIII საუკუნე შემთხვევით არ ფიგურირებს ადრე მოტანილ ციტატაში. ამ თვალსაზრისით ევროპის ქვეყნების ლიტერატურებს ბევრი აქვთ ერთმანეთთან საერთო.

XVIII საუკუნის რუსული პოეტური ფრაზეოლოგიის მანალიზი პერიფრაზებია და აღწერის — შეტაფორული შესიტყვებების უაღრესად მრავალფეროვანი და ინტენსიური გამოყენების მაგალითებს ავლენს. ამ სახეობრივი სისტემის საფუძვლად ორ მთავარ წყაროს ასახელებენ — რუსულ რიტორიულ ლიტერატურას და ფრანგულ კლასიციზმს. (ა. გრიგორიევი).

კლასიციზმს წინ უძღოდა ბაროკოს ეპოქა, სადაც ასახვის პრინციპი კიდევ უფრო გართულბულ სიტყვიერ ხერხებს მოითხოვდა.

აღწერილობას აქ შეტი ვასაქანი აქვს: „საგანი პირდაპირ კი არ არის წარუენები, არამედ არაპირდაპირ, გაშუალებულად ეძლევა მკითხველს. მთლიანი სურათი მის სხვადასხვა მხარეთა ცალკეული აღწერილობებისაგან იქმნება“. (ლ. საფრონოვა).

აღწერის ენათესავება პერიფრაზი, რომელსაც იგივე ფუნქცია აქისრია, მაგრამ ბევრად კონკრეტული და მოქნილია, ჩვეულებრივ, ერთ გა-

მოთქმაში, ერთ პოეტურ ხავეში თავსდება. სხენებულ ეპოქაში, აღწერის გვერდით, სრულიად ბუნებრივია პერიფრაზის სიჭარბე:

„ბაროკოს მწერლები, დრამატურგები და პოეტები იყენებენ პერიფრაზებს, რომლებიც აღწერებისაგან განსხვავებით უფრო შეუქმუნლნი არიან, მაგრამ ხასიათით გვიან მათ“. (იქვე).

პერიფრაზები, შეტაფორის პრინციპზე დამყარებული სიტყვა-თქმანი, როგორც ცნობილია, პოეტური ენის გამდიდრების ერთ-ერთ უკვლეზე ელემენტურ და ქმედით საშუალებებს წარმოადგენენ, მაგრამ ხშირი გამოყენების გამო მათ გაცვეთა, ტრაფარეტად კლიშეად ქცევა ემუქრება. აქ დიდი მნიშვნელობა ენიჭება თვით შემოქმედის ინდივიდუალობას, მის უნარს, თუ რამდენად ზუსტ ადგებს მოუქმენის გარდასულ ეპოქათა და სტილთა ნიშნით აღბეჭდილ შესიტყვებებს.

პოეტური ტრადიციების ათვისებასა და მათი მოდგომაში სრულიად განსაკუთრებული პუშკინის როლი. საუკველთაოდ ცნობილია ის ტიტანური შრომა, რაც პუშკინმა რუსული ხალიტერატურა ენის ჩამოყალიბებასა და საკუთარი რეალიტური ენობრივი პოლიციის შემუშავებას მოახმარა. მიუხედავად იმისა, რომ პუშკინის პოეზიაში აშკარაა კლასიციზმისა და რომანიტიზმის ელემენტები, ამას ზელი არ შეუშლია, შექმნა თავისი, უკვლასაგან გამორჩეული სტილის მთლიანობა.

პუშკინი, როგორც არაერთხელ აღუნიშნავთ, სრულბითაც არ ერთადებოდა ქველი ტრადიციული ტროპების, კერძოდ, ეპითეტების გამოყენებას, მაგრამ მათში მოვლოდენულ, ახალ შინაარსს დებდა ხოლმე და მოედ სახეს ახლებური განათება, უდიდესი ცხოველშეყოფლობა ეძლეოდა.

პუშკინის მაგალითს ასე ხშირად იმიტომ ვიშველიებთ, რომ აკაკი წერეთელი სიტყვისადმი თითქმის ასეთსავე მიმართებას ამუღვენებდა. პუშკინისა და სხვა დიდი პოეტების მსგავსად, მანაც შესისხლბორცებული ჰქონდა უცილობელი ტემპორიტება:

„პოეზიის, განსაკუთრებით ლირიკის, ზელოვლება ის კი არ არის, არამედულებრივი სიტყვები მოიგონო, არამედ ის, რომ უკვლად ჩვეულებრივი გამოთქმა აზრითა და გრძნობით აღსავსედ აღიქმებოდეს“. (ა. ჩიჩერინი).

შომეროსის ეპოსის ანალიზის დროს, მნიშვნელოვანი დასკვნები რომ გამოეტანათ და გამოათა ნამდვილი ბუნება შეეცნოთ. სოფისტები, უპირველეს ყოვლისა, ეპითეტს ეწყობოდნენ, შომეროსის პოეტტიდან გამომდინარე, მის თვლიდენ ამოსავლად. მათ შორის გამართულ კამათში ის იმარჯვენდა და მისი მწველობა იყო უფრო თანმიმდევრული და დასასურებელი, ვიდე სწორად ჩაწედებოდა შომეროსის მიერ

გამოყენებული ეპითეტის აზრს. ამ მხრივ საგულესხმოა სოკრატეს მოწაფის, ანტისთენეს დაკვირვება, რომელმაც ოდისევსის ერთ-ერთ ეპითეტს ეტიმოლოგიურად სულ სხვა, ტრადიციულ გაგებასთან დაპირისპირებული ახსნა მოუძებნა, რის შემდეგაც ახლებური, უფრო კეთილშობილური კუთხით წარმოჩნდა გმირის ხასიათი.

მხარად ეპითეტე ავტორის ჩანაფიქრის, ნაწარმოების დედააზრის გაგებაში გვეხმარება, იმდენად დიდია მისი როლი.

მაგალითად, პუშკინის გენიალური პოემა „ბრინჯაოს მხედარი“ მრავალპლანაა, რთული შინაგანი სტრუქტურის მქონე ნაწარმოებია და ერთი შეხედვით უმნიშვნელო დეტალი მის მთლიანობას აღსაქმედად აუცილებელი ხდება.

ამ მხრივ საგულესხმოა პოემის მთავარი გმირის, ევგენის ეპითეტე — „შეშლილი“ („разумный“), რაც თითქმის უბრალო ზედსართავ სახელს წარმოადგენს.

მართალია, ევგენი, როცა მისკენ გამოქანებული „ბრინჯაოს მხედრის“ ბუნების ხმა ჩაებნის, გულგახეტობილი გარბის (იგი ამ ავადმყოფურ ჩვენებაში შეეცა ბეუაზე, ნევისგან გაპარტახებული კარ-შიდამო და საყუთარი ოცნების მსხვერცვა რომ იხილა), მისი შეშლილობა კულმინაცია აღწევს, მაგრამ ეს ეპითეტე საბრალო ჩინოვნიკის უაზრო ამბობის, პეტრეს გიგანტურ ფიგურასთან მისი შეუსაბამო დაპირისპირებისა და მუქარის გამო უფროა გამოყენებული.

სამართლიანად მიიჩნევენ, რომ პეტრე დიდის „ორსახოვანა“ (ახალი რუსეთის აღმშენებელი და სასტიკი მონარქი) ყველაზე რელიეფურად პუშკინმა „ბრინჯაოს მხედარში“ გამოხატა.

პუშკინი, როგორც ცნობილია, უზომო თავიანთ სივრცეზე პეტრე დიდის პიროვნებას, რუსეთის სახელმწიფოს განვითარებაში მის კოლოსალურ ღვაწლს, მაგრამ ამასთანავე იგი „...იყო ამდენადვე მტიციე მოწინააღმდეგე იმავე პეტრე დიდის მიერ დანერგული რუსული თვითმპყრობელობის დესპოტიური და არადაპირისპირი ფორმისა“. (ნ. ვ. იზმაილოვი).

მკვლევარებს შეუშინებელი არ ღარჩენიათ, რომ პოემის ვარიანტში, პირველი ნაწილის ბოლოს, სადაც ხელგაწვდომი ბრინჯაოს ამკრატორი აფოფრიდ ნევის ემუქრება, მდინარის ეპითეტად გამოყენებული იყო „აქანებულნი“ და მას შეენაცვლა „შეშლილი“. აშკარაა, აქ აღნიშნული სიტყვები პუშკინს თითქმის ერთმანეთის ტოლფარად, სინონიმებად მიაჩნდა.

ნ. გვი აღნიშნავს, რომ „...ამ შემთხვევაში არსებითაა ევგენისა და წყალდიდობის „შეშლილობის“ პარალელურობა, მათა მოულოდნელი კავშირი თვითმპყრობელობის ურყევი წესწესობილების წინააღმდეგ აქანებაში“.

ევგენის უღონო გულისწყურება „ნაზვარი მსოფლიოს მპყრობელი“ დესპოტი შევის წინააღმდეგ არის მიმართული, ხოლო გამოვლენებული სტიქია — წყალდიდობა პეტრეს ქმედებას, მის პირში ქალაქს ატყდება თავს, მაგრამ საბრალო ევგენისაც იმხვევრებებს.

მითითებულ გამოკვლევაში ნაჩვენებია, თუ რა დიდი აზრით ტვირთავს, როგორც პოლიტიკურ-მანტურობას ანიჭებს პუშკინი ისტორიულად მშობლარ სტიქიურ უბედურებას — წყალდიდობას და რაოდენ დახმარებას გვიწევს ერთმანეთთან დაწყვილებული და ამავე დროს დაპირისპირებული ხატების წყდამაში ჩვეულებრივი, ყოველგვარ გარეგნულ ეფექტს მოკლებული ეპითეტე. (ნ. გვი).

ეს დეტალიც კმარა იმის ნათლესაყოფად, რომ ეპითეტის გამოყენების ხელოვნებაში პუშკინი შეუდარებელი იყო და ტყუალად არ უწოდებდა იგი ეპითეტს „პოეზიის სულს“.

ეპითეტის ბუნებაზე მახვილგონივრული და სანიტერესოა აღფონს დოდებს აზრი. თვით მსჯელობის მეტაფორულობა შეტ სიქვეთრეს, დამატებლობას აძლევს ავტორის შეხედულებას:

„რა უნუგეშოდ მოწყენილი უნდა იყვნენ საუყურეთა მანძილზე ერთსა და იმავე სახელმითან დეკავშორებული ზედსართავების ცუდ მწერლებს არ სურთ ამის გაგება: გლონია; რომ შეწყვილებული სიტყვების გათიშვა შეუძლებელია. ზოგიერთები ისე წერენ, არც წითლდებინ: „საუტუნოვანი ხეები, მელოდორი ბგერები“. სიტყვა „საუტუნოვანი“ არაფრით არ არის ცუდი, მაგრამ სცადეთ და იგი სხვა სხვებითმთან დააწყვილოთ: „საუტუნოვანი ხავსი“, „საუტუნოვანი ბაღები“ და ა. შ. როგორც ვხედავთ, კარგად შეეწყვენ ერთმანეთს.

მოკლედ რომ ვთქვათ, ეპითეტე — შეყვარებულია და არა კანონიერი ქმარა არსებითი სახელობა. სიტყვებს შორის დროებითი კავშირი უნდა იყოს და არა საშუალო შეუღლება. აი, ეს განასხვავებს ბეშპარტ მწერალს დანარჩენებისაგან“.

ამ გამოსათქვამის ძირითადი პათოსი ის არის, რომ მწერლის ენა განუწყვეტლივ უნდა მდგრადობოდეს, შეშოქმედმა გაცუალული გზით არ უნდა იაროს. დოდე აქ, უმთავრესად, პროზას გულისხმობს, მაგრამ სიტყვათა კავშირის მუდმივი განახლება, ნაირგვარი კომბინაციების ძიება, ლექსსაც არანაკლებ მოეთხოვება; თუმცა პოეზიის ენა უფრო ჰგონობს ანეთ კლიშეებს, ტრადიციით განსტყუებულ გამოთქმებს, რომელთაც პოეტე შესატყვის ადგილს უძებნის და ახალ ელერადობას ანიჭებს.

მხარად გამოყენებული, ე. წ. „შუდმივი ეპითეტების“ გვერდით, არსებობს ისეთებიც, ავტორთა ინდივიდუალობის წარუშლელი ბეჭედი რომ აწის და გაშაბლობება ნაკლებად უმტრება.

ამგვარი იშვიათი ეპითეტის მეშვეობით შექმნილი ხატი საშუალოდ არცაა ჩვენს მესხიერებაში და ყოველთვის რომელიმე ავტორის კონკრეტულ ლექსს ეკავშირდება.

მრავალი მაგალითის მოტანა შეიძლება ამის ნათელსაყოფად, თუ რა მომხიბვლელობა აქლევს ლექსს ოსტატურად, წარმოსახვის დიდი უნარით მოძებნილი ახალი ეპითეტი. გავიხსენოთ გალაკტიონ ტაბიძის ცნობილი ლექსის („დაბარუნება“) ბრწყინვალე პოეტური სახე: „გინახათ თქვენ ფერი დაბინდულ კლიავის? ეს ჩემი სამშობლოს მთებია...“ იგივე სახე, თითქმის უწინმართოდ შეცვალა, აღმოჩნდა გალაკტიონის მოგვიანებით დწერილი, აგრეთვე გაზაურებული ლექსის („ქალაქი წყალქვეშ“) უცნობ ვარიანტში:

სად ქლაკისფერ გორებსა და მთას,  
ძველი კედლების ცქერა სწყურია...

(ნოდარ ტაბიძე, გალაკტიონი, თბილისი, 1982, გვ. 286).

ორივეგან ხატი ეპითეტს ეყარება — საშობლოს მთები ქლაკის ფერთან არის შედარებული, მაგრამ პირველ შემთხვევაში ეფექტი განუზომლად დიდია — პოეტმა შედარებულ საგანს მოუძებნა ის ერთადერთი და უიშვიათესი სიტყვა — ეპითეტი, რამაც მთელ ლექსს არაჩვეულებრივი ელფარება შესძინა. ამ ბედნიერად მოგნებულმა ეპითეტმა („დაბინდული“) თავისობრივად შეცვალა სახე, სულ სხვა სიმაღლეს აწიარა. აქ გადამწყვეტი აღმოჩნდა, თუ რასთან რა არის მიყენებული: ვიწროაღურმა სიწუსტემ და სიღამაწემ გასაოცარი პარმონა შექმნა. „დაბინდული“ ამ კონტექსტში შეუცვლელი სიტყვა აღმოჩნდა, მისი წყალობით შედარების ობიექტი ორმაგად განათდა. მსუბუქი, ნაყოფი. სიბერი თხელი მტვერი, ნასლოვან, მოღურჩო იერს რომ აძლევს და ერთგვარად ამქრკალებს შიფი ქლაკის, ზუსტად იძლევა საღამოს პირზე ჩამოქვებული შობილიური მთაგორების ხატს. როგორც იტყვიან, ფერი სწორად დიდლა საგანს, ორივენი ერთ სიბრტყეზე განლაგდნენ. ეპითეტის მეშვეობით შექმნილი ამ ხატის ღირსებაზე კიდევ ბევრი რამ შეიძლება ითქვას; სიტყვის შავით გაცოცხლებული ეს წარუვალი ზოდული მშენიერება იმის წინააღ — ერთ-ერთ კიდევ ვირწმუნოთ პოეზიის მრავალსაუკუნოვანი გამოცდილებიდან და თვით მისი ბუნებიდან გამომდინარე ცნობილი თვალსაზრისი, რომ „...მხედველობითი წარმოდგენები ყველა დანარჩენზე ნათელი და ცხოველმყოფელია“.

(პ. ბოთი).

გაბრიელ გარსია მარკესი ერთ-ერთ ინტერვიუში („ხატი ყველაზე მოაკრია“) უდადეს მნიშვნელობას ანიჭებს ეპითეტის შერჩევის ზედღაცენებს და თქვამს საუბარი პაროზს ეხება,

მწერლის გამონათქვამი თამამად შეიძლება მოეზიასაც მივუყენოთ:

„მე ხალხს ვანკვიფრებ, როცა ვეუბნები, რომ ლექსიკონებით ვმუშაობ, ვიყენებ სინონიმთა ლექსიკონებს. საქმე ის არის, რომ ყველაზე შეტად ეპითეტების გამოყენება — ამაზეა დამოკიდებული, ტექსტი ლიტერატურას ეკუთვნის თუ არა — ეპითეტის ადგილის პოვნა მიძნელებდა“.

ყოცა ქვემოთ კი მარკესი აცხადებს: „...ეპითეტი ვახლავთ ის, რითაც ერთი მწერალი მეორისაგან განირჩევა“. შეუძლებელია რომელიმე ტროპს ამაზე დიდი შეფასება მიეცეს.

აკაკის პოეზიათა შებება ეპითეტით იწყება, პირველი ხალასი შთაბეჭდილება ეპითეტს ეკავშირდება და „ესეც ცხადყოფს, რომ ყველაზე ბუნებრივად და მარჯვედ პოეტი ამ უბრალო, ხალა ბიტყვიერ საქაულს იყენებს“.

ამის ნათელსაყოფად გამოდგებოდა პოეტის ადრეული ლირიკის ერთ-ერთი საუკეთესო ლექსი „სიადუმლო ბარათი“. აკაკი, სათურად გატანდა ეს ჩვეულებრივი, კანცელარიული გამოთქმა უმაღლესი პოეზიის მაღლით შემოხა, სიყვარულის მეტყველ სიმბოლოდ აქცია. ჩვენთვის უცნობი არსებისადმი პოეტის ენებაანი ტრფიალი ამავე დროს უძველესი რაინდული ეტყუტის თავიებური დაცვაა (გავიხსენოთ რუსთაველის: „სიყვარულსა მალვა უნდა...“). აკაკი მიწაწმებითაც არსად არ ამხელს ქალის ვინაობას, არ აღწერს მის გარეგნობას, არ გვაცნობს ნაწერის შინაარსსაც, მხოლოდ გულში ჩაქრულ ამ სანუკვარ ბარათს მიმართავს:

სიადუმლო ბარათი!  
გიობრეს: „ექმენ მარადო  
სიხარულის მიწნივედ  
და სეუღისა ფარადო“.

მიმართვის ფორმა, რასაც ზწირად და ოსტატურად იყენებს ხოლმე პოეტი თავიდანვე ამყარებს ინტიმს და ზელს უწყობს სასურველი განწყობილების შექმნას. სიადუმლო ბარათის არის გადმოსაცემად მომზობილ როულ ეპითეტებს („სიხარულის მიწნივე“, „სეუღის ფარი“) ერთი და იგივე მიზანდასახულობა აქვთ — რაც სიხარულს განიჭებს. ისევე ვიფარავს ხეუღისგან; ხეუღე სიხარულმა უნდა შეცვალოს (აქ შეიძლება გავგაზსენდეს ისევე აკაკის ნათქვამი მწაქველ ამირანზე: „სიხარულად შეიცვლება ამდენი ხნის გასაქირი“). ზემოთ მოტანილ სტროფშიც იყენებს აკაკი თავის საყვარელ კონტრასტს ხერხს, მაგრამ ამქერად ეს დამირსპირება (სიხარულისა და სეუღისა), როგორც ვწახუთ, გაბრუნული, მოიწვენიბითა — ერთად არიან ნახუნები და ერთი ხაგნის ორ მხარეს გამოხატავენ.

უმაწიელი კაცი თვადებს არ უქერებს, უბეში



ინახავს, ცრემლებით აღბობს ნანატრ წერაობს და მისი გამოგზავნის ნაშედეგი ზრახვის შეცნობას ღამობს, თავისი ბედნიერება ეტყევა. პოეტი ბარათს იხე ესაუბრება, როგორც მე-საიდუმლეს, თანამოაზრესა და თანამგრძობს:

ვერა მხედვად მ დუ მარეს,  
ცრემლებს რომ ვლერი მ დუ ღარეს?  
რად არ მეტყვი მის აშხავს,  
ნუგეშს არ მცემ მ წუ ხარეს?

დიდი სიმძაფრითაა გადმოცემული შეყვარებული ქაბუყის ღრმა განცდები, მისი სულიერი მდგომარეობა და ეს ერთი ტიპის უოვლად ჩვეულებრივი ეპითეტებით არის მიღწეული („მოდუარეს“, „მოდუარეს“, „მწუხარეს“); ხაზი აღმავალია — უბნო, სვედიანი გამოშტეტამდე-ბის უმაწვილი ცრემლებს აგრძეებს და ბოლოს, დამწუხრებულად, ნუგეშს ითხოვს.

ასე ზომიერად გამოყენების შემთხვევაში საგნისა და ეპითეტის ინვერსიული წყობა, როცა სახედრების მოხდენს მსაჯდრელი („ცრემლებს... მოდუარეს“) ძალს მატებს სტიქონს, ფრაზის გამომსახველობას აძლიერებს. აქ ისევ მოკვიბდება „ვეუზისტყაონის“ ერთი ფრაგმენტის დამოწმება: „მე იგი ვარ, ვინ სოფელსა არ ამოკრეფს კიტრად ბერად“...

კვლავ საიდუმლო ბარათს დასცქერის პოეტი, აფორაქებულთა, ცდილობს გამოიყონოს — რას უქადის სატრფო, კეთილი თუ ბოროტი სულია დაბუდებული მის არსებაში, რას ფიქრობდა ამ წერაობის წერის ღროს ან მერე, როცა „ფარულად გამოგზავნა“; აქ უკვე ნაშედეგი, გაშიშვლებული კონტრასტი იჩენს თავს:

ანგელოზი სუფედო  
მის გულში თუ სატანა?

თვითონვე პასუხობს ამ კითხვას, თავს იშვილებს, ასეთი წმინდა გრძობის გამედევნებას სატანა ვერ გაბედავდა; ისევ ეფერება საიდუმლო ბარათს, მან უნდა მიანიჭოს სიხარული და ამოროს სევდა.

ამ ლექსის წამყობველი ადვილად ირწმუნებს, რომ „...ღირსებაში ეპითეტა ასრულებს ბეერად ქმედით იდეურ როლს, ვიდრე ეპოსსა და დრამაში, მასში ხშირად იყრის ზოლზე თავს მთელი ნაწარმოების დედაზარს“. (ა. ჩიჩერინი).

ახეთ ეპითეტად ზენებულ ლექსში გვევლინება „საიდუმლო“, თითქოსდა ნეიტრალური, ჩვეულებრივ საუბარში ზმარებული სიტყვა, რომელსაც ავტორმა დიდი ემოციური და აზრობრივი დატვირთვა შესძინა.

ამავდ დროს ეს სიტყვა თვით აკაცისთვის არ არის მთლად ჩვეულებრივი; მასში ბეერად მეტაზრს დებდა (ამაზე წინა თავშიც გვაქვს მინიშნებები), ვიდრე უბრალო წყაობის ღროს

შეიძლება ვიფიქროთ. იდუმალად, საიდუმლოება — პოეტის წარმოსახვაში ძირითადად უკავშირდება პოეზიის მომწესხველ ძალას, ურობლისოდავ ლექსი ლექსი აღარაა, როდესაც ერთი თავისი თანამედროვე მწერლის (ი. ტუონი) ლექსებზე გამოთქვამდა აზრს, აკაც მორიდებულად, დიდი ტაქტით შენიშნავდა:

„აქ ენაც კარგია, ლექსთა წყობაც და აზრიც. გრძობაც არის და გონებაც. ზედავ, რომ დამწერი ტუეონიც არის და ნიჭიერიც! მაგრამ პოეტი ე კ არ არის! აქლია ის საიდუმლოება, რომელიც დამწერსა და წამყობველს შუა საიდუმლოდ გადაქცეულია“. (ხაზი ჩვენია — ე. კ.).

ძნელი მისახვედრი არ არის, რომ „საიდუმლო“ აქ გაიგებებულა თვით პოეზიასთან, მის მადლთან და დაახლოებით იმავედ ნიშნავს, რასაც ლორცა „დუენდეს“ ეძახდა.

ეს ლექსი („სალამური“, I, 87) ადრეც განვიხილეთ და უზრადლება გავამახვილეთ მასში გაცხადებულ კონტრასტზე, რაც, მეტ-ნაკლები სიმძაფრით, აკაცის თითქმის ყველა ლექსში იჩენს თავს.

სალამური, აღამიანის ყოფის შესაბამისად, ორნაირ ხმას გამოცემს: „ტკბილს“, ცის უსასრულობისკენ რომ მიიწევს და „სევდისას“, რომელიც „შავს ქვეყნულში“ აყარგება.

პოეტი იმედსა და სასოწარკვეთას შუა არის მოქცეული; მას პირადი სატკივარი და ცხოვრება არ გაჩნდა; სალამურის კენესა „საქართულოს მწარე მოთქმას“ ახსენებს, ზოლო საამო დუდუნის გავრენებაზე ისევ მშობელი ქვეყნის „მთა და ველი“ ცოცხლებს მის წარმოსახვაში — თვალს მან უკიდუგანო ლეფვარდს ეაღერსება, ხანაც შავად პირდაღებულ უფსკრულს ჩასცქერის.

დამწუხრების ეამს სალამურისადმი მიმართვის ტონი იცვლება, ჩნდება ზემოთ მოტანილი ეპითეტების საპირისპირონი, ბუნებრივად ხდება კონტრასტული წუთილების შეკავშირება-შეუღლებება, რაც უკიდურესი სიმძაფრით წარმოაჩენს საყრავის ორბუნებოვანებას, ორზმინობას. აი, ეს მეორე მიმართვაც:

მე, უ წყალთ სალამური,  
მტირალთ, არ — საამური!  
რად შურს შენი ზმა ეოსმინო  
და ქართლის ბედს მივემდრო?

პოეტმა იცის, რომ ეს დეკვიება წამიერია, რომ სალამური მალე ისევ „ტკბილზოვანი“ და „საამური“ გახდება. ამ ორ განსხვავებულ მანგშიც აკაც წინაპრების, მშობელი ერის „სახიზის და ჩვეულებას“ შეიცნობს. ამიტომაც მის მართავს იგი მწუშის განუშორებელ საყრავე „ქართულად მკენეს, ქართულად სტეენს...“ ჩვენში აკაცის ხშირად ადარებენ მითიურ

ორფეოსს, რომელმაც გარდაცვლილი შეუღლის სანახავად და სამწეოზე ამოსაყვანად სიციცხლემდე მოსილა ჰადებს.

აქაც პოეზიის ზოგიერთ არსებით ნიშან-თვისებებთან ახლოა ის ვაგება, რაც ორფეოსის სახეს დღემდე გერმანულმა ლირიკოსმა რაინერ მარია რილემე მიანიჭა:

„სამყაროს ტემშარიც გარდაქმნილის სიზბოლო რილესათვის ორფეოსია, რომლის მიეთურ სახეს იგი თავისებურად იაზრებს „ორფეოსისადმი მიძღვნილ სონეტებში“, რათაც ორფეოსის ახალ მთის ქმნის. ორფეოელი მითის ის მოტივი, როგორცაა ორფეოსის სიმღერის ძალა ზესკნელსა და ქვესკნელზე, რილესათვის ამოსავალი წერტილია მისი იდეების ზორცივნებასმდე და პოეტის დანიშნულებასა და სიკვდილ-სიციცხლის სფეროთა ერთიანობაზე“.

(დ. სიხარულიძე).

ამვე წერტილში მკვლევარი კიდევ უფრო აკონკრეტებს აქ გამოთქმულ აზრს:

„სამყაროს ორფეოელი განდიდება „წმინდა მთელი“ — სიკვდილ-სიციცხლის ორივე სფეროს მოიკავს. განდიდებასა და გარდაქმნის ახალი სრულყოფილება, როგორცაა ორფეოსის აღწევს, ამითაა განპირობებული, რომ იგი ნაზიარებას მკვლართა საშუაროს. მას ზესკნელ-ქვესკნელში „ორივე საუფლოში“ მოუწდება ბელი“.

ნაშრომის ერთ-ერთ თავში („აქაც — კონტრასტების დიდოსტატი“) ჩვენ საკმაო მაგალითები მოვტანეთ იმისა, რომ აქაცის სიკვდილ-სიციცხლზე, სრულიად ბუნებრივად, ერთ დიდი ლექტიკურ მთლიანობაში აქვს მოაზრებული.

აქაცის პოეზიაში მრავალი შემთხვევა იცის იმისა, როცა რამდენიმე ეპითეტი ერთი ობიექტის გარშემო თავმოყრილი, სხვადასხვა კუთხით აშუქებს მას. განსაკუთრებით ძლიერია შთაბეჭდილება, როცა აქაც უშუალოდ მშობრებს ლექსის სავანს, ასეთია, მაგალითად, „გამოსაღებმა“ (I, 141), სადაც წუთისოვლის გაუტანლობით გულგატეხილი პოეტი თავისი გრძნეული ნიჭისა და კაცობის გამოხატულებას — ჩანჯა — ეთხოვება. თავშივე დასახელებულ სიმბოლურ საქრავს თან მოჰყვება მწეობრ ეპითეტებად განლაგებული მრავალნაირი განმარტება, მაგრამ ამით ოდნავადაც არ იყარგება ლექსის იდეალება, არ ნელდება მისი მომწეხველი ძალა:

ჩემო ჩანჯო, ობოლ-მწეობრ,  
ჩემის უბედობის ძირო,  
მტრებნადავან ქვებ-ნასროლო,  
მოუფრებისგან განაწირო!

ეს წყება მიჭრით მოყოლებული რთული ეპითეტებისა ტრაგიკული იერს აძლევს მთელ ლექსს, უსასობის მიძივ განცდას ბადებს. ჩანჯზე ნათქვამი „ობოლ-მწეობრ“ მარტობისა და

უკიდურესი ვასპირის მიმინიშნებელია. კიდევ უფრო მძაფრია მეორე სტრიქონში: „გაშლანდებ მებეფრებული ეპითეტი, თავისი აღნაგობით პერიფრაზს რომ უახლოვდება: „ჩემი უბედობის ძირო“.

აქ თითქმის გაჩენას იწყევლის პოეტი, მუწის სპასახებო რომ ზედა წილად. მსგავსი სამღერავე სხვა დროსაც გამოუთქვამს (გავიხსენოთ თუნდაც: „ჩემო ჩანჯო, ეწხით არ გიყვები...“) და სასოწარკვეთის მიწეში უკველთვის ერთი ურთილა — სამშობლოს ბედუქუღმართობა.

მომშობილი სტროფის ბოლო ორი სტრიქონი გარეგნულად კონტრასტს ქმნის, მაგრამ ეს დაპირისპირებული ძალები თითქმის საგანგებოდ შეეჯავრებულან, შემოქმედის წმინდა ჩანჯს ხმა რომ ჩაუწყვიტონ. სწორედ ამას ნიშნავს: „მ ტ რ ე ბ ი ს ა გ ა ნ ქ ვ ე ბ - ნ ა ს რ ო ლ ო, მ ო უ უ რ ე ბ ი ს ა გ ა ნ ვ ა ნ ა წ ი რ ო...“ საშველი არსაიდან არ ჩანს — გათავებებული მტრის თვდასხმას, აჩანაყლებ მომავლინებელი, მოყვრის განუკითხობა და ლაბათი ემატება.

გასაოცრად ტყველია ამ ლექსის მოტივილი პირველი სტროფი. დახატულია უკვლად უწეგეშო სურათი, რამაც შეუძლებელია გული არ გაუტებოს უიბლო ჩანჯის პატრონს. იშვიათო მაღლითაა შეწავებული ფრანკის უკიდურეს სიმშვიდროვე, მოქნელობა და მართალი, ნატანჯი სულის მღელვარება, რაც, უპირველეს უკვლისა, ეპითეტით მარტვედ გამოყენებას შეიხებოთ არის მიღწეული. აქვე შემზადდა ნიდაგი ჩანჯთან გამოსაღებობისა და ჩვენ აღარ გვეხამუშება პოეტის ტკიპობის აღსარება:

გეზობეები შენი მონა...  
ვერ მოვიმეც ვარ დის კონა:  
ნაცელად ეკლის თაიგული  
გიძღვენ მწარ-სიციცხლის წონა.

სრულიად ბუნებრივია, საკუთარ თავს ჩანჯის, პოეზიის მონად რომ აცხადებს აქაც. ბუნებრივია ის წუბილიც, შესაფერი საზღაური რომ ვერ მიაგო ლექსის უფალს. სწორედ აქ იკვეთება აქაცის ლექსისათვის მარტივთ საჭირო ნაშელო კონტრასტი: გვერდგვერდ იხსენიება „ვარდის კონა“ და „ეკლის თაიგული“. ამ გამოთქმითა მეტაფორული აზრი ნათელი, ოღლადა ამოსაცნობია, პოეტი ბატონად წარმოგვიდგენს თავის ხვედრს — თვალწარმტაც მშვენიერებასა და ტკბილ მანგების წილ, სინამდვილის შესაფერი დაუნდობელი, შეუღამაზებელი სიხარული თქვას.

კონტრასტულია თვით შეწყვილება „ეკლის თაიგული“, შინაარსობრივად ოქსიმორონს რომ გვაგონებს. „ეკალს“, აღბათ, „კონა“ უფრო მინიდაგებობა, მაგრამ აქაცის სხვა მიზანი აქვს; ზემოთ ნახსენები გამოთქმა კონტრასტის ხაზგასახებლად, გასამყეოტრებლად დასტირია



საქართველო

ისევე, როგორც შეფარული თვითობის გამ-  
აშფოთებელი სიტყვა „გიძვენი“. ნიშანდობლი-  
ვია ისიც, რომ „დედის თაგული“ ზუსტად  
შეფერება „მწარსიცილების წონა“ — ამ  
ტანჯვას, რაც ცხოვრებამ არგუნა პოეტს.

ლექსის სიმძაფრე და ზემოქმედების ძალა  
ოდნავადაც არ აკლებდა, როცა მესამე სტრო-  
ფში აკაკი ამ უბრალო ეპითეტზედაც უარს  
ამბობს და ყოველგვარი სამკაულებსაგან გან-  
ტაროულ მტკველებსავე გადადის. ინტონაცი-  
ურ სიახლეს (მიმართვაში ზეაწეული ტონით  
დასმული შეკითხვა იჭრება) ემოციის მკვეთრი  
გამღერება მოსდევს. ერის უმოქმედობითა თუ  
გულგრილობით შეწუხებული პოეტის სახეზე  
გაოცება აღბეჭდილია:

ეს ესტროლით ჩვენს არეში  
ან დღე, ან ღამე — მოვარეში?  
უბასტხოლ რად მივდივართ,  
შეგობარო, სამარეში?

ამგვარი უბასტხოლ დატოვებული შეკითხვე-  
ლით ხაზზე აკაკის პოეზია. ასეთი კითხვა პას-  
უხს არც საჭიროებს. ისედაც ცხადია, რამ მო-  
წყალო გული მშობელ ქვეყნისთვის თავშეწირულ  
კაცს, ვისი ჩანაცვ ამაოდ ელის გამოძახილს.  
მას არ შეუძლია გაეცდეს მტანჯულ სინამდვი-  
ლეს და ილუზიებს შეფაროს თავი.

პოეტმა იცის — ამ უნუგეშო ყოფის შემხედ-  
ვარე, აგი ოცნებაშიც ვერ იქნება ბედნიერი.  
და თუ ეს ასე გაგრძელდა, მისი ჩანავის ძღერ-  
ას და თვით სიცოცხლესაც აზრი ეკარგება.  
პოეტის შინაგანი მღელვარება ვეღვანე მტ-  
ად საჭაძნობა ფინალურ სტროფში, სადაც  
ჩანდული თავშეკვეთის არის გადმოცემული  
სასოწარკვეთის ტრაგიკული განცდა:

ეპ! გარემოში, ჩანჯო კრულო!  
სუ... ნულა ძგერ გულ წყლულო!  
და რაც მტანჯე, ის მეუმარე...  
უშფოთველად გაქრი, სულო!

ძნელი დასაქრებელია, მაგრამ ამას ამბობს  
ოცდათორშეტი წლის ახალგაზრდა კაცი. ეს არ  
იქნება მოულოდნელი, თუ გაითვალისწინებთ,  
რომ აკაკიმ უმწიფლობიდანვე უარს თქვა პირ-  
ად კეთილდღეობაზე, თავისი უფროსი თანამე-  
ბრძოლის, ილია ქუავავაძის მსგავსად, „ერაზ  
წყლულო“, „მისი ბედი თუ უბედობა“ გაიხდა  
უშთაგრეს საზრუნავად და სიცოცხლის მიწუ-  
რულამდე ამ დიად მიზანს ემსახურა.

ამ ლექსში, რა თქმა უნდა, არაფერია უჩვე-  
ულო, ვინცეს გასაოცებლად ნათქვამი, თუმცა  
შთაბეჭდილება, მისი წაკითხვა რომ აღძრავს,  
გამორჩეულია და განსაკუთრებული, არამცადა-  
არამც გულგრილს არ დაგტოვებს; ამ შთაბეჭ-  
დილების ზეღს არ უშლის, თავისებურად აძ-

ლიერებს კიდევ ეპითეტებზეც გამოყენებული  
ჩვეულებრივი, ტრადიციით დაცანონებული გან-  
საზღვრებანი, რომელთაც „განსახაზვარავ სიტ-  
ყვაში არაფერი ახალი არ შეაკვი“. (ვ. თომშენ-  
სკი).

ტრაფარეტებად ქვეულ გამოქმედებს აკაკი,  
ჩვეულებისამებრ, თავის განუშორებელ ხელ-  
წერას უმორჩილებს, ისეთ რიტმულ-ინტონაც-  
იურ გარემოცვაში აქცევს, მისი ლექსის განუ-  
ყოფელი ნაწილი ხდება.

საუკრადღებოა ლექსის ბოლო სტრიქონი, გა-  
ნაწამები კაცის მწარე ამოძახილი: „უშფოთვე-  
ლად გაქრი, სულო!“ ამ ფრაზას ენერჯიასა და  
მიწილველობას აძლევს თავში დასმული სრუ-  
ლიად უბრალო სიტყვა („უშფოთველად“), რო-  
მელსაც ეპითეტიც არ ეთქმის, გრამატიკული გა-  
ვითარების გარეშეობას ეძახიან. ამ სიტყვის გა-  
მოყვარეობას ისიც უწყობს ხელს, რომ რვა-  
მარცვლიანი მალალი შიარის ნახევარტაქტილია.

რა დიდი წუხილი უნდა ქონდეს კაცს, რა  
ტანჯვაგამოვლელი უნდა იყოს, რომ ასე მწვი-  
დად, უშფოთველად გაქროს ინტროს. უკვლა-  
ზე ცხადად ასეთი სტრიქონები აღასტურებს  
ცნობილი აზრის კუმარიტებს: „სიტყვა ზუსტ  
მნიშვნელობას ფრაზაში იძენს“. (ბ. ტომშენს-  
კი).

„გამოსაღმება“, აკაკის მრავალი ბრწყინვალე  
ლექსის მსგავსად, სტრიქონგაფრთხილი სმჭერ-  
დაი რითმით (აბაბა) არის გაწყობილი, რაც  
საგრძნობლად აძლიერებს მუსიკალობას, ყურ-  
ადღებას ამახვილებს მთავარ საგანსა თუ მოტი-  
ვზე. რამარცვლიან მალად შიარის (ასევე დაბა-  
რისა) უთუოდ გადატვირთვდა კატრეული  
რიტმა და, ამდენად, ურითმოდ დარჩენილი მე-  
სამე სტრიქონი მონოტონურობისგან ალღევს  
ლექსს; წამიერ დისონანსს, აზრობრივ და ბგე-  
რზეზე დამარბებულ კონტრასტს მთელი სტრო-  
ფის გამაერთიანებელი, კომპოზიციურად შემე-  
კრავი რითმიანი სტრიქონი მოხდევს — მარ-  
მონია ადგენილია. ვფიქრობთ, არ უნდა იყოს  
შემთხვევითი, რომ ერთადერთი შიდა რითმა  
(გულო-წყლულო) ფინალურ სტროფშია მოქ-  
ცეული — ეს შთაბეჭდილების გასაძლიერებ-  
ლად, აქცენტის გახავეთხლად დასქირდა პო-  
ეტს.

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია,  
თუ რა ოსტატურად იყენებს აკაკი ზალბურ პო-  
ეზიაში გავრცელებულ ამ ტიპის სმჭერად რი-  
თმას, რამაც განსაკუთრებული სიღაღე მიანიჭა  
მის ლექსებს და ბევრწილად განსაზღვრა მათი  
სასილღერო ხასიათი. (ა. ხინთიბიძე).

მართალია, „გამოსაღმება“ პოეტის ერთგვა-  
რი გულგატეხილობის გამოშხატველია, მაგრამ  
სასოწარკვეთას აკაკი არასოდეს დაინებია. სხვა  
შემთხვევაში, სრულიად გრდაქმნილს, აწეუოში  
რომ ვერაფერი საწუგეშო დაუნახავს, წარსულ-  
ის გმირება (უფრო სწორად, გმირობის სიმშო-

ლოები) გამოუხმა. სწორედ ასეთი სულიერი ზეობის ეპის შექმნილი მტრების განსაზღვრა შეეძინა: „სისხლით შევღებავ კადარას...“ აქ ჩანდა მისი ნამდვილი ბუნება.

ასევე მთლიან მიმართავს წარმოადგენს და თვებურთად, ჩინაფარითაც „გამოხალმობის“ მხგავთია სხვა ცნობილი ლექსი — „ჩემს კალამს“ — (III, 33), სადაც იმთავითვეა გაცხადებული პოეტის მთავარი იარაღის (კალმის) ორბუნებოვანება, ორნარი დაწმუნდება:

კალამი სანადველთა ფლო,  
ჩემო მახვილო და ფარო!  
სასაიდუმლო გულისა  
ხან სთქვეო, ხან უნდა დაფარო.

უარესად შთაბეჭედავი და აკაცისებლია პირველივე რთული ეპითეტი („სანადველთა-ფლო“), ერთ ხაჯთან ორი საპირისპირო ცნების ბუნებრივი დაკავშირება. როგორც კალმის წებობა ორად გაყოფილი და მიანც გამოლიანებული, პოეტის კალამშიც ასევე განაწილებული და ამავე დროს შეერთებულია ორი თვისება — სიმწარე და სიტკბო, სპირიტუალური მიხედვით რომ ხმარობს ამ კალმის მფლობელი. ხსენებული ეპითეტიც ისევე, როგორც ბევრ სხვა შემთხვევაში, აკაცი მოხდენილად, ძალზე თავისებურად იყენებს ქართული ენის მოქნილობას.

მეორე სტრიქონშივე ახალი კონტრასტული წებობა მოხმობილი („მახვილი“, „ფარო“); უკეთურებაზე თავდასხმისა და მისგან თავდაცვის ერთადერთ იარაღად პოეტს კვლავ კალამი ეხმება. ფრაზილად შეახსენებს მას, რომ გულში ნადები წმინდა ფიქრი ყოველთვის არ გასთქვას, ყველას არ გაანდოს („სასაი დუმილო გულისა ხან სთქვეო, ხან უნდა დაფარო“). აქ შეუძლებელია არ გავყავსენდეს კონტრასტული პოეტური აზროვნების სწორპოვარის ოსტატის, რუსთაველის ცნობილი სენტენცია: „ზოგჯერ თქმა სჯობს არა თქმასა, ზოგჯერ თქმითაც დაშავდების“. (742,8).

აკაცი უკეთურებას ეროგულია სახეთა აგების ხსენებით პირიცობისა; ყველგან და ყველადეფარში შექვან დაპირისპირების ელემენტო, რაც საჯანს კი არ ხლერს და ანაწევრებს, ერთ განუყოფელ მთლიანობად წარმოგვიადგენს. ასეთია ამ ლექსის ბოლო სტროფიც, სადაც პოეტი წინასწარ კვრებას უცანასკნელი ამოსუნთქვის წამს, ქვეყნიერებას რომ უნდა გამოითხოვოს (მან კარგად იცის: „ეს სოფელი თეატრია...“), მაგრამ „ოქროს წყალში ნახანი“, ღვთაებრივი შუქით მადლცხებული კალამი არ ეთმობა, მას სამარეში ჩაყოლებს თხოვს. აქ კვლავ ერთმანეთის პირისპირ დააუენა პოეტმა წარმავალი და მარადიული:

ორ-გულო, მაგრამ ერთგულო  
კალამი მახვილ-კვერთხოვო!  
თან უნდა ჩამევე საფლავში,  
სოფელს რომ გამოვეთხოვო.

ეპითეტთა მხრივ ამ სტროფში რაიმე არსებითი სახლდე არ შეიმჩნევა; თავისებური განმეორებაც ხდება. მაგალითად, „ფარო“ შეცვლილია „კვერთხოვო“ განმეგებლობის შეუფერობის ნიშნად რომ წარმოგვიადგება შებ დავიკრებას მოითხოვს პირველი სტრიქონი: „ორ-გულო, მაგრამ ერთგულო.“ — თუმცა აზრი აქაც ნაცნობია, „ორგულობაში“ ისევე კალმის ორსახოვანება, ორბუნებოვანება არის ნაგულისხმევი.

წინააღმდეგობა მოჩვენებითი, მხოლოდ გარეგნულია, როცა იმავე კალამს, და თანაც იქვე პოეტი ერთგულს უწოდებს. ეს უკვე მისი კალმის მოუსილველობას, პარადპირობას ნიშნავს. აქ არის გამოთქმული შემოქმედის ურუვეი რწმენა — სიმართლის განუზრკელი სამსახური, ავის და კარგის მიუკერძოებელი წარმოჩენა.

აკაცის პიროვნების უფრო ღრმად შეცნობაში დაგვემარტება მისი სხვა ცნობილი ლექსი „მგონაში“ (III, 14), ატკობორტრების სიუხტითა და უშუალობით რომ გამოირჩევა. პოეტი განჯრახ პასიურ მდგომარეობაში წარმოგვიადგენს თავს, თითქოს მხოლოდ თვალწინ გადაშლილმა სამყარომ ასწავლა მას სიკეთისა და ბოროტების გარჩევა; ნათელი ხილვისა და გრძნული შებტყველების იშვიათ უნარს იგი გარემომცველ ბუნებას მიაწერს:

ქვეყანამ გული გამოხსნა,  
საიდუმლოთა საღარო,  
შეგ ჩამახედა, გამაძნეო  
ივის და კარგის სამთავრო.

ამოდ მოცდებით, აქ რომ რაიმე განსაკუთრებულ ეპითეტს ან მოულოდენელ მეტაფორას დაუწყოთ ძებნა. თითქოს ყოველივე ნაცნობია, ჩვეულებრივ მეტყველებაში რომ გვხვდება ისეთი და მიანც, ყველაფერს განუშეორებელი, აკაცისებელი იერი აზის. უზრალოდ ამბობს პოეტი: „ქვეყანამ გული გამოხსნა“ და იქვე, მომდევესო სტრიქონიდან ვიგებთ, რომ ეს გული „საიდუმლოთა საღარო“ ყოფილა. ჩვენ ვიცით, რა უბე ნაყოფიც მოგვცა „ქვეყნის გულის“ გადაშლამ, როგორი ძალმოსილებით გამოიყენა პოეტმა მასავით რჩეულითა ხეედრი. რა ხმარტი, მოქნილი ხატოვანი აზროვნება უნდა გქონდეს, ქვეყანას „ავის და კარგის სამთავრო“ რომ უწოდო. ეს არის ერთი მთლიანი, ხანის არის სუსტიად გამომხატვლი რთული ეპითეტი, რომელსაც აღნაგობა, ფორმა პერიფრაზისა აქვს.

მომდევნო სტროფში ნათქვამია — ვისგან და რისგან რა გადმოვიღო პოეტმა. სიმეტრიულად დაგდება ორი დაპირისპირებული წყვილი ფრინველთა და მცენარეთა საშუაროდან; თვითნებური მათგანი რაიმე საჭირო — აჟ ან კარგ — თვისებას სძენს შემოქმედ ადამიანს:

ბუღბუღმა სტვენა მასწავლა,  
უორანმა — შწარე ჩხაველი;  
ეკალი ჩხველეთას მასწავლის  
და დაუცვავეტბას სუვილი.

მსგავსი ემოციების ზეგავასმელად აკაკი ხშირად იყენებს ბგერით მსგავსებებს. მოტანილ სტროფში ასეთ წყვილად შეიძლება გამოვყოთ „ჩხაველი“ და „ჩხველბა“. არც ის არის შემთხვევითი, „დაუცვაება“ და „უცვალი“ ერთმანეთს რომ ეხმის. უორანის ჩხაველი აქ ბუღბუღლის სტვენას უპირისპირდება. ავტოდიოტი ფრინველის გამოვიყარო, უსამარცხო ხმის შეგრძნება რომ გადმოხსცეს, აკაკის გამოყენებული აქვს ეპითეტი „მწარე“, ხოლო ბუღბუღლის სტვენა, ამ შემთხვევაში, რაიმე საქებარი სიტყვით შეგვიძინებს არ საჭიროებს, ისედაც ცხადია მისი გალობის მომზიბლანობა. ვაიხსენოთ თუნდაც ცნობილი სატრფიალო ლექსის („ნატვრა“, III, 428) ერთი სტრიქონი: „ბუღბუღლისა ენა შე...“ საერთოდაც, ბუღბუღლის მიმართ რაიმე ეპითეტის გამოყენებას აკაკი ერიდება.

ლიტერატურამ მრავალი შემთხვევა იცის იმისა, რომ რომელიმე სიტყვა ეპითეტის გარეშეა დატოვებული, მაგრამ ზემოქმედების ძალა გაცილებით მეტია, ვიდრე ამას ნებისმიერი ეპითეტი მოახდენდა.

ადრე დამოწმებულ სტროფში მიმდევრობით ჩამოთვლილი უოველი შეძენილი თვისების გამო, პოეტი თავს ადარებს ამ თვისების მფლობელ პირველწყაროს, ოღონდ შედარების კვალი

წაშლილია (ეს ფუნქცია ეხსრტებოქმენს — „მასწავლა...“). ამავედარ, თუ შევხედვით ეთქვას, უარულ შედარებას აკაკი საკმაოდ ხშირად მიმართავს, რაზედაც ნაშრომის შემდეგ თავში ცალკე ვიტყვით.

ეს ლექსი თავიდან ბოლომდე აკაკის დაკარგვის ნიშნით მიღის და ანტონიმური წყვილებს გაჩენსაც ამან მისცა დასაბამი. მესამე სტროფში ეს აზრი უკიდურესი პირდაპირობით არის გამოთქმული და პოეტის საკუთარა ხასიათის ორმაგობას თავისებურად ხსნის:

აკაკი და კარგო, ორივე  
მემქნე და მეყმენ თანწორად  
და ჩემი სუსტი ბუნება  
იმათვე გააქვეს თან ორად.

აქ პოეტი შემოულით ვეხიბტავს თავის პარუსტენლობას, მიუყრდობებელ ხასიათს, უველაფერის ისე წარმოგვიდგენს, თითქმის თვითონ არაფერ შუაში იყოთ და ამქვეყნადრმა „ავამ“ და „კარგმა“ — თანაბრად გაინაწილებს მისი არსება. ასეთ მდგომარეობაში აკაკის სხვა დროსაც ჩაუუნებია თავი (მაგალითად შეგვეძლოს დაგვესახულებინა ერთ-ერთი საპროგრამო ლექსი „პოეტი“, რომელზედაც საგანგებოდ მოგვიწევს დაბარაკი) და, ამდენად, ეს ერთგვარ ლიტერატურულ ზერხად უნდა მივიჩნიოთ.

„სუსტი ბუნება“ განზრახ არის ნახსენები და აკაკის პიროვნულ თვისებებს ოდნავდაც არ შეუფერება. პოეტის მთელი ცხოვრება და შემოქმედება ამაჟრავებს ამ ეპითეტის შეუარულ აზრს, უმაღ ვხედებით, რომ იგი პირდაპირი მნიშვნელობით არ არის ნათქვამი.

აკაკის ნამდვილი მრწამსისა და ხასიათის მონოლითურობა რომ ცხადი ვახდეს, „ჩანგურის“ ერთი სტროფის გახსენებაც იყარებდა:

სხვისი ლხინით ზომ ვიხარებ,  
თუ რომ ჩემ თავს დავრჩი ავად,  
და მაინც არ აღვიარებ  
შავს თეთრად და თეთრსა შავად.

აქ ჩანს, თუ რა „სუსტი“ ბუნების პატრონიც არის აკაკი. ამ სიტყვების დამწერს ჭვალსა და რბილში აქვს გამჭვარი გურამიშვილის ურკვევი მრწამსი, მისი შეუბღალავი წევობრივი კანონი: „ავს თუ ავი არ უწოდო, კარგს სახელად რა დავარქვო?“ გურამიშვილის კვალდაკვალ მასაც შეეუღლო ეთქვა: „ვიც არ არის კახაბერი, შე ვერ ვიტყვი, კახაბერად!“ სწორედ ასეთ მართლის თქმას შეაღია აკაკიმ თავისი მოწამებრავი ცხოვრება.

„მგოსანს“, როგორც აღვნიშნეთ, ბოლომდე გახდევს დაპირისპირებული წყვილები, ავტორის პიროვნებაში ორ განსხვავებულ საწყისს რომ წარმოაჩინს. კერძოდ, ამას გამოხატავს ნი-

1 მათეს სახარებებს ერთი ადგილი (I, 16) მხატვრული ძალმოსილება რომ ცხადდეს, ბალთაზარ გრასიანი თავის ცნობილ ტრაქტატში ზელოცება“) საგანგებოდ აღნიშნავს: „ძალზე (გონებამახვილობა ანუ დაბეჭეული გონების გონიერულად მოიქცა მახარობელი, თავის მონათხრობში არაფერი რომ არ გვაშინო ცათა დედლოფაღზე, არაფრით ეპითეტი რომ არ წაუშმდვარა უბრალო კალწულის საბედს და უბრალოდ დამწერ: „...მარიათისი, რომელმა შუა იესო“. რამეთუ არავითარ სიტყვას, ღვთის სახელის გარდა, არ ძალდს საკარდობასა და სიბრძენში ღმერთს რომ უტოლდება“. (იხ. „ესპანური ეთოტრეკა — რენესანსი“, ბარკო, „განმანათლებლობა“, მოსკოვი, 1977, გვ. 205, რუსულ ენაზე).

ავის ჩურჩული, რომელიც ურჩევს, გარემოების შესაფერისად წყლულისთვის ხან ეკაღი იოს, ხანაც მადამოდ დაედოს. ცხადია, ორივე შემთხვევა ერის სამსახურს იხსნავს მიწად.

პოეტს ღრმად აქვს შესისხლბორცებული, ყოველ წერტილში გამოვლენილი ბუნების უცდალი სიბრძნე; შორეული ვარსკვლავის ციმციმაც ამის დასტურად ესაბება, ოღონდ იქვე გულგატეხილი დასძენს, რომ „...ცოფრი სიმაართლე მშობლოდ კაცს არ ეყურება“. აქ უკვე კონტრასტი კოსმიური მასშტაბით არის წარმოდგენილი; რაც უსულყო საგნებს, ბუნების მოვლენებსა და ცოფრ სხეულებს ესმით, გონების პატარონს, უშაღლეს არსებას — ადამიანს — არ გაეგება.

აკაცის არაერთხელ უთქვამს, რომ მან თა. ვიღაცე უარი განაცხადა პირად კეთილდღეობაზე და მამულის სამსახურის ძნელი, ეკლიანი გზა აირჩია. ერთ ლექსში („ახალი გზა“, II, 16) პირდაპირ ამბობს მრავალგზის ნათქვამს: „ეკლიანი შემზღვა მე გზა“. პოეტს არ დაუარგავს რწმენა იმისა, რომ ამ გზას სხვებიც ადგენენ, მასათუე დამაშვრალი და თავშეწირული ერის მსახურები; ცხადია, ასეთი პაროვნებები დაღიხინებულნი, გაღაღებულნი ვერ იქნებოდნენ და ამგვარი სვედამწარებელი ადამიანების დასაზღავად აკაცის თავის ცნობილ ლექსში („ოვალს მიხვევენ, ენას მგლუქვენ, II, 22) გამოვლენებული აქვს ერთი იშვიათი, სამი სიტყვისგან შეზღვარი რთული ეპითეტო:

ვერ დაეგდებ ძველსა გზასა,  
რავინდ იყოს ეკლიანი:  
რაცი სხვებზე მოშვევებიან  
ჩემებრ შეებედტლიანი.

„ბედის ეტლი“ ან „შვიი ბედი“ ჩვეულებრივი გამოთქმებია, მაგრამ ასე გამოლაინებულ, ერთ ცნებად ჩამოსხმული ეს სიტყვა („შებედტლიანი“) აკაცის კალმის მადლით არის აღბეჭდილი და განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას ახდენს.

ლექსებში, სადაც მიმართვის ფორმად გამოყენებულია და ძირითადად ეპითეტს ემყარება, აკაცის მრავლად აქვს ასეთია „სიკბაუე“ (I, 278) — გაუნღებელი სინანული წაივივით ჩაქროდილი და გაუჩინარებული ურბობის გამო, წუბილი იმაზე, რისა დაბრუნებაც შეუძლებელია:

სიკბაუეც, კეთილ-მტკარო,  
სასუფეველის სიიდუმლო,  
უცდავების წმინდა წყარო,  
სად ხარ, ჩემთვის დაქარგული.

ეპითეტებში, რითაც შემკობილია ადამიანის საუკეთესო ხანა, რაიმე განსაკუთრებული, გა-

შორჩეული არაფერია (თუ არ ჩავთვლით კომპოზიტად მისხანეე რთულ ეპითეტს „ეთილ-მტკარო“). მაგრამ მთლიან სტროფს აკაცის პოეტების უტყუარი ბეჭედო აზის. ყველაზე მეტად ამას ავლენს ბოლო სტრიქონი, გულდაწყვიტილი კაცის ცვეხლოვანი შეძახილი: „სად ხარ, ჩემთვის დაქარგული“. აქ ჩანს, რომ სხვას დაუდგა ის ნეტარი, სისხლის ამფორთაქებული დრო, რომლის დაქარგვასაც ყოველი სულერი მისტირის.

დაახლოებით ასეთივე აღნაგობისა და შინაარსისაა შედარებით გვიან დაწერილი ლექსი „სიუვარული“ (II, 187). მასში თავიდანვე წინა პლანზე გამოდის კონტრასტი, ორი უკიდურესობა, სიუვარულის ბუნებას, თვით ადამიანის არსებობას რომ ახლავს:

სიუვარული, ნიჭო სრული,  
წამ ტკბილო და ხანგრძლიუ  
მწარე,  
ვერ აეკვიანო ნეტარების,  
მერე კუბოე და სამარე!

საოცარია აკაცის ურავის მოქნელობა; ერთ სტროფში კაცის შთელი ცხოვრებაა ჩატვეული — გაჩნის დღიდან აღსასრულამდე. სიუვარული, ბუნების უდიდესი ჭილდო, „სრული ნიჭი“ — როგორც მას პოეტი უწოდებს, მეტად ხანმოკლეა და მას ჭკნობა, სიბრტე, ტანჯვა-ვაება მოსდევს; წამიერი სიტკბობება და თავდავიწყება საუღეამოდ წამწარებულთა და შინც, ადამიანი შხად არის უყოშანოდ დასიმოს შთველი სიცოცხლე. ოღონდ ამ უშაღლეს ნეტარებას უნიაროს. სწორედ ამ დაუოკებელ ღტლოვას გამოხატავს ლექსის დასასრული:

ეინ არის, რომ იმ ერთ წამში  
არ გაშწირავს საუკუნოს?!  
ამ ტაბის შეპირისპირებანი ხშირია დავით  
გურამიშვილის პოეზიაში. ერთგან „დავითიანის“  
ავტორი კიცხავს ამ პაროვნებას, ვისაც ნამდ-  
ნამდვილი სიუვარული და დროებითი გატაცება  
ვერ განურჩევია, ვინც „მევიდარს მიგურტს უფრ-  
გსა შეაქცევს, წუთს გულზე დაიკონებსა“.  
აკაცისეულ კონტრასტში სხვა არი დევს,  
ზოგადი, საყოველთაო მოვლენაა დახასიათებ-  
ული, ხოლო გურამიშვილს უფრო კონკრეტ-  
ული მიზანი აქვს — სულწასული ადამიანის საქ-  
ციელს გმობს. ჩვეთთვის საინტერესოა გარეგ-  
ნული მსგავსება, მარინციბი, რაზედაც ეს ორი  
მშატერული სახეა აგებული.

ასევე მიმართავს წარმოადგენს და თითქმის მთლიანად ეპითეტზეა დანდობილი აკაცის სატრფიალო ლირიკის ერთ-ერთი შედევრი „ამერული სიმღერა“ (I, 341). განსაკუთრებულ სიტყვეებსა თუ გამოთქმებს ვერც ამ ლექსში აღმოვაჩენთ. აკაცის ძალა და მომზობლობა, რომ-

გორც არაერთხელ დავრწმუნებულვართ, სხვა. გან არის საიბებელი. თავის უიღუმალეს ფიქრებსა და გზნებას პოეტი უოვლად ჩვეულებრივ სიტყვებს ანდობს და საყუთარ ზმას, განუმეორებელ, სასიმღეროდ მიდრეკილ ინტონაციას მუდამ ინარჩუნებს. ამის დანტურად გამოდგება ხსენებული ლექსის პირველივე სტროფი:

პატარა საყვარელო,  
რისთვის მომიკალ გული?  
გალიაში გავზარდი,  
ეთი მისის ბუღბუღი.

„პატარა, საყვარელო...“ — განცხადებულად ეს სააღერსო სიტყვები საკმაოდ ზნორია ჩვენს ხალხურ პოეზიაში, მაგრამ ასე დაწყებული მიმართვა უკვე აქაისეულად მისი განცდის და ფიქრის ნაყოფია. ეს არ არის ცნებათა, სიტყვათა მექანიკური შეკავშირება; პოეტმა ახალი სული შთაბერა, ახალი იერი მასცა, კონკრეტულობა მიანიჭა უძველეს ხატს, ზარცუხსებულად წარმოაჩინა ტრფილები საგანი.

ხაზგასმული მიმართვა ძირითადია; იგი ოთხჯერა გამოყენებული (ოთხივეჯერ სხვადასხვა ეფექტს ახდენს) და გარდა იმისა, რომ ბუნებრივი რეფრენის მაფორობას წყევს, ანტიმურობა, სხვაგვარი სითხო შემოაქვს ლექსში.

„მისის ბუღბუღი“ სატრფოს აღნაშნავად თითქოს სტერეოტიპული სახეა (როგორც, ეთქვათ, „მისის ვარდი“), მაგრამ პოეტს ამ ეპითეტის („მისის“) სურდა გადმოეცა სანწყვარი არსების დაქალება, მისი ცხოვრების გაზაფხულის დადგომა.

საერთოდ, მთელს ლექსში ვერ ნახავთ გამოთქმას, ცოცხალ, სასაუბრო ენაში რომ არ იმარტობდეს („რისთვის მომიკალ გული?“, „ცეცხლი რად მომიკიდე?“, „შენ რაღად დამამყარე?“ და სხვ.).

ძირითადად სწორედ ეს განცებისად გულუბრველად დანსული შეკითხვები წარმართავს ამ ლექსის დამიდარცვ, მსუბუქი ნაფეღით შეფერილ კილოს.

გასაოცარ შემოქმედებას ახდენს აღერსიანი საყვედური, თაიდან ბოლომდე რომ მიჰყვება პოეტის მტრუველებას; აქ შეფარვით, მორიდებულადაა გამხელილი, რომ მას ამაგი არ დაუფასდა — გალიაში სასოებით გავრდილი „მისის ბუღბუღი“ გაუფრინდა. მინიშნებები ღრმია და იოლი გასაგები.

რამდენი რამის მოქმელი და დამტყვია თუნდაც ასეთი ფრაზა — „შქრით მუავდი გავრდილი...“ აქ ჩანს, თუ რა ნაფერება ნალოლიავება ბუღბუღლად სახედლებული სატროლი.

პოეტმა უველადფერი მას ანაცყალა, სულიანბორციანა შეეწარა და, ბუნებრივია, იმედგაცუ-

რებულს მისი განდგომა; უფრტის შეტყვია უწომოდ გაანაწყენებდა:

გული შენ მოგიძღვენი,  
სულც ხომ შემოგვირე!  
პატარა საყვარელო,  
შენ რაღად დამამყარე?

უველადფერი ამას, რა თქმა უნდა, სასოწარცვეთისა და ტრაგეკულს იერი სულაც არ ადევს; პოეტი ლაღად, თამაშ-თამაშით, იმერის თავდაპერტილობით ეუბნება თავის სათქმელს „პატარა საყვარელს“.

ეპითეტი „პატარა“ ამავე სააღერსო მნიშვნელობით სხვაგანაც აქვს გამოყენებული აქაისი; მაგალითად, შეგვიძლია გავხსენოთ ლექსი „ქარისკაცი“ (II, 1986), „პატარა ბიჭი ვიყავი“, „პატარა გოგო მივეარდა“ და სხვ.). იგივე ეპითეტი სულ სხვა შინაარსობრივ ელერადობას იქნეს აღეგორიულ სატირულ ლექსში „პატარა შერა“ (II, 181), სადაც გაიდევრა გულნამცემა გადამთიელი ჩინოვნიკია გამამულეებული და ხაზი ესმება ამ უსირცხვილო ლაქის წენდაცეშულობას, მის სინატარავეტს.

„იმერული სიმღერის“ ბოლო სტროფი ერთიანი მიმართვაა, ერთმანეთზე გადაბმული ეპითეტების თავმოყრა. შევამება და თუქვა აქ არც ერთი ზმნა არ ურტება, უველადფერი ისედაც ნათლად არის გამობატული — მოჩვენებოთ, თითქოსდა დაუნდობელ გაყცივებაში უნაზესი აღერსია ჩაქსივილი:

პატარა საყვარელო,  
ჩემო გველელო, უბუღო,  
გალიაში გავზარდილო  
გაბაფხულის ბუღბუღი!

თუ ლექსის სწორი აღქმა გვინდა, ცხადია, საბრადებო, სასაყვედურო ეპითეტება — „ჩემო გველელო“, „უბუღო“ — პირდაპირი აზრით არ უნდა ვავაგოთ; მათი მნიშვნელობა შეცვლილია.

ამ სიტყვების მიღმა საყვარულისგან აღმოდებელი გული ძერს და პოეტის ენით ნათქვამი „უბუღო“ მეტს ამბობს, ვიდრე ამას ათასი საქებარი სიტყვა შესძლებდა.

სატრფოს უღმბული სიღამაზისადმი ამაგვარი მიდგომა ჩანს, მაგალითად, გიორგი ლეონიძის ცნობილ ლექსში „ტყუპი იაგუნდები“. მართალია, აქ რამევე ფრაგეოლოგიური დამოხვევები არა გვაქვს, მაგრამ საზომი, თვით ლექსის ტონი, მიმართვის ფორმა და ეპითეტების შეფარული, არაპირდაპირი დანიშნულებით გამოყენება გვაფიქრებინებს, რომ გიორგი ლეონიძემ, შესაძლოა გაუცნობიერებულად, აქაისის ამ ლექსის კეთილშეოყველი გაუღენა, ერთგვარ ბიჭივ გაწყალა. მჭვივმოთ ჩვენთვის საინტერესო ადგილი:

მთებზე მთიარის ნაშქერი,  
ზედ ზოლები შერთალები  
და შენი, მშვენიერი,  
დასათხრელი თვალები.

შეგვიძლია დარწმუნებული ვიყოთ — ვერა-  
ვითარი სახატობა სამკაული ვერ გახდება ამ  
უბრალო, ვაჟაკური აღერისით ამოთქმული ეპი-  
თეტის („დასათხრელი“) შავიერობას. იგი ამ-  
ღვეს მთელ სურათს სიცოცხლესა და დაუ-  
ვიწყარ მომზობლობას; აქ ჩანს, თუ თავად  
როგორ ვერ უსწორებს თავს პოეტის სასურ-  
ველი არსების გამოაგნებელ სიღმეულს.

გიორგი ლეონიძე მანამდე იმევე არსებას  
„ლაშას და საყვარელს“ უწოდებს და „საყვარ-  
ელი“ აქაც ისეთივე რუსთველური შაღლი  
და წმინდა აზრით არის დატვირთული, როგ-  
ორც აქაც „იმერულ სიმღერაში“. საგულისხ-  
მოა იხიცი, რომ „ტყუპი იაგუდების“ ავტორი  
სატრფოს მოფერებით მიმართავს: „ჩემო ქო-  
რის ბაღაბო“. ესეც რაღაცთ ვვაგონებს „გა-

ლიაში გაზრდილ გაზაფხულის ბუღბუღს“.  
ლოონდ გიორგი ლეონიძეს ეს ხატი უფრო იმ-  
იტომ დასჭირდა, ბუნების წიაღში გაღაღებუ-  
ლი ქალის პირველყოფილი მშვენიერება რომ  
გადმოეცა. აქაც და იქაც გაზაფხულის თავბ-  
რუდამხვევა სურნელება ტრიალებს. შეიძლება  
აგრეთვე თავადვე საყვარელი არ იყო, მაგრამ,  
ფიქრობთ, მაინც იგრძნობა საქმოდ დაშორე-  
ბულ ეპოქებში დაწერილი ამ ორი ლექსის  
სისხლისმიერი ნათესაობა.

ეპიკურის შებრუნებული მნიშვნელობით  
გამოყენებას რაც შეეხება, იგი არც აქაცის მი-  
გნებაა და არც რომელიმე სხვა პოეტის, მოუ-  
ღოდნელი ეფექტის მოსახდენი ძველი ხერხია.  
შსგავსი მოვლენები ჩვეულებრივია ჩვენს ხალ-  
ხურ პოეზიაში. დამახასიათებელ ნიმუშად შე-  
გვიძლია მოვიტანოთ ერთი სატრფიალო მინა-  
ატურის სატიკონები: „ქართლო ქალო ლა-  
მაზო, თვალტრელო არ ამწადა...“ აშკა-  
რაა, თუ რა მიზნით აქვს მთქმელს გამოყენე-  
ბული ეს ვითომდა შეურაცხყოფელი ეპითეტი.

□ გაზრდილნი იმნება □

## ბურაბ ნარსიძე

### „ქებაი“-ს ისტორიული პარალელები

ლიტერატურული ნაწარმოებები, ისევე როგორც ნებისმიერი ხასიათის სხვა ძეგლები, კაცობრიობის განვითარების გარკვეულ ეტაპებზე და კონკრეტულ საუკუნეებში იქმნებოდა. ისტორიული ეთარება გადაწყვეტ ვაქვინას ახდენდა ავტორის ცოდნასა და მსოფლმხედველობაზე, რაც, თავის მხრივ, ნაწარმოებში ასახებოდა.

განვლილი საუკუნეები მხოლოდ ქრონოლოგიური თვალსაზრისით არ განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან. თითოეული საუკუნე წარმოშობდა საკუთარ იდეებსა და შეხედულებებს, რომლებიც განაპირობებდნენ იმდროინდელი ადამიანების აზროვნებას. ამიტომ ძეგლის კვლევისას უნდა გამოვყოთ ის ძირითადი იდეა, რომელსაც ავტორის მსოფლმხედველობა ეყრდნობა. ეს მოგვცემს საშუალებას, რომ ნაწარმოები მივსადაგოთ ამა თუ იმ ისტორიულ პერიოდს.

უცნობი ავტორის „ქებაი და დიდებაი ქართლისა ენისაი“, როგორც გამოირკვა, წარმოადგენს უძველეს ქართულ დათარიღებულ თხზულებას, რომელიც დაიწერა ქართული წელთაღრიცხვის XII მოქცევის 94 წელს, ანუ ახ. წ. 342-343 წლებში.

„ქებაი“-ს შინაარსობრივმა ანალიზამ დაადასტურა, რომ ავტორისეული კონცეფციის ჩამოყალიბება მხოლოდ ადრექრისტიანულ პერიოდში იყო შესაძლებელი. მოგვიანებით საუკუნეებში თხზულებისეული იდეები მკაცრად იდეებოდა მართლმადიდებელი ღვთისმსახურების მიერ.

ქრისტიანობა, როგორც ცნობილია, დოგმატური რელიგიაა და ძირითადი დოგმატების დადგენა მსოფლიო და ადგილობრივ საეკლესიო კრებებზე ხდებოდა, თანდათანობით, საუკუნეების განმავლობაში. თითოეული კრება და მიღებული გადაწყვეტილება დოკუმენტურად დადასტურებული და ზუსტად დათარიღებული იქნებოდა.

ძირითადი ქრისტიანული დოგმატები განსაზღვრავდნენ ღვთისმსახურების ყველა სფეროს და მორწმუნეთა აზროვნებას, განაპირობებდნენ სხვადასხვა ქრისტიანულ მიმდინარეობათა შორის არსებულ წინააღმდეგობებს. ამიტომ „ქებაი“-ში გადმოცემული დოგმატი განსაზღვრავს ავტორის ორიენტაციას და თხზულების შექმნის ქრონოლოგიურ ჩარჩოს.

#### I

„ქებაი“-ს დაწერის დრო მისი შინაარსით განსაზღვრება. ამ გარემოების გამო ანალოგიური ხასიათის ნაწარმოების შექმნა მხოლოდ IV საუკუნის დასასრულამდე იყო შესაძლებელი, რადგან ძეგლის ძირითადი იდეა — ხილიაზში — უკვე ამავე საუკუნეში გამოცხადდა „მწვანელობაში“.

თხზულების უმოკლესი აზრი, რაც უკვე გვახსენებს განმარტების გარეშეც გასაგებია, არის ქართული ენის „მისია“, რომელსაც ავტორი „უახლოეს მომავალში“ ქრისტეს „მეორედ მოსვლას“ უკავშირებდა.

ქრისტეს „მეორედ მოსვლის“ რწმენა ანუ ქრისტიანული ესქატოლოგია, არის ღვთისმეტყველური უტოპია სამყაროს „არსებობის დასასრულის“ და „მკვდრეთით აღმდგარ“ მორწმუნეთა „გამეფების“ შესახებ.

ძეგლის ავტორის ესქატოლოგიური თვალსაზრისის განმარტებასთან ერთად, მზანწეწონილი იქნება ამ შეხედულების ისტორიის განხილვა ქრისტიანულ ეკლესიაში.

„უახლოეს მომავალში“ ქრისტეს „მეორედ მოსვლის“ რწმენა ქრისტიანობაში მხოლოდ გარკვეულ საუკუნეებსა და კონკრეტულ ისტ.

ორიულ-პოლიტიკურ სიტუაციაში ვლინდებოდა.

ოფიციალურ ეკლესიაში და სხვადასხვა სექტებში არსებული ექსტროლოგიური შეხედულებების ყველა გამოვლინება და მათი სახესხვაობები დაწვრილებით შესწავლილი და კრონოლოგიურად განსაზღვრულა. ეს გარემოება ვეძაძვებს საშუალებას ვავალოთ პარალელი სხვა ქვეყნებში მიმდინარე ანალოგიურ პროცესებთან.

მართლმადიდებლურ ეკლესიაში ექსტროლოგიური შეხედულებები ძალაში იყო მხოლოდ ადრექრისტიანულ პერიოდში და XIII-XV საუკუნეებში. ექსტროლოგია იყო ადრექრისტიანული სექტებისა და შუასაუკუნეების პროტესტანტული მიმდინარეობების დოგმატიკის ძირითადი კომპონენტი. თითოეული ეს შეხედულება შეერთდა განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან დოგმატური ცნებებით.

ყველა არსებული ექსტროლოგიური შეხედულებიდან „ქებაი“-ს მხოლოდ ადრექრისტიანული უკავშირდება. დანარჩენებთან დამოკიდებულება გამოარაცხელია როგორც დოგმატური საკითხებით, ისე პრონოლოგიურად.

სწავლება „მეცდრებით აღფრთხილ“ შესახებ, როგორც ცნობილია, იქცა ქრისტიანობის უმთავრეს დოგმატად და შევიდა „რწმენის სიმბოლოში“. ადრექრისტიანულსა და მოვლანებითი ხანის საეკლესიო სწავლებათა შორის განსხვავება სწორედ ამ „მეორედ მოსვლას“ ეძღის განსაზღვრაში მდგომარეობს.

იარაღი საუკუნეების ქრისტიანების ექსტროლოგიური თვალსაზრისი იყო ე. წ. ხილიაში ანუ მილენარიზმი (ბერძნული და ლათინური სიტყვიდან „აჰასწლელა“). თეოლოგიური საფუძვლით ის ემყარებოდა აპოკალიფსს („იოანეს გამოცხადებას“) და მისი პირდაპირი განმარტებიდან გ.წ. მომდინარეობდა. ხილიატიზმის შეხედულებით „უახლოეს მომავალში“ უნდა მომხდარიყო ქრისტეს „მეორედ მოსვლა“ და „ქვეყნიერების დასასრული“, რის შემდეგ დამყარდებოდა „აჰასწლოვანი მიწიერი სამეფო“, რომელსაც ქრისტე „განაგებდა“ „მეცდრებით აღმდგარ“ შორწმუნეებთან ერთად. ეს იყო დევნააღმრონდელი ქრისტიანობის შეხედულება, რომლის მიხედვით „ღვთის რჩეული“ ქრისტიანთა დამცირებული და გაპირვებული მდგომარეობა სრულიად შეწყდებოდა „უბოლოეს მომავალში“, ქრისტეს „მეორედ მოსვლის“ შემდეგ.<sup>1</sup>

„აჰასწლოვანი სამეფოს“ კონცეფციები, რომლებიც განუყოფელია ექსტროლოგიისაგან, ქრისტიანობის ვაბატონების შემდეგ ძალზე სწრაფად განიფენა ეკლესიიდან. ეკლესია, იქცა რა მორჩილ იარაღად ვაბატონებული კლასების ხელში, ისწრაფოდა ხილიაზმის შეაზოხე შეინაარის შევიწროვებისაკენ. ეს იდილო, რომელიც თავდაპირველად ვაგებული იყო რო-

გორც წაგრულია იმედების განზორციელება დღეამიწაზე, განიფენა რცენების „მამოთხისებურ ნეტარებაზე ცათა სასუფვედელში“ „სუფლის სამეფოს“ ცნება, ახლებური განმარტებით გაიგივებული იყო ქრისტეს შეუფებასთან შორწმუნეთა გულებში, რომელიც თითქოს დგებოდა ქრისტიანული რწმენის უკველი გუწრფელი გამოვლინების შემდეგ. ამავე დროს, ეკლესიის წარმომადგენლები ეუბნებოდნენ შორწმუნეებს, რომ მიწიერი იმედების განზორციელება არის ეკლესია, მიღებული იყო ავუსტინის თეზისი ეკლესიის „ღვთიერი არსის“ შესახებ, რომელიც მადლებოდა „მიწიერ საშეულებზე“.<sup>2</sup>

ეკლესიაში ხილიაზმთან ბრძოლა II საუკუნის დასასრულიდან დაიწყო: „რწმენა უახლოეს მომავალში ქრისტეს მეორედ მოსვლის შესახებ, რომელიც ძალზე გაკიანურდა, არა მარტო შესუსტდა, არამედ უკვე აღარ შეესაბამებოდა ეკლესიის სწავლებას ახალ ეტაპზე. ეკლესია მიიწრაფოდა ქვეყანაზე რეალური ბატონობისაკენ. ამ თვალსაზრისიდან ვამომდინარე, უკველგვარა ახლადება უახლოეს დროში „ზეციური იერუსალიმის“ დამყარების შესახებ, ეკლესიას სახიფათოდ და მიუღებლად იჩენებოდა.“<sup>3</sup>

ქრისტიანობის ვამარტებასთან ერთად ხილიაზმი ეკლესიიდან საბოლოოდ განიფენა. მის ნაცვლად მიღებული იყო ავუსტინის თეზისი „ორი სამეფოს“ — „მიწიერი და ზეციური“ — და ეკლესიის „ღვთიერი არსის“ შესახებ.

საბოთა ისტორიკოსი ა. ბ. რანვიჩი აღნიშნული საკითხის შესახებ წერდა: „პროტესტანტის სულის ჩაქრობასთან ერთად ქრებოდა მეორედ მოსვლის ახლო მომავალში განზორციელების იმედი და სურვილი. ის აღდგებოდა მხოლოდ დევნათა პერიოდში, როდესაც ქრისტიანებს ეწვენებოდათ, რომ დადგა „უკანასკნელი დროება“; მაგრამ ექსტროლოგიის ამგვარი აფეთქებები ჩქარა ქრებოდა. ექსტროლოგიური საკითხები, როგორც წესი, იხატებოდნენ შორტულ მომავალში. ეკლესია, რომელიც „ამ ქვეყანაზე“ რეალური ბატონობისაკენ მიიწრაფოდა, სრულიად არ იყო განწყობილი ქრისტეს „მეორედ მოსვლის“ და „აჰასწლოვანი სამეფოს“ დამყარების მიმართ. „წინასწარმეტყველებები“ ამ საკითხზე, რომელიც გამოხატულია ახალი აღთქმის წიგნებში, ვანიმარტებოდა მიხტიკურად, ხოლო მათი რეალური რწმენა ვანიხილებოდა როგორც ერებს“.<sup>4</sup>

როგორც ვებდავთ, „ქებაი“-ში ვამოხატული „მეორედ მოსვლის“ რწმენა უკვე ადრექრისტიანულ პერიოდში იყო მიჩნეული „მწვალებლობად“. ეს ვითარება ვამოიცხავს ამ ხასიათის თხზულების ნებისმიერ ეპოქაში შექმნას და შეკცრად განსაზღვრავს მისი დაწერის ზედა პრონოლოგიურ მიწას IV საუკუნის დასასრ-



ულით, რადგან: „ხილაჴმის ადრექრისტიანულ-  
 ლი პერიოდის დამოკრდა IV საუკუნეში“<sup>5</sup>  
 „ქებაი“-ს ავტორის ხილახატორად შეხედუ-  
 ლებში გამოკლებილია პირველსავე წინადადე-  
 ბაში: „დამარბულ არს ენაი ქართული დღემდე  
 მეორედ მოსვლისა მისისა საწამებლად რათა  
 უკვლესა ენასა ღმერთმან ამხილოს ამით ენი-  
 თა.“ იგივე აზრს იმეორებს მეცხრე წინადადე-  
 ბაში: „და ესე ენაი შემკული და კრთხუელი  
 სახელითა უფლისითა მდაბალი და დაწუნებუ-  
 ლი მოკლის დღესა მას მეორედ მოსვლასა  
 უფლისასა“.

იხსულებს მიხედვით, „მეორედ მოსვლის  
 მომლოდინე“ ქართული ენა არა მარტო ჩაგრუ-  
 ლი და დამცირებული იყო, არამედ ის გამო-  
 ყვანილია ესპატოლოგიური „მამხილებლის“  
 როლით.

„ენების მხილების“ ცნება მომდინარებს აპ-  
 ოკალიფიდან, სადაც ეს აზრი ბევრჯერ არის  
 ხაჯკასული: „და შემდგომად ამისა ვახილე, და  
 ამა ერა ფრიადო, რომლინა აღრიცხუვად ვერ-  
 ვინ შექმლებელ იყო, უკველითაგან წარმართთა  
 და ცოშთა და ერთა და ენათა, მღვამარენი  
 წინაშე საუდრისა და წინაშე კრავისა, შემოსილ-  
 ნა საშოსლითა სეტაკითა და ბელთა მათთა  
 აქუნდა ფინიკიები“ (გამოცხ., 7. 9). იგივე შე-  
 ხედულება შეიკრება „გამოცხადების“ სხვა  
 თავებშიც.

ქართული ენის ჩათვლა „ენათა მხილების“  
 იარაღად არ შეიძლებოდა ნებისმიერ დროს  
 მომხდარიყო, რადგან ეს აზრი ქრისტიანული  
 დოგმატიკის უშთავრებს დებულებებს უკავში-  
 რდება.

ესპატოლოგიური „მამხილებელი“, „ახალი  
 ადომის“ წიგნების მიხედვით, „სული წმიდა“  
 იყო „სული წმიდა“ მრავალჯერ არის ნახსენებ-  
 ილი იოანეს სახარებაში (იგივე „ნუგეშინის-მცე-  
 მელი“, „სული ჴეშმარტიებისა“): „ხოლო  
 რაჲმს მოვიდეს ნუგეშინის-მცემელი იგი, რო-  
 შელი შე მოვაჲლინო თქუნდა მამისა ჩემისა მი-  
 ერ, სული ჴეშმარტიებისა, რომელი მამისაგ-  
 ან გამოვალს, მან წამოს ჩემთვის“ (იოანე, 16,  
 26). „და მოვიდეს იგი და ამხილოს სოფელ-  
 სა ცოადვისათვის და სიპართლისათვის და სა-  
 ხქელისათვის“ (იოანე, 16, 8).

როგორც ვხედავთ, „ქებაი“-ს ავტორი ქარ-  
 თულ ენას „სული წმიდის“ ესპატოლოგიურ  
 ფუნქციას „უნაწილებს“, ე. ი. თვლის, რომ ენა-  
 ჴე „გადმოღის სული წმიდა“ და მას „უფლის  
 ნიშანი“ გაანია. ავტორი ამ შეხედულების და-  
 დასტურებას ხედავს ქართული მათეს სახა-  
 რების დასაწყისში არსებულ ასო-ნიშან  
 „წილ“-ში, რომელიც კრისტეს მონოგრამის  
 (ე. წ. „უფლის ნიშნის“) გრაფიკულ გამოსახ-  
 ულებას წაგავს.<sup>6</sup>

გადმოცემული აზრი პარდაპირ მიმართებაშია  
 რელიგიური დოგმატიკთან „წმ. სამებისა“ და  
 „სოფლიო ეკლესიის“ შესახებ.

ორთოდოქსალურმა ეკლესიამ „წმ. სამების“  
 დოგმატი, საბოლოო სახით, კონსტანტინოპოლი-  
 ის II მსოფლიო საეკლესიო კრებაზე მიიღო.<sup>7</sup>  
 ამ კრებას, რომელიც ახ. წ. 381 წ. ჩატარდა,  
 საქართველოს ეკლესიის წარმომადგენელიც ეს-  
 წარბოდა. ეს გარემოება ადასტურებს, რომ  
 კრების დადგენილება საქართველოშიც იმავე  
 ითვე ვახდა ცნობილი.

კრებამ დაადგინა, რომ სამების მესამე იპ-  
 ოსტასის — „სული წმიდის“ — გადმოსვლა  
 შემუშვებული იყო ნებისმიერად და ნებისმიერ  
 დროს. დოგმატიკის ამგვარი ფორმულირება გა-  
 მორიცხავდა „ქებაი“-ში გადმოცემული თვალ-  
 საზრისის ჩამოყალიბებას აღნიშნული კრების  
 შემდეგ.

კონსტანტინოპოლის კრებაზე მიღებული დო-  
 გმატიკის საფუძველზე კართაგენის 418 წ. (ან  
 419 წ.) საეკლესიო კრებამ მიიღო აფუსტინის  
 თეისის ეკლესიის „ღვთიური არსის“ და „სუ-  
 ლი წმიდის“ გამოხატულების შესახებ, რომელ-  
 დაც გაიზიარა მთელმა ოფიციალურმა ეკლესი-  
 აში.

„ქებაი“-ში გადმოცემულ თვალსაზრისში არ-  
 ათუ არ ჩანს დასახელებული კრებების ვადაწუ-  
 ვტილება, არამედ ჩვენი ავტორის შეხედულებე-  
 ბა ეწინააღმდეგება მათზე მიღებულ ძირითად  
 დოგმატიკებს. განსხვავებული სურათი წარმოგ-  
 ვიდება ადრექრისტიანული იდეების განხილვი-  
 ნას.

„ქებაი“-ს ავტორის ანალოგიური აზრები,  
 „ნუგეშინისმცემლის გადმოსვლასთან“ დაკავში-  
 რებით, ახასიათებდა სწორედ ადრექრისტიან-  
 ულ ხილაჴმს. ამ მხრივ საინტერესოა მონტა-  
 ნისტიკების თვალსაზრისი, რომლებიც ძირითადი  
 დოგმატიკური პრინციპებით არ ეწინააღმდეგებო-  
 დნენ იმდროინდელ ქრისტიანულ დოგმებს.

ა. ბ. რანფორი, რომელმაც განახილა ებეს-  
 კოპალურ ეკლესიასა და მონტანისტიკის სექ-  
 ტას შორის არსებული განხეთქილების არსი,  
 აღნიშნულ საკითხზე წერს: „განხეთქილებაში  
 მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება მო-  
 ნტანისტთა სწავლებას ნუგეშინისმცემელის შე-  
 ხახებ, რამდენადაც ეს „ნუგეშინისმცემელი“  
 მრავალჯერ არის აღქმული იოანეს სახარება-  
 ში... მაგრამ მონტანისტიკი, როგორც ჩანს, არც  
 ფიქრობდნენ, რომ ნუგეშინისმცემელში დანახაპი  
 რაიმე ახალი. ჩვენ ვამტკიცებთ სწორედ იმას,  
 — წერდა ტრეტულაანი — რომ ჩვენი სწავ-  
 ლება არც ახალია და არც შექნილი... ნუგეშ-  
 ინისმცემელი უნდა ჩაითვალოს უფრო აღმდგე-  
 ნლად, ვიდრე დამდგენლად“<sup>8</sup>

ქებაი“-ში გადმოცემული შეხე-  
 დულება, ქართული ენის „სული  
 წმიდის“ გამოხატულების შესახ-  
 ხებ, ეწინააღმდეგება ქრისტიან-  
 ული ეკლესიის მიერ 381 და 419  
 წლებში მიღებულ დოგმებს.

უფრო ნათელი რომ ვახდეს ეკლესიის და-

მოკიდებულება ხილიაზმთან, სწილსტრაციოდ მოკიდევან აპოკალიფსის XX თავის განმარტებებს, ამ თავში საუბარია სატანის „ათასწლოვანი შეზოკვის“ შესახებ, რასაც ემყარებოდა ადრქრისტიანული მოლოდინი „მეორედ მოსვლასთან“ დაკავშირებით: „და შეიპყრა ვეშაპი იგი — გუელი დასაბამისაი, რომელ არს ესმადი და სატანა, რომელი აცოუნებს ყოველსა სოფელსა, და შეყრა იგი ათას წელ“ (გამოც., 20.2).

ეს აზრი მართლმადიდებლური ეკლესიის მიერ შემდეგნაირად არის განმარტებული: „ამ ცუდად ახსნილ ადგილზე ამჟამადღენ თავის ცდომილება ხილიასტებო, ანუ ათასწლიანები, რომლებიც ელოდნენ იესო ქრისტეს დაბრუნებას დედამიწაზე და მის გაშეუბას 1000 წლით, მორწმუნეთა შორის. მაგრამ, როგორც მთელ აპოკალიფსში, ისევე აქაც, აზრი ვადატანითა, იგულისხმება ქრისტეს ათასწლოვანი შეფობა არა მიწიერი და ხორციელი, არამედ ზეციური და სულიერი. თვით მორწმუნეთა აღდგომა არის მათი შეერთება ქრისტესთან სიყვდილის შემდეგ“.<sup>9</sup>

ქართაენის 418 წ. საეკლესიო კრებაზე მიღებული დოგმატი უარყოფს „მეორედ მოსვლის“ პირდაპირ გაგებას და მას ე. წ. „ორმაგი აღდგომის“ დოგმატით ცვლის.

ეს ვითარება ამტკიცებს, რომ „ქებაი“ შეიძლება შექმნილიყო მხოლოდ იმ დროს, როდესაც მასში გადამოცემულ იდეებს ეკლესია „მწვალებლობად“ არ თვლიდა, ასე არა უგვიანებს 881 წლისა.

II

„ქებაი“-ს ავტორის ესქატოლოგიური შეხედულებები პარალელს პოუბენ ისეთ მნიშვნელოვან ისტორიულ წყაროებთან, როგორცაა „პართლის მოქცევის“ შესახებ არსებული ძეგლები.

ამ უსრულდებას იპყრობს მცხეთისა და იერუსალიმის გაიგივების მცდელობა, რომელიც შეისწავლა კ. კეკელიძემ. მეცნიერი წერდა: „ძველმა ქართულმა ეკლესიამ, თვით ტაოგრაფიულში მიმართებითაც კი, გადმოიღო თავისი იდეა, იერუსალიმის ეკლესია; შექმნა რა თავისთან, მცხეთაში და მის გარშემო, ყველა უმოაყრესი პუნქტი, რომლებთანაც დაკავშირებული იყო ძირითადი მოვლენები ქრისტეს მიწიერი ცხოვრებითან... მცხეთა, ეს არის ქართული იერუსალიმი“.<sup>10</sup>

აღნიშნულ საკითხს შეეხო რ. სიჩაძე ნაშრომში: „წმინდა ნინო და „დედა-უფალი“ — იერუსალიმში ქრისტეს საფლავი, მცხეთაში კი დაფლავლია ეკარსი უფლისა. მცხეთა სახეა ე. წ. ზეციური იერუსალიმისა“, აიტიომ ანალოგიები სულიერი სიმბოლიკის შინაარსს შეიკავს“.<sup>11</sup>

ქრისტიანობის პირველ საუწყენებში რომელიმე ქალაქის იერუსალიმად წარმოადგენას მხოლოდ „შედარების“ მნიშვნელობა უნდა და კონკრეტულ ესქატოლოგიურ შინაარსს ატარებდა.

„ახალ იერუსალიმის“ ცნება მომდინარეობდა აპოკალიფსიდან, რომლის მიხედვით დამახობოდა „დიდი წარმართული ქალაქი“ და მის ნაცვლად დაეფუძნებოდა „ზეციური იერუსალიმი“. კონსტანტინოპოლის „ახალ იერუსალიმად“ სახელდება ამჟამრ ესქატოლოგიურ შინაარსს ატარებდა.

ა. ბ. რანოიჩმა ტერმინ „იერუსალიმის“ ცნება შემდეგნაირად განმარტა: „იერუსალიმი არის არა მხოლოდ წმინდა ქალაქი და იუდაიზმის ცენტრი, საიდანაც გამოვიდა და რომელსაც პირველ ხანებში უწოდებოდა ქრისტიანობა: ის, ამავდ დროს, არის ზეციური იერუსალიმი, სადაც ქვეყნიერების დასასრულს, საშინელი სამსჯავროს შემდეგ, დაშვარდებოდა უფლის სამეფო. ამასთანავე იერუსალიმი არც გაიპყრებოდა გარკვეულ გეოგრაფიულ უბნებად. შავ. მონტანისტებმა ზეციური იერუსალიმის ჩამოსვლას ფრიგიაში ელოდნენ“.<sup>12</sup>

მონტანისტები იერუსალიმს უწოდებდნენ ფრიგიის ქალაქებს პეტუსასა და თიმონას. ისინი პირდაპირ ისახავდნენ აქ მთელი ქვეყნის მოსახლეობის თემპოურას „მეორედ მოსვლას“ მოლოდინში. პეტუსაში, ამოხდნენ ისინი, ჩამოღის „ზეციური იერუსალიმი“.<sup>13</sup>

როგორც ვხედავთ, ქრისტიანობის პირველ საუწყენებში ქალაქის იერუსალიმთან გაიგივება მხოლოდ საქართველოსთვის დამახასიათებელი უნიკალური მოვლენა არ ყოფილა; ამდროინდელი მსოფლიოს კიდევ საში ქალაქი (თუ მეტი არა) იწოდებოდა „იერუსალიმად“. ყველა დასახლებულ შემთხვევაში ეს „წოდება“ მიითურ „მეორედ მოსვლას“ უკავშირდებოდა.

წარმართული „დიდი ქალაქის“ და „ზეციური იერუსალიმის“ დამახასიათებელი აპოკალიფსური ცნებები ნათლად არის გამოხატული ქართული წყაროებში, რომლებიც საქართველოში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებას აღწერენ.

მცხეთის „ახალ იერუსალიმად“ წარმოადგენიხან IV საუკუნის ქართველ ქრისტიანთა უსრულდებას არ გამოჩენილა არც ერთი დეტალი, ისეთიც კი, როგორაც არის „სვეტი ცხოველი“.

ეს „სასწაულმოქმედი“ საგანი პირდაპირი ანარკელია აპოკალიფსური „ძველი ცხოვრებისაი“-ს, რომელიც „ზეციურ იერუსალიმში“ იყო „აღმოცენებული“.

„იოანეს გამოცხადება“ მას შემდეგნაირად „ახასიათებს“: „შორის სივრცეა მის ქალაქისასა და მდინარისა მის ამოერ და წიაღ ძელი ცხოვრებისაი, გამოშდებულ ათორმეტბაა ნუფისა, ყოველთა თითუთა მოსცემული თვისისა მის ნაყოფისაი, და ფურცელნი იგი მის ხი“.

სანი საკურნებლად წარმართა" (გამოც., 22,2).

„ქართლის მოქცევა“ იგავე აზრს ვადმოგვცემს: „მოკინწევიდა ზურაია, ბრმაი შობითგანი და მივახლა სუტება მას ცხოველსა, და მუნქუესვე იქმნა იგი მხედველ და აღიღებდა ღმერთსა. ურმაი ვინმე სუფრწული იგვა რვა წლისა სწულა, წარმართა, შიადლი იგი დედამან მისან სარწმუნოვებით, დაღვა იგი ცხედარსა ზედა წინაშე სუტებისა მის ნათლისხასია... მაშინ შეხო ნეტარმან ნინო ზელი თვისი სუტება მას ცხოველსა და დასდვა ურმასა მას ზედა... და მწრფელ აღღვა ურმაი იგი ვითარცა უტკვენელი“<sup>14</sup>

ზემოთქმულიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ IV საუკუნის ქართველი ქრისტიანები, სხვა ქვეყნების ქრისტიანთა სპირისპირად, „შეორად მოსვლას“ და „წიციური იერუსალიმის“ დაშვარებას საქართველოში და, კერძოდ, მცხეთაში ელოდნენ, რასაც მცხეთის „ახალ იერუსალიმად“ წარმოდგენა და ქართული ენის „მისია“ ადასტურებს. „ქებაი“-ს ავტორის და „ქართლის მოქცევის“ შემდგენლების თვალსაზრისი ერთიანი შეხედულებიდან მომდინარეობენ და ავსებენ ერთმანეთს.

ერთ-ერთი „საფუძველი“, რასაც ეს შეხედულება ეყრდნობოდა, იყო ქართული ქრისტიანული წილთაღრიცხვა, რომლის მიხედვით 8000 წელი, ანუ ე. წ. „სამუაროს არსებობის ექვსი საკრალური დღე“, IV საუკუნის დასასრულს — ახ. წ. 398 წ. „სრულდებოდა“.

III.

„ქებაი“-ში მოყვანილი 94 წლის მნიშვნელობა განვიხილეთ წინამორბედ წერილში, მაგრამ, საკითხის დაწვრილებით გაანალიზების მიზნით, კვლავ უნდა შევეხო ამ თემას.<sup>15</sup>

თხზულებით სრული თარიღების განმარტებისას უნდა გავითვალისწინოთ ქრისტიანული ქრონოლოგია და ის ესკატოლოგიური შეხედულებები, რომლებიც მჭიდროდ უკავშირდებოდნენ ამ წილთაღრიცხვას.

თვით ქრონოლოგია, ქრისტიანული წარმოდგენით, თეოლოგიისგან განუყოფელ ცნებად იყო მიჩნეული.<sup>16</sup>

ქრისტიანული წილთაღრიცხვის ხსიტემა, რომელიც წილებს „აღამიდან“ ითვლის, წარმოიშვა ამ რელიგიის არსებობის პირველ საუკუნეებში და თავისი საფუძვლით არაერთად ისტორიულ და ასტრონომიულ პრინციპს არ ითვალისწინებდა, რადგან ბიბლიური მითის — „სამუაროს შესაქმნის ექვსი დღიდან“ გამომდინარეობდა.

„ქრისტიანობის წარმოშობასთან ერთად ბიბლია გახდა ცოდნის ერთგვარი წყარო... ქრისტიანმა მწიგნობრებმა დაიწყეს გამოთვლა, თუ რამდენი წელი გაივია აღამიდან ქრისტემდე,

რაც ძალზე რთული იყო... როდესაც ცხელი გახდა ბიბლიის, როგორც ისტორიული წყაროს, გამოყენების შეუძლებლობა, ქრისტიანთა გადავიდა წმინდა თეოლოგიურ განმარტებაზე: ღმერთმა შექმნა სამუარო ექვს დღეში, აღამიანი შეიქმნა მეექვსე დღის შუაში. მაგრამ უფლის ერთი დღე, დაავითის უხალმუნის მიხედვით, უტოლდება ათას წელიწადს (ზაზგასმა, გ. ნ.). შესაბამისად, სამუაროს შექმნიდან აღამამდე გავიდა 5500 წელი... აღამიდან ქრისტეს შობამდე, აგრეთვე, უნდა გასულიყო 5600 წელი“<sup>17</sup>

ეს „გამოთვლა“ დაედო საფუძველად ამ ხასიათის პირველ ქრისტიანულ წილთაღრიცხვას, რომელიც შემოდებულა ახ. წ. 221 წ. იულიუს სექსტუსს აფრიკელის მიერ: „აფრიკელმა... მიუდგა რა ბიბლიურ თხრობას შესაქმნის ექვს დღის შესახებ, დაუო მთელი ისტორია ექვს ათასწლეულად... ამავე დროს ქრონისტმა გამოითვალა, რომ ქრისტეს შობის წელი ემთხვევა აღამიდან 5500 წელს. ექვსი ათასი წლის დასასრულს, აფრიკელის შეხედულებით, უნდა მომხდარიყო სამუაროს არსებობის დასასრული და გახსნილიყო ათასწლეოვანი სულთაობა ანუ ქრისტეს ათასწლეოვანი მეფობა მორწმუნეებთან... იულიუს აფრიკელის წილთაღრიცხვის პრინციპი დაედო საფუძველად 330-მა შემდგადრონიდელ ქრონოგრაფიებსა და წილთაღრიცხვებს“<sup>18</sup>

ეს თვალსაზრისი გამოხატული IV საუკუნის საეკლესიო მოღვაწის ბილარიუს პიკტავიელის შეხედულებებში მან, მიუხედავად სხარტის მეროცე თავის შევენახის იგავიდან გამომდინარე სამუაროს არსებობის 8000 წელი 12 საკრალურ პერიოდად იყო, დღის 12 საათის შესაბამისად, თითოეული „თამეული“ 500 წელს მოიცავდა.<sup>19</sup>

ამ შემთხვევაში ჩვენთვის საინტერესოა ის გარემოება, რომ ბილარიუსი ასახელებს ცალკეული პერიოდების ადრექრისტიანულ სიმბოლურ სახელებს, რომლებიც შესაბამებოდნენ ბიბლიურ პერიონებებს. წილთაღრიცხვის XI პერიოდი „ქრისტეს მოვლინებას“ ნიშნავდა.

როგორც ვხედავთ, III-IV საუკუნეების ქრისტიანი ღვთისმეტყველების აზრით, „შეორედ მოსვლის“ დრო წილთაღრიცხვით იანგარაშებოდა და „აღამიდან“ 8000 წელს უნდა დამდგარიყო“.

წილთაღრიცხვას ეყრდნობოდა მართლმადიდებლურ ეკლესიაში XIII-XV საუკუნეებში აღმოცენებული ანალოგიური „მოლოდინის“, რომელიც „აღამიდან“ 7000 წლის შესრულებას უკავშირდებოდა. ეს ესკატოლოგიური შეხედულება ადრექრისტიანული ხასიან უკვე ძლიერ განსხვავებული დოგმატიდან გამომდინარეობდა.

ქართულ წყაროებში გამოხატული ეს მოგვანებითი ხანის ესკატოლოგიური თვალსაზრისი განიხილა კ. კეკელიძემ. ნაშრომში „ესკატოლ-

ოგორის მოტივები ძველ ქართულ მწერლობასა და ცხოვრებაში“.<sup>20</sup>

აბ. წ. 1398 წლისთვის საქართველოში არსებული „მეორედ მახლას“ მოლოდინი, ისევე როგორც ამავე ათასი წლით ადრე, კვლავ ქართულ წელთაღრიცხვას ეურდნობოდა.

წელთაღრიცხვის 500-წლიანი მონაცემების 532-წლიანი შეცვლა ნიკიას I მსოფლიო საეკლესიო კრებაზე (325 წ.) მოხდა. კრების მონაწილეებმა დაადგინეს, რომ მთელი მსოფლიოს ქრისტიანებს ერთსა და იმავე დღეს უნდა აღენიშნათ უმთავრესი ქრისტიანული დღესასწაული — აღდგომა. შემოდებული იყო მზე-მთვარის წელთაღრიცხვა, რომელიც 532-წლიან ციკლებს მოიცავდა (28 მზის წელი X 19 მთვარის წელზე-532 წელს). აბ. 325 წლის შემდეგ ქრისტიანული ქრონოლოგია მზე-მთვარის კალენდარს დაუყვებოდა.<sup>21</sup>

მცირე აზიის ზოგაერთმა ცელესიამ არ გაიზარა ნიკიას კრების ეს დადგენილება და აღდგომას ძველებურად, იუდეველებთან ერთად აღნიშნავდნენ. ანტიოქიის 341 წ. საეკლესიო კრებაზე ავიდა ეს ცელესია მოიკვეთა „მსოფლიო ცელესიიდან“.<sup>22</sup>

ეს გარემოება ადასტურებს, რომ 532-წლიანი ციკლების შემოღება, რაც სასქალაქო გამოთვლების საფუძველს წარმოადგენდა, საქართველოში 325-341 წწ. უნდა მიმდარყო.

აბ. წ. 353 წლამდე იულიუს აფრიკელის წელთაღრიცხვა, რომელიც „აღამიდან ქრისტეს შობამდე“ 5500 წელს ითვლის, იყო ერთადერთი, რასაც ცელესიის სასქალაქო ანგარიში ეურდნობოდა. ამ წელს, იმპერატორ კონსტანტინის დროს, ჩატარდა აფრიკელის წელთაღრიცხვის რეფორმა და შეიქმნა ე. წ. ძველბიზანტიური ერა, ეს წელთაღრიცხვა „აღამიდან ქრისტეს შობამდე“ 5509 წ. ითვლიდა.

იულიუს აფრიკელის წელთაღრიცხვა გარკვეულ უზერბულობას ჰქონდა; რადგან წელთაღრიცხვის პირველი წელი (5500 წელი „ქრისტეს შობამდე“) არ შეესაბამებოდა 532 და 15-წლიანი ინდიკტიური ციკლების ასტრონომიულ და ქრონოლოგიურ დასაწყისს. ეს ვითარება ეწინააღმდეგებოდა დიოხისეტესეულურ მოსაზრებას, რომლის მიხედვით წელთაღრიცხვის დასაწყისი, ამავე დროს, აღნიშნული ციკლების პირველი წელი უნდა უფყოლიყო „პრობლემა“ გადაწყვეტილი იყო ძველბიზანტიური ერის შემოკლებების მიერ. მათ წელთაღრიცხვის დასაწყისი, რომელიც 532-წლიანი და 15-წლიანი ინდიკტიური ციკლების დასაწყისს წარმოადგენდა, „ქრისტეს შობამდე“ 5509 წელზე გადაიტანეს, ხოლო მეორე მხრით 532-წლიანი სასქალაქო ციკლის დასაწყისად აბ. წ. 344 წ. მიიღეს.<sup>23</sup>

აბ. წ. 353 წელს შემოდებული ძველბიზანტიური წელთაღრიცხვა უკვე ითვალისწინებდა 532-წლიან ანგარიშს. ამავე წელს, ანდრია ბი-

ზანტიელის მიერ შეიქმნა სომხური 200-წლიანი სასქალაქო ციკლი.

ერთსა და იმავე დროს ძველბიზანტიურმა და სომხური წელთაღრიცხვების შემოღება, როგორც ჩანს, შემთხვევით არ მომხდარა. აბ. წ. 353 წლის 29 თებერვალს (აფრიკელის წელთაღრიცხვით ეს წელი ნაიკანია) დამთავრდა იულიუს აფრიკელის წელთაღრიცხვის XI მოქცევა და I მარტიდან დაიწყო ახალი, XII მოქცევა. დასახლებული წელთაღრიცხვების შემოღებაც ამ თარიღს უყავსწარმოდა.

შემოქმედლებიდან გამომდინარეობს ორი დისკვა: 1. იულიუს აფრიკელის წელთაღრიცხვა უკვე ნიკიას კრების შემდეგ დაიწყო 532-წლიან მონაცემთა XI მოქცევის დამთავრების შემდეგ განხორციელდა აბ. წ. 353 წლის რეფორმა; 2. აბ. წ. 353 წლამდე სომხური ცელესია სასქალაქო გამოთვლებისათვის იულიუს აფრიკელის წელთაღრიცხვას იყენებდა.

კ. კეკელიძე, ეურდნობოდა რა ანონიმი ქრონოგრაფის ცნობას, ქართული წელთაღრიცხვის შემომღებად ანდრია ბიზანტიელს ითვლიდა.

ნაშრომში — წელთაღრიცხვა ძველ საქართველოში“ კ. კეკელიძემ გამოთქვა მოსაზრება, რომ ანდრია, რომელიც დასახლებული ქრონოგრაფის თანახმად, „აღამიდან ქრისტეს შობამდე“ 5600 წელს ითვლიდა, აყო სომხურ-ქართული წელთაღრიცხვის შემოღების ავტორი, რაც აბ. წ. 353-356 წწ. განხორციელდა. კ. კეკელიძე საქართველოში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებასაც ამ წლებში მიიჩნევდა.<sup>24</sup>

„ქება“-ს კვლევამ სრულიად განსხვავებული ისტორიული სურათი ვაამცნო. ამასთანავე, შუა საუკუნეების ანონიმი სომეხი ქრონოგრაფის ცნობის სისწორეში ეცხე შეიტანა ვ. გრუმელმა.

ანდრია ბიზანტიელი ითვლება წელთაღრიცხვის 353 წლის რეფორმის ავტორად, რომლის მიხედვით „ქრისტეს შობის“ წელი „აღამიდან“ 5509 წელზე იყო გადატანილი და ამ რეფორმის თეოლოგიურ დასახუფებას იძლეოდა. ანდრია აბის, აგრეთვე, სომხური 200-წლიანი წელთაღრიცხვის შემომღები. ამ პაროქუფესიასთან დაკავშირებულ არც ერთ ავთენტურ წყაროში არ ჩანს, რომ ქრონოსტი „აღამიდან ქრისტეს შობამდე“ 5600 ან 5604 წელს ითვლიდა. ვ. გრუმელის აზრით ეს ცნობა ეტება კლიმენტ ალექსანდრიელის, რომელიც ამ „პერიოდს“ 5594 წლად ითვლიდა.<sup>25</sup>

როგორც ვხედავთ, III-IV საუკუნეების ქრისტიანების, ესქატოლოგიური მოლოდინი ქრისტიანულ წელთაღრიცხვას ეურდნობოდა და ამ წელთაღრიცხვის პრინციპიდან გამომდინარეობდა.

„აღამიდან“ 6000 წელი ქართული წელთაღრიცხვით IV საუკუნის დასასრულს — აბ. წ. 396

წ. შესრულდა. იულოუს აფრკელის და მიხვან გამომდინარე წელთაღრიცხვებით — ახ. წ. 491-508 წლებში.

ხილიასტიური შებედილებით „ადამიანი“ 8000 წელს დამთავრდებოდა „სამყაროს არსებობის“ ექვსი საკრალური დღე და დადგებოდა „მეშეადი“. ე. წ. „ღვთიური შაბათი“, როდესაც ქრისტეს მითიური „ათასწლოვანი მიწიერი სამეფო“ უნდა დამყარებულიყო.

ისტორიული ვითარების გამო ეს მოლოდინი საქართველოში შედარებით განსხვავებულ პირობებში აღმოჩნდა, ვიდრე სხვა ქვეყნებში.

ქართული წელთაღრიცხვა უკველა ადრექრისტიანულ წელთაღრიცხვას, რომლებიც ეკლესიამ იხმარებოდა, დაახლოებით ერთი საუკუნით აღემატება. მიხტყური 6000 წელიც უფრო ადრე დგებოდა, ვიდრე სხვა წელთაღრიცხვებით. ეს ვარაუდობა განაპირობებდა საქართველოში ესქატოლოგიური მოლოდინის ადრეულ აღმოცენებას (იგივე განმეორდა XIII-XIV საუკუნეებში).

IV საუკუნეში, როდესაც მოახლოებულ იყო ქართული წელთაღრიცხვის 6000 წელი და ქართული ეკლესია „მეორედ მოსვლას“ ელოდა, ხილიაში ჭერ კადეც ინარჩუნებდა „კანონიერი“ არსებობის უფლებას ეკლესიის შიგნით. V საუკუნის დასასრულისათვის, როდესაც დგებოდა სხვა წელთაღრიცხვების 6000 წელი, ესქატოლოგიური მოლოდინი ქრისტიანულ ქვეყნებში აღარ აღმოცენებულა, რადგან ამჟვარი შებედილებებით, ამ დროისთვის უკვე დიდხინს განდევნილი იყო ეკლესიიდან.

IV.

„ქებაი“-ს ავტორის თვალსაზრისი რომ ქართული წელთაღრიცხვიდან გამომდინარეობს, სკამათო არ არის, რადგან მთელი იმდროინდელი ქრისტიანობა „მეორედ მოსვლის“ თარიღს წელთაღრიცხვით ითვლიდა. მაგრამ ნიშანდობა ლევა ის ვარაუდობა, რომ ამ აზრის დადასტურება თვით თხზულებაში მოცულობება: „დაოთხისა დღისა მკუდარი, ამისთვის თქუა დავით წინასწარმეტყუელმან, რამეთუ წელი თათის ვითარცა ერთი დღეი“.

დავითის ეს უსაბუნი, რომელიც აქ პეტრე მოციქულის პერაფრაზით არის მოკვანილი (2 პეტრე, მ. 8.), როგორც ვნახეთ, ქრისტიანული წელთაღრიცხვის საფუძველს წარმოადგენდა. ეს განმარტავს „ოთხი დღის“ და „ოთხმოციდაოთხმეტე წლის“ მნიშვნელობებს.

ამტკარედ მხოლოდ „ოთხმოციდაოთხმეტე წლის“ შინაარსს განვიხილავ.

წაწარმოების მიხედვით „დამარბულ არს ენა ქართული დღემდე მეორედ მოსვლესა... მოელის დღესა მას მეორედ მოსვლესა უფლესა, და საწაულად ესე ჟურს ოთხმეოც და

ათოთხმეტე წელი უმეტეს სხუთა ენათა ქრისტის მოსვლითგან ვიდრე დღესამომდე“.

ე. ი. 84 წელი, რომელიც „ქებაი“-ს დაწერის დრომდე ათვლებდა, „მეორედ მოსვლას“ უკავშირდება. ამასთანავე, ავტორი კონკრეტულ წლებს ვაღმოვკვეცებს, რაც ამტკიცებს, რომ ამონათქვამი დროში კონკრეტული თარიღია.

ქრონოლოგიასთან დაკავშირებული ადრექრისტიანული ესქატოლოგიური შებედილება და ქრისტიანული სიმბოლოზნი განმარტავს ამ ცნებების მნიშვნელობას.

„ქრისტეს მოსვლა“ ქრისტიანული წელთაღრიცხვის მეოთხმეტე 582-წლიან მოცუვას ნიშნავდა ანუ მეოთხმეტე საკრალურ ეპეოულს, როდესაც „მეოთხიანი ქრისტე“. „მეორედ მოსვლას“ ადამიდან 6000 წლისთვის ელოდნენ.

შესაბამისად, 84 წელი თავდება XI მოციქულისა და 6000 წელს შორის და უდრის XII მოციქულის 84 წელს.

ქართული წელთაღრიცხვის მეოთხმეტე მოციქუა ახ. წ. 249 წლის 1 მარტს დაიწყო (ახალქალური წელი 1 მარტიდან იწყებოდა). 6000 წელი ახ. წ. 896 წ. შესრულდა ამიტომ „ქებაი“ დაწერილია ახ. წ. 842-848 წლებში (248 ან 249 + 84 = 342 ან 343 წ.წ.).

ახსნა, თუ რატომ მიიჩნევს თხზულების ავტორი ამ წლებს ქართული ენის „საწაულად“, ხორთულეს არ წარმოადგენს.

ქართული წელთაღრიცხვა, რომელიც „ადამიდან ქრისტეს მოსამდე“ 5802 წელს ითვლის, იმდროინდელ ეკლესიებში გამოყენებულ იულოუს აფრკელის წელთაღრიცხვას 104 წლით აღემატება. წელთა მეტობის გამო ქართული წელთაღრიცხვის უკველა ახალი მოციქუაც 104 წლით ადრე იწყებოდა.

ეს განსხვავება მუდმივია სიღაღეა „ადამიდან“ ნებისმიერი წლისთვის.

„ქებაი“-ში, ამ მეტობიდან გამომდინარე, შედეგი ადრექრისტიანული თვალსაზრისია ვაღმოციქუელი.

6000 წელი ქრისტიანული წელთაღრიცხვების XII მოციქუის 148 წელია (6000—5852 = 148). ხილიასტიური შებედილებით XI მოციქუის დასასრულიდან მითიურ „მეორედ მოსვლამდე“ დარჩენილი იყო მეოთხმეტე აბარსული მოციქუის 147 წელი. 148-ე წელს, აღდგომას, ქვეყნიერების არსებობის „დასასრულს“ ელოდნენ.

ქართული ეკლესია 6000 წლის შესრულებას და „ათასწლოვანი სამეფოს“ დამყარებას საყუთარი წელთაღრიცხვით და საქართველოში ელოდა. ამჟვე „თარიღს“ უკავშირებს „ქებაი“-ს ავტორი ქართულ ენაში „დამარბული საიდუმლოს“ გამოვლენებს.

ახ. წ. 842-848 წ. ქართული წელთაღრიცხვის XII მოციქუის 84-ე წელია; იულოუს აფრკელის წელთაღრიცხვით — XI მოციქუის 582-ე წელი.

იმ დროს, როდესაც ქართული წელთაღრიცხვით „ახლოვდებოდა“ მითიური „მეორედ მოსვლის“ 8000 წელი და ეს წელთაღრიცხვა „უპასუხი წელთაღრიცხვით“ წლებს ითვლიდა, იუდეველნი აფარველეს წელთაღრიცხვით ქარ კიდევ წინამორბედი („ქრისტეს მოსვლის“) მოქცევა არ იყო დამთავრებული.

თხზულებაში გამოხატული ენის „მოლოდინი“ ამ გარემოებით არის გამოწვეული. ავტორის აზრით ახლოვდებოდა ქრისტეს „მეორედ მოსვლის“ და „ათასწლეულის საშემოს“ დამთავრების დრო, რაც სუქაროველოში და ქართული წელთაღრიცხვით; უნდა „მომზადარყო“. ამ „მოვლენით“ გაცხადდებოდა ქართული ენის „ქეშპირიტი მისია“ და მასში შენახული საიდუმლო.

ქართული წელთაღრიცხვის 8000 წლისთვის არსებული ესქატოლოგიური მოლოდინით იყო განპირობებული ამ წლების გამოცხადება „განსაკუთრებულ ნიშნად“.

V

ახ. წ. 898 წლის შემდეგ, როდესაც აღიქმული „მეორედ მოსვლა“ არ შედგა და ამავარი შეზღუდულები „მწვალებლობა“ განიხილებოდა, გარდატეხა მოხდა ქართულ ქრისტიანთა აზროვნებაშიც; ადრექრისტიანული ესქატოლოგიური რწმენა შეიცვალა „ცათა სასუფეველში“ მოხვედრის იმედით. ეს თვალსაზრისი მთავრად ვლინდება V-VIII საუკუნეების ქართულ ლიტერატურულ ძეგლებში.

„შუშანიკის წამება“, „ევსტათის მცხეთელის წამება“ და „ჰაბოს წამება“ ასახვენ ამ ტენდენციას ქართულ წყაროებში. სამივე დასახელებული ნაწარმოები უცვლელად არის შეტანილი „ქართული პაროხის“ ბიბლიოთეკის I ტომში, ამიტომ ამ გამოცემათ უსარგებლურ.

თუ IV საუკუნის ქართულ ორიგინალურ თხზულებებში „მეორედ მოსვლის“ რწმენა გამოხატულია, საიპირსიპრო სურათს ვხედავთ V საუკუნიდან: შუშანიკის, ევსტათის და ჰაბოს აზროვნება უკვე გარდაქმნილია ქრისტიანულ ეკლესიაში შემოდებული ახალი დოგმების შესაბამისად. ეს განსხვავება ნათლად ვლინდება ნაწარმოებების ანალოგიური ადგილების შედარებისას.

მირიან მეფის სიკვდილისწინა „წიგნი“, რომელიც მირიანის ანდერძს „გადმოვკვეთს გამოხატულია შემდეგი შეზღუდულება: „და წალობასა მისსა მიემთხვიო აღდგომასა... და ვეძიებ და მოველიო აღდგომასა მკუთარეთით და შევხვედრებ სულსა ჩემსა ქრისტეს მეუღისადა“.<sup>20</sup>

„შუშანიკის წამებაში“ უკვე ახალი დოგმატია გადმოცემული: „განვისაქით მე და ვარსქენ პიტაბში მუნ, სადა — იგი არა არს თვალდება წინაშე მსაყულისა მის მსაყულისა

და მეუღისა მის მეუღეთაისა, სადა არა არს რეკია შამაკისა და ღედაკისა; სადა შე და მან სწორი სიტყუა ვოქათ წინაშე უღლისა ჩვენისა იესუ ქრისტისა“ (გვ. 28). იგივე აზრის შემდეგ სიტყვებით: „აჲ ეტერა, წინაგანწადებულსა მის გზასა წავალ საუკუნისა... მივემთხვიო მე დიდებასა და პატრივსა ცათა შინა და უსრულებულსა“ (გვ. 25).

შუშანიკი სამართლიანობის აღდგენას „მეორედ მოსვლას“ აღარ უკავშირებს, პირველი საუკუნეების ქრისტიანების მსგავსად, არამედ „იმკვეთიურ სამწყაეროს“.

„ცათა სასუფეველში“ მოხვედრის ოცნებაა გამოხატული ევსტათის მცხეთელის ლოცვაშიც: „რომელი — იგი განუშნად წმიდათა მათ მოწამეთა შენთა, მეცა, უფალო ღირს მუჯ მონაწილე მათ თანა და სამკვიდრებელსა მათ თანა, უბოჲნოსა შევბასა მათ თანა“ (გვ. 45).

ჰაბო, შუშანიკის და ევსტათის მსგავსად, „პატრის“ და ღედებას“ ქრისტეს „მეორედ მოსვლის“ ნაცვლად „ცათა სასუფეველს“ უკავშირებს: „მე პატრის კაცობან არა ვეძიებ, რამეთუ მაქვს მე ნიჭი ქრისტესმიერი, გვირგვინი ცხობრებისა და უბრწინებლისი და პატრივსა და უსრულეთა ცათა შინა“ (გვ. 133).

ქართულ წყაროებში, ისევე, როგორც სხვა ენოვან თხზულებებში, დასტურდება „მეორედ მოსვლის“ რწმენის შეცვლა „ცათა სასუფეველში“ მოხვედრის იმედით. ეს გარდატეხა, როგორც ჩანს, საქართველოში ახ. წ. 898 წლის შემდეგ მოხდა.

მთელ მართლმადიდებელურ ეკლესიაში ბილაშში აღარ აღმოცენებულა IV საუკუნის შემდეგ დანახული 18 საუკუნის განმავლობაში მკაცრად იღვევებოდა.

V-VIII საუკუნეების ქართულ ლიტერატურულ ძეგლებში გადმოცემული „ცათა სასუფევლის“ დოგმატი გამოიხატავს საქართველოში ბილაშის რესტავრაციის IV საუკუნის შემდეგ.

აღნიშნული „გარემოება აქტივებს, რომ „ქართლის მოქცევის“ შესახებ არსებული ძეგლები, რომლებშიც ადრექრისტიანული თვალსაზრისია გადმოცემული, არ შეიძლება მივიჩნიოთ IV საუკუნის შემდეგ შექმნილად. ამ უძველეს თხზულებებში გამოვლენილი „მეორედ მოსვლის“ რწმენა ასახულებს მათ ავთენტურობას.

იქვე უნდა შევხვდეთ იოანე-ზოსიმეს პირვენებაზე, რომელიც „ქვაბი“-ს აღმოჩენის შემდეგ, ახი წლის განმავლობაში, შეცდომით იყო მიჩნეული ნაწარმოების ავტორად.

თხზულების ხელნაწერების ოთხივე პირის შედარებაში დადასტურდა, რომ იოანე მხოლოდ დადამწერია. ამავ დროს საფიქრებელია, რომ

არსებული განსხვავებები, რომლებიც ხელნაწერებში გვხვდება, მისგან მომდინარეობს.<sup>27</sup>

„ქებაი“-ში გამოხატული ხილიანტიური იდეები კიდევ უფრო ნათელს ხდის იოანეს დამოკიდებულებას ნაწარმოებთან.

მის წილს გადაწერილ იაკობ მოციქულის ეპისტოლეის ანტირქში იოანე წერდა: „მის ეპისტოლის წიგნისა დედასა შრავლად ვანგებია და დოკუმენტი და სიტყვები აქლდა თავთგან ვიდრე დასასრულამდე, ვთა მე ვიცოდი მოძღურთათგან და ჩემთა ეპისტოლის წიგნისა შინა ეწერა, და ვერ დიად ჩემი გულისაი იყო, ხოლო ვინ შეაწერიდა, შევედრებოდა ფრიად, რათა რაი მავას შინა სწერია, იგიაი ოდენ დამწერეო, აწ იგიაი ოდენ დამწერეო“.

ეს სიტყვები გამოხატავს იოანე — ზოსიმეს თვალსაზრისს; გადაწერის დედნის ნაქულებას უჩივის და აღნიშნავს, რომ გადასწერი თხზულება, არსებული სახით, მის განათლებასა და გემოვნებას არ შეესაბამებოდა. მართლმადიდებლურ რწმენაზე აღზრდილ იოანეზე კანონიკურად მიჩნეული „ეპისტოლეის“ არასრული სახით გადაწერას საქმოდ უმოქმედია, რის გამოც თავს იმართლებს მკობხველის წინაშე. ამიტომ ასეთი შეხედულების მქონე პირადგება არ შეიძლება წარმოადგეს ისეთი შინაარსის ნაწარმოების ავტორად, რომლის იდეებიც „შეკლებლობა“ იყო მიჩნეული.

უფრო სარწმუნოა რ. პატარიძის მოსაზრება, რომ იოანესთვის „ქებაი“-ს შინაარსი სავსებით გასაგები არ იყო.<sup>28</sup>

საფიქრებელია, რომ სწორედ შინაარსის ბუნდოვანებამ დაიცვა თხზულება და, მიუხედავად იმისა, რომ ისეთი „მკაცრი მართლმადიდებლის“ ხელში მოხვდა, როგორც იოანე — ზოსიმე იყო, ვასაგები მიმზიდველობის გამო, გადაწერილ იქნა რამდენიმე ცალად (ზოგაერთი ცვლილებებით), როგორც ენის სადიდებელი პიში.

ჩემი აზრით, იოანეს ნაწარმოებს „ერტიკული“ შინაარსი რომ ამოცნოს, შეიძლება არც გადაწერა.

VI.

„ქებაი“-ს ადვილორულ-სიმბოლური ენა, როგორც გამოირკვა, წარმოადგინებს ე. წ. „არქანული დისკოლინის“, ანუ, ქრისტიანული „საიდუმლოს“ დაფარვის საეკლესიო წესის გამოხატულებას.<sup>29</sup>

„საიდუმლოს დაფარვის“ ამ წესმა გამოიწვია ქრისტიანული „მისტეკურ-სიმბოლური ენის“ შექმნა, რომელიც იხსარებოდა III-V საუკუნეების ეკლესიაში უველა დოგმატური ცნების გამოხატვის მიზნით, წერილობითი და წესიერი სწავლების დროს.

„სიმბოლურ-მისტეკური ენის“ მთავარ საფუძველს შეადგენდნენ ძველი და ახა-

ლი აღქმის წიგნები. „ენის“ ლექსიკური მარაგი ამ წიგნებიდან მოყვანილი ციტატებით და აზრებით განისაზღვრებოდა და ურველგვარი განმარტების ვარგულად გამოიყენებოდა. ქრისტიანებასა კარგად იცოდნენ თითოეული ციტატის და სიტყვის მნიშვნელობა, მაშინ, როდესაც გამოხატული აზრი საიდუმლო და გაუგებარი რჩებოდა უველა იმ პირისათვის, ვინც არ იცნობდა ქრისტიანულ რელიგიას. „სანამ არსებობდა „დესკანლია არქანი“, წარმოუდგენელი იყო საიდუმლოთა შესახებ ვაცხადებული სწავლება“.<sup>30</sup>

„დაფარვის წესი“ ძირითადად უკავშირდებოდა ეკლესიაში კათაქმეველობის ანტიტეტის არსებობას და მის გაუქმებასთან ერთად დააკრავ ფუნქციები.

ეკლესიის ისტორიკოსი ფრ. ფუნკი წერდა: როგორც დადებითად დადასტურებულია, ძველ ეკლესიაში არსებობდა განსაკუთრებული არქანული სწავლება... მოქმედებდა ის პედაგოგიური საფუძველები: პროზელიტები თანდათანობით უნდა შესწავლავნენ ქრისტიანულ სწავლებასა და ეკლესიაში. მისი აუცილება თანხვდება IV საუკუნეს. რომის იმპერიაში წარმართობის დაცემასა და კათაქმეველობის პრაქტიკიდან გამოკლასისთან ერთად არქანული სწავლება გამოდის ხმარებიდან“.<sup>31</sup>

კათაქმეველობის გაუქმება V საუკუნის დასაწყისში მოხდა, როდესაც საყოველთაოდ შემოიღეს ბავშვების მონათლება.<sup>32</sup>

თუ „ქებაი“-ში, რომელიც ძირითადად იოანეს სახარებასა და აპოკალიფსში გამოიყენებულ ცნებების ტრანსფორმაციას წარმოადგენს, „დაფარვის წესი“ სრული ფორმით არის წარმოდგენილი და, შეიძლება ითქვას, მის კლასიკურ ნიმუშს წარმოადგენს, მოგვიანებით ხანის ქართულ წერილობით ძეგლებში უკვე ამ „წესიდან“ აშკარა გადახვევა გვაქვს.

ეს „უკუგანვითარება“ მკაფიოდ ვლინდება ისეთ უძველეს თხზულებებში, როგორიცაა „შუშანიას წამება“, „ეესებთა მცხეთელის წამება“ და „მამოს წამება“.

მოყვანილი ძეგლები, თავისი ხასიათით, „მოწამეთა ცხოვრებას“ განეკუთვნებოდა. ამ შინაარსის თხზულებებმა ფართო მკობხველისთვის იყო გამიწმენდილი და ერთგვარ „პროპაგანდისტურ“ დანიშნულებას ატარებდა. მკობხველებში იგულისხმებოდნენ არაქრისტიანებიც, რომლებიც „ცხოვრებებს“ ქრისტიანულ რწმენაზე უნდა მოეცია. შესაბამისად. მათში „დაფარვის წესი“ განსაკუთრებული სიმკაცრით უნდა ყოფილიყო დატული.

გადახვევა უკვე „შუშანიას წამებაში“ ვხვდებით. იაკობ ცურატველს მოუყავს შუშანიკის ლოცვა: „ლოცვილია და იტყუოდა: — უფალო ღმერთო, შენნი მოციქულნი არიან ცენი, განათოლებული წმიდისაგან ემბაზისა მადლითა სულითა წმიდისაჲთა, ყოფად ერთ სამწყსო ერ-



თისა მწყემსისა — უფლისა ჩვენისა იესო ქრისტისა“ (გვ. 8).

„უფლის ღოცვა“, რომელიც მკაცრად იყო დაცული „არკანული წესით“, უკველგვარი დაფარვის გარეშე არის მოცემული თხზულებაში.33 ეს ნაწარმოები იმ გარემოებითაც იპყრობს უფრადლებას, რომ „დასტურებს ბავშვთა მოწინააღმდეგეობის პრაქტიკის არსებობას V საუკუნის საქართველოში (შუშანიას შვილები მონათლულები იყვნენ). ეს ვითარებაც შეესაბამება სხვა ქრისტიანულ ქვეყნებს.

თუ აკივლ ცურტაველი მანც იჩენს ერთგვარ სიფრთხილეს და ძირითადი დოგმატიკების ვადმოცემისას მხოლოდ ღოცვით და „ცაო სასუფიველის“ ცნებებით იფარგლება (იხ. წე. მათ), „ევსტათი მცხეთელის მარტვილობის“ ავტორი ბუშვირ მარზაანის (წარმართის) წინაშე მდგომ ევსტათის მთელ ქრისტიანულ დოგმატიკას ჩამოათვლივინებს. ის, რაზეც V საუკუნის დასაწყისამდე ქრისტიანები მხოლოდ სიმბოლურად და ბუნდოვნად საუბრობდნენ, ამ თხზულებაში 11 გვერდზე მოცემული და მთელ ნაწარმოებში ნახევარზე მეტა (I) უჭირავს (გვ. 33-43). ასევე უძლვად არის აღწერალი ევსტათის ღოცვაც (გვ. 44-45).

შესაძლებელია ეს ადგილები შემდეგდროინდელ ჩანართად იღოს მიჩნეული, მაგრამ საშთელ არქიდიაკონის სიტყვები, როგორც ეს ივანე ჭავჭავაძისგან განმარტა, სწორედ ევსტათის გაქრისტიანების სპარსულ ნიადაგს უსვამს ხაზს34 და საეჭვოა, რომ ამ ფორმულირებით მოგვიანებით ხანში იყოს შეტანილი თხზულებაში.

ურადსაღება ახ გარემოება, რომ კამთაი მიმართულია მარზაანის ძირითადი რიტუალების საწინააღმდეგოდ, რაც, აგრეთვე, ავტორის თანამედროვეობაზე მიუთითებს.

ეს ნაწარმოები წარმოვადგენს VI ს. მეორე ნახევარში „საიდუმლოს“ დაფარვის საეკლესიო წესის გამოუყენებლობის ფაქტს.

„მაბოს წამების“ პირველ თავში (გვ. 119-125) იოანე საბანისძე განმარტავს ძირითად რელიგიურ დოგმატებს და, მათ შორის, ქრისტეს სიმბოლურ სახელებს. თითოეული ამ ცნების მნიშვნელობა მკაცრად იყო დაცული ადრეულ ქრისტიანობაში და მხოლოდ ბუნდოვანი და ალღეორიული ფორმებით ვადმოცემოდამ35

უძველეს ქართულ თხზულებებში ქრონოლოგიურად არის ასახული საეკლესიო „საიდუმლოს“ დაფარვის წესის უწყაანეთარება ქართულ ლიტერატურაში, რაც შეესატყვისება ბერძნულ და ლათინურ წყაროებში მიმდინარე ანალოგიურ მოვლენებს.

„ქებაი“-ს სიმბოლურ-ალღეორიული „ენა“ წარმოადგენს იმ ვახლებს, რომელიც ხსნის ნაწარმოების დაფარულ შინაარსს.

ქართული ანბანის შექმნის შედეგად ქრისტიანული უველა კონცეფცია იუფა ორ გავსად: 1. თვალსაზრისები, რომლებიც ქართულ ანბანს წარმართული ეპოქის ძველად თვლიან და 2. მონასტრებში, რომელთა მიხედვით ანბანი ქრისტიანული ხანის და V საუკუნის ძველად იყო მიჩნეული.

აღნიშნულ საკითხზე ივანე ჭავჭავაძისგან ვერადა: „V-VI სს-ზე უწინარესი დროის ქართული დამწერლობის ძველების ქერხნობით აღმოუჩინებლობა ქართული ანბანის სიძველის უცილობელ დამარტვეველ საბუთად ვერ გამოდგება მით უმეტეს, რომ წესიერი არქეოლოგიური კვლევა-ძიება ჩვენში ჭერ არ უფილამაგრამ მომავალში შეიძლება აღმოჩნდეს გარემოება, რომლის შესახებ ამეშაად არავითარი ცნობები არ მოიპოვება, ამიტომ მაინც შეცნიერული სიფრთხილე სჭობია და ხანამ ქართული დამწერლობის VI სს-ზე უწინარესი ძველება აღმოჩნდება, ჩემი ნათქვამი ქართული ანბანის წარმოშობის დროის შესახებ ჭრჭერობით მხოლოდ მაიპოვნად მიმანია, რომლის სიმართლეს მომავალი გაარკვევს. ვტიქრობ მხოლოდ, რომ ესლა მაინც საშუადამოდ უკვადებულე უნდა იყოს აზრი ქართული ანბანის V-სში გამოგონების შესახებ ქ. შ. და უნდა განმტყიცდეს აზრი, რომ ქართული დამწერლობა გაცილებით უფრო ძველია და მისი დასაწყისი შორეულ წარსულში... უნდა ვებართ“36

„ქებაი“-ს კვლევაშ დადასტურა დიდი მეციხერის თვალსაზრისი.

თხზულება არა მარტო თავად აღმოჩნდა IV საუკუნის პირველი ნახევრის ძველი, არამედ მან დამტყიცა „ქართლის მოქცევის“ შესახებ არსებული წყაროების ავთენტრობა და ახალი კუთხით გააშუქა IV საუკუნის საქართველოში არსებული რელიგიური შეხედულება.

„ქებაი“-სა და „ქართლის მოქცევაში“ ვადმოცემული „მეორედ მოხელის“ მოლოდინია გამოსახული ახლადაღმოჩენილ „დავითის სტელაზე“. ქართული კულტურის ამ უმნიშვნელოვანეს ძველზე გამოხატული ეს ქართლოგიური სურათი, ისევე, როგორც სტელის იკონოგრაფიული ნიშნები და ანბანით ვადმოცემული თარიღები, ატყიცებს, რომ ის შექმნილია არაუგვიანეს ახ. წ. 396 წლისა. „დავითის სტელა“ უფრო დაწვრილებით განზილვას მოითხოვს, ამიტომ მასზე ამტრად აღარ შევჩერდები.

ზატარებული კვლევისა და უკანასკნელი წლების არქეოლოგიური აღმოჩენების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ:

1. ახ. წ. 342 წლისთვის საქართველოში ქრისტიანობა უკვე სახელმწიფო რელიგიად არის გამოცხადებული და ამ მოვლენაში ნინოს და ელენეს მონაწილეობა ისტორიული ფაქტია. სადავო არ არის, რომ ქრისტიანობის სახელმ-



წარმოადგინა გამოცხადება აბ. წ. 842 წ. ადრე იყო განხორციელებული.

2. იმდროინდელ საქართველოში კარგად იცნობდნენ ქრისტიანულ რელიგიას; უკვე ქართულად იყო ნათარგმნი ბიბლია და „ახალი აღთქმის“ წიგნები. ცნობილია იყო ადრექრისტიანული ხანის ღვთისმეტყველების ნაშრომები და ქართულ ენაზე არსებობდა შესაბამისი სწავლება. ქართველ ქრისტიანებს გათვითწოდებულნი ჰქონდათ იმეამინდელი ქრისტიანული სიმბოლოები და უკვე შემუშავებული იყო შესატყვისი ქართული ტერმინოლოგია.

3. IV საუკუნის საქართველოში, ისევე, როგორც, სხვა ქრისტიანულ ქვეყნებში, არსებობდა ქრისტეს „მეორედ მოსვლის“ მოლოდინი. ამ „მოვლენას“ ქართული ეკლესია საქართველოში და ქართული წელთაღრიცხვით ეღიბა. ამ თვალსაზრისს ვაძმოგვცემს „ქართლის მოქცევა“, „ქებაი“ და „ღვათის სტელა“.

4. „ქართლის მოქცევის“ შესახებ არსებული ძეგლების პირველწყაროები დაწერილია ქართულად, IV საუკუნეში და თვითმხილველების მიერ.

5. IV საუკუნის პირველ ნახევარში საქართველოში არსებობდა ძლიერ განვითარებული ლიტერატურული სკოლა და თეოლოგიური აზროვნება. ამ ვითარებამ უნდა გამოიხდოს

ქართული მწერლობის ქრისტიანულ ეპოქაში წარმოშობა და დადასტურება ქართლის ცხოვრების ცნობა ფარნავაზ მეფის მიერ ძვ. წ. III საუკუნეში ქართული მწიგნობრობის შემოღების შესახებ.

6. აბ. წ. 842 წლისთვის საქართველოში უკვე განხორციელებულია ნიკეის I საეკლესიო კრების დადგენილებები და ქართული წელთაღრიცხვა გარდაქმნილია ქრისტიანულ ენადაც.

ძნელია სრულად შეფასდეს „ქებაი“-ს მნიშვნელობა ქართული კულტურის ისტორიისთვის. თხზულება, რომელიც საუკუნუნახევრით უფრო ადრეულ ხანაშია დაწერილი, ვიდრე დღემდე უძველესად მიჩნეული „მუშაიკის წამება“, მასში ვაძმოცემული ინფორმაციით საშუალებას გვაძლევს, გავარკვიოთ საქართველოს ისტორიის ადრექრისტიანული პერიოდის მრავალი საკვანძო საკითხი.

„ქებაი“-ს მნიშვნელობა, შეიძლება ითქვას, კარგად განისაზღვრება XIII საუკუნის ქართული მოღვაწის არსენ ამატოლის სიტყვებით, რომელიც ივანე ჯავახიშვილმა მოიყვანა ხანშტაალიმფესტებთან დაკავშირებული კამათის დროს: „უკველია წერილი ძველი არს მებრძვლი, გამოამაჩნებელი აღმწერლისაი საუკუნოდ, რომელსამე საქებელ უყოფად, ხოლო სხვისა განქიებად“.

შენიშვნები:

1. პ. გ. გომპანენკო, სოციალური პროგრესი და ლევისმეტყველური უტოპიები, ოდესა, 1980 წ., რუსულ ენაზე, გვ. 5-22.
- იხ., აგრეთვე, პ. გ. გომპანენკო, რელიგიური კონცეფციების კრიტიკა „სამყაროს დასასრულს“ შესახებ, კიევი — ოდესა, 1979 წ., რუსულ ენაზე, გვ. 44-52, ფ. ა. ბროკაუსკი, ი. ა. ეფრონი, რუსული ენციკლოპედიური ლექსიკონი, წიგ. 73, გვ. 196-198.
2. პ. გ. გომპანენკო, სოციალური პროგრესი..., გვ. 20-22.
3. ა. ბ. რანოვიჩი, ადრეული ქრისტიანობის შესახებ, მოსკოვი, 1958 წ. რუსულ ენაზე, გვ. 75-76.
4. ა. ბ. რანოვიჩი, დასაბ. ნაშრ., გვ. 283-284.
5. პ. გ. გომპანენკო, რელიგიური კონცეფციების კრიტიკა..., გვ. 48.
6. ჩენი წერილი, „მნათობი“, № 9, 1985 წ.
7. რუსული ენციკლოპედიური ლექსიკონი, წიგ. 74, გვ. 679.
8. რანოვიჩი ა. ბ., დასაბ. ნაშრ., გვ. 132-133.
9. ა. ივანოვი საბელმძღვანელო ახალი აღთქმის წიგნების განმარტებითი კითხვისათვის, მოციქულთა ეპისტოლეები, სპბ., 1893 წ. რუსულ ენაზე, გვ. 540.
10. კ. აველიძე, ქართული ეკლესიის იერუსა-

- ლიმური წარმოშობის საკითხისათვის, რუსულ ენაზე.
- ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან; ტ. IV, გვ. 362.
- 11 რ. სირაძე, წმინდა ნინო და „ღვდა-უღვალი“. „მნათობი“, № 2, 1985 წ., გვ. 154-155.
- 12 ა. ბ. რანოვიჩი, დასაბ. ნაშრ., გვ. 261-262.
- 13 იქვე, გვ. 128.
- 14 შატბერდის კრებული, თბილისი, 1979 წ., გვ. 345-346.
- 15 ჩენი წერილი, „მნათობი“, № 9, 1985 წ.
- 16 ნ. იდელსონი, კალენდრის ისტორია, ლენინგრადი, 1925 წ. რუსულ ენაზე, გვ. 142.
- 17 მ. ა. ილიუზმოვი, საეკლესიო პრონოლოგია, სვერდლოვსკი, 1971 წ.
- რუსულ ენაზე. გვ. 21-22. იხ. აგრეთვე ე. გრუმელი, პრონოლოგია. პარიზი, 1958 წ. ფრანგულ ენაზე, გვ. 3.
- 18 ა. ლებედევი, საეკლესიო ისტორიოგრაფია. მოსკოვი, 1898 წ. რუსულ ენაზე, ტ. 1, გვ. 32-34.
19. ჩენი წერილი, „მნათობი“, № 9, 1985 წ.
- 20 კ. აველიძე, ეტიუდები..., ტ. IV, გვ. 105-109.
- 21 ი. ა. კლემიშინი, კალენდარი და პრონო-

ოგია, მოსკოვი, 1981 წ., რუსულ ენაზე, გვ. 104-109.

22 ფრ. ფუნკი, ქრისტიანული ეკლესიის ისტორია, მოსკოვი, 1911 წ., რუსულ ენაზე, გვ. 175.

23 მ. ი. სიუზიუმოვი, დასახ. ნაშრ., გვ. 21-22, იხ., აგზრეძე, ი. ა. ცლიმიშინი, დასახ. ნაშრ., გვ. 122-123, ვ. გრუმელო, დასახ. ნაშრ., გვ. 41-48, 73-84.

24 ვ. კეკელიძე, ეტიუდები... ტ. II, გვ. 325-341.

25 ვ. გრუმელო, დასახ. ნაშრ., გვ. 24.

26. შატბერდის კრებული, გვ. 354-355.

27 ჩვენი წერილი, „განთიადი“, № 6, 1984 წ.

28. რ. პატარიძე, ქებაი ქართულ ისტორიაში, „მნათობი“ № 6, 1985 წ.

29 ჩვენი წერილი „მნათობი“, № 9, 1985 წ.

30 ა. ს. უეაროვი, ქრისტიანული სიმბოლიკა ნაწ. I, მოსკოვი, 1908 წ., რუსულ ენაზე, გვ. 1-20.

31 ფრ. ფუნკი. ქრისტიანული ეკლესიის ისტორია, გვ. 60.

32 იქვე, გვ. 164-166.

33 ა. ს. უეაროვი, დასახ. ნაშრ., გვ. 49.

34 ივ. ჭავჭავაძე, თბულელები, ტ. VIII, თბილისი, 1977 წ., გვ. 68-69.

35 ა. ს. უეაროვი, დასახ. ნაშრ., გვ. 44-49.

36 ივ. ჭავჭავაძე, ქართული პალეოგრაფია, თბ., 1949 წ., გვ. 236.

აპოლონ სილაგაძე

## კვლავ რუსთველური ლექსის ახალი კონცეფციის შესახებ

„რუსთველური ლექსის ახალი კონცეფცია“ — ასეთი სათაურით „მნათობის“ გახული წლის დიკცონარის ნომერში გამოქვეყნდა ნოდარ ნათაძის სტატია, რომელშიც განიხილვა ვეფხისტყაოსნის ვერსიფიკაციისა და შიდაფორმული გამოკვლევები აკად. გიორგი წერეთლისა.

ამთავითვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ გამოთქმა — „რუსთველური ლექსი“ საქართველოს და ზუსტებას (თქმული არა მარტო დასახელებულ სტატიას ეხება).

ლექსის ფორმალური აგებულების პოეტიკურიდან ვეფხისტყაოსნის ტექსტში მართლაც ვხედავთ ისეთ მოვლენებს, რომლებიც, მხატვრული მთლიანობის სხვა ელემენტებთან ერთად, აწყობს ხელს ტექსტის უნიკალობას და ავტორის გენიალობას, ხოლო ჩვენ ვაძლევინ უფლებას ვიხაროთ გამოთქმა — რუსთველური ლექსი. ამას ვხედავთ მაშინ, როდესაც ვაანალიზებთ ისეთ სხვადასხვა დონეებს, როგორცაა მეტრული თანამიმდევრობები და ზოგი გადახტა იდეალური ფორმებიდან, სიტყვათა საზღვრების ტურფების საზღვრებთან მიმართების კერძო გამოყვანილობები, სინტაქსური წყობები და მათი მიმართებით მეტრულ წყობებთან თუ მალადი დონის სალიქსო ერთეულებთან, სიტყვათა თანამიმდევრობები, გადახტა, გაშორებების და პარალელურობების მთელი იერარქიული სისტემა, პარაფრაზული გამოხატული დამატებულობები, მდიდარი რითმა და სხვ. და სხვ.

მაგრამ არსებობს მოვლენები, დაკავშირებული ლექსის ზოგად სტრუქტურასთან, რომლებსაც იხილავს სწორედ ნ. ნათაძის სტატია, — მასში კერძოდ გაანალიზებულია ლექსის სეგმენტაციისა და მახვილთა განაწილების პრობლემები.

ერთი ინგლისელი ავტორის მოსწრებული

თქმით, მარცვალი და მახვილი არ არის საკმარისი იმისათვის, რომ შეტრია გადმოქცეს სტილად, მაგრამ სრულიად საკმარისია იმისათვის, რომ შეიქმნას უაზრო (ულაზოთო, მდარე, doggerel) ლექსი.

იქ, სადაც საქმე გვაქვს სტილთან, რუსთველი ორიგინალურია და შეუდარებელი. იქ, სადაც საქმე გვაქვს ლექსის, როგორც ნველებრივისაგან განსხვავებული შეტყულების, სტრუქტურასთან და მის განსაზღვრულ შემდეგ სტრუქტურულ ნიშნებთან, რუსთველი არ არის ორიგინალური (რაც აღნიშნულია კიდევ სამეცნიერო ლიტერატურაში). მაღალი შაირიც, დაბალი შაირიც, მათი სტრუქტურებიც, შემადგენელი ერთეულებიც, მათი განმარტობებელი პარაფრაზული ელემენტებიც არსებობენ რუსთველისგან დამოუკიდებლად. ისინი, გარდა ამისა, რელიზებული არიან რუსთველამდელ რუსთველის დროსაც, რუსთველთანაც, რუსთველის შემდეგაც.

არის ერთადერთი სპეციფიკა წმიდა ვერსიფიკაციული ხასიათისა (როდესაც ლაპარაკია ძირითად პრინციპებზე და წესებზე, რომლებიც აგებენ რიტმულ ლექსს), რომელიც აქვს რუსთველს, და მხოლოდ მისი პოეტიკიდან შეიძლება მსჯელობა „რუსთველური ლექსზე“ და „რუსთველურ შაირზე“. და სწორედ აქ ვაწყდებით გასაოცარ ფაქტს: ეს სპეციფიკა ქართულ რუსთველოლოგიაში და ქართულ ლექსმცოდნეობაში შეზღუდულიც არის და არ არის შეზღუდულიც. მაშუა ხარათაშვილიდან მოყოლებული დღემდე, უვლავს პირდაპირ, ან ვაკეროთ, ან სხვადასხვა კონტექსტში აღნიშნული აქვს, რომ ვეფხისტყაოსანში ორნამენტი საზომია მოცემული, ორნამენტი შაირი — მაღალი და დაბალი (ან შაირი და გრძელი შაირი), მაგრამ არავინ იძლევა ამ ფაქტის კვალიფიკაციას



ლექსმცოდნეობის პოზიციებიდან, ვერხვიცა-  
ციულ ტრამინებში — კვალფიქსიას, რომე-  
ლიც სწორედ რუსთველური ლექსის სპეციფი-  
კას განსაზღვრავს. საქმე ისაა, რომ რუსთ-  
ველური ლექსი არის პოლიმეტ-  
რული ლექსი.

პოლიმეტრიას ჩვენ ჩახრუხაქმსთანაც ვხე-  
დავთ, თამარიაწში, შაგრაჲ აქ 1. გვაქვს ში-შა-  
რცელთან მეტრის (რომელიც ძირითადია),  
დაბალი შაირისა და მაღალი შაირის შერევა:  
შ. რაც მთავარია, თითოეული მეტრის ხმარე-  
ბის არც შემოწმდებოდა ცალკე „თავით“,  
რომლის საზღვრებსაც ადგენს გარითვა, რო-  
გორც მოცემული თავის დაწვევებსა და დახა-  
რულის სიგნალი: მოცემულ თავში ყველა  
სტროფში (კატრენში) ერთი და იგივე ერთმაა;  
მეტრის შერევა მონაკვეთის ფარგლებში არ  
ხდება; ამგვარად, ჩახრუხაქმსთან, მთელი ნაწარ-  
მოების პოლიმეტრულობის გვერდით, გვაქვს  
თითოეული რიტმული მონაკვეთის (თავის) მო-  
ნომეტრულობა.

პრინციპულად სხვა ვითარება ვეფხისტყაო-  
საში. ერთსა და იმავე მონაკვეთში — ყოველ  
ერთსა და იმავე მონაკვეთში — წარმოადგენი-  
ლია ორი სხვადასხვა საზომი, რომლებიც სრუ-  
ლიად ფაქულტატურად ენაცვლებიან ერთმანეთს.  
ეს იმას ნიშნავს, რომ პოლიმეტრულობის ფა-  
რგლებში ერთმანეთს უპირისპირდება არა  
სხვადასხვა მონაკვეთები ან თავები, რომელთა-  
გან თითოეული თავისთავად ერთი და იმავე  
საზომით არის შესრულებული, არამედ ერთი  
და იგივე მონაკვეთი. ჩვენ შევიძინა დავას-  
ვნათ: 1. იმ პოზიციებიდან, როდესაც ღაპარა-  
კია არა პიეტის, რომანის (დღეი მოცულობის  
პოეტური ნაწარმოების) პოლიმეტრულობაზე,  
დამუარებულზე ნაწარმოების ნაწილკბის დაპი-  
რისპირებაზე, არამედ ერთი და იმავე მონაკ-  
ვეთის (ლექსის, стихотворение — თუ დი-  
დი ნაწარმოების ყოველ ნაწილს ასეთად გა-  
ხიხილავთ) შეგნით არსებულ სხვადასხვა საზო-  
მიანობაზე, — რუსთველური ლექსი პირველი  
ქართული პოლიმეტრული ლექსია. 2. ამავე  
პოზიციებიდან, ჩვენ ვხედავთ რუსთველური  
ლექსის სპეციფიკასაც: ეს არის ორი სხვადასხვა  
საზომის შერევაზე; აგებული პოლიმეტრული  
ლექსი (სიტყვა „პოლიმეტრიას“ ვერ ვიხმართ, ვე-  
ნაიდან იგი სრულიად სხვა მნიშვნელობითაა  
უკვე გამოყენებული, აღნიშნავს ლექსის ორმა-  
გი ინტერპრეტაციის შესაძლებლობის არსებო-  
ბას). ამგვარად, რუსთველური ლექსი,  
როგორც ორგანიზაციული სახეობა,  
მართლაც არსებობს. იგი მდგო-  
მარეობს ორსაზომიანობაში, სხვა  
ყველაფერი, მკაცრად ვერხვიცი-  
კაციული პოეტიკიდან, ვეფხის-  
ტყაოსანში „რუსთველური“ არ  
არის.

რუსთველური ლექსის ინტერპრეტაციის  
რეზული ძალი დიდხანს გასდია ქართულ მო-  
ცეზიას. თეიმურაზ 1 იყო ის პირველი პოეტრი,  
რომელმაც იგრძნო ამ ინტერპრეტაციის არსებობა და  
შეეცადა მის უკუგვერდში. „შამიფარვანიაში“  
იგი იძლევა 88 სტროფს, რომელთაგან ერთია  
შეოლოდ წარმოადგენილი მაღალი შაირის წყო-  
ბით; „ლეილ-შაქუნიაში“ გვაქვს ცალკეული  
თავები, რომლებიც მონომეტრის წარმოადგენენ:  
4-ქერი მხოლოდ მაღალი შაირის წარმოადგენი-  
ლი, 2-ქერი — დაბალი; „იოსებ-ზილიანიაში“  
ორი თავი მთლიანად მაღალი შაირია, ორი —  
დაბალი; „შაქამაში“ შესავალი და ორი ლექსი  
შეოლოდ დაბალი შაირია; და ბოლოს, გვაქვს  
ლექსი — „გრემის სახალებზე“, რომელიც  
სრულად უარყოფს რუსთველური ლექსის კა-  
ნიონს, და წარმოადგენს დაბალ შაირზე აგებულ  
მონომეტრულ ნაწარმოებს (9 სტროფი). შაგ-  
რამ რუსთველური ლექსის ინტერპრეტაციის შემ-  
დევაც განაგრძობს პარალელურად არსებობას.  
მისი ძალა იმდენად დიდია, რომ, როდესაც არ-  
ჩილი წერს — „ლექსი ასნი ორმხელნი“ და  
შემოაქვს უაღრესად დიდი მნიშვნელობის მქო-  
ნე მოდერნიზაცია — ანაბერებს კლასიკურ  
სტროფს და ქმნის ორსტრიქონიანს (სიახლე შა-  
ირული მნიშვნელოვანია, ვინაიდან სწორედ არ-  
ჩილთან იღებს სათავეს ახალი მოვლენა, სად-  
ღისოდ კანონიზებული: სტროფი კლასიკურის  
ანბეგარს უღრის ისე, რომ სტრიქონი უღრის  
კლასიკურის ნაბეგარს, — ასეთ ნიშნებს არჩი-  
ლი სხვა ლექსში იძლევა), ამ მოდერნიზაციის  
ფარგლებშიც კი ამოქმედებს ტრადიციულ  
რუსთველურ პოლიმეტრულობას: 100 სტრო-  
ფიქონილი სტროფიდან 88 დაბალი შაირია,  
შაგრაჲ ორი — მაინც მაღალი, არჩილი და  
შემდგომი დროის მოდერნიზატორები ვახტანგ  
VI, გურამიშვილის, ბენედიკის საბით მაინც ძალ-  
ზე ხშირად მიმართავენ რუსთველურ ორსაზო-  
მიან წყობას.

აი, ეს ვახლავთ რუსთველური ლექსი და მი-  
სი სპეციფიკა.

ჩვენ ვგეგმევთ, რომ სტატიაში, რომლის  
სათაურია „რუსთველური ლექსის ახალი კონ-  
ცეფციი“, ამის შესახებ უნდა თქმულიყო რამე  
და კიდევ იმის შესახებ, თუ არა ახლა კონ-  
ცეფციის გვთავაზობს გ. წერეთელი  
და საკუთრივ რუსთველური ლექ-  
სი.

საქმე ისაა, რომ გ. წერეთლის გამოკვლევა-  
ში მართლაც მოიხატება ახალი მოსაზრება მთ-  
ციემულ ხაითზე: გ. წერეთლის აზრით, ვეფ-  
ხისტყაოსანში ორი საზომის მო-  
ნაცვლეობა ეფუძნება დაპირის-  
პირებას პოლიმეტრული და ანტიმე-  
ტრიული კარგებებისა, რომელთა-  
გან ანტიმეტრიული აგებულება  
სტრიქონებში ოქროს კვეთის

პროპორციის წესის საფუძველზე, რომელიც საყოველთაო რუსთველურ ლექსს ედება, და არა ის, რომ მადლი შაირი ორი თანაბარი ნაწილისაგან (4+4) შედგება, ხოლო დაბალი ორი არათანაბარი ნაწილისაგან (5+3) — ამ მოსაზრებას ფიქსირებული სახით უნდა წლის ისტორია აქვს. გ. წერეთლისეული თეზისის საბაზე იმაში მდგომარეობს, რომ რუსთველის ლექსში არსებობს დამატებითობა (დექორატივი) სიმეტრიული და ასიმეტრიული კარგდებისა (კვლევი ვიქორებთ, რომ გამოთქმა „რუსთველური შაირი“ ან „ვეფხისტყაოსნის შაირი“, რომელსაც გ. წერეთელიც მხარობს, არ არის ფორმალურად: თუ ხაუბარია მართლაც რუსთველურ ლექსზე, იგი დახასიათდება მხოლოდ როგორც ორი სახლის მონაცვლეობაზე აგებული; თუ ლაპარაკია ორ ფორმაზე — 4-მარცვლიანი სეგმენტებისაგან აგებულ შაირზე და 3-და 5-მარცვლიანი სეგმენტებისაგან აგებულ შაირზე, არც ერთი და არც ორივე რუსთველური არ არის).

სხვა საკითხია, რამდენად მისაღებია გ. წერეთლის მოსაზრება, აქ ბევრი და რთული პრობლემა წამოიჭრება, რომელთა შესახებ მსჯელობა მხოლოდ ღრმა ანალიზით შეიძლება, არ შეიძლება, შესაბამისად, მოცემული კონკრეტის ხელაღებით მიღებაც და არმადგებაც. ჩვენთვის პირადად აშკარაა, რომ ქართულში სალექსო ერთეულების ისეთი განლაგება, როდესაც იქმნება მიმართება 3-5-3, არ არის დაკავშირებული რუსთველთან — იგი არსებობს რუსთველის ვარეში, არსებობს რუსთველზე ადრეც (რომელიმე ოლსტარქოვიდები არსენ ივლიოვილისა ან იონან პეტროვისა, მოძღვნილი დავით აღმაშენებლისადმი, ზუსტად იმავე სტრუქტურას ვკრევენებენ, რასაც ვეფხისტყაოსნის დაბალი შაირის კარგდები), ისევე როგორც მიმართება 4-3-4 (ფილიპეს „ფეხვა მთაგან ოქროსითა“ — ივლინსებშია არა გართიშვა და სტროფიკა — იგივე მაღალი შაირია, რაც ვეფხისტყაოსანში). თუმცა, მეორე მხრივ, აშკარა იხივ, რომ ამ ორ მიმართებას, განაწილებული ცალ-ცალკე სტროფებში, ერთმანეთთან სწორედ რუსთველი ამეზოლებს (რუსთველური ლექსის სპეციფიკა).

აშკარა უნდა იყოს ისიც, რომ, თუ, ერთი მხრივ, ლექსის ერთეულია სიმეტრიულ და ასიმეტრიულ განლაგებათა მონაცვლეობა ფაქტია, მეორე მხრივ, ამ ერთეულია სიმეტრიულ თუ ასიმეტრიულ განლაგებას არავითარი კავშირი არა აქვს ქართული ლექსის (და შესაბამისად, ვეფხისტყაოსნის ლექსის — ქართული ლექსის ერთ-ერთი რეპრეზენტაციის) რიტმულ სტრუქტურასთან ან პოეტიკურად, როდესაც ვსწავლობთ ლექსის მუდმივ სტრუქტურულ ერთეულებსა და იმ წესებზე, რომლებიც მათ სინტაქსურ მიმართებებს არეგულირებენ და,

საბოლოოდ, ქმნიას ლექსის რიტმულ ნახევრებს; ლექსში ნებისმიერი ორწევრიანი რიტმული კომბინაცია ან თანაბარწილებიანი იქნება, ან არათანაბარწილებიანი (სხვა თეორიული შესაძლებლობა არ არსებობს) და ეს შესაძლებლობა ქართულ ლექსში პრაქტიკულად ყველანაირი სახითაა რეალიზებული: 5+5, 5+3, 5+2, 4+4, 4+3, 4+2, 3+3 და ა. შ. ამ რიტმული კომბინაციების სტრუქტურებს, ისევე როგორც მათ მიმართებებს სტრიქონში, განსაზღვრავენ ზოგადი წესები, რომელთა შესახებ ჩვენ აქ არ ვმსჯელებთ. დასკვნა ერთია: სიმეტრიული და ასიმეტრიული მონაცვლეობის არა მარტო მონაცვლეობას, არამედ არსებობას საერთოდ უნდა განესაზღვროს რაღაც უშუალოდ ციონალური დატვირთვა. ყველა შემთხვევაში ცხადი უნდა იყოს, რომ ლაპარაკია მხოლოდ ერთი და იგივე რიტმული თანაბარ — და არათანაბარწილებიანს, ქართული ლექსის რიტმული სტრუქტურის აგების საფუძველზე, არავითარი მნიშვნელობა არ აქვს. ის, რომ 4 ან 5+3 ქართული სათვის მარკირებული რიტმული აგებულებაა, ემქარება არა მათ სიმეტრიულობას ან არასიმეტრიულობას, არამედ სხვა კანონებს.

ყველაფერი ეს იმის გამო ითქვა, რომ გვერდებშია შემდეგი: გ. წერეთლის გამოკვლევის ანალიზი მხოლოდ იმ მიზანდასახულებით ან განწყობით, რომ დებულებები ან სიტყვასიტყვით მისაღებია, ან სიტყვასიტყვით უარსაყოფი, ან გამოსაძენია რაღაც გამაშუალებელი ფორმულა — არ არის სწორი. სწორია ამ დებულებების აღქმა, პირველ რიგში, უფრო ზოგადი და მასშტაბური პოლიციებიდან მეთოდოლოგიური ხასიათისა და სხვათა დასკვნების სახით, რომლებიც ყველა მაღალბარისხიანი გამოკვლევის მთავარ ღირსებას შეადგენენ.

ჩვენ გვეჩვენება, რომ გ. წერეთლის ნახევრები დებულებებთან დაკავშირებით მთავარია შემდეგი.

ქრც ერთი. სიმეტრიებს ძიებას აქვს ვარკვეული მნიშვნელობა რუსთველის პოემის საერთო შეფასებისათვის. ივლინსებშია შემდეგი ამოცანის დასმე: დამდეულ იქნას ზენი „ცოდნის“ ის დონე, როდესაც ჩვენ „ვიცით“, რომ რუსთველის ლექსი „შეუღარებელია“, „ქადონურია“, და ა. შ., რომ ზეს ახასიათებს „მარმონიულობა“, „არტიკულიობა“ და ა. შ. და ხელთ ვკვირდეს, ყველა პარამეტრით წარმოებული კვლევის შედეგების გაერთიანებისას, ზუსტად შევნიშოთ იქნას იმისა, თუ რატომ ახდენს ეს ლექსი მკითხველზე განუზომელ შთაბეჭდილებას. ამ პოლიციებიდან, ძიება

სრულყოფილი და უნივერსალური სიმეტრიისა, რომელიც ვასდევს მთელ პოემას რიტმული იერქაქიული დონეების მიხედვით, ბუნებრივია.

მეორეც, კონკრეტულად გამოვლენილი სიმეტრიების, კერძოდ ოქროს კვეთის, რეალური ფუნქციონირების საკითხი, მათი აღქმადობის პოზიციიდან, რა თქმა უნდა, არ არის ადვილი გადასაწყვეტი. მაგრამ შესაძლოა საკითხის სხვაგვარად დასმაც. „დოქტორ ფუსტუშინი“ ისეთი მსჯელობაა თემაზე — „მუსიკა და თვალნი“: სპეციალისტისათვის საკმარისია შეხედოს ნოტებს, რომ იქონიოს ამოწურავი აზრი კომპოზიციის ღირებების შესახებ; ვაჭყულ თვალს დიდ სიმოწონებას ანიჭებს გოცარტის პარტიტურის ობიექტური სახე — დისპოზიციის მკაფიოობა, ინსტრუმენტული ჭკუფების ბრწყინვალე განაწილება, ყრუსაც კი შეუძლია გააზაროს პარტიტურის მშვენიერი იერი: უფელადროის კომპოზიტორები საიდუმლოდ ჩაწერდნენ ბოლშე სტრაქოვეში იმას, რაც ვანკოვნილი იყო თვალისთვის და არა უფრისთვის; თუ პოლიფონიური მუსიკის ნიდერლანდელი ოსტატები თავიანთ თავსატეხებში ურთიერთგადაქვეითი ხმების კონტრაპუნქტულ მიმართებებს ისე აგებდნენ, რომ ბოლოდან თავისკენ კითხვისას ერთი ხმა ზუსტად იმერობდა მეორეს, — ეს არ ეხებოდა აღქმად ბეგრახ... და ა. შ. ეს გამოჩაქვამები მხოლოდ ვოხებამახვილობით ვერ დახასიათდება. ჩვენ შეგვიძლია მსჯელობა გავაფართოვოთ და განავარაუდოთ. ლექსშიც შეიძლება მოიხმენოს ისეთი მომენტებიც კი, რომლებიც მოსმენისას არც აღიქმებიან, არც ასრულებენ ფუნქციას. ალბათ, აუცილებლად არსებობენ ისეთი სიმეტრიებიც, რომლებიც, აღქმის თვალსაზრისით, ახე ვთქვათ, ზედაგმენტური არიან, მაგრამ რომლებიც პოეტური ტექსტის მთელ მრავალბუნაან სტრუქტურაში რაღაც ელემენტების სახით არიან ჩადებული, ოლოდირებულად არაფერს წარმოადგენენ, მუდმივ სილიდებებს არ ქმნიან, მაგრამ ყველა სხვა (მათ შორის, დიდი მნიშვნელობის მქონე) ელემენტებთან შეუდობებულ კავშირში შესაძლოა რაღაცნაირად მონაწილეობენ მალაბარისხვანი პოეზიის განსაზღვრაშიც კი.

ახე რომ, გ. წერეთლის ნახსენები იდეების მნიშვნელობა ზოგადი მეთოდოლოგიის სფეროში უნდა ვეძებოთ — კვლევის გეზში, რომელსაც ისინი სახავენ.

ამგვარ იდეებს ნაშრომის სხვა თემებშიც ვხვდებით.

გამოკვლევის ერთ-ერთი ყველაზე თვალახინო ღირსება ისაა, რომ მასში მოცემულია ცდა ლექსის დანაწევრების ობიექტური ფაქტორის დადგენისა. გ. წერეთლისთვის ეს არის სიტყვათგასაყარი. მარალია, იგი ამას მარდაპირ არ ამბობს, ვარდა ამისა, მოცემულ ფაქტორს მხოლოდ სემანტიკისთვის იწველებს

და არ სვამს საკითხს ლექსში მოქმედი რიტმული ფაქტორის შესახებ, მაგრამ ამ იდეის მთავარი ღირსებაც მეთოდოლოგიის სფეროშია. დღის წერტილები რჩება დოფერენცირება ჩვეულებრივი და საღიქსო მებრუნელების დონეებისა, ზუსტი მსჯელობა არა ენობრივ ფაქტორზე, არამედ რიტმული მნიშვნელობის მოვლენაზე, რომელიც მაინც არა ენობრივ ერთეულებს — სიტყვებს, არამედ ლექსის რიტმულ ერთეულებს (რომელთაგან გ. წერეთელი იერაღვს მხოლოდ ერთს, უმცირესს — სეგმენტს). მაგრამ წაროდ ობიექტური კრიტიკიუმით საზღვრებისა და მონაკვეთების დადგენის ფაქტი ვვალდებს თხოვს შემდგომი ანალიზისა და დასკვნისათვის.

საინტერესოა ასევე იდეა, მიეძვეს უფრადლება მარცხალთა შედგენილობას, ვინაიდან, თუ, ერთი მხრივ, ქართულში მარცხლის ერთადერთი ფონოლოგიური ტიპი არსებობს, მეორედ მხრივ, გვაქვს უამრავი ფონეტიკური ვარიაცია; რა თქმა უნდა, ლექსში წარმოდგენილი მარცხალი, თავისი შედგენილობით, არ არის მნიშვნელობის მქონე საზომის სტრუქტურისათვის, მაგრამ რიტმის, ფართო გავებით, ნიუანსების განსაზღვრის ფუნქცია ექნება (საინტერესოა ვაიხსენოთ, რომ ითანე ბაგრატიონი ქართული ლექსის შესახებ მსჯელობისას უფრადლებს აქცევედა არა მარტო მხოვანთა რაოდენობას, არამედ თანხმოვანთა — „უფრო ასო“ — რაოდენობასაც).

გვიანდა გავიმეოროთ, რომ გ. წერეთლის ნაშრომში გამოთქმული კონკრეტული იდეების უმთავრესი ღირსება არა იმაში მდგომარეობს, რომ ისინი ერთიანად შეიძლება მიეღოთ, არამედ იმაში, რომ ისინი წარმოადგენენ გეზის გაკვლევებს და კატალიზატორებს ახალ თვალსაზრისთა ჩამოყალიბებისთვის. ჩვენთან ასეთი მდგომარეობა რატომღაც უფლებებულოდია, ხამაგიეროდ ცნობილმა გ. წერეთლის დირატურათმცოდნენ ნ. ი. ბალაშოვმა გ. წერეთლის ნაშრომთან დაკავშირებით იხმარა გამოთქმა — „მეთოდოლოგიური გაკვეთილი“.

ზემოთ მსჯელობისას ჩვენ რამდენიმეჯერ ვუკვ ავცილი საკუთრივ რუსთველურ ლექსის თემას. ეს ბუნებრივია, ვინაიდან გ. წერეთლის ნაშრომი, მიუხედავად იმისა, რომ იგი ვეფხისტყაოსანს ეძღვნება, განიხილავს ბევრ ისეთ მოვლენას, რომელიც განეკუთვნება არა რუსთველის ლექსს, არამედ ხერეთოდ ქართულ ლექსს. თქმული ცხადია თუნდაც შემდეგი ფაქტების არსებობის გამო: 1. გ. წერეთელი ეწინააღმდეგება თეორიას, რომელიც ეძღვნება არა რუსთველის ლექსს, არამედ მთლიანად ქართულ კლასიკურ ლექსს, მე-18 საუკუნის პერიოდის ჩათვლით. 2. ნაშრომის ბოლოს გ. წერეთელი აუღიბებს დასკვნებს არა

მხოლოდ რუსთველის ლექსთან, არამედ სერ-  
თოდ ქართულ ლექსთან დაკავშირებით, უფრო  
შეიცვალა — გაკვირებული იქნება საერთო-ქართულ-  
ლო ლექსის პრობლემაზე: 3. გ. წერეთელი  
აანალიზებს ისეთი რიგის მოვლენებს, რომლებ-  
ზეც ქართული ლექსის საყურადღებოა: არც მხ-  
ვილის ადგილი, არც ლექსში მისი უარყოფილი  
თუ დადასტურებული როლი, არც სტრიქონის  
თუ გარკვეული მონაკვეთის სიღბაბური სიგრძე,  
არც იზონილაბიში, როგორც ლექსის რიტმის  
მაკონსტრუქციული ფაქტორი, არც ლექსის  
მეტრი და რიტმი და ა. შ. არ არის რომელიმე  
მოცემული პოეტისთვის (მათ შორის, რუსთვე-  
ლისთვისაც) დამახასიათებელი მოვლენები,  
არამედ ქართული ლექსის ფაქტები, დამყარე-  
ბული ქართული სალექსო მეთვალყურეობის ძირი-  
თად პრინციპებსა და კანონებს, რომელთა  
კონკრეტულ რეალიზაციას წარმოადგენს ამა  
თუ იმ პოეტის პოეტური ტექსტი. 4. გ. წე-  
რეთელი, ბოლოს, იმღერა ლექსის ბუნების  
კვალიფიკაციას. მაგრამ რუსთველის ლექსი არ  
შეიძლება იყოს სიღბაბური ან სიღბაბურ-ტონურ-  
ი, სიღბაბური ან სიღბაბურ-ტონური შეიძლება  
იყოს ქართული ლექსი, ბოლო ნებისმიერი პოეტი,  
თუ ის ქართულად წერს, ეყრდნობა, ინტერტირის  
რეალიზებისას, ამ ლექსის რიტმიკას და მის  
სტრუქტურირებაში მონაწილე პარსოლოგიულ სის-  
ტემას ქართული ენისას.

ამ ასპექტში არსებობს ერთი გავრცელებული  
მეთოდოლოგიური უზუსტობა, რომელსაც ნა-  
წილობრივ ვერც გ. წერეთლის ნაშრომი ასცდა.  
უფრო უზუსტად, ორი რიგის მოვლენასთან გვაქვს  
საქმე.

ერთი მხრივ, გ. წერეთელი პრინციპულად  
სწორია, როდესაც გვაძლევს მავალით, მისა-  
ბამს („მეთოდოლოგიური გაკეთილები“), ერ-  
თი პოეტური ტექსტის ან ერთი პოეტური კო-  
მპლექსის ვერსიფიკაციული ანალიზისა — იმ  
ფონზე, როდესაც საქმად გავრცელებულია  
რბივტად მთელი ქართული პოეზიის პრაქტი-  
კის აღება ისე, რომ მასალის სიღბბის გამო  
ნებისმიერად იჩრევა მხოლოდ რამდენიმე პო-  
ეტი. წერეთლისეული პოზიცია საგულბბსმია  
იმის გამო, რომ ქართული ლექსი დამკრონი-  
ში, პრინციპული სტრუქტურული სქემის უც-  
ვლელობის პარობებში, დოფერენცირებულა.  
ეს დებულება შეიძლება ჩამოყალიბდეს აბრი-  
ურულად და ეს ასეა ფაქტობრივად: ჩვენ  
გვაქვს სხვადასხვა სინქრონული კარლები —  
თუ იმბიკოებს არ მთვლიდებ მხედველობაში,  
პერიოდი მე-18 ს.-მდე (დავასაბლებთ ერთ  
სპეციფიკას — ლექსში სტრიქონები და ნახე-  
ვარსტრიქონები აუცილებლად ერთმანეთის  
ტოლნი უნდა იყვნენ), მე-18 საუკუნე (სტრი-  
ქონის შიგნით ტოლობა ირდევთა — აბივი  
მხოლოდ ერთი სპეციფიკა), მე-18 საუკუნე  
(ფარსოფიკა, ერთად, წინა საუკუნის რამდენიმე

მოდერნიზაცია — მათ შორის, გურამიშვილისა  
და ბენიკის), მე-20 საუკუნე (გ. ტაბიძის მრ-  
დერნიზაციები და შემდგომი თაობის მოღვა-  
წეობა).

მეორე მხრივ, ასე ცალ-ცალკე განზილული  
კორპუსები ემპირიული მასალის მხოლოდ ნა-  
წილს იძლევიან, არგუმენტირების მხოლოდ  
ნაწილის ჩამოყალიბებისთვის კმარან, ამიტომ  
ეს არის მხოლოდ ერთი ეტაპი — საბოლოო  
დასკვნისათვის უველა ტრილის შექერება და  
უველაფრის გათვალისწინება საჭირო, სხვა-  
ნარად დასკვნა არ იქნება კორექტული. მაგრამ  
გ. წერეთელი სწორედ ისეთ საკითხებს იბი-  
ლავს, რომელთა გადაჭრა მხოლოდ ვეფის-  
ტეაონის მასალით არ შეიძლება. მახვილზე  
მსჭელობაც, მარცვალითარდენობაზეც, მეტრი-  
სა და რიტმის დამარისპირებაზეც, ლექსის  
სტრუქტურულ ერთეულებზეც, მათ შიპარტი-  
ებზეც და ა. შ. მხოლოდ მთლიანად ქართული  
ლექსის მონაცემების საფუძველზე შეიძლება.  
იმ რიგის მოვლენები, რომლებიც ქართული  
ლექსის კუთვნილებაა და არა რომელიმე პოე-  
ტის ან რომელიმე პერიოდისა, მხოლოდ ქა-  
რთული ლექსის მონაცემებით ვანალიზდება  
და არა რომელიმე პოეტის ან რომელიმე პე-  
რიოდისა. იმისათვის, რომ დავინახოთ რთული  
სისტემა, შემდგომი ელემენტების გარკ-  
ვეული რაოდენობისაგან, რომელთა ში-  
მართებები განსაზღვრულია გარკვეული სტრუ-  
ქტურული წესებით და დამოკიდებულია  
ამ ელემენტთა შუამდგენელ ერთეულებზე, რო-  
მლებიც თვითონ ქმნიან სისტემას და აქვთ თა-  
ვიანთი მარტგინიზებული წესებო... — იმისათვის,  
რომ უველაფრის ეს დავინახოთ, ჩვენ გვაქი-  
რდება ქართული ლექსის უველა  
ფაქტი, სტრუქტურების რეალი-  
ზების უველა შესაძლებლობა, მათ  
შორის ისეთობისავე, რომლებიც  
მოცემულ სინქრონულ ტრილში არ  
არიან რეალიზებულნი, ვინაიდან  
არარეალიზებულნიც, ისინი არსე-  
ბობენ იმპლიციტურად, აღვივის  
რა შეზღუდვებს რეალიზაციის  
მოცემულ დონეს.

სხვაგვარად ფორმულირებული დასკვნები შე-  
იძლება უზუსტონი აღმოჩნდნენ. არ არის გა-  
მორკებული შესაძლებლობა, როდესაც უზღუ-  
დული მასალა გვაძლევს მხოლოდ ისეთ და-  
სკვნას, რომელიც მთელი მასალის პოზიცი-  
ბიდან შებრუნებულია. მოვიტანო ერთ მაგა-  
ლითს.

გ. წერეთელი ასკენს, რომ ვეფისტეაონს-  
ში ერთი მეტრის ფარგლებში გვაქვს ორი რიტმი.  
განიხილავს რასხვა ლექსოწყოებში არსებულ  
სიტუაციას, იგი გამოიქვამს აზრს, რომ „სულ სხვა  
მდგომარეობა გვაქვს ვეფისტეაონსში და,  
არსებობად, მთელ ქართულ პოეზიაში (სიცი).

აქ ლექსის მეტრი ხავეთით რეალური ხი-  
ლიდვა, რომელიც შეიძლება განზომილ მარც-  
ხალთა რაოდენობის მიხედვით, სხვა დას-  
კვნიის გამოტანის საშუალება შე-  
ცნიერებს არქონდა, ვინაიდან შა-  
ხალა, რომელსაც იგი ეუბნებოდა,  
იყო მხოლოდ ვეფხისტყაოსანი  
ვეფხისტყაოსანში კი გვაქვს ორად ორი საზო-  
ში (თუ არ ჩავთვლით ერთ თავს, რომელიც მხო-  
ლოდ ერთხელ წარმოდგენილია შიშარცილთან  
სტრუქტურისგან აგებული კატრინი; უოველ  
შემთხვევაში, მოცემულ კონტექსტში გ. წერე-  
თელი მას არ იხილავს). მხოლოდ ამ ორი სა-  
ზომის შემართებისგან — ისე, რომ არ არის  
გათვალისწინებული სხვები, ვეფხისტყაოსანში  
მათი არარსებობის გამო — მართლაც გვაქვს  
მხოლოდ ორწევრიანი დახარისხება, ხადაც  
საერთო ნიშნა 10-მარცვლიანი სტრუქტონ და  
მართლაც შეიძლება წარმოვიდგინოთ ამ ნიშ-  
ნით განპირობებული ერთი მეტრი და მის ფა-  
რგულში მოქმედი ორი განსხვავებული რიტმი  
— დაბალი შირი და მაღალი შირი. მაგრამ  
რამდენად სწორია ეს დასკვნა ქართული ლე-  
ქსის პოზიციებიდან, ყველა მოვლენის გათვა-  
ლისწინების პოზიციებიდან? ირკვევა, რომ ამ  
პოზიციებიდან მივიღებთ საპირისპირო დასკვ-  
ნას. თუ ჩვენ ვუძებთ ტიპოლოგიურად „შონა-  
თესავა“ ფორმებს, რომლებიც რაღაც საერთო  
ნიშანი აქვთ, შემდეგ ამ საერთო ნიშნით  
ვქმნით ვარკვეულ აბსტრაქტულ სქემას და და-  
შოვიდებულებას ამ სქემასა და „შონათესავა“  
ფორმებს შორის ვარკვევთ მეტრისა და რიტ-  
მების დამოკიდებულებას, მაშინ ჩვენ უნდა  
მოვხდებით, პირველ რიგში, მონეტრული კრი-  
ტერიუმი სტრუქტურული სიახლოვის განსაზა-  
ღვრად. ასეთი კრიტერიუმი არსებობს. ეს  
არის განსხვავებული რიტმული აგებულების  
სტრუქტურების (ან ნახევარსტრუქტურების) ერთშა-  
ნეობის უშუალოდ გვერდით შიარების შესაძლე-  
ლობა ან გამოირცხვლობა, რაც გამოადგენს  
რიტმულად მარკირებული მონაკვეთების სია-  
ხლოვის სტრუქტურულ ნიშანს. ამის შემოწმე-  
ბა შეიძლება მხოლოდ პეტერომეტრული სტრუ-  
ფების ანალიზით, რომლებიც რუსთველთან არ  
გვაქვს, გვაქვს მხოლოდ მე-18 საუკუნიდან.  
ასეთი ანალიზისას ჩვენ გამოვარკვევთ, რომ  
აგებულია 5+3 იანს მერობლობას 5+5-თან,  
5+4-თან, 5+2-თან, 5+1-თან, მაგრამ არასდღს  
— 4+4-თან, 4+3-თან, 4+2-თან, 4+1-თან. ასევე  
მარკირებულია 4+4/4+8, 4+4/4+2, 4+4/  
4+1, მაგრამ არ შეიძლება 4+4/5+5, 4+4/  
5+3, 4+4/5+2 და ა. შ. სხვა სიტყვებით,  
სტრუქტურულად ერთმანეთთან  
ახლოდ დაგანან ისეთი ორწევრიან  
ერთი და იგივე პირველი შემად-  
გენელი აქვთ, ანუ რომელთაც გა-

საუარი ორ შემადგენელ სტრუქტურულ  
ერთსა და იმავე ადგილზე აქვთ —  
მარცვალთა რაოდენობა ამ შემ-  
თხვევაში არ მუშაობს, ამგვარად, და-  
პირისპირება, ვთქვათ, (5+3):(5+2) არ არის  
იმავე ძალისა, რაც (5+3):(4+4). პირველ შემ-  
თხვევაში განსხვავებას ქმნის რაღაც ერთი სა-  
ფუტური, მეორეში — ერთად მეტი. ეს კი იმას  
ნიშნავს, რომ 5+3 და 4+4 ერთი და იგივე  
ერთი მეტრის (ან რაღაც ერთი  
კლასის) წარმომადგენლები, ისე-  
ნი სხვადასხვა მეტრის (ან რაღაც  
სხვადასხვა კლასის) წარმომად-  
გენლები არიან, — რამედ 5+5, 5+4,  
5+3, 5+2, 5+1, ასევე: 4+4, 4+3, 4+2,  
4+1. ასეთი დასკვნის გაკეთების უფლებას  
გვაძლევს ქართული ლექსის ყველა ფაქტის  
ანალიზი, ზოლო ამგვარი ანალიზის ვარკვე და-  
სკვნის გაკეთების უფლება არ გვაქვს. კერ-  
ძოდ, თუ ჩვენ ამ დროს არა, სწორად  
აღვწეროთ რომელიმე 4+4 ან 5+3,  
ნახმარი რუსთველის მიერ, ეს  
უნდა გავაკეთოთ იმ აგებულებ-  
ებთან მიმართებაშიც, რომლებ-  
ბიც რუსთველს ნახმარი არ აქვს  
— საბოლოოდ, განვიხილოთ ისე-  
ნი რეგორც შესაბამისი მთელი  
სისტემის წევრები.

თუ მეთოდოლოგიურად არ არის ზუსტი ნა-  
შრომში ერთი პეტრული ტექსტის საუფლებ-  
ზე მთელი ქართული ლექსისათვის დამახა-  
თებულ მოვლენებზე დასკვნის გამოტანა, ასევე  
— თუ უფრო მეტად არა — უმართებულთა  
ყველა მხოლოდ იმავე ტექსტის მასალაზე დაუკ-  
დნობით იმ თვისების შეფასება, რომლებიც  
ენებთან მიმართადა ქართული ლექსის მოვლენ-  
ების, ნ. ნათამ სწორედ ასე იქცევა.

ჩერ ამის შესახებ, რაც ზემოთ უკვე ითქვა,  
რომ არ არის გარჩეული, რა ეკუთვნის რუსთ-  
ველს და რა — არა. ავტორი ერთი და იმავე  
ახზაცის ფარგლებში შემდეგ დებულებებს გვა-  
წვდის. „რუსთველის ლექსისთვის პირველი შე-  
ზღუდეა ის არის, რომ იგი დაყოფილია 10-მა-  
რცვლიან მონაკვეთებად (ტაქებად)“. ეს არ  
არის რუსთველის ლექსის „შეზღუდე“ — ეს  
არის ქართული ლექსის ვარკვეული მეტრების  
ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანი, რომლი-  
თაც ისინი, კერძოდ, უპირისპირდებიან 20-მა-  
რცვლიან ლექსს, 14-მარცვლიანს და ა. შ. „შე-  
მდგომი შეზღუდეებია, რომ უოველი ოთხი  
ტაქა მსგავსი ორი ან სამი მარცვლით ბოლო-  
ვდება (რითმად), რომ უოველი ტაქაი გაყოფი-  
ლია ორად, რვაპირცვლიან ნაწილებად (ცეზურ-  
ად) და სხვ.“ არც ეს არის რუსთველის „შეზ-  
ღუდე“; რითმიანობა მთელი ქართული ლექ-  
სის კონპონენტია, დადასტურებული ჰვე-  
ლი დროიდან: ოთხსტრუქტურული სტრუქტურული



კომპოზიცია აგრეთვე ქართული ლექსის კუთვნილებაა — მე-18 ს.-მდე იგი ერთადერთი ფორმაა; ქართული და დაქტილური რითმები აგრეთვე ქართული ლექსისთვის, კერძოდ, მაღალი და დაბალი შიარისათვის, ყველაზე უფრო დამახასიათებელი თვისებებია; დიდი ცვაუართით ორად გაყოფილი სტრიქონი აგრეთვე ქართული კლასიკური ლექსის აუცილებელი ნიშანია, მე-18 ს.-მდე ერთადერთი ფორმა იყო ორ ტოლ ნაწილად გაყოფა, მე-18 ს.-დან ორ არატოლ ნაწილად გაყოფაც გვაქვს, ამხვე დროიდან იღებს სათავეს ახალი მოვლენა. — ორ ნახევრად არდაყოფილი სტრიქონის ხმაარება, მაგრამ იქნებ ავტორი იმას ამბობს, რომ რუსთველიან მხოლოდ 16-მარცვლიანი სტრიქონებია ნახშირი, მხოლოდ კატრინებია და ა. შ. ხოლო სიერითოდ გულსხმობს, რომ ყველაფერი ეს ქართული ლექსისთვის დამახასიათებელი შესაძლებლობებია? არა. იქვე ავტორი განაგრძობს: „აქად გ. წერეთელმა რუსთველურ ლექსში უკრადღება მიაპყრო ერთ ახალ შეზღუდვასაც: მაღალი შიარის უკველი ხავეარტები (ანუ ნახევარკარდი), თავის შხრივ, იყოფა ორ თანხარ ნაწილად, ხოლო დაბალი შიარის უკველი ნახევარტები — ორ არათანხარ ნაწილად — სამ და ხუთმარცვლიან ნაწილად. ნათელია, რომ ამის შემჩნევით რუსთველის ვერსიოკატორულ ოსტატობას ახალი მახასიათებელი ემატება და იგი, ამჯერად, რთულდება“. თავი რომ დავანებოთ იმას, რომ ეს გ. წერეთელს არ შეუმჩნევია პირველად, — არავითარი განხილვებია ჩაბრუნებაძეს, რუსთველს, გურამიშვილს, ყველა საუკუნის — მათ შორის მე-19 და მე-20 საუკუნეების — ამ პოეტებს შორის, რომელთაც დაბალი და მაღალი შიარის უმხარიათ, არ აჩვენებობს მაღალი და დაბალი შიარის თანხარ და არათანხარ ნაწილებად დაყოფაში, ოთხ, სამ — და ხუთმარცვლიანი მონაკვეთების განლაგებაში. ეს არის ქართული ლექსის ზოგად სტრუქტურულიდან გამომდინარე სპეციფიკა — მაღალი და დაბალი შიარის კონკრეტული სტრუქტურებისა. ერთი წაშით რომც წარმოვიდგინოთ, რომ, ერთი შხრივ, არ აჩვენებობს განხილვებულ აზრებს სიერითოდ რუსთველიან დეკლარებულ ზუსტ ქრონოლოგიაში, მეორე შხრივ, ზუსტად ვიცით, რომ ესა და ეს აგებულია პირველად მის მიერაა ნახშირი (არ იგულისხმება შედარებით გარეგნული ნიშნები, როგორცაა, მაგალითად, ვარიანტები, შიდა რითმების განლაგება, სტროფის სიგრძე და სხვ.), მკყარად ფორმულირებული მსჯელობისა ჩვენ შინც ნაკლებად გვაქვს უფლებ

ვთქვათ, რომ ეს აგებულია რუსთველის კუთვნილებაა, ვინაიდან რომის სტრუქტურაც ისეთი იქნება, როგორის შესაძლებლობასაც გვამლევს ქართული ენის პროსოდიული სისტემის დამახასიათებელი ნიშნები და ქართული რიტმიკის ზოგადი პრინციპები და კანონები, სტრიქონის აგებულებაც ისეთი იქნება, როგორსაც იგივე სისტემა და კანონები განაპირობებენ. მკაცრი მსჯელობისას ჩვენ მხოლოდ იმის თქმა შეგვიძლია, რომ, ჩვენი ინფორმირებულობის დღევანდელ დონეზე, ამ კანონების პირველი რელიზატორი მოცემულ სქემაში რუსთველიან რომელიმე სხვა პოეტია. საქმე ისაა, რომ სხვა შემთხვევაში ჩვენ სწორედ ასე ვიქცევით. მაგალითად, ჩვენ ვამბობთ, რომ აგებულია 4+2 ქართულ პოეზიაში დამკვიდრა გურამიშვილმა. შემდეგ ჩვენ ვაწუხტებთ და ვამბობთ, რომ მას იგი წასესხები აქვს თომა ბარათაშვილისგან („ოშივ, დავით მეო ამ წიგნს მოგარბოე“). შემდეგ ჩვენ ვამბობთ იმასაც, რომ იგი ფოლკლორშიც ვხვდებოდა. მაგრამ არსოდეს არ ვამბობთ, რომ ეს არის გურამიშვილის აგებულება, ვამბობთ — გურამიშვილმა დამკვიდრა ან გურამიშვილმა იხმარა, ევრანობთ რა, აღნათ, რომ საქმე გვაქვს ქართული ლექსის სისტემასთან, რომელშიც ორწევრიანი კომბინაციების სიმრავლეში არის ერთი ქვესიმრავლე. სადაც კომბინაციებში პირველი წევრი 4-მარცვლიანია: 4+4, 4+3, 4+2, 4+1, და გამოდევარო იქნება, რომ ყველა კომბინაციის რეალიზება ერთბაშად არ ხდება.

შემდგომ — იმის შესახებ, რომ ქართული ლექსის ზოგადი რიტმული ბუნებისათვის დამახასიათებელ მოვლენებზე მსჯელობისათვის მხოლოდ რუსთველის ტექსტის მონაცემები არ კმარა. ნ. ნათაძის ამოცანას, წერილის მიხედვით, შეადგენს იმის მტკიცება, რომ (საბირის-პიროდ გ. წერეთლის შეხედულებიდან) „შახვილის კანონზომიერი განაწილება ტექსტში მართლაც რუსთველური ლექსის (და, სიერითოდ, ქართული ლექსის — SFC!) არსებითი კომპონენტია“. ფრჩხილებში გამოტანილი „სიერითოდ ქართული ლექსი“ საყვებით სწორი კორექტივია, ვინაიდან შახვილი, თუ იგი ფუზიკიონალური ფაქტორია, სიერითოდ ქართული ლექსის სტრუქტურის ნიშანია და მხოლოდ ასეთ შემთხვევაში იქნება რუსთველის ლექსის სტრუქტურული ნიშანი. მაგრამ, შესაბამისად, შინაადგილისა და როლის განსაზღვრისათვის ქართული ენისა და ქართული ლექსის ბუნებიდან უნდა გამოვიდეთ. აქ წერელში აშკარად დარღვეულია თანაფარდობა: ქართული ენის მახვილზე მსჯელობისას მოტანილია ის ენაშიე-ნიერული დებულებები, რომლებიც სიერითოდ ქართული ენის მონაცემების ანალიზს ეყრდნობა და არა მხოლოდ ამა თუ იმ — და არა ყველა — აგებულების სიტყვებისას, ხოლო ქა-

რთული ლექსის მახვილზე მსჯელობა წერაღში  
ევრდნობა მხოლოდ ორ მეტრს.

უფრო მეტიც — ავითარებს რა დებულებას,  
რომ „მახვილი რუსთაველური ლექსის კონსტი-  
ტუციური ელემენტია“, ავტორი არგუმენტირ-  
ებას იძლევა არა მთლიანად ვეფხისტყაოსნის  
სტროფის, სტრიქონისა და მათი შეზადგენელი  
მონაკვეთების ანალიზის საფუძველზე არამედ  
მხოლოდ რითმების, სარიტმი ტერმების, სა-  
რიტმო კლასიფიკაციების ანალიზის საფუძველზე.  
საქმეს ვერ შევლის განცხადება იმის შესახებ,  
რომ ამ ფაქტორით „მთელი სტრიქონის რიტ-  
მულ სტრუქტურას ხსნიან ხოლმე და ეს ახსნა,  
მართლაც, „მუშაობს“ გარკვეული გამოყალი-  
ბით“. ჭერ ერთი, კვლავ დგება მხოლოდ ერთი  
ტექსტის პრობლემა. არ არის გამოჩენილი,  
რომ რომელიმე პოეტს მოცემულ პოეტურ  
ტექსტში რითმების აგებისას აღმოაჩინდეს გა-  
რკვეული სპეციფიკა, რომელიც მთელი მოცე-  
მული საღებულო სისტემის პოზიციებიდან ჭარბი  
ღირებულების ნიშნით დახასიათდება (ნიშულში  
ასეთი შემთხვევისა თუ არა გ. წერეთლის ნაშ-  
როშია მოტანილი: ახულ-ღ-ალა აღ-შაარის  
ერთი კრებული მთლიანად ორმაგ რითმის შეი-  
ცავს, მაგრამ მხოლოდ ამ ტექსტის მიხედვით  
რომ გვეჩვენება არაბუნებრივად, სწულიად  
არასწორად განესაზღვრავდით მის კანონიერ  
სტრუქტურას, ვინაიდან არაბუნებრივად ერთ-  
მარცხლიანია და აღ-შაარისა, თავისი ექსპე-  
რიმენტის მიხედვით, კრებულს უწოდა — „აუ-  
ცილებლობა იმისა, რაც არ არის აუცილებელ-  
ე“). მეორეც, სარიტმი პოზიციები მართლაც  
სპეციფიკურია და, როგორც ავტორიც აღნიშ-  
ნავს გარკვეულ გამოყალიბებს ქმნიან, და ბო-  
ლოს, დასავით ასეთი კითხვა: რა სპეციფიკაა  
ეს და სარიტმი ან გარიტმი მონაკვეთი,  
როგორც გარკვეული თვალსაზრისით გამოყო-  
ფილი, ატარებს თუ არა სხვა სპეციფიკას, გა-  
რდა იმისა, რომ ერთობლება, მსგავსია, თანამე-  
დერია სხვა სტრიქონის შესახებ მონაკვეთი-  
სა? თუ სხვა სპეციფიკა არ გვაქვს და სარიტ-  
მი მონაკვეთი, რიტმული სტრუქტურის პოზი-  
ციებიდან, იდენტურია სხვა მონაკვეთისა, იმავე  
ძალით აგებს სტრიქონს, მონაწილეობს რა მის  
სტრუქტურაში, და მასში მახვილთა განაწილე-  
ბას თუ ნებისმიერ სხვა წესებს ამ სტრიქონი-  
სა და მისი მონაკვეთისათვის საერთო კანო-  
ნები განაპირობებენ. — მაშინ ჩვენ არავითარი  
უფლება არ გვაქვს ამ კანონების შესახებ ვიმს-  
ჯელოთ ბოლო, სარიტმი მონაკვეთების მიხედ-  
ვით. ისევე როგორც არც მხოლოდ პირველი  
ან მხოლოდ შუა მონაკვეთის მიხედვით. ბოლო  
საკითხი იმის შესახებ, რომ სტრიქონის ბოლო  
მონაკვეთს, ქმნის რა რითმის, არავითარი სხვა  
სპეციფიკა არ შემაჯავს რიტმულ სტრუქტურაში,  
აქტილად გადაწერება, თუ შეფუძარებთ  
ერთმანეთს იდენტურ სტრუქტურზე აგებულ რი-

თმთან და ურიტმო (თეთრ) ლექსებს; არავითარი  
განსხვავება მეტრის სქემისა და მახვილთა ვა-  
ნაწილების პოზიციებიდან არ არის ვერ. ორბე-  
ლიანის თერთმეტმარცხლიან სტრიქონებს შო-  
რის გარიტმულ ლექსში და თეთრ ლექსში: „ეს  
რა ცეცხლში ჩავვარდნილვარ, ხალა ვარ7/7ული  
მეწვის, სასიკვდილოდ მზადა ვარ“ და „ნუ  
გაცივრს კო, სჯობს ჩემ გულში ჩაბედო,წაი-  
კითხო სიმწარისა ამბები“; ან გ. ტაბიძის 14-  
მარცხლიანებს შორის: „სიცოცხლის ჩანგებს  
მივაშურით ისევ თხეზით,მრავალ წურჭელთა  
ჯაბულებით, გაათხეზით“ და „რეკლამაციურს,  
ჭერ არანახულს, ჭერ არგაგონილს, / ვაშა ამ  
ახალ საქართველოს, ვაშა შენებას“; ან რა გან-  
სხვავება შეიძლება იყოს ბენაკის „ტანო ტა-  
ტანოს“ და ბარათაშვილის „მერანის“ სტრიქო-  
ნებს შორის, თუ პირველი სტრიქონის პირ-  
ველი და მეორე მონაკვეთი გარიტმულია, ხო-  
ლო მეორეში — არა: „ტანო ტატანო, გულწა-  
შტანო, უცხოდ მარბო“ და „მირბის, მიმაფ-  
რებს უგზო-უყლოდ ჩემი მერანო? მამსადა-  
მე, „ლექსისათვის საჭირო განაწილება მახვი-  
ლისა“ არ შეიძლება ექვემდებოდეს „სარიტმი მარ-  
ცხლებში“, მახვილთა კონფიგურაცია სტრიქო-  
ნში, სტროფში თუ მთელ ლექსში, თუ მას აქვს  
რიტმული ფუნქცია, ერთიან კანონებს ემორ-  
ჩილება და გარიტმული და გურიტმიანი მონა-  
კვეთები განსხვავებას ვერ შექმნიან, რაც მთა-  
ვარია, გარიტმული მონაკვეთი, იმის გამო, რომ  
იგი გარიტმულია, მახვილის ადგილს ვერ გა-  
გვასაზღვრინებს.

საერთოდ, ავტორის მსჯელობას მახვილთან  
დაკავშირებით ესაჭიროება დაზუსტება ერთი  
არსებითი მომენტის პოზიციიდან: არ არის  
დოქტრინული რეპრეზენტული ენობრივი მახვილი —  
დისტინქციური ფუნქციის მქონე იგი თუ არა  
— და რიტმული მახვილი — იტყობს, რომე-  
ლიც დროდადრო შეიძლება არ დაეძინებინ  
ენობრივს, ხოლო, როდესაც ემთხვევა, უფ-  
ლება მიპარება არა გვაქვს — უფლება ენო-  
ბრივი მახვილი ფუნქციით არ არის რიტ-  
მული. შესახებამხად, წერაღში საბოლოოდ არ  
არის მოცემული ლექსის მახვილების ცალსახა  
დისტინქციული სტრიქონში. ეს თუნდაც შემე-  
დგეი შეუსაბამობიდან ჩანს. ავტორი არ იღებს  
წერეთლისეულ სემანტიკას (ორწევრიანს)  
დაბალი შიარის ნახვარტაქმისა და ხედვას მა-  
სში სამელომენტური სტრუქტურას, მაგრამ იღებს  
მაღალი შიარის სემანტიკის ორ მ-მარცხლიან  
სემანტიკად (რაც თაოსთავად შეუსაბამობაა: მა-  
ღალი შიარის დანაწევრებასა და დაბალი ში-  
არის დანაწევრებას გ. წერეთელთან ერთი და  
იგივე ფაქტორი განაპირობებს, თუ ეს ფაქ-  
ტორი მისაღებია, მაშინ ორივე დანაწევრება  
მისაღებია, თუ ეს ფაქტორი მიუღებელია, მა-  
შინ ორივე დანაწევრება მიუღებელია — კვლავ  
და კვლავ დგება პრინციპული, მეთოდოლოგი-

ური იდებს პრობლემად). ეს კი ორი ურთიერთ-გამომრიცხავი დასკვნის გამოტანას განაპირობებს. ერთი მხრივ, თუ მაღალი შაირის ნახევარკატეპი ორი ოთხმარცვლიანი მონაცემითა, მაშინ, ავტორის კონცეფციის მიხედვით, გვექნება ორი მახვილი, თითოეული — მონაცემთის აბსოლუტური თავში. მეორე მხრივ, ავტორი ქორცილსაც ხედავს და მახვილსაც თითოეული ორმარცვლიანი მონაცემთის თავში, მაშინ არ გვექნება ორ ოთხმარცვლიან სეგმენტად დაწვერება.

გარდა ამისა, გარკვეული შეუსაბამობა გვეჩვენება ავტორის ფუნდამენტური იდეის უარყოფილებაში. ჭრე გამოყოფილია (რითმში) მარცვალთა ჭრული, „მარცვალთა იდენტური კომბინაცია“ მახვილის იდენტური განაწილებით (ტერფი) იმ ნიშნით, რომ, რადგან ენაში მახვილი პირველ მარცვალზეა სიტყვაში, ლექსის მარცვალთა კომბინაციაზე იგი პირველ ადგილზე უნდა შემდეგ შემხვევებში, როდესაც სიტყვის მახვილი არ არის პირველ ადგილზე, კვლითციკრებულთა დარღვევად იმ აგრუმენტით; რომ ლექსის მარცვალთა ჭრული მახვილი პირველ ადგილზე უნდა იყოს.

ასევე შეუსაბამობა წარმოიშობა ავტორის მეორე ძირითადი იდეის ჩამოკლებებისას, რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ რუსთველის ლექსთწყობაში ერთნაირად გასათვალისწინებელია, როგორც მარცვალთა რაოდენობის, ასევე შათი მახვილიანობის ფაქტორები. საქმე ისაა, რომ შემოთ ნახვენებ დარღვევათა ახასნელებ და პასუხის გასცემად კითხვაზე, როგორ წავიკითხოთ ლექსი ასეთ შემხვევებში, ავტორი იხმარებს ცნებას მიჯნისა, რომელიც არეგულირებს დარღვევების სწორ კითხვას და მახვილებს სვამს თავის ადგილზე. მაგარამ მიჯნა (სიტყუების შორის) არის იგივე სიტყვათგასაყარი, ან ის ქმნის სიტყვათგასაყარს, სიტყვათგასაყარი კი ის ფაქტორია, რომლითაც ე. წერეთელი აკრებებს ლექსის სეგმენტაციას და უარყოფს მახვილის როლს. მაშასადამე, ჩვენ ვაკვებს კონცეფციას, რომელშიც გასაყარის ფაქტორით დადგენილია სტრუქტურული ერთეულები და ახსნილია ლექსის სტრუქტურა მახვილის ფაქტორის გარეშე (სხვა საკითხთა, მისაღებათ თუ არა ის); ე. ნათამე უმჯობეს ამ კონცეფციის მახვილის ფაქტორის ისე, რომ ცუდდნობა ამავე კონცეფციას, ე. ი. იმ კონცეფციას, რომელიც უარყოფს მახვილს, და იშველიებს იმ ფაქტორს, რომლითაც ამ კონცეფციაში უარყოფილია მახვილი. ყველაფერს რომ თავი დაეანებოთ, პირველი კონცეფცია უფრო მკონომიურია, რა თქმა უნდა, მახვილის ფუნქციის აღიარებისათვის სხვა აგრუმენტაცია იყო საჭირო.

მისათვის, რომ არ წამოყაყენოთ საყამათო დებულებები, ჩვენ აღარ შევხვებით წერტილში

გამოქმულ სხვა აზრებს, რომელთაგან ზოგი მიუღებელია (მაგალითად, ის, რომ დაბალი შაირის ნახევარკატეპი უფრო შტკიცე ერთიანობას წარმოადგენს, ვიდრე მაღალი შაირისა. ყოველ შემხვევაში, ეს თეზის სპეციალურ აგრუმენტირებას მოითხოვს, შით უმეტეს, რომ გაუგებარია მის სააღუსტრაციოდ მოტახილი მაგალითის ანალიზი: გაუგებარია ტაეპი — „ილოცავს, იტყვის: მაღალო, დმერთო ხმელთა და ცათაო“, განსაკუთრებით მისი პირველი ნახევარი, რატომ უნდა გავიგოთ და წავიკითხოთ მაღალ შაირად, თუ „მაღალოს“ შემდეგ მძიმე არ არის, და დაბალ შაირად, თუ „მაღალოს“ შემდეგ მძიმე დაბნული, ზოგი — მისაღები (მაგალითად, მსქელობა ობიექტურობისათვის სტატისტიკის აუცილებელი გათვალისწინების შესახებ, ასევე — პროზაული და პოეტური ტექსტების სტატისტიკური მონაცემების შედარების შესახებ).

მოვტანთ წერილიდან მხოლოდ ორ ისეთ მაგალითს, რომელთა ანალიზი ცალსახად და ელემენტარულად გვიჩვენებს, რომ რუსთველის (ისევე როგორც ნებისმიერი სხვა პოეტის) ტექსტის საღეჭო სტრუქტურაზე მსქელობა შეიძლება მხოლოდ ქართული ლექსის ზოგადი სტრუქტურისა და მთლიანად ფაქტობრივი მონაცემების გათვალისწინებით.

ე. ნათამე აღნიშნავს, რომ, როგორც ე. წერეთელმა დაადგინა, კომბინაცია 2+4+2 რუსთველიან მაღალი შაირის ნახევარკატეპში გამოირიცხულია, რაც განაპირობებელია ნახევარკატეპის ოთხმარცვლიან სეგმენტებად დაყოფის კანონით. აღნიშნავს ხაზგასმით, ვინაიდან ამ დასკვნას აბსოლუტურად უდავოს უწოდებს მეორე მხრივ, სამეცნიერო ლიტერატურაში უკვე გამოთქვა აზრი, რომ 2+4+2 სხვა პოეტებთან გვეხვეება რვა მარცვლიან ნახევარკატეპში და 8-მარცვლიან სტრიქონშიც. ბუნებრივია, რომ ამ პირობებში საჭიროა ე. წერეთლის დაყოფების შეფასებისთვის პასუხი გაცევა კითხვებს: 1. რას წარმოადგენს 2+4+2, თუ იგი შართლაც არსებობს, მაღალი შაირის პოზიციზიდან, მეორე მხრივ — ქართული ლექსის სტრუქტურის მარცვლიდან. 2. რა კვალთყოფილი იქნება მის არსებობას ან არარსებობას მოცემულ პოეტურ ტექსტში ან მოცემულ სინქრონულ ჭრილში, ან შედარებით ნაკლებ გამოჩენას.

საქმის ერთაება კი ასეთია. ჭრე ერთი, 2+4+2 გვხვდება არჩილთანაც, ხაზასთანაც, გურამიშვილთანაც, მომღვენო საუკუნეებშიც — გვხვდება არაერთხელ. გვხვდება აგრეთვე 2+6, რუსთველის ისე, რომ შორფეშათა მიქნა შეთოვლ მარცვლის შემდეგაც, სხვებთან — ამ საზღვრის (მოძიეთ-მოიჩეხნიშ) შათ) გარეშეც. 2+4+2 სტრუქტურულად იგივეა, რაც 2+6, და არა, ვთქვათ,

6+2 (ენაიდან ორივე კომბინაცია 2+4+2 და 2+6 ვუხედება, ხოლო 6+2 არ ვუაქვს; თუ იგი გამოჩნდა მაღალ შაირში, მართლაც დარღვევასთან ვუაქვს საქმე).

მეორეც, 2+4+2-ც და 2+6-ც სრულიად ბუნებრივი განლაგებბაა ქართული ლექსის აგების სტრუქტურული წესების პოზიციებიდან. ამისი დანახვა შეიძლება თვით ვეფხისტყაოსნის ტექსტის მასალაზეც ვაიხიხნოთ, კერძოდ, რომ დაბალ შაირში 2+3 კომბინაცია ენაცვლება 3+5. შეფარდება (5+3):(3+5) კი ზუსტად იგივეა, რაც შეფარდება (4+4):(2+6) — ორსავე შემთხვევაში შემსაცვლელ კომბინაციაში, პირველი კომბინაციასთან შედარებით, პირველი წევრის სიგრძე დამოკლებულია ორი მარცვლით, ხოლო მეორე წევრის სიგრძე გაზრდილია ორ მარცვლით (ორწევრიანი კომბინაციის საერთო სიგრძის დაცვით). არავის არსადროს არ მოსვლია ახრად, დაბალი შაირის მონაცვლეობა 2+3/3+5 არბუნებრივად ან დარღვევად ჩავთვალო. მაგრამ ამ მონაცვლეობის განსვრავადება ზელო შეუძლია იმან, რომ ყველა ზედვს 5-სა და 3-ს, სხარებულს ნებისმიერ — ორი ადგილიდან — ადგილზე. სინამდვილეში, 5 კომბინაციაში 2+3 არ არის იგივე 5, რომელიც ვუაქვს კომბინაციაში 3+5, იგივე თვქის 3-ზე: 5-ც და 3-ც კომბინაციაში 2+3 არის 5—2=3 და 5 არის 3+2=5. სხვა სიტყვებით, 5 კომბინაციაში 2+3 არის პირველი წევრი, 3 — მეორე წევრი, კომბინაციაში 3+5 კი 5 არის მეორე წევრი, გაზრდილი ორი მარცვლით, 3 არის პირველი წევრი 5, დამოკლებული ორი მარცვლით. გავრცელებული შეცდომის მიზეზი კი ისაა, რომ სრულიად შემთხვევით დაბალ შაირში ორის მიზანებით და ორს გამოკლებით ურთიერთმონაცვლე კომბინაციებში ვიღებთ ერთსა და იმავე ციფრებს: 5 და 3. ზუსტად იგივე მონაცვლეობაა 4+4/2+6, სადაც მეორე კომბინაციაში 2 არის 4—2=2, ხოლო 6 არის 4+2=6. ვიშვორებთ, ამის დანახვა შესაძლებელია ვეფხისტყაოსანშიც, მაგრამ საბოლოოდ დასკვნის გასაკეთებლად საჭიროა მთელი ქართული ლექსის მონაცემების ანალიზი, კერძოდ — ყველა ორწევრიანი რიტმული კომბინაციის განხილვა. როდესაც ამას გავაყვებთ, ჩვენ აღმოვაჩინებთ, რომ სხვა რიტმული კომბინაციები იმავე წესს ემორჩილებიან: 2+2 კომბინაციას ენაცვლება 3+4, 4+3 კომბინაციას ენაცვლება 2+5, 4+2 კომბინაციას ენაცვლება 2+4 (აქაც ვუაქვს შემთხვევითი დამთხვევა), 4+1 კომბინაციას ენაცვლება 2+3 და ა. შ. (ლაპარაკია, რა თქმა უნდა, ბუნებრივ მონაცვლეობებზე და არა ისეთ დარღვევებზე, როდესაც საზომის სჭე-

მის კონფიგურაცია, ერთეულთა ხაზდგარები, იქნება ეს, თუ მახვილითა ადგილები, წარმოსაცვდება). ე. ი. ორწევრიან კომბინაციებს უჭერს ალტერნანტობა, რომლებშიც პირველი შემადგენელი ორიბი მოკლეა, ხოლო მეორე — ორიბი გრძელი, სხვა სიტყვებით, ურთიერთმონაცვლეობადია ორი ისეთი ორწევრიანი რიტმული კომბინაცია, რომელთაგან მეორეში (ალტერნანტი) ხაზდგარა ორ წევრს. შორის გადის ორი მარცვლით: 5-ის მარცხნივ, ვიდრე პირველში (ძირითადი სახეობა). ვგრძნობ მასუბის გაცნა კიბვავზე, რაბოშ ჩავთვალთ 2+3, 4+4, 5+2, 4+3 და ა. შ. ძირითად აგებულებებად, ხოლო 3+5, 2+6, 3+4, 2+5 და ა. შ. — ალტერნანტებად. მასუბს ვნახავთ მეტრომეტრული სტროფების ანალიზში, რომელსაც ზემოთ უყვებუვთ: 3+5 კომბინაცია, მავალითაღ, შეიძლება შევვხვდეს 2+3, 3+4, 5+2, 5+1 კომბინაციების გვერდით და აკა 3+5 კომბინაციის გვერდით; სხვა სიტყვებით, 3+5 ვუხედება 5+X კომბინაციების გვერდით რაკორდ 2+3 კომბინაციის ალტერნანტი.

გარდა ამისა, არგუმენტს წარმოადგენს ისიც, რომ ჩვენ ვუაქვს აგებულება 2+3, რომელსაც არ აქვს შემსაცვლელი. არ აქვს იმ უბრალო მიზეზით, რომ იგი იქნებოდა 3+7 (ეს უმთავრესი კომბინაცია ჩვენ შევხვედრიან ერთ დღევანდელ ნიმუშში), ხოლო 7-მარცვლიანი უმცირესი ერთეული ქართულმა ლექსმა არ იცის (იამბიკო საბოლოოდ არ შეივდა ქართული ლექსის იმ რიტმულ სისტემაში, რომელიც ჩვენთვის აღქმადს წარმოადგენს). ისევე რაკორდ იშვიათია 6-მარცვლიანი სეგმენტი. ეს ფაქტი — სეგმენტთა სიგრძის დასაშვები მქონეობის არსებობა — შეგვიძლია დავავსვიროთ ქართულ ენაში 7-და 6-მარცვლიანი სიტყვების უმნიშვნელო რაოდენობით არსებობის ფაქტთან (სტატისტიკა, ვეფხისტყაოსნის მასალაზე, იხ. გ. წერეთელთან).

ამ ბოლო საკითხის გარკვევის შემდეგ ჩვენთვის ნათელი უნდა იყოს მთელი ვითარება დაკავშირებით 2+4+2 კომბინაციასთან. 1. 2+4+2, რაკორდ 2+6 ალტერნანტის ერთეული შემადგენელი სიტყვიერი გაფორმება, სრულიად ბუნებრივი რიტმული კომბინაციაა. 2. მისი გამოჩენის შედარებით ნაკლები ხიზშირე აიხსნება 6-მარცვლიანი რიტმული ერთეულის ნაკლები ტიპურობით ქართული ლექსისათვის, რაც უყვარდება ენაში 6-მარცვლიანი სიტყვების ნაკლებ გავრცელებულობას შედარებით 1, 2, 3, 4 და 5-მარცვლიანი სიტყვებთან (7-მარცვლიანი ერთეული საერთოდ არ ვუაქვს და 5+5 აგებულებს შემსაცვლელთან საერთოდ არ ვუაქვს). ამ მოკლენის რაოდენობის წარმოადგენს სწორედ რუსთველის ტექსტის

სიტუაცია, სადაც 2+2 იწვევთ და სპეცი-  
ფიკურ გარემოში გვხვდება, ხოლო 2+4+2  
არ გვაქვს. ამასთან, ნიშნდობლივია ქართული  
პოეზიის დინამიკა: ადრე ეტაპებზე (მათ შო-  
რის, რუსთველთან) 2+6-ს ერიდებოდნენ, მე-18  
ს.-დან მისი ხმარება ხშირდება (2+4+2 სახი-  
თაც), განსაკუთრებით მე-20 ს.-ში. მე-20 საუ-  
კუნეში გვაქვს ერთ ანტიმეტრს იმიხა, რომ  
ორმარცვლიანი გადაწევა და მასზე აგებული  
ალტერნაცია რეალურია. საქმე ისაა, რომ  
გ. ტაბიძემ შემოიტანა ერთი სია-  
ხლე, რომელიც ემყარება სწორედ  
ალტერნაციის პრინციპს. ქართულ  
ლექსში სტრიქონის აგება ხდება ორწევრიანი  
კომბინაციის ძირითადი სახეობისა და ალტერ-  
ნანტის ფაქტობრივი მონაცვლეობის პრინ-  
ციპზე (ამის ნახვა შეიძლება თუნდაც ვეფხის-  
ტყაოსანში დაბალი შაირის მაგალითზე), სხვა-  
დასხვა საწარმოო რეალუზაციისას გვაქვს ნიშ-  
ნებიც, აგებული მხოლოდ ძირითად სახე-  
ობაზე. გ. ტაბიძის მოდერნიზაცია შემდეგ ახალ  
წესს გულისხმობს: ლექსი მთლიანად აიგოს  
მხოლოდ ალტერნანტის ხმარებით. გ. ტაბიძე  
ამას აცხადებს 4+2 კომბინაციის 2+4 ალტერ-  
ნანტისთვის („მშვენი თიბათისა“ და ბევრი  
სხვა), მას აქვს აგრეთვე 4+1 კომბინაციის  
2+3 ალტერნანტზე აგებული ლექსი (უფრო  
წესბამდ. 2+4 და 2+3 ალტერნანტების სიმე-  
ტრიული განაწილება პეტროპოტრულ ლექსში  
„მოკლე, გადაკაცნი“). ამ მოდერნიზაციამ შევი-  
დრი ადგილი დაკავა შემდგომი თაობის პრაქ-  
ტიკაში, ხოლო მისი სამოქმედო არე გართ-  
თოვდა კიდევ: კერძოდ, რაც ჩვენივე განსა-  
კუთრებით საგულისხმობია, მხოლოდ ალტერნან-  
ტზე აგებული ლექსები უნდა გვაქვს მაღალი  
შაირის რიტმისათვის, თანაც — კლავ საგუ-  
ლისხმო მომენტა — 2+4+2 განლაგების  
დომინანტობით (ამგვარი ლექსების  
თხზვა უფრო, მაგალითად, ოთ. ქვილიძეს და  
მ. ლეხავაძეს).

ასეთი ვითარება, დაკავშირებული 2+4+2-  
თან, ცხადია უნდა იყოს, რომ: 1. ნებისმიერი  
ფაქტის განხილვისას აუცილებელია მთელი ქა-  
რთული პოეზიის პრაქტიკის გათვალისწინება.  
2. ნებისმიერი სალექსო ერთეულის თუ ერთე-  
ულთა კომბინაციის ბუნებაში, მათ შორის შა-  
რტიკულთა — არამარკირებულთაში, ვარ-  
კვეთა შეიძლება მხოლოდ ყველა სხვა ერთე-  
ულზეთან მიმართების გათვალისწინებით, სა-  
ბოლოოდ — ერთეულთა და კომბინაციათა  
მთელი სისტემის, როგორც პრინციპულად ერ-  
თისა და იმავე სტრუქტურულ წესებზე აგებუ-  
ლი მთლიანობის, გათვალისწინებით; მხოლოდ  
ასე დაინახება, რა არის 5+3 და 3+5, ან 4+4  
და 4+4 ცარიანტი 2+4+2).  
მეორე მაგალითი ამავე რიგისა.  
ნ. ნათაძე საგანგებო ყურადღებას აქცევს იმ

ფაქტს, რომ ვეფხისტყაოსანში „პრეტყველად  
აკრძალულია კომბინაცია 3+3+2“ (მე-18  
კლვის შემთხვევების ნაწილი, როდესაც მაინც  
გვხვდება, ახსნილია „რიტმის ფაქტორი“ და  
ხაზგასმულია, რომ ეს შემთხვევები მხოლოდ  
მეორე ნახევარტაქსია. აქ აშკარა წინააღმდე-  
გობაა ავტორის მიერ გაზიარებულ სწორ იდე-  
ასთან იმის შესახებ, რომ ორმარცვლიანი რი-  
თში, ახასიათებს მხოლოდ მაღალ შაირს, ხოლო  
სამმარცვლიანი — დაბალს. როგორღა ახსნის  
დაბალი შაირის სწორედ ასეთი რითმა  
3+3+2 თანმიმდევრობის, ანუ ორმარცვლიანი  
ჩვეუთი დამოკიდებული თანამიმდევრობის, გა-  
ზიარებას, მეორე ნახევარტაქსი და, შესაბამი-  
სად, აკრძალვას — პირველში?

საბოლოოდ ავტორი ასკვნის, რომ 3+3+2  
თანამიმდევრობის აკრძალვას ვეფხისტყაოსანში  
„ვერ ხსნის ვერც მარცვათა რაოდენობაზე  
დამყარებული სქემა და ვერც მახვილზე დამ-  
ყარებულთა... როგორც ჩანს, ეს კანონზომიერე-  
ბა რაღაც უფრო ღრმა ფაქტორებითაა განსა-  
ზღვრული, ვიდრე ისინი, რომელთა დახატვა  
კვლევის დღევანდელ დონეზე შეგვიძლია“. შე-  
დეგად: „არის კანონზომიერებები, რომლებიც  
ჭრჭკობით ვერც იბნის ხსენებული რიგის  
ტრანზენდენტი ვერ ახსენება (და დარღვევად  
ჩაითვლება)“. რა თქმა უნდა, კანონზომიერე-  
ბები დარღვევებად ვერ ჩაითვლება.

მაგრამ მთავარი ისაა, რომ ხსენებული მო-  
ვლენა სრულიად მარტივად ახსენება კვლევის  
დღევანდელ (და ნებისმიერ) დონეზე, როდესაც  
საქიარა გადავხედოთ ქართული ლექსის სტრი-  
ქონთა და ნახევარსტრიქონთა მთელ სიას.  
მაშინ აღმოჩნდება, რომ 3+3+2 არის  
სწორედ დამოუკიდებელი სტრი-  
ქონი, რომელიც ქმნის სრულიად  
დამოუკიდებელ საწარმოებს! ასეთი მა-  
რტივი ოპერაცია რომ გავკეთებინა, ავტორი  
ახსნიდა, თუ რატომ ერიდებოდა რუსთველი  
3+3+2 კომბინაციის ხმარებას, ვინაიდან იგი  
(ავტორის) საერთოდ კარგად ხედავს, რომ ერთ-  
ნი მეტრის სქემა მეორეში არ გვხვდება  
(„ესეც დაბალი შაირის მეტრია, მაშასადამე,  
იგი მაღალ შაირში ვერ შეგვხვდება“).

სამმარცვლიანი უმცირესი რიტმული ერთეუ-  
ლი ლექსის კომბინაციის პირველ წევრად პი-  
რველად იხმარა გურამიშვილმა (იგულისხმება  
ორწევრიანი კომბინაცია თავისი ძირითადი სა-  
ხეობით და არა — 5+3 კომბინაციის ალტერ-  
ნანტი, სადაც პირველი პოზიციის სამი, ეს  
არის 3=3-2), წუხტი საზე ასეთი კომბინაციე  
რის ხმარებას იმისა ბარათაშვილმა („ცისა ფერს“),  
ხოლო განსაკუთრებულ ვარკველებულობას  
ვხედავთ მე-20 საუკუნეში გ. ტაბიძის წყალო-  
ბით. საბოლოოდ, რჩი ერთეულისგან აგებულ  
რიტმულ კომბინაციათა სისტემას დავშატა ერ-  
თი ქვესისტემას, რომლის სპეციფიკა ისაა, რომ

კომბინაციებში სამშარცილიანი ერთეული წარმოადგენს პირველ წევრს; სისტემაში ასეთი ხაზები მიიღო:

I	II	III
5+5	4+4	3+3
5+4	4+3	3+2
5+3	4+2	3+1
5+2	4+1	
5+1		

[აღნიშნავთ, რომ ზენითვის ორწევრიანი კომბინაცია უშუალოდ რიტმული მნიშვნელობის მქონე უწყობრები ერთეულია. ზემოთ წარმოდგენილია ძირითად სახეობათა სისტემა, რომელშიც გარკვეული წესები მოქმედებენ].

სადღესოდ ჩვენ გვაქვს სხვადასხვა აგებულების სტრიქონები და შესაბამისი საზომები: 3+3, 3+3+3, 3+3+3+3 და ა. შ. შესაძლებელია მეტრომეტრული აგებულებები: 3+3+3/3+3+2, 3+3+3/3+3+1, 3+3+3+3/3+3+3+2 და ა. შ. ერთ-ერთი შესაძლებელი სტრიქონი და მასზე დამყარებული მეტრია 3+3+2. გ. ტაბიძე: „ის იყო შეიდი წლის ბავშვი/მისი, მინდობა, ჩიტი/სინდერა ოქროსფერ ნავში/ზეცათა ლევაჯარა — ჩიტი“. გ. გრანდის: „საღამო—კანელი სათელი/ირგვლივ დაწოლილი ნისლი/ფარული წამების ღანდი. პოეტის ცრემლი და სისხლი“. დღეს განსაკუთრებით უყვარს ეს წეობა აკალაბაძეს: „ო, კრძლმა ციყარმა იცის/რომ იმის დაწინაყვლულ ბუშბულს/ვითარაჲ სუროს და სუშბულს/ვიწახავ? ციყარმა ოცის“.

ნებისმიერ საზომში რიტმული ერთეულების და რიტმული კომბინაციების განლაგებათა დარღვევა აბრძობდა არა მხოლოდ იმ უზრალო მიზეზით, რომ ირღვევა მოცემული რიტმი, არამედ იმ მთავარი მიზეზით, რომ რიტმი იცვლება, ემთხვევა სხვა სისტემისათვის ასევე მარკირებულს. ამიტომ არ გვაქვს შიარში 3+3+2. მეორე მხრივ, ცალკეულ იშვიათ შემთხვევებში ნებისმიერი საზომის რეალურად ნასა, მთელი რიგი მიზეზების გამო აშკარად დარღვევის და დამთხვევის ადგილ აქვს, მაგრამ ეს იმას ნიშნავს, რომ მოცემულ საზომში გამოჩენილი სხვა საზომის წეობა გადაიწეობა, მოცემული საზომისთვისვე დამახასიათებელი რიტმული კომბინაციების მიხედვით, რაც იწვევს გარკვეულ „ჩადავობას“ პოეტური ფორმისა. საბოლოო კამში, ბუნებრივია, რომ ამას პოეტები ერთდებიან, იგი ნაკლებ გვხვდება. თქმული მთლიანად ეხება დაბალ შიარში 3+3+2 თანამიმდევრობის სპირალულად გამოჩენის ფაქტს [რუსთველიდან დღემდე]: იგი არ არის დაბალი შიარისათვის დამახასიათებელი აგებულება, ვინაიდან სულ სხვა საზომის სქემაში შედის; როდესაც იგი მაინც ჩნდება დაბალ შიარში, ის წარმოადგენს 3+5 კომბინაციის მისთვის დამახასიათებელი

უკვლა ნიშნით, როდესაც ის ჩნდება 3+3+3 საზომში, ის წარმოადგენს 3+3+3+3 (სხვათა შორის, ის ფაქტია, რომ 8-მარცვლიანი აგებულების შესაძლებლობა გვაძლევს სამ სხვადასხვა მეტრს 5+3, 4+4, 3+3+2, არის ერთ-ერთი არგუმენტი ქართული ლექსის სიღაბურათობის წინააღმდეგ].

ბუნებრივია, რომ დაბალ შიარში ერთდებიან 3+3+2-ს. არ აქვს მნიშვნელობა იმას, რომ რუსთველის დროს საზომი 3+3+2 არ იყო რეალიზებული. როგორც უკვე ვთქვით, მთელ სისტემაში არარეალიზებული შესაძლებელი სტრუქტურა არსებობს იმპლიციტურად, მონაწილეობს მიმართებებში თავისივე მიზეზების გამო. თუ ჩვენ, მაგალითად, რუსთველის ეპოქაში 5-მარცვლიანი პირველი წევრის შემკვეთ კომბინაციას გვაქვს მხოლოდ 5+5 და 5+3, ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ 5+5 და 5+3 აგებულა არა თავიანთი საკუთარი წესებით, არამედ ორწევრიან რიტმულ კომბინაციათა იმ სისტემის განსაზღვრელი სტრუქტურული წესებით, რომლის წევრებია 5+5, 5+4, 5+3, 5+2, 5+1, და რომელიც მთლიან სახით ჩამოყალიბდა რუსთველის ეპოქის შემდეგ.

ამგვარად, არ არის სწორი თქვითი იმის შეხებებ, რომ რუსთველის ლექსუბოში არის კანონზომიერება, რომელიც ვერ აიხსნება. ისევე როგორც არ არის სწორი ამ თქვითის წინაშეაული თქვითები: „ბ. რუსთველის ლექსუბოში არის ისეთი კანონზომიერებები, რომლებიც აიხსნება მარცვალთა ჩაოდენობისა და „ხეგმენტების“ ტერმინებში, როგორც ამას აკად. გ. წერეთელი ფიქრობს, მაგრამ ვერ აიხსნება მახვილისა და „ტერმინების“ ტერმინებში. ბ. არის კანონზომიერებები, რომლებიც, პირიქით, აიხსნება მხოლოდ მახვილისა და „ტერმინების“ ტერმინებში. ბ. არის კანონზომიერებები, რომლებიც აიხსნება ორივე რივის ტერმინებში (ასეთებია რუსთველური ლექსის კანონზომიერებათა უმრავლესობა)“. ეს არ არის სწორი, პირველ რიგში, მეთოდოლოგიურად.

ჭერ ერთი, დაუვანა ტერმინებამდე აშკარად საქმის გაუბრალოება.

მეორეც, ბოლოს და ბოლოს ლაპარაკია ერთი და იმავე რიგის მოვლენებზე — როგორ შეიძლება ერთი კომბინაცია, შესაძლებლობა ან შეუძლებლობა, ახსნას მხოლოდ ერთმა ფაქტორმა პარაოლოგიური სისტემისა, ბოლო მეორე — მეორემ? რაღა ფაქტორებია ეს, თუ მათ არ აქვთ კონკრეტული ფუნქცია, თუ მხოლოდ ერთ-ერთი არ არის ფუნქციონალური? ან თუ ორივე ფუნქციონალური ფაქტორია, რა ფუნქციაა ეს, თუ არ არის ცალსახად გამოკვეთილი მათი მოქმედების არე — რომელ მოვლენას განსაზღვრავს ერთი, რომელს მეორე? მეტიც—აქ კიბოვთა მთელი სერია იჩენს

თავს: როგორ შეიძლება 2+4+2-ის არგამოჩენა ტექსტში ახსნას მხოლოდ სემანტიკა თეორიამ, ხოლო 2+4-ის გამოჩენა სემანტიკა თეორიაში და სილაბურ-ტონურში თეორიაში? როგორ შეიძლება დახალი შიარის 1+3+1 მონაცვეთი ადგილს პოლოზიდეს გ წერეთლის სქემაში და ვერ პოლოზიდეს ადგილს „მახვილზე ორიენტირებულ სქემაში“, რომელიც ავტორისთვის ასევე მისაღებია? როგორ შეიძლება 3+3+2-ის არგამოჩენას დახალ შიარში, ან კომბინაციაში 3+2+1+2 ორმარცვლიანი რითმის არარსებობას ხსნიდეს მახვილის თეორია და ვერ ხსნიდეს გ. წერეთლის თეორია, რომელიც ავტორისთვის ასევე მისაღებია? და ა. შ.

შესაძებ, კიდევ უფრო გაუგებარია ის, რომ ერთი და იგივე მოვლენა ცალსახად აღწერება ერთი თეორიის „ტერმინებშიც“ და მეორისაც, ანუ ამ მოვლენას ცალსახად განაპირობებს ერთი პროზოდული ფაქტორიც და მეორეც ისე, რომ არც ერთს, არც მეორეს ეროვნების „დახმარება“ არ სჭირდება. თუ ავტორს მართლაც მიაჩნია, რომ რიტმის მკვლევარები რბელი ფაქტორია ორი ნიშანი, მაშინ ამას ზუსტი მეცნიერული ანალიზი და ზუსტი დასკვნის გამოტანა სჭირდება. კერძოდ, უნდა განაწილებს ორი შესაძლებლობა. 1. ერთ-ერთი ფაქტორი უარბო ღირებულებების ნიშნით დახასიათდება მოცემულ ტექსტში ან მოცემულ კრილში. ლექსის რიტმიკას, ისევე როგორც ენას, ეკონომიზაციის პრინციპი ახასიათებს და ერთი იმავე მოვლენის გამოხატვას ორი განსხვავებული ნიშანი არ ესპირირება. 2. თუ მართლაც ელიზდებია ორი ფაქტორი, (რაც პრინციპულად გამოირკვება არ არის), მაშინ უნდა განისაზღვროს ერთი მთავარი, რომელიც განსაზღვრავს ნიშნების რიტმულ ერთეულებს და მათი კომბინირების სტრუქტურულ წესებს, და მეორე, რომელსაც დაქვემდებარებული მდგომარეობა უჭირავს და თავისი ლოკალური ფუნქცია აქვს.

და ბოლოს, საკითხის დახმა ისე, რომ გუჯავს რაღაც ფაქტები, რომლებსაც მახვილი ხსნის ან მახვილი ვერ ხსნის, საქმის გაუმართაობაა გ. წერეთლის ნაშრომებში გამოთქმული პრინციპული იდეების პოეტიკობადაც, გ. წერეთლის აზრით, ქართულ ლექსში მახვილი პრინციპულად არ შეიძლება იყოს ფუნქციონალური ფაქტორი, რადგანაც მახვილი ქართულ ენაში არ არის დისტანციური ფუნქციის მქონე, ხოლო ის, რაც ენაში არ არის რელევანტური, არ შეიძლება კმნიდეს ლექსში იყოს სტრუქტურულ საფუძველს ამავე ასპექტში გ. წერეთლისთვის საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ ქართულში მახვილი ფაქტორებულაა. შესაბამისად, იმისათვის, რომ ნათელი გახვადეთ მახვილის ფუნქციონალური

როლი ქართულ ლექსში, უცდელად უნდა ამ პოსტულატების დარღვევა. ჩვენ უნდა დავსატყუოთ ან ის, რომ ქართულში მახვილი ფონოლოგიური ღირებულებებისა, ან ის, რომ ფონოლოგიურად ირრელევანტური ფაქტორიც შეიძლება იყოს ლექსის მარგინალიზებული ნიშანი, ან ის, რომ ფაქსირებული მახვილის მქონე ენასაც შეიძლება შეესაბამებოდეს ლექსთწერება, აგებულმა მახვილი ფაქტორზე (გერმანულში, მავალითად, სადაც მახვილის ადგილს ფაქსირებულია, მაგრამ სიტყვაში გუჯავს მეორეული მახვილებიც, სილაბურ-ტონური ლექსთწერბა; საკითხი ქართულისთვის, მთი უმეტეს, ღრმა და სერიოზულ ანალიზს მოითხოვს). ერთი სიტყვით, ჩვენ კვლავ მივადიქით პრობლემას, რომელიც თავშივე დავსვით: საქმისა, პირველ რიგში, პრინციპული და მეოთხელოვანიუი ხასიათის იდეების განხილვა, მათი არგუმენტირებული მიღება ან არმიღება.

ჩვენი წერილი დაიწერა არა მხოლოდ იმის გამოგვეთქვა ზოგი შენიშვნა და მოსაზრება, არამედ იმიტომაც, რომ ნ. ნათაძის სტატიაში ჩვენ ვხვდეთ რაციონალურ მარცვლსაც, რომელიც სასარგებლო უნდა იყოს შემდგომი კვლევა-ძიებისათვის. ჩვენ ამის შესახებ ზემოთ ნაწილობრივ უკვე ვთქვით, კერძოდ — იმის შესახებ, რომ არ არის გამოირკვეული ქართული ლექსის კონსტრუირებაში მონაწილეობდეს ორი ან მეტი (უფრო ზუსტად, ერთზე მეტი) პროზოდება, ოღონდ, რა თქმა უნდა, არა ისე, რომ ერთი და იმავე მოვლენების ნაწილს ერთი განსაზღვრავდეს, ნაწილს — მეორე, ან განსაზღვრავდეს ორივე ერთი და იმავე ძალით. ერთზე მეტი ფაქტორის თემა ჩვენს ლექსმკვლევებაში არაერთხელ დახმულა. სწორ გეზად, ჩვენი აზრით, ქართული სამეცნიერო ლიტერატურის სწორი ანალიზი მოვკცეხს („მეთოდოლოგიური გაკვეთილები“). ჩვენ დავახანებულბთ, კერძოდ, ორ ფუნდამენტურ კონცეფციას, რომელთაგან ერთი პროფ. აკაკი გაწერელიას ეკუთვნის, მეორე — აკად. გიორგი წერეთელს (ვახანებთ რა ამ ორ ხახელს ერთად, ჩვენ, იმედი გუჯავს, ვაქლივით ცდას მოიხსნას ერთგვარი ტანუ, რომელმაც მოიკიდა ფეხი ბოლოდროინდელ მუზიკაციკაში, როდესაც არ შეიძლება ერთის ხხენება მეორისადმი მიმდენილ ნაშრომში, რასაც ვერც განხილული სტატია ასცდა). ჩვენთვის, კერძოდ, საკულისხმომ უნდა იყოს ორი იდეა. ერთი — აკ. გაწერელიასი — იმის შესახებ, რომ ქართულ ლექსში ერთზე მეტი ფაქტორი ხანს. მეორე — გ. წერეთლისა — იმის შესახებ, რომ უნდა დადგინდეს ერთი მუდმივი ფაქტორი. ამოცანა ნათელია: უველა (ერთზე მეტი) ფაქტორის გამოკლენა (ან გამოვლენილბს დადასტურება თუ უარყოფა), მუდმივისა და მთავრის დადგენა და უველაფრის დალაგება დაღმავალი იერარქიით.

# იოსებ ყიფშიძის ეპისტოლარული მემკვიდრეობიდან

იოსებ ყიფშიძე თავისი ხანმოკლე საცოცხლის მანძილზე მთელი არსებით იყო ჩართული ერის საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ამიტომ მის არქივში შემორჩენილი მასალა მხოლოდ მისი ბიოგრაფიის კი არა, ერის სულიერი ცხოვრების ნაწილიცაა.

საინტერესო ეპისტოლარული მემკვიდრეობა დარჩა იოსებ ყიფშიძეს. მისი ადრესატები იყვნენ: ივანე ჭავჭავაძე, ექვთიმე თაყაიშვილი, კორნელი კეკელიძე, ნიკო შარი, აკაკი შანიძე, მოსე ჭანაშვილი, სერგი გორგაძე, დავით ყიფშიძე და სხვანი. ეს წერილები საშუალებას იძლევა ადვოკატურით წარსულის კულტურული უოფის ზოგი საკითხი, რადგან მათში ნათლად აირკვლა წერილების ავტორისა და ადრესატების შეცნობით ინტერესები და მოქალაქეობრივი პოზიცია.

1913 წლის 28 იანვრით დათარიღებულ წერილს იოსებ ყიფშიძე პეტერბურგიდან უგზავნის კორნელი კეკელიძეს.

„თქვენი მალაღობისთვის, მამაო კორნელი სამეცნიერო კვლევა-ძიების საქმიანობა მათემატიკის მოგმართოთ თხოვნით, მიუხედავად იმისა, რომ პირადად თქვენთან ნაცნობობა არა მაქვს. მე ამჟამად ვაშწადებ «Христианский Восток»-ისთვის წმინდა ანტონ რაჯაბის ცხოვრებას. ჩემ ზელოთა ათონისა და სიხას მთის ხელნაწერების ფოტოგრაფია, სადაც ამ წმინდანის ცხოვრება მოთავსებული. ვარდა ამისა, აწიურ მუზეუმში აღმოვაჩინე ამ წმინდანის საგალობლები, რომლებიც აგრეთვე დაიბეჭდება. უკვლია ამ მასალაში ამ წმინდანის ხსენება ნაჩვენებია 19 იანვარს. თქვენ შიერ აღწერით წ. კ. საზოგადოების № 425 ხელნაწერში კი ამავე ანტონ რაჯაბის ხსენება ნაჩვენებია 18 იანვარს. ამისათვის ვთხოვთ მაცნობოთ შემდეგი: I. 18 იანვარი თქვენ აღწე-

რილობაში კორექტორული შეცდომა რომ არ არის 19-ის მაგივრად. 2. მარტო ხსენება ანტონ რაჯაბისა მაგ ზელნაწერში, თუ მისი საგალობლებიცაა, ან და სხვა რამეც ცნობა მის შესახებ.

თუ ცნობები ბევრი არ არის და შესაძლო იქნება თქვენთვის მათი გადმოწერა და გამოგზავნა, დიდათ დამავალდებო, წინააღმდეგ შემთხვევაში ზელნაწერი უნდა გამოვიწეროთ პეტერბურგს. ნიკო შარი ეზღავე ამირობდა ზელნაწერის გამოწერას, მაგრამ იქნებ შიგ არავითარი ცნობა არ არის ისეთი, რომ გამოწერათ ღირდეს. ამისათვის ვაშწობინე თქვენი მალაღობრთხვისადმი შეკითხვა.

დავშოები თქვენი მალაღობრთხვის პირადად გაცნობის მოსურნე და უშორილესი შონა იოსებ ალექსის ძე ყიფშიძე“.

1913 წელს «Христианский Восток»-ში გამოქვეყნდა იოსებ ყიფშიძის მიერ დადგენილი ანტონ რაჯაბის ცხოვრების ტექსტი სოლიდური ისტორიულ-ფილოლოგიური გამოკვლევით. ჩანს, შეცნიერს ზელო ჰქონდა მხოლოდ ათონური და სინური ზელნაწერები, სადაც წმინდანის ხსენების დღე დადებულა 19 იანვარს. წ. კ. საზოგადოების № 425 ზელნაწერი კი ხსენების დღედ 18 იანვარს ასახელებს, როგორც ამას კორნელი კეკელიძე აღნიშნავდა.

ეს არის ცნობილი მიჯნულ მოდრეკილის საგალობლების კრებული. მასში ანტონ რაჯაბის მარტო ხსენება კი არა, საგალობლებიცაა შესული. ამ ცნობების დაზუსტება უნდოდა მეცნიერს, რომელიც, აღზათ, მთილო კიდეც კორნელი კეკელიძისაგან. წერილიდან ნათლად ჩანს, თუ რა შეცნობილი კეთილსინდისიერებით, სიფრთხილითა და სკრუპულოზურობით ეკიდებოდა იოსებ ყიფშიძე ძველი ქართული ტექსტების გამოცემის საქმეს.



1913 წელს რუსულ-ქართული ლექსიკონის გამოსაცემად ნიკო შარის ხელმძღვანელობით შედგა კომისია, რომლის წევრები იყვნენ იანე ჯავახიშვილი, იოსებ უფიშიძე და აკაკი შანიძე მასალის ამოსაქრებად ერთ-ერთ შთავაზ. წუაროდ ათონის ბიბლია მიიჩნიეს. აიტკმ დაიხვა მისი გამოცემის საკითხი. ათონური ანუ 978 წელს ოშკის ლავრაში გადაწერილი ბიბლიის ფოტოპირები უკვე 1910 წლიდან მოვაგებოდა პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიას. გამოცემას სწორედ ეს ფოტოპირები უნდა დადებოდა საფუძვლად. ჩანს, მუშაობის პროცესში წამოიჭრა თბილისში დაკრული ხელნაწერების გათვალისწინების საკითხიც. კორნელი კეკელიძისადმი მიწერილი წერილიდან ირკვევა, რომ ამ კომისიის მდივანი იოსებ უფიშიძე იყო.

„ღირსო მამაო კორნელი!

ქართული „დაბადების“ გამოცემელ კომისიის საბუღალთ მოგმართათ შემდეგი თხოვით: თ. გორდანიას თავის „ქრონიკების“ II წიგნის 36-ე გვერდზე მოკლედ აქვს აღწერილი „დაბადების“ ერთი ხელნაწერი, რომელიც მას უნახავს ქუთაისში ბაგრატის ტაძრის გვერდით მიშენებულ პატარა ეკლესიაში. ქუთაისიდან გწერენ, რომ დღეს იმ ეკლესიაში არავითარი ხელნაწერი არ მოიპოვება; იქნებ თქვენ გაქვთ რამე ცნობები იმ ხელნაწერის შესახებ, სადა იხსება ანდა რა მდგომარეობაშია დღეს და ათხოვთ ვცაევობოთ. კომისიის მდივანი თქვენი პატივისცემელი იოსებ უფიშიძე“.

წერილი 1914 წლის 27 იანვრითა დათარიღებული. 8 დღის შემდეგ კორნელი კეკელიძე უგზავნის პასუხს:

„პატივცემულო პატრონო იოსებ!

თქვენ მიერ აღნიშნული „დაბადება“ ერთ დროს მეც შიანტერესებდა. მის შესახებ ლაპარაკი მქონდა თვით პატრონ თედო ურდუბიანთან, რომელმაც გადმომცა, რომ ვანსვენბულმა გაბრიელ ენისკოპოსმა გელათში ვაგზავნა შესახებადო. გელათში მე უველაფერი გადავბარუნე, მაგრამ მის კვლას ვერ წვაწუდი (იქ ეტლა საზოგადოთ „ბიბლიის“ ნაშთები არ მოიპოვება), შიხარეს, აქმიანდრიტიმა გრიგოლმა, ენისკოპოს გაბრიელის მოძღვარმა, ჭრუჭში წაიღო, როდესაც ის იქ „მამასახლისად“ გააწვინესო. მე ჭრუჭის მონასტერშიც. ვეცემი, მაგრამ ამაოთ, ვერავინ ვერაფერი ვერ შიხარდა. ასე რომ, დღესდღეობით ის ისევე დავარგულად უნდა ჩაითვალოს, როგორც შანაშაის, ხანამ პატრონი გორდანია მიწიდან ამოთხრიდა მას ბაგრატის ტაძრის ნანგრევებში.

შეველია, თქვენი კომისია უფურაღდებოთ თბილისში არსებულ ხელნაწერებსაც არ დასტოვებს.

თქვენი პატივისცემელი დეკანოზი კორნელი კეკელიძე“.

თედო გორდანიას თავის „ქრონიკებში“ ბაგ-

რატის ტაძარში ნაოფნი ბიბლიის ერთი ხელნაწერი აქვს აღწერილი, ტომი XIII და მეორე — XIII საუკუნისა, რომლებიც არ დაკარგულა და ამჟამად ინახება ხელნაწერთა ინსტიტუტში (A — 1108 და B — 1152). ეს უკანასკნელი 1956 წელს ხელნაწერთა ინსტიტუტს შეწერია თედო გორდანიას მიმკვიდრემ პროფესორმა გივი გორდანიამ. ესენია ქართული ბიბლიოლოგიისთვის ფრიად უახვეული ცნობილი გელათური კატენებიანი ბიბლიები, რომლებიც ცალკე, ხაგანგებო რედაქციას ქმნიან და განსაკუთრებულად მნიშვნელოვან ენიჭებათ ბიბლიის ქართული ვერსიების შესწავლისათვის.

როგორც იოსებ უფიშიძის სერგი გორგაძისადმი მიწერილი წერილიდან ჩანს, „დაბადების“ გამოცემული კომისია არ წუვეტდა კავშირს თბილისში მოღვაწე მეცნიერებთან. ეს წერილი 1916 წლის 6 მარტითა დათარიღებული.

„მამო სერგო, გამარჯობა!

„დაბადების“ გამო გარჯისათვის დიდ შადღლობას მოგახსენებს ერთობლივ კომისია, აგრეთვე ორბელი მისი საქმის გამო. რაც შეეხება „დალაიქტიკის“ გამოცემას, აქ ასე უფიჭრობთ: თუ მეორე თარგმანის განსხვავება ისე დიდია, რომ მისი მოთავსება შენიშვნების სახით პირველი თარგმანის ქვეშ მოუხერხებელია, მაშინ, რასაკერძეულია, ორ სვეტად რე გამოიცეს, უცუთესი იქნება. მოკითხვისათვის უკვე დამ მოკითხვა და შადღობა მოგახსენეს. მოშიკითხე დიდი სიუვარულით თამარი, ბავშვები და უველანი ჩვენს ოქახში. გენოს გადაეცო, რომ მაგისაგან კარგა ხანია წერილი აღარ მომიღია. მე ერთი წერილი და კიდევ ცოტა რამ ნინო ლომოურის ხელით გამოუგზავნე 18 თებერბერვალს. ნუთუ არ მოუღია? მეორე წერილი 20 თებერვალს გამოუგზავნე და მე კი ატუერთზე პასუხი არ მომიღია. იყავით გამარჯვებით.

შენი მამა ო. უფიშიძე“.

სერგი გორგაძისადმი მიწერილი იოსებ უფიშიძის დამდენიმე წერილია შემორჩენილი (წერილები ვადაშვიცა ს. გორგაძის შკალიშვილმა ღია გორგაძემ). ეს წერილები ნათლად შეტუველებენ, თუ როგორ იყო იოსებ უფიშიძის პიროვნებაში შეთავსებული მეცნიერება და მამული. ამ ორი ეტაპისთვის როგორ არ ზოგავდა იგი თავს და ურველგვარ საშუაოს, დღესა თუ მიტრის, საინტერესოსა თუ უინტერესოს, მშომესა თუ იოლს, ერთნაირი სიუვარულით და ეთილისინდისიტრებით ასრულებდა.

1914 წ. 21 ოქტომბერი.

მამო სერგო გამარჯობა!

თუ ურველთვის კაცს გამარჯვება ეჭირვება, მით უმეტეს ამ ჩვენს აბუულ დროში, როდესაც „აღდგეს ნათესავი ნათესავსა ზედა და მუღუბანი მუღუბაჲთა ზედა“, და თქვენც ერთობლივ ვისურვებთ გამარჯვებას, მამო საათ-

რითიან ოში! რა მდგომარეობაა მად არაფერი არ ვიცით, ვარდა რუსულ ვაჭრებში მოთავსებული მოკლე ცნობებისა. ჩვენ კარგადა ვართ, მხოლოდ როგორც ჩვენ, ისე აქაური ქართველობა შეწუხებული ვართ სამშობლოს განსაცდელით, მით უმეტეს, რომ შორსა ვართ. თუ ვართულდა საქმე, აქედან ბევრი წაშოვა და შეიძლება ჩვენც დავიძვრეთ. შენს ხელთნაწერს ჭერ კიდევ ვერ შორსა შარბი. ბევრი საქმეები აქვს და წელნილა კითხულობს. ჩემი დისერტაცია პროფ. ცაგარელმა განიხილა და დედებითი აზრი წარუდგინა მის შესახებ ფაქულტეტს. დისპუტის დრო ჭერ დანიშნული არ არის. სერგო, უნდა შეგაწუხო და გთხოვო წ. კ. ს. წიგნის მალაზიაში მიაკითხო, ხომ არაფერი მოსულა ჩემს სახელზედ. აქედან ფონოგრაფი გამოუგზავნა სამეცნიერო აკადემიას. დუბლიკატი უნდა მოსთხოვო გამოგზავნილი მშ ივანოვისთვის. შეიძლება დუბლიკატი დაიკარგა, მაშინ საქირთა რკინიგზაზე მიაკითხოს კაცმა.

შენი ძმა იოსებო!

„შნ თებერვალი 1917 წ.

ძმად სერგო, გამარჯობა!

სალამი ყველას ერთობით! თქვენგან დიდი ხანია წერალი აღარ მიგვიღია, აღარც დაიყო იწერება რასმე. ხომ არაფერს გეგმდურით? მივიღე თქვენ მიერ გამოგზავნილი 800 შან. და წერილი. შევედგეც საქმეს. ძნელი საშოვარია. ხშირად იძულებული ვიქნებით, ის უფრანდები ვიყიდოთ, სადაც კონდაკოვის ან აინალოვის შრომა დაბეჭდილი, რადგან ცალკე აღარსად მოაპოვება. შან-პარონიანის წიგნის მალაზია აღარ არსებობს. ვარდა ამისა, ხომ არ გინდა ბუნუას «История живописи» ან გეორგიევსკის რამე გამოკლება? ხელოვნების შესახებ. აქეთ ვვარიანი კორინტელია უკვლევარი. თქვენი იოსებო!

წერილში დასახელებული წიგნები იოსებ უიფშიძის საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების წინათსაცავისთვის უნდა შეიქნას.

ივანე ჭავჭავაძის არქივში ინახება იოსებ უიფშიძის რამდენიმე წერილი. 1914 წლის 1 იანვრით დათარიღებულ წერილში იგი წერს:

„ბატონო ივანე!

გილოცავთ ახალ წელს! ბიბლიოგრაფია ჭერ არ ვადავჯირჩევია, მხოლოდ რაც ვადარჩეული იყო და მკურნალობას შეეხება, ვაგზავნით. როგორც ჩანს, მკურნალობის შესახებ ძლიერ ცოტა წერილები უყოფილა ჩვენ უფრანდ-ვაჭრებში. არა მგონია, ბევრი რამ აღმოჩნდეს იმაში, რაც აწ ვადხარჩევია. შარბისაგან წეროლი მოვიდა, კარგათ უმგზავრია, თუმცა ზღვაზე ცოტადღევა უყოფილა. დაბნაყებულია და ჩვეულებრივ შეცდანიეობას შესდგომია. აქ ძლიერი ყინებია, ვაცილებით მეტი ჩვეულებრივედ.

ქალბატონ ანასტასიას უმორჩილესად მოკითხვას მოვახსენებ და ახალ წელს ვულოცავ. რთვე პატარა ნათელას.

თქვენი პატივისმცემელი იოსებ უიფშიძე“. წერილში ლაპარაკია პეტერბურგის ქართველ სტუდენტთა სამეცნიერო წრის მიერ შედგენილ ქართულ ბიბლიოგრაფიაზე, რომელიც, როგორც ჩანს, მაშინაც უკვე დიდ სამსახურს უწევდა ქართველ მკვლევარებს.

1915 წლის 15 სექტემბრით დათარიღებული წერილი ნათლად მეტყველებს მათ დიდ ურთიერთპატივისცემასა და სიყვარულზე.

„ბატონო ივანე! ჩამოვედი თუ არა პეტრებს ქალბაქში, მაშინვე დეგემა გამოგავგზავნეთ. ალბათ მიიღებდით. ლექციების დაწყების დღე დანაშაულებით დანიშნული არ არის. პირველი ოქტომბრიდან კი ყოველ შემთხვევაში დაიწყებენ და მეც ამისთვის ეს რიცხვი ვაცნობთ დეგეშით.

ზინები გაჰვირებულა. ხალხი ბლომადაა შემოხიზნული. საწოვადეც და შეშაც ჭერჭეროებით ცოტაა. საქარო წიგნისაცავის ხელნაწერების განყოფილება დაკეტილია, რადგან, როგორც ვანცხადებდიან ჩანს, კაპიტალური რემონტი სწარმოებს.

შე უკვე ვსარგებლობ თქვენი თავანაინი სტუმართმოყვარეობით! და თქვენს ბინაზე ვცხოვრობ. ჩემს ძმას დავის და აკაის ოთახები უშოვიათ.

ქალბატონ ანასტასიას და ბავშვებს თავმდაბლად მოკითხვას მოვახსენებ.

თქვენი პატივისმცემელი იოსებ უიფშიძე“.

იოსებ უიფშიძის დიდი შეგობრობა და სიყვარული აკუწირებად აკავი შენიძესთან, მისი დამი ვაგზავნილი წერილები (ინახება აქად აკაკი შენიძესთან) გამოხარია ძმური, წრფელი სიყვარულით და აღბეჭდილი იმ შემართებით, რითაც იოსებ უიფშიძე საზოგადოებრივ საქმეს ეკიდებოდა.

„ძმად აკაკი, გამარჯობა! კიდევ ერთი კვირა და მალა ვარ. როგორა ხართ, ხომ არ მოგეწყინათ უღემოდ? აქ წვიმებია, აცივდა, რა ამბებია? ქვეყნებებზე, არა ვიცით რა. უნივერსიტეტის საქითხი გადარწადა თუ არა საბჭოში? მოკითხვა ბატონ ივანეს, ვიორგის, ლილის და ყველას ერთობით. შენი ძმა იოსებო!“.

„აკაკის გაუმარჯოს ღმერთმა!

შენი წერილები მივიღე ორივე. გვარისად ვართ, მხოლოდ სიბებამ შეგვაწუხა. კურსები დილს გაიხსნა კადეტთა კორპუსში. მინისტრმა (ლახსიშვილმა) ჩინებული სიტყვით მიმართა მსწავლებლებს, შემდეგ ლექტორთა სახელით ივანე ჭავჭავაძელმაც კარგი მისახალმებელი სიტყვა წარმოხმოქვა. დასასრულ „გოგოშ“ ლექცია წაიკითხა ენათმეცნიერებიდან და ამით გათავდა დღევანდელი დღე. ზეალ მეც შევედგები ვაწამაწიას, ორ კვირაში უნდა გავათავო

ენაცა და ლიტერატურაც, რადგან შემდეგ საბუნებისმეტყველო საგნები დაიწყება.

უნივერსიტეტის საკითხი უკვე იჩრქვა მთავრობაში და საგანგებო კომისიაში, მგონი ამ ერთ კვირაში ეროვნულ საბჭოშიც განიხილონ. იმედია დაამტკიცებენ. რაც შეეხება ბინას, ისეც იმ შენობაში უნდა დავრჩეთ, რასაკვირველია, მთელი შენობა ჩვენ უნდა მოგვეცეს. კადეტთა კორპუსის ორგანიზაციის დაჯავაღიერეთ და უნივერსიტეტისათვის სრულიად უფარგისადა იქმნა ცნობილი. პატარა ოთახები, კორიდორების თითქმის უქონლობა, კუპუი, კაპიტალური შეკეთების აუცილებლობა და სხვა.

„იონი“ განიხილეს უკანა შინა, შინდოდა ამოგვეყენებია, მაგრამ არა ქნა, აკაცის უცულო. მოკითხვისათვის უკელამ მადლობა და სამაგიერო მოკითხვა მოგახსენეს. გენო და გოგია ეს ერთი კვირა, სიმონეთს გაუმზავრნენ. დათქმის ამბავი კარგა ხანია არა ვიცე რა, აღმათ განცხრომით იქნება უპურობით. იმედია სამართობო მინც ჩამოგვად. მოკითხვა ნაცნობებს.

შენი იოსები.

ასე გვწერთა და მიზანწარაფულად უყრიდა საფუძველს იოსებ უფშიძე და მისი თაობა ივანე ჭავჭავაძის თაოსნობით ქართული უნივერსიტეტის წმინდა ტაძარს.

განგებისაგან იოსებ უფშიძისთვის განკუთვნილი დრო მით უფრო მცირე გვეჩვენება, რაც უფრო ვუღრმავდებით მის დიდ ნაშრომებს. მისი მისთვის კიდევ უფრო შეკარი და დაუნდობელი ამოჩნდა ბედი. დაეთი უფშიძემ 29 წელი ვერ შეასრულა. და მანც უშელო ამ არაჩვეულებრივად შემჭიდროებულ დროში გამოკვეთა თავისი მეცნიერული სახე, გამოკვეთებული თუ მის არქივში დარჩენილი მასალა დაეთი უფშიძის სახით ჩვენს წინაშე წარმოაჩინეს დროა, საფუძვლიანი ცოდნით შეიარაღებულ მეცნიერს.

დაეთი უფშიძე მუშაობდა საქართველოსა და სომხეთის ისტორიაში, ძველ ქართულ ფილოლოგიაში, ენათმეცნიერებაში, ლექსიკოლოგიაში. იყო ფილოლოგისტი, არქეოლოგი, შუა საუკუნეების მღვიმეთა ნაშთილი სპეციალისტი.

მისი ეს მრავალმხრივი ინტერესი კარგად ჩანს იოსებ უფშიძის წერილებიდან.

1912 წელი, პეტერბურგი.

მშაო დათიკო! გიგზავნი შემდეგ წიგნებს: ჩუბინაშვილის ქართულ-რუსულ ლექსიკონს, ჰანურ გრამატიკას, პატარა სტატიებს, იაფეტური ენათმეცნიერების IV და V ტომებს, მუსულმანურ დინასტიას და რვეულებს. ესეც ბევრი! რად გინდა, კაცო, ამდენი წიგნი?! ყველა ამას თუ ჩაუტევი, დაისვენებ კი არა, ზედმეტი შრომაც მოგივა. გიგზავნი „მეგრული ქრესტომათიის“ ერთ ნაწილს, რაც ქვერ დაბეჭდილი; აგრეთვე „მეგრულ ლექსიკონს“. შეიძლება სო-

ბუში გამოვადგეს. რაც შეეხება შენ საუცხოველო კადეტთა სტატიებს, აკაციმ განაცხადდა, რომ უნდაც მას დასჭირდეს, რადგანაც თუ რამე დასჭირდათ რედაქციას, ან საეჭვო რამე იქნა, იმას მთავრობაზე ხოლმე, როგორც ერთადერთ პეტერბურგში მყოფ წარმომადგენელს.

მოკითხვა ყველას. ეს ორი წიგნი ბაწრით შეკრული შალიკოს გადაეცით.

შენი ძმა ეოტია“. (ეოტიაჲ იოსებს ეძახდნენ შინაურობაში).

1912 წელი, პეტერბურგი.

მშაო დათიკო! ვისურვებ განმრთობობას. უნივერსიტეტი და პეტერბურგიც მთლათ კარგად არიან, მხოლოდ უშენობას ძლიერ წუხან, მაგრამ იმედი აქვთ საზღვრულოდ გვეწვევაო. გათავისუფლებით გაგათავისუფლეს უნივერსიტეტის ფულიდან. ფუთურძის სტამბდა და უნიშენს, აკაცის კიდევ წაუშატეს, რასაც აკაცი მაინცდამაინც დიდად არ წუხს, ხოლო საფანციანს წაართვეს, რაც მას მაინცდამაინც ძლიერ არ უხარია. ეს შენი ნემსები როდეს გათავადება ან რას აპირებ, მომწერე თუ საჭიროა სოხური, უსათუოდ უნდა წახვიდე. შალიკოს ამბავი მოწერე სად არი.

ჩვენი კურსები ქვერ ასე ცოცხალ-მკვდარივითა და იანვარში ან გამოცოცხლებდა ცოცხა მანც, ანდა „განიხვენებს, სადა იგი არაბარს არცა კიბი, არცა ურვა, არცა მწუხარება...“

დიდი მოკითხვა ყველას სოფელში, შალიკოს. დიდი მადლობა და მოკითხვა ვანო მოყვარის. შენი ძმა ეოტია“.

ამ წერილიდან, გარდა ძმების უნაზესი სიუვარულისა, კარგად ჩანს იოსებ უფშიძის ხალასი, განსაღი იუმორით შეფერილი ნიჭი.

„დაეთი კუროპალას ვახლავართო ცუ დეკემბერს ნიკო შარი სოხურს მოდის და ერთ თვეს მად გაატარებს, აფხაზურის შესწავლა უნდა. თუ შენც იქ იქნები, მასთან ერთად აფხაზურს შეისწავლი ცოტას მაინც და კარგია. მეგრული რაც დაიბეჭდა, მარს თან ექნება.“

კაცო, მიდი ისიდორე კვიციანიშთან „დედაკაცი და სოციალიზმი“ გამოგზავნოს, ფული გადახდოდა გამოსაგზავნისაც კი. აგრეთვე შეიარე მთავარიშვილთან და იქ ვაიფე ხომ არაფერი წიგნი გამოსულა. მე ხელი მაქვს მოწერილი ზაქარია ტვიჩინაშისა და მელიტონ ელენჩერძის წიგნებზედ. გარდა ამისა, მაცნობე, შენ ხომ არა გაქვს ივანე ჭავჭავაძის წერილი რუსულ ენაზე სომხებსა და ქართველებს შორის განხეთქილების შესახებ. ვეღარ ვხახე, აგრეთვე მარის ზოგი პატარა სტატიაც. თავს კარგად მოუარე.

შენი ძმა ეოტია“.

1912 წელი, პეტერბურგი.

დათიკო, შენი თხოვნა მივეცი. ამ მოკლე დროში ვაარჩევ. სოსიკო მეტკვილამესთან არ მოვხუტვარ, რადგანაც წ. კ. საზოგადოებაში

ვიშოვე ორივე ტომი (ხმანი). ასე რომ, როგორც ვინაა ისე მოეკეთე შენ მიერ დაბეჭედილ წიგნს. მომიკითხე უველანი, აკაიშ და სხვებზე მოგაკითხეს.

უოტაა".

„1914 წელი, ქუთაისი.

მამო დათყო, გამარჯობა! ხალამი მთელ თქვენს ხაარქოლოგო კომპანიას და ნუოფიერი მუშაობის სურვილი. ხოლო ამჟამად შენ სულ სხვა საგანზე უნდა გეხალოს. ტფილისში ქალი დაქვნიშენ ევაგენია ევაში და ორ კვირისკობისთვის ქვარს ვიწერ ტფილისშივე. შენ, რაკაცირველია, ქვარის წერას ვერ დაეწერები, მაგრამ თუ მოახერხებ დამომავალ კვარას ხახლში ჩამოხვალ, კარგი იქნება. ამ დღისათვის ჩვენც მოვატანთ სიმონეთს. მოკითხვა უველას.

შენი ძმა უოტაა".

1914 წელს დავით უიფშიძე მონაწილეობდა შურის არქეოლოგიურ ექსპედიციაში, რომლის მიზანი იყო მაქსიმე აღმსარებლის საფლავის პოვნა.

„1914 წელი, ტფილისი.

მამო დათყო, გამარჯობა! შენი წერილი მივიღე, მიკვირს, ამდენ დროს რომ დარჩენილხარ ქუთაისში. მე მგონი მაგ თქვენი ხინემატოგრაფიდანაც ბევრი არა გამოვა რა.

კარაბადინი № 1274 აწერილი აქვს თაყაიშვილს, ტ. I, 640 გვ. ესლაც ვნახე თვით ხელთწაწერი. ზომა 80X20 სანტ., ზომა წმიდა ტექსტისა 22X13 სანტ., გვერდი 756. ერთი სიტუვით, ძლიერ დიდი ხელწაწერაა. ჩემი აზრით, ორი თვე უკანასკნელი დასჭირდება ამის გადაწერას, მით უმეტეს, რომ ხელთწაწერს სახლში არ გაატანენ და მუზეუმში მუშაობა კი მხოლოდ დილის 9 საათიდან ნაშუადღევს 2 საათამდე შეიძლება. მე მგონი, ამ თვის ბოლომდე დავრჩე აქ. მოკითხვა უველას.

შენი ძმა უოტაა".

დავით უიფშიძე რომ ამ კარაბადინის გამოცემას ამირებდა, ეს ივ. ჯავახიშვილისხანად ვაგზავნილი წერილიდანაც ჩანს, რომელიც იმავე 1914 წლითაა დათარიღებული. მისი ეს ჩანაწერი, როგორც სხვა მრავალი, განუზოტრიელურად დარჩა.

„1916 წელი, ტფილისი.

მამო დათყო, გამარჯობა. მოკითხვა უველასგან უველას ერთობით. მარტი წამოვა 24 ამ თვის და ანგარიშით აქ უნდა იქნეს 28 საღამოს. აქ დიდხანს ვერ დარჩება. ასე ორ-სამი

დღე. ჩვენ ქრტილობით კიდევ ამ ვიწინებო. სტუდენტი ნელთუბოვი იყო ჩემთან, მაგრამ ხაარსული ლიტერატურის კურსი არ მოტანია. ქერ კიდევ შე შვირდებო და მერმე გამოვუგზავნეო. შენი ადრესი მთვეცი.

შენი ძმა უოტაა".

„1917 წელი, პეტერბურგი.

მამო დათყო, გამარჯობა! რახა იქ, როგორა ხარ? როგორ შეხვედი ამ ახალ წელს? სერგო იწერება, გაკვეთილები ვუშოვეთო და კიდევ სამუშაოს ვუშოვეთო. მაგრამ რა სასუიელს იღებ ამ ვაბრდებინ, არ იწერება, არც შენ იწერები ამის შესახებ რახაზე. მოიწერე დაწვრილებით უველაფერო, აგრეთვე ამდენ ხანს რითი ცხოვრობ. როგორც შენი ოთახის კიჩა იათია, ალბათ სადილიც და სხვა „სახმარი ურველივე“ იმგვარადვე იათად დაგაქმნება, თუ უფრო იათად არა.

სხვა დიდი მოკითხვა გენოსგან და გოგინგან, მოგვიკითხე ევაძიანი და გორგაძიანთ ერთობით. გოწინაფი ქრტილობით არა ჩანს. არა უშავს, იწედა, მერცე ახალი წლისთვის მაინც მოვიღებთ. გუშინ ბენეშვიჩი ვნახე. შენი სტატია შეიბა «Христианский Восток»-ისათვის. მე მგონა თუ მას დაუტოვე ალბათ წავიღოა გათხოვს გამოგზავნო დარქარბითა.

შენი ძმა იოსები".

„1917 წელი, ათინა.

ხალამი უველას ერთობით. ეს ორი კვირაა, რაც ლაზების ქალაქ ათინაში ვარ. პატარა ქალაქია. სამუშაო ბევრი აღმოჩნდა და მეც თავს კარგად ვგრძნობ. ქართველებს ძლიერ გავმადლიერებინ. რომ თქვენ არა, ჩვენი საქმე ცუდად იქნებოდაო. ბევრია გაქცეული ომის გამო. უველაფერი შიუტოვებითა და არის გავერანებული. ზვად ან ზეგ მერცე ქალაქში ვიწვი გამომოვინაცვლებ. მგონი ამ თვის ბოლომდის დავრჩე აქ.

თქვენი უოტაა".

ამ წერილს იოსებ უიფშიძე ლაზეთიდან უგზავნის ოქტბს. აქ უწრადღებას იქცევის ერთი ფრაზა — „სამუშაო ბევრი აღმოჩნდა და თავს კარგად ვგრძნობო“. საქვეურო საქმისთვის მუშაობა და თავის დადება იყო მისი ცხოვრების წესი.

დიდი მუცნიერული გზის დასაწყისში მოუწერო სიყველმა იოსებ და დავით უიფშიძეებს, მაგრამ ამ დასაწყისში ისახებოდა დიდი სამერსნისო გზა, იგრძნობოდა დიდი შემართება და ძალა.



# ქართველ მთიელთა სამეურნეო ყოფის ისტორიიდან

ქართველი ხალხის მრავალდარგოვანი მეურნეობის ისტორიის კვლევაში განსაკუთრებული ადგილი მიეკუთვნება მესაქონლეობის შექმნას, რაც უძველესი დროიდან დღემდე მიწათმოქმედებასთან ერთად მეურნეობის ძირითადი დარგია. ამ დარგების განვითარებას საქართველოში ახასიათებდა ლოკალური თავისებურება, რასაც აპირობებდა ცალკეულ კუთხეებს შორის არსებული განსხვავება, როგორც ბუნებრივ-გეოგრაფიული გარემოს, ისე სოციალური-ეკონომიკური განვითარების დონის მიხედვით. მატერიალური კულტურის, სოციალური ყოფისა და რელიგიის უმნიშვნელოვანესი საკითხების პარალელურად მეურნეობის ფორმების შესწავლის შედეგად ეს განსხვავება განსაკუთრებით შეიმჩნევა ბარსა და მთას შორის. საქმარისა აღინიშნავს, რომ ბარში მეურნეობის წამყვანი დარგი იყო და არის მიწათმოქმედება ხოლო მთაში — მესაქონლეობა.

მეცნიერებაში აღიარებულ ამ თვალსაზრისს მრავალმხრივ საინტერესო ახალი ფაქტობრივი მონაცემებით განამტკიცებს და დამაყრებელი არგუმენტებით ასაბუთებს მზია მკაჯალათია, რომელმაც მსხვილფეხა მესაქონლეობის შესახებ დიდძალი ეთნოგრაფიული მასალა მოიპოვა უმთავრესად აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში (ხევსურეთი, ფშავი, თუშეთი), ხოლო დამატებითი შესაძარბებელი მონაცემების მოძიების მიზნით იმუშავა საცხენე-ჭაგახეთში, ქსნის ხეობაში, იმერეთში, სამეგრელოსა და სვანეთში. დასახელებულ რეგიონებში შეტრბილი მასალების საფუძველზე დაწერილი შრომების დიდი ნაწილი გამოქვეყნდა სამეცნიერო კრებულებში, ზოგიც იბეჭდება ან მომზადებულია დასაბეჭდად, ხოლო ნაწილი ხანგრძლივი საველე და სამეცნიერო-ველეობით მუშაობის შედეგები შექამებული და მონოგრაფიულად განხილულია სარეცენზიო ნაშრომში.

მონოგრაფია მოიცავს შესავალს, სამ თავს (პირველ თავი დაყოფილია ხუთ პარაგრაფად), მითითებული ლიტერატურისა და შენიშვნების დანართს, შემოკლებათა ახსნას, რეზიუმეს რუსულ ენაზე და ილუსტრაციებს სათანადო აღ-

წერლობით. ლიტერატურის მითითებათა დანართში შეტანილი შენიშვნები კვალიფიციურად შედგენილ განმარტებებს შეიცავს ნაშრომში დასმულ ან მის მოიხილავე შრავალ საყურადღებო საკითხზე, რომელთა შემოტანა წიგნის ძირითად ნაწილში ტექსტს კამდენადმე გადატვირთავდა. მაღალ დონეზე კომენტარების შესაძლებლობა ავტორს შეუქმნა სპეციალური ლიტერატურის კრიტიკულად ათვისებამ და ეთნოგრაფიული მასალის საფუძვლიანმა ცოდნამ, რაც ასევე ყრგად ჩანს მონოგრაფიაში აღძრული ნებისმიერი საკითხის განხილვისას. სრული რწმენით შეიძლება ითქვას, რომ ავტორის განკარგულებაში არსებული დიდძალი ეთნოგრაფიული მასალიდან ნაშრომში გამოყენებულია მხოლოდ ყოველმხრივ შეყრბებული, დოკუმენტრად დაზუსტებული, მკაცრად შერჩეული და ელასიფიკირებული მონაცემები.

ასეთი მონაცემების ანალიზის საფუძველზე მ. მკაჯალათია თანმიმდევრობით ასაბუთებს, რომ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში იდოთაგნვე არსებული მეურნეობის ძირითადი დარგები იყო მესაქონლეობა და მიწათმოქმედება, რომელთაგან წამყვანი ადგილი ეკურა მესაქონლეობას. საკითხის ისტორიულ კრილია განხილვით ასევე დამაყრებლად ითქვა, რომ საზამთრო საძოვრების გამოყენების შესაძლებლობის შესაბამისად, XVI საუკუნიდან თუშეთში, ხოლო XIX საუკუნიდან ფშავში მომთაბარული ხასიათის მეცხვარეობის განვითარება საყმარად ფართო მასშტაბებს ღებულობს და მთერ მეურნეობაში წამყვან ადგილსაც მეცხვარეობა იჭერს, მაგრამ მანამდე ამ კუთხეებში, ხოლო ხევსურეთში კი ყოველთვის წამყვან როლს მსხვილფეხა მესაქონლეობა იწარჩენებდა. ავტორის სამართლიანი მტკიცებით, მეცხვარეობის მასშტაბების ზრდამ ხელი შეუწყო მაღალგანვითარებული მეურნეობის შქონე ბართან (ქართლ-კახეთი) შემდგომი ეკონომიკური ურთიერთობის გაფართოებასაც, რასაც ყოველთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა ენიჭებოდა შეზღუდული სამეურნეო პირობების შქონე მთის მოსახლეობისათვის.

მსხვილფეხა საქონლის ჯიშების, სქესობრივ-საკომბრივი ელასიფიკაციის, მოელა-მოშენების შესახებ ხალხში დარგოვანი მდიდარი ემპირიული ცოდნისა და მესაქონლეობის ღეჭმკის კუთხურ თავისებურებათა გულმოდგინე

მზია მკაჯალათია, მესაქონლეობა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში (თუშეთში-ხევსურეთში). გამოქვეყნდა „მეცნიერება“, თბილისი, 1985, რედაქტორი გ. ქალაბაძე.

შესწავლის შედეგად დაწყებული მტკიცება მივიღეთ იმისა, რომ ქართულმა მთიელებმა გარკვეული წვლილი შეიტანეს ერთი მხრივ, გარემო პირობებთან შეგუებული მებრძული გიმის პირუტყვის შერჩევა-მოშენების, ხოლო, მეორეს მხრივ, რძის ისეთი მაღალხარისხოვანი პროდუქტების მიღების ტექნოლოგიაში, რაგორცაა ხევერული ერბო და ფშერი ვარაი.

საინტერესოდ უნდა აღინიშნოს, რომ შესაქონლების თემაზე დაწერილ ნაშრომთაგან განსხვავებით, მ. მაკალათის მონოგრაფიაში მსხვილფეხა საქონლის მოვლა-მოშენებისთან დაკავშირებული ხალხური ცოდნა-გამოცდილების ამსახველი ენოგრაფიული მასალა განხილულია წლიური სამეურნეო ციკლის ცალკეული ეტაპების მიხედვით. დადგენილი სამი ძირითადი ეტაპიდან და მეოთხე ქვეეტაპიდან პირველი სამეურნეო ეტაპი მოიცავს საქონლის ბაგური კვების პერიოდს, რომელიც იწყება გვირგვინისთვის სათანადო (აქედანვე იწყება სამეურნეო წელი და კერაბა გამოთვლა), გრძელდება 20-24 კვირას და მთავრდება აღდგომას (ოცობა-ქრულდება). მეორე ეტაპი განისაზღვრება 9-10 კვირით, აღდგომიდან ამაღლებამდე, როდესაც იწყება ხენა-თესვა, ხოლო საქონელს თავისუფლად უშვებენ არა მარტო სოფელთან ან საზამთრო პარალელურ ბაზებთან მდებარე საძოვრებზე, არამედ სათიბებშიც კი. ამ აღიარების შემდეგ იწყება მესამე ეტაპი, რომელიც მოიცავს მთელ საზაფხულო სეზონს და გრძელდება გვირგვინისთვის ათამდე — საქონლის ბაგური კვებაზე გადაყვანამდე. მესამე სამეურნეო ეტაპზე მოსახლეობის უმთავრეს ამოცანას შეადგენს საქონლის გამოყვანა და მოვლა-პატრონობა საზაფხულო სამთიერში, ხოლო ამ შრომატევადი ეტაპიდან დისკრეტური ქვეეტაპად გამოყოფის საქონლისათვის საცდების მარაგის დამზადების პერიოდს.

ტრადიციული სამეურნეო ცალენდარის მიახედვით, რაც დაწყებულია მზისა და მთვარის მობრაობის ციკლზე, მ. მაკალათის დადგენა არა მარტო ძირითადი სამეურნეო ეტაპები შესაქონლების სფეროში, არამედ აღწერა და გამოაქვინა მასთან დაკავშირებული შრომის, ორგანიზაციის ფორმები, საძოვრების სარგებლობის წესები, თავის დამზადების შრომატევადი პერიოდს, საქონლის ბაგური კვების რეჟიმი და, რაც მთავარია, საქონლის მთაბარობა, რაც სოფელთან ახლოს და მაღლა მდებარე ადგილების, ანუ მთიანეთში არსებული „მთისა“ და „ბარის“ მონაცემების მიხედვით გამოყენების გამო ვერტიკალური ზონალობის პრინციპს ემყარებოდა და გამოხატულებას პოულობდა საზაფხულო თუ საზამთრო სამეურნეო ბაზების ექვიტურად გამოყენებაში.

საინტერესო მასალაზეა ემყარებული მთიელთა საოჯახო ყოფისა და ურთიერთობების შესწავლისათვის. ამ მხრივ პირველ რიგში აღსანიშნავია მონაცემები ოჯახის წევრებს შორის ფუნქციების განაწილების შესახებ შესაქონლების სფეროში. საკმაოდ დეტალურადაა აღწერილი მთაბარობა ერთი კუთხის ფარგლებში, რაც საქონლის გამოყვებისა და რძის პროდუქტების დამზადების ინტერესებით იყო ნაყარნახვევი: გარკვეულია, რომ, ადგილობრივი სამეურნეო პირობების შესაბამისად, მთიელი საკუთარი კუთხის „მთისა“ და „ბარის“ სეზონურად გამოყენების მიზნით აწყობდა მუდმივსა თუ დროებითს სადგომებს. დიდ შრომას მოითხოვდა საქონლის მოვლა-პატრონობა და რძის პროდუქტების დამზადება საზაფხულო სამთიერში, რაც ქალებს შორის მორიგეობის პრინციპზე ხორციელდებოდა. ამგვარი მორიგეობა კი განსაკუთრებით ძნელი იყო მცირერიცხოვან ოჯახში. ასეთ შემთხვევაში ორგანიზებული იყო მეზობლების მორიგეობა ან მეწყველი ძროხის „სამესამედლოდ“ მიღება. სამთიერ ბელმარტო ქალების მორიგეობას „გაყრება“, ე. ი. ყრით მუშაობა ერქვა, ხოლო სამესამედლოდ (პროდუქტების 1/3-ის მიღების პირობით) ძროხის გაბარება ხდებოდა უქალბოდ დარჩენილი ოჯახის მიერ, ვინაიდან მეწყველად ქალი ითვლებოდა. მრავალსულიან ოჯახში ამგვარი სიძინელები არ არსებობდა, ვინაიდან სამთიერ დედამთილი თუ ხანდაზმული რძლები მიდიოდნენ, ხოლო სოფელში პატარა ბავშვების ღებები რჩებოდნენ (გვ. 101-104).

ოჯახის წევრთა შორის შრომის განაწილების პრინციპებთან ერთად, ნაშრომში საკმაოდ სიხრულთაა აღწერილი მეწყველის შრომატევადი საქმიანობა და მეწყველობის ორგანიზაცია კვლევის შედეგად გამოჩნდა როგორც ადგილობრივ მოქმედ ვარიანტის პირობები, ისე სხვა კუთხიდან მოსულ მეწყველთან შეთანხმების ხასიათი, თავის მხარე ამან შუქი მოჰქონა საქართველოსა და ჩრდილო კავკასიის მთიელთა სამეზობლო ურთიერთობის თავისებურებასაც. ავტორის დაკვირვებით, „ბევსურეთში“ მგზაარეებდად მთიელები, გუდამაყრელები, მოხვეელები და ფშალებიც დგებოდნენ“ (გვ. 89). ცხადია, ეს ხელს უწყობდა ქართველ მთიელთა ურთიერთდახლოებას, მაგრამ განსაკუთრებით ადრე მნიშვნელობა ენიჭებოდა ჩრდილოკავკასიელ მეზობლებთან ურთიერთობას. მკითხველი სრულსა და ნათელ წარმოდგენას შეიქმნის იმის შესახებ, რომ ევინახები, (ჩანინები, ინვეშები), და დაღესტნელები ქართველ მთიელებთან მარტოდნენ შულღსა და მტრობაში კი არ იმყოფებოდნენ, არამედ შრომითი ურთიერთობის გზით სამედიდობო კავშირსაც განამტკიცებდნენ. ეს შრომითი კა-

ვინაიდან ნაქარაბეგი იყო ღირსე მზარის ეკონომიკური ინტერესებისა, რაც შესაქონლეობის სტრატეგიკ ვლინდებოდა. ფაქტობრივ მონაცემების შესჯავით ნაქარაბეგი დადგებილია რომ „მეძრობეზებად და მეზარავევებად ზალმუბანა ღიღოები იყენენ, პირიქითში კი ქისტები და ღიღოები“. ავტორისავე საბუთიანობით, „ღიღოები მართო მეზარავევებად და მეძრობეზებად არ მუშაობდნენ თუშეთში, ისინი იყენენ ყორის (ქვის ყელის) შვენებლებიც და სხვა სეზონური საშუაოების შემარულუბელნი“. დიღო ქალები მონაწილეობდნენ მკაში, მატყლის დამუშავებაში და სხვ. ღიღოები უწყელაზე მშენებლობაზე მუშობდნენ ითულებოდნენ“ (გვ. 92).

მართალია ურთიერთობის ფაქტები დადგენილია ხევესტებისა და ქისტებზე საბუღებებრი ჩანება მავალითუდაც: „შაბლში, 2-ში წლით. ღარები ქისტები ოჯახებით ამანათად მოდიოდნენ. ყველა დგებოდნენ ცხვირს შვევსადა. მეზარავევებ, ქალები კი საოჯახო საქმეებს ასრულებდნენ — საქონელს უყლიდნენ, არაყდნენ, ზეჩავდნენ, მკიდნენ, ქაზადარს (იატაკა) ღუსავდნენ. ამანათად მოდიოდნენ ოჯახებით ჯარეგოდან, თერეთეგოდან“ (გვ. 98).

წლიური სამეურნეო ციკლის ცალკეული ეტაპების დახასიათებისთან ერთად ავტორი გვაცნობს ზალმურ წეს-ჩვეულებებსა და დღესასწაულებს, ადვენს მათ ქრისტიანიზირებულ საბუღებებებსა და ბუნების წარმართულ ხასიათს, მაგრამ ამითი როდი ემაყოფილდება. სპეციალურ თავში იგი განიხილავს შესაქონლეობასთან დაკავშირებულ რწმენა-წარმოდგენებს, ფართოდ იყენებს ლიტერატურას რელიგიის ობიექტის შესახებ და დასაყვნს. რომ თუშეთში-ხევესტურეთში შინაურ ცხოველებს მფარველობენ და ნაყოფიერებს ანიჭებენ მღვდრობითა და მამრობითი ბუნების მქონე ასტრალურ-ანთროპომორფული ღვთაებები.

ძირითადად ზემოთ დსმული საკითხების გარკვევას ისახავს მიზნად შ. მავალითის ნაშრომი, რომლის უდავო ღირსებას შეადგენს პირველხარისხოვანი ეთნოგრაფიული მასლის სრული სახით გამოყენება შესადაგებელი მასალით სარგებლობა, ისტორიული წყაროების, არქეოლოგიური მონამოებებისა და სპეციალური ლიტერატურის მონაცემების გაანალიზება. სარკვევითი ნაშრომის სახით ქართულ ეთნოგრაფიულ მეცნიერებას შეემატა სოლოღური გამოკლევა, რომელსაც მეცნიერულთან ერთად აქვს საღიღისო პრაქტიკული მნიშვნელობა. მხეველებომაში მაქვს მეცხოველებების შემდგომი აღმავლობის მიმართულებით პარტიისა და ხელისუფლების მიერ დასახული ამოცანები, რომელთა განხორციელებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება მეურნეო-

ბის სპეციფიკობა და ზალმურ ტრადიციების ცოდნას.

სარკვევითი წიგნის მიზანთ გვეგანხილავს მსდენად შენიშვნა:

1. კონკრეტული საკითხების განხილვამდე შესავალშივე ხაზგასმულია შესაქონლეობის განსაკუთრებული მნიშვნელობა მთელთა ცხოვრებაში. ამასთან ერთად ავტორი ცდილობს დაამტკიცოს, რომ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში ყველაზე გავრცელებულ შინაურ ცხოველს მსხვილუბა წარმოადგენდა, რომელიც თითქმის უკლებლოე ჰყოფდა ყველა ოჯახს... საერთოდ მსხვილუბებს (მეშა და მერჩქელი პარტყვი) ემუარებოდა მიწათმოქმედება და სარგველ მეურნეობა ძირითადად მეცხოვარობით განთქმულ ისეთ კუთხებშიც კი, როგორც თუშეთი და ფშავია ოჯახის გამრავლება-არსებობისათვის მსხვილუბა საქონლის როლი შეუცვლელი იყო“ (გვ. 73).

ამეთი დასაბუთების საფუძველად შ. მავალითა თვლის ძროხის რძის პროდუქტების სიჭარბეს მთიელთა კვების რაციონში. აზრი ძროხის რძის მნიშვნელობის შესახებ დოჯას არ იწვევს, მაგრამ გათვალისწინებული არ არის, რომ რძის პროდუქტებით ოჯახის ყველა არ მოითხოვდა მეწველი ძროხების ესოდენ დიდ სიმრავლეს. მეცხოველებების განვითარების დონის განსაზღვრისათვის მნიშვნელობა ენიჭება არა მართო რძის პროდუქტებით ოჯახის კვების სიჭარბობას, არამედ შესაქონლეობის ამა თუ იმ სახეობის ზვეღრით წონას საოჯახო მეურნეობაში. ამ ასპექტში საკითხის განხილვა კი აშკარად გვიჩვენებს, და ეს სარკვევითი წიგნიდანაც კარგად ჩანს, რომ საკვლევი კუთხებთან ფშავსა და თუშეთში XIX ს. ინტენსიურად ეთარდებოდა მეცხოვარობა. მეურნეობაში ის იჭერდა ვაბატონებულ მღვდმარეობას, ზოლო თანდათანობით მცირდებოდა მსხვილუბა შესაქონლეობისა და მიწათმოქმედების ზვეღრითი წონა. ეთნოგრაფიულ მასალებთან ერთად ამას თვალნათლედ გვიჩვენებს XIX ს-ის ეთნოგრაფიული აღწერის მასალები, რაც სამომავლოდ გასათვალისწინებელია.

2. ავტორის შეხედულებით, რომელშიც განვითარებულია ეთნოგრაფიულ მეცნიერებაში აღრე შემშუავებული ავღაზარისი (რ. ხარაძე), აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში (თუშეთი, ფშავი, ზევი, მთიულეთი, გუდამაყარი) დაქირავებული შრომის საფუძველს ქმნიდა განვითარებული მეცხოვარობა. მისივე აზრით, „მეურნეობის სხვა არცერთი დარგი (მსხვილუბა შესაქონლეობა, მიწათმოქმედება) საამისო პირობებს არ ქმნიდა“ (გვ. 72). ნაშრომის შესავალშიც ითქვა, რომ „ფშავსა და თუშეთში ქონებრივი უთანასწორობა მხოლოდ მეცხოვარობის ხაზით ვლინდება“ (გვ. 11). იქვე ისიც წერია, რომ „აღნიშნულ კუთხებში



მომთაბარე მეცხვარეობის ინტენსიურად განვითარების მიუხედავად, მეურნეობის ძირითად დარგებად კვლავ მსხვილფეხა მესაქონლეობა და მიწათმოქმედება რჩება" (გვ. 11).

შესანიშნავი დამოწმებულ შეხედულებათა ერთგვარი დამირისპირება, რამდენადაც განვითარებული მეცხვარეობის პირობებში ძირითად დარგადაც მეცხვარეობა უნდა მივიჩნიოთ და არა მესაქონლეობა და მიწათმოქმედება, რამდენადაც სიტყვა „ძირითადს“ ამ შემთხვევაში „წიყყინის“ ელერადობა აქვს. უოველ შემთხვევაში ეს ეხება თუშეთს, ფშავს, ხეხსა და მთიულეთ-გუდამაქარს XIX ს-ის მეორე ნახევარში, მეცხვარეობის ინტენსიური განვითარების პირობებში, განსხვავებით ზესურეთისაგან, რომლისთვისაც მართლაც დამახასიათებელი იყო სხვა დარგებთან შეთანხმებით მსხვილფეხა მესაქონლეობის ხედვითი წონის აშკარა უპირატესობა.

3. ნაშრომში აღნიშნულია, რომ მთიელებმა ცხვარება ერთად მომზარავეს ცხენებიც. მაგრამ იქვე განმარტებულია: „ზოგ მეცხვარეს ცხენის ჯოგი სახელის გამო ჰყავდა — 40-60 ცხენი, რომელთაც არავითარი დანიშნულებით არ იყენებდა“ (გვ. 72).

ამასთან დაკავშირებით უნდა შევნიშნოთ, რომ ცხენების გამოყენების გარეშე შეუძლებელი იყო თუნდაც მეცხვარეთა გვიბრება, როგორც ადგილობრივი შთაბარბისი, ისე საზღვრულ და საზამთრო საძოვრებით სარგებლობის პირობებში. მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ XIX ს. კავკასიაში მთის ცხენებზე ყოველთვის დიდი მოთხოვნა იყო და სამაზრო მათი მომრავლება ისეთ პირობებში, როდესაც საზამთრო და საზღვრულ საძოვრებზე მონაცვლობით ყოფნა მთიელებს ათავისუფლებდა ბაგურთა კვების ზარქებისაგან, მეცხენეობას მოშვებთან საქმედ წარმოაჩენდა. და შეუძლებელია ცხენის ჯოგი მეურნეს მართლაც სახელის გულისათვის ჰყოლოდა.

4. ავტორი თავის შეხედულებებს გუთავაზობს სათიბ-საძოვრებით სარგებლობის შესახებაც, რაც რიგ შემთხვევაში საკუთრების ფორმებთან კავშირშია გააზრებული. მისი აზრით „საზღვრულ საძოვრები თუ მ-ფშავ-ხევსურეთში სასოფლო თემის საკუთრებას წარმოადგენდა, მაგრამ მის გვერდით არსებობას განაგრძობდა გვაროვნული თემის საკუთრებაში მყოფი საძოვრებიც, რომელიც როგორც რ. ხარაძე წერს, „გაღმონაშთის სახით შეშორჩა ეკონომიკასა და იდეოლოგიაში (გვ. 108). ავტორისავე თქმით, „აღმოსავლეთ საქართველოს მთაში, სათიბებში, ისევე როგორც სხანურები, სათემო საკუთრებას წარმოადგენდა. სათემო სათიბს წარმოადგენდა აგრეთვე ე. წ. საკუთარი სათიბები, რომელნიც „კარისპირის“ მიწების

მსგავსად ცალკეულ კომლთა მფლობელობაში შედიოდა“ (გვ. 119).

საბამოზე, როგორც სოციალური ტერმინების გამოყენებაში, ისე საკუთრების ფორმების კვალიფიკაციაში. მწელი წარმოსადგენია, რომ სასოფლო თემის საძოვრებთან ერთად არსებულიყო გვაროვნული თემის საძოვრები. საკმარისია ითქვას, რომ გვაროვნული თემი (გვნი) არასებობდა პირველყოფილ-თემურ წყობილებაში. მისი შესატყვისი სახელწოდებაა აგრეთვე პირველყოფილი კომუნა, რომელიც სტალინურად წინ უსწრებს სასოფლო-ტერიტორიულ თემს. ამდენად, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში გვაროვნული თემის საძოვრების დანახვა გვაძლავდა ეთნოგრაფიული მისაღის მოპოვებისათვის ხელისაწყოვლად პერსონაში (XIX ს-ის მეორე ნახევარში — XX ს-ის დასაწყისი) გვაროვნული თემის (პირველყოფილი კომუნის) არსებობის აღიარებასაც. სულ სხვა საქმეა, როდესაც ვლადიმერ გვაროვნული თუ სასოფლო თემის გაღმონაშთებზე, როგორც ეს კარგად ჩანს თვით ავტორის მიერ დამოწმებული რ. ხარაძის კვლევის შედეგებიდან. გაუგებრობას ქმნის აგრეთვე იდეოლოგიური სათემო და საკუთარი სათიბებს შორის. ყოველად შეუძლებელია სათემო საკუთრებად გამოვაცხადოთ ის სახნავ-სათიბები, რომლებიც, ავტორისავე განმარტებით, „საკუთარი“ იყო და „ცალკეულ კომლთა მფლობელობაში შედიოდა“.

5. ავტორი ასაბუთებს, რომ აღმოსავლეთ საქართველოს მომთაბარულ მესაქონლეობაში იგულისხმება საკუთრივ მთიანეთის მაღალი და დაბალი სამეურნეო ზოლების გამოყენება, რომლებსაც მთიელები, თავიანთ სამოსახლო ადგილთან მიმართებაში, „მთად“ და „ბარად“ ყოფენ. სოფლის მეკიდრი მოსახლეობის მიერ მთის დაბალი და მაღალი ადგილების მონაცვლობით გამოყენება სავსებით გამორიცხავს ქართველ მთიელთა მომთაბარეულ მესაქონლეობის ნომადურ მეურნეობასთან გათანაბრების რაიმე საშუალებების. მ. მაკაბიძის ასევე დამაჯრებლად გვიჩვენებს, რომ XIX საუკუნეში მეცხვარეობის აღმავალი განვითარების მიუხედავად, რაც უკვე საქართველოს მთისა და მაღარის საძოვრების სეზონური გამოყენების გამო რიგი მსმტების მთა-ბარობას საქართველად, მთიელები მაინც დამჯარ ცხოვრებას ეწყოლენ, ოჯახები ადგილზევე რჩებოდნენ, ცხვარს მხოლოდ ოჯახის წევრ მამაკაცთა ნაწილი მიაყვებოდა და მათთვის ყოველთვის უტეო იყო ნომადური მეურნეობა. წიგნის შესავალში ავტორი ამ თვალსაზრისს თანმიმდევრულად ავითარებს და სათანადო მონაცემებითაც ამარაგებს, მაგრამ ვინაიდან ტერმინი მომთაბარე ზოგიერთ მეკლეარს მხოლოდ ნომადობის



მნიშვნელობით ესმის, უმჯობესი იქნებოდა, რომ საერთოდ მომთაბარე მესაქონლეობის ნაცვლად ყველა შემთხვევაში ვიხმაროთ ადგილობრივად წარმოებული მესაქონლეობა.

უაღრესად საინტერესო და პერსპექტიული სამუშაო მომივალსი კიდევ მრავალ საკითხს აღძრავს, სადაც კანონზომიერია სხვადასხვა მოსახლეობების წამოყენებაც, მაგრამ ამჯერად მხოლოდ ის შეიძლება ითქვას, რომ მზია მაკალათის წიგნი, რომლის გარეკანზე ავტორის სახელს ინიციალი შეცდომითაა დაბეჭდილი (მ-ს ნაცვლა წერია ზ), მნიშვნელოვანი შენაძენია ქართული ეთნოგრაფიული მეცნიერებისათვის. მასში ასევე სასარგებლო მონაცემებს

შეხედუბიან სხვა ღარგების მემკვიდრე მწერლები და ქართველი ხალხის უკიდურესი სიღრმით დაინტერესებული შკითხვებები. სამწუხაროდ, მისი შეტისშეტად მცირე ტირაჟი (1200 ცალი) ფართოდ გავრცელების შესაძლებლობას გამოიციხავს. წიგნი გამოსვლისთანავე ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად იქცა. სასურველია რომ აკადემიის გამომცემლობა „მეცნიერება“ ვაიცილებით დიდი ტირაჟით ბეჭდადეს ისტორიულსა და ეთნოგრაფიულ ლიტერატურას.

პალატიან ითონიშვილი.

● რედაქციის მისამართი:

თბილისი, რუსთაველის პარსპექტი, № 12.

● ტელეფონები: რედაქტორის — 98-55-11, პ/შ, მდივნის — 98-55-18, განყოფილებების — 98-55-15; 98-55-17, 98-55-20.

გადაეცა ასაწყობად 26.02. 86 წ. ხელმოწერილია დსაბეჭდად 4.04. 86 წ. ასაწყობის ზომა 7 $\frac{1}{2}$  X 12, ქილაღლის ფორმატი 70 X 108, ფო-ზიურნი ნაბეჭდი ფურცელი 11, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 15,5. სააღრ-საგამომცემლო თაბაჟი 16,58.

უე 10521, ტირაჟი 32.000. შეკ. 520. საქართველოს კ კ-ის გამომცემლობის სტამბა,

69/62

№ 80 1962.



« М Н А Т О Б И »

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ  
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ